

სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი

# სამი საუნჯე



2

ივნისი, 2012


SUMMARY  
РЕЗЮМЕ

სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი  
კვარტალური გამოცემა



# სამი საუნჯე

№2, 2012




თბილისი  
ივნისი, 2012

შპს: 070 (479.22)

ს-21

### სარედაქციო საბჭო

ბონდო არველაძე, გიორგი გოგოლაშვილი, ანზორ თოთაძე,  
გვანცა კობლატაძე (რედაქტორის მოადგილე), ნოდარ ლომოური,  
გრიგოლ რუხაძე (რედაქტორი), გრანი ქავთარია.



დაიბეჭდა საქველმოქმედო ორგანიზაცია  
„სინერჯის“ ფინანსური მხარდაჭერით.

გამომცემელი შპს „სამი საუნჯე“.

# სარჩევი

## იაკობ გოგებაშვილი — 100

<i>გიორგი გოგოლაშვილი, ღვაწლი და წუთისოფელი</i>	
იაკობ გოგებაშვილისა .....	5
<i>ლევან ბებურიშვილი, იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური</i>	
მოდერების ზოგიერთი ასპექტი .....	28

## განათლება

<i>გვანცა კოპლატაძე, ზოგჯერ თქმა სჯობს</i> .....	35
--	----

## ქართლის ცხოვრება

<i>მამუკა ცუხიშვილი, დავითგარეჯი</i> .....	44
<i>ბონდო არველაძე, „სომხეთის ჩრდილოეთის კარიბჭე — ჯავახქ, ლორი“</i> ....	71
<i>თინა იველაშვილი, დუმილი ყოველთვის ოქრო არ არის</i> .....	94
<i>თეიმურაზ ღლონტი, ქართული სუფრისა და ლხინის ფენომენი</i> .....	107
<i>ანზორ თოთაძე, დემოგრაფიული ვითარება</i>	
და ერის სულიერი ცხოვრება .....	130

## პოლიტოლოგია. რელიგიათმცოდნეობა

<i>გულბათ რეხილაძე, რელიგიური წარმოდგენების გავლენა</i>	
ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაზე .....	145
<i>თეიმურაზ ფანჯიკიძე, ხართ კი თქვენ ქართველები?</i> .....	158
<i>თემურ მირიანაშვილი, მორალური შეფასება</i>	
დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციებისა .....	173

## ანტიკურობა

<i>გრანი ქავთარია, გნეუს მარციუს კორიოლანუსი</i> .....	189
--	-----

## პატროლოგია. ასპექტიკა

<i>გრიგოლ რუხაძე, წმიდა მაქსიმე აღმსარებლის „ცხოვრების“</i>	
ქართული კიმენური რედაქცია .....	199
<i>ბორის დარჩია, იოვანე საბანის ძის ერთი მხატვრული</i>	
სურათის საფუძველი .....	210
<i>შოთა მათითაშვილი, ქართული ბერმონაზვნობა</i>	
VI—VIII საუკუნეებში: სირიელი მამები .....	217

## დოკუმენტური მოთხრობა

<i>ნუგზარ ძნელაძე, ღვინით ნათქვამი სიმართლე</i> .....	231
---	-----

<i>ჩვენი ავტორები</i> .....	238
-----------------------------	-----

PE3HOME (რეზიუმე რუსულ ენაზე) .....	241
-------------------------------------	-----

SUMMARY (რეზიუმე ინგლისურ ენაზე) .....	248
--	-----


## მთავარი ღირსება

სარწმუნოება, მოკლებული განათლებას, ხშირად იქცევა ვიწრო ფანატიკოსობად, ან აღმერთებს გარეგანს, დროებითს ფორმებს ეკლესიისას და ივიწყებს შინაგანს მხარეს, ცხოველყოფელს ზნეობრივს პრინციპებს, დედა-აზრებს სახარებისას. ზეორე მხრივ, მეცნიერება, მოკლებული ჭეშმარიტს სარწმუნოებას, როდი უშლის თავისს მექონს, მესაკუთრეს, იყოს იგი იმდენადვე დიდი არაშადა, რამდენადაც იგი დიდი მეცნიერია.

ჴაბრიელ ეპისკოპოსისათვის რომ ვინმეს ეკითხნა სიცოცხლის დროს: რა უფრო ყველაზედ საჭიროა საქართველოს აყვავებისა და ბედნიერებისათვის, იგი მიუცილებლად უპასუხებდა: დანერგვა ყველა ქართველში ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და ნამდვილი განათლებისა...

იმერთა ინტელიგენცია — ქალნი, თუ კაცნი — რომელიც იყო სრულიად სხვა გავლენის ქვეშ და არა თავისი მეცნიერის არქიერისა, აშკარად სხვა სურათს წარმოადგენს. შამდენადაც იმერთა ხალხია მხნე, საქმიანი და გამჭრიახი, იმდენად ინტელიგენცია უძლურია უმეტეს ნაწილად. ჴალხი დაემსგავსა მეტ-ნაკლებობით თავისს მწყემს-მთავარს, რომლის გამუდმებულის გავლენის ქვეშ იგი დიდ ხანს იმყოფებოდა, ინტელიგენცია კი მოკლებულია მთავარ ღირსებას განსვენებულისას, რადგანაც შორს იდგა მისგანა.

*ამონაწერი იაკობ ბოგობაშვილის წერილიდან  
„მთავარი ღირსება გაბრიელ ეპისკოპოსისა  
და საუკეთესო ძეგლი“ (1896 წ.).*



ბიორგბი გომგოლაშვილი

## ღვაწლი და წუთისოფელი იაკობ გომგაშვილისა

### წერილი I

*იაკობ გომგაშვილი ჩვენი სინამდვილისათვის  
გაცილებით დიდი ადამიანი იყო,  
ვიღრე ეს წარმოდგენილი გვაქვს...  
ვასილ ბარნოვი.*

100 წლის წინათ, 1912 წლის 2 ივნისს, „სახალხო გაზეთი“ სამგლოვიარო განცხადებას აქვეყნებს:

*იაკობ  
გომგაშვილის  
გარდაცვალება.  
გუშინ, 1 თიბათვეს, საღამოს 6 საათზე  
მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა  
ჩვენი სასიქადულო პედაგოგი იაკობ  
სვიმონის ძე გომგაშვილი.*

გადაიღო ღონისძიებები („განათლების საზოგადოებამ 2 თიბათვეს დანიშნული სეირნობა იაკობ გომგაშვილის გარდაცვალების გამო სხვა დროისათვის გადადო“ — „სახალხო გაზეთი“...). გლოვობს სრულიად საქართველო. გაზეთები აივსო სამგლოვიარო დეპეშებით. უსამძიმრებენ საქართველოს, ქართველობას, ერთმანეთს... თითქოს საყოველთაო აზრი გამოხატა ანასტასია ერისთავმა გორიდან გამოგზავნილ დეპეშაში: „ქართული ენა დაობლდა. დაუნდობელმა სიკვდილმა ქართველ ბავშვებს მოსტაცა ყავარჯენი და ერს — წინამძღოლი“... „ვიკლოვით, იაკობზე უკეთესი არავინ მოგვიკვდება!“ — გოდებდა ქუთაისიდან ილია ბახტაძე...

საოცარ გულში ჩამწვდომ ფაქტს იგონებს ალ. მიქაბერიძე: როდესაც იაკობი ბინიდან ქაშვეთის ეკლესიაში გადაჰყავდათ, „ვეძინის ყოფილ ქუჩა-

ზე უამრავი ხალხი მოსდევდა; შემოხვდა თეთრ ქუდსა და თეთრ ხალათში გამოწყობილი მეფურნე, რომელმაც თვალი მოჰკრა თუ არა თავდია კუბოში ჩასვენებულ იაკობის ცხედარს, ერთი საზარლად შეჰყვირა: „ვაი ჩვენ უბედურებას, ჩვენი „დედაენის“ დამწერი მომკვდარაო“. მეფურნემ თავისი ფურნე პატარა მსახური ბიჭების ამარა დასტოვა და მწუხარე სახის გამომეტყველებით კუბოს უკანა თავს ხელი მაგრად ჩასჭიდა სახელურში და სხვებთან ერთად შეუცვლელად მიაცილა მიცვალებული ქაშვეთის ეკლესიაში“...

აკაკი ასე დაემშვიდობა დეაწლმოსილ მეგობარს: „აქ ილაღადებენ შენი ნაშრომნი და დარჩება სამარადისოდ შენგან გატკეპნილი გზა და ვინც ამ გზას არ გაივლის, ის არც ქართველად იხსენიება!“ ეს მარადიული თანამედროვის მარადიული შეგონებაა...

და იქცა მარადისობის ბინადარად დიდი იაკობი.

მოგვიანებით იოსებ იმედაშვილმა ორი ბუმბერაზი მოღვაწე — იაკობ გოგებაშვილი და ილია ჭავჭავაძე — შეადარა ერთმანეთს: „და დღეს, როცა მთლიან საქართველოს გულისცემას ვისმენ, მარად და ყველგან იაკობის გულისცემას ვგრძნობ!... როგორც მოქათქათე შხის სხივები, მისი სახე ისე მესახება და ილია თუ ღრმა აზრის მჭედელი იყო, — ძილში ჩაფლული ერის გამოღვიძებისაკენ მომწოდებელი, იაკობი — ბნელში სინათლის შუქი — სიბნელის მფანტველი, ერის საკუთარ შეგნების ფეხზე დადგომისათვის ყავარჯნის მიმწოდებელი!“

თავად იაკობი ილიასა და აკაკისთან თავის შედარებას უხერხულად მიიჩნევდა და თავმდაბლად უკან იხევდა. გაზეთ „ივერიაში“ (№83, 1900 წ.) გამოქვეყნდა ცნობა: „როგორც შევიტყვით, ბ-ნ იაკობ სიმონის-ძე გოგებაშვილის პატივისმცემელთ მისდა პატივსაცემად, მისი სალიტერატურო და საპედაგოგიო ასპარეზზედ მოღვაწეობის 35 წლის შესრულებისა გამო, განუზრახავთ სადილი გამართონ“. იმავე გაზეთში იბეჭდება იაკობ გოგებაშვილის განცხადება: „როგორც თქვენი ახალი ამბებიდან სჩანს, ზოგიერთ ქართველს მოუწადინებია გამართონ საიუბილეო სადილი. დიდ მაღლობას მოვახსენებ, და ვთხოვ დიდი თხოვნით, ხელი აიღონ ამ თავისს წადილზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სადილი უჩემოდ ჩაივლის. **ჯერ ქართველმა საზოგადოებამ უნდა გადაიხადოს ის დიდი ვალი, რომელიც მას აწევს კისერზე შესახებ ჩვენის მთავარ-მოღვაწეებისა, რომელთაც ჩემზე უფრო დიდხანს უმოქმედნიათ და ჩემზედ უზომოდ მეტი გაუკეთებიათ. ჯერ იალბუზსა და მყინვარს ღირსეული იუბილეები გაუმართონ, და მერე გაუწიონ თავაზიანობა სერებსაც, თუ არ დაუშლიათ“ (გაზეთი „ივერია“, №85, 1900 წ.). მყინვარი და იალბუზი „მთავარმოღვაწენი“ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი არიან...**

სხვაგვარად ფიქრობს აკაკი წერეთელი: „მთელ საქართველოში იაკობ გოგებაშვილი ერთადერთი მოღვაწეა, რომელიც თავისი შრომით და ენერ-



გიოთ, თავისი მძლავრი კალმის ნაწარმოებით უდიდეს სამსახურს უწევს მთელ ქართველობას. იაკობის მიერ შედგენილი ქართული სახელმძღვანელოებით მოფენილია მთელი საქართველო. ვინაა ისეთი ქართველი, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენაზე“ არ აეხილოს თვალები. **ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე...** იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ხალხს ქართული ენის სიტკბოება ყურში ჩააწვეთა, ქართველ ხალხს ქართული ენა შეაყვარა. ვანა ეს პატარა საქმეა! **იაკობ გოგებაშვილი ღირსია, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძველი დაუდგას**“. იცოდნენ ფასი ერთმანეთისა...

და მართლაც, ქართველი ერისათვის უდიდესი ბედნიერება იყო ის, რომ XIX საუკუნეში ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი მოგვივლინა ღმერთმა; დიახ, ნებისმიერი ერის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ისტორიას დაამშვენებდნენ ისინი; მით უმეტეს, ისეთი მცირერიცხოვანი და მძიმე ისტორიის ერისათვის არის ჭეშმარიტი ღვთის წყალობა მათი არსებობა... XIX საუკუნე გამორჩეული იქნებოდა ჩვენს ისტორიაში, ერთ-ერთი მათგანიც რომ მოევლინა ღმერთს... ჩვენ კი დიდი სამეული „მოხზად ჩუენდა ქრისტემან მოგუანიჭა“... ჭეშმარიტად განუსაზღვრელია მათი როლი ჩვენი სინამდვილისათვის.

ხოლო რაც შეეხება იაკობ გოგებაშვილს, ვფიქრობთ, დღესაც არ დაუკარგავს აზრი ვასილ ბარნოვის ნათქვამს: „**იაკობ გოგებაშვილი ჩვენი სინამდვილისათვის გაცილებით დიდი ადამიანი იყო, ვიდრე ეს წარმოდგენილი გვაქვს...**“ ამიტომაც შევეცდებით, შეძლებისდაგვარად, თვალი გავადევნოთ იაკობის ღვაწლსა და ცხოვრების გზას.

### I. ღვაწლი იაკობისა

იაკობ გოგებაშვილს სწამდა: „**საზოგადო ასპარეზზე მოქმედი ადამიანი მხოლოდ მაშინ ეწევა გულის წადილს და იმარჯვებს, როდესაც მას გამორკვეული აქვს გზა ცხოვრებისა და შემუშავებული აქვს გეგმა და პროგრამა მოქმედებისა, ერთი სიტყვით აღჭურვილი არის ნათელი, განსაზღვრულის მიმართულებით და ამასთან მხნედ ახორციელებს ამ თავისს მიმართულებას, პროგრამასა**“ („ქართული მიმართულება“) და მთელი შეგნებული ცხოვრება ქმნიდა, ამუშავებდა და ახორციელებდა ამგვარ პროგრამას არა მარტო პიროვნულად თავისთვის, არამედ მთელი ერისთვის, რადგან მიაჩნდა, რომ „**მით უფრო საჭიროა ამისთანა განსაზღვრული, ნათელი მიმართულება მთელის ერისათვის, მეტადრე იმისთანა ერისათვის, რომელსაც ბრძოლა არსებისათვის მეტად გასძნელება საზოგადოდ უკუღმართთა გარემოებათა წყალობით**“ (იქვე). მამულიშვილებს შეაგონებს, რომ **ქვეყნის გადარჩენისათვის აუცილებელია, „გაფურჩქნეთ, გააძლიერეთ და ააყვავეთ ყველა თქვენი ეროვნულნი, ანუ ნაციონალური**



**ძალნიო“.** და აქ იწყებს იაკობი ჩამოთვლას და დახასიათებას ეროვნული (ნაციონალური) ძალებისა, რომელთაც **ეროვნების ბურჯს** დაარქმევს; ეროვნების ბურჯი იგივეა, რასაც ილია „**ღვთაებრივ საუნჯეს**“ უწოდებს; გვასხოს, რა თქმა უნდა: „**სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება.. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?**“ ერთიცაა: ილიასეულ სამებას იაკობი მეოთხე ფენომენს დაუმატებს — ეროვნულ სკოლას; ამგვარად, იაკობის აზრით, ჩვენს ეროვნულობას **ოთხი ბურჯი** აქვს, ოთხი „**ეროვნული (ნაციონალური) ძალა**“ ამოძრავებს: **მამული, ენა, ეროვნული სკოლა და სარწმუნოება.**

იაკობ გოგებაშვილის უდიდესი დამსახურება ისაა, რომ **მან ქართველობას გაუცნობიერა არსი და მნიშვნელობა ამ ოთხი ეროვნული ბურჯისა და პირადი მაგალითი უჩვენა მათი უანგარო, თავდადებული მსახურებისა.**

უფრო კონკრეტულად:

### 1. მამული

**რა არის სამშობლო, მამული და როგორ უნდა ვემსახუროთ მას?** ეს უმთავრესი კითხვა იყო, რომელიც დასვა იაკობმა; დასვა და უპასუხა კიდევ თეორიულადაც და პრაქტიკულადაც.

იაკობის აზრით, უმთავრესი „**ბურჯი** ჩვენი ეროვნებისა“ არის მამული, სამშობლო: „**სადირკველს ნაციონალურის ძალისას შეადგენს ტერიტორია, მიწა-წყალი, მამული, სამშობლო**“. ხოლო თუ რა არის სამშობლო, იაკობი ასე განმარტავს:

**„ბატონებო! მშობლიური მიწა-წყალი, მამული მარტო ნივთიერი ფაქტორი არ გახლავთ. იგი ამასთან სულიერია, ცოცხალი არსება, თუ ერთ მხრივ იგი იპყრობს მამა-პაპათა გვამთა, მეორე მხრივ, მასში ტრიალებს წინაპართა დიდებული სული და ეს სული აცოცხლებს, ასულდგმულებს, აცხოველებს თანამედროვე თაობათა. წართევით ერს მისი მიწა-წყალი, მისი ტერიტორია, და იგი დაჰკარგავს არა მარტო ნიადაგს არსებობისას, არამედ მოსწყდება იმ დიდებულს ისტორიულს სულსაც, რომელიც სამშობლოში ტრიალებს, და დაემსგავსება მუხის მოჭრილ რტოსა, რომელსაც გახმობა ვერ ასცდება. ამისთვის მამულის დაკარგვა საშინელს უბედურებას შეადგენს.**

სამშობლოს დამკარგავი ერი ვერ დაიცავს თავისს არსებობას, ვერ გაავრძელებს სიცოცხლესა, და თუნდაც გაავრძელოს, თუნდაც მოიპოვოს სიმდიდრე ვაჭრობით და მრეწველობით, მაინც და მაინც ყოვლად უბედური იქნება, იგი დაემსგავსება ბოვანო ადამიანსა, რომელსაც საკუთარი მიწა და კერა არ გააჩნია... აი რისთვის საჭიროა, უკიდურესად საჭირო, რომ ქართველობამ საესებით შეინარჩუნოს თავისი მიწა-წყალი, მამული და

სხვა ხალხის ხელში არ ჩაავდოს“.

და იაკობ გოგებაშვილმა, ერთი მხრივ, თავისი სახელმძღვანელოებით, ხოლო მეორე მხრივ, თავისი მხატვრული შემოქმედებით, პუბლიცისტიკითა თუ პირადი ცხოვრების მაგალითით უდიდესი წვლილი შეიტანა იმაში, რომ ქართველობას „შეენარჩუნებინა თავისი მიწა-წყალი, მამული და სხვა ხალხის ხელში არ ჩაეგდო იგი“... მოგეხსენებათ, იმდროინდელ ორკლასიან სამრევლო სკოლებში „დედაენა“ ისწავლებოდა, ოთხკლასიანი სასწავლებლის მესამე-მეოთხე კლასებში — „ბუნების კარი“. იაკობის გენიალური ნიჭის წყალობით, „დედაენა“ და „ბუნების კარი“ ისე იყო შედგენილი, იმდროინდელმა ოთხკლასდამთავრებულმა ყმაწვილმა უკეთ იცოდა საქართველოს ისტორია და გეოგრაფია, ფოლკლორი და ეთნოგრაფია, ქართული ენა და ლიტერატურა, ვიდრე დღევანდელმა საშუალო განათლების მქონემ... „დედაენის“ პირველი ნაწილიდან მეორე ნაწილზე, „დედაენიდან“ „ბუნების კარზე“ გადასვლის გასაადვილებლად შედგენილი დამხმარე სახელმძღვანელოები („კოკორი“, „კუნწულა“, „ხომლი“, „აკიდო“, „კონა“), საგანგებოდ შეთხზული ისტორიული თუ სხვა მოთხრობები, ძირითად სახელმძღვანელოებთან ერთად, ქართველში ქართულ სულს აღვიძებდა, აწრთობდა; ქართველს ქართველად ზრდიდა. „დედაენის“ მიზანდასახულებასზე როცა საუბრობდა, წერდა ერთგან: **„დედაენა“ ყველა მოწაფეში ავითარებს და ზრდის ქართველს ადამიანს, საზოგადოდ** და იქვე: **სახელმძღვანელოების შექმნის დროს „ერთად მოქმედებდნენ ჩემი ქართული გონება და ჩემი ქართული გული“...**

სიმტკიცე უპირველესი ბურჯისა — მამულისა — დიდად განსაზღვრა იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობამ.

## 2. ენა

იაკობის აზრით, **ერთ-ერთი მთავარი ბურჯი ერის აღორძინებისათვის გახლავთ საშობლო ენა**. „ერის განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია ენის განვითარებაზე. თუ ენა ერთ წერტილზეა შეჩერებული, ერის წინ მსვლელობაც მოსპობილია. თუ ენა უკან-უკან მიდის და დატაკდება, აზროვნებაც ერისა ქვეითდება, უძლეურდება, ღარიბდება. სამაგიეროდ, თუ ენა წინ მიდის, დღითი-დღე იფურჩქნება, ვითარდება, მდიდრდება ფორმებითა, ერის აზროვნებაც წელში იმართება, ძაღლონეს იძენს, აჰყავების ხანა უდგება. არა უცხო ენას არ შეუძლიან გაუწიოს ერს საშობლო ენის სამსახური, როგორც დედინაცვალს არ შეუძლიან დასდოს ბავშვს ღვიძლი დედის ამაგი, საშინელს მღვდმარეობაში ვარდება ერი, როდესაც მის ენას პატივი და უფლება აქვს აყრილი და იგი მას რივიანად ვეღარ სწავლობს სკოლებში. ამ შემთხვევაში სკოლა ცუდად მოქმედებს თვით სახლობაზედ, აქაც სუსტდება ღვიძლი ენა. ამის გამო სრული მეტყველება ერში იკარგება, და იგი წარმოადგენს ნახევრად დამუნჯებულ ბრძოსა. სუსტი ენა

პბადავს სუსტს გრძნობას, სუსტს აზრსა, სუსტს ხასიათსა და ერის ცხოვრებაში დგება ის საუბედურო ხანა, რომელსაც ერთმა რუსმა სწავლულმა და პროფესორმა — პოტებნიამ დაარქვა: „*период мерзости запустения*“.

ამ უბედურს ხანას, ამ *мерзости запустения*-ს თავის სასარგებლოდ იყენებენ მოცილე ერნი და ნახევრად დამუნჯებულს, დაქვეითებულს ხალხს ხელიდან აცლიან მიწა-წყალს, დოვლათს და ყველა ეროვნულს საუნჯეს“.

ვიციტო, მშობლიური ენის თემა იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაში უმთავრესი თემაა. იაკობი იყო უპირველესი ქომაგი და დამცველი დედაენისა. იგონებენ, აქვსენტი ცაგარელი იტყოდანო, „*ქართველებს და ქართულ ენას ისეთი ასარბასარა დარაჯი ჰყავს, რომ მას ვერავინ ვერაფერს დააკლებსო, არავის გაახარებს, თუ ჯიბრზე მიდგა საქმო*“.

დედაენისადმი დამოკიდებულებაში, დედაენის როლის გარკვევაში ქართველთათვის XIX საუკუნეში იაკობ გოგებაშვილს უდიდესი როლი ენიჭება. ამის დასტურად მისი ნაშრომის „ბურჯი ეროვნებისა“ გახსენებაც იკმარება. საერთოდ კი დედაენისადმი იაკობის დამოკიდებულების თემა არაერთი მკვლევრის ნაშრომის თემა ყოფილა და იქნება...

XIX საუკუნე ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში საბედისწერო საუკუნე იყო. ასეთი მძიმე განსაცდელი ქართულ ენას მანამდე არ ჰქონია. მარტო იანოვსკის (კავკასიის ოლქის მზრუნველი განათლების საკითხებში) გახსენება იკმარება (ივანე ჯავახიშვილის თქმით, „იანოვსკიხე დაუძინებელი მტერი არ ჰყოლია ქართულ ენას“); ამიტომ დააყენა ილია ჭავჭავაძემ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროგრამაში პირველ ადგილზე ქართული ენის გადარჩენის საკითხი. დასვა ეს საკითხი (გავიხსენოთ: „*თუ ამათაც არ ვუპატრონებთ, რაღა კაცები ვიქნებით*“) და საბრძოლო დროშა იაკობ გოგებაშვილს გადაულოცა.

ნებისმიერი ერი ინატრებდა ეროვნული ენის ისეთ ქომაგსა და მზრუნველს, როგორც იყო იაკობ გოგებაშვილი. ობიექტურია აკაკი წერეთლის ზემოთ მოყვანილი შეფასება. **იაკობ გოგებაშვილმა** თავისი სახელმძღვანელოების წყალობით პრაქტიკულად **შეძლო სრულიად საქართველოს მასშტაბით ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრება**. იაკობ გოგებაშვილის „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ ენა არის ფაქტობრივ ნორმა იმდროინდელი ქართული სალიტერატურო ენისა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სასწავლებელთა დიდი ნაწილი ორკლასიანი იყო და მხოლოდ „დედაენა“ ისწავლებოდა, ქართული სალიტერატურო ენის გავრცელებისა და დამკვიდრების მთელი სიმძიმე მთლიანად „დედაენას“ დააწვა.

იაკობ გოგებაშვილის „დედაენამ“ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში, განვითარებასა და დამკვიდრებაში ისეთივე როლი შეასრულა, როგორც წმინდა სახარებამ ძველი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. და ეს არის იაკობ გოგე-

ბაშვილის უდიდესი დამსახურება ქართველი ერის წინაშე. სწორედ ამას გალისხმობდა ზაქარია ჭიჭინაძე, როცა წერდა: „გოგებაშვილმა თავის „დედა-ენაში“ აღადგინა დაცემული ენა ქართველთა... და ამ წიგნის მეოხებით მთელი ქართველობა, ყველა თემისა და ხეობის მონათესავენი ერთის ქართულის ენით იწყებენ წერა-კითხვის სწავლებას და ლაპარაკს, ყველგან ამ წიგნის მეოხებით ქართული ენა ეფინება...“

ენობრივი მთლიანობა რომ ეროვნული მთლიანობის საფუძველია, ამას ჯერ კიდევ X საუკუნის მოღვაწე გიორგი მერჩულე ქადაგებდა: „ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოფელი აღესრულების“. იაკობ გოგებაშვილი რომ გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, „ეს ის დრო იყო, როდესაც მშობლიური ენა დევნილი ენა იყო სკოლებში, პატეიფირილი — ოჯახებში“ (თ. სახოკია); ე. ი. ეროვნული მთლიანობა დარღვეულია. ამ მთლიანობის აღდგენა იაკობმა იკისრა თავისი „დედაენით“. შ. დადიანი წერდა: „დედაენა“ ამაფეთქებელი ნაღმოსანით მისრიალებდა ჩვენს მიუვალს მთა-კლდეებში — თუშეთსა და სვანეთში, — მიდიოდა ბარად, შეუყვებოდა აჭარასა და მესხეთს და ყველგან სძრავდა ენას საქართველოდ, ყველგან აფეთქებდა გრძნობას ეროვნულსა. ამ კაცს სხვაც რომ არ გაეკეთებინა რა, მარტო ამ ღვაწლისათვის იქნებოდა საპატიო და თავყანსაცემი...“ და ერთი ამონარიდიც: „დედაენამ“ მკაცრად შეუტია უწიგნურობას, კუთხურობასა და ტომთა შორის კარჩაკეტილობას, განაგრცო სიტყვა ქართული და ამერიმერი ერთიანი სახალხო ენით აამეტყველა, დააკავშირა; მწიგნობრობის გავრცელებასა და ქართველი ხალხის კონსოლიდაციაში „დედაენის“ როლი ფასდაუდებელია“ (ვალერიან რამიშვილი).

XIX საუკუნეში არსებულმა უმძიმესმა რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ ერთიან ქართულ სალიტერატურო ენას დიდი საფრთხე შეუქმნა. რუსულმა იმპერიამ დაიწყო ინსპირირება მეგრულსა და სვანურ ენებზე სკოლების გამართვის აუცილებლობისა, შესაბამისად მეგრელებისა და სვანების არაქართველებად გამოცხადებისა. აქ იაკობ გოგებაშვილი, როგორც ყოველთვის, თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა.

იაკობ გოგებაშვილს კარგად აქვს გაცნობიერებული იმ დროისათვის არსებული ენობრივი რეალობა — მეგრული და სვანური მეტყველება განსხვავებულია ქართულისაგან; ზოგ შემთხვევაში სკოლებში ქართულის გასაგებად (განსამარტავად) მასწავლებლები ადგილობრივ მეტყველებას მიმართავენო: „ყველა სკოლებში სწავლება მოწყობილია დედა-ენაზედ და ადგილობრივს კილოკავეებს ხმარობენ ასახსნელად და განსამარტავად იმ საერთო სიტყვებისა, რომელნიც ადგილობრივ ბავშვებს კარგად არ ესმით“.

იაკობ გოგებაშვილი სწორად აფასებს ვითარებას, ეროვნული პოზიციებიდან უცდომლად გაიაზრებს საქართველოს ენობრივ სიტუაციას და დააჯერებს მტერსაც და მოყვარესაც, რომ „მეგრული და სვანური შტო-

ებია ქართულისა“; იაკობი ქართველურ ენობრივ სივრცეში სამი დონის ენობრივ ერთეულებს გამოყოფს:

1. ქართული სალიტერატურო ენა (ანუ მთავარი ენა, საღმრთო ენა, დედაენა);
2. სვანური და მეგრული მეტყველება(ადგილობრივი კილოები, პროვინციული კილოები, შინაურობაში სახმარი კილოები);
3. ქართული დიალექტები.

შექმნილ რთულ ენობრივ და ეროვნულ ვითარებაში იაკობ გოგებაშვილი ქმნის ტერმინს „დედა-ენა“ სიტყვების — დედა-აზრი, დედა-ბოძი, დედა-ქალაქი და სხვათა — ანალოგიით (იაკობამდე ეს სიტყვა არ არსებობს, მით უმეტეს ტერმინად!). დედაენა იაკობისთვის არის ქართული სალიტერატურო ენა, „მთავარი ენა“, „საღმრთო ენა“, „საერო ენა“, „ძირითადი ქართული ენა“ (ყველა ეს ტერმინი გვხვდება მის ნაწერებში). ეს ტერმინი (დედაენა) იმდენად მარჯვედ იყო შექმნილი, რომ იგი იქცა ძირითად ტერმინად, ქართული სალიტერატურო ენის სინონიმად; დასტური იმისა, რომ „დედაენა“ იაკობის შექმნილი ტერმინია: 1876 წლამდე, „დედაენის“ გამოცემაზე, ილიასა და აკაკის ნაწერებში ტერმინი დედაენა არ გვხვდება; იაკობის „დედაენის“ გამოცემის შემდეგ ჩვეულებრივ ეს ტერმინი გამოიყენება (უფრო დაწვრილებით: გ. გოგოლაშვილი, „დედაენა“ — ძველი სამარადისო, 2011). ამ ტერმინის შემოღება და დამკვიდრება (ერთი მხრივ, სახელმძღვანელოს სახელად და, მეორე მხრივ, მშობლიური ენის სინონიმად) იაკობ გოგებაშვილის გენიალობის კიდევ ერთი დასტურია. სწორედ ამას ამბობს ცნობილი გერმანელი ქართველოლოგი, ევროპული ენებისა და კულტურის გამოჩენილი მკვლევარი ვინფრიდ ბოლდერი: „*იაკობ გოგებაშვილი გენიოსი იყო იმ გაგებით, რომ ზუსტ დროს სწორი სიტყვა იპოვა (გულისხმობს დედაენას — გ.გ.). ქართული ენის დაცვამ იმ დროს მოითხოვა ასეთი ემოციური ცნება*“ (ჟ. „ჩვენი მწერლობა“, № 16, 2010).

### 3. ეროვნული სკოლა

იაკობ გოგებაშვილის დიდი დამსახურებაა ისიც, რომ ქართული ეროვნული სკოლა ქართველობის, ქართული ეროვნულობის უმთავრეს ბურჯად გამოცხადდა. როგორც აღვნიშნეთ, ილია ჭავჭავაძის ცნობილ ტრიადას — მამული, ენა და სარწმუნოება — იაკობმა მეოთხე ფენომენი დაამატა და გამოაცხადა, რომ ჩვენს ეროვნულობას ოთხი ბურჯი აქვს — მამული, ენა, ეროვნული სკოლა და სარწმუნოება. მისი აზრით, ერთ-ერთი მთავარი „ბურჯი ერის წარმატებისა გახლავთ სკოლა. რომელ ქვეყანაშიაც კი უმრავლებიათ სკოლები, ყველგან მათ მოუხდენიათ საოცარი ძირითადი ცვლილება: ერი გამდიდრებულია ცოდნით, ამაღლებულა ზნეობით, ავსილა დოვლათით“. მთელი შეგნებული ცხოვრება იაკობ გოგებაშვილისა იყო მცდელობა იმისა, ერი გაემდიდრებინა ცოდნით, აემაღლებინა ზნეობით და



ავესო სწავლის დოვლათით.

იმისათვის, რომ შექმნილ გარემოებებს არ აეძულებინა სხვა სამსახური ეძებნა, სხვაგან ემსახურა, გარდა სკოლისა (ე. ი. არ მომცდარიყო, მისი აზრით, უმთავრესს), იგონებენ, მან თავისი საგანმანათლებლო დოკუმენტები „ცეცხლს მისცა!“ ამით შემთხვევითობაც კი გამოიჩინა, თუნდაც დროებით მოშორებოდა სკოლას.

თუ ქართველ ერში XIX საუკუნეში სწავლა-განათლება ხელმისაწვდომი გახდა თითქმის ყველასთვის (განურჩევლად მისი სოციალური მდგომარეობისა), ამაში დამსახურება იაკობ გოგებაშვილსაც მიუძღვის. მისი ზოგადი პოზიცია ასეთია: „სწავლა, ცოდნა, მეცნიერება ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვეღარაფერი ვერ დაუდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე. ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალია მოგერიებისათვის. თუ მაგაში ფეხი გავიდვით, თუ მაგაში წინ წავდეთ, ჩვენი ეხლა დაუძღურებული ღონე ამოხეთქს მაგარ ფესვებს“.

როცა ეროვნული სკოლის წარმატებაზე ვსაუბრობთ, როცა პედაგოგიკაში იაკობ გოგებაშვილის ღვაწლზე ვსაუბრობთ, **უპირველესად მისი „დედაენა“ უნდა ვახსენოთ.** გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართულ სინამდვილეში **„დედაენის“ მსგავსი სახელმძღვანელო არ შექმნილა.** 1876 წლიდან მოყოლებული „დედაენამ“ გაუძლო ყველანაირ კონკურენციას; დრომ მას დიდება ვერ წაართვა, პირიქით, მისი ფასი დროთა განმავლობაში იზრდება. როცა „დედაენა“ შექმნა, იაკობი 35 წლისა იყო!..

„დედაენა“ საგანმანათლებლო ასპარეზზე რომ გამოჩნდა, მას ათიოდე საანბანე სახელმძღვანელო დახვდა; აი, ისინიც:

თ ე ო ფ ა ნ ე პ რ ო კ ო პ ო ვ ი ჩ ი — **„პირველი სასწავლო ყრმათა“** (რუსულიდან თარგმნა გაბრიელ ჩხეიძემ; ჩაასწორა არქიმანდრიტმა გერმანემ. 1739 წ.);

გ ა ი ო ზ რ ე ქ ტ ო რ ი — „ქართული ანბანი“ (1797 წ.);

ტ ა რ ა ს ი მ დ ვ დ ე ლ - მ ო ნ ა ზ ო ნ ი — „ქართული ანბანი სასწავლებლად ყრმათა ხუცურისა და მხედრულისა“ (1825 წ.);

მ. მ ა ქ ს ი მ ო ვ ი ჩ ი — „ყრმათა მეგობარი“ (რუსულიდან თარგმნა ი. კერესელიძემ. 1852 წ.);

ს ე რ გ ე ი მ დ ი ვ ა ნ ო ვ ი — „ანბანი ქართული შედგენილი და ახლადგამოცემული სერგეი მდივანოვისაგან“ (1863 წ.);

დ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე — „ქართული ანბანი და წიგნი საკითხავად მდაბიო ხალხთათვის“ (1863 წ.);

პ ე ტ რ ე უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი — „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“ (1865 წ.);

რ ა ფ ა ე ლ ი ს ა რ ლ ი შ ვ ი ლ ი — „პირველი წიგნი წერა-კითხვის სასწავლებლად“ (1875 წ.);



ლ უ კ ა ჩ ო მ ა ხ ი ძ ე — „ქართული ანბანი“ (1875 წ.);

ან თ ი მ ო ზ ჯ უ დ ე ლ ი — „ყმაწვილის სარკე, ანუ წერა-კითხვის სასწავლო წიგნი“ (1875 წ.);

ხოლო მოგვიანებით გამოჩნდა:

ა ლ. ნ ა თ ა ძ ე — „ბავშვების მოკეთე, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სკოლებში სახმარებლად (1897 წ.).

იაკობ გოგებაშვილის „დედაენამ“ იოლად შეძლო ასპარეზიდან კონკურენტი სახელმძღვანელოების განდევნა. **1876 წლიდან „დედაენა“ იქცა ერთადერთ და შეუცვლელ საანბანე სახელმძღვანელოდ ეროვნულ სკოლაში.**

„დედაენის“ როლისა და მნიშვნელობის გასააზრებლად ისიც შეიძლება გავიხსენოთ, რომ იგი იბეჭდებოდა ყოველ წელს, ზოგჯერ წელიწადში — ორჯერ და წლიურად 30 000 ცალიც კი გაგრცელებულა. ეს გასაოცარი რიცხვია დღევანდელი თვალსაზრისითაც კი.

რა სძენდა ძალას „დედაენას“? უპირველესად ეს იყო პირველი გაკვეთილი — **ია, აი ია.** დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ეს არის ქართულ სინამდვილეში ყველა დროისათვის **ყველაზე დიდი მიგნება, ეპოქალური აღმოჩენა;** ღვთისგან ბოძებული აზრი ავტორისა. **ია** არის ყველაზე მარჯვე გასაღები, იოლი გზა იმ ურთულეს სამყაროში შესასვლელად, რომელსაც წიგნიერების სამყარო ჰქვია (და ამას არა მხოლოდ ჩვენ ვაღიარებთ)... ეს ერთი მხარეა „დედაენის“ სიკეთისა.

„დედაენა“ არის ქართული სახელმძღვანელო: იგი ქართულ ეროვნულ შეგნებას აღვიძებს და ამკვიდრებს მოზარდში; „დედაენა“ არის ზნეობრივი სახელმძღვანელო — მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანი ზნეობრივი პიროვნების აღზრდაა.

თავისი პრინციპებით, თავისი არსით „დედაენა“ ქართული ენის მარადიული სახელმძღვანელოა, რა თქმა უნდა, როგორც თავად იაკობი იტყოდა, თუ მას დროდადრო გაუმჯობესება არ მოაკლდება: პრინციპებია მთავარი და არსებითი.

სწორედ ამის გამო იყო, რომ 1960 წელს ვენესუელაში, ქალაქ კარაკასში, გამართულ საანბანე სახელმძღვანელოთა გამოფენაზე იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ პრინციპებით შედგენილმა სახელმძღვანელომ გამიმარჯვა.

ქართული პედაგოგიკის ისტორიაში **ფასდაუდებელია „ბუნების კარის“ როლი.** ამ უნიკალური ენციკლოპედიური წიგნის ტოლფასი სახელმძღვანელო არა თუ იმჟამად, დღესაც არა გვაქვს (ესეც ვთქვათ: „ბუნების კარს“ 28 წლის ყმაწვილი ქმნის!)... გავიხსენოთ: იაკობ გოგებაშვილი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე „დედაენითა“ და „ბუნების კარით“ მოზარდ თაობას იმდენ ცოდნას აძლევდა საქართველოს შესახებ (ენისა, ლიტერატურისა, ფოლკლორისა, ისტორიისა, ეთნოგრაფიისა,

გეოგრაფიისა), რასაც, სამწუხაროდ, დღევანდელი საშუალო სკოლაც ვერ აძლევს მოსწავლეს. ოთხკლასიან სასწავლებლებში I-II კლასებში „დედა-ენა“ ისწავლებოდა, III-IV კლასებში — „ბუნების კარი“.

გავითვალისწინოთ ისიც, რომ იაკობმა „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ გვერდით შექმნა „Русское слово“ — რუსული ენის სახელმძღვანელო ქართული სკოლებისათვის. ეს არ იყო რუსეთში შექმნილი საანბანე სახელმძღვანელოს გადმოღება ქართული სკოლებისათვის; თემატურად, პრინციპებით ეს სახელმძღვანელო ქართული ენის სახელმძღვანელოების საფუძველზე შეიქმნა, საგანგებოდ ქართველი ბავშვისათვის და ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, აქვს და ექნება ყოველთვის... იაკობის მთავარი დევიზი იყო: **„საჭიროა საქართველოს ეროვნულ ეტლში შევბათ ძირში ქართული ენა და კვირად მივუბათ რუსული ენა და სხვა ენები“**. და იაკობი მთელი თავისი შესაძლებლობით იბრძოდა ამ აზრის ხორცშესხმისათვის.

ღიაღი მიზნის მისაღწევად მხოლოდ სახელმძღვანელოების შექმნა არ იყო საკმარისი.

**იაკობ გოგებაშვილი არის ავტორი იდეისა — დაარსებულიყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება; იგი არის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ამ იდეისა.** საზოგადოება დაარსდა 1879 წელს (თავმჯდომარე დიმიტრი ყიფიანი, მოადგილე — ილია ჭავჭავაძე, იაკობი გამგეობის წევრი იყო სიცოცხლის ბოლომდე). საზოგადოების მიზანი იაკობს ასე ესახებოდა: **„ამისთანა მღალღმნიშვნელობიანი საზოგადოება ჩვენში ჯერედ არ დაბადებულა. მას დანიშნულებად აქვს არა რაიმე დაბალი საგანი, არამედ იმისთანა უძვირფასესი საუნჯე ადამიანისათვის, როგორიც არის ერის განათლება. იგი ემსახურება არა ერთს რომელსამე წოდებას ქვეყნისასა, არამედ ვალად იღებს ზრუნვას მთელს ერზედ... იგი ემსახურება საერთოდ მთელს ქართველობასა. მისი მოქმედება არ განისაზღვრება ჩვენი ქვეყნის ერთი რომელიმე კუნჭულით, — მის ასპარეზს, სარბიელს შეადგენს მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი საქართველო — კახეთი, ქართლი, იმერეთი, რაჭა, სამეგრელო, გურია, სამურზაყანო, ოსმალეთის საქართველო, ერთი სიტყვით, თითქმის მთელი სამეფო თამარისა“**. ფაქტობრივ წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დაქსაქსული სასკოლო ქსელი ერთიან საგანმანათლებლო სისტემად აქცია — ერთიანი ეროვნული სასკოლო პროგრამითა და სახელმძღვანელოებით. და ეს არის იაკობ გოგებაშვილის იდეის გამარჯვება, მისი ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება.

#### 4. სარწმუნოება

განსაკუთრებული ყურადღება გვინდა მივაპყროთ იაკობის შეხედულებას ქართული ეკლესიის თაობაზე. თავის ნაშრომში „ქართული მიმართულება“

იაკობი ვრცლად მსჯელობს ქართული ეკლესიის დანიშნულებაზე, მის როლზე და იმ პრობლემებზე, რომელიც დგას ქართული ეკლესიის წინაშე. იმ დროისათვის ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. მოვიყვანო ვრცელ ამონარიდს:

„ერთ-ერთი მთავარი ბურჯი ერის წარმატებისა არის ეკლესია. წინად ჩვენი ეკლესია სასიქადულოდ აღსრულებდა თავის მაღალს დანიშნულებას. მან ჩვენს ერში დანერგა ძლიერი სარწმუნოებრივი გრძნობა, მოჰფინა ველნი და მთანი მდიდარი ტაძრებით და მონასტრებითა, შეჰქმნა სასულიერო ლიტურატურა, შეაერთა ქართველებში ერთად მაცხოვრის და მამულის მხურვალე სიყვარული და თვით კავკასიონის მთებიც-კი გახდა ასპარუზად სახარების ძლევა-მოსილი ქადაგებისა. თუ საქართველომ მთელის თხუთმეტის საუკუნის განმავლობაში გაუძლო აუარებელს და მძლავრს მტრებს და კავკასიაში დიდი ადგილი დააჭერინა მართლ-მადიდებელს ქრისტიანობას, ამისათვის უაღრესად უნდა ვმადლობდეთ ქართულს ეკლესიასა. ახლა რაღასა ვხედავთ? მონასტრები და ეკლესიები დაცალიერდნენ და დღითიდღე უფრო ცალიერდებიან, სახარების ქადაგება იშვიათად ისმის და ისიც ისეთის ენით, ისე უგულოდ, რომ ხალხზე არავითარი ვაჟღენა არა აქვს, სარწმუნოებრივი გრძნობა ჩამქრალია, ზნეობა დაეცა, წარმართულნი, პირუტყული მიდრეკილებანი უფრო და უფრო იღვიძებენ და ძლიერდებიან.

კარგად მოგეხსენებათ, რომ ეკლესია და სკოლა არის სათავე ხალხის ზნეობისა, ეთიკისა, ხოლო თვითონ ეთიკა, სპეტაკი ზნე საძირკველია ხალხის არსებობისა, სიმტკიცისა, კეთილდღეობისა, წარმატებისა. ზნედაცემული ხალხი მაშინაც-კი წააგებს ბრძოლას არსებისათვის, როდესაც იგი ცოდნას არ არის მოკლებული. იმპერატორების დროის რომი ბევრით სჯობდა ცოდნით ძველს რომსა; მაგრამ პირველი მუდამ იმარჯვებდა უძლიერესს მტრებზე იმის გამო, რომ სპეტაკი ზნით ბრწყინავდა; მეორე-კი უვიცმა, ველურმა ხალხებმა ფეხქვეშ ჩაივდეს, გათელეს და შემუსრეს, იმიტომ რომ ზნეობრივი გაზრწნილობით იყო შეპყრობილი. ჩვენს ერსაც ამისთანავე ბოლო მოელის, თუ სკოლა და ეკლესია არ ჩავარდნენ თავის კალაპოტში, არ გახდნენ სავსებით ღირსნი თავისი მაღალის დანიშნულებისა.

ეკლესიის სულსა და გულს შეადგენს, როგორც მოგეხსენებათ, სამღვდლოება. ჩვენში იგი უკიდურესად დაქვეითებულია და ბევრად დაბლა სდგას თვით რუსეთის სამღვდლოებაზედაც. როგორ და რა გზით უნდა ამადლდეს იგი? ამისათვის უპირველესად ყოვლისა საჭიროა, რომ მან სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიებში მიიღოს უფრო შესაბამი მოძზადება და იმდენადვე შეითვისოს ქართული ენა, ქართული ლიტურატურა, სასულიერო თუ საერო, ქართული ისტორია, რამდენადაც რუსეთის სასულიერო ახალგაზრდობა ითვისებს რუსულს ენას, ლიტურატურას და ისტორიას. ამის გარდა, მიუტკივლებლად საჭიროა, რომ საღვთის-მეტყველო საგნები მაინც ისწავლებოდეს როგორც დაბალს, ისე მაღალს კლა-

სებში ქართულს ენაზე, რათა მომავალმა მწყემსებმა ღრმად შეითვისონ როგორც შინაარსი, ისე ენა ღვთის-მეტყველებისა, ის ენა, რომელზედაც იგინი მოვალენი არიან სამწყსოს უქადაგონ მაღალი სწავლა სახარებისა.

ჩვენში, ქართველებში, სარწმუნოებას მეტად ასუსტებს ის გარემოებაც, რომ საღმრთო სჯული ყველა სასწავლებელში ისწავლება არა დედა-ენაზე, არამედ რუსულზედა. უმაგალითოა ასეთი დაბრძოლება ქართველობისა; რუსეთის იმპერიაში ასობით სცხოვრობენ სხვა-და-სხვა ერები, სხვა-და-სხვა სარწმუნოების მაღიარებელნი; და რომელს ენაზე სწავლობენ ესენი საღმრთო სჯულსა? მხოლოდ დედა-ენაზე, ყველანი დედა-ენაზე; რუსული ენა ამათ შორის არავითარ მონაწილეობას არ იღებს საღმრთო სჯულის გაკვეთილებში. მხოლოდ ქართველობა შეადგენს სავალალო გამოკლება-სა. ამ დაბრძოლებას სამკვარი ვნება მოაქვს: სარწმუნოებრივი გრძნობა ქართველს მოსწავლეს არამც თუ არ უვითარდება, არამედ უსუსტდება და უჭკნება. ეს იმიტომ, რომ **სარწმუნოება გულის სფერაა, ხოლო გულზე მოქმედებს მარტო დედა-ენა, ყოველი უცხო ენა აქ, როგორც ენა მტხნი-ერებისა, უძლურია. როგორც პოეტობა არ შეიძლება უცხო ენაზე, ისე სარწმუნოებრივი გრძნობა.** მეორედ, როცა სხვა ერების შვილები თავისს დედა-ენას სწავლობენ საღმრთო სჯულის გაკვეთილებზედაც, ქართველი ბავშვები სრულიად მოკლებულნი არიან ამ სიკეთესა. მესამედ, სხვა ერების შვილებს მოძღვრებად ჰყავთ ღვიძლი შვილები თავისი ერისა, ნამდვილნი მამანი, ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა-ეი უცხო მამინაცვლების ხელშია და მოკლებულია მშობლიურს გავლენასა. მიუცილებლად საჭიროა, რომ ქართველობამ ეს დაბრძოლება და უკიდურესი უსამართლობა თავიდან აიცილოს და მთავრობასთან დაჟინებულად იშუამდგომლოს, რომ საღმრთო სჯულის სწავლება როგორც დაბალს სასწავლებლებში, ისე საშუალოში ქართველის ყმაწვილებისათვის აწარმოონ მათს დედა-ენაზე.

მაგრამ ყველა ეს ცვლილება და სხვებიც მხოლოდ მაშინ მოიტანს სანატრელს ნაყოფსა, როდესაც საქმე სათავეშივე გასწორდება და ქართველი ეკლესიის მეთაურად გახდება ღვიძლი შვილი თავისი სამწყსოსი, რომელიც მოუღებს ბოლოს გადაგვარების პოლიტიკას და ჩვენს ეკლესიას ჩააყენებს სახარების კალაპოტში“.

ეს არის ფაქტობრივ **ტრაქტატი, სამოქმედო პროგრამა** მართლმადიდებელი საქართველოსათვის. **იმჟამად გმირობის ტოლფასი იყო** ამის თქმა: „ყველა ეს ცვლილება და სხვებიც მხოლოდ მაშინ მოიტანს სანატრელს ნაყოფსა, როდესაც საქმე სათავეშივე გასწორდება და ქართველი ეკლესიის მეთაურად გახდება ღვიძლი შვილი თავისი სამწყსოსი, რომელიც მოუღებს ბოლოს გადაგვარების პოლიტიკას და ჩვენს ეკლესიას ჩააყენებს სახარების კალაპოტში“.

**გმირობის ტოლფასი იყო** იაკობის მიერ იმ საკითხის დაყენებაც (და არა მარტო დაყენება, დაჟინებული მოთხოვნა!), რომ საქართველოს ყველა

### სასწავლებელში საღმრთო სჯული დედაენაზე უნდა ისწავლებოდეს.

საინტერესო გახსენება: 1886 წელს დიმიტრი ყიფიანი სტავროპოლში გადაასახლეს. მიზეზი — მან ეგზარქოს პავლეს საქართველოს დატოვება მოსთხოვა (რადგან პავლემ დაწყევლა ქართველი ერი)... და იაკობი ითხოვს, საქართველოს ეკლესიას ნაცვლად რუსი ეგზარქოსისა, ქართველი მეთაურობდეს!.. ეგ საკითხია დასმული სწორედ იმავე 1886 წელს დაწერილ სტატიამიც „თბილისის სასულიერო სემინარიის მდგომარეობის საკითხისათვის“; ამ თემას იაკობი პირველად 1971 წელს შეეხო („სასულიერო სასწავლებელთა გარდაქმნის პროექტი“; აქედან მოყოლებული ამ პრობლემას იაკობი არაერთგზის დაბრუნებია იმჟამინდელ რუსულ თუ ქართულ პრესაში და საკმაოდ მკაცრადც (მაგ.: „ეროვნული შავი ჭირი იმიერ და ამიერ საქართველოში“; „უცნაური შენიშვნა“; „კრიზისი საქართველოს საეკლესიო-სამრევლო სკოლებში“ და სხვა). ეს იყო ხანგრძლივი და თავდადებული ბრძოლა ქართული ეკლესიისა და სასულიერო სასწავლებელთა გაქართულებისათვის. და ეს მიგვაჩნია გამირობად და დიდ დამსახურებად იაკობისა...

განსაკუთრებულია იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი **სამრევლო სკოლებში ქრისტიანული სწავლების დამკვიდრებაში**: მან „დედაენას“ დაურთო „სასულიერო განყოფილება“. ეს იმდენადაც არის მნიშვნელოვანი, რომ „დედაენა“ სრულიად საქართველოს ყველა კუთხის ქართველთათვის იყო ხელმისაწვდომი.

იაკობ გოგებაშვილი სინანულით წერდა: **„ღვთის მეტყველება დოგმატური თუ ზნეობრივი ხომ სანატრელადაც ძნელი გახდა ჩვენს ენაზედა. სასულიერო ყმაწვილობა, სემინარიებში მოქცეული, იძულებულია ყველა საგანი ისწავლოს უცხო ენაზედ და მოკლებულია შეძლებას თავისუფალს დროს მაინც იკითხოს ქართულს ენაზედ იგივე საგნები“**.

**იაკობმა შეადგინა „საღმრთო ისტორია“**. სამწუხაროდ, ეს წიგნი იაკობის სიცოცხლეში არ გამოცემულა; თუმცა არგამოცემის მიზეზიც ნიშანდობლივია იაკობის პიროვნების დასახასიათებლად; იაკობი წერს: **„ერთ დროს ჩვენ ხელი მივყავით საღმრთო ისტორიის შედგენას, რადგანაც კარგად შემუშავებული საღმრთო მოთხრობებს აღმზრდელი გავლენა აქვს ყმაწვილებზე. ძველი აღთქმა უკვე გათავებული გვქონდა და გამომცემელთანაც პირობა შეკრული, როცა ბ-ნი იოსელიანისგან შევიტყვევ, რომ მას უკვე მზად აქვს დასაბეჭდად საღმრთო ისტორია. ამის შემდეგ ჩვენის შრომის გათავებაზედ არამც თუ ხელი ავიღეთ, არამედ ბ-ნი იოსელიანი მივიყვანეთ გამომცემელთან და ამ უკანასკნელს ვურჩიეთ, დაებეჭდა მისი წიგნი და იმედი აღარა ჰქონოდა ჩვენგან ისტორიის გათავებისა“**.

ი. გოგებაშვილის „საღმრთო ისტორია“ XX საუკუნის ბოლოს გამოიცა და დღესაც ასრულებს იმ საპატიო მისიას, რაც იაკობმა დაუსახა მას.



აქ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ იაკობ გოგებაშვილი არის ავტორი „სასულიერო სწავლანისა“ (სწავლება წმინდა სამებაზე, ანგელოზებზე და უფლის 10 მცნებაზე).

დიდად მნიშვნელოვანია ი. გოგებაშვილის ნაშრომები „ქართველთა მოქცევა ქრისტიანობაზე“ და „წმინდა ნინო — ჩვენი განმანათლებელი“.

იაკობ გოგებაშვილი არა მხოლოდ სახელმძღვანელოებით, ნაშრომებით ემსახურებოდა ქართული ეკლესიის აღდგენა-განმტკიცებას, არამედ იგი იყო პრაქტიკოსი მასწავლებელი სასულიერო სასწავლებლისა (ერთ პერიოდში ზედამხედველის მოვალეობის შემსრულებელიც); მაგრამ, სამწუხაროდ, აიძულეს, თავი დაენებებინა პედაგოგიური საქმიანობისათვის (1873 წ.). ამის შემდეგ იაკობი სამსახურში აღარ შესულა. მთელი მისი საქმიანობა სახელმძღვანელოების შედგენა, პედაგოგიკის პრობლემებზე ფიქრი და ზრუნვა იყო.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს იაკობ გოგებაშვილის დამოკიდებულება უდიდესი პიროვნების — ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძისადმი. იაკობი იყო სულიერი შვილი გაბრიელ ეპისკოპოსისა. მათი ურთიერთობა სემინარი-იდან დაიწყო (გაბრიელი მასწავლებელი იყო იაკობისა) და გაგრძელდა ბოლომდე. როდესაც კიევი სასწავლებლად მისი წასვლის საკითხი განიხილებოდა, იაკობი საგანგებოდ ეწვია უკვე ქუთაისში მოღვაწე ეპისკოპოს გაბრიელს. იგი მუდმივად იღებდა მისგან რჩევებს. ცნობილი ფაქტია, როცა იაკობს ეგზარქოსი ევსევი სდევნიდა, ეპისკოპოსი გაბრიელი მკაცრად უპირისპირდებოდა ეგზარქოსს (უფრო ვრცლად ამ თემაზე იხილეთ აქვე — მომდევნო ნაწილში). ამ ფაქტიდანაც და თანამედროვეთა მოგონებებიდანაც ჩანს, რომ ეპისკოპოსი გაბრიელი დიდად აფასებდა იაკობსა და მის საქმიანობას. მოვიყვანთ ფრაგმენტს ილია ბახტაძის მოგონებიდან, საიდანაც ჩანს, რომ იმერეთის ეპისკოპოსი იაკობს „დიდ პედაგოგად“ მოიხსენიებს და მაღალ შეფასებას აძლევს მის სახელმძღვანელოებს. 1893 წელს მღვდელმთავარი თურმე ზონის სასწავლებელს ეწვია. დაინტერესდა, რას სწავლობდნენ და რომელი სახელმძღვანელოთი. უთქვამს: „როგორც ქართული, ისე რუსული ენის შესასწავლად ჩვენ, ქართველებს, გვაქვს დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური თვალსაზრისით ყოველმხრით გამართლებული სახელმძღვანელოები: „დედაენა“, „ბუნების კარი“ და „რუსკოე სლოოვ“ და ეს სახელმძღვანელოები ყველა ჩვენს სკოლებში ისე უნდა გამოიყენოთ, როგორც საჭიროა“. და ეს შეფასება შეიძლება ზოგად შეფასებადაც მივიღოთ იაკობის ღვაწლისა...

## 5. და სხვა...

იაკობ გოგებაშვილი უპირველესი თანამებრძოლია ილია ჭავჭავაძისა; მისი იდეების გამტარებელი და ხორცშემსხმელი. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ: 1861 წელს ილია ჭავჭავაძე აქვეყნებს წერილს, რომელშიც



არის ცნობილი შეგონება, შემდგომში ეროვნული მოძრაობის დევიზად რომ იქცა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამაპაპათაგან — მამული, ენა და სარწმუნოება; თუ ამათაც არ უპატრონეთ, რაღა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას“. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ამ დევიზით მოქმედებდა ილია ჭავჭავაძე. და ეს იყო იაკობის სამოქმედო პროგრამაც. უფრო მეტიც, იაკობ გოგებაშვილის ნაშრომი „ქართული მიმართულება“ ფაქტობრივ არის თეორიული დასაბუთება ილიას ცნობილი შეგონებისა. ოღონდ, როგორც ითქვა, ილიასეულ სამებას იაკობი მეოთხეს დაუმატებს — ეროვნულ სკოლას და ქართველობის საფუძვლად ოთხ მთავარ ბურჯს გამოაცხადებს — **მამული, ენა, ეროვნული სკოლა და სარწმუნოება**. ხაზგასმით უნდა ითქვას, იაკობის ნაშრომი „ქართული მიმართულება“ არის ფაქტობრივ ეროვნული სამოქმედო პროგრამა. ვფიქრობთ, ეს მარადიული შეგონებაა ყველა დროისა და ყოველგვარი საქმიანობის ქართველთათვის. იაკობისეული შეგონებანი **მარადიული სამოქმედო გეგმა უნდა იყოს ქართველთა**.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იაკობი იყო ილია ჭავჭავაძის რანგის მოღვაწე იმ სფეროში, რომელიც მისი სამოქმედო სფერო იყო. ამ ორი უდიდესი ქართველის საერთო ძალისხმევას არაერთი სასიკეთო შედეგი მოჰყოლია. ცნობილი ფაქტია, ერთობლივი ძალით როგორ დაახვეინეს უკან კავკასიის ოლქის მზრუნველს, კირილე იანოვსკის. ვიცით, ეს ის იანოვსკია, რომლის შესახებაც ივანე ჯავახიშვილი წერდა: „*იანოვსკიზე დაუძინებელი მტერი არ ჰყოლია ქართულ ენასა და ქართველობასო*“. გაზრდილი „კავკასში“ გამოქვეყნდა იანოვსკის წერილი საქართველოში სახალხო სკოლების მოწყობის თაობაზე. იაკობი წერს: „*პასუხის დაწერა რედაქციამ მე დამავალა, მაგრამ მე მივუგე: საჭიროა უფრო გამოჩენილმა და გავლენიანმა ქართველმა გასცეს პასუხი, მაგალითად, ილია ჭავჭავაძემ. ყველა საჭირო მასალას ილიას მე თვითონ მივუტან; სამაგიეროდ, როცა ამ დღეებში იანოვსკის პლანი გამოვა, მის გარჩევას მე ვკისრულობ-მეთქი*. და ასეც მოხდა. ასეთი განაწილება შრომისა ილიასა და ჩემს შორის პირველი არ იყო. როცა გორის საოსტატო სემინარიიდან დასაბეჭდად მოუვიდა 1876 წელში მზრუნველსა ქართულ-რუსული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, რუსული ასოებით დაწერილი, ნაცვლად ქართულისა, ილიამ და მე გადავწყვიტეთ მასხრად აკვევლო — იმას „*ფერიაში*“ და მე „*დროებაში*“, და კიდევაც შევასრულეთ ორივემ და მახინჯი ჩანასახი დედის მუცელში გაწყალდა“. მსგავსი ფაქტები სხვაც იყო...

და იმარჯვებდა ქართული საქმე სწორედ იმის წყალობით, რომ ორი ასეთი ქართველი ჰყავდა მეურვედ და მათ შორის „შრომის განაწილება“ ასე ხდებოდა...

\*\*\*

იაკობის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში ერთ-ერთი მთავარი თემა არის დედაენისა და უცხო ენის სწავლების ურთიერთმიმართების საკითხი. ძირითადი თეზისი ასე შეიძლება წარმოვადგინოთ: „*ბავშვმა მას უკან უნდა იწეოს უცხო ენის შესწავლა, როცა უკვე კარგად აქვს შეთვისებული თავისი დედა-ენა*“. იაკობი მოგვიწოდებს: „*საჭიროა საქართველოს ეროვნულ ეტლში შევებათ ძირში ქართული ენა და კვერად მივუბათ რუსული ენა და სხვა ენები*“. და ეს არა იმიტომ, რომ „*მხოლოდ დედა-ენა არის ენა სულისა და გულისა. ყველა უცხო ენანი კი არიან ენანი მესხიერებისა*“; იაკობი განმარტავს: „*დედა-ენის გაცვლა უცხო ენაზედ ადაბლებს კაცის გონებასა და უსუსტებს ზნეობრივ ძალასა... ამ შემთხვევაში იბადება წინააღმდეგობა კაცის ეროვნული აკებულებისა და მის მეტყველების შუა და ამ წინააღმდეგობის წყალობით ეს პირი რამდენიმე ხარისხით ძირს ჩამოდის სულიერად. თუ იგი გენიოსად იყო დაბადებული, გამოვა მხოლოდ შესანიშნავი ნიჭის პატრონი; თუ ნიჭიერად იყო გაჩენილი, საშუალო ნიჭის ადამიანი შეიქმნება და თუ ბუნებისაგან დაყოლილი ჰქონდა უბადლო ნიჭი, მტკნარ სიტუტუცეზე ჩამოხტება*“... როგორც ვთქვით, ეს ერთ-ერთი ძირითადი თემაა იაკობისათვის; ეს არ არის „XIX საუკუნის აზროვნება“...

როგორ უყურებენ ამ საკითხს დღეს? რამდენიმე ამონარიდს მოვიყვან გამოჩენილი ფსიქოლოგის, აკადემიკოს შოთა ნადირაშვილის წერილიდან: „*პიროვნების განვითარებისა და ჩამოყალიბებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშობლიური ენის სიღრმისეულ შესწავლას. უცხო ენის სწავლების დაწყება კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბავშვმა კარგად იცის წერა-კითხვა, თვლა-ანგარიში და აზროვნება მშობლიურ ენაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, უცხო ენის შესწავლა მავნე ზემოქმედებას მოახდენს მოზარდის ფსიქიკაზე და შეაფერხებს მის გონებრივ განვითარებას*“. დღეს, როცა დადგა საკითხი ქართულ სკოლაში უცხო ენის პირველი კლასიდანვე სწავლებისა (დედაენის პარალელურად!), ფსიქოლოგი გვაფრთხილებს: „*თუ ინგლისური ენა მშობლიური ენის კონკურენტად აქციეს, ეს ძალიან ცუდად იმოქმედებს ბავშვების ფსიქიკაზე და მათი აზროვნების მთლიანობაზე*“... ასე რომ, ის, რასაც იაკობი ქადაგებდა XIX საუკუნეში, უტყუარი ჭეშმარიტებაა დღესაც, მეტიც — სასიცოცხლო აუცილებლობა ერისათვის...

\*\*\*

იაკობ გოგებაშვილი იყო ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი ქართული ხალხური სიმღერების შეკრებისა და ნოტებზე გადაღებისა. მისი მთავარი მიზანი იყო, „დედაენაში“ მოექცია ხალხური სიმღერები ნოტებზე გადაღებული. საფუძველი ამისა გახლდათ ის, რომ იაკობი თვლიდა: „*სიმღერა სამართლიანად ითვლება ჩვენს დროში სკოლის სულად და*

გულად. იგი უვითარებს ბავშვს სმენას და აჩვენებს ჰარმონიას, უსუსტებს და უსპობს ხეპრობასა და ზრდის მის გულში სინაზესა და სიფაქიზესა. ერთი სიტყვით, აკეთილშობილებს მის ბუნებასა... ბავშვის გონება, დაღალული ვარჯიშობისგან, ერთიორად უფრო ჩქარა მოდის ღონეზედ სიმღერის ჟამსა“. ამ საქმეში იაკობი მიხეილ მაჭავარიანსა და ელენე ყიფიანს დაიხმარს, რომელთაც საამისო განათლებაც ჰქონდათ. და „დედაენას“ გაუჩნდა მუსიკალური განყოფილება... საერთოდ, საგანგებო შესწავლის თემა იაკობის შეხედულებები **მუსიკაზე** (რა მნიშვნელობა აქვს მუსიკას სასწავლო პროცესში და ზოგადად ბავშვის განვითარებისათვის)...

\*\*\*

ასე ითქმება ალბათ, თუ ვინმე შეისწავლის იაკობის შეხედულებებს **მხატვრობაზე** (რა მნიშვნელობა აქვს ნახატს საანბანო წიგნში და საერთოდ სასწავლო პროცესში); საამისო მასალა მრავალადა იაკობის შემოქმედებაში. სურათს, ნახატს იაკობი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, მით უმეტეს, საანბანე სახელმძღვანელოში. იაკობმა იცოდა, რომ სახელმძღვანელოს სასწავლო-მეთოდურ თუ შინაარსობრივ მხარესთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვიზუალურ ეფექტსაც; რომ „სურათი თვალსაჩინოდ ჰხდის შინაარსს, წიგნს აძლევს სიცოცხლესა და ხალისს“; — ეს ზოგადად. კერძოდ კი — „სურათის შემქმნელი ბავშვი ნახევარს ცოდნას სრულს ცოდნად გადააქცევს, გაურკვეველს წარმოდგენას — გარკვეულად, არა-სრულს სახეს საგნისას — სრულს სახედ...“ ბავშვს სახელმძღვანელოში „მართალი სურათი“ უნდა დაუხატო... ზომა სურათისა ისეთი უნდა იყოს, ბავშვისათვის საკითხავი მანძილიდან სწორი აღქმა მოხდეს და სხვა... და სხვა...

\*\*\*

2008 წელს გაიმართა იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების სამეცნიერო კონფერენცია — „იაკობის „დედაენა“ და თანამედროვე ქართული სკოლა“. გვანტერესებდა ოფთალმოლოგის თვალთ დანახული „დედაენა“. გაცემული დარჩა ცნობილი ოფთალმოლოგი, პროფესორი ლუიზა ცომაია, როცა იაკობ გოგებაშვილის შეხედულებებს გაეცნო. თუნდაც ასეთს: „რამდენადაც წვრილი შრიფტია მკვნიტელი თვალისათვის, იმდენად მაზარალებელია ნორმას გადასული დიდი შრიფტი, რადგან თვალს აკლდება ვარჯიშობა მოძერო საგნების გარჩევაში, ეს ვარჯიშობა კი ფრიად საჭიროა“... და იაკობი მსჯელობს ამ თვალსაზრისით შრიფტების მონაცვლეობის აუცილებლობაზე; ინტერვალებზე ასოებს შორის, სიტყვებს შორის, სტრიქონებს შორის; სათაურსა და ქვესათაურს შორის, სათაურსა და ტექსტს შორის... ტექსტისა და ფონის კონტრასტულობაზე; ქალაქისა

ხარისხის მნიშვნელობაზე და სხვა... თუმცა იაკობი არა მხოლოდ მსჯელობს, არამედ თავის სახელმძღვანელოებში შეძლებისდაგვარად აგვარებს კიდევ ამ საკითხს...

ოფთალმოლოგის დასკვნა ასეთი იყო: ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ოთხმოციან წლებში ქართული პედაგოგიკის მამამთავარი, იაკობ გოგებაშვილი, საკუთარი დაკვირვებით მივიდა იმ დასკვნამდე, რაც სადღეისო მიღწევად ითვლება ოფთალმოლოგიაში...

და ეს ითქვა იაკობის „ოფთალმოლოგიურ შეხედულებებზე“...

\*\*\*

ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტი, გერმანული ეკონომიკური სკოლის აღზრდილი, ფილიპე გოგინაიშვილი იგონებს: „მაშინ მე გერმანიიდან ახლად დაბრუნებული გახლდით, გერმანულად განსწავლული, ბიუხერის მოწაფე და შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ „სახტად დავრჩი“, როდესაც იაკობის ერთ-ერთ სტატიაში ასეთი სტრიქონები წავიკითხე: „*შენიშნულია ხალხისაგან, რომ სამი მომკელი, აყლით და ჰოოპუნით მომუშავე, იმდენს გააკეთებს, რის გაკეთებაც ხუთს ცალცალკე მუშას გაუძნელდება, რად? იმიტომ, რომ აყლის დროს ადამიანის მოძრაობა მეორდება თითქმის თავისთავად, მხედველობას ეშველება სმენა და ორივე გრძნობანი შეერთებული ძალით ამოქმედებენ ადამიანის ასობსა; — საერთო მუშაობა, ერთს ყაიდაზე მომართული, აქეზებს, ამხნევეს მომუშავეთა, ართობს მათ და დაღლილობას გვიან ჰგვრის, ასე სასიკეთოდ მოქმედებს ტაქტი დიდებზედაც და პატარებზედაც“... და ამას მოსდევს შთამბეჭდავი კომენტარი ფ. გოგინაიშვილისა:*

„უნდა გამოუტყდე, მაშინ კი ვთქვი: რა ღრმა შინაარსი ყოფილა ქართულ ანდაზაში, რომელიც ამბობს „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო!“ **ის აზრი, რაზედაც ჩემმა ბიუხერმა მთელი წიგნი აავო, იაკობს ავერ აქვს სხარტად გამოთქმული-მეთქი“**... და ეს ითქვა იაკობის ერთ „ეკონომიკურ შეხედულებაზე“...

\*\*\*

როცა იაკობის ღვაწლზე ვსაუბრობთ, უნდა შევჩერდეთ მის პიროვნულ ღირსებებზეც — როგორც მაგალითზე თავისი თანამედროვეებისა თუ შთამომავლებისათვის... დიდკაცობის, ღირსეულკაცობის გაკვეთილებიც ღვაწლია იაკობისა, ღვაწლი სამარადისო...

იაკობ გოგებაშვილი გამორჩეული იყო, როგორც პიროვნება. რამდენიმე ფრაგმენტი ცნობილი გერმანელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის არტურ ლაისტის მოგონებიდან: „*იაკობ გოგებაშვილს მტკიცე და შეურყენელი ხასიათი ჰქონდა. ამასთან ძლიერ გულკეთილიც იყო, რაც შეეძლო, ყველას ეხმარებოდა. მისი პატიოსნება ყველამ იცოდა. იღია ხშირად*

აქებდა გოგებაშვილის ნიჭსა და მოღვაწეობას... გოგებაშვილი ფაქიზი და ნათელი პიროვნება იყო, ნამდვილი პედაგოგი — მწერალი. იგი თავის სიცოცხლეში მუდამ სწვლობდა და სხვასაც ასწავლიდა. არ მახსოვს, რომ კითხვაში ან წერაში არ ყოფილიყო გართული... საზოგადოდ, გოგებაშვილს მშვიდი და წყნარი ცხოვრება უყვარდა. მისი ტრფიალი მხოლოდ სამშობლო და პედაგოგიკა იყო.“

იაკობი ასკეტური ცხოვრებით ცხოვრობდა. ფილიპე გოგიჩაიშვილი იგონებს: „*იაკობი განდევნილად ცხოვრობდა, განმარტოებულად, უოჯახოდ, უცოლშვილოდ. ამის მთავარი მიზეზი იყო, რამდენადაც ვიცო, მისი აუღმყოფობა; იგი ახალგაზრდობიდანვე ჭლექით იყო დაავადებული (გასათვალისწინებელია ისიც, იაკობის დედა და დები ჭლექით გარდაიცვალენ — გ.გ.) და ამიტომ მან ნება არ მისცა თავის თავს ცოლშვილისათვის მოეკიდნა ხელი, დასძლია სიყვარული, რომელიც, როგორც ვამიგია, ერთ დროს უღვივოდა ერთი ჩინებული ახალგაზრდა ქართველი ქალის მიმართ“ (ფ. გოგიჩაიშვილი, 1990, გვ. 450). ოჯახის შექმნის საკითხი მისი პიროვნული ბუნების უაღრესად საინტერესო სახის მაჩვენებელია. ამიტომაც ამახვილებენ ამ ფაქტზე განსაკუთრებულ ყურადღებას მისი თანამედროვენი. ალექსანდრე მიქაბერიძე წერს: „*იაკობი დიდი სიფრთხილით, დიდი სერიოზულობით უდგებოდა თავის დაცოლშვილების საკითხს. ესეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა იაკობს ეძნელებოდა; იაკობი ჰფიქრობდა, რომ იგი აუღმყოფი ადამიანია, რომ მას განსაკუთრებული სენი შთამომავლობით აქვს ნაანდერძევი და ამიტომ **ზნობრივი უფლება არა აქვს ცოლ-შვილს მოეკიდოს** და ამგვარად **მსხვერპლად შეიწიროს საყვარელი ადამიანი** და მასთან ერთად **მომავალი შთამომავლობაც**“. ამასვე წერს შიო მღვიმელიც.**

იგონებენ, რომ იაკობი საოცრად მოწესრიგებული პიროვნება იყო. „*თავის დღეში იგი მცირეოდენ უწესრიგობასაც კი არ შეიტანდა არც სმა-ჭამაში, არც გართობაში, არც სეირნობაში, არც მოსვენებაში... საერთოდ არ უყვარდა წვეულებაში ან სტუმრად წასვლა“ (ფ. გოგიჩაიშვილი).*

საარაკო იყო მისი გულწრფელობა და ჭეშმარიტების სიყვარული. წერენ: „*ყველამ იცოდა, რომ ი. გოგებაშვილი ყოველთვის გულწრფელი იყო შეცდომაშიც და ჭეშმარიტებაშიც და ყველა პატივსცემდა ამ გულწრფელობისა და პირდაპირობისათვის“ (ფ. გოგიჩაიშვილი).*

ჭეშმარიტებისათვის ბრძოლაში იგი უკომპრომისო იყო და ბოლომდე იბრძოდა. იოსებ იმედაშვილი იგონებს: „*იაკობი ისეთი იყო, მოკამათეს, როგორც იტყვიან, რჯულამდე ჩაჰყვებოდა, თუ მისი აზრი საეჭვოდ მოეჩვენებოდა“. იაკობის პიროვნული დახასიათებისათვის ესეც გავიხსენოთ: იგივე ი. იმედაშვილი წერს: „*როგორი იყო როგორც მებრძოლი, სამშობლო ქვეყნის უფლებათა, პედაგოგიურ მუხედულებათა და საკუთარი რწმენის დაცვის საქმეში?**



*დაუნდობელი, პირდაპირი, შეუღრეკელი, ურყევი!*

*სამშობლოს საღარაჯოზე ისე იდგა ბასრი კალმით, როგორც ერეკლე მეფე, მტრის წინააღმდეგ ხმალამოლებული“.*

იაკობისთვის უცხო იყო პიროვნული ამბიცია, თავისი საქმიანობით თავმოწონება. თავმდაბლობა მისი უმთავრესი პიროვნული თვისება გახლდათ. როგორ თქვა უარი სხვათა მიერ განზრახულ საკუთარ საიუბილეო საღამოზე, ზემოთ ვთქვიით...

მსგავსი შემთხვევები სხვაც იყო...

ცალკე თემაა იაკობ გოგებაშვილი როგორც ქველმოქმედი. იგონებენ: „*იაკობ გოგებაშვილი დიდი გაქანების ქველმოქმედი ადამიანი იყო და ესეთი ქველმოქმედებისათვის ნივთიერი შეძლებაც სათანადოდ ხელს უწყობდა, მაგრამ იაკობი ამ ქველმოქმედებას ისე ფრთხილად, ისე მორიდებულად, ისე გაუხმაურებლად ეწეოდა, რომ ახლობელმა მეგობრებმაც კი არ იცოდნენ, იაკობი ვის და როგორის სახით აწვდიდა ამა თუ იმ ნივთიერ დახმარებას“ (ალ. მიქაბერიძე).*

ელენე გოგიჩაიშვილის (ნიკო ცხვედაძის ასულის) ცნობით „*იაკობის ბინაზე ხშირად იკრიბებოდნენ თბილისის სასულიერო სემინარიის უფროსი კლასის მოწაფეები, თბილისის ქართული გიმნაზიის მოსწავლეები, რომელთაც იაკობი ფულით, წიგნებით, ტანსაცმლის ყიდვით დიდ დახმარებას უწევდა...“*

*თუ კი იაკობი შენიშნავდა, რომ ყმაწვილი ნიჭიერია და ერთგვარ იმედებს იძლევა მომავლისათვის, დახმარებას არ აკლებდა ესეთ ყმაწვილს და ყოველთვის ხელს უმართავდა“ (ზ. ბოცვაძე).*

იმასაც იგონებენ, როცა იაკობის ფინანსური შესაძლებლობები არ იყო საკმარისი დახმარებისათვის (მაგალითად, საზღვარგარეთ სწავლის დასაფინანსებლად), „*მოსვენებას არ აძლევდა ნიკო ცხვედაძეს, დაეით სარაჯიშვილს სასტიკიენდო თანხიდან დამატებითი სტიპენდია დაენიშნათ საზღვარგარეთ მყოფი სტუდენტისათვის“ (ე. გოგიჩაიშვილი).*

თავადაც ამ პრინციპით მოქმედებდა და სხვასაც ამ მოსაზრებით „*აიძულებდა“* საქველმოქმედო თანხები გაეღოთ, რადგან სჯეროდა, ნიჭიერ კაცზე „*გაწეული ხარჯები ქართველ ხალხს გაორკეცებით დაუბრუნდებაო“*. ამბობენ, ხშირად იტყოდნენ: „*ნეტარ არიან მოწყალენი“*.

იაკობ გოგებაშვილისათვის უცხო იყო ანგარება, პირადი განდიდება-გამდიდრებაზე ფიქრი, „*სახსრის ტრფიალი“* და „*კუჭის პრინციპი“* (იაკობის სიტყვებია).

მას შეეძლო „*მდიდარი ქართველი ყოფილიყო“*, როგორც მისი თანამედროვენი წერდნენ (გავიხსენოთ: იყო დრო, როცა 30 000 ცალი მარტო „*დედაენა“* იყიდებოდა წელიწადში). მისი პრინციპი იყო: წიგნმა იმდენი შემოსავალი უნდა მოიტანოს, ხარჯები ანაზღაუროს და საარსებო საშუალება მისცეს ავტორს. ცხადია, საქველმოქმედო ფონდსაც ითვალის-



წინებდა. დასტური ამ აზრისა თუნდაც ის არის, რომ „ქართული წერის დედანი“, რომელიც ცალკე წიგნად იბეჭდებოდა, „დედაენის“ საანბანე ნაწილში შეიტანა და „დედაენის“ ფასი არ გაზარდა: ღარიბ ქართველობას უჭირს წიგნის შეძენა...

იაკობს მიაჩნდა, რომ „დამღუპველია განათლებაში ნივთიერ სახსრის დიება“.

\*\*\*

ჩვენ ზოგადად გადაუვლეთ თვალი იაკობის დეაწლს. მეტი შეიძლება თქმულიყო... ბევრი თქმულა და ითქმება კიდევაც. თუმცა მაინც ვფიქრობთ, რომ ჭეშმარიტებაა ვასილ ბარნოვის აზრი: **იაკობ გოგებაშვილი ჩვენი სინამდვილისათვის გაცილებით დიდი ადამიანი იყო, ვიდრე ეს წარმოდგენილი გვაქვს...**

#### ძირითადი ლიტერატურა:

**არბოელი (ნ. ლომოური).** იაკობ გოგებაშვილი: იაკობის სამრეკლო, თბ., 1990.

**ზ. ბოცვაძე,** იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1991.

**ვ. გაგუა,** იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1991.

**ვ. გაგუა, დ. გურგენიძე გ. სიხარულიძე,** იაკობ გოგებაშვილი: რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1989.

**გ. გოგოლაშვილი,** ერთი ეპიზოდი იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებიდან: „ჩვენი მწერლობა“, № 14, 2009.

**გ. გოგოლაშვილი,** დედაენა“ — ძეგლი სამარადისო, თბ. 2011.

ენციკლოპედია ქართული ენა, თბ., 2008.

**გ. თავნიშვილი,** იაკობ გოგებაშვილი: იაკობის სამრეკლო, თბ., 1990.

**იაკობ გოგებაშვილი,** თხზულებანი ათ ტომად, ტ. I, თბ., 1954.

**იაკობ გოგებაშვილი,** თხზულებანი ათ ტომად, ტ. II, თბ., 1954.

**იაკობ გოგებაშვილი,** თხზულებანი ათ ტომად, ტ. III, თბ., 1954.

**იაკობ გოგებაშვილი,** თხზულებანი ათ ტომად, ტ. IV, თბ., 1955.

**ი. იმედაშვილი,** სინათლის შუქი — სიბნელის მფანტველი: იაკობის სამრეკლო, თბ., 1990.

**დ. კასრაძე,** იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1940.

**არტურ ლაისტი,** იაკობ გოგებაშვილი: იაკობის სამრეკლო, თბ., 1990.

**ნ. ლომოური,** იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი: ზ. ბოცვაძე, იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1991.

**დ. ლორთქიფანიძე**, დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1948.

**დ. ლორთქიფანიძე**, იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. I, თბ., 1954.

**მატიანე — ი. გორგაძე, ნ. გურგენიძე, მ. საჯაია**, იაკობ გოგებაშვილი — ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, ბიბლიოგრაფიული ქრონიკა 1840-1912, თბ., 2003.


**ს. სხირტლაძე**, გადანახული საგანძურიდან, თბ., 1965.


ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

**ალ. მიქაბერიძე**, ნარკვევი ი. გოგებაშვილზე მოგონებების სახით: ზ. ბოცვაძე, იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1991.

**შიო მღვიმელი**, იაკობ გოგებაშვილი (მოგონება): ზ. ბოცვაძე, იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1991.

**რ. ჩხეიძე**, ბურჯი ეროვნებისა, თბ., 2007.





ლევან გავრიშვილი

## იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრების ზოგიერთი ასპექტი

იაკობ გოგებაშვილი, ქართველ სამოციანელთა გამორჩეული წარმომადგენელი, იმ საზოგადო მოღვაწეთა კატეგორიას ეკუთვნის, რომელთა დამსახურებაც ქართული კულტურისა და სულიერების წინაშე სრულიად განსაკუთრებულია. როგორც დ. შენგელაია წერდა: „თუ მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში ილიასთან და აკაკისთან ერთად იბრძოდა ვინმე ასეთი უანგარო თავდადებით, ასე უშიშრად და ზნეობრივად უძწიკვლო იყო, პირველ რიგში ეს იაკობ გოგებაშვილია. ასეთ მოღვაწეს ძველად წმინდანთა შორის შერაცხდნენ ხოლმე. იაკობ გოგებაშვილი ჩვენი, მართლაც, რომ წმინდანია.“<sup>1</sup>

იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური მოძღვრება იყო და არის საგანგებო მეცნიერული შესწავლის ობიექტი. იაკობის თხზულებანი მსოფლიო მასშტაბის პედაგოგიკის თეორეტიკოსთა შრომების სიმალლეზე რომ დგას, ამას უცხოელი მეცნიერებიც აღნიშნავენ. მიუხედავად ამისა, ჩვენს ე. წ. „რეფორმატორებს“ ურჩევნიათ, ქართული საგანმანათლებლო სისტემა დააფუძნონ არა იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკურ მოძღვრებაზე, არამედ გაურკვეველი წარმომავლობის, ზერეულე და ექპერიმენტულ იდეოლოგიაზე. სწორედ ამიტომ, აუცილებელია იაკობის სამეცნიერო-კრიტიკული მემკვიდრეობის თანამედროვეობის კონტექსტში განხილვა.

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა დამყარებულია მოზარდისათვის არა საფუძვლიანი ცოდნის, არამედ ინფორმაციის მიწოდებაზე. დღეს განათლება გაგებულია, ოდენ როგორც ინფორმაციით თავის გამოტენა, უპირატესად იმ ინფორმაციით, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ბიოლოგიურ კეთილდღეობას, ხელს შეუწყობს მას დამკვიდრებასა და სხვათა მიმართ კონკურენციის გაწევაში.

უდიდესი ქართველი პედაგოგების, ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის აზრით კი, ინფორმაციის მიწოდებასა და ინტელექტუალური უნარების განვითარებას არავითარი ფასი არ აქვს იმ შემთხვევაში, თუ დ. შენგელაია, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1972, გვ. 16.

პარალელურად აღსაზრდელის ზნეობრივი წვრთნა, სულიერი აღზრდა არ ხორციელდება. სამოციანელთა პედაგოგიკური კრელო შესანიშნავადაა გამოხატული ილია ჭავჭავაძის სიტყვებში: „ჭეშმარიტი განათლება განვითარებულ გონების და გაწურთვნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად... ზნე-ხასიათის წვრთნა ზრდაა შინაგანის კაცისა, თუ ეგრე ითქმის. შინაგნობა კაცისა მისი სულიერი ვინაობაა, მისი სულიერი ბუნებაა, მაშასადამე, წრთვნა ზნე-ხასიათისა ზრდაა, გარკვევად მისის სულიერი ვინაობისა, სულიერის ბუნებისა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, მისის კაცობისა, ადამიანობისა. ამიტომაც ზნე-ხასიათის წრთვნა ერთი უდიდესი, უაღრესი საგანია სკოლისა, რადგანაც გაადამიანება კაცისა თავი და ბოლოა ყოველ-გვარის წრთვნისა, ზრდისა და განათლებისა“.<sup>2</sup>

იაკობ გოგებაშვილის აზრით, ადამიანის ზნეობრივ აღზრდისათვის განუზომელია ეკლესიის მნიშვნელობა; ხალხის სულიერი და გონებრივი განათლება სწორედ ეკლესიისა და სკოლის სინთეზური თანამშრომლობით უნდა განხორციელდეს: „ეკლესია და სკოლა არის სათავე ხალხის ზნეობისა, ეთიკისა, ხოლო თვითონ ეთიკა, სპეტიაკი ზნე საძირკველია ხალხის არსებობისა, სიმტკიცისა, კეთილდღეობისა, წარმატებისა. ზნედაცემული ხალხი მაშინაც-კი წააგებს ბრძოლას არსებისათვის, როდესაც იგი ცოდნას არ არის მოკლებული...“<sup>3</sup>

იაკობის რწმენით, ადამიანის ზნეობრივი აღზრდა შეუძლებელია განხორციელდეს ეკლესიური სწავლების გარეშე, ვინაიდან თუ მორალს ტრანსცენდენტური, სარწმუნოებრივი საფუძველი არ გააჩნია, იგი გადაიქცევა უბრალო ეტიკეტად, რომელსაც არ ექნება ცხოველყოფილი ძალა. ამიტომ ზნეობა და რელიგიური რწმენა განუყოფელია ერთმანეთისაგან: „ეთიკის, კაცთმოყვარეობის შეურიგებელი საძირკველი იყო და არის გულწრფელი სარწმუნობა. ღრმად მორწმუნე კაცი არასოდეს არ ყოფილა სულმდაბალი, ეგოისტი და ვერც იქნება. იგი ახორციელებს თავის ცხოვრებაში მაღალს სწავლას სახარებისას და ჰფენს სითბოს, სიკეთეს თავისს გარშემო. წინააღმდეგ ამისა, თვით პირველი მსწავლელი, სარწმუნობას მოკლებული, შეიძლება იყვეს სულმდაბალი არამზადა, მონათავისი სიამოვნებისა, მაჟნე მოყვასისა“.<sup>4</sup>

მოზარდის სულიერი და გონებრივი, ჰარმონიული განვითარებისათვის, იაკობ გოგებაშვილის შეხედულებით, აუცილებელია სკოლებში საღმრთო სჯულის სწავლება: „საღმრთო შჯულის სწავლებას სახალხო შკოლაში უპირველესი მნიშვნელობა აქვს. იგი უნერგავს გულში მოსწავლეთ სარწმუნობას, განუმტკიცებს და განუწმენდს ზნეობას და ამასთან უხსნის ხელოვნებისთს გემოსა და ნიჭსა, რადგანაც საღმრთო წერილი ხელოვნურის

<sup>2</sup>ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი 10 ტომად, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 293, 296.

<sup>3</sup>ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 10 ტომად, ტ. III, თბ., 1954, გვ. 250.

<sup>4</sup>ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. VI, თბ., 1958, გვ. 762.

ელემენტით სავსეა“.<sup>5</sup> როგორც ვხედავთ, გენიალური იაკობი აღიარებს საღვთო წერილის უდიდეს მნიშვნელობას ადამიანის არა მხოლოდ ეთიკური, არამედ ესთეტიკური აღზრდის პროცესშიც. იაკობი სამართლიანად მიუთითებს, რომ ბიბლიას უდიდესი ესთეტიკური ღირებულება გააჩნია, ამ მხრივ თუნდაც მხოლოდ დავითის „ფსალმუნნი“ რად ღირს! წმინდა წერილის შესწავლა აღსაზრდელს აუცილებლად განუვითარებს ფაქიზ ესთეტიკურ გემოვნებას.

სეკულარიზებული იდეებით გონებადაბინდულ ვაი-რეფორმატორებს კი, ცხადია, გაგონებაც არ სურთ სკოლაში საღმრთო სჯულის სწავლებისა. ისინი საგანგებოდ ზრუნავენ, რომ ბავშვები „ფუნდამენტალისტებად“ არ გაიზარდონ. თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში სრულიად უგულვებელყოფილია ზნეობრივი აღზრდა, მოსწავლეს აგრესიით განაწყობენ მასწავლებლისადმი, მას შეუძლია უჩივლოს და დააბეზლოს მასწავლებელი. რა ზნეობრივ აღზრდაზე შეიძლება იყოს საუბარი, როდესაც მოზარდს ამოსახსნელად შესთავაზებენ შემდეგ დავალებას: ვის უნდა დაუთმოს მან სკამი ავტობუსში, მოხუცს, თუ ფეხმძიმე ქალს და დაბნეულ ქართველ მოწაფეს თვითონვე უკარნახებენ „სწორ“ პასუხს: არცერთს! რადგან ბილეთი მან შეიძინა და ვალდებული არაა სკამი ვინმეს დაუთმოს!

იაკობ გოგებაშვილი უდიდეს საფრთხეს ხედავდა მატერიალისტური იდეების მოძალტვასა და პროპაგანდაში, რაც შედარებით მოკრძალებულად და შეფარვით მიმდინარეობდა XIX საუკუნეში. დღეს კი, როდესაც ჯერ კიდევ დარვინის ევოლუციურ თეორიაზე იზრდებიან სკოლის მოსწავლეები, უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს იაკობის საუკუნის წინ ნათქვამი სიტყვები:

„ქართველებში ბოლო წლებში იჩინა თავი ერთმა სამწუხარო მიმართულებამა. გაისმა სიტყვით და ბეჭდვით ქადაგება მატერიალიზმისა. სახალხო სფეროშიაც კი არწმუნებდნენ ხალხსა, რომ არ არსებობს არც ღმერთი, არც სული, არც საიქიო, და ადამიანი მხოლოდ მატერიიდან, ზორციდან შესდგებაო. უნდა გამოვტყდეთ, რომ ეს ქადაგება საუკეთესო ღონისძიებაა, რათა ჩვენი ხალხი პირუტყვეულ ნახიარად გადაიქცეს, განიზრწნეს, მოაკლდეს ყოველს ადამიანურს ზნეობას და აღიგაოს პირისგან ქვეყნისა. მატერიალიზმის მოციქულნი ერთს უკადრისს ხერხს ხმარობენ: იგინი აჯერებენ ხალხს, რომ მხოლოდ უვიცს ადამიანებს აქვს სარწმუნოებაო; ყოველი განათლებული ადამიანი მოკლებულია ყოველ გვარს სარწმუნოებასაო. ხალასი სიცრუეა. ყველამ კარგად იცის და თავისი თვალთა-ც ხედავს, რომ არც ერთს პირუტყვეს არაფერი სწამს, - მაშასადამე, ყველა პირუტყვენი უკიდურესად განათლებულნი ყოფილან“.<sup>6</sup>

იაკობი მიუთითებს, რომ მეცნიერული ცოდნა და რწმენა სრულიადაც

<sup>5</sup> ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1961, გვ. 395.

<sup>6</sup> ი. გოგებაშვილი, რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები, ტ. I, თბ., 1910, გვ. 3.

არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს. თავისი დიდი ინტელექტით განთქმული ცნობილი ბრიტანელი პილიტიკური მოღვაწე გლადსტონი, გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი პასტერი, დიდი რუსი ფილოსოფოსი ვლადიმირ სოლოვიოვი ღრმად მორწმუნე ადამიანები იყვნენ, – წერს იაკობი. სათაყვანებელი გაბრიელ ეპისკოპოსი კი წარმოადგენდა ცხად მაგალითს ადამიანისა, რომელიც შესანიშნავად ათავსებდა ერთმანეთთან ღრმა მეცნიერულ ცოდნასა და უდიდეს რწმენას: „სარწმუნოების და მეცნიერების მოთავსება ჰარმონიულად შესაძლებელია არა მარტო სასულიერო პირთათვის, არამედ უმაღლესად განვითარებულ მეცნიერთათვისაც“<sup>7</sup>, – წერს იაკობი.

თანამედროვე ქართული საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთ „მონაპოვრად“ ითვლება უცხო ენის სწავლება პირველი კლასიდანვე. პედაგოგიკური თვალსაზრისით თუ შევაფასებთ ამ „ნოვაციის“ რაობას, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს არის საკუთარი ერის წინააღმდეგ მიმართული უმძიმესი დანაშაული, რომლის ჩადენა თვით კომუნისტებსაც კი არ მოსვლიათ აზრად.

ელემენტარული ლინგვისტური ჰემმარიტებაა, რომ ენა არის არა მხოლოდ მზა აზრების გამოთქმის საშუალება, არამედ საშუალება – აზროვნებისა. ცნობილი ენათმეცნიერისა და ფილოსოფოსის ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის თქმით: „ენა მსოფლხედვის წესია“. მარტინ ჰაიდეგერის ცნობილი სიტყვებით კი: „ენა ყოფიერების სახლია“. ენაში ყველაზე უკეთ ისახება ხალხის ეთნოფსიქიკა, აზროვნების წესი, მისწრაფებანი და ცხოვრების ფილოსოფია. როგორც გამოჩენილი ესპანელი მოაზროვნე მიგელ დე უნამუნო წერს: „ყოველი ხალხი თავისი ენის საფუძველში დებდა სამყაროსა და ცხოვრების თავისეულ აბსტრაქტულ კონცეფციას ფართო მნიშვნელობითა და გაგებით, ისევე როგორც თითოეულ სიტყვაში – თავის ფილოსოფიას“<sup>8</sup>. არანაკლებ მხატვრული და შთაბეჭდავია იაკობ გოგებაშვილის მიერ ენის რაობის შეფასება. დიდი პედაგოგის აზრით, სწორედ მშობლიური ენის საფუძვლიანი შესწავლა მიაახლებს ადამიანს ერის სულთან, წინაპართა მსოფლშეგრძნებასა და აზროვნების წესთან: „...დედაენა არის ძვირფასი საღარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელის ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივს ისტორიულს ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონით და მხნეობით.“<sup>9</sup>

დამწყებთათვის ორი ენის ერთდრულად სწავლება, იაკობის შეფასებით, არის უმძიმესი შეცდომა: „ზოგნი დედა-ენას უარს არ ჰყოფენ, მაგრამ მასთან ერთად ჩვილ ბავშვებს ასწავლიან ერთს რომელსამე სხვა ენას...“

<sup>7</sup> ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. III, გვ. 11.

<sup>8</sup> მ. დე უნამუნო, ესეები, ესპანურიდან თარგმნა მ. ტიტეინიძემ, თბ., 2009, გვ. 71.

<sup>9</sup> ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1954, გვ. 208.



ამ გვარის მშობლების აზრით, მათნი შვილნი ექესი-შვიდი წლის განმავლობაში ისწავლიან ორს ენასა და წინ გაუსწრობენ იმ ვაჟებს და ქალებს, რომელთაც მართო დედა-ენაზე ელაპარაკებიან. მაგრამ რა ძლიერ სტყუვდებიან!.. ჩაბეჭდილებანი უცხო ენისა ასუსტებენ და ჰშლიან დედა-ენის ჩაბეჭდილებათა, ბავშვს ხან ერთი ენა ავიწყდება, ხან – მეორე... ამ გვარად აღზრდილნი ბავშვნი უკან რჩებიან როგორც მეტყველებაში, ისე აზროვნებაში... ბავშვს ჯერ დედა-ენა უნდა ასწავლო და მერე უცხო ენა, ერთი – მეორის შემდეგ. თუ ერთს დროს დააწყებინე ორივე ენის სწავლება, ბავშვს გონებას დაუბნევ“, ამბობს პედაგოგთა მამათმთავარი კომენიუსი“.<sup>10</sup>

ამრიგად, პირველკასელთათვის მშობლიურ ენასთან ერთად ინგლისურის სწავლება არის უმძიმესი პედაგოგიკური დანაშაული. ამგვარი საგანმანათლებლო სისტემა მოგვეცემს კრიტიკული აზროვნების უნარს მოკლებულ, ცნობიერებაგახლეჩილ ადამიანს, რომელიც ვერც მშობლიური კულტურის ფესვებთან იქნება დაკავშირებული და ვერც, მით უმეტეს, უცხოურ ცნობიერებას შეითვისებს. მივიღებთ ისეთ ადამიანს, რომელსაც არ ექნება ღირებულებათა მყარი სისტემა, გამოკიდებული იქნება ჰაერში და გახდება შესანიშნავი დასაყრდენი გლობალისტური შხამით დაინფიცირებული ნეოლიბერალებისათვის. სწორედ ეს არის აღნიშნული ანტიპედაგოგიკური ქმედების მთავარი მიზანი.

საუბრობს რა ქართული და რუსული ენების სწავლების პარალელურად დაწყების თაობაზე, იაკობი საგანგებოდ მიუთითებს, რომ „...ქართული ენა ისეთს განსაკუთრებულს მოვლენას შეადგენს ენათა შორის და ლინგვისტიკაში, ისე ნაკლებად ჰგავს სხვა ევროპიულ ენებს, რომ ზოგნი მეცნიერნი იძულებულნი არიან აღიარონ იგი განცალკევებულ თავისებურ ენად და არ მისცენ ადგილი არც ტურანულ და არც ინდო-ევროპიულ ენათა შორის... ამის გამო ყოველი ევროპიული ენა, რომელიც კი ქართველის ბავშვის გონებაში დაიჭერს დედა ენის ადგილს, დაბადებს დიდს წინააღმდეგობას მის მეტყველების და აგებულების შორის და მის გონების ვარჯიშობას, მოძრაობას და განვითარებას სწორედ ისევე დაუშლის, როგორც ჩვენს სხეულს აბრკოლებს შეუსაბამო ტანისამოსი“.<sup>11</sup>

დიდი პედაგოგი სამართლიანად შენიშნავს, რომ განსხვავებულია ინდოევროპული (რუსული, ინგლისური და სხვ.) და იბერიულ-კავკასიური (რომელსაც მიეკუთვნება ქართული) ენათა **სტრუქტურა, ბუნება**. ამიტომ ამ ენათა შესწავლის ერთდროულად დაწყება ბავშვისათვის პრაქტიკულად დაუძლეველი სირთულეა. ეს გამოიწვევს მოზარდის გონების პარალიზებას, ინტელექტუალურ უნართა დაჩლუნგებას, შედეგად კი მოზარდი ვერც ერთ ენას ვერ შეისწავლის საფუძვლიანად.


ყველა სხვა „სიკეთესთან“ ერთად განათლების თანამედროვე სისტემა


<sup>10</sup>ი. გოგებაშვილი, *თხზულებანი*, ტ. II, გვ. 216.

<sup>11</sup>ი. გოგებაშვილი, *თხზულებანი*, ტ. II, გვ. 218.

არ უღვივებს ბავშვს მშობლიური ენისადმი ბუნებრივი სიახლოვის განცდას. პირველკლასელმა „აი ია“ თავისი ათრთოლებული ხელით კი არ უნდა გამოიყვანოს, არამედ კომპიუტერის კლავიატურაზე წკაპუნით. შედეგად კი იზრდება არა მშობლიურ ფესვებთან ღრმად დაკავშირებული კულტურული ადამიანი, არამედ სულიერი შინაარსისაგან დაცლილი ცივილიზებული რობოტი, რომლის ინტერესთა სფეროც მხოლოდ ბიოლოგიური მოთხოვნილებებით იქნება შემოსაზღვრული.

ჩვენი ყოფის მთელი ტრაგიზმი კი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოში ქართველებს სანატრულად აქვთ, რომ ჩვენს ქვეყანაში საგანმანათლებლო სისტემა დაფუძნებული იყოს პედაგოგიკის მსოფლიო მასშტაბის კლასიკოსის, იაკობ გომეაშვილის მოძღვრებაზე და არა „განვითარებადი ერებისათვის“ შეთითხნილ, პრიმიტიულსა და ანტიეროვნულ „პედაგოგიკურ“ იდეოლოგიაზე.





გვანცა კოპლატაძე

## ზოგჯერ თქმა სჯობს

საქართველოში განათლების სისტემაში გატარებული რეფორმიდან უკვე საკმაოდ დრო გავიდა იმისათვის, რომ მისი შეფასება დაეიწყო. რა თქმა უნდა, ამ წერილს არ შეიძლება რეფორმის სრული და ყოველმხრივი შეფასების პრეტენზია ჰქონდეს. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე საკითხის გარკვევას შევეცდებით, რაც, შესაძლოა, მომავალში განათლების სისტემაში შექმნილი საერთო სურათის წარმოსახენად გამოდგეს. მომავალში კი, ალბათ, ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ყველა დარგის სპეციალისტებმა რეფორმა ყოველმხრივ და თანმიმდევრულად უნდა გაანალიზონ, რათა ერთხელ და სამუდამოდ ყველასათვის ნათელი გახდეს, რა იყო მისი არსი და მიზანი სინამდვილეში და მივიღეთ თუ არა ის შედეგი, რასაც მისი ავტორები და მხარდამჭერები გვპირდებოდნენ, ანუ ამაღლდა თუ არა ცოდნის დონე მოსწავლე ახალგზრობისა იმათთან შედარებით, რომელთაც ცოდნა რეფორმამდელ სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში მიიღეს.

დავიწყოთ იქიდან, რომ რეფორმის მოთხოვნილება საბჭოთა კავშირის დაშლის თანადროულად, იმგვარ ვითარებაში გაჩნდა, როცა საზოგადოების დიდ ნაწილს, დაშლილი იმპერიის საპირისპიროდ, ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლური სამყარო იდეალად ესახებოდა. ამგვარმა, ლამის გაკერპებამდე მისულმა იდეალიზებამ დასავლეთისა და აშშ-ს პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ყოფისა, როგორც ეს ასეთ დროსაა მოსალოდნელი, საზოგადოების თვით მოაზროვნე ნაწილსაც კი დაუკარგა უნარი ფხიზლად შეეფასებინა გაიდეალებული ყოფა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, და საკუთარ ცხოვრებაში ის გადმოეტანა, რაც მართლაც ღირებული და ფასეული იქნებოდა. მაგრამ ფხიზლად შეფასებისათვის აუცილებელი იყო კარგად შეგვესწავლა ის, რასაც ვაიდეალედით; ჩვენ კი, სამწუხაროდ, იმ მეტისმეტად ზერულესა და ფრაგმენტულ ცოდნას დავეჯერდით, რომელიც დასავლეთის შესახებ გვქონდა. მართალია, ცოდნის სიმწირეს თავისი ობიექტური მიზეზი ჰქონდა, — საბჭოთა კავშირი საზღვრებჩაკეტილი სახელმწიფო იყო და, ბუნებრივია, ის ეპიზოდური ურთიერთობანი,

რომელთაც ამგვარ პირობებში უცხოეთის ქვეყნებთან ვახერხებდით, მათ ყოფაზე, ასე თუ ისე, სრულ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნიდა, მაგრამ არც სუბიექტური მიზეზი უნდა გამოურიცხოთ. საჭირო იყო გააზრება და ანალიზი იმისა, რასაც დასავლეთის სახელგანთქმულ მწერალთა თხზულებებში ვკითხულობდით; მათ მიერ მაღალმხატვრულად ასახული სინამდვილე ადვილად დაგვარწმუნებდა არა მხოლოდ იმაში, რაოდენ დიდად იყო დაშორებული იგი იდეალს, არამედ იმაშიც, რომ ამ სამყაროში მარადიულ ზნეობრივ ღირებულებათა გადაფასებისა და გაუფასურების პროცესი საოცრად აქტიურად და ელვისებური სისწრაფით მიმდინარეობდა.

ამავე სამსახურის გაწევა შეეძლო ჩვენთვის XX ს-ის ამერიკული მწერლობისა და, განსაკუთრებით, ამერიკული კინოხელოვნების შედევრებს, რომელნიც პოლიუდში წინა საუკუნის ორმოც-ორმოცდაათიანსა და სამოციან წლებში იქმნებოდა.

დაფიქრებისა და გაანალიზების ნაცვლად, სამწუხაროდ, ჩვენ ასევე სრულიად გაუაზრებლად სარწმუნოდ მიგვაჩნდა საზოგადოებაში გაბატონებული შეხედულება იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირის პირობებში დასავლელ და ამერიკელ ხელოვნთა შემოქმედებიდან ჩვენთვის ხელმისაწვდომი მხოლოდ ის ქმნილებები იყო, რომელნიც საბჭოურ იდეოლოგიას შეესაბამებოდნენ. დაფარული დარჩა წყარო, საიდანაც ეს შეხედულება მოდიოდა და ვრცელდებოდა, სამაგიეროდ, ამ გადასახედიდან ცხადი გახდა, რომ მხოლოდ ცოტაოდენი დაფიქრება იყო საჭირო მის აბსურდულობაში დასარწმუნებლად. მაგალითად, რა საერთო შეიძლებოდა ჰქონოდა ჩარლი ჩაპლინის დიდებულ ფილმებს საბჭოთა კავშირის ყბადაღებულ იდეოლოგიასთან? ხოლო თუ საერთო ჰქონდა და საბჭოთა კავშირს ჩაპლინისა თუ სხვა მის მსგავს გენიოსთა ქმნილებანი საკუთარი იდეოლოგიის განსამტკიცებლად სჭირდებოდა, რას ვერჩოდით ამ იდეოლოგიას, — მას მაღალ-ზნეობრივი ხასიათი ჰქონია.

სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე ვიტყვი: ჩაპლინის ფილმებში სატირისა და იუმორის საოცარი სინთეზით, ძალიან ცოცხლად და თვალსაჩინოდ აისახა სინამდვილე, რომელიც ადამიანის მიერ ღმრთის ყოვლისშემძლეობისათვის ფულის ყოვლისშემძლეობის დაპირისპირების მცდელობამ მოიტანა. ადამიანმა დაკარგა მარადიულ სიცოცხლემდე მიმყვანი ჭეშმარიტი გზა ანუ ღმერთი (მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე, — ამბობს მაცხოვარი) და მის ყოფაში ღმრთის ადგილი ფულმა დაიჭირა. ბუნებრივია, ღმრთის უარყოფიდან გამომდინარე, მის ხატად შექმნილმა ადამიანმაც დაკარგა თავისი ადგილი და მნიშვნელობა ამქვეყნიურ სამყაროში. ფულის ანუ იგივე ყოვლისშემძლეობის მოპოვების ჟინით შეპყრობილმა საზოგადოების ნაწილმა, რომელმაც არა მხოლოდ საღმრთო, არამედ ბუნებით სჯულსაც (ე. ი. სინდისსაც) შედარებით ადვილად გადააბიჯა, მოყვასის ანუ მეორე ადამიანის არა მხოლოდ ინტერესები უგულვებელყო, არამედ

თავად იგი მიიჩნია, მართალია, შედარებით მნიშვნელოვან, მაგრამ მაინც ერთ-ერთ საშუალებად ფულის მოხვეჭის გზაზე.

უკვე სამი ათეული წელია საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს და ხელიც ყველაფრის წაკითხვასა და ნახვაზე მიგვიწვდება, რაც დასავლეთში იქმნება, მაგრამ ახლა მაინც ვაღიაროთ: თუ კი იქ რამე ღირებული და ფასეული შექმნილა, თურმე სწორედ მათი წაკითხვისა და ნახვის საშუალება გვქონია.

სწორედ ზემოხსენებული საქმეში ჩაუხედაობა, დაუფიქრებლობა და გაუაზრებლობა გახდა ძირითადი მიზეზი იმისა, რომ განათლების სისტემაში რეფორმის ჩატარების გადაწყვეტილებაც სასწრაფოდ მივიღეთ და თანაც ღრმა რწმენით იმისა, რომ იგი აუცილებლად ჩვენ მიერ გაიდგალებული სამყაროს მიერ უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი და მის მიერ შემოთავაზებულ თარგზე გამოჭრილი. დასავლეთის წინაშე მონური ქედ-დადრეკილობის გამო მწიგნობრობისა და საგანმანათლებლო საქმიანობის არა მხოლოდ იმ მდიდარ ტრადიციათა გათვალისწინება გამოგვრჩა მხედველობიდან, რომელთაც ჩვენი ერის ცხოვრებაში ბევრად ხანგრძლივი ისტორია აქვს, ვიდრე დასავლეთის ქვეყნებში, არამედ საერთოდ მათი არსებობა დავივიწყეთ და რეფორმა ისე ჩავატარეთ, თითქოს საქართველოში განათლების სისტემას არც ტრადიციები გააჩნდა და არც წინა პირობები.

არადა ჭეშმარიტი ღმრთის რწმენა და ამ რწმენაზე დაფუძნებული, თითქმის ყველა ეპოქაში აქტიურად წარმართული საგანმანათლებლო საქმიანობა იყო სწორედ ძირითადი მიზეზი ჩვენი ერის გადარჩენისა და დღემდე მოღწევისა.

სამაგიეროდ, რეფორმატორებმა რეფორმის პროგრამას საზოგადოებისათვის თვალის ასახვევად ქართველთა დიდი განმანათლებელის, ილია ჭავჭავაძის სახელი დაარქვეს. მაგრამ პროგრამის სახელწოდება მხოლოდ საზოგადოებისთვის თვალის ახვევის მიზნით არ შერჩეულა; ვფიქრობ, სახელის შერჩევა იმ ცინიზმითაც განისაზღვრა, რომელიც დღეს ჩვენი ყოფის თითქმის ყველა სფეროშია გაბატონებული. მაგალითად, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელით უკიდურესად შეზღუდვა ქვეყნის მართვაში ხალხის მონაწილეობისა და სრული უგულებელყოფა ადამიანის უფლებებისა. სხვათა შორის ამ ცინიზმს სათავე დასავლეთის რელიგიურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეძებნება. უფრო დიდი ცინიზმი, ვიდრე კათოლიკური ეკლესიის მიერ საუკუნეთა განმავლობაში ქრისტეს სახელით ადამიანების დენა და კოცონზე ცოცხლად დაწვა იყო, წარმოდგენილია.

პროგრამისათვის ილიას დარქმევა მართლაც ილია ჭავჭავაძისადმი დიდი პატივისცემით რომ ყოფილიყო გამოწვეული, მაშინ მას, რა თქმა უნდა, ილიას იდეების საპირისპირო ხასიათი კი არ ექნებოდა, როგორც ამას დღეს ვხედავთ, არამედ, პირიქით, მათი მიხედვით იქნებოდა შედგენილი.

დავიწყეთ იქიდან, რომ ილია ჭავჭავაძის ღრმა რწმენით, „ქვეყნის მყობადი იმაზეა დამოკიდებული, რა მიმართულებას მივცემთ ახალ თაობას“<sup>1</sup>. საერთოდ, ახალგაზრდობას მიმართულებას აღზრდა-განათლების მიცემით ვაძლევთ, ხოლო თვითონ მიმართულება როგორი იქნება: კეთილი ნაყოფის გამოძღვები, თუ პირიქით, ილიას აზრით, ეს მასზეა დამოკიდებული, როგორ არის მოწყობილი და აგებული პროგრამა სწავლებისა. პროგრამა კი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ქვეყანას სულითა და გულით ამაღლებული, გონებაგზსნილი ქართველი აღუზარდოს. „სკოლამ უნდა მოუზადოს ერს გონებითა და გულით იმდენად გაღვიძებული კაცი, რომ იგი საკუთარი ჭკუითა და გულით გაუჭირვებლად გაუძღვეს იმ სულიერსა და ხორციელ პატარა მოედანს, სადაც ერის უმრავლესობა სულს იბრუნებს, სულითა და ხორციით იღვწის და მოქმედებს. ...აი, ამ დიდსა და მძიმე დანიშნულებას უნდა მისდევდეს საერო სკოლა და მარტო ამის მიხედვით იყოს უნდა მოწყობილი და აგებული. სხვა საგანი სკოლას არა აქვს“... შემდგომ ამისა, წმ. ილია მართალი არკვევს, რა საშუალებითა და ღონისძიებებით შეუძლია სკოლას აღსრულება თავისი განსაკუთრებული და მძიმე დანიშნულებისა, იხსენებს რას ამბობენ ამის თაობაზე პედაგოგიური მეცნიერების გამოჩენილი მკვლევრები და ასკვნის, რომ ამგვარი ღონე სკოლისა და საერთოდ განათლებისათვის მშობლიური ენა — დედა ენაა. „უედაეწოდ ბავშვისათვის გონების გახსნა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების სახსარი კი არ იქნება, არამედ გონების დაჩაგვრისა, გონების დახშვისა, დათრგუნვისა, გათახსირებისა, — განა ეს შეიძლება ვინმესათვის სასურველი იყოს?“ — წერს იგი.<sup>2</sup>

არც დღეს უარყოფს არავინ და არც ილია ჭავჭავაძე უარყოფდა უცხო ენათა შესწავლის აუცილებლობას ახალგაზრდისათვის, მაგრამ ისინი მხოლოდ გარკვეული ასაკიდან უნდა ისწავლებოდეს და ისიც არა მშობლიური ენის შევიწროების ხარჯზე. პედაგოგიკის აღიარებული კანონებით, ვიდრე ბავშვს საკუთარი ძირები არ გაუმაგრდება და იმაზე ვარჯიშით არ განათლდება, რაც მისთვის მახლობელია, და იმ ენას არ შეისწავლის, რომელიც ღვიძლი და მისიანია<sup>3</sup>, მისი სულიერი ძალები უცხოთა და შორეულზე არ უნდა ვავარჯიშოთ.

ჩატარებული რეფორმა ამკარად დაუპირისპირდა პედაგოგიურ მეცნიერებაში აღიარებულ ზემოხსენებულ თვალსაზრისს, რომელსაც ილია ჭავჭავაძეც იზიარებდა, იმის თაობაზე, რომ განათლებას საფუძვლად დედა ენის კარგი ცოდნა უნდა დაედოს. დღეს ქართულ ენას, როგორც სასკოლო ისე უმაღლეს განათლებაში, უდავოდ დაკარგული აქვს ის ადგილი და უფლებები, რომელიც მას საბჭოთა კავშირის განათლების სისტემაში

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. VI, თბ., 1997. გვ. 9-10.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 425-430.

<sup>3</sup> თხზულებათა ანტოლოგიური, ტ. VIII, 132-133.



ჰქონდა; უფრო მეტიც; დღეს მის არსებობას, როგორც მეცნიერების ენისა, რეალური საფრთხე დაემუქრა, თუ ასე გაგრძელდა, უმოკლეს ხანში, გამოყენების ასპარეზის დაეწროებასა და შემცირებასთან ერთად, ფუნქციებიც შეუმცირდება და იგი საოჯახო, ე. წ. საშინაო ენადღა დარჩება. სხვათა შორის რეფორმის ნამდვილი მიზანი, რომ სწორედ ეს იყო, თვითონ რეფორმატორებმაც გაამჟღავნეს. რადგან მიზანს რეფორმის გატარებისა ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით შედარებით ადვილად მიაღწიეს, გული მოეცათ და ერთ-ერთმა მათგანმა საჯაროდაც კი განაცხადა, საქართველოს სახელმწიფო ენა ინგლისური უნდა იყოსო. რა შეიძლება იყოს იმაზე დიდი სიყალბე, სახელმწიფო თავს დამოუკიდებლობით იწონებდეს, დამოუკიდებლობის მიღების დღეს ზეიმით აღნიშნავდეს და სახელმწიფო ენად (ანუ განათლების ენად) უცხო ენა ჰქონდეს? რა დამოუკიდებლობაზე შეიძლება ამ დროს ლაპარაკი? არადა როგორც კი უმუშევრობისა და უზომოდ გაზრდილი გადასახადებისაგან ეკონომიურად უკიდურესად შეჭირვებული უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა ხმის ამოღებას დააპირებს, დაჩივლების უფლებას არ აძლევენ და წამდაუწუმ შეახსენებენ — სამაგიეროდ დამოუკიდებლები ვართო. მაშინ რას ვერჩოდით საბჭოთა იმპერიას? საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით ქართულ ენას ათეულობით წლების განმავლობაში მყარად ჰქონდა შენარჩუნებული სახელმწიფო ენის სტატუსი. მართალია, ერთი პირობა სტატუსის შეცვლა სცადეს, მაგრამ ჩვენმა ხალხმა, საუკეთესო შვილების მეთაურობით, მისი დაცვა შეძლო, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იმპერიის ხელისუფლებასაც ეყო გონიერება და კონსტიტუციაში ცვლილების შესატანად ძალა არ გამოუყენებია.

შეიძლება ვინმემ იკითხოს: რა მაძლევს იმის განცხადების უფლებას, რომ რეფორმის შედეგად ქართული ენა ბევრად უფრო დაბალ დონეზე ისწავლება, ვიდრე ის რეფორმამდელ სკოლაში ისწავლებოდა?

საკამათო არაა, რომ რომელიმე კონკრეტული საგნის, მათ შორის ქართული ენის, კარგად შესწავლისათვის კარგ პედაგოგთან ერთად კარგი სახელმძღვანელოცაა საჭირო, ხოლო კარგი სახელმძღვანელოს შექმნას განსწავლული ავტორი და სწორად შედგენილი პროგრამა სჭირდება. პროგრამა რომ სწორედ შედგეს, მიზნად მოცემულ საგანში მოწაფისათვის, მისი ასაკის შესაფერისი, მაგრამ საფუძვლიანი ცოდნის მიცემას უნდა ისახავდეს. ამგვარი ცოდნის მისაცემად აუცილებელია: 1. კონკრეტული საგნის პროგრამა, განათლების საფეხურის შესაბამისად, ამ საგნის ძირითად საკითხებს სრულად მოიცავდეს და 2. ეს საკითხები თანმიმდევრულად ანუ მათი თანდათანობით გართულების მეთოდით უნდა ისწავლებოდეს.

რეფორმის შედეგად ცალკეულ საგნებში, მაგალითად, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ახლადშედგენილი პროგრამის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ რეფორმის ძირითადი მიზანი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ცალკეულ საგნებში არა საფუძვლიანი, არამედ ინფორმაციული ხასი-

ათის ცოდნის მიცემაა. უწინარესად ამაზე მეტყველებს ინტეგრირება როგორც საბუნებისმეტყველო, ისე ჰუმანიტარული საგნებისა, მაგალითად, ქართული ენისა და ლიტერატურისა. ბუნებრივია, რომ ინტეგრირებული საგნისათვის შედგენილი პროგრამა შეუძლებელია სრულად მოიცავდეს იმ ძირითად საკითხებს, რომელნიც კონკრეტული საგნის საფუძვლიანად შესწავლისათვისაა საჭირო. საზოგადოებისათვის უმოწყალოდ შეკვეცილი პროგრამების შინაარსობრივი სიმწირე რომ დაეფარათ, იგი გარეგნულად გართულებული ფორმით შენიღბეს. სწორედ ეს ხელოვნურად გართულებული, ზმირად უბრალოდ გაუგებარი ფორმა ითვლება იმ პროგრესულ სიახლედ, რომელმაც თითქოს ძველი და დრომოჭმული უნდა შეცვალოს.

ბუნებრივია, განუწყვეტელი ცვალებადობა ადამიანის ამქვეყნიური ყოფის განუყრელი თანამგზავრია, მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა, რომ ადამიანისათვის, რომელსაც შემოქმედმა თავისი ხატი მარადიულად უბოძა, მარადიული, წარუვალი ღირებულებებიც არსებობს, რომელთა ხელყოფაც ადამიანის სულის გაღარიბებასა და მისი ცოდვით ისედაც დაზიანებული გონების კიდევ უფრო მეტად დაზიანებას იწვევს. ერთ-ერთი ასეთი ღირებულებათაგანი საფუძვლიანი ჭეშმარიტი განათლებაა, რომელსაც, რა თქმა უნდა, ინფორმაციული ხასიათის ცოდნა ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეცვლის. ისევ ილია ჭავჭავაძეს მოუხსმინოთ: „ჭეშმარიტი განათლება განვითარებული გონებისა და გაწვრთნილი ზნე-ხასიათის ერთმანეთთან განუყრელი შეუღლებაა. თუ კაცს ან ერთი აკლია, ან მეორე, იგი განათლებული არ არის“.<sup>4</sup> მაშასადამე, ცოდნის მიღებამ ადამიანს ზნე-ხასიათის წვრთნას ანუ სულის დახვეწასა და ამაღლებას უნდა შეუწყოს ხელი, რითაც მიიღწევა კიდევ ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების მთავარი მიზანი — მარადიული ცხოვრების მოპოვება.

მისი მარადიული ღირებულებიდან გამომდინარე ამბობენ სწორედ, რომ განათლების სისტემაში სიახლის დანერგვა ამ სისტემის ცოდნასთან ერთად დაფიქრებას, ღრმად განსჯასა და შედეგების გათვალისწინებას მოითხოვს.

ახლა შევეცდები ის, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, პრაქტიკულად ერთი კონკრეტული სახელმძღვანელოს მაგალითზე წარმოვაჩინო. ესაა სახელმძღვანელო ქართულ ენასა და ლიტერატურაში მე-7 კლასისათვის, სახელმძღვანელოს აწერია, რომ იგი რეკომენდებულია ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ და წარმატებით პილოტირებულია საქართველოს სკოლებში განათლების რეფორმის პროექტ „ილია ჭავჭავაძის“ ფარგლებში 2005-2006 წელს. სახელმძღვანელოს გაცნობა იმდენ კითხვას აჩენს, რომ ყველას აქ მოტანა და პასუხის გაცემა გაგვიჭირდება. დაეიწყოთ იქიდან, რომ უწინარესად იგი ადასტურებს ზემოვამოთქმულ შეხედულებას იმის თაობაზე, რომ განათლების რეფორმის მიზანი სკოლაში

<sup>4</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა ანთომეული, IV, გვ. 293-4.

არა საფუძვლიანი ცოდნის, არამედ ზერეულე, ინფორმაციული, ხასიათის ცოდნის მიცემაა. ამაში მხოლოდ სარჩევის გადათვალეურებაც დაგარწმუნებთ; თემატიკა ადვილად მიგახვედრებთ, რომ სახელმძღვანელოს პრეტენზია აქვს არა მხოლოდ ლიტერატურა ასწავლოს, ამ ცნების საკუთრივი გაგებით, არამედ მისი დამოკიდებულებაც ხელოვნების სხვა ისეთ დარგებთან, როგორცაა მუსიკა, ფერწერა, თეატრი... ბუნებრივად ჩნდება კითხვა: შეიძლება კი 12-13 წლის ბავშვს (მე-7 კლასში ძირითადად ამ ასაკისანი სწავლობენ) ხელოვნების ზემოთ დასახელებულ დარგებზე ისეთი ცოდნა ჰქონდეს, რომ ლიტერატურასთან მათი მიმართება გაარკვიოს? რა თქმა უნდა, — არა. მაგალითად, რუბრიკაში „პოეზია და ფერწერა“ წარმოდგენილია დავით კაკაბაძის „იმერეთი — დელაჩემი“, ნიკო ფიროსმანის „არსენალის მთა ღამით“, ფრანგი მხატვრების: კლოდ მონეს, ედგარ დეგას, პოლ სეზანის ფერწერული ტილოები და მათი შთაგონებით შექმნილი ლექსები მამუკა სალუქვაძისა. ახლა ვნახოთ კითხვები, რომლებითაც სახელმძღვანელოს ავტორ-შემდგენელი მოსწავლისაგან მოითხოვს განმარტებას, როგორ აისახა სიტყვიერ ხელოვნებაში ფერწერით უკვე ასახული სინამდვილე და თავად განსაჯეთ, რა დონის ცოდნა უნდა ჰქონდეს მოსწავლეს, როგორც ლიტერატურის თეორიის, ისე ფერწერის ხერხებისა, რომ მათზე სწორი პასუხების გაცემა შეძლოს.

გასაგები მიზეზების გამო დასმული რვა კითხვიდან რამდენიმეს მოვიტანთ:

1. კარგად თუ დააკვირდებით დავით კაკაბაძის ნახატს, უთუოდ შენიშნავთ, რომ შორეული და ახლო ხედები განსხვავებულად არის გამოსახული. როგორ აისახა ეს განსხვავება მამუკა სალუქვაძის ლექსში?

2. რა განწყობილებას ქმნის ლექსის პირველსავე ტაქტში ნახსენები ჩამავალი მზე? (რომელი სიტყვები ეხმიანება მას ბოლო სტროფში?)

3. ხალხურ ლექსში ნათქვამია: „ბინდისფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება“, ამჯერად როგორ გახშიანდა ხალხური ლექსის ეს სიტყვები?

4. ფერწერულ ტილოზე დედის ფიგურის უშუალო სიახლოვეს ყველაფერი ზედმიწევნითი სიზუსტით არის დახატული (სხვათა შორის ვერ დავეთანხმებით კითხვის ავტორს; დავით კაკაბაძის ხატვის მანერა საგნების ზედმიწევნითი სიზუსტით ასახვას არ გულისხმობს). თქვენი აზრით, რატომ გამოარჩია მათგან პოეტმა მაინცდამაინც ბაბუაწვერა და მის თავზე მოფარფატე თეთრი პეპელა? და ა. შ.

იმისათვის, რომ სწორად გააანალიზოს, რამდენად ადეკვატურად გადმოსცემს მ. სალუქვაძე პოეტური სიტყვით იმ განწყობილებას, რომელიც ფრანგი მხატვრების ფერწერულ ტილოებზე ფერებითაა გადმოცემული, მოწაფემ აუცილებლად უნდა იცოდეს, რას ნიშნავს იმპრესიონიზმი ფერწერაში, რითი განსხვავდება იგი რეალისტური მხატვრობისაგან და რა

ხერხებს იყენებს სინამდვილის გადმოსაცემად. რამდენადაც ასეთი ცოდნა, ჩვეულებრივ, ამ ასაკის ბავშვებს არ აქვთ, ამდენად ავტორ-შემდგენლის მიწოდებული მასალისგან მათ შეიძლება მხოლოდ ინფორმაცია დარჩეთ იმის შესახებ, რომ არსებობდნენ ქართველი თუ ფრანგი მხატვრები, რომელთა ფერწერულ ტილოებს მ. სალუქვაძემ ლექსები მიუძღვნა.

შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ასეთი ინფორმაციებიც საჭიროა; რა თქმა უნდა, ინფორმაციათა მიწოდება ცუდი არაა, მაგრამ მე-7 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოში მათ ადგილს ვერ ვხედავთ, მით უმეტეს მაშინ, როცა თვითონ ლიტერატურის პროგრამაა შეკვეცილი. ამგვარი ინფორმაციის მიწოდებაზე ბევრად სასარგებლო იქნებოდა მოსწავლეებს არა ნაწყვეტების სახით, არამედ მთლიანად შეესწავლათ ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი!“ „ანალიზითა და პერსონაჟთა დახასიათებით; იგივე უნდა ვთქვათ აკაკი წერეთლის პოემის „თორნიკე ერისთავის“ შესახებაც, რომელიც სახელმძღვანელოში არასრული სახითაა წარმოდგენილი. გაუგებარია, რამ განაპირობა პოემის ზოგიერთი თავის შინაარსების პროზით გადმოცემა. მაინც რა უშლის ხელს იმას, რომ ქართველი მოწაფე ჩვენი დიდი პოეტის მშვენიერ პოემას იმ სახით გაეცნოს, როგორც იგი თავად პოეტმა დაწერა? აქაც ხომ, განსხვავებით ჰაგიოგრაფიული თხზულებებისგან, ენისა და შინაარსის სირთულეს ვერ მოვიმიზეზებთ, მით უმეტეს იმ სირთულის ფონზე, რომელსაც მოწაფე, როგორც ვნახეთ, აუცილებლად წააწყდება რუბრიკებში „პოეზია და ფერწერა“, „პოეზია და მუსიკა“ და ა. შ.

მსგავსი რუბრიკებით (მაგ.; „წერილი“, „რას წერენ გაზეთში?“, „ინტერვიუ“, „მკითხველის თეატრი“ და ა. შ.). სახელმძღვანელოს გადატვირთვას, ვფიქრობთ, ბევრად სჯობდა ავტორ-შემდგენელს უფრო უხვად წარმოედგინა წმინდა ლიტერატურული მასალა — მშვენიერი ნიმუშები ქართული პოეზიისა და პროზისა, რომელთა სიმრავლეც, საბედნიეროდ, მათგან საუკეთესოთა ამორჩევის საშუალებას იძლევა; თუცა რა უხვად წარმოედგინაზე ვსაუბრობთ, როცა ის ცნობილი ნაწარმოებებიც, რომელთა შესახებაც ზემოთ აღვნიშნეთ, შემოკლებული სახითაა მოცემული?

გაუგებარია, რა პრინციპითაა მოცემული ჯერ ტექსტში არსებული ძნელად გასაგები სიტყვების ლექსიკონი და მერე თვითონ ტექსტი? რატომ ჯერ ლექსიკონი და შემდეგ ტექსტი? ხომ ყოველთვის ყველა სახელმძღვანელოში პირიქით იყო: ჯერ ტექსტი და შემდეგ ლექსიკონი. რითია განპირობებული ეს სიახლე? სახელმძღვანელოს ავტორები ხომ თვითონვე აღნიშნავენ, რომ ტექსტში არსებული გაუგებარი სიტყვების მნიშვნელობის ამოცნობაში ზშირად კონტექსტი გვეხმარება? (გვ. 259).

ყველაზე რბილად რომ ვთქვათ, არა მხოლოდ გულდასაწყვეტი, არამედ გაუმართლებელიცაა „ვეფხისტყაოსნის“ ნაწილ-ნაწილ სწავლება ბავშვებისათვის. განსახილველი სახელმძღვანელოდან შევიტყვევ, რომ რაღაც ნაწილი პოემისა მე-6 კლასშიც ისწავლება, ნაწილი მეშვიდეში და, ალბათ,


ნაწილიც მომდევნო კლასებში. როგორც ეს „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი თავის შინაარსის პერიფრაზის სახით გადმოცემამ მიმახვედრა, პროგრამის მიხედვით, „თორნიკე ერისთავის“ მსგავსად, არც „ვეფხისტყაოსნის“ სრულად შესწავლაა გათვალისწინებული. პოემის ნაწილ-ნაწილ და ისიც არასრულად მიწოდებულმა ტექსტმა რა შთაბეჭდილება უნდა შეუქმნას მოსწავლეს ამ გენიალური ქმნილების შესახებ? რა თქმა უნდა, მას შთაბეჭდილებაც ზედაპირული შეექმნება და ცოდნასაც მხოლოდ ინფორმაციული ხასიათისას მიიღებს, ანუ ეცოდინება, რომ არსებობდა პოეტი შოთა რუსთაველი, რომელმაც დაწერა პოემა ვეფხისტყაოსან ტარიელზე. მაგრამ არ ეცოდინება, რა მარადიულ ღირებულებებს ქადაგებს მისი ავტორი და რა შთამბეჭდავდაა განსხეულებული ეს ღირებულებანი მხატვრული სიტყვის მეშვეობით. სხვათა შორის, ცნობილია, რომ ცუდად და ზერელედ შესწავლა რომელიმე თხზულებისა, საკითხის თუ მოვლენისა ხშირად მათ ღრმად შესწავლას მომავალშიც უშლის ხელს.

როგორც ეს წერილის შესავალშივე გამოიკვეთა, იგი არა ცალკეულ სახელმძღვანელოთა კრიტიკული განხილვის, არამედ რეფორმის არსისა და მიზნების სამხილებლად დაიწერა. დარწმუნებული ვარ, განსახილველი სახელმძღვანელო ძირითადად რეფორმის მიერ წაყენებულ მოთხოვნათა შესაბამისად შეიქმნა. ვერ დავიჯერებ, რომ ავტორ-შემდგენლის პიროვნული გადაწყვეტილებით ისწავლება „კაცია ადამიანი?“, „თორნიკე ერისთავი“ და მით უმეტეს „ვეფხისტყაოსანი“ ნაწყვეტებისა თუ შემოკლებული სახით.


იგივე უნდა ვთქვა სახელმძღვანელოს გრამატიკულ ნაწილზეც. მისმა ავტორ-შემდგენელმა ჩემზე უკეთ იცის, რომ ენის საფუძვლიანად შესწავლა უმარტივესი საკითხებით იწყება და თანდათანობით რთულდება, თუმცა ახლა სახელმძღვანელოებს სხვა პრინციპებით ადგენენ, რაშიც ამ ბოლო წლებში გერმანულ ენაზე გამოცემულმა ძველი ბერძნული ენის სახელმძღვანელომაც დამარწმუნა, რომელშიც ზმნა ყველაზე რთულად საწარმოებელ დროებში უკვე პირველივე პარაგრაფში იყო მოცემული. აქვე შევნიშნავ, რომ სტუდენტებისათვის ასე არათანმიმდევრულად მიწოდებულმა გრამატიკულმა მასალამ კეთილი შედეგი ვერ გამოიღო. როგორც ამ საგნის პედაგოგი, უშუალოდ დავრწმუნდი, რომ ენის ღრმა და საფუძვლიანი სწავლებისათვის მასალის გადაცემისას აუცილებლად თანმიმდევრულობის დაცვაა საჭირო. იგივე შემიძლია ვთქვა მე-7 კლასის სახელმძღვანელოს გრამატიკულ ნაწილზეც. ალბათ მისი ავტორ-შემდგენელიც დამიდასტურებს, რომ მასში, არც თუ ისე იშვიათად, მეშვიდეკლასელი მოწაფისათვის ისეთი მასალაა მიწოდებული, რომელიც ძველ, რეფორმამდელ უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე ცალკე საგნად, სახელწოდებით „ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა“, ისწავლებოდა.

არც ის უნდა იყოს სადაო, რომ გრამატიკაში ჯერ წესი უნდა ისწავლებოდეს და მაგალითებით შემდეგ უნდა ხდებოდეს მისი გათვალსაჩინოე-

ბა და არა პირიქით. ცალკეულ მაგალითებს მართლწერისა მოწაფე ისე ვერ განაზოგადებს, რომ მათთვის ერთი საერთო წესი დაადგინოს. რადგან ყველა ცალკეული მაგალითის დამახსოვრება შეუძლებელია, სწორად წერასა და მეტყველებას უწინარესად სწორედ საერთო წესის ცოდნა განაპირობებს, რა თქმა უნდა, გამონაკლის შემთხვევათა გათვალისწინებით, რომელთა დამახსოვრებაც სწორედ მათი გამონაკლისობის ანუ სიმცირის გამო ბევრად ადვილია.







## მამუკა ცუხიშვილი

### ღავითგარეჯი

წინამდებარე წერილის მიზანი არის ღავითგარეჯის, როგორც საქართველოს ისტორიის შემადგენელი ნაწილისა და როგორც უდიდესი სასულიერო, საეკლესიო, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დანიშნულების სამონასტრო კომპლექსის კუთვნილების საკითხის გარკვევა.

ღავითგარეჯის შესახებ დღემდე არაერთი მონოგრაფია და ნაშრომი შეიქმნა, არაერთი მეცნიერი, მკვლევარი თუ მოხალისე შეუხო თავისი კალმით მის წარსულს; ამდენად არ ჩავთვალეთ საჭიროდ გადმოგვეწერა (როგორც სწვევათ ჩვენში) მისი უდიდესი წარსულის მატთანე... აქ თავი მოვუყარეთ ამონარიდებს სამეცნიერო შრომებიდან, რომლებშიც საუბარია ღავითგარეჯის კუთვნილების შესახებ. მათ საფუძველზე შეგვიძლია ზმამაღლა, მთელი მსოფლიოს გასაგონად ვთქვათ — **ღავითგარეჯის მთელი სამონასტრო კომპლექსი დღიდან დაარსებისა (VI ს.) დღემდე ეკუთვნის საქართველოს, როგორც სარწმუნოებრივ-ისტორიული, ისე ტერიტორიული თვალსაზრისით**

ღავითგარეჯის მონასტრები თავისი ნაგებობებით, ტაძრებითა და მიწამამულებით არასოდეს არ გასცილებია საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებს და ის დღემდე რჩება არა მარტო ჩვენი ქვეყნისა და ერის, არამედ მსოფლიოს რელიგიური, კულტურული და პოლიტიკურ-სოციალური მემკვიდრეობის ერთ-ერთ უმთავრეს ბურჯად.

ღავითგარეჯის ტერიტორიების ხელყოფის მცდელობისას არაერთხელ მომხდარა საღვთო სასწაული, რომლის ნათელი დადასტურებაცაა მიწისძვრა ზუსტად იმ დროს, როდესაც გვედავებოდნენ და სწორედ იმ ქვეყანაში, რომელიც გვედავებოდა ჩვენს კუთვნილს, ჩვენს წარსულსა და მომავალს!

შთამომავლობას კი შევახსენებთ – ღავითგარეჯი საქართველოა! საქართველო ღავითგარეჯია და მისი დაცვა, მოვლა, პატრონობა, გაფრთხილება, თუნდაც სიცოცხლის ფასად, ჩვენი მოვალეობაა!

## შესავალი

„ქართლის ცხოვრების“ ჯუანშერისეულ ტექსტში ვკითხულობთ: „... და მოკუდა კათალიკოსი ჩერმაგ, და ამანეე, ფარსმან მეფემან, დასუა საბა. აქადგან არღარა მოიყვანებოდეს კათალიკოსსა საბერძნეთით, არამედ ქართველნი დასხდებოდეს, წარჩინებულთა ნათესავნი და მოკუდა კათალიკოსი საბა, და მანვე მეფემან დასუა კათალიკოსად ევლათი. მეფე ფარსმანის-ზე მოვიდა იოვანე შუამდინარით, რომელსა ეწოდა ზედაზნელი, განმანათლებელი ქართლისა და განმწმენდელი სჯულისა, მაშენებელი ეკლესიათა, რომელმან ქმნა სასწაულები და ნიშები მრავალი“<sup>1</sup>.

ამავე გვერდზე, ჩანართში ჩამოთვლილია ასურელი მამები სრულად: „იოვანე ზედაზნელი, დავით გარესჯელი, სტეფანე ხირსელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი, ანტონ მარტომყოფელი, ისე წილკნელი, თათე სტეფანწმინდელი, შიო მღვიმელი, ისიდორე სამთავნელი, აბიბოს ნეკრესელი, მიქაელ ულუმბოელი, პიროს ბრეთელი და ელია დიაკონი“<sup>2</sup>.

მოძღვრისა და წინამძღოლის იოვანე ზედაზნელის შემდგომ ყველგან და ყველა ჩამონათვალში გვხვდება დავით გარე(ს)ჯელი, რომელზეც ჯუანშერი წერს: „წმიდა მამა დავით იყო ქუეყანით შუამდინარით, რომლისა მშობელთა არა მეცნიერ ვართ. ესე დამოწაფებული იოვანეს თანა მოვიდა, და განვიდა გარესჯასა უდაბნოსა, ერთის ოდენ მოწაფითა, რომლისა სახელი [არს] ლუკიანე“<sup>3</sup>.

როგორც ვხედავთ, უძველესი ქართული წერილობითი ძეგლი მოკლედ და ლაკონურად აღწერს დავითის, ცამეტთაგან ერთ-ერთი ასურელი მამის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ადგილს, რომელსაც ერქვა გარეჯა/გარეჯი.

დავითზე იმავე ცნობას გვაწვდის ვახუშტიც: „დავით-განმანათლებელი და აღმაშენებელი ეკლესია-მონასტერთა გარეჯის უდაბნოისა“<sup>4</sup>.

ჯუანშერის შემდეგ დავითგარეჯს შეეხო ჟამთააღმწერელი, რომელიც XIII საუკუნის 70-იანი წლების მოვლენებზე მოგვითხრობს: „მეფემ ალაშენა პალატსა შინა მონასტერი, ისანთა, საყოფელად მეტეხთა ღმრთისმშობელისა, და შეამკო განგებითა დიდითა, და შესწირნა სოფელნი და ზუარნი და განუჩინა მონაზონთა საზრდელი და სამოსელი. და განაგო განგებითა კეთილითა. და წარვიდა ურდოსა, და მას შინა ყოფასა მეფისასა სთხოვეს საფასე ურიცხუ მეფესა, განზრახვითა სადუნისითა. რქუა მეფესა სადუნ: „უკეთე მომცე დმანისი, მე მივსცე საფასე ყაენსა“. ისმინა მეფემან, და უნებლიად მისცა დმანისი და მიმდგომი მისი... ხოლო იქმნა კეთილიცა საქმე მონასტერთა და გლახაკთა მიმართ, რომელი დღეთა ცხოვრებისა მისისათა მან მისცა ყალანი და მალი ათორმეტთა უდაბნოთა გარესჯისათა,

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 207.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 208.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 209.

<sup>4</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ვახუშტი, გვ. 118.

და განათავისუფლა ქუეყანა გარესჯისა, და მსახურებდა მეფესა დიმიტრის<sup>55</sup>.

ეს ხდება XIII საუკუნის II ნახევრის საქართველოში, მაშინ როდესაც მეფე დემეტრე (იგივე დიმიტრი) II-მ „სამონღოლო“ ვალდებულებათაგან (ყალბი და მალი) განათავისუფლა გარეჯის მონასტერი, რომელიც გარკვეული პერიოდი დაპყრობილი ჰქონდათ მონღოლებს. მართალია, მტერმა სანაცვლოდ დმანისი მოითხოვა, მაგრამ ესეც დროებითი აქტი იყო. დედაეკლესიის წიაღში დაბრუნებული და მტრისაგან განთავისუფლებული დავითგარეჯის სრული სამონასტრო კომპლექსი ამიერიდან (1277-1278 წწ.) უშუალოდ მეფეს ექვემდებარებოდა. სამეფო კარს ასევე ნაბრძანები ჰქონდა მიმდებარე ტერიტორიების განკარგვა, მზრუნველობა და მეთვალყურეობა, რითაც კიდევ უფრო განმტკიცდა ისტორიული სამონასტრო ანსამბლის სიძლიერე.

იმთავითვე უდიდესი საეკლესიო-სასულიერო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა წმიდა დავითის მიერ დაარსებულმა სულიერების ნავთსაყუდელმა. ეჭვგარეშეა ის ფაქტი, რომ აქ მოღვაწე სასულიერო პირებს გადამწვევტი სიტყვა ეთქმოდათ შუა საუკუნეების საქართველოში: „მოუწოდა მეფემან კათალიკოსსა აბრაჰამს და ეპისკოპოსთა, მონასტერთა და უდაბნოთა გარესჯისა მღვდელ-მონაზონთა, და ყოველთა მთავართა სამეფოსა მისისა“<sup>56</sup>.

ისევე როგორც გელათის მონასტრის წინამძღვარი, გარეჯის „ათორმეტთა მონასტერთა“ არქიმანდრიტი (ე.წ. დიდი მონასტრის წინამძღვარი, მმართველი კომპლექსში შემავალი ყველა მონასტრისა) მონაწილეობს სამეფო კართან არსებული დიდი დარბაზის მუშაობაში. ხოლო XVI საუკუნიდან ამავე დარბაზის სრულუფლებიანი წევრები არიან ანჩის საარქიმანდრიტო მონასტრის დაწინაურებული მღვდელმსახურები და „გარეჯელნი“, ანუ გარეჯის „ათორმეტთა“ მონასტრის წინამძღვრები.

გარდა იმისა, რომ დავითგარეჯის მონასტრის მონაწილეობა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში დადასტურებულია, ასევე ცნობილია ორი ფაქტი. პირველი: მონასტრის ძმობას ევალებოდა „გარეჯული ძღვენით“ ანუ ტკბილეულითა და დესერტით მოემარაგებინა სამეფო ოჯახი. ძღვენში შედიოდა გარეჯის ბაღებში მოწეული ხილი და თაფლი, რომელიც სრულიად საკმარისი იყო წლიდან წლამდე. მეორე: სამეფო ოჯახში, საშობაო და სააღდგომო მარხვების დროს, მონასტრიდან მიწვეულ ორ მღვდელმსახურს უფლება ჰქონდა აღესრულებინა საღმრთო ლიტურგია და სტუმარ-მაჰინძლებისთვის წაეკითხა სახარება და ფსალმუნები.

როგორც ვიცით, უშუალოდ დავითგარეჯის მიმდებარე ტერიტორია მოუსავლიანი და უწყლო იყო, თუმცა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში იქ მოღვაწე სასულიერო პირები არა მხოლოდ საკუთარ თავს ირჩენდნენ, არამედ სამეფო ოჯახს ტკბილეულ-დესერტით ამარაგებდნენ და მონასტერში მისულ სტუმრებსაც პირნათლად უმასპინძლებოდნენ.

<sup>55</sup>ქართლის ცხოვრება, ჟამთააღმწერელი, თბილისი, 1959, ტ. II, გვ. 271.

<sup>56</sup>იქვე, გვ. 267.

იბადება კითხვა: საიდან ჰქონდათ ამდენი შესაძლებლობა? — ღმრთის წყალობითა და მუხლჩაუხრელი შრომით.

მონასტრის სამხრეთით (თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიების – ყაზახისა და აღსტაფის რაიონების – სიახლოვეს), ქართულ მიწებზე და იქვე მონასტრის მახლობლად გაშენებული ბაღ-ვენახები, ბოსტნები და სათიბ-საძოვრები სანიმუშოდ მოვლილი და, ამდენად, მოსავლიანი იყო.

„თუმცა გარეჯის ლავრა უწყლოა და ცხელი, მაგრამ უწინ მშრომელი ბერებიტგან დარგულა ხეუმი ხეხილი: ნუში, ჭერამი, ატამი, კაკალი, თუთა, ხართუთა და სხვა. განგებ მათთვის გაკეთებულ მოფერდო ალაგზედ, ქვა და მიწით შემაგრებულ ხეებში, პირიდან აყოლებული, ვიდრე უდაბნოს მთის თავამდე, ერთი მეორეზედ მოშორებით, თითქოს გალაგნით, ნაკვეთ-ნაკვეთ, მიწებად დაყოფილი; როგორც ბაღი, ისე დარგული ხეხილი და მწვანე თივა ახარებენ მნახველის გულს. ამნაირად არიან გარესჯის უდაბნოს ყველა კალთები და მონასტრების ადგილები“<sup>7</sup>.

შენიშვნის სახით ვიტყვი, რომ მღვდელ-მონაზონ კალისტრატე ჩიჩუას მიერ აღწერილი ეს ეპოქა მეტად დარიბია ყოველი თვალსაზრისით; დავით-გარეჯში მხოლოდ ნათლისმცემლის მონასტერი აგრძელებდა სიცოცხლეს, თუმცა ნაშთი ძველი დიდებისა ნამდვილად იგრძნობოდა XIX საუკუნის 80-იან წლებშიც.

1810 წელს გამოცემულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ნათლისმცემლის მონასტრისა არის – პირველი სოფელი ხაშში, სანატრელის მეფის ირაკლის მოწყალებით და შეწევნით აშენებული, სოფელ მანავში აქვს ზვრები, რომლისგანაც ბერების მუშაკობით მოვისთველებით ასს საპანეს ღვინოს; აქვს სოფელი კახეთში საბუე; კუალად სოფელი ფაშანი, სოფელი სამღებრო, სოფელი ჭვიროსი...“<sup>8</sup>. ამ სოფლებიდან მიღებული შემოსავლითა და ბერთუბნის მიმდებარე საძოვრებით ეკონომიკურად ღონივრად გრძნობდა თავს დავითგარეჯის უდიდესი სამონასტრო კომპლექსი.

ის, რომ დავითგარეჯი გარეკახეთში მდებარეობს და საუკუნეების წინ სწორედ საქართველოს ამ საზღვრებთან ელნი (მომთაბარე ტომები) მხოლოდ დროებით დასცემდნენ კარებს, ირკვევა შემდეგიდან: „ჭალას ქუეთ, მტკურის მახლობლად დროებით ესახლნენ ელნი დემურჩასალნუ, საესენი პირუტყვითა, რამეთუ ზამთარ სითბოთი და ტყითა და ბალახითა მოუკლებელი არის ადგილი ესე და პირუტყვი მათნი დგებოდნენ გარეჯის მთასა ზედა, რამეთუ რაოდენნი წყარონი სდიან მთასა მას, მლაშენი არიან და პირუტყუთა შემრგონი“<sup>9</sup>.

როგორც სადღეისოდ გავარკვეეთ, ერთადერთი ადგილი, სადაც ეს „მლაშენი წყალნი სდიან“, არის თანამედროვე ბერთუბნის მონასტრის მიმ-

<sup>7</sup> კალისტრატე, მღვდელ-მონაზონი, დავითგარეჯი, თბილისი, 1884, ე.ხელადის სტამბა, გვ. 25.

<sup>8</sup> ხელ. საბ. N: 1771.

<sup>9</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ვახუშტი, გვ. 332.

დებარე ალაგები, რომლებიც მაშინაც და დღესაც ეკუთვნოდა და ეკუთვნის საქართველოს...

მომავალი თაობისათვის გაუგებარი, გაურკვეველი და „სამკითხაო“ რომ არ ყოფილიყო, ვინ იყვნენ ელნი, საიდან მოვიდნენ და რატომ იდგნენ გარეჯის მთების სიახლოვეს, ვახუშტომ თვითონვე განმარტა: „ხოლო რაოდენნი ელნი დაესწერნეთ ქართლს, ზამთარ არიან ამ ადგილებთა შინა და ზაფხულს ადგლენან ყაიყულოს\* და პალაკაციოს\*\* მთასა ზედა“<sup>10</sup>.

როგორც ვხედავთ, დავითგარეჯის ყველა მონასტერი და ტაძარი, დაარსების დღიდანვე მდებარეობდა და დღემდე მდებარეობს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე... და პირიქით, ქართველებს ჰქონდათ გავლენა ამჟამად თურქეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიების იმ ნაწილებზე, რომლებიც ზემოთ მოვიხსენიეთ (ყაიყული, პალაკაციო, ხორასანი).

ამდენად, დავითგარეჯის დამაარსებელთა და იქ მოღვაწე მამათა აგებული ტაძრები ტერიტორიულად ყოველთვის საქართველოს ეკუთვნოდა და ეს მონასტრები ყოველთვის საქართველოს ეკლესიის იურიდიქციაში შედიოდნენ.

\*\*\*

ჩვენი მიზანი არაა სრულად მოვითხროთ დავითგარეჯის ისტორია, ან მასში რაიმე ახალი ფაქტი აღმოვაჩინოთ. თუმცა ძირითადი სათქმელის თქმამდე ჩვენი ისტორიიდან რამდენიმე ისეთ ფაქტს გაგახსენებთ, როდესაც ბევრზე ეკიდა დავითგარეჯის მონასტრის მომავალი, მაგრამ ყოველდღიურად ღმრთის ნებით დღემდე არსებობს, ცოცხლობს და ზარების რეკვით გვიხმობს, რათა შინა თუ გარე მტრებისაგან დავიცვათ, როგორც უშუალოდ დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი, ისე სრულიად საქართველო!

1265 წლის გაზაფხულზე, როცა ბერქა ყაენის პირველი ამოხრებელი ლაშქრობის უმწვავესი ჭრილობები ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოშუშებული საქართველოს, მან დიდძალი ლაშქრით გადაწყვიტა მეორედ გაეგლო „მუსარი“ ივერიისათვის და: „ბერქამან მოაოხრა ქუეყანა შირვანისა, ჰერეთი, კახეთი და ყოველი იორის პირი და მოვიდა ლაშქარი ტფილისამდე, და მრავალი სული ქრისტიანე მოსწყვედეს, ხოლო ბერქა ყაენი დაღა მთათა შინა გარეჯისათა. მაშინ მოხედნა ღმერთმან ქუეყანასა ამას წყალობით და ყაენსა აბაღას, შეედვა საღმობა რამე ბერქას, და მოკუდა“<sup>11</sup>. რის შემდეგაც თანმხლები სარდლობა და ჯარი იძულებული შეიქმნა მიცვალებული ყაენიანად უკუქცეულიყო: და „წარიღეს მკუდარნი, და განვლეს კარი და-

<sup>10</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 3323.

<sup>11</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გამთააღმწერელი, თბილისი, 1959, გვ. 254.

\* *ყაიყულო* — ისტორიული მხარე აბოცის (აშოცის) ნაწილი, ახლანდელი სომხეთის რესპუბლიკის ლუკასიანის რაიონის ტერიტორია, პერიოდულად ხან საქართველოს და ხან სომხეთის გავლენის ქვეშ იყო.

\* \* *პალაკაციო* — მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, ახლანდელი თურქეთის ტერიტორიაზე; აბოცის, ჯაფახეთის, კოლა-არტაანისა და კარის (ყარისის) შემოგარენში მდებარე მიწები. ერქვა ასევე „ჩრდილი“ (თურქულად „ჩილდირი“).

რუბანდისა. ესრეთ დამშვიდნა ქვეყანა ესე“, მაგრამ მტრის ჯარმა მოსპო მტკვრის მარცხნით მდებარე სოფლები, ასევე იორისა და ალაზნის ქვემოთ მდებარე უდიდესი საფარეულები, სოფლები დიდი ხნის მანძილზე „უნაშენო“ და „აოხრებული“ დარჩა.

უშიშმესი ხვედრი ერგო თავად გარეჯის მონასტრის მეურნეობას. მის მიმდებარედ არსებული სოფლები და მამულები თითქმის განადგურდა, მწყობრიდან გამოსულმა სარწყავმა სისტემამ პრაქტიკულად აყვავებული ბალ-ბოსტნები გადააშენა. XIII საუკუნის II ნახევრიდან გარეჯის მიმდებარედ, კერძოდ, მის სამხრეთით არსებული ერთ დროს უდიდესი სამეურნეო მამულები გაუდაბურდა და საძოვარ-სანადიროდ იქცა. თუმცა, არ დანგრეულა არც ერთი ტაძარი, ისინი ღმრთის წინაშე მლოცველი წმიდა მამების ვედრების ძალამ დაიფარა, მოძალადე ყაენი კი გარეჯის მთებზე ფეხის დადგმისთანავე გარდაიცვალა!

დავითგარეჯის მონასტერთა ნაწილი, სამწუხაროდ, ვერ გადაურჩა მტრის რისხვას თემურლენგის დროსაც (1386-1404). მისმა მრავალგზისმა შემოსევებმა დიდი ზიანი მიაყენა გარეჯის მონასტრებს, რასაც მოჰყვა სასულიერო ცხოვრების მოშლა რიგ ტაძრებში: „ჩუენთა პაპათა და ნათესავთაგან გამართულნი უდაბნონი გარეჯისანი ჟამთა ვითარებითა აგარიანთა ხელითგან მოშლილი იყო“<sup>12</sup>.

ალექსანდრე I-მა (1412-1443) აღადგინა დავითის ლავრა და დოდოს რქის გაუქმებული მონასტრები და ისინი მცხეთის საკათალიკოსოს დაუქვემდებარა, რამაც საკმაოდ გააძლიერა გარეჯის მოშლილი სულიერი და სოციალურ-ეკონომიკური ბაზა. იმავე პერიოდშია აგებული აღდგომის სახელობის ტაძარი და რამდენიმე სათვალთვალო-სადარაჯო კოშკი.

1615 წლის მაცხოვრის აღდგომის ღამეს, ლიტანიობაზე გარეჯელ ბერებსა და მლოცველებს თავს დაესხა შაჰ-აბაზ I-ის მოთარეშე ლაშქარი და დაახლოებით 6000 ღმრთისმსახური და 2000-მდე მორწმუნე ამოხოცა, რის გამოც აქ სამონასტრო ცხოვრება 20-30 წლით შეწყდა.

1640 წელს კახეთის მეფის თეიმურაზის ძალისხმევით განახლდა გარეჯის მონასტრები და აღდგა ღმრთისმსახურება. „...ათორმეტთა უდაბნოთა და წმიდათა და სისხლისმსმელი და მტერი ქრისტიანეთა შაჰაბაზ და სპანი აგარიანთა კახეთსა ზედა და აღაოხრნეს მონასტერნი, უდაბნონი, სოფელნი და ქალაქნი და წარსტყვევენეს რომელიმე ტყვე და რომელიმე მახვილითა აღასრულეს და გასრულდა წამება მრავალთა და შეეძინეს ქრისტესა... ხოლო ჩუენ ლტოლვილი გარდავედით ღიხთ იმერეთს და დაყვავით წელნი ოცდა ექვსი. ხოლო მრავალმოწყალემან ღმერთმან კუალად გვანა მეფობასა და პატრონობასვე ჩუენსა ზედა და კუალად ხელი ვყავით აღმენებად უდაბნოთა და მონასტერთა თქუენთა“<sup>13</sup>.

<sup>12</sup> 1428 წლის მცხეთის სიგელი.

<sup>13</sup> თეიმურაზ I-ის გარეჯული სიგელი, 1639, ფ. 226. სმ. №1037.



ეპისკოპოსის საბა ნინოწმინდელი ბრძანებს: „ოდეს შაჰაბას კახეთი აა-ოხრა და ბატონი თეიმურაზ იმერეთს გარდავიდა, მას ჟამს დავით გარეჯის მონასტრებიც სრულად მოოხრდა და როდესაც ვითარება შედარებით განიმუხტა, როდესაც საძარცვ-სანგრევი აღარ იყო, თეიმურაზიც დაუბრუნდა კახეთს და იწყო შენება მოოხრებული კახეთისა და მონასტრებისა. მაშინ გარეჯის მონასტრები ზოგი რომელიმე მის დროში აშენდა“<sup>14</sup>.

გაურკვეველი მიზეზებით 1650-60-იან წლებში შეწყვეტილი სამონასტრო ცხოვრება განაახლა არჩილ მეფემ (1664-75 წწ.). „უდაბნოს დავით გარეჯის მონასტერს და ნათლისმცემელს ესრე და ამა პირსა ზედან რაიმე ჟამთა ვითარებისაგან თქუენი მონასტერი მოშლილი იყო და მონაზონნი აღარ იდგა“ (ხელ., ფად. №2060), — შენიშნავს მეფე გარეჯისადმი მიმართულ სიგელში.

ამას ემატება იმავე საუკუნის ერთი დოკუმენტიდან ამონარიდი: „ჟამთა ვითარებისგან მოოხრებული იყო და შენობა აღარ იყო. ბრძანებითა შანა-ოზის ძემან არჩილმან კვალად შენობა ჩააგდო (აღაშენა), მღვდელ-მონაზვნები და წინამძღვარი დაუდგინა, წლითი წლად გამოსაზრდელი საზრდო განუჩინა“<sup>15</sup>, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გარეჯის მონასტრები მნიშვნელოვანი დასაყრდენი იყო ყოველ დროში...

ერთ-ერთი უდიდესი აღმშენებლობითი ეპოქა დაუდგა დავითგარეჯს 1690-იან წლებში. მეფე ერეკლე I ნაზარალიხანმა (1688-1703 წწ.) და მცხეთის კათალიკოსმა ერთობლივი ძალისხმევით მიიღეს გადაწყვეტილება და გარეჯის მონასტრის წინამძღვრად საეკლესიო საბჭოს (ეპისკოპატს) წარუდგინეს მეტად გონებაგამჭრიახი და ენერგიული ონოფრე მაჭუტაძე (ონოფრე — ონისიფორე, ერისკაცობაში ოთარი, ძმა ბოლნელი — ბოუნელი ეპისკოპოსისა მაქსიმესი, ლევან ბატონიშვილის თანმხლებნი და თავად ონოფრე წოდებული „სამწვერისის მესთველე“ — ჟორდანია, კარბელაშვილი). ერეკლესა და მის ვაჟს, იმამყულიხანს ონოფრესთვის დიდძალი დახმარება გაუწევიათ.

ონოფრემ აღაშენა „საყდარი იოვანე მახარებლისა და პალატები, კლდის სახლები, გალავანი, კოშკები და საყდარის კანკელი“<sup>16</sup>. არქიმანდრიტმა ონოფრემ პრაქტიკულად მთლიანად შეცვალა მანამდე, საუკუნეების განმავლობაში ბარბაროსებისაგან იავარქმნილი გარეჯის მონასტრის ტაძრები და სული შთაბერა ახალი ცხოვრების დაწყებას. აშენდა დავითგარეჯის გალავანი, სატრაპეზოები დოდოსა და ნათლისმცემელში, პატარა ზომის სენაკები ლავრასა და ნათლისმცემელში. გაფართოვდა იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია. გზა გაიყვანეს ბერთუბნის მონასტრამდე, პარალელურად მათ (საძმოს) მტრის წინაშეც უწევდა ბრძოლა „...უსჯულონი ლეკ-

<sup>14</sup> ისტორიული საბუთები, წ. III, 1948, №5.

<sup>15</sup> თ. ჟორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრები, 1903 წ. გვ. 10.

<sup>16</sup> თ. ჟორდანია, დასხ. ნაშრომი, გვ. 47.

ნი დაგვესხნენ თავსა და მონასტრის კრებულებს დახოცეს და მონასტრის სახმარნი ჭურჭელნი და საეკლესიო იარაღი წარსტყუვენეს, იავარყვეს და მოაოხრეს“<sup>17</sup>. ბრძოლა ლეკების წინააღმდეგ იყო არაერთგზის, რამაც გადააწყვეტინა დიდ არქიმანდრიტს (წინამძღვარს) მონასტრის ძირითადი ტერიტორიისათვის გალავანი აეშენებინა (რაც დასტურდება ბერთუბნის მონასტრის წარწერიდან).

ონოფრე არქიმანდრიტის დროს მოხდა კიდევ ერთი ძირეული ცვლილება გარეჯის მონასტერში, კერძოდ, 1702 წელს ნათლისმცემლის, ხოლო 1704 წელს დოდოს მონასტრებს დაენიშნათ წინამძღვრები, რითაც გაფართოვდა სამონასტრო ცხოვრება და სასულიერო მოღვაწეობა.

ყიზილბაშების, ლეკებისა და ოსმალების მუდმივმა თავდასხმებმა დავითგარეჯის მონასტერში ცხოვრება შეასუსტა: „ქკსა ოა. ამა ქორონიკონსა ქართლმა და კახეთმა ოხრებაი დაიწყო. უდაბნოც სუსტდებოდა. ხან ოსმალოს ეჭირა, ხან ყიზილბაშს. ჩვენც ავიყარენით მონასტრიდან“<sup>18</sup>.

ვახუშტი ბრძანებს: „გარეჯის მთას არს მონასტერნი, კლდესა შინა გამოკუეთილნი, სენაკნი, ტრაპეზნი, პალატანი, ზამთარ თბილი, ზაფხულ გრილი... ნათლისმცემელს ზის არქიმანდრიტი, ჩიჩხიტურს ზის წინამძღვარი, დავითგარეჯას არქიმანდრიტი, ბერთუბანს წინამძღვარი“. ამ ადგილების აღწერის შემდეგ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საუბრობს სომხთ-საბარათიანოსა და თათრებზე, რომლებიც გარეჯის მთიდან მოშორებით სახლობდნენ, მაგრამ მაინც ქართლის შემადგენლობაში შემოდიოდნენ.

როგორც ზემოთ ვთქვით, ელნი არიან ის მეჯოგე-ტომები, რომლებიც ზამთრის საძოვრებზე დროებით დასცემდნენ კარვებს და რომლებიც ვახუშტისდროინდელი თათრების წინაპრებად უნდა მივიჩნიოთ, რომელთაც გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან და მასში შემავალ ტაძრებთან, მამულებსა და სათიბ-საძოვრებთან საერთო არაფერი ჰქონდათ, თუ არ ჩავთვლით, შორიახლოს მათ ხანგამოშვებით გამოჩენას, ისიც მხოლოდ საძოვრებზე.

1704 წლის მონაცემებით, ბერთუბნის მონასტერი თითქმის ცარიელია, თუმცა მას ამით არა დაჰკლებია რა. სავარაუდოდ 1716-1717 წლებიდან ეს მონასტერი კვლავ მოქმედია და იქ მოღვაწეობს „იოანე სააკაძე, გარეჯის ბერთუბნის მამა და კაცი ღირსი“ (ვახუშტი).

ეტაპობრივად, ხან წყვეტდა და ხან კიდევ ახლიდან იწყებდა სიცოცხლეს დავითგარეჯის მონასტრები. XVIII-XIX საუკუნეებში მომძლავრებული ლეკები აწიოკებდნენ და არბევდნენ უდაბნოს; 1772-1791 წლებში დაფიქსირებულა მათი 10-მდე თავდასხმა ხან ბერთუბნისა და ხანაც ნათლისმცემლის ტაძრებზე. ლეკების ამოოხრებელი თავდასხმები იხსენიება, აგრეთვე, 1851-1857 წლებშიც, რამაც საგრძნობლად შეასუსტა სამონასტრო ყოფა-ცხოვრება და მოღვაწეობა. მით უმეტეს, ამ პერიოდში საქართ-

<sup>17</sup> თ. ჟორდანიას, დასხ. ნაშრომი, გვ. 69.

<sup>18</sup> ხელნ. ფაქ. საქმე №100.

ველოში აღარ იყო სამეფო ხელისუფლება და შესაბამისად დავითგარეჯის მონასტრებს მფარველად მხოლოდ ღმერთი დარჩათ.

ამის მიუხედავად, აქ მოღვაწეობდნენ ჩვენი ღირსი და დიდი წინაპრები — ონოფრე გარეჯელი (XII ს.), დემეტრე I, სულხან-საბა ორბელიანი, ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, გაბრიელ საგინაშვილი, გრიგოლ დოდორქელი, ანტონ I, ტიმოთე გაბაშვილი, იოანე ენისელთ მოურავის ძე... აქვე განისვენებენ თავად წმიდა დავით გარეჯელი, წმ. დოდო, ლუკიანე, არსენი, გრიგოლი ხუცეს-მონაზონი, მეფე ალექსანდრე პირველი, დემეტრე-დამიანე, მეფე გიორგის მეუღლე ქეთევანი... აქვე განისვენებენ ნინოწმიდელი მიტროპოლიტი იოსები (+1711), ნინოწმიდელი ეპისკოპოსი ნიკოლოზი, ბოდბელი მიტროპოლიტი დავითი, ქართლის მტავარეპისკოპოსი რომანოზ მონაზონი (+1700) და სხვები და სხვები, მაგრამ გამორჩევით აღნიშვნის ღირსია ის 6000, თუ კიდევ უფრო მეტი წმინდა მამა, ვინც შაჰ-აბასის გაბოროტებულ ლაშქარს ვერ გადაურჩა; დღეს მათი წმიდა ნაწილები დავითგარეჯის გაბრწყინებულ მონასტერში მკვიდრობენ.

\* \* \*

დავითგარეჯის მონასტერმა და იქ მოღვაწე ღმერთშემოსილმა მამებმა უდიდესი (და ზოგჯერ გადამწყვეტი) მისია შეასრულეს საქართველოს ტკივილით აღსავსე ისტორიაში. ამ მონასტერმა შექმნა იდეალური ნავთსაყუდელი სასულიერო ცხოვრებისა, სამაგალითოა მისი დამოკიდებულება სამეფოსამთავროებთან და საეპისკოპოსოებთან, მისი ლიტერატურული, სამხატვრო და მთარგმნელობითი სკოლები ფასდაუდებელი ღვაწლით გამოირჩევიან და რაოდენ დასანანიცაა ის, რომ XIX საუკუნის ბოლოდან XX საუკუნის 70-იან წლებამდე ამ საოცარ „სადმრთო სახლში“ სიცოცხლე შეწყდა.

### მთავარი სათქმელი

1950-60-იან წლებში საგარეჯოს რაიონის სოფელ უდაბნოში ცხოვრობდა დაახლოებით 17-20 ადამიანი. ზემდგომი ინსტანციების გადაწყვეტილებით, იგი ჩამოაშორეს მკვიდრ საგარეჯოს რაიონს და მიაკუთვნეს გარდაბანს.

1972 წელს საქართველოს ცკ პირველ მდივნად ელუარდ შევარდნაძე დაინიშნა, ხოლო საგარეჯოს რაიკომის პირველ მდივნად — აწ განსვენებული მედეა მეზვრიშვილი.

1975 წლიდან უდაბნოში და შესაბამისად დავითგარეჯის მიმდებარე მიწა-წყალზე დაიწყო სიცოცხლის აღორძინება: იმავე წლის 20 ნოემბერს გამოიცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს №685-ე დადგენილება „დავით გარეჯის კულტურის ძეგლთა მდგომარეობისა და მათი მოვლა-

პატრონობის გაუმჯობესების შესახებ“, რომლის საფუძველზეც დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსები თავისი მიმდებარე ტერიტორიით მუზეუმ-ნაკრძალად გამოცხადდა.

დადგენილების ერთ პუნქტში ვკითხულობთ: „12. დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი თავისი ტაძრებით, საეკლესიო დანიშნულების შენობა-ნაგებობებითა და მიმდებარე მიწის ნაკვეთებით გამოცხადდეს ისტორიულ მუზეუმ-ნაკრძალად“, რაც გულისხმობს ყველა იმ საეკლესიო ობიექტს, რომელიც 1975 წლის 20 ნოემბრის მდგომარეობით შედიოდა დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის შემადგენლობაში.

1976 წლის 16 მაისს უდაბნოში თავი მოიყარა თითქმის მთელმა კახეთმა და ქვეყნის ინტელიგენციამ. იმ დღესვე დავითგარეჯში საზეიმო ვითარებაში დაწესდა სახალხო დღესასწაული „გარეჯობა“, დაარსდა კულტურის სახალხო უნივერსიტეტი, დაწესდა „უდაბნოს“ საპატიო მოქალაქის წოდება.

1976-79 წლებში უდაბნოში ასობით ოჯახი დასახლდა, შეიქმნა მეურნეობის მძლავრი კერები, უშუალოდ დავითგარეჯის კომპლექსის ყველა ტაძრამდე გაყვანილ იქნა საავტომობილო გზა, სასმელი და სარწყავი წყალი, ელექტროენერჯია... ეტაპობრივად დაიწყო მეცნიერებათა აკადემიისა და მწერალთა კავშირის გამსვლელი სესიებისა და პლენუმების ჩატარება. ხელისუფლების უშუალო მხარდაჭერით დაიწყო ახალი ეტაპი დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსში შემაჯავლი ყველა ტაძრისა და ნაგებობის აღდგენის მამულიშვილურ საქმეში. „გარეჯობის“ დღესასწაულზე მოზღვავებული ხალხი ვეღარ თავსდებოდა დავითის ლავრის გალავანში, ამიტომ გადაწყვიდა ნაწილ-ნაწილ ჩატარებულიყო ღონისძიებები, რაც იმას ნიშნავდა, რომ სანახაობები ჩიჩხატურისა და ბერთუბნის მინდვრებზეც გაიმართებოდა. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებაზე მოწვეული იყო აზერბაიჯანის დელეგაციაც.

1975-85 წლებში დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსისა და სოფელი უდაბნოს აღმშენებლობის საქმეში გაწეული წვლილისათვის მრავალი ადამიანი დაჯილდოვდა „უდაბნოსა და გარეჯის“ საპატიო მოქალაქის წოდებით (მათ შორის ედუარდ შევარდნაძე, ვასილ გულისაშვილი, არჩილ ქურდიანი და სხვები), რაც იმას მოასწავებდა, რომ XX საუკუნის 20-30-იან წლებში, საქართველოს გასაბჭოების დროს ხელაღებით ჩამოჭრილი და მეზობლებისათვის გადაცემული მიწების სანაცვლოდ, იმავე ხელისუფლების შედარებით პროგრესულად და ეროვნულად მოაზროვნე მემკვიდრეები ცდილობდნენ, გამოესყიდათ დიდი დანაშაული, რომელიც „ახალფეხადგმულმა“ საბჭოეთის მთავრობამ ჩაიდინა საქართველოს წინაშე.

აქვე უნდა აღინიშნოს ედუარდ შევარდნაძის პირადი დამსახურება დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის აღმშენებლობის ახალი ეპოქის შექმნაში. იმ პერიოდში მიღებულ ყველა დადგენილებასა თუ ბრძანებულებაში (1975-1985 წწ.), მკვეთრად არის დაფიქსირებული ერთი მეტად უმნიშვნელოვანესი ფაქტი, კერძოდ ის, რომ „დავით გარეჯის სამონასტრო

კომპლექსები (და არა კომპლექსი) ყველა ტაძრით, სამეურნეო და საკულტო შენობა-ნაგებობითა და მიმდებარე მიწის ფართობები ოდითგანვე იყო საქართველოს ისტორიისა და წარსულის მკვიდრი შემადგენელი ნაწილი და მათი მოვლა-პატრონობა მეტად საშური საქმეა“... „არავის არ აქვს უფლება ხელყოს, უდიერად მოეპყრას ან პატივი არ სცეს იმას, რაც ქართველ ერს რწმენითა და სიყვარულით შეუქმნია“. ერთგან მედგა მეზვიერიშვილი ბრძანებს: „დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს საქართველოს ტერიტორიაზე და ის გადაჭიმულია აზერბაიჯანის საზღვრამდე“<sup>19</sup>.

რა იყო მანამდე, ანუ 1975 წლამდე?

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებში წერდა გრიგოლ ლორთქიფანიძე: „დაიპყრეს თუ არა საქართველო (საუბარია საბჭოთა არმიამ — მ.ც.) მაშინვე შეუდგნენ მის განაწილებას, ოსმალების მიეცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი შავშეთ-ერუშეთ-არტაანი-ფოცხოვით. სომხეთსაც და აზერბაიჯანსაც მიუჭრეს საქართველოს მიწა-წყლის საგრძნობი ნაწილი. სომხეთს მიეცა ეგრეთწოდებული ნეიტრალური ზონა ალავერდის მადნითა და ქარხნებით, ხოლო აზერბაიჯანს სიღნაღისა და ტფილისის მაზრების ნაწილები ყარაიას ველის აღმოსავლეთ ნახევრით და დავითგარეჯის რაიონით“<sup>20</sup>.

არ შეიძლება მოკლე კომენტარი არ გვაკეთოთ ამ ამონარიდის ირგვლივ. ჯერ ერთი, არ არსებობდა დავითგარეჯის რაიონი და, მეორეც, აზერბაიჯანს გადაეცა (რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს) გარეჯის ველი და ქვემო ყარაიასის სექტორის ის ფართობი, რომელიც დაუსახლებელი და აუთვისებელი იყო, ჯამში 658,89 კვ.კმ. რაც იმას ნიშნავს, რომ დავითგარეჯის სამხრეთით, აზერბაიჯანისკენ არსებული საძოვარ-სათიბების ამიერკავკასიის ცკ-ის უკანონო დადგენილებით, გადაეცა აზერბაიჯანის სსრ-ს, მაგრამ მასში არ მოხვედრილა არც სამონასტრო კომპლექსები და არც მათი მიმდებარე მიწები თუ მამულები.

1938 წელს პარიზში გამოიცა ქართველი ემიგრანტის ალექსანდრე მანველიშვილის წიგნი „საქართველოს საზღვრები“, სადაც ვკითხულობთ: „ის მხარე რომელიც ბოლშევიკებმა ოსმალების გადასცეს, შეიცავს: ართვინის ოლქი — 3,339 კვ.კმ. ფოცხოვის ოლქი — 588 კვ.კმ. არტაანის ოლქი — 5,137 კვ.კმ. ოლთისის ოლქი — 3,051 კვ.კმ. სულ: 12,115 კვ.კმ. გარდა აღნიშნული მხარეებისა, ბოლშევიკებმა გაასაჩუქრეს საქართველოს ადგილები აღმოსავლეთითაც და სამხრეთ-აღმოსავლეთითაც. სახელდობრ, ბორჩალოს მაზრის ნაწილი 3,182 კვ.კმ. და ზაქათალის ოლქი 3,564 კვ.კმ.“

ამრიგად, ბოლშევიკებმა თურქეთს, აზერბაიჯანს და სომხეთს დაუთმეს საქართველოს ტერიტორიის 19,491 კვ.კმ. სივრცე“<sup>21</sup>. როგორც ვხედავთ,

<sup>19</sup> წერილი საქართველოს სსრ მინისტრა საბჭოს, 1975 წლის 10 ნოემბერი, თბილისი.

<sup>20</sup> გრ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, პარიზი, 1928. გვ. 118.

<sup>21</sup> აღ. მანველიშვილი, საქართველოს საზღვრები, 1938, პარიზი, გვ. 18.

აღ. მანველიშვილი დეტალურად წერს საქართველოდან მოგლეჯილი და ე.წ. „მოძმე“-თათვის უკანონოდ გადაცემული მიწების შესახებ, მაგრამ მათ შორის არც დავითგარეჯის „რაიონს“ და არც გარეჯის „ველებს“ არ ასახელებს.

2006 წელს გამოცემულ წიგნში ვკითხულობთ: „1923 წლის 30 აპრილს კომისიის (?) სხდომამ განიხილა შეთანხმების შედეგები და საქართველომ მიიღო კაშის ქედისა და მდ. ალაზნანს შორის მოქცეული ტერიტორია, ხოლო აზერბაიჯანს დაუთმო მდ. იორისა და პალანტუკანის ქედს შორის მოქცეული ვრცელი ტერიტორია და მთლიანად ელდარის სტეპიც. გარეჯის მონასტერთან გამავალმა საზღვრის ხაზმა საკამათოდ აქცია ის ტერიტორიები, რომლებიც ისტორიულად უშუალოდ ებჯინებოდა მონასტერს და მის კუთვნილებას წარმოადგენდა. ამ მიწების ფართობები (340,300 დესეტინა) ძირითადად საზამთრო საძოვრებსა და სახნავენს შეიცავდნენ“<sup>22</sup>. აქვე ვაგრძელებთ „1927 წელს კომისიამ ადგილზე შეისწავლა ტერიტორიები, განსაკუთრებით კი ყარაიზის, ჩათლინის, იორისპირა და შირაქის სტეპები... და 1929 წლის 18 თებერვალს ამიერკავკასიის ცკ-მ მიიღო „ორი მნიშვნელოვანი“ გადაწყვეტილება: 1. გარეჯის ზამთრის საძოვრების და... 2. ელდარ-სამუხის ზამთრის საძოვრების შესახებ“ (გვ. 54).

„...დადგინდა საზღვარი გარეჯიდან (საკითხავია მისი რომელი პუნქტიდან ან რომელი კომპლექსიდან — მ.ც.) მდ. მტკვრამდე. ამ მონაკვეთზე საზღვრის ხაზი გატარდა შიხლიკარიფანელის უღელტეხილზე გამავალ გზის პირას მდებარე ბორცვიდან, შემდეგ იგი გადიოდა ორ ბორცვზე, შემდეგ თვალსაჩინო წერტილიდან გავლით და შემდგომ ჩიჩხიტურის სერსა და ცალკე მდგარ კოშკზე გამავალი მთავრდებოდა ბორცვზე. აღნიშნულის საფუძველზე აქ საქართველომ მიიღო (თუ დაიბრუნა? — მ.ც.) მხოლოდ 2000 დესეტინა მიწის ფართობი. ამასთან ერთად თბილისის მაზრას გადაეცა ის საკამათო ორი ფართობიც (340 და 300 დესეტინა)“<sup>23</sup>.

გულითადი მადლობის ღირსია ღვაწლმოსილი მეცნიერი ასეთი შრომატევადი საქმის შესრულებისათვის, მაგრამ ასევე საინტერესოა, როცა აზერბაიჯანის მხარემ უკან დააბრუნა საქართველოს უკანონოდ მითვისებული მიწის ნაკვეთები, ის სახნავ-საძოვრები ხომ არ იყო, გარეჯის მიმდებარედ რომ არსებობდა? (რაც ამ შრომიდან არ ჩანს).

არც ერთი მეცნიერი არ მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს იმ ტერიტორიას, სადაც დავითგარეჯის მონასტერი მდებარეობს, აზერბაიჯანის მხრიდან აკრავს ყაზახისა და აღსტაფას რაიონები, რომელნიც ჯერ კიდევ VIII საუკუნის 30-იან წლებში მურვან ყრუს მიერ იქნა დაარსებული („კასალი“) და რომელიც ხანგამოშვებით ეკუთვნოდა ქართლის მეფეებს. დაუსახლებელი, მაგრამ საძოვრებით მდიდარი ადგილის ათვისება დაიწყო

<sup>22</sup> ჯ. კეკელია, საქართველოს ტერიტორია და საზღვრები, თბილისი, 2006 წელი, გვ.53.

<sup>23</sup> ჯ. კეკელია, დასხ. ნაშრომი, გვ.54.



1478 წელს, უზუნ-ჰასანის მიერ ქართლის მოხრებისა და იქ „თათრის ელების“ ეტაპობრივი გამოჩენის შემდეგ. ანუ დავით გარეჯის მონასტრების კომპლექსების სამხრეთით, აზერბაიჯანის თანამედროვე ტერიტორია, ყაზახისა და აღსტაფას რაიონის დიდი ნაწილი ქართლის განმგებლობაში შემოდიოდა. თვით XX საუკუნეში ბოლშევიკებისა და ზოგადად, წითელი საბჭოეთის მიერ აზერბაიჯანისთვის გადაცემული სახნავ-საძოვარი მიწების ნუსხაშიც კი არ მოხვედრილა დავითგარეჯის მონასტრის არც ერთი კომპლექსი და ტაძარი.

\*\*\*

ამ ბოლო დროს მეტად გაქტიურდა „შავი“ ძალები, რომლებიც ცდილობენ შინაური თუ გარეშე მტრების მონაწილეობით დედა სამშობლოს და დედაეკლესიას მოსწყვიტონ დავითგარეჯი, რომელიც მუდამ იყო და იქნება საქართველოს შემადგენლობაში.

\*\*\*

აღგეთის საწვრთნელი ბაზა ნაწილი იყო იმ პოლიგონისა, რომელიც საბჭოთა კავშირის გენშტაბის ბრძანებულებით 1948 წლის აგვისტოში გამოეყო საქართველოსა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკებს. ეს იყო ჯამში 24850 ჰექტარი მიწა, სადაც განთავსდა საარტილერიო-სასწავლო პოლიგონი. საბედნიეროდ, სამხედრო-სასწავლო პოლიგონი 1991 წელს გაუქმდა. პარალელურად შეიქმნა სპეციალიზებული სამთავრობო კომისია ე.წ. ოპოზიციური ძალების ჩართულობით და ადგილზე შესწავლამ ცხადყო, რომ სამხედრო-საწვრთნელი ბაზის — პოლიგონის დროს ნამდვილად დაზიანდა დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი. ამის მიუხედავად, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის, მაინც გახდა საჭირო პოლიგონის გახსნა და 1996 წლის მარტში აღგეთის პოლიგონი კვლავ აღადგინეს და შეტანილი იქნა უფრო დიდი სამხედრო ტექნიკა, ვიდრე ეს 1948-1991 წლებში იყო.

1997-1998 წლებში მეცნიერთა აზრი ორად გაიყო იმის თაობაზე, სამხედრო პოლიგონი ზიანს ნამდვილად აყენებდა თუ არა დავითგარეჯის მრავალსაუკუნოვან ნაგებობებს... ამის მიუხედავად, 1998 წელს ჯერ გამოიცა პრეზიდენტ შევარდნაძის ბრძანებულება პოლიგონის გაუქმებისა და დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის აღდგენა-დაცვის შესახებ, შემდეგ კი, მსგავსი გადაწყვეტილების შემცველი განაჩენი სასამართლომაც გამოიტანა.

სადღეისოდ ისევ არსებობს პოლიგონი მონასტრიდან 5-10 კილომეტრის დაშორებით. იყენებენ (სავარაუდოდ) 40 მმ. კალიბრის იარაღს, რომელიც ნამდვილად აყენებს ზიანს სამონასტრო ანსამბლს. აქვე უნდა შემოვკრათ განგამის ზარები, რადგან ქართულ მიწაზე, რომელიც დღეს აზერბაიჯანს ეკუთვნის, დავითგარეჯის მონასტრიდან და საქართველოს საზღვრიდან 15-იოდე კილომეტრში აზერბაიჯანის სამხედრო-საწვრთნელი ბაზა მოქმედებს (გაცილებით დიდი ტექნიკით), რომელიც უაღრესად მძიმე ვითარებას ქმნის

დავითგარეჯის მონასტრისათვის.

ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა უმნიშვნელოვანესმა გარემოებამ. კერძოდ, 2011 წლის 30 მარტი-5 აპრილის „საერთო გაზეთი“-ს ფურცლებზე დაიბეჭდა ინტერვიუ მურაზ ნაგიევთან, რომელშიც ვკითხულობთ: „საქართველოს ის ნაწილი, სადაც აზერბაიჯანელები ცხოვრობენ, დროთა განმავლობაში აზერბაიჯანს უნდა შეუერთდეს — ეს გეგმა არსებობს“. „დიდი ინტერესი არის აზერბაიჯანის მხრიდან, რომ აზერბაიჯანელებით დასახლებული ქართული ტერიტორიები აზერბაიჯანს შეუერთდეს — ამას ვაცხადებ მე, მურაზ ნაგიევი, ეროვნებით აზერბაიჯანელი, ისლამის მიმდევარი, ქართული გულით და ქართული სულით“ (იქვე, გვ. 5). ამას წერს ადამიანი, რომელმაც იცის, რას ამბობს და არც ერიდება სიმართლის თქმას. ერთი წლის წინ ნათქვამი მურაზ ნაგიევის სიტყვები ახლახან გამახსენდა, როცა შევიტყვე, რომ დავითგარეჯის მონასტერს საფრთხე დაემუქრა.

გასაკვირიც არაა, და იცით რატომ? აქვე მოგახსენებთ!

დიმიტრი თუმანიშვილსა და მარინე ბულიას ინიციატივით დ. ჩუბინაშვილის ცენტრმა გამოსცა წიგნი დავითგარეჯის მონასტრებზე, სადაც ვკითხულობთ: „ყოველდღე მინდა ღმრთისმშობლის სახელობის ეს მონასტერი (საუბარია ბერთუბნის მონასტერზე — მ.ც.) მრავალმთის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში, წმინდა დავითგარეჯელის ლავრიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, პირდაპირი ხაზით 6 კილომეტრის დაშორებით, მდებარეობს თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე“<sup>24</sup>.

ეს არის პირველი ტექსტი, სადაც ავტორები თამამად და ხმამაღლა აცხადებენ იმას, რომ ბერთუბნის მონასტერი თურმე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდგარა. არადა, არსებობს რუკა, რომლის მეორე, კორექტირებული და შევსებული გამოცემის რედაქტორი გახლავთ დიმიტრი თუმანიშვილი, სადაც ბერთუბანი მოქცეულია საქართველოს კანონიერ სივრცეში, ანუ იქ სადაც ნამდვილად არის! იბადება კითხვა: რატომ არის სხვაობა 2010 წელს გამოცემულ ტექსტსა და რუკას შორის? (რუკა 1).

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ 1922-38 წლებში აზერბაიჯანს გადაეცა ქართული მიწების ნაწილი, მაგრამ არც ერთი სახის ლიტერატურაში არ არის აღნიშნული, რომ მათ შორის იყო დავითგარეჯის მონასტრის მიწები, ან ახლომახლო მდებარე ტერიტორია.

1964 წელს მოსკოვში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით სსრ კავშირის გეოლოგიის სახელმწიფო კომიტეტმა მოამზადა ფართოტანიანი გამოცემები, სადაც ფერადი, ილუსტრირებული რუკები გვამცნობენ, რომ დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსში შემაგალი ყველა ტაძარი, მათ შორის ბერთუბნის მონასტერი

<sup>24</sup> დავითგარეჯის მონასტრები, ნათლისმცემელი, ბერთუბანი, თბილისი, 2010 წ. გვ. 90, გამოსაცემად მოამზადეს მარინე ბულიამ და დიმიტრი თუმანიშვილმა, ტქსტი: მ. ბულია, ა. ვოლსკაია, დ. თუმანიშვილი, თ. ჯოჯუა.

და მიმდებარე მამულები, საქართველოს ეკუთვნის (რუკა 2).

გარდა ამისა, არსებობს რუკა, რომელიც მოამზადა მეცნიერების ჯგუფმა, მასზე გარკვევითაა ნაჩვენები ის მიწები, რომლებიც საბჭოთა კავშირის დროს გადასცეს აზერბაიჯანელებს, მაგრამ დავითგარეჯი აქაც (ღმრთის მადლით) ხელშეუხებელია! (რუკა 3).

აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველი მეგობრის წყალობით (მის ვინაობას არ ვასახელებ ორი მიზეზის გამო: ან აზერბაიჯანელი, ან კიდევ ქართველი „სამართალდამცველები“ მიაკითხავენ), ხელთ ჩამივარდა წიგნი, რომელიც დამტკიცებულია აზერბაიჯანის განათლების სამინისტროს და სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ უმაღლესში შემსვლელი აბიტურიენტებისა და დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთათვის<sup>25</sup>, რომლის ავტორები არიან აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის წამყვანი მეცნიერ-კონსულტანტები და ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები (მახმუდლუ, მამედოვა, ზეინალოვი, აბდულაევი, მამედოვი და აგაევი). წიგნში მოთხრობილია მოკლედ ზოგადი ისტორია კაცობრიობისა, ბოლოში დართული აქვს ფერადი რუკები.

ამ რუკებში ყველაზე დიდი უსამართლობა და სიყალბე ისაა, რომ თბილისი თურმე აზერბაიჯანის შემადგენლობაში შედიოდა საუკუნეების წინ და კიდევ: დღევანდელი მონაცემებით, თბილისამდე არსებული მიწები (მურაზ ნაგიევის თქმისა არ იყოს, აზერბაიჯანელებით დასახლებულ ადგილებს არსებული გეგმის მიხედვით აზერბაიჯანის სახელმწიფო შეიერთებს) აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკუთრება ყოფილა! (რუკა 4-5).

ეს არის უდიდესი დანაშაული, ნამდვილი მტრობა ჩვენი ქვეყნისა და ერისა, ეს არის ჩვენი მეცნიერებისა და პოლიტიკოსების უსუსურობის გამოხატულება, რომელთაც, უკეთეს შემთხვევაში, არ იციან და არც აინტერესებთ, რა წერია მეზობელი ქვეყნების ისტორიისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოებში; მეტიც, შენს ქვეყანაში, შენს ერს ატყუებ, რომ თურმე „დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნაწილი სადავო ტერიტორიას არ წარმოადგენს და საბჭოთა კავშირის დროიდან აზერბაიჯანის ტერიტორიად ითვლება“ (ნ. კალანდაძე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე) ... რა შეიძლება ამას სახელად დაერქვას?

## ბოლოთქმა

აზერბაიჯანის ხელისუფლება ეცდება იმ გეგმის განხორციელებას, რომელიც მურაზ ნაგიევმა ბრძანა, და რომლის დადასტურებას ის სკანდალური რუკები წარმოადგენს, რომლებიც თან ახლავს წინამდებარე წერილს...


ნაცვლად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ხელი შეუშალოს

<sup>25</sup>რუსულ-აზერბაიჯანულ ენებზე, გამომცემლობა აბიტურიენტი, 2007 წელი, ბაქო.



ՏՆՅԱԿ ՆԵՒ 1





რუკა №2

კირიბითი ახერხებანი

რესტორი იმპროვიზირებულია. მესამედი გუბერნიისა და ოლქების საზღვარი, 1917 წ.

საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი 1920 წ. 7 მაისის მოსკოვის ხელშეკრულების თანახმად

ცვლილებები საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე 1920 წლის 12 ივნისის აღსტაფის ხელშეკრულების თანახმად

ცვლილებები საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე 1921 წლის 15 ნოემბრის ხელშეკრულების თანახმად

საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი 1944 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით

საქართველოს ტერიტორია, რომელიც საბოლოოდ გადაეცა აზერბაიჯანის სსრ-ს

რუბი №3





**КАРТА АЗЕРБАЙДЖАНСКОЙ  
РЕСПУБЛИКИ**  
(составлена информационным  
отделом МИД АДР в 1920 году для  
"Адрес-календаря  
Азербайджанской Республики"



**ŞƏRTİ İŞARƏLƏR**

- Azərbaycan Cümhuriyyətinin sərhədləri
- ..... Gürcüstan Respublikasının sərhədləri
- - - - - Osmanlı İmperiyası və İrəvanın sərhədləri
- ..... Qəzələrin sərhədləri
- Gürcüstanla mübahisəli ərazilər
- Ermənistanla mübahisəli ərazilər
- Quberniya, qəza şəhərləri və kəndlər

საქართველოსთან საზღვარ 806030

**რუბი №4**

# ПОТЕРЯ ЗАНГЕЗУРА, КАРАЯЗЫ И БОРЧАЛЫ (Источник: [www.tarix.az](http://www.tarix.az))



## ŞƏRTİ İŞARƏLƏR

- Azərbaycan torpaqlarında yaradılmış erməni dövləti
- Ermənistana verilen ərazilər
- Gürcüstana verilen ərazilər
- Dağıstana (Rusiyaya) verilen ərazilər





**სამხალაქო №6**  
სამხალაქო ძეგლები

- УСЛОВНЫЕ ОБОЗНАЧЕНИЯ**
- ▲ Курганы, сооружения
  - Крепости
  - Колоннады
  - ⊖ Гроты
  - ▲ Дворцовые комплексы
  - ▲▲▲ Палатки древнего средневековья
  - ▲▲▲▲ ПУХУПУИ вела
  - ▲▲▲▲▲ ВП, П, К вела
  - ▲▲▲▲▲▲ Палатки раннего средневековья
  - ▲▲▲▲▲▲▲ Х, XI вела
  - ▲▲▲▲▲▲▲▲ XII, XIII вела
  - ▲▲▲▲▲▲▲▲▲ Палатки позднего средневековья
  - ▲▲▲▲▲▲▲▲▲▲ XIV, XV, XVI, XVII вела





გზის №7



დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, ბერთუბანი.



„მოკეთებს“ თავიანთი ზრახვების განხორციელებაში, ხმამაღლა აცხადებენ, რომ „დავით გარეჯის უდაბნოს მონასტერი აზერბაიჯანს ეკუთვნის“ (ნ. რურუა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი). ისევე როგორც ნ. კალანდაძეს, ნ. რურუასაც სრული უფლება აქვს თავისი პირადი საკუთრებიდან ვისაც უნდა და რაც უნდა ის აჩუქოს, მაგრამ იგივე უფლება იმაზე, რაც ერმა მრავალი საუკუნის განმავლობაში ზღვა სისხლის დაღვრის ფასად შეინარჩუნა, ნამდვილად არ აქვს. მაგრამ აქვე იმასაც შევნიშნავთ, რომ იმ ვითარების გამო, რომელიც დღეს დავითგარეჯთან დაკავშირებით შეიქმნა, ნ. კალანდაძესა და ნ. რურუასთან შედარებით გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ქართველ მეცნიერებს, კერძოდ, ხელოვნებათმცოდნეებსა და ისტორიკოსებს, რომელთაც დ. თუმანიშვილისა და მ. ბულიას ზემოხსენებული ნაშრომი, სადაც ბერთუბანი პირველად და თანაც სრულიად დაუსაბუთებლად აზერბაიჯანისთვისაა მიკუთვნებული, უპასუხოდ დატოვეს.

ერთხელ კიდევ შევახსენებთ ყველას, არასოდეს, არც ერთ ეპოქაში დავითგარეჯის ღვთივკურთხეული სამონასტრო კომპლექსები არ ყოფილა არც ერთი სხვა ქვეყნის მფლობელობაში, ხანგრძლივად არც მტერი დაპატრონებია და დღემდე ლოცვითა და ბრძოლით მოადწია! დღეს თუ ვინმე შეეცდება მტრის წისქვილზე დაასხას წყალი და დავითგარეჯის მონასტრების კომპლექსებიდან რომელიმეზე თქვას საქართველოს არ ეკუთვნისო, მას ბერქა ყაენის ბედი არ ასცდება!

\*\*\*

როგორც ტექსტშიც არაერთხელ აღვნიშნეთ, ამ წერილის მიზანი მხოლოდ დავითგარეჯის მონასტრების (სამონასტრო კომპლექსის) ტერიტორიული კუთვნილების საკითხის გარკვევაა.

საკითხზე მუშაობისას გავეცანით რა მრავალრიცხოვან საინტერესო თუ ნაკლებად საინტერესო დოკუმენტს, რუკასა და ნაშრომს, გვაქვს უფლება გავაკეთოთ შემდეგი **დასკვნა**:

1. საქართველოს ერთ-ერთ უღამაზეს ისტორიულ კუთხეში – კახეთში, თანამედროვე საგარეჯოს რაიონის კლდოვან-ქვიშიან მხარეში, ასურეთიდან წმიდა იოვანე ზედაზნელთან ერთად ჩამოსულმა და გარეჯის უდაბნოში სამოღვაწეოდ დამკვიდრებულმა წმიდა მამა დავითმა VI საუკუნეში დააარსა ღმრთის სახლი, მონასტერი, შემდეგ დავითგარეჯად წოდებული, რომელიც მომდევნო საუკუნეებში გაიზარდა, გაფართოვდა და ძლიერ და სამონასტრო კომპლექსად ჩამოყალიბდა (წყარო – ქართლის ცხოვრება, ვახუშტი, ჯავახიშვილი, ბერძენიშვილი, ლომინაძე...).

2. დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ყაზახისა და აღსტაფას რაიონების დიდი ნაწილი XX საუკუნის I ნახევრამდე შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში და იქ ქართველებს ჰქონდათ საძოვრები და სათი-



ბები, რომელთაც ხშირად განკარგავდა ხან სამეფო ოჯახი, ხანაც კი დავითგარეჯის საარქიმანდრიტო (წყარო – ვახუშტი, 1918-21 წ.წ. ისტორიული დოკუმენტები, გრ. ლორთქიფანიძე, აღ. მანველიშვილი).

3. სსრ კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და ამიერკავკასიის ცკ-ის უკანონო დადგენილებებით, 1922–1936 წლებში საქართველოს ჩამოეჭრა მიწები და ასევე უკანონოდ გადაეცა აზერბაიჯანის რესპუბლიკას, მათ შორის საგარეჯოს რაიონის საზღვრისპირა საძოვრები, თუმცა ამ მიწებზე დავითგარეჯის არცერთი მონასტერი არ მდგარა, რაც იმას ნიშნავს, რომ დავითგარეჯის ყველა მონასტერი კვლავ საქართველოს შემადგენლობაში დარჩა (წყარო – 1922-1938 წლების ისტორიული დოკუმენტები, სეა ფ. N: 607, დ. მუსხელიშვილი, ჯ. კეკელია).

4. 1929 წელს, ამიერკავკასიის ცენტრალური კომიტეტის განკარგულებით, შექმნილმა დროებითმა სამთავრობო კომისიამ ადგილზე შეისწავლა აზერბაიჯანის რესპუბლიკისათვის გადაცემული მიწების საკითხი და იმავე წლის ოქტომბერში საქართველოს სახელმწიფოს უკანვე დაუბრუნა ა) 16 388 ჰექტარი, ბ) 2000 დესეტინა და გ) 340 და 300 დესეტინა მიწის ფართობი, რომლებზედაც, მართალია, დავითგარეჯის მონასტრები არ იდგა, მაგრამ მათი უკანვე დაბრუნება უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნისათვის (წყარო – აზერბაიჯანის ეროვნული არქივების სააგენტოს მასალები, ასევე სეა უახლესი ისტორიის არქივი N: 607, საქმე – 2231, 2533, 2540).

1963 წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დაჯარვების საფუძველზე სსრ კავშირის გეოლოგიის სახელმწიფო კომიტეტმა დაიწყო მუშაობა მოკავშირე რესპუბლიკების (მათ შორის საქართველოსა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების) ატლასების შექმნა-მომზადებაზე. უშუალოდ ამ საქმეს კოორდინაციას უწევდა კარტოგრაფიისა და გეოდეზიის საკავშირო მთავარი სამმართველო.

1964 წლის მაისში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის წარდგინებითა და საკავშირო გეოლოგიის სახელმწიფო კომიტეტის დასკვნის საფუძველზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ (ხრუშჩოვი, კოსიგინი) მოიწონა და გამოსაცემად დაამტკიცა საქართველოს სსრ ატლასი რუსულ ენაზე. ატლასის სარედაქციო კოლეგია (ბერძენიშვილი, ძოწენიძე, ჯავახიშვილი, კეცხოველი, ცხაკაია, მარუაშვილი, ჯაფარიძე) აქტიურად თანამშრომლობდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის, ისტორიისა და კარტოგრაფიის ინსტიტუტებთან (მათ შორის – კრეიტერი, კუზნეცოვი, მურატოვი, რენგარტენი, სმირნოვი, სობოლვეი, გერასიმოვი, გვოზდევკი, გრიგორიევი, მარკოვი, სოჩავა, სუკაჩოვი და სხვ.) რამდენიმეთვიანი დაძაბული მუშაობის შედეგად დაიღო საბჭოთა სისტემის დროს მანამდე არნახული ობიექტურობის გამომხატველი ატლასი, რომელიც „შეესაბამება საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის

ნაციონალური ატლასების კომისიის რეკომენდაციებს და ითვალისწინებს როგორც საქართველოს, ისე მეზობელი ქვეყნების გეოგრაფიისა და ისტორიული განვითარების თავისებურებათა სპეციფიკას“ (წყარო – სსრ კავშირის ნაციონალური ატლასების მთავარი სარედაქციო საბჭოს წინასიტყვაობა, მოსკოვი, 1964 წ. რუსულ ენაზე, გვერდი 8).

ამ ატლასზე დაყრდნობით ვაკეთებთ შემდეგ დასკვნას:

5. საქართველოს სსრ ატლასში შეტანილი რუკა – საქართველოს არქიტექტურის ძეგლები – არის ყველაზე ობიექტური, მიუკერძოებელი და სანდო წყარო იმისათვის, რომ საბოლოოდ დაზუსტდეს და გაირკვეს დავითგარეჯის მონასტრების ტერიტორიული კუთვნილების საკითხი. ეს რუკა არის ნათელი გამოვლინება და დადასტურება იმისა, რომ დავითგარეჯის მონასტრებიდან არც ერთი არასოდეს არ მდგარა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ანუ საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს მიღმა და სამონასტრო კომპლექსში შემავალი ყველა მონასტერი, ტაძარი თუ მიმდებარე ტერიტორია დღიდან მისი დაარსებისა სრულიად და მოუკლებლად ეკუთვნის საქართველოს სახელმწიფოს, ქართველ ერსა და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას (წყარო – საქართველოს სსრ ატლასი, 1964 წელი, მოსკოვი, გვერდი 267–268, რუსულ ენაზე). (რუკა 6-7).

6. ამ რუკით, როგორც ერთადერთი სანდო და საფუძვლიანი გამოცემით ანუღირდა, უკანონოდ გამოცხადდა და გაუქმდა მანამდე არსებული ყველა დოკუმენტი და რუკა, სადაც მითითებულია, თითქოს დავითგარეჯის მონასტრების ნაწილი მდებარეობს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ეს რუკა არის ოფიციალური საბჭოთა მთავრობის მიერ აღიარებული და გამოცემული კანონიერი დოკუმენტი და სახელმძღვანელო ამ პრობლემის საბოლოოდ აღმოსაფხვრელად.

ჯერ კიდევ 2007 წლის აპრილში აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გაახშიანა აზერბაიჯანის სახელწიფოს პოზიცია და დავითგარეჯს უწოდა ალბანელების მიერ აგებული საეკლესიო ნაგებობა (რაც აბსოლუტურად აბსურდულია), რასაც მოჰყვა საქართველოს საგარეო საქმეთა მაშინდელი მინისტრის გამოხმაურება, და ამიტომ გაგრძელება აღარ ჰქონია... იმავე პერიოდში აზერბაიჯანელებმა მოითხოვეს დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის საერთო ტურისტულ ზონად გამოცხადება (ქართულ-აზერბაიჯანული), რაზეც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II მოკლედ და მკაფიოდ უპასუხა: „დავითგარეჯის მონასტერი ქართული სიწმინდეა და ის დღიდან დაარსებისა დგას მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ნიადაგზე და აქვე უნდა იდგეს“.

2012 წლის მაისში კვლავ დაიწყო შეტევა დავითგარეჯის მონასტრებზე და კვლავ დაისვა საკითხი მისი ტერიტორიული კუთვნილების თაობაზე... სამწუხაროდ, უმაღლესი სახელისუფლებო ემელონებიდან მომდინარე


სრულიად უსაფუძვლო განცხადებები (რურუა, კალანდაძე), მეზობელი აზერბაიჯანლებისათვის ხელმოსაჭიდი აღმოჩნდა და ბუნებრივად მათი გააქტიურება გამოიწვია. საქართველოს მოქმედი ხელისუფლება დაუფარავად და აშკარად ცდილობს გაასხვისოს ქართველი ხალხის სისხლით მორწყული მიწა და მასზე განთავსებული მართლმადიდებლური სიწმინდეები, კიდევ ერთხელ ვამბობთ მის გასაგონად: არცერთ ხელისუფლებას უფლება არა აქვს ხელყოს ის, რაც მთელი ერის საკუთრებას წარმოადგენს.

დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსში შემაგალი ყველა მონასტერი, ტაძარი, საეკლესიო ნაგებობა და მიმდებარე ტერიტორია დღიდან მისი დაარსებისა დღემდე (და მომავალშიც ასე იქნება ღმრთის წყალობით) მთლიანად მდებარეობს საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით, მთლიანად „ქართულ ნიადაგზე“ და თუ ვინმე არღვევს ამ საღმრთო სახლის მყუდროებას და ვინმე ცდილობს მის გასხვისებას, ამ მცდელობას მხოლოდ და მხოლოდ შეიძლება ერთი სახელი დაერქვას — ღალატი....

დავითგარეჯი საქართველოა და მისი სისხლითა და ცრემლით დაწერილი ისტორიის განუყოფელი ნაწილია.

თბილისი, 2012 წლის 10 ივნისი.





ბონდო არველაძე

**„სომხეთის ჩრდილოეთის კარიბჭე  
— ჯავახქ, ლორი“**

*სამშობლო ღმერთზე მეტია,  
სამშობლოზე მეტი — ეკლესიაა,  
ეკლესიაზე მეტი — ტიგრან დიდი,  
ტიგრან დიდზე მეტი დიდი სომხეთია!  
სილვა კაპუტიკიანი.*

ეს სიტყვები რომ წავიკითხე, ერთი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის ნათქვამი გამახსენდა — „სომხებს ავადმყოფური ისტორიზმი სჭირთო“. ეს შეიძლება ვინმეს გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მაგრამ ძველ სომხურ საისტორიო მწერლობას თუ გადავხედავთ, ამის თქმის საფუძველს ნადვილად იძლევა. მართალია, დღემდე დადგენილი არ არის მოვსეს ხორენაცის მოღვაწეობის დრო (V, VII, IX სს.), მაგრამ მის თხზულებაში „სომხეთის ისტორია“ ავადმყოფური ისტორიზმი სრული სახით არის წარმოდგენილი. ეს ისტორია სომხური კოსმოკრატიზმის კლასიკური მაგალითია: „სომეხთა ჰეროდოტემ (იგულისხმება მოვსეს ხორენაცი — ბ. ა.) ირანის ისტორია მოხერხებულად მთარგო მშობლიური სომხეთის წარსულს და აქემენიდთა და სასანიდების სამხედრო გამარჯვებები ჰაიკიდებსა და არშაკუნებს მიაწერა. თხრობა ირანულ სამყაროში გავრცელებული პოლიტიკური თეორიების მიხედვით გააწყო და მწყობრი კონცეფცია შექმნა, რომელიც აზიურ სამყაროს ფრიად მნიშვნელოვან ნაწილზე — „სამყაროს მბრძანებელი“ ჰაოსიანების უფლებებს ასაბუთებს“<sup>1</sup> — მართებულად წერს გ. ჭეიშვილი.

როგორც ვხედავთ, სხვისი სამხედრო გამარჯვებების და მიწების მიტაცების სენი სომეხ ისტორიკოსებს მოვსეს ხორენაცმა შეყარა და ეს დაავადება მათ გონებაზე დღემდე ღრმა იარად რჩება. სამწუხაროდ, ეს სწეულება სომეხ ერსაც მოედო და ძვალრბილში ისე ღრმად გაუჯდა, რომ მისგან განკურნება მის ძალ-ღონეს აღემატება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას,

<sup>1</sup>გ. ჭეიშვილი, „საზღვრები საზღვრების გარეშე; სომხური კოსმოკრატიზმი ადრე და შუა საუკუნეებში“// კრებ. „სამეცნიერო პარადიგმები“, 2003, გვ. 278-279.

რომ მისგან განკურნება არც არასდროს მოსვლია აზრად. პათოლოგიური ისტორიზმი, თვითგანდიდების მანია და სამყაროს მპყრობელის იდეფიქსი „ველიკაია არმენიის“ აღდგენის ფუჭი ოცნების საფუძველთა საფუძველია. კიდევ უფრო სავალალოა, რომ თანამედროვე სომეხი ისტორიკოსები ამ ტრადიციას დღეს განუხრელად აგრძელებენ და საქართველოს ისტორიას და მის მიწებს ეპოტინებიან. ამის ერთ-ერთი ტიპური ნიმუშია კრებული — „სომხეთის ჩრდილოეთის კარიბჭე — ჯავახქ, ლორი“ (ერევანი, სომხ. ენაზე, 2010, გვ. 576), რომლის რედაქტორია ედუარდ ზოჰრაბიანი, სომხეთის მიმდებარე ტერიტორიების ისტორიის კათედრის დოცენტი. თურმე ასეთი კათედრაც ყოფილა ერევანში. ახლა, ვიკითხოთ, რომელია სომხეთის მიმდებარე ტერიტორიები. ეს არის სამცხე-ჯავახეთი, მესხეთი და წალკა. აღარას ვამბობ ყარაბაღზე — მას აზერბაიჯანელი ისტორიკოსები მიხედვენ, ჩვენ ჩვენსას მოუყაროთ. კრებულის სათაურშივე ჯავახეთი სომხურად არის გამოცხადებული. რაც შეეხება ქართულ ლორეს, თუ როგორ მოხვდა იგი საბჭოთა სომხეთის რესპუბლიკის საზღვრებში, ამაზე ქვემოთ.

ახლა მივხედოთ კრებულს, რომლის შესავალი ეკუთვნის ედუარდ ზოჰრაბიანს, სომხეთის მიმდებარე ქართული ტერიტორიების მითვისების „სპეციალისტს“. იგი შესავალს ასე იწყებს: „ისტორიული სომხეთის, გუგარქის ქვეყნის შემადგენლობაში იყო ჯავახქის მიწა და შეადგენდა მშობლიური სომხეთის განუყოფელ ნაწილს“ (გვ. 4). შემდეგ განაგრძობს: „ათასეულობით წლების განმავლობაში სომეხი მოსახლეობა და სომხურად მოლაპარაკე ჯავახქი მისი მდიდარი ისტორიულ-კულტურული ძეგლებით, ეკლესიებით, მატურებით, ხაჩქარებით, სადაც არის ჯავახქის სომხების წინაპართა წმინდა საფლავები — ისტორიული გარემოების გამო და ხელოვნურად მოწყვიტეს დედა სამშობლოს, და 1921 წელს მიუერთეს საბჭოთა საქართველოს“ (გვ. 4). ამას აცხადებს ჰაიჰარად და იქვე გულაჩუყებული წერს: „ქართველი და აზერბაიჯანელი ისტორიკოსები, ხალხთა ინტერნაციონალურ ქოლგას თავშეფარებულნი, მასიურად სპობენ სომხეთის ისტორიის მრავალრიცხოვან ფურცლებს და ქმნიან საკუთარ ყალბ ისტორიას“ (გვ. 5). ამას კი წერს, მაგრამ ქრთილისოდენი საბუთი არ მოაქვს საკუთარი ე. წ. მოსაზრების დასამტკიცებლად. ვერც მოიტანს, რადგან ჯავახეთი ოდითგან ქართული მიწა იყო. ჯერ კიდევ მაშინ, როცა მოვსეს ხორენაცის ხსენებაც არ იყო, ისტორიის გარიჟრაჟზე, ჯავახეთის მიწა ქართველი მეფის, მცხეთოსის შვილის საუფლისწულო მამულს წარმოადგენდა. მოვუსმინოთ ლეონტი მროველს: „მცხეთოსმა ჯავახოსს მისცა ფანავრიდან ვიდრე თავამდე მტკვრისა და ამან ჯავახოსს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: წუნდა და ქალაქი არტაანისა, რომელსა მაშინ ერქუა ქაჯთა ქალაქი, ხოლო აწ ჰქვიან ჰური“.<sup>2</sup> ამას წერს სომხოფილად აღი-

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, 1955, გვ. 10.

არებული ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი (XI ს.). ამ ცნობას ყურად არ იღებენ სომეხი ისტორიკოსები.

არც ის არის დასამალი, რომ, მართალია, ჯავახეთი ოდითგან ქართული მიწა იყო, მაგრამ ხანდახან, როცა სომხეთის სამეფო გაძლიერდებოდა ხოლმე, ამ სასახლვრო რეგიონს იპყრობდა, უფრო ზუსტად, ოკუპაციის ობიექტი ზემო ჯავახეთი ხდებოდა. მაგრამ ეს დროებითი მოვლენა იყო: საქართველო ყოველთვის იბრუნებდა თავის კუთვნილ მიწას. და თუ ანექსიის პერიოდში (მაგ., ტიგრან დიდის დროს, II-I ს. ჩ. აღ-მდე)<sup>3</sup> ჯავახეთში ზოგიერთი ქართული ტოპონიმი შეიცვალა სომხურით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს მხარე სომხურად მივიჩნიოთ. რის დამტკიცებასაც ასე თავგამოდებით ცდილობენ სომეხი მეცნიერები. ეს იმდენად ნათელი ისტორიული ფაქტია, რომ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. თუმცა, შემდეგ მაინც მომიხდება ჯავახეთის ქართულობის მტკიცება, რადგან ამ მხარის მისაკუთრებას პერმანენტულად ცდილობენ კრებულის სხვა სომეხი ავტორებიც. მათგან აგრესიულობით გამოირჩევა პროფ. აშოტ მელქონიანი, რომელიც სომხეთის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორია. მკითხველმა წარმოიდგინოს, როგორ „ობიექტურ“ მეცნიერულ კვლევას ეწევიან ამ ინსტიტუტის რიგითი თანამშრომლები, რომელთაც ასეთი ქართველთმძულე, დაშნაკი ხელმძღვანელი ჰყავთ. კრებულში მისი შრომები და სტატიები რაოდენობრივად ყველაზე მეტადაა წარმოდგენილი. ერთი სიტყვით, აშოტ მელქონიანი ცნობილი „ჯავახოლოგია“. მან დაამკვიდრა ტერმინი — სომხეთის ჩრდილოეთის კარიბჭე — **ჯავახქვი** და მას მიაყოლა — **ლორიც**.

ახლა კონკრეტულად გადავხედოთ აშოტ მელქონიანის ზოგიერთ ნაშრომს ჯავახეთის შესახებ. მათგან ყველაზე ტიპურია — „ჯავახქვი“. ავტორი ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ე. წ. დიდ სომხეთს დასაწყისშივე ტენდენციურად მიმოიხილავს და ვითარებას ისე წარმოადგენს, თითქოს საქართველო ოდითგან „დიდი სომხეთის“ ორგანული ნაწილი იყო. ანგარიშს არ უწევს ქართულ, უცხოურ და სომხურ წყაროებსაც კი, და გუგარქის ძირძველ სომხურ მიწად თვლის. თუმცა იქვე შენიშნავს — **გუგარქი** ქართულია და ეს ტოპონიმი მოდის აქ მცხოვრები გოგარელების თუ გოგარების სახელიდანო, მაგრამ იქვე კატეგორიულად აცხადებს — ასეთ ეთნოსს სომხური წყაროები არ იცნობენო და აკად. ს. ერემიანს იმოწმებს.<sup>4</sup>

ბარემ აქვე აღვნიშნავ — აკ. შანიძის აზრით, გუგარქი ეთნიკურ-გეოგრაფიული ტოპონიმია, მასში ჭანურ-მეგრული წარმომავლობის სუფიქსი

<sup>3</sup> მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძვ. წ. აღ-ით III ს-ში იბერიის სამეფო უფრო ძლიერი იყო, ვიდრე სომხეთის. — იხ. C. Goumano ff, *Studiey in christian Caucasian History*, 1963, გვ. 449, 452; აგრეთვე — „სომეხი ხალხის ისტორია“, ტ. I, 1978, გვ. 513 (სომხ. ენაზე).

<sup>4</sup> სომხეთი „ამხარაცუციის“ მიხედვით, ერევანი, 1963, გვ. 46 (სომხ. ენაზე).



— არ — გამოიყოფა და — გოგელებს ან გუგელებს ნიშნავს.<sup>5</sup>

პროფ. ს. კაკაბაძეს — *გოგ|გუგ* — სატომო სახელად მიაჩნდა და მას უკავშირებდა გაგის სახელს.<sup>6</sup> ვფიქრობ, ყველაზე დამაჯერებელი და მისაღებია აკად. გ. მელიქიშვილის მოსაზრება; იგი გოგარენს ასე განმარტავს — „გოგ“-ში შეიძლება დავინახოთ სკვითური სახელი: VIII ს-ის მეორე ნახევარში სამხრეთ რუსეთის ველებიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან რამდენჯერმე შემოიჭრნენ სკვითები და კიმერიელები ამიერკავკასიასა და მცირე აზიაში. ისინი, როგორც სხვა ქვეყნებში, ამიერკავკასიაშიც დასახლდნენ. ამიტომ ზოგიერთ ოლქს შემორჩა მათი სახელი. მაგ., თრიალეთი დაკავშირებულია კიმერიელთა ტომის — *თრერის* — სახელთან, გოგარენი — *გოგების*, ხოლო მის მეზობლად მდებარე საკაშენი — *საკების* სახელთან.<sup>7</sup>

განიხილავს რა ანტიკურ წყაროებში გოგარენის შესახებ ცნობებს, ლ. ჯანაშია დაასკვნის: „როგორც ანტიკური წყაროებიდან ირკვევა, სტრაბონისეული გოგარენი მოიცავდა ქვემო ქართლის უკიდურეს სამხრეთ ნაწილს და, საფიქრებელია, მის სამხრეთით მდებარე ქვეყანას. როგორც ჩანს, შემდგომ პერიოდში ხდება გოგარენის სახელწოდების ნელი გადაადგილება უფრო ჩრდილოეთისაკენ“<sup>8</sup>.

სომხურ წყაროებში *გოგარენე|გუგარქი* პირველად მოხსენიებულია აგათანგელოსთან, შემდეგ მას იხსენიებენ ფავსტუს ბუზანდუცი, ელიში, ფარპეცი, კორიუნი, ზორენაცი, უხტანესი და სხვ. ეს ცნობები სპეციალურად კრიტიკულად აქვს განხილული არმენოლოგ ლ. ჯანაშიას. ვინაიდან ამ ცნობების ლ. ჯანაშიასეული მეცნიერული ანალიზი ობიექტური და საფუძვლიანია, ამიტომ დასკვნაც მიუკერძოებელია და სანდო. მას ცოტა ვრცლად დავიმოწმებთ: „უძველეს პერიოდში ქართლისაგან სომხეთის მიერ მიტაცებული გოგარენე წარმოდგენდა ქართლის ყველაზე უფრო სამხრეთ თემს, რომელიც უფრო სამხრეთით მდებარეობდა, ვიდრე ეს ჩვეულებრივად მიაჩნიათ. შესაძლოა, რომ გოგარენე თანამედროვე საქართველოს საზღვრებსაც კი არ სცილდებოდა... როგორც ჩანს, მხოლოდ შემდგომში, ახ. წ. აღ. II-III სს-ში, ახერხებს სომხეთი კიდევ უფრო ჩრდილოეთით წაწევას. ახლად მიერთებული მიწები, ბუნებრივია, გუგარქის საპიტიანზომში შედიოდნენ. IV ს-ის 60-იან წლებში გუგარქის პიტიანში ახერხებს, თავი დააღწიოს სომხეთის სამეფოს და თავის სამფლობელოთი ქართლში შედის... ამდენად, სომხთა წარმოდგენაში გუგარქი თანდათან მკვიდრდება როგორც ქვემო ქართლის ზოგადი სახელი. ამის ილუსტრაციას წარმოადგენს VII ს. ანონიმი გეოგრაფის, უხტანესის და ჰოვჰანეს დრასხანაკერტ-<sup>5</sup>Шанидзе А., Два чано-мингрельских суффикса в грузинском и армянских языках, ЗВОРАО, ტ. XXIII, 1916, გვ. 369.

<sup>6</sup>ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, 1927, გვ. 10.

<sup>7</sup>Г. Меликишвили, К истории древней Грузии, თბ., გვ. 223-224.

<sup>8</sup>ლ. ჯანაშია, ისტორიულ-წაროთმცოდნეობითი ნარკვევები, თბ., 1986, გვ. 70.

ცის ცნობები გუგარქზე. დაბოლოს, თანდათან ეს ტრადიციაც იკარგება და XIII ს-ის სპეციალურ გეოგრაფიულ თხზულებაშიც კი გუგარქი შაქად არის მოხსენიებული“.<sup>9</sup>

როგორც ვხედავთ, *გოგარენე*||*გუგარქი* ოდიტგანვე იყო ქართული მიწა და მისი მკვიდრნი ქართული ეთნოსის წარმომადგენლები იყვნენ. თუმცა, მოგვიანებით, ჩანს, სომხური ელემენტებიც შეეროვნენ. რაც შეეხება გოგარენს, გუგარქის ისტორიულ-გეოგრაფიას და შესაბამისად ტოპონიმიკას, აქაც აშოტ მელქონიანი ვითარებას თავდაყირა წარმოადგენს. მას მიაჩნია, და სამწუხაროდ არა მარტო მას, რომ გუგარქის ტოპონიმი თავიდან სომხური იყო, და შემდეგ გაქართულდა, რისთვისაც აკად. ს. ერემიანს იმოწმებს.<sup>10</sup>

როგორც აღვნიშნეთ, სომხეთთან მიმდებარე ქართული მიწები — ლორე-ტაშირი, სამცხე-ჯავახეთი, გოგარენე||გუგარქი და ა. შ. გარკვეულ პერიოდში დაპყრობილი ჰქონდა სომხეთს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს ტერიტორიები ძველთაგანვე სომხებს ეკუთვნოდა, რადგან ეს იყო ძირძველი ქართული მიწები, თავისი მკვიდრი ქართული მოსახლეობით. ამ ისტორიულ სიმართლეს ვერ ეგუებიან სომეხი ისტორიკოსები და მის მრუდე სარკეში წარმოდგენას ცდილობენ. ქვემო ქართლი, გოგარენე||გუგარქი აღნიშნულ ტერიტორიას ყოველთვის არ მოიცავდა, მაგრამ ძირითადად მაინც აღნიშნული საზღვრებით იყო წარმოდგენილი, რომელთა კანტონების ქართული სახელწოდებები სომხურად იყო თარგმნილი. ამის შესახებ დავიმოწმებთ აკად. დ. მუსხელიშვილს: „ფრიად ნიშანდობლივია, ამასთან დაკავშირებით ისეთი ფაქტი, რომ გუგარქის და ტაიქის შემადგენელი კანტონების სახელწოდებები სომხური „ფორით“ არის გაფორმებული, რომელიც ქართული „ხევის“ შესატყვისად იხმარება. საკუთრივ სომხური პროვინციების კანტონები კი როგორც წესი — „ძორ“ ტერმინით არის გაფორმებული“. შემდეგ დამოწმებული აქვს პროფ. თ. ჰაკობიანის წიგნი — „სომხეთის ისტორიული გეოგრაფია“, 1960, ერევანი, გვ. 260-261, სომხ. ენაზე“.<sup>11</sup>

აკად. დ. მუსხელიშვილს სომეხი მეცნიერის აღნიშნულ ნაშრომზე დაყრდნობით შემდეგი დასკვნა გამოაქვს: „ეს უნდა მოწმობდეს, რომ ამ ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულთა ქართული ნომენკლატურა პირველადი არის, რადგან ვიცით (გოგარენე||გუგარქი, ტაო||ტაიქ) ძირძველი ქართული პროვინციები იყო“.<sup>12</sup>

სიტყვას აღარ გავაგრძელებ და ვიტყვი — აშოტ მელქონიანის მოსაზრება, თითქოს აღნიშნული პროვინციების კანტონთა ტოპონიმი სომხური იყო, მეცნიერულ სიმართლეს არის მოკლებული.

<sup>9</sup>ლ. ჯანაშია, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები, 1968, გვ. 90-91.

<sup>10</sup>სომხეთი „აშხარაცუცის“ მიხედვით, ერევანი, 1963, გვ. 46 (სომხ. ენაზე).

<sup>11</sup>დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, 1960, გვ. 51.

<sup>12</sup>იქვე, 51.

პირველსავე სიტყვაზე მოვიდეთ და მივხედოთ ჯავახეთს. აშოტ მეღქონიანს, ისე როგორც სხვა სომეხ მეცნიერებს, ურარტუს მეფე არგიშტ I-ის წარწერაში (785-784 წ. წ.ად-მდე) მოხსენიებული ზაბახა მიაჩნია ჯავახეთის აღრინდელ ფორმად, ე.ი. სომხურ ტოპონიმად და დამოწმებული აქვს ჰ. ყარაგიოზიანის ნაშრომი.<sup>13</sup>

აკად. ს. ერემიანის აზრით, რამდენადაც არგიშტ I-ის წარწერაში ზაბახა დაპყრობილ ქვეყნად მოიხსენიება, ამდენად ეს თითქოს იმას ნიშნავს, რომ ძვ. წ.ად-ით VIII ს-ში სომეხი ხალხის ეთნოსი უკვე ჩამოყალიბებული იყო და სომხური სამეფო არსებობდა.<sup>14</sup> მაგრამ რატომ არ შეიძლება, რომ ზაბახას მოსახლეობა როგორც ტომი, ისე დაეყურო არგიშტ I-ს. ასე რომ, ეს არგუმენტი არ გამოდგება იმის სამტკიცებლად, რომ ამ დროს (VIII ს. ძვ. წ.ად-ით) სომხეთის სამეფო უკვე არსებობდა. ესეც არ იყოს, საიდან ან ვინ დაამტკიცა, რომ ზაბახას მკვიდრნი სომხები იყვნენ? მართალია, აშოტ მეღქონიანი აქ მოხსენიებულ — დიაუხი||დია (ტაიქ), დარიონ, ბასენ და სხვა მხარეებს სომხურ ქვეყნებად მიიჩნევს, მაგრამ გაურკვეველია — რის საფუძველზე.

სინამდვილეში, „დიაუხ (დაიენიე) ქვეყნის მოსახლეობის ქართული წარმომავლობის სამტკიცებლად მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს სომეხთა ქართული დასახელება — „სომეხი“, რომელიც მიღებულია დაიეანის (დიაუხის) უშუალო სამხრეთით მდებარე ქვეყნის სახელისაგან — „სუხმი“||„სოხმე“-ს მეტათეზისის — „სოხმე“ — „სომეხი“-ს მიღების გზით“.<sup>15</sup>

აშოტ მეღქონიანის „აღმოჩენათა“ შორის ერთ-ერთი ის არის, რომ თურმე „ახალქალაქის“ სახელწოდებაში ბოლო სიტყვა — „ქალაქი“ — არა მხოლოდ ქართულში, არამედ სომხურშიც გვხვდება. იგი კიდევ უფრო რომ გაეახარო, ვეტყვი, არც სიტყვა *ახალი* არის ქართული და შემოსულია აღმოსავლურიდან და დამკვიდრებულია ქართულში. მაგრამ მისდა სამწუხაროდ, ამით ახალქალაქის სომხურობა არ მტკიცდება. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი მასალები მოწმობენ, ამ მიდამოებში უძველესი დროიდან უცხოვრიათ ადამიანებს. IX-X საუკუნიდან აქ არ-

<sup>13</sup> სომხეთის მთიანეთის ეპიგრაფიული წყაროები, ტ. I, წიგნი I, ერევანი, 1998, გვ. 94, 132, 195, 203-204 (სომხ. ენაზე).

<sup>14</sup> ურარტუს სამეფო, რუკები; სომეხი ხალხის ისტორია ტ. I, ერევანი, 1971, გვ. 91 (სომხ. ენაზე).

<sup>15</sup> გიორგი ქავთარაძე, „ტაოხთა უძველესი ქვეყანა და ქართული სახელმწიფოებრივობის საწყისები“// ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 2005, ტ. V, გვ. 25, 30; ამავე ნაშრომში გ. ქავთარაძეს დამოწმებული აქვს მ. წერეთელი, რომელიც ტერმინ — „სომეხს“ აიგივებს სახელწოდება „კუშუხთან“, იმის გათვალისწინებით, რომ ქართველები დღესაც ცოტა უპატიოდ უწოდებენ „სომეხ“ — „კომეხს“. მ. წერეთლის აზრით, ეს მოხდა ქართული ფონეტიკისთვის დამახასიათებელი ს-სა და კ-ს ურთიერთმონაცვლეობის შედეგად. იგი, აგრეთვე მიიჩნევს ქართულ ენაში სომეხთა აღმნიშვნელ უძველეს ფორმად დაკავშირებულს მესხების სამხრეთით მოსახლე „კუშუხთა“ (იგივე კამმან-უკომთა) ქვეყანასთან, რომელსაც კომპაგენე ეწოდა (გვ. 30).

სებულა სოფელი, რომელიც ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ქალაქად გადაიქცა. ახალქალაქი X ს-დან (ჯავახეთთან ერთად) ტრადიციულად საუფლისწულო მამული იყო. მეფე ბაგრატ III-მ XI ს-ში მისთვის დაიწყო კედლის შემოვლება, რომელიც ბაგრატ IV-მ დაასრულა. მისი მოსახლეობა ოდითგან ქართული იყო, როგორც ამას საისტორიო წყაროები ადასტურებენ.

ამოტ მელქონიანის ფანტაზია უსაზღვროა. იგი აცხადებს, რომ თურმე სომეხი მეფის თრდატის წყალობით, ქართველთა მეფე მირიანს და ქართველ ხალხს 320-იან წლებში მიუღიათ ქრისტიანობა. ქართველ ხალხში ქრისტიანობა პირველ საუკუნეში მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა გაავრცელა, ხოლო წმ. ნინოს მოღვაწეობის შედეგად — მირიან მეფის დროს (IV ს-ის დასაწყისი) ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად იქნა აღიარებული ქართლში. ასე რომ, სომხეთის მეფე თრდატი არაფერ შუაშია და მისი დამსახურება ქართველთა გაქრისტიანებაში მხოლოდ ამოტ მელქონიანის ფანტაზიაა.

ამოტ მელქონიანმა ამავე ნაშრომში საქართველოსა და სომხეთს შორის სასაზღვრო გამიჯვნის საკითხიც განიხილა, კი განიხილა, მაგრამ ლორესა და ახალქალაქის სადაო მახრების ისტორია ტენდენციურად წარმოადგინა. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის, რომ იგი შეგნებულად არასწორად ხმარობს ტერმინს — „თურქი მესხები“, ასეთი ეთნიკური ერთეული მესხეთში არ არსებობდა. ეს არის საქართველსადმი აგრესიულად განწყობილი ზოგიერთი მაჰმადიანი მეცნიერის მიერ ხელოვნურად ნახმარი სახელწოდება. მესხეთში იყვნენ არა თურქი მესხები, არამედ გამაჰმადიანებული მესხები, რომელიც იოსებ სტალინმა 1944 წელს გაასახლა შუა აზიაში.<sup>16</sup> ეს კი უნდა იცოდეს ახალქალაქელმა მეცნიერმა ამოტ მელქონიანმა.

ახლა მივხედოთ ლორეს და ახალქალაქის მახრების საკითხს. მათ შესახებ ცოტა ვრცლად ვიტყვი, რადგან სომხეთი დღემდე ვერ შეგუებია ჯავახეთის საქართველოს საზღვრებში ყოფნას. სომხეთმა რვა საუკუნის წინ დაკარგული სახელმწიფოებრიობა 1918 წელს დაიბრუნა და თავისი საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებად „ღიდი სომხეთის“ აღდგენა დაიხატა. სომხეთის დამნაკური მთავრობა ყველა იმ ტერიტორიას ითხოვდა, სადაც ოდესღაც სომეხს ერთხელ მაინც გაეგლო და წყალი დაეღია. დამნაკებმა სასწრაფოდ გამოაცხვეს სომხეთის ისტორიული და სახელმწიფო რუკები და 1919 წელს პარიზის საზავო კონფერენციას წარუდგინეს. ამ რუკებზე — „როგორც სომხეთში შემავალი ტერიტორიები, აღნიშნული იყო — თბილისი, ბორჩალოს, ახალციხისა და ახალქალაქის მახრები. აგრეთვე — მცხეთა, გორი, ბათუმი და ბათუმის ოლქი. მოსახლეობის ეთნიკური პრინციპის მიხედვით, სომხეთი მოითხოვდა, მამასადამე, საქართველოს უძველეს დედაქალაქს — მცხეთას, საქართველოს დედაქალაქს —

<sup>16</sup>მერაბ ბერიძე, „მაჰმადიანი მესხების ფესვები და დღევანდლობა“, თბ., 2009, გვ. 87-198.

თბილისს, საქართველოს მუდმივსა და განუყოფელ ნაწილს — ბორჩალოს და მთელ მესხეთ-ჯავახეთს“.<sup>17</sup>

დაშნაკთა ეს გაზრდილი მადა არავინ დააკმაყოფილა, მაგრამ მათ გული არ გაიტტუნეს და რისი მიღებაც მოლაპარაკების გზით ვერ შეძლეს, მისი მიღება იარაღის ძალით სცადეს. 1919 წ. დეკემბრის დასაწყისში, ომის გამოუცხადებლად, საქართველოს თავს დაესხა დაშნაკთა ჯარი და პირველ დღეებში გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. მაგრამ ქართულ არმიას სათავეში ჩაუდგა გენერალი კვინიკაძე, მთელ ფრონტზე ძლიერი შეტევა განახორციელა და სწრაფად წავიდა წინ. საქმეში ინგლისი რომ არ ჩარეულიყო, ალბათ, ერევანსაც აიღებდა. ამის აღიარება სომეხ ისტორიკოსებს და მათ შორის აშოტ მელქონიანსაც არ სურს, მაგრამ ფაქტი ასეთია.

აშოტ მელქონიანი თავისი სტატიის 32-გვერდზე წერს: ახალქალაქის სომხობა შეეცადა, გადაეწყვიტა ძირითადი საკითხი და 1918 წლის 21 იანვარს ახალქალაქის სამაზრო კომიტეტმა ახალქალაქის მაზრის ალექსანდრაპოლის გუბერნიასთან მიერთება გამოაცხადა. ამ აქტს იგი აფასებს როგორც ამ მაზრის სომხეთთან მიერთების უპრეცედენტო ნაბიჯს. სინამდვილეში კი ეს იყო საქართველოს მიმართ ჩადენილი ღალატი, უფრო სწორად, ზურგში დანის ჩაცემა. იგი ასეც იქნა შეფასებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ. მან მესხეთ-ჯავახეთის გენერალ-გუბერნატორს შალვა მაღლაკელიძეს დაავალა ადეკვეთა ეს უკანონობა. იგი თავის ჯარით სასწრაფოდ მივიდა ახალქალაქში, მოიწვია სამაზრო კომიტეტის სხდომა და კომიტეტში მოკალათებული დაშნაკების მიერ გამოტანილი ეს მოღალატური და სეპარატისტული დადგენილება გააუქმა.

შემდეგ სომხეთ-საქართველოს შორის საგანგებო შეთანხმება გაფორმდა. შეთანხმების თანახმად, სადავო ბორჩალოს მაზრა, ლორეს ტერიტორია ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა. მის ჩრდილოეთ ნაწილში უნდა ყოფილიყო ქართული ჯარის ნაწილები, ხოლო სამხრეთ ზონაში — სომხეთის. აღსანიშნავია, რომ ამ ხელშეკრულებას ლორეს ადგილობრივი მოსახლეობა უკანონოდ მიიჩნევდა და საქართველოსთან შეერთებას ცდილობდა. საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების სახელზე 1919 წელს ლორეს მოსახლეობას ასეთი შინაარსის მიმართვა გაუგზავნია: „უხსოვარი დროიდან მართლმორწმუნე ქრისტიანული ტაძრები, ძეგლები, სასაფლაონი, რომლებიც ჩვენშია, აქამდე უვნებლად და დაცული, უეჭვოდ ამტკიცებს, რომ ლორეს სამუსლიმანო რაიონი მუდამ განუყოფელი ნაწილი იყო საქართველოსი და ამ რაიონის მოსახლენი ბურჯად ედგნენ საქართველოს საზღვრებს სიმტკიცისათვის. საქართველოს მთავრობა ლორეს რაიონს რატომღაც, ვითომდა სადავო ტერიტორიად თვლის საქართველოს და სომხეთს შორის, რაც ძლიერ დამღუპველ მდგომარეობაში გვაყენებს.

<sup>17</sup> ვიქტორ ნოზაძე, სასაზღვრო საკითხი კავკასიაში//ე. „ისტორიული მემკვიდრეობა“, 2011, #10, გვ. 7.



ჩვენ ტფილისთან ვართ დაკავშირებული ეკონომიურად, პოლიტიკურად, სულიერად და ყოველმხრივ. ამიტომ მისგან ჩამოშორება არ შეგვიძლიან. ვთხოვთ საქართველოს მთავრობას ყოველგვარი ზომები მიიღოს ჩვენს დაუყოვნებლივ საქართველოს ტერიტორიასთან მისაერთებლად“.<sup>18</sup> მიმართვას ხელს აწერს ლორეს რაიონის ექვსი სოფლის მცხოვრებნი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ანგარიში არ გაუწია აღნიშნულ მიმართვას და ზუსტად ასრულებდა შეთანხმებას. მაგრამ სომხეთის დაშნაკუთხი მთავრობის თხოვნით, 1920 წელს ლორეს ოლქი მთლიანად დაიკავა საქართველოს ჯარმა.

სომხეთის გასაბჭოების შემდეგ სომხეთის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ საქართველოს მენშევიკურ მთავრობას ლორეს დატოვება მოსთხოვა, მაგრამ დასაბუთებული პასუხი გაეცა. 1921 წელს, როცა საქართველოში წითელი არმია შემოვიდა, სომხეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ ამ ძნელბედობით ისარგებლა და ლორეს ფარული ინკორპორაცია მოახდინა. ამრიგად, სომხეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ ლორეს ოლქი მიითვისა.

ვინაიდან აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს საზღვრების გამიჯვნის საკითხი რთულად იდგა, ამიტომ 1921 წლის 2 მაისს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ საგანგებო კომისია შექმნა, რომლის პირველი სხდომა 25-27 ივნისს, თბილისში გაიმართა. სიტყვით გამოსულა სომხეთის წარმომადგენელი ალ. ბეკზადიანი. ეს გამოსვლა ჩაუწერია ვინმე მურადიანს. მის ჩანაწერში ვკითხულობთ: „სომხეთის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმედ უნდა მივიჩნიოთ, რადგან მან თავის ტერიტორიის თითქმის ნახევარი დაკარგა ეკონომიური რესურსებით. ამხ. ბეკზადიანს უადრესად საჭიროდ მიაჩნია, რომ მეზობელ აზერბაიჯანსა და საქართველოს რესპუბლიკებს ჩამოეჭრას ტერიტორიები სომხეთის სასარგებლოდ. როცა მოსკოვში ამხ. მიასნიკოვმა და ბეკნაზარიანმა ამხ. სტალინი ინახულეს, ამ უკანასკნელმა ეს თვალსაზრისი სავსებით გაიზიარა.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, სომხეთის დელეგაცია სთხოვს ამხ. ქართველებს, თათრებს, რათა გაითვალისწინონ სომხეთის განსაკუთრებული მდგომარეობა და საერთო სოლიდარობის გულისთვის, ერთხელ და სამუდამოდ, უადრესად გულწრფელი, მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების დამყარების მიზნით დაგვთანხმდნენ განსაზღვრული ტერიტორიების დათმობას“.<sup>19</sup>

სომეხი ბოლშევიკები მართლ ლორეს ოლქის მითვისებით არ კმაყოფილდებოდნენ. მათ უნდოდათ საქართველოს ჩამოჭროდა და სომხეთს გადასცემოდა ახალქალაქის მაზრა (ფაქტობრივად, ჯავახეთი) და ბორჩალოს ნაწილი. სომეხი ბოლშევიკების ამ უსაფუძვლო მოთხოვნის გამო შეთანხ-

<sup>18</sup> ჯავა სამუშია, „როგორც გადასცა სტალინმა ლორე სომხებს“//ქ. „ისტორიანი“, 2011, ტ. VI. გვ. 14-48.

<sup>19</sup> იქვე, გვ.17.



მება ვერ მოხერხდა. ეს საკითხი განსახილველად გადაეცა კავბიუროს. კავბიურომ კი, იოსებ სტალინის მონაწილეობით, 1921 წლის 7 ივლისის დადგენილებით ე. წ. ნეიტრალური ზონა — ლორეს ოლქი — საბჭოთა სომხეთის რესპუბლიკას გადასცა.

ქართველი ბოლშევიკების მოთხოვნით, ახალქალაქის და წალკის რაიონების საკითხი განსახილველად გადაეცა საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს, რომლის დასკვნის საფუძველზე დადგენილება უნდა დაემტკიცებინა კავბიუროს. 1921 წლის 7 ივლისის დადგენილებით ლორეს ოლქზე საქართველოს პრეტენზია საბოლოოდ გაუქმდა. ახლა ლორე კი არა, ხრამის და ახალქალაქის ქართული მიწები იყო შესანარჩუნებელი.

ამრიგად, კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიისა (კავბიურო) და საქართველოს კომუნისტური პარტიის ბიუროს დადგენილებით, სომხეთს გადაეცა ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილი, ე. წ. ლორეს რაიონი — 2367 კვ.კმ ფართობი. მოგვიანებით, 1925 წელს სომხეთს გადაეცა ბორჩალოს მაზრის კიდევ ერთი ნაწილი — 207,94 კვ.კმ ფართობი. მთლიანად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით — 1921-1925 წლებში სომხეთს დაუთმეს 2575,38 კვ.კმ ქართული მიწა.

აშოტ მელქონიანი სტატიაში „ჯავახქ ძველ და შუა საუკუნეებში“ (გვ. 39-51) ცდილობს „დაამტკიცოს“ ჯერ ჯავახეთის მიწის „სომხურობა“, შემდეგ ჩამოთვლის 40 სოფლის სახელწოდებებს, სადაც თურმე „სომხური ან სომხებში ფართოდ გავრცელებული სომხური სახელების მქონე პირები ცხოვრობდნენ XVI ს-ში“. იოლი არ არის ეკამათო ყოველივე ქართულისადმი სიძულვილით გამსჭვალულ ადამიანს, მით უმეტეს თუ მას მეცნიერობის პრეტენზია აქვს. საოცარია, ისე როგორ დააბრმავა შურმა და ზიზღმა, რომ ამ 40 სოფლის მცხოვრებთა საქართველოში ფართოდ გავრცელებული სახელები სომხურად მოეღანდა, თუ განგებ სომხურად მონდომა მათი გასაღება, ესენია — ზაქარია, სიმონი, როსტომი, გრიგოლი, რევაზი, გაბრიელი და სხვ. სინამდვილეში მან ამ სოფლებში მცხოვრებთა სომხური სახელები ამოკრიბა და თან ქართულიც მიაყოლა. ამით მას უნდოდა, ისეთი წარმოდგენა შეექმნა, რომ თითქოს XVI ს-ში იქ მარტო სომხები ცხოვრობდნენ. ამ სიცრუის გამოსააშკარავებლად საკმარისია, მივმართოთ პირველ წყაროს — „გურჯისტანის ვალაიეთის დიდ დავთარს“, <sup>20</sup> სადაც ობიექტური მკვლევარი ნახავს, რომ ჯავახეთის მცხოვრებთა სახელების 90% XVI ს-ში ქართულია.

აშოტ მელქონიანი აქ არ ჩერდება და განაგრძობს: „შემდგომ საუკუნეებში, ოსმალთა ხანგრძლივი და მძიმე ბატონობის პერიოდში ამ მხარის (ე. ი. ჯავახეთის — ბ. ა.) მცხოვრებთაგან გაუმაჰმადიანებელი არავინ დარჩა. ისლამი მიიღო, აგრეთვე, სომეხთა იმ ნაწილმა, რომელნიც ქართ-

<sup>20</sup> თურქულიდან ქართულად თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო აკად. ს. ჯიქიამ, წიგნი III, 1958 წ.

ველთა მმართველობის (ჯავახეთში — ბ. ა.) პერიოდში ქალკედონიტები გახდნენ. ისლამიზაციის ამ ხანაში (XVII-XVIII სს.), ახალციხეში, ადიგენსა და შედარებით ნაკლებად ახალქალაქში მცხოვრებლებს, თურქებმა მთლიანად უწოდეს გეოგრაფიული სახელწოდება — „მესხები“ (გვ. 50)“. იქვე, 32 სქოლიოში შენიშნავს: „**ქართველი ისტორიკოსები და თანამედროვე პოლიტიკური მოღვაწეები ამ ტერმინში („მესხები“) ეთნიკურ აზრს დებენ და ცდილობენ მესხები ნამდვილ ქართველებად წარმოადგინონ**“ (ხაზგასმა ჩემია — ბ. ა.). მელქონიანი პირველი არ არის, ვინაც მესხების ქართველობა ეჭვის ქვეშ დააყენა. ამ მხრივ მან მხარი „დაუმშვენა“ თურქ მეცნიერს — იუნუს ზეირიქს.<sup>21</sup> თურქი მეცნიერის რა მოგახსენოთ, მაგრამ ისტორიკოსმა მელქონიანმა, თუ მას ადამიანური და მეცნიერული პატიოსნების ნატამალი გააჩნია, უნდა იცოდეს, რომ მესხები უძველესი ქართველები არიან. ამას მოწმობს ასურულ-ლურსმულ წყაროებში დაფიქსირებული — „მუშქების“, ქართული — „მესხების“ და ბერძნულ-რომაული ტექსტების — „მოსხების“ და აგრეთვე ბიბლიის — „მოსოხ-მეშენ“-ის შორის არა მარტო უეჭველი მკვიდრი კავშირი, არამედ მათი საერთო ეთნოგენეზისი“.<sup>22</sup> საყურადღებოა ისიც, რომ *მოსოხ-მეშენი* ნოეს სამ ვაჟთაგან ერთ-ერთის, იაფეტის შთამომავალი იყო.<sup>23</sup> მესხების ჭეშმარიტი ქართველობის შესახებ კიდევ შეიძლება სხვა მეცნიერთა ნაშრომების დამოწმება, მაგრამ მოტანილიც ნათლად ადასტურებს მესხების ეროვნულ ვინაობას და მასში ეჭვის შეტანა მხოლოდ მელქონიანის და ზეირიქის მსგავს ვაიმეცნიერებს შეუძლია.

აშოტ მელქონიანმა თავისი ჭკუით მესხების ქართველობა ზომ სადავოდ აქცია, მაგრამ ამას არ დასჯერდა და სომეხთა „გაქართველებაში“ ქართველებს დასდო ბრალი. ამის შესახებ წერს: „ადგილობრივმა ქართულმა მმართველობამ (იგულისხმება მენშევიკური მმართველობა — ბ. ა.) ახალქალაქის ჩრდილოეთის და აღმოსავლეთ მხარეში საკმაო რაოდენობის სომეხ მცხოვრებლებს წაართვა საკუთარი მიწები, გამოდევნა და მისცა ქართველებს. ხელყვეს ახალციხის წმ. გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის კუთვნილი სოფლების სავარგულები. აქ დაიწყო ქართულმა ეროვნულმა მთავრობამ ეროვნული ასიმილაცია“ (გვ. 87). ამავე გვერდზე, 33-ე სქოლიოში კი შენიშნავს: „მართალია, აღმოჩნდა ზოგიერთი სომხური ოჯახი, რომელიც დათანხმდა გვარის შეცვლას, მაგრამ სომეხ-კათოლიკეთა უმეტესობა ქართული მთავრობის ამ შოვინისტური მოთხოვნის წინააღმდეგ წავიდა და კატეგორიულად უარყო სომხური გვარის შეცვლა ქართულით“. შემდეგ განაგრძობს: „მენშევიკური მთავრობის ეს შოვინისტური პოლიტიკა შეუძინეველი არ დარჩენია სომხეთის დაშნაკურ მთავრობას და

<sup>21</sup>Yunus Zeyrek, *Ahiska bölgesi ve Ahiska Türkuri*, Ankara, 2001.

<sup>22</sup>გრიგოლ გიორგაძე, „მუშქია“, „მუშქი“ და „დაიენი“, „დაიანი“, ასურულ-ლურსმულ ტექსტებში//კრებ. „მესხეთი“, 2000 წ.

<sup>23</sup>ნ. ხაზარაძე, ბიბლია და მესხების ძველი ისტორია//კრებ. „მესხეთი“, 2000 წ.

შეეცადა ეს პროცესი შეეჩერებინა. ამიტომ დააყენა სასახლერო გამიჯვნის საკითხი. სომეხი სახელმწიფო მოღვაწენი უსამართლოდ მიიჩნევენ, ახალქალაქის მახრა (ე. ი. ჯავახეთი — ბ. ა.) საქართველოს საზღვრებში რომ იყო მოქცეული“ (გვ. 87).

ამასთან დაკავშირებით დაშნაკების ერთ-ერთი ლიდერი რუბენ ტერმინასიანი წერდა: „საქართველო უსამართლოდ მოექცა სომხეთს. უსამართლობა იყო ის, რომ სომხებით დასახლებული ახალქალაქის ოლქი, რომელიც გეოგრაფიულად და ეთნოგრაფიულად ეკუთვნოდა სომხეთს, მოწყვიტა და შეიერთა“ (გვ. 87).

სომხეთის მიერ უძველესი ქართული მიწის, ჯავახეთის მიმართ ყოველმხრივ უსაფუძვლო და გაუთავებელ პრეტენზიას ცოტა ვრცლად შევუხებით. ჯერ კიდევ 1913 წელს სომხებმა ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრების თბილისის გუბერნიიდან გამოყოფა და გიუმრთან შეერთება მოითხოვეს, გიუმრის (ალექსანდრაპოლის) გუბერნიის შექმნის მიზნით.<sup>24</sup> ამ დროს მეფის ნაცვალი კავკასიაში იყო, როგორც ივ. ჯავახიშვილი ამბობს, სომეხთა მწყალობელი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი. მისი მესაიდუმლე და ყურმოჭრილი ერთგული მსახური იყო დაშნაკთა ერთ-ერთი ლიდერის — ალ. ხატისოვის მამა — ივანე. ამ პერიოდში, მეოცე საუკუნის 10-იან წლებში, სომეხთა ცხოვრების სადავე დაშნაკებს ეჭირათ ხელში. ვორონცოვ-დაშკოვის ბრძანებით და, რა თქმა უნდა, ხატისოვის „რჩევით“, შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელშიც 6 სომეხი და 2 ქართველი შედიოდა. ეს საკითხი 1913 წლის 6 ნოემბრის და 18 დეკემბრის სხდომებზე განიხილეს და დაასკენეს, რომ ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრების გამოყოფა და სომხეთთან შეერთება გეოგრაფიული და ეკონომიკური თვალსაზრისით მიზანშეწონილი არ იყო. ეს დასკვნა საგუბერნიო საბჭომ 1914 წლის 24 იანვარს უყოყმანოდ დაამტკიცა.

შემდეგ წლებში მოვლენები ასე განვითარდა: 1918 წელს დაშნაკებმა სომხეთის ისტორიული და სახელმწიფოებრივი რუკები დაბეჭდეს. ივ. ჯავახიშვილმა ამ რუკებს „ფანტასტიკური რუკები“ უწოდა, რადგან მათზე ე. წ. დიდი სომხეთი „გადაჭიმული იყო შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და სამსუნის ოდნავ აღმოსავლეთით შავ ზღვამდე მდებარე ადგილთაგან ხმელთაშუა ზღვაზე აღწევდა და სელევკიის ჩრდილოეთით მდებარე ქ. არდევილის ოდნავ ჩრდილოეთით მიმავალი ხაზით სრულიად სომხეთის საზღვარი კასპიის ზღვასთან არ მთავრდება: ბათუმი, ახალციხე, თვით მცხეთა და ტფილისიც კი ამ რუკაზე სომხეთშია მოქცეული და საქართველოს პატარა, ვიწრო ზოლიდა აქვს მიკუთვნებული“.<sup>25</sup>

<sup>24</sup> ეს თეორიული გადანაწილება მოხდა ქართველი ფედერალისტების და სომხურ დაშნაკურ პარტიებს შორის, რომელიც ეთნიკურ პრინციპს ეყრდნობოდა. ამის წინააღმდეგი იყო ცნობილი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი. ამიტომ დატოვა ფედერალისტები და ცოტა მოგვიანებით შევიდა ეროვნულ-დემოკრატიის პარტიაში.

<sup>25</sup> ბონდო არეველამი, „როცა უდავო სადავო ხდება“, თბ., 2006, გვ. 92-93.

ამ ზღაპრული რუკების მიხედვით წარმოდგენილი „დიდი სომხეთი“ არასდროს არსებულა და შესაბამისად, არც 1918 წ. სტამბოლის მსოფლიო კონფერენციაზე არ დაუჭირა მხარი არცერთმა სახელმწიფომ დაშნაკთა ამ გეგმას, რომლის მიხედვითაც დაშნაკები „დიდი სომხეთის“ ადღეენას ითხოვდნენ. აღარას ვამბობთ თურქეთის წარმომადგენელზე, რომელმაც კონფერენციის მონაწილეებს იოლად დაუმტკიცა სომხეთის ამ ისტორიული და პოლიტიკური რუკების არარეალურობა, როგორც წარსულის, ისე აწმყოს თვალსაზრისით. აღნიშნული მოწმობს, რომ სომხების პრეტენზია ქართული მიწების მიმართ არ ახალია და ისინი პერიოდულად ცდილობენ მათ მითვისებას, თანაც არც თუ სანაქებო ხერხებით. ერთ-ერთ ამგვარ გამოხდომას ჰქონდა ადგილი **1925 წელს**, როცა **სომეხი ბოლშევიკები ჯავახეთისთვის ავტონომიის მინიჭების მოთხოვნით გამოვიდნენ**. ამ მოთხოვნას კატეგორიულად წინ აღუდგა ივ. ჯავახიშვილი და ვრცელი მოხსენება გაუგზავნა საბჭოთა მთავრობას, რომელშიც მეცნიერულად დაასაბუთა, რომ ჯავახეთი გეოგრაფიულად, ისტორიულად და ეკონომიკურად ყოველთვის საქართველოს ეკუთვნოდა.<sup>26</sup>

დაშნაკთა აღნიშნული მოთხოვნა ჯავახეთის მიმართ დღესაც გრძელდება. მათი ტიპური წარმომადგენელია ამოტ მელქონიანი თავისი შრომებით ამ კუთხის შესახებ.

ვინმე მ. დარიბიანს ეკუთვნის სტატია „დასავლეთის სომხების გამოსახლება 1829-1830 წწ. სომხურ მაზრასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე“ (გვ. 212-223). წერილში არც ახალი არაფერია ნათქვამი და არც რაიმე უცნობი საარქივო მასალაა წარმოდგენილი, მაგრამ საყურადღებოა იმით, რომ სტატიის სათაურშივე ჯავახეთი სომხურ მაზრად არის გატანილი, რაც არასდროს არ ყოფილა. ეს რომ ერთი კონკრეტული შემთხვევა ყოფილიყო, მასზე ყურადღებას არ გავამახვილებდით, მაგრამ ეს ტიპური მოვლენაა სომხურ ისტორიოგრაფიაში. სომეხ საზოგადოებას ამ გზით უჭედევნ თავში აზრს, რომ ჯავახეთი იყო და არის სომხური მიწა, რომელიც სომხეთს უნდა დაუბრუნდეს.

მეფე ნიკოლოზ I-ის ბრძანებით, 1829-1830 წლებში შემოსახლებულ სომეხთა გარკვეული ნაწილი ახალციხესა და მის გარშემო მდებარე ტერიტორიაზე უნდა დაესახლებინათ, „სადაც ის საიმედო ძალა იქნებოდა რუსეთის ახალი საზღვრების დასაცავად“.<sup>27</sup> ეს ამონარიდი კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ მეფის მთავრობა სამცხე-ჯავახეთის გამაჰმადიანებელი ქართული მოსახლეობისაგან განსხვავებით, რომელიც გაქრისტიანების შიშით მშობლიური მიწა-წყლიდან აიყარა და თურქეთის სიღრმეში გადასახლდა, სომხებს კავკასიაში ყველაზე საიმედო დასაყრდენ ძალად თვლიდა.

<sup>26</sup> „ივ. ჯავახიშვილის არქივიდან“//გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1988, #43.

<sup>27</sup> Центральный государственный военно-исторический архив, Ф. Вил., д. 1019, б. 4-5.

საინტერესოა დაშნაკური პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწის ა. აპარონიანის სტატია, რომელიც პირველად დაბეჭდილია გაზ. „ჰაიერენიქი“-ს (საშობლო) 1933 წლის მარტის ნომერში. მისი სათაურია — „სომხეთი, საქართველო და დასავლეთი“ (გვ. 335-354). მასში ამ ქვეყნების ორიენტაციის საკითხია დასმული. ავტორს შედარებითი ხერხის გამოყენებით მიმოხილული აქვს სომხეთის და საქართველოს ისტორია. მიუთითებს რა საქართველოს სწრაფვაზე დასავლეთისკენ, დასკვნის სახით იგი წერს: „...და დღესაც გრძელდება ძველი, ძალიან ძველი ზღაპარი. საქართველომ თავისი იმედი დაუკაემირა თურქებს და ბრძოლა გამოუცხადა რუსეთს. სომხეთმა თავისი იმედი რუსეთზე დაამყარა და ჩაება შეუპოვარ ბრძოლაში ყოველგვარი თავისუფლების მტრის, ოხერი თურქების წინააღმდეგ.“

ამ ორში — რომელია სწორი?

ბოლოს და ბოლოს როდის გადაწყდება ეს საუკუნოვანი და სიმპათიური, მაგრამ ანტაგონისტური საკითხი, რომელიც იმდენად მწვავეა, რომ პოლიტიკურად ყოფს ამ ორ ახლობელ ხალხს.

როდემდე, როდემდე!.. არ ვიცი“.

როგორც აღვნიშნეთ, ეს სტატია გამოქვეყნდა 1933 წელს საზღვარგარეთ სომხური დაშნაკური გაზეთის ფურცლებზე. ამ დროს საქართველოცა და სომხეთიც უკვე გასაბჭოებული იყო. ამიტომ აპარონიანს მხედველობაში, ალბათ, XX საუკუნის 10-იანი წლები აქვს. მაგრამ ამ წლებში საქართველოს თურქეთთან მოკავშირეობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო, რადგან თურქებმა ისარგებლეს ამ პერიოდში (1918-1920) ახლად შექმნილი დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სისუსტით და ჯარით შემოვიდნენ სამცხე-ჯავახეთში. ეს მხარე ოკუპანტებისაგან ქართული ეროვნული ჯარის სიმამაცემ იხსნა. ასე რომ, საქართველო ამ დროს თურქეთის იმედით ვერ იქნებოდა, პირიქით — ებრძოდა მას. რაც შეეხება რუსეთთან ბრძოლას, ამასაც მცდარ ინტერპრეტაციას აძლევს. 1918-1919 წლებში საქართველო კი არ ებრძოდა რუსეთს, პირიქით — მისგან თავს იცავდა. რუსეთის ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა არ ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და ამიტომ დენიკინის დივიზიები ცდილობდნენ, შემოჭრილიყვნენ საქართველოში და დაემხოთ მენშევიკური მთავრობა. ამ დროს რუსეთის დროებითი მთავრობასთან სომხეთის დაშნაკური ხელისუფლება საქართველოს საწინააღმდეგოდ შეხმატკბილებული იყო.

3. გელამიანცის სტატიაში „წერილი ახალციხიდან“ (გვ. 359-375.) (გადმობეჭდილია გაზ. „ფორმ“ (ცდა), №1, 1876), მოტანილია შემდეგი მონაცემები: 1866 წელს ახალციხეში 110 სომეხი გრიგორიანი ოჯახი ყოფილა, ხოლო 40-50 — კათოლიკური, 200 — ქართული და ებრაული ოჯახი (გვ. 361). როგორც ვხედავთ, სომხების რიცხვი არც XIX საუკუნეში ყოფილა დიდი, როგორც ამის წარმოჩენა ამოტ მელქონიანს და მის მსგავს მკვლევრებს სურთ.



ამავე ავტორს მოაქვს სომეხი ისტორიკოსის ლევონ ალიშანის აზრი *ახალციხის* ეტიმოლოგიის შესახებ, რომლის მიხედვით ახალციხეს მესხთა ქალაქს უწოდებდნენ, ხოლო სიტყვა *სამცხე* მოდის ახალციხიდანო. გელამეანცი ამ აზრს მართებულად არ ეთანხმება და შენიშნავს: სამცხე ნიშნავს — სამციხეს. თამარ დედოფლის დროს ამენდა ახალციხეო. ამ დროს იყო აზხორის (აზღარდ) და ზრდვიზის ციხეები და აქედან მიღებულია — ორციხე (ორი ციხე), გვ. 361.

თუ სამცხეში — სამი ციხე იგულისხმება, მაშინ „ორი ციხე“ რას ნიშნავს, ეს გაუგებარია. მაგრამ აქ უფრო საყურადღებოა ქართული ტოპონიმი *ბერთეისი*. ეს ციხე-სიმაგრე წარმოდგენილია სომხურ ხეში მდგომ ციტადელად — *პარტიზაც ძორ*, ე. ი. „დიდი სომხეთის“ ტერიტორიად, რაც არასდროს ყოფილა. აზხორ||აზღარდ (ე. ი. ქართულად *აწყური*) კი სომხურ ტოპონიმად არის მიჩნეული. ამ ტოპონიმების ქართულობის მტკიცებას აქ არ შევუდგები, რადგან ობიექტური მეცნიერისათვის ეს ისედაც ცხადია.<sup>28</sup>

პროფ. კ. ლაფადარიანის სტატია „მასალები ახალციხის სომხური დიასპორის ისტორიისათვის“ (გვ. 376-387) შედარებით აკადემიურობითა და დამოწმებული ისტორიული წყაროების სიუხვით გამოირჩევა. მაგრამ ავტორს ბოლომდე არ ყოფნის ობიექტურობა და ზოგიერთ წყაროს ტენდენციურად განიხილავს. იგი ცდილობს, დაამტკიცოს, რომ თითქოს სომეხები ახალციხეში ძველთაგანვე ცხოვრობდნენ, მაგრამ ამის დამადასტურებელი ცნობები ვერ მოაქვს. კ. ლაფადარიანი აღნიშნავს: „ახალციხეში უძველესი სომეხების რაოდენობის შესახებ ცნობები არ გვაქვს, მაგრამ ვიცით, რომ ჯერ კიდევ 1829 წლამდე ისინი ბევრნი იყვნენ და ცხოვრობდნენ, რაბათის (ქალაქის ძველი უბანი) და ქალაქის ახლომახლო მდებარე რამდენიმე სოფელში და ჯავახეთში. ჯავახეთი კი ამ დროს ახალციხის ოლქის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო“ (გვ. 378).

ყველა-ყველა, მაგრამ ასეთ დაუსაბუთებელ და ტენდენციურ მოსაზრებას ნამდვილად არ ველოდი ისეთი აკადემიური და სოლიდური მეცნიერისაგან, როგორც იყო პროფ. კ. ლაფადარიანი. ჯერ მას ახალციხეში უძველეს დროში სომეხთა ეთნიკური ელემენტების არსებობა უნდა დაემტკიცებინა სათანადო წყაროების მითითებით და მათი რაოდენობის გარკვევაზე მერე უნდა ეზრუნა. სომეხი მეცნიერის განცხადება — „ახალციხეში ძველი სომეხების რაოდენობის შესახებ ცნობები არ გვაქვს, მაგრამ ვიცით, რომ ბევრნი იყვნენ ჯერ კიდევ 1829 წლამდე“ (გვ. 376), ე. ი. სომეხების არზრუმიდან აქ შემოსახლებამდე და თითქოს ახალციხე და ეს მხარე თავიდანვე სომხური იყო, რასაც აშოტ მელქონიანისნაირი მეცნიერები თავგამოდებით „ამტკიცებენ“, — ყალბია.

პროფ. კ. ლაფადარიანი მაინც განაგრძობს ოდითგან სომეხთა კვალის

<sup>28</sup> იხ. ბონდო არველაძე, „გრე არ არის თაყაო...“//*ქ. ჩვენი მწერლობა*, 2011, #10, გვ. 28-33.



„ძიებას“ ახალციხეში. ახლა ცდილობს „მრავალრიცხოვანი“ სომხების არსებობა დაამტკიცოს შუა საუკუნეებში. იგი წერს: „შუა საუკუნეებში არაერთგზის შეივსო ახალციხის სომეხი მოსახლეობა ლტოლვილთა დიდი და მცირე ნაკადით. ერთ-ერთი ასეთი შევსება მოხდა XIV ს-ში, როცა სომხების ერთმა ნაკადმა მიაშურა ასტრახანს, შემდეგ იქიდან წამოვიდა და დასახლდა ქალაქ გორში და მის მიმდებარე სოფლებში. შემდეგ მათი ნაწილი გადასახლდა ახალციხეში. ახალციხის ძველი ქალაქის ჩრდილოეთ კუთხეში არის შუა საუკუნეების ერთი სომხური ეკლესია. მასზე არსებულ წარწერაში მოხსენიებულია გორელ სომეხთა სახელები. ამ პატარა სომხურ ეკლესიას ახლა ეწოდება სირვიქილისა. მასზე შემორჩენილია სომხურ წარწერათა ფრაგმენტები. წარწერათა ეს ნარჩენები სხვადასხვა დროს არის შესრულებული, უვიცი ხელით“ (გვ. 378).

სამწუხაროდ, ამ სომხური წარწერის ადგილზე ნახვა და შემოწმება არ მომიხერხდა. მაგრამ ამ წარწერების მიხედვით სომეხთა დიდი რაოდენობით არსებობა ახალციხეში მაინც არ მტკიცდება, როგორც ამას პროფ. კ. ლაფადარიანი ფიქრობს.

პროფ. კ. ლაფადარიანი წერს: „1828-1829 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის დროს სომეხთა საგრძნობი ნაწილი თურქებმა გაჟლიტეს. თურქებს ეშინოდათ, რომ სომეხები რუსის ჯარს ბრძოლაში დაეხმარებოდნენ. ამიტომ, როცა თურქებმა არდაგნიდან უკან დაიხიეს, გზადაგზა სომეხებს ხოცავდნენ“ (გვ. 379).

როგორც ირკვევა, თურქების შიში, რომ სომეხები რუსის ჯარს დაეხმარებოდნენ, უსაფუძვლო არ აღმოჩნდა. მართლაც, ადგილობრივი სომეხები რუსის ჯარის ნაწილებს სისტემატურად აწვდიდნენ ინფორმაციას თურქების ჯარის ნაწილების ყოველი გადაადგილების შესახებ. მათ მეგზურად უდგებოდნენ<sup>29</sup> და ა. შ. ამის შესახებ სომეხი ავტორი, რასაკვირველია, არაფერს ამბობს, მაგრამ შედეგს კი აღნიშნავს: „ანდრიანაპოლის ზავის შემდეგ (1829), როცა რუსის ჯარმა დატოვა ქალაქი კარინი, ყარსი, ბაიაზეთი და დაუბრუნა თურქებს, ამ ქალაქის და მის გარშემო მცხოვრებ სომეხებს შეეშინდათ თურქი მტარვალების და მოინდომეს გადასახლება და დამკვიდრება რუსეთის იმპერიაში“ (გვ. 378).

როგორც ირკვევა, ისარგებლა მომენტიტ და კარინის სომხური ეპარქიის წინამძღვარმა, არქიეპისკოპოსმა კარაპეტ ბაგრატუნმა შეაგროვა კარინის წარჩინებული პირების — ვართაპეტების, მაპტეების და ერესფონანების ხელმოწერები (29 პიროვნება) და ადგილობრივი სომხების სახელით თხოვნა გაუგზავნა რუსეთის მთავრობას. ხელმოწერი სომეხები რუსეთის მთავრობას რუსეთის იმპერიის საზღვრებში, კერძოდ, ახალციხესა და მის მიმდებარე სოფლებში, დასახლებას სთხოვდნენ. გადასახლების მსურველთა რიცხვი თავდაპირველად დაახლოებით ათას ოჯახამდე ყოფილა. მა-

<sup>29</sup> შ. ლომსაძე, მესხები, თბ., 1995, გვ. 167.

გრამ თურქეთში დარჩენა იმდენად საშიში გამხდარა, რომ წამომსვლელთა რიცხვი სწრაფად გაზრდილა.<sup>30</sup>

პროფ კ. ლაფადარიანს შემდეგ მოაქვს მონაცემები, რომელი სომხური სოფლიდან რამდენი ოჯახი გადმოსახლდა ჯავახეთში და თურქეთში გაქცეულ ქართველთა ნასახლარებზე დაფუძნდა... ამ საქმის ინიციატორის, არქივისკოპოს კარაპეტ ბაგრატუნის მიერ მეფის ნაცვლის გენერალ პასკევიჩისადმი გაგზავნილ თხოვნაში, ყველაზე საინტერესოა შემდეგი პირობები: 1. შემოსახლებული სომხების სოფლებში სხვა ეროვნების ხალხს არ უნდა ეცხოვრა. 2. შემოსახლებულ სომხებს უნდა ჰქონოდათ თავიანთი ეროვნული სასამართლო, რომელშიც საქმის წარმოება სომხურ ენაზე უნდა ყოფილიყო. 3. შემოსახლებული სომხები დროებით ყოველგვარი გადასახადისაგან უნდა განთავისუფლებულიყვნენ (გვ. 380).

მეფის მთავრობამ ამ მოთხოვნებიდან ერთი ნამდვილად შეუსრულა და ისინი რამდენიმე წლით გაათავისუფლა გადასახადებისაგან. ფულადი დახმარებაც დაურიგდათ — 25 მანეთი ოჯახზე. როგორც აღვნიშნეთ, ცარიზმი სომხებს ერთგულ და საიმედო ხალხად თვლიდა, არამართო ჯავახეთში, არამედ მთელ კავკასიაში (ასეა დღესაც). ამიტომ ყოველნაირ დახმარებას უწყვედა არქივისკოპოსს კარაპეტ ბაგრატუნს (ერზიკიანცი), რათა ჯავახეთის ძირძველ ქართულ მიწაზე შემოსახლებული სომხები მყარად დაემკვიდრებინა.<sup>31</sup>

ვიდრე სომეხი ისტორიკოსის, სამველ კარაპეტიანის სტატიის განხილვაზე გადავალ, მსურს მოკლედ შევეხო მის ზოგიერთ მეცნიერულ ნაშრომს. მან 1995 წელს გამოაქვეყნა რუკა-ცნობარი — „სომხური ეკლესიები საქართველოში“ (ერევანი, სომხურ ენაზე). სომხური ეკლესიების არსებობა საქართველოში, ცნობილი ისტორიული გარემოების გამო, მოულოდნელი <sup>30</sup> ლ. მელიქიეთ-ბეგი, „ქალაქ კარინიდან გადმოსახლების მსურველთა თხოვნა გენერალ პასკევიჩისადმი — 1829 წ. (ორიგინალი)“//სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სომხეთის ფილიალის „მოამბე“, 1940, #3, გვ. 37-40 (სომხურ ენაზე).

<sup>31</sup> ვფიქრობთ, საინტერესო იქნება არქივისკოპოს კარაპეტ ბაგრატუნის (1779-1856) ბიოგრაფიის შესახებ ორიოდე სიტყვა ითქვას. მისი ნამდვილი გვარია ერზინკ-ოღლი, პაპამისი ამ გვარს ატარებდა. ვინაიდან სპერი ქართველი ბაგრატიონების პირვანდელი სამკვიდრო იყო, ამიტომ გვარად აიღო ბაგრატუნი, იგი სპერიის სომხურ ეპარქიას წინამძღოლობდა. მისი ინიციატივით და ენერგიული საორგანიზაციო მოღვაწეობით შემდეგ სომხები შემოსახლდნენ ჯავახეთში. სპერიის ახალ მოსახლეთა პირველ ნაკადს თვითონ წამოუძღვა და როცა ჯავახეთის ქართულ მიწაზე ფეხი დაადგა, ეპისკოპოსის ჯოხი მიწას დაკრა და დაიძახა — „შვილებო! სომხური მიწიდან, მშობლიურ სომხურ მიწაზე მოვედითო“. მან უდიდესი საორგანიზაციო მუშაობა ჩაატარა შემოსახლებულ სომეხთა ჯავახეთში დამკვიდრებისათვის. საკუთარ ფულსაც არ ზოგავდა და შემოსახლებულ სომეხებს ეხმარებოდა, რომ მკვიდრად მოეკიდათ ფეხი ჯავახეთის ქართულ მიწაზე. მეფის მთავრობაც ხელს უწყობდა და გულუხვად ეხმარებოდა. ეს დაუფასეს ჯავახეთის სომეხებმა და დღეს კარაპეტ ერზინკ-ოღლის ძეგლი დგას ახალქალაქში.

მომავალ წლებში არქივისკოპოსი კარაპეტ ერზინკ-ოღლი ეჯიმიანისმა საქართველოს სომხური ეპარქიის წინამძღოლად გაამწესა და გარდაცვალებამდე ამ თანამდებობაზე იყო (1837-1856 წწ.).

არ არის, მაგრამ ს. კარაპეტიაძე მათი რიცხვი გრანდიოზულად გაზარდა და ისე წარმოადგინა რუკა-ცნობარში. მან 653 სომხური ეკლესია „აღმთაჩინა“ საქართველოში. აქედან, ოთხმოც პროცენტზე მეტი ქართული ეკლესიებისა გატანილია სომხურად.<sup>32</sup> ამასთანავე, მან 2000 წელს გამოსცა წიგნი „საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა და სომხური კულტურის ძეგლები“, რომელშიც აზერბაიჯანელ ხალხთან ერთად ქართველ ერს ცივილიზაციის დამანგრეველი ხალხი უწოდა. ე. ი. ბარბაროსებად გამოგვიყვანა. აუგად მოიხსენია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II, და სხვა უხამსობები იკადრა. მას საკადრისი პასუხი გაუეცით.<sup>33</sup>

ს. კარაპეტიაძე არ ისვენებს, აღნიშნულ კრებულში არის მისი სტატია „სომხეთში სომეხ-ქალკედონიტების საკულტო ძეგლები და ქართული ახლადგამომცხვარი „მოთხოვნები“ (პრეტენზიები)“, (გვ. 417-423).

ამჯერად ცოტა შორიდან დავიწყებ. 451 წ. ბიზანტიის იმპერატორმა მარკიანემ კონსტანტინეპოლში მოიწვია მსოფლიო საეკლესიო კრება. მასში მონაწილეობა არ მიუღია სომხეთის ეკლესიის წარმომადგენლებს. ამ კრებამ დაადგინა ქრისტეს ორბუნებიანობა და აღიარა დიოფიზიტობა. ამავე დროს დაგმო და ერეტიკოსებად გამოაცხადა მონოფიზიტები — ისინი, ვინც ქრისტეში მარტო ღმრთეებრივ ბუნებას ხედავდა. სომხებმა მონოფიზიტობა აღიარეს და ამ გზას დაადგინეს. მაგრამ სომეხთა კათალიკოსმა ეზრა I-მა (630-641) დიოფიზიტობა მიიღო და კათალიკოს ჰოვჰანეს ოძუნეცამდე (717) მთელი ოთხმოცდახუთი წელი სომხები დიოფიზიტები იყვნენ. 726 წლის მანასკერტის საეკლესიო კრებაზე სომხურმა სამღვდელოებამ უარყო დიოფიზიტობა და დაუბრუნდა მონოფიზიტობას. ამდენად, ფაქტია, სომხეთი 630-717 წლებში ქალკედონური სარწმუნოების აღმსარებელი იყო. ამ ისტორიულ ფაქტს ს. კარაპეტიაძე ვერ უარყოფს. იგი წერს, სომხეთში ქალკედონიზმის არსებობის პერიოდში (630-717) აშენდა სომხური ხუროთმოძღვრების ოქროსდარი ძეგლები, როგორც არის — ბაგავანის წმ. ჰოვჰანესის ტაძარი (631-639), მრენის (639-640), ზვართნოცის წმ. გიორგის ტაძარი (600-იან წლებში), თალინის კათოლიკე დიდმაშენის წმ. თადეოსის ტაძარი, აკორის წმ. იაკორის (661-667) და სხვა დიდებული ტაძარი და ეკლესია (გვ. 419).

მართლაც, ეს საკულტო ძეგლები ქალკედონური ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშებია.

ს. კარაპეტიაძე სომხეთში ქალკედონიზმის გავრცელების ისტორიულ პირობებს მოკლედ მიმოიხილავს და აღნიშნავს, არაბების სომხეთში სამასწლიანი ბატონობის პერიოდში „დასავლეთ ბიზანტიის ჩრდილოეთ ნაწილში

<sup>32</sup> ამის შესახებ იხ.: ბონდო არველაძე, „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში?!.. 1996 (ქართ. ინგ. რუს. ენებზე).

<sup>33</sup> „რა უთქვამს, რა მოუწამაზავს, რა წიგნი დაუწერია“//შრომების კრებული — „ქვანი კვლავ დაღაღებენ“, 2004, გვ. 108-131.

ქრისტიანული ბუნების აღმსარებელი (მონოფიზიტური) მოსახლეობა, სახელმწიფო პოლიტიკის გატარების შედეგად, საქართველოს მსგავსად დიოფიზიტური (ორი ბუნების აღმსარებელი) გახდა. სომხეთმა მიიღო დიოფიზიტური სარწმუნოება. X ს-ში სომხეთში უკვე იყო ქალკედონიტ მცხოვრებთა მთელი პროვინციები. ამრიგად, 918 წ. დედოფალ დინარას ინიციატივით საქართველოში წარმატებით გაქალკედონიტდა ისტორიული სომხეთის კამბეჩოვანის (იგულისხმება: კახეთის — ბ. ა.) პროვინციის სომეხი მოსახლეობა“. იქვე უმატებს: „დინარა დედოფალმა ჰერეთი მოაქცია მართლმადიდებლურ აღმსარებლობაზე“ (გვ. 419). იმომებს ლ. მელქისეთ-ბეგის ნაშრომს „ქართული წყაროები სომხეთის და სომხების შესახებ“ (1955, ტ. III, გვ. 67. სომხ. ენაზე). მართალია, ჰერეთის მოსახლეობა გარკვეული ხანით იყო მონოფიზიტური, თუმცა არა მთლიანად, ეს მხარე თავიდანვე იყო დიოფიზიტური აღმსარებლობის მოსახლეობით დასახლებული.<sup>34</sup> კამბეჩოვანს სომეხი ლტოლვილები თავს პერიოდულად თუ აფარებდნენ, ისინი თავიანთი მონოფიზიტური სარწმუნოებით ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენდნენ ადგილობრივ ქალკედონიტ ქართულ მოსახლეობაზე. პირიქით კი ხდებოდა.

რასაკვირველია, ქართველთა, ანუ დიოფიზიტური აღმსარებლობის გავრცელებას სომხეთში, გარკვეული წინააღმდეგობა შეხვდა. მაგალითად, სომხეთის კათალიკოსი პეტროს გეტადარძი ყოველნაირად ცდილობდა სომხების დარწმუნებას, რომ დიოფიზიტური სარწმუნოება არ მიეღოთ. ამ ისტორიულ მოვლენას, მისთვის ჩვეული ტენდენციურობით, შეეხო ს. კარაპეტიანი. ცენტრალურ და განსაკუთრებით ჩრდილო სომხეთში გავრცელდა ქალკედონიზმი. ქალკედონიტებმა თავი მოიყარეს სომხურ-ქალკედონური ვანქების და ეკლესიების ირგვლივ, — წერს იგი, — და ამ ეკლესიების გარკვეული ნაწილი ბიზანტიურ წესზე გადააკეთეს (ქართულ ეკლესიას შეგნებულად არ უწოდებს ქართულს — ბ. ა.), როგორცაა „ქართული ეკლესია“ ანში. ის იყო სომხური მონოფიზიტური ეკლესია, მაგრამ დიოფიზიტებმა გადააკეთეს ქალკედონურ წესზე, ისე როგორც ახლადამოწმებული ეკლესიების გარკვეული ნაწილი (ამ ნაწილს რატომდაც არ ასახელებს).

ცნობილი სომხური ქალკედონური ვანქები და ეკლესიები ძირითადად აგებულ იქნა ადრეულ ხანაში. მათ ჰქონდათ დამახასიათებელი იერსახე. მაგ.: ჰლმძაჰანქი, ჰუჯაბი, ქობაირი, ჰნევანქი და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია XII-XIII სს. აშენებული ახალი ვანქები და ეკლესიები — კირანეცი და სრველისვანქი აღსტევის დაბლობში, თეჟარუიქის ვანქი, ეღვანამორის ეკლესია — ბასიანში (სოფ. ჩანგლი) და სხვ.

რამდენად ობიექტურია ს. კარაპეტიანი ამ ჩამონათვალში, ეს ჩანს იმიტაც, რომ ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები — ახტალა (XIII) და ჰუჯაბი (XIII) სომხურ ქალკედონურ ტაძრებად გამო-

<sup>34</sup> ქსე, ტ. X, 1986, გვ. 458-461.

აცხადა. იგი სომხურ ქალკედონურ ტაძრებად თვლის, აგრეთვე, სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ქართულ საკულტო ძეგლებს და წერს: „ამავე X ს-ში ბიზანტიის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ბატონობის შედეგად ქალკედონური გახდა აგრეთვე ტაიქის სომეხი ბაგრატიუნის სამთავრო (პირიქით — ქართველი ბაგრატიონების პირვანდელი სამკვიდრო — ბ. ა.)... აღსანიშნავია, როგორც წინა საუკუნეებში, ისე X ს-ში გაქალკედონებულმა სომეხმა მცხოვრებლებმა ხუროთმოძღვრებაში დიდებულად გადმოსცეს თავიანთი სარწმუნოების იდეოლოგია და შექმნეს არქიტექტურის ისეთი შედეგები, როგორც არის — ბანაკი, იმხანი, ოშკის ტაძრები ტაიქში. ეს ხანა სომხური არქიტექტურის მეორე ოქროს საუკუნედ არის მიჩნეული. შემონახულმა ისტორიული ძეგლების კვლევა-ძიებამ დაადასტურა, რომ ასეთივე მდგომარეობა იყო X-XI სს. გუგარქის დასავლეთ და ცენტრალურ პროვინციებში (არტაანი, თრედქ (თრიალეთი — ბ. ა.), კლარჯქ (კლარჯეთი), შაუშეთი, ჯავახქ), სადაც სომეხები ცხოვრობდნენ“.

ვიდრე ს. კარაპეტიანის მიერ ქართული ტაძრების სომხურად გამოცხადების უსაფუძვლო მტკიცებას განვიხილავდეთ, გვსურს, ჯერ ტაოკლარჯეთის, შაუშეთის და საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის კუთვნილების საკითხს მოკლედ შევხვით. იგი თავგამოდებით ამტკიცებს ამ მხარის ოდითგან სომხურობას, თუმცა სტრაბონის ცნობით, სომხურმა ტომებმა — დერჯანი და კარინი (ამჟამად ერზერუმი) მხოლოდ ძველი წელთაღრიცხვის 189 წლის შემდეგ დაიჭირეს. ამის შემდეგ საქართველოს და სომხეთს შორის საზღვარი არაქსზე გადიოდა (აპოლოდორი). ტიგრან II-ის დროს, ჩ. წ. აღ-მდე I საუკუნის სამოცდაათიან წლებში, სომხეთის საზღვრების შემდგომი გაფართოება ხდება. უნდა ვიფიქროთ, მაშინ იქნა დაკავებული პროვინცია სპერი. ტაო კი კვლავ დარჩა საქართველოს ფარგლებში. სომხური ტერიტორიების დაწვრილებით ჩამოთვლისას, სტრაბონი (ახალი ერის I ს-ის დასაწყისი) მათ შორის არსად და არანაირად არ მოიხსენიებს ტაოს. კიდევ არაერთი უცხოური წყაროს მოტანა შეიძლება, მაგრამ ეს ვიკმართ, რადგან პატიოსანი და ობიექტური მეცნიერისთვის ისედაც ცხადია ამ მხარის ოდითგან ქართულობა, რომელსაც თვით სომხური წყაროები მოწმობენ. მაგ., ლევონდი (VII ს.) პირდაპირ წერს, რომ კოლა საქართველოს ფარგლებში იყო. იგივე ისტორიკოსი სამცხეს ქართულ ტერიტორიას უწოდებს. ისეთი ტენდენციური ისტორიკოსიც კი, როგორც მოვსეს ხორენაცია (V ს.), კლარჯეთს საქართველოს ტერიტორიად თვლის და ა. შ.

ახლა ვნახოთ, ამ ქართულ ტერიტორიაზე ვინ ცხოვრობდნენ ძველთაგანვე. ერევნის მიერ მოსყიდული, პროფ. ნ. ტოკარსკის მიხედვით: „ტაოკლარჯეთში მოსახლეობის ძირითად მასას შეადგენდნენ სომეხები, რომლებიც აქ ქალკედონობის ოდინდელი მიმდევრები იყვნენ. მათ ქართველ ახალმოსახლეთა გვერდიგვერდ ცხოვრებისას, რომლებიც არაბთაგან და



ეპიდემიებისგან გაჩანაგებულ მხარეში IX ს-ში გამოჩნდნენ, ნელ-ნელა დაიწიეს დენაციონალიზაცია“.<sup>35</sup> იგი უფრო შორს წავიდა და ტაო-კლარჯეთის ქართული არქიტექტურის ძეგლები სომხურად გამოაცხადა. მას მეცნიერულად გამანადგურებელი პასუხი გასცა აკად. ს. ჯანაშიამ. თუმცა რა, ახლა მის უნიდაგო „თეორიას“ გამგრძელებელი გამოუჩნდა ს. კარაპეტეანის სახით, რომელიც შეეცადა, დიდი ხნის წინ უარყოფილი „თეორიის“ რეანიმაციას. აქ ისევ აკად. ს. ჯანაშიას მოვითვლივით, რომელიც წერდა: „რანაირად მოხდა, რომ მოსახლეობის „ძირითადი“ და „ძირძველი მასა“, რომელიც თანაც მრავალი ძაფით იყო საკუთრივ სომხეთთან დაკავშირებული, იმდენად დაემორჩილა რიცხობრივად მცირე ქართველ ახალმოსახლეთა გავლენას, რომ სულაც გაქართველდა? ტაო-კლარჯეთელმა სომხებმა რაღა მაინცდამაინც ქართული გავლენა განიცადეს? ბერძნულ აღმოსავლური მართლმადიდებლობა, ან სხვა სიტყვებით, ქალკედონობა, რომელიც ტოკარსკის (მისი მიხედვით კარაპეტეანიც ასე ფიქრობს — ბ. ა.) აზრით, იყო ერთადერთი დამაკავშირებელი რგოლი ტაო-კლარჯეთელ სომხებსა და ქართველებს შორის, ხომ უფრო მეტწილად აერთიანებდა ამ სომხებს ბიზანტიელ ბერძნებთან, რატომ მოხდა ამ სომხების ასიმილაცია მაინცდამაინც ქართველებთან და არა ბერძნებთან?... მაგრამ სიმართლე ისაა, რომ მოსახლეობის ძირითადი მკვიდრი მასა ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე ოდითგან ქართული იყო — ენით, კულტურით და სარწმუნოებით (დიოფიზიტობა), ხოლო სომხები, თუკი ისინი სადმე იყვნენ, წარმოადგენდნენ სწორედ ახალმოსახლეებს. სომხების მცირე ახალმოსახლეთა არსებობა შეიძლება დაუშვავთ უმთავრესად სპერის, ბასიანისა და სამხრეთ ტაოსთვის“.<sup>36</sup> ქართველ მეცნიერს ეს დასკვნა გამოტანილი აქვს ბიზანტიური, ქართული და სომხური წყაროების სკრუპულოზური ანალიზის შედეგად და არა კარაპეტეანისებურად ჰაიპარად.

ს. კარაპეტეანი ზემოთ მოტანილ ამონარიდში ტაოს ქართულ საკულტო ძეგლებს — ბანა, ოშკი, იშხანი და სხვ. — „სომხური ოქროსდარ არქიტექტურის ძეგლებს“ უწოდებს: თურმე „სომეხმა მცხოვრებლებმა ამ ხუროთმოძღვრებაში დიდებულად გადმოსცეს თავიანთი სარწმუნოება (ე. ი. მონოფიზიტობა — ბ. ა.)“.<sup>36</sup> იგი არც ამას არ დასჯერდა და თავგამოდებით გვარწმუნებს, ასეთივე მდგომარეობა იყო „გუგარქის დასავლეთ და ცენტრალურ პროვინციებში (არტაანი, თრელქ (თრიალეთი — ბ. ა.), კლარჯქ, შავშეთი, ჯავახქ), სადაც კი სომხები ცხოვრობდნენ“-ო.

ასეთი ზღვარგადასული სიცრუე ქართველთმოძულე ხელოვნებათმცოდნე პროფ. ტ. მარუთიანსაც კი არ დაუწერია, რომელმაც სპეციალურად ვრცელი მონოგრაფია მიუძღვნა ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრე-

<sup>35</sup> Н. Токарский, «Архитектура древней Армении», ერევანი, 1946, გვ. 200-204.

<sup>36</sup> ს. ჯანაშია, ისტორიული სიმართლის დამახინჯების ერთი მაგალითის შესახებ, თბილისი, 2003, გვ. 17-18.



ბას („სიღრმითა სომხეთი“ 1978, სომხ. ენაზე).<sup>37</sup> საინტერესოა, როგორ არის გადმოცემული „სომხური მონოფიზიტური“ სარწმუნოება ოშკის ან ბანას ქართულ არქიტექტურულ ანსამბლში. ამის შესახებ არაერთი მტკიცებულება არ მოაქვს და ისე, მისთვის ჩვეული ზეპირი განცხადებით კმაყოფილდება. თუმცა, რა უნდა მოსთხოვო კარაპეტიანს, როცა ქართული საეპისკოპოსოს საკათედრო ტაძარი კუმურდო (X) სომხურად გამოაცხადა და მისი აშენების ინიციატორი ქართველი იოანე ეპისკოპოსი სომეხ ჰოვანესად „მონათლა“, ხოლო კუმურდო წმ. ჰამბარუმის სახელობის ტაძრად აქცია.<sup>38</sup>

ვინაიდან კარაპეტიანი სუბიექტურია ტაო-კლარჯეთის მოსახლეობის ვინაობისა და აქ არსებული არქიტექტურული ძეგლების კუთვნილების კვლევის საკითხში, დასკვნაც შესაბამისად ტენდენციური გამოაქვს და წერს: „ბუნებრივია, X-XIII საუკუნეებში სომეხი ქალკედონიტების სამწერლო და ოფიციალური ენა იყო ქართული. ამას მოწმობს მრავალრიცხოვანი ქართული ეპიგრაფია“.

აკად. ს. ჯანაშიამ ეჭვიუტანლად დაამტკიცა, რომ ტაო-კლარჯეთის მოსახლეობა ოდითგანვე იყო ეროვნებით ქართული, რელიგიური აღმსარებლობით კი — დიოფიზიტური. ამიტომ, საუბარი მათ წინანდელ არაქართველობასა და მონოფიზიტობაზე ფაქტებზე ძალდატანებაა და მეტი არაფერი. ამის გაგება არ უნდათ კარაპეტიანის მსგავს ვაიმეცნიერებს. მაგრამ რას იზამ, ადამიანმა შეიძლება რიყეზე გაიაროს და ლოდიც ვერ შენიშნოს.

შემდეგ კარაპეტიანი წერს: „XV ს-ში ბიზანტიის იმპერიამ საქართველო დაყო რამდენიმე წვრილ სამთავროდ (საინტერესოა, ბიზანტიამ როგორ დაყო საქართველო წვრილ სამთავროებად, როცა ამ დროს ბიზანტიის იმპერია დაშლის პირზე იყო. 1453 წელს კი კონსტანტინეპოლიც დაეცა — ბ.ა.). ამ ცალკეულ სამთავროებზე საგრძნობლად შესუსტდა ბიზანტიური წესის (ე. ი. ქართული ეკლესიის — ბ. ა.) პოზიციები და ამიტომ სომეხი მოსახლეობის ქალკედონური ნაწილი დაუბრუნდა მონოფიზიტობას. საგრძნობმა ნაწილმა კი ვერ გაუძლო თურქ დამპყრობთა სასტიკ დევნა-შევიწროვებას და გამაჰმადიანდა“ (გვ. 421. — აქ იგულისხმება მესხეთ-ჯავახეთი — ბ. ა.).

არგუმენტაციის გარეშე მსჯელობა კარაპეტიანისთვის უცხო არ არის, მაგრამ ხომ აქვს ყველაფერს რაღაც საზღვარი. მართალია, XV ს-დან დაიწყო მესხეთ-ჯავახეთის ქართული მკვიდრი მოსახლეობის გამაჰმადიანება თურქ დამპყრობთა მიერ, მაგრამ ქართველ დიოფიზიტთა მიერ მონოფიზიტობაზე გადასვლა თვითგადარჩენის საშუალება იყო. საქმე

<sup>37</sup> იხ. ჩვენი რეცენზია — „ქვანი კვლავ დაღადაბენ“//ქ. მნათობი“, 1998, #7-8. ეს რეცენზია შესულია ამავე სახელწოდების ჩვენი შრომების კრებულში, 2004, თბ., გვ. 3-46.  
38 იხ. ჩვენი რეცენზია — „არც ვერა თაყაო...“//ქ. „ჩვენი მწერლობა“, 2011, #8.

ისაა, რომ სომხებმა თურქეთის სულთანისგან მიიღეს ხელშეუხებლობის ფირმანი. ამ ფირმანის ძალით მონოფიზიტების, ე. ი. სომხების გამაჰმადიანება იკრძალებოდა. უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილ ქართველებს გამაჰმადიანებას ისევე მონოფიზიტობაზე გადასვლა ერჩიათ. ამით ისარგებლეს სომეხმა სასულიერო პირებმა და მათ ქართული გვარები სომხურით შეუცვალეს.<sup>39</sup>

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ პროზელიტი სომხების შექმნილია ჯავახეთის სულიერი და მატერიალური ძეგლები, როგორც ეს ს. კარაპეტთანს სურს წარმოაჩინოს. ჯავახეთის უძველესი და მდიდარი კულტურა შექმნილია მკვიდრი, ოდითგან ქალკედონიტი ქართველების მიერ. ამაზე მეტყველებს, როგორც არქეოლოგიური მასალა, ისე ლიტერატურული ძეგლები, აგიოგრაფია და ა. შ. ეს ყველაფერი ეკლად ესობა გულზე კარაპეტთანს და ვერაფრით მოუნელებია. მაგრამ რაც განვიხილეთ, იყო წინაპირობა იმისა, რომ მას განეცხადებინა შემდეგი: „დღეს, 607 წლიდან ქალკედონიზმზე მოქცეული საქართველოს ბიზანტიური წესის ეკლესია, თანმიმდევრულად იცავს თავის უფლებას და „ქართულად“ აცხადებს X-XIII საუკუნეებში სომეხ ქალკედონიტთა მიერ აგებულ ვანქებს და ეკლესიებს... მოითხოვს მათ ქართულ იურისდიქციაში მოქცევას“ (გვ. 421). როგორც ვხედავთ, მას ქართული მხარის ეს მოთხოვნა უსაფუძვლოდ და არასამართლიანად მიაჩნია. ისე კი, კარაპეტთანს მისდაუნებურად წამოსცდა სიმატლე, როცა დაწერა: „სარწმუნოებრივი თვალსაზრისით, სომეხი ქალკედონიტების საკულტო ძეგლები შეიძლება მივიჩნიოთ ქართულად“. მისი ჭკუით ქართული საპატრიარქოს იმ მოთხოვნაში წინააღმდეგობა „აღმოაჩინა“ და გახარებული შენიშნავს, ქართული მხარე მოითხოვს სომხურ-ქალკედონურ საკულტო ძეგლებს — ახტალას, ქობაისის, ჰნევანქს, თეფარიუქს და სხვებს და იქვე სვამს კითხვას: „საინტერესოა, რატომ ერთნაირი პრინციპით არ უდგება ამავე სომხურ ქალკედონიტურ ძეგლებს, როგორ გავიგოთ ის, რომ მათ თვალწინაა ქართული ეკლესია, მაგრამ მას „არ მოითხოვენ“? მაგალითად, ზვართნოცი და არუჭი. ამის მიზეზი ნუთუ ის არის, რომ ამ ტაძრებზე (ზვართნოცი და არუჭი — ბ. ა.) ქართული ეპიგრაფიკა არ არის?.. ეს კი უსათუოდ ასეა!“ ამ ლოგიკას თუ გავყვებით, განაგრძობს: „არცახის (ყარაბაღი — ბ. ა.) ხაჩნის სოფლის ღვთისმშობლის ეკლესიის საადმშენებლო წარწერა არის რუსული, მაშინ გამოდის, იგი რუსეთის ორთოდოქსულ ეკლესიას უნდა გადაეცეს? მარსელის სომხური ეკლესიის საადმშენებლო წარწერა არის ფრანგულ ენაზე, ამიტომ საფრანგეთის კათოლიკურმა ეკლესიამ უნდა მოითხოვოს მისი გადაცემა? სინგაპურის სომხურ ეკლესიაზე ინგლისურ ენაზეა ქტიტორული წარწერა შესრულებული და ა. შ. ასეთები რამდენიც გინდა, იმდენია...“ (გვ. 422).


<sup>39</sup> მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ქართველთა დენაციონალიზაცია XVII-XX საუკუნეებში, თბ., 2010, გვ. 202-247.

ს. კარაპეტეიანს თუ მართლა ჰგონია, საქართველოს საპატრიარქო აღნიშნულ ეკლესიებს მხოლოდ მათზე არსებული ქართული საადმინისტრაციული წარწერების გამო მოითხოვს გადაცემას, ძალიან ცდება. ქართული ეპიგრაფიკის გარეშე ეს ეკლესიები ქალკედონიტურია და ქართულ მხარეს უფლება აქვს მათი იურისდიქციაში მოქცევა მოითხოვოს. ამ საკულტო ძეგლების ქალკედონიტურობა მეცნიერულად არის დამტკიცებული, როგორც ქართულ ისე სომხურ ხელოვნებათმცოდნეობაში და ამაში ეჭვი არავის ეპარება. თუ ეჯმიანს აქვს უფლება, საქართველოში არსებული რამდენიმე გრიგორიანული ეკლესიის გადაცემა მოითხოვოს, საქართველოს საპატრიარქოს რატომ არ შეუძლია, სომხეთში არსებული ქალკედონიტურ ეკლესიებზე პრეტენზია განაცხადოს?.. რაც შეეხება ზვართნოცის და არუჯის ტაძრების ქართული მხარესათვის გადაცემას, ამ საკითხს შემდგომ ეტაპზე მართლაც დააყენებს ქართული მხარე...

ამ ე. წ. ნაშრომს კარაპეტეიანი ასე ამთავრებს: „სამწუხაროა, რომ ქართული ეკლესიის პასუხისმგებელი პირები ასეთ უპასუხისმგებლო და აბსურდულ „მოთხოვნებს“ აყენებენ. სინამდვილეში ეს არის უსუსური მცდელობა, რომ სომხურ სამოციქულო ეკლესიის ქართულ თემს არ გადაეცეს რამდენიმე სომხური ეკლესია. სომხური მხარის ამ სამართლიანი მოთხოვნის შესრულება უკვე რამდენი ხანია ჭიანჭურდება“ (გვ. 422).

ს. კარაპეტეიანს არ აქვს მორალური უფლება პასუხისმგებლობაზე ილაპარაკოს, რადგან თვითონ აკეთებს უპასუხისმგებლო და შეურაცხმყოფელ განცხადებებს. მან ქართველ ხალხს — ცივილიზაციის დამანგრეველი ერი უწოდა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი აუგად მოიხსენია, საქართველოში 653 სომხური ეკლესია „აღმოაჩინა“. აქედან სულ ცოტა ოთხმოცი პროცენტი მაინც, არც აცივა, არც აცხელა, და სომხურად გაიტანა... ყოველივე ამის შემდეგ ყოფნის თავხედობა და აქეთ გველაგება; რას იზამ, ქაღალდი ყველაფერს იტანს...

კრებული „სომხეთის ჩრდილოეთის კარიბჭე: ჯავახქ, ლორი“ მართლაც თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, როგორ არ უნდა იწერებოდეს საქართველო-სომხეთის ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, რადგან მასში შესულ ნაშრომთა უმრავლესობა ამ ისტორიას ან ტენდენციურად აშუქებს, ან სულაც გაყალბებულად წარმოადგენს.



თინა იველაშვილი

## ღუფილი ყოველთვის ოქრო არ არის

სომხეთის გარკვეული სამეცნიერო და სამთავრობო წრეები, სასულიერო იერარქების ლოცვა-კურთხევით, დიდი ხანია, ცდილობენ საქართველოში არსებული ე. წ. „სომხური ეკლესიები“ დაიბრუნონ. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა მსოფლიო საზოგადოება დაარწმუნონ, რომ საქართველოს მათი სალოცავები უსამართლოდ აქვს „მიტაცებული“ და მათ დაბრუნებას ითხოვენ. მათ რიცხვშია ქალაქ ახალციხეში არსებული რამდენიმე ეკლესიაც (წმ. სტეფანოზის, წმ. ჯვრის, წმ. ოქროპირის და სხვ.). მათი ამგვარი განაცხადი არ ახალია, ძველია, მაგრამ ჩვენი მხრიდან წაყრუება უკვე დანაშაულია.

წმ. სტეფანოზის სახელობის ეკლესია რაბათში ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით 400-500 მეტრში დგას. ყოფილი ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო საწარმოდ სამმართველოს მიერ 1980 წელს შედგენილი პასპორტის მიხედვით, აღნიშნული ეკლესია „დიდი ზომის ერთნაიანი სწორკუთხა გეგმის ნაგებობაა. ინტერიერში კედლები შელესილია და შეღებილი. აბსიდის ორივე მხარეს განლაგებულია პოსტოფორიუმები. შიდა სივრცის განათებისათვის 8 სარკმელია (ხუთი გრძივ კედლებში, ერთი აბსიდში და თითო პოსტოფორიუმებში). ტაძარს ორი შესასვლელი ჰქონდა – სამხრეთიდან და დასავლეთიდან (დასავლეთის შესასვლელი ამჟამად დახშულია).

ეკლესიის დასავლეთ კედელს გარედან მიშენებული აქვს სამსართულიანი სამრეკლო. შენობა აგებულია ყორექვით, კირის ღულაბზე და დახურულია თუნუქის საბურავით. მოსახლეობის ზეპირი გადმოცემით, შენობა აგებულია ქართული ეკლესიის ადგილზე. სამხრეთის შესასვლელის თავზე არსებული სომხური წარწერა გვაუწყებს აშენების თარიღს — 1887 წ.“ მთხრობელთა გადმოცემით, ეს ეკლესია ოდითგანვე ქართული იყო და ამ წელს სომხებმა მიიტაცეს, მიითვისეს. მათ, მართალია, ეკლესია „გადააკეთეს“, ემბაზის ქვას სომხური წარწერა გაუკეთეს და ქვედა ფანჯარაში ჩააშენეს, მაგრამ ტრაპეზი ხელუხლებლად დატოვეს (მართლმადიდებლურ

ეკლესიაში ტრაპეზი დაბალი — ერთსაფეხურიანია, სომხურში კი საკმაოდ მაღალი — ოთხ-ხუთ საფეხურიანი მაინც). როგორც ჩანს, მათ მისი გადაკეთება საჭიროდ აღარ ჩათვალეს.

გ. ბოჭორიძემ, რომელმაც XX საუკუნის 30-იან წლებში იმოგზაურა სამცხე-ჯავახეთში, ეს ეკლესიაც მოინახულა და აღნიშნა: „წინდელი სომხური სტეფანოზის ეკლესიის ადგილას ძველად ქართველების ეკლესია ყოფილა. სომხური ეკლესია ახალია. იგი გადაკეთებულია 1887 წელს“ [3, 188].

მ. თამარაშვილის მითითებით, 1818 წლისათვის ახალციხეში ერთი კათოლიკური და სამი სხვა ეკლესია იყო, რომელიც აღმოსავლეთის მღვდლებს (კათოლიკეები აღმოსავლეთის მღვდლებში, ყოველთვის მართლმადიდებელ მღვდელმსახურებს გულისხმობდნენ) ეჭირათ. 1844 წელს კი „ახალციხეში ხუთი ეკლესია ყოფილა. აქედან ერთი „ფრანგების“, ერთი პატრების, რომელიც მისიონერების არყოფნის გამო აღარ ფუნქციონირებდა, ერთი სომხური და ორიც ქართული“ [6, 541].

ეკლესია აღრიდანვე ახალციხელი მემამულეების, ფირალიშვილების საკუთარ სალოცავს წარმოადგენდა. მასში მართლმადიდებელი მრევლი დადიოდა სალოცავად. მოგვიანებით მას შეემატნენ თურქეთიდან შემოსახლებული მართლმადიდებელი ბერძნებიც. ინფორმატორთა გადმოცემით, ამ ეკლესიაში საბერძნეთიდან მოსული მღვდელმსახურიც წირავდა და, როცა ისინი ამბობენ, ჩვენ აქ ეკლესია გვქონდაო, სწორედ წმ. სტეფანოზის სახელობის ტაძარს [11] გულისხმობენ.

ერთი პირობა სომხურ ტიპიკონზე მდგარმა ქართველმა კათოლიკე მღვდელმსახურებმა სცადეს ამ ეკლესიის მითვისება, მაგრამ უშედეგოდ. ამაზე მეტყველებს „ახალციხურ ქრონიკებში“ მოტანილი ერთი ცნობა, კერძოდ: „1791 წელს მარიამობის 20-ს მღვდელ სააკოვის ბარობაზედ არეულობა იქმნა და ამ საღამოზედ პიოებს (კათოლიკე მღვდლებს) ჩვენებმან წმ. სტეფანეს საყდარი წაართვა“, ე.ი. კათოლიკეებისაგან ისევ მართლმადიდებლებმა დაიბრუნეს თავიანთი ეკლესია, აღნიშნავს რ. ანდლულაძე [5]. როგორც ამ ცნობიდან ჩანს, ამ სალოცავზე თვალი სომხურ ტიპიკონზე მდგარ ქართველ კათოლიკეებსაც ჰქონიათ დადგმული.

მოტანილი მასალა გვიჩვენებს, წმ. სტეფანოზის სახელზე აგებული ტაძარი XIX საუკუნეში ფუნქციონირებდა როგორც ქართული მართლმადიდებლური ეკლესია.

აღნიშნული საუკუნის 30-იანი წლებიდან რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად თურქეთიდან ახალციხეში შემოცხოვრებულმა სომხებმა (თავდაპირველად შემოვიდნენ როგორც მიგრანტები და არა როგორც მუდმივი მაცხოვრებლები) მოიმაგრეს რა ფეხი, კარგად გაანალიზეს რეგიონში შექმნილი მეტად მძიმე სოციალური, რელიგიური, ეთნიკური და პოლიტიკური მდგომარეობა და „ახალი სამშობლოს“ შექმნის მიზნით, ქართულ მიწა-



წყალზე სამუდამოდ დამკვიდრება დაიწყო. პირველ რიგში მათ თვალი ადგილობრივ უძველეს ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესია-სალოცაებს დაადგეს; დაიწყო მათი მიტაცება-გადაკეთება. რა თქმა უნდა, შემოცნოვრებულებს მხედველობიდან არც წმ. სტეფანოსის ეკლესია გამორჩენიათ. ისარგებლეს რა შექმნილი ვითარებით (ამ პერიოდში ეს ეკლესია, მრევლის მეტისმეტად შემცირების გამო თითქმის აღარ ფუნქციონირებდა), 1887 წელს ეკლესია მიითვისეს.

1917 წლის რევოლუციის შედეგად ქვეყანაში გართულებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ეკლესიამ მოქმედება შეწყვიტა და, როგორც მთხრობელები ამბობენ, მასში სომხები შესვლას ვეღარ ბედავდნენ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ყველა მოქმედი ეკლესია დახურეს. მათგან ზოგი საერთოდ დაანგრიეს, ზოგი კი სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენეს. წმ. სტეფანეს ეკლესია დანგრევას გადაურჩა. იგი რაბათის ციხეში მდგარი სამხედრო გარნიზონისათვის კინოსაჩვენებელ დარბაზად (კლუბად) გადააკეთეს და 1969 წლამდე ფუნქციონირებდა. ამ სახით გადაკეთებული შემორჩა დღემდე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, წმ. სტეფანოსის ეკლესია დაარსების დღიდან XIX საუკუნის ბოლომდე ქართული მართლმადიდებლური ეკლესია იყო და სულ რაღაც 31 წლის განმავლობაში ჰქონდათ მიტაცებული სომხებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი დღეს მრავალ სხვა საკულტო ძეგლთან ერთად ამ სალოცავზეც აცხადებენ პრეტენზიას, შეგნებულად ჩქმალავენ მის ნამდვილ ისტორიას და სომხურ ეკლესიად აცხადებენ.

ზოგიერთი ავანტურისტის სომეხი ისტორიკოსი ასევე თავის საკუთრებად თვლის ქალაქ ახალციხის რაბათში არსებულ წმ. ჯვრის ეკლესიასაც (მოსახლეობა მას ჯვართამაღლების სახელითაც მოიხსენიებს).

მაგრამ ვიდრე ამ ტაძრის ისტორიაზე ვისაუბრებდეთ, მოკლედ შევხებით დღეისათვის ახალციხეში მოქმედი სომხური ეკლესიის ისტორიული კუთვნილების საკითხს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ როდესაც მაჰანნი და მაჰანნი სხვის ქვეყანაში არსებულ სხვათა ეკლესია-მონასტერზე (და საერთოდ კულტურის ძეგლებზე) საჯაროდ, ხმამაღლა საკუთრების უფლებას აცხადებენ, რატომღაც პირში წყალს იგუბებენ და ხმას არ იღებენ იმ სალოცავის წარსულ ისტორიაზე, რომელშიაც ისინი დღეს ლოცულობენ და წირვა-ლოცვას აღავლენენ. საქმე ეხება სადღეისოდ ახალციხეში მოქმედ ე. წ. სომხური ეკლესიის წარსულში კუთვნილების საკითხს. ადრეული ხანიდან (მისი დაარსების დღიდან) 1750 წლამდე იგი წმ. ოქროპირის სახელობის ქართული მართლმადიდებლური მოქმედი ტაძარი იყო, შუა საუკუნეებიდან დაწინაურებული ფირალიშვილების საგვარეულო ეკლესია და მასში მღვდელმსახურებას ამ გვარისვე სასულიერო პირები ეწეოდნენ.

XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან გაძლიერდა ოსმალთა ზეწოლა

მართლმადიდებელ მოსახლეობაზე მისთვის სარწმუნოების შეცვლის მიზნით. ამგვარმა პოლიტიკამ განსაკუთრებით მძიმე დარტყმა საზოგადოების მაღალ ფენას და მათ შორის ფირალიშვილთა გვარს მიაყენა. ამ პერიოდისათვის ფირალიშვილთა გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი გამაჰმადიანებული ჯაყელების სიძე გახდა და შესაბამისად სარწმუნოებაც შეიცვალა. ჯაყელებმა ახალი სიძე სოფელ ორმოცის ბეგად დანიშნეს და გარკვეული დავალებაც მისცეს.

ცნობილია, რომ თურქეთის მიერ დაპყრობილ მხარეებში ადგილობრივი მოსახლეობის გამაჰმადიანება აუცილებელი პირობა იყო ოსმალეთის ეკონომიკური და სამხედრო გაძლიერებისათვის. სხვა რეგიონებისგან (მაგ., ბულგარეთი) განსხვავებით, სამხრეთ საქართველოში იდეოლოგიურ-რელიგიური პროპაგანდა საკმაოდ შემპარავად მიმდინარეობდა. დამპყრობლებმა ამ რეგიონის ძირძველ ქართველ მოსახლეობას „ნებაყოფლობითი“ გამუსლიმანების საკმაოდ მზაკერული და ორიგინალური მეთოდი შესთავაზეს. საკმარისი იყო მართლმადიდებელს (იგი კათოლიკეებს და გრიგორიანელებს არ ეწებოდა) რამდენიმე ადამიანის (მათ შორის მუსლიმი სასულიერო პირის) თანდასწრებით ხმამაღლა ეთქვა: „არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა და მუჰამედი არის მისი მოციქული“, რომ დასუნათების გარეშე მაჰმადიანად ეღიარებინათ. ეს იყო მართლმადიდებელი ქართველების გამუსლიმანების (სულიერი გენოციდის) მეტად ორიგინალური და „ნებაყოფლობითი“ მშვიდობიანი გზა.

როგორც ჩანს, ორმოცის ახალი ბეგის მოვალეობას წარმოადგენდა ნიჯგორისა და ახლო-მახლო მდებარე სოფლების მოსახლეობის უმტკივნეულოდ მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე გადაყვანა. ამ მიზნით მას ნიჯგორში პატარა ზომის მეჩეთიც აუგია.

ნებით თუ ძალით, მეჩეთში შესული ხალხი ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც მათი „მასწავლებელი“ მოლა. მთხრობელთა გადმოცემით, ერთ-ერთი ასეთი თავყრილობის დროს ვიღაც „მსმენელმა“ ლოცვის დროს პირქვე დამხობილ მოლას უკნიდან ხის პატარა პალო დაუდო. როდესაც მოლამ თავი ასწია და წელში გაიმართა, ამ პალოზე დაჯდა. გამწარებულმა ქალამანი გაიძრო და იქვე ახლო მჯდომს თავ-პირში დაუშინა შეყრილ ხალხსაც მეტი რა უნდოდა, მათაც გაიძრეს ქალამნები და მოლას დაუშინეს. (ისე მოიქცნენ, როგორც მათი „მასწავლებელი“). მოლა ბეგთან გაიქცა საჩივლელად. მან მშვიდად მოისმინა ეს ამბავი, გულიანად ჩაიცინა და უთხრა: „ამ ხალხის გამოსწორება არ იქნება, თავი დაანებეთ, ისე ილოცონ, როგორც აქამდე ულოციათ“ [12].

ორმოციდან მალე ეს ბეგი ახალციხეში დაბრუნდა და, როგორც მუსლიმანმა სასულიერო პირმა, იქ დაიწყო რელიგიური საქმიანობა. მან თავისი ერთ-ერთი საგვარეულო ეკლესია, კერძოდ, წმ. ოქროპირის სახელობის ტაძარი, მეჩეთად გადააკეთა და იქ მოღვაწეობდა. ასე იქცა ძველი

ქართული მართლმადიდებლური ეკლესია მეჩეთად.

XIX საუკუნის 30-იან წლებში შემოცხვრებულმა სომხებმა (ფაქტობრივად, იმ პერიოდისათვის ახალციხე მუსლიმანური მოსახლეობისაგან დაცლილი იყო და მეჩეთიც აღარ ფუნქციონირებდა) სხვა ტაძრებთან ერთად თვალი ამ მეჩეთსაც დაადგეს და სულ მალე თავიანთ ეკლესიად გადააკეთეს. კედელში ჩატანებული სომხურწარწერიანი ქვა გვამცნობს, რომ ამ ტაძრის სომხურ გრიგორიანულ ეკლესიად კურთხევა 1877 წელს მოხდა. მის შესახებ გ. ბოჭორიძე ძალიან მოკლედ აღნიშნავს: „სომხური გრიგორიანული ეკლესია (ნაჯამევი) ...ჯამედ ყოფილა აწ გრიგოლ განმანათლებლის (სომეხთა) ეკლესია“[3; 8, 166].

რაც შეეხება წმ. ჯვრის ეკლესიას, იგი აგებულია შუა საუკუნეების სამხრეთ საქართველოში დაწინაურებული ფეოდალური გვარის — შალიკაშვილების საკმაოდ დიდი ფართის გალავანშემოვლებული ციხე-სიმაგრის შუა ეზოში. აღნიშნულ ციხე-სიმაგრეს მოსახლეობა სხვადასხვა სახელით — „ურთის ციხე“, „ყულების ციხე“, „ხანდრის გორის ციხე“, — მოიხსენიებს, ხოლო მის ტერიტორიაზე არსებულ ჯვართამაღლების სალოცავს XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც კი, კოკოლას (რადგან მის აგებას კოკოლა შალიკაშვილს მიაწერენ) ეკლესიას უწოდებდნენ.

ცნობილია, რომ შალიკაშვილების ფეოდალური გვარი საკმაოდ დაწინაურდა XVI საუკუნის სამხრეთ საქართველოში. მათი ერთ-ერთი წარმომადგენელი, ცნობილი პიროვნება კოკოლა შალიკაშვილი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იმდროინდელი რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაში. სხვადასხვა დროს ათაბაგის კარზე მას მაღალი თანამდებობები ეკავა და საკუთარი ციხე-სიმაგრის პატრონიც იყო. როცა ვახუშტი ბაგრატიონი შაჰთამაზის შემოსევებს აღწერს, აღნიშნავს: „მოგვიხდა კოკოლა, ახჩის ქუაბნი წაგვიხუნა...ამის კოკოლას თავისი ძმისწული გურგაქ უკუუდგა და მანუჩარს მიერთო... გურგაქ შემორიგდა და ველი მისცა. გავბრუნდით კოკოლას კერძი ურთის ციხე წავართვით და დავარღვიეთ, სიმაგრე დაწვეით და ეკლესია დავტოვეთ“[2, 720]. აღნიშნული სალოცავი კოკოლას ეკლესიის სახელით მ. თამარაშვილსაც აქვს დაფიქსირებული. მისი გადმოცემით, როდესაც შაჰყულიანმა (ჭილიმუზაშვილმა) ღვთისმშობლის დაკეტილი კათოლიკური (პატრების) ეკლესიის მითვისება მოინდომა, მას წინააღმდეგობა გაუწიეს ადგილობრლმა კათოლიკე მღვდელმსახურებმა. ამასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს: „შავგულიანმან ამოგზავნა თავისი მღვდლებთაგანი პირველნი პოლიციის კაცებითა, რათა წაიკითხონ ის ქვა სომხურად დაწერილი, რომელიც ატანია აღმოსავლეთის კერძოთ კედელში თქვენს გ~ა პატრებიანთ ეკლესიისა ღვთისმშობლის სახელზედ აღშენებულსა, და ოსე ორ სამ გზის ამოსვლითა, რათა დაამტკიცონ მათ, რომ ჩვენი არის და არა პატრებისა.... ცდილობენ, რათა ამ სახით ხელში გაიტარონ ეკლესია და გააღონ; იმავე ეკლესიისათვის ჰქმნა გამოძიება

ამავე აღექსოვმან (ამ საქმესთან დაკავშირებით თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსული გამოძიებელი – თ. ი.) კათოლიკთაგან, სომეხთაგან, და თათრებისგანაც და ამათ გაქი კარგად დაემტკიცებინათ ვ-ც ალიბეგის, და ალიბეგის შვილსა თქმითა, რომ ჩვენ მამაპაპით ვიცით, რომ ეგ ეკლესია პატრებისა ყოფილა ძველთაგანვე და ჩვენც ასე გვინახამს მუდამ პატრების ხელში, რომელთ კარგი მონასტერიც აქუნდათ საყდრის გვერდით ცხრაოდიანი და იქ ცხოვრობდნენ და კიდევ ექიმობდნენ. იმ საყდარს ეტყოდნენ პატრების საყდარს. ზეით კოკოლას საყდარსა და ციხეზე ახლოს ბაზრის პირზე მეოფ საყდარს ეტყოდნენ ფრანგების საყდარსა. დღეღამით ერთი პატარა საყდარი არის, იმას სომეხების საყდარს ეტყვიან“ [5, 54]. ამ ამონარიდიდან ნათლად ჩანს, რომ იმ დროისათვის კათოლიკეებს ორი (პატრებისა და ფრანგების) ეკლესია ჰქონდათ. მათგან პატრების ეკლესია პატრების არყოფნის გამო დაკეტილი ყოფილა. რაც შეეხება ჯვართამაღლების ეკლესიას, მას მისი ამშენებლის, ცნობილი ფეოდალური გვარის წარმომადგენლის, კოკოლა შალიკაშვილის სახელის მიხედვით კოკოლას ეკლესიად მოიხსენიებენ, რომელიც არც კათოლიკეებს და, მით უმეტეს, არც სომეხებს არ ეკუთვნოდა.

წმ. ჯვრის ეკლესიაში კათოლიკური წირვა-ლოცვა, როგორც ჩანს, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან უნდა დაწყებულიყო. ამის დასტურია მის სამრეკლოზე არსებული წარწერა: „1881 – აღაშენა ესე სამრეკლო ელისაბედ მურვანოვის ასული აზნაუროვის ქვრივმა“. ჯვრის ეკლესია რაბათის ჩრდილო-სამხრეთით ხანდრის გორად წოდებულ სიმაღლეზე მდებარე ციხე-სიმაგრის გალავან-ციტადელით შემორჩენილი იყო გვიანობამდე და მისი მცირეოდენი ნაშთები დღესაც შეიმჩნევა. XIX საუკუნის 80-იანი წლებში ერმაკოვის მიერ გადაღებულ ფოტოდან ნათლად ჩანს, იმ დროისათვის ჯერ კიდევ შემორჩენილი სამგოდოლიანი საკმაოდ დიდი ტერიტორიის მქონე გალავან-ციტადელი, რომლის შუაშიც წმ. ჯვრის ეკლესია მოსჩანს.

წმ. ჯვრის ეკლესია XX საუკუნის 30-იანი წლებში მოინახულა გიორგი ბოჭორიძემ და ვრცელი აღწერილობაც დაგვიტოვა. მისი მონაცემებით: „ახალციხის ქართული კათოლიკური ჯვრის ეკლესია განახლებულ-გადაკეთებული შენობაა. მისი აღმოსავლეთი ნაწილი ძველია, დასავლეთი ახალი. მთელი ეკლესიის ზომა 22,5 X 11,5 მ. ახალი ეკლესია ნაშენია სულ თლილი ქვისაგან. ძველი ეკლესია გუმბათიანი შენობაა. ნაწილი თლილი, ნაწილი ნატეხი ქვისაგან არის აშენებული. შიგნით იგი საკურთხევლად არის ქცეული და მას დასავლეთით მიშენებული აქვს ახალი შენობა, ზომით (გარედან ძველი ეკლესია დღეს ჩანს) 7 X 9,25 მ. მის დასავლეთ ნაწილს ფარავს ახალი შენობა, ძველად უნდა ყოფილიყო 10,25 X 9,25 მ. ნაშენია ნაწილი თლილი, ნაწილი ნატეხი ქვისაგან. იგი დარღვეულია ყოველ მხარეს. გუმბათის ძირის ნახევარი ძველია, ნაგებია თლილი ქვისა

და კირისაგან, ზევითა კი ახალი – ხისაა(?) მრავალი სარკმლით, ძველი ნაწილი გარედან გალესილი ყოფილა კირით, რომლის წარწერიანი და ჩუქურთმებიანი ქვებიც დაფარული ყოფილა, ახლა კირი ნაწილობრივ მოცილილა, მოჩანს წარწერა და ჩუქურთმები. ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს, მაღლა საქარეზე და მის ოღნავ ქვევით, არის ორი ქანდაკება ცხვრის თავის გამოსახულებით. აღმოსავლეთით კი, ზევით ერთი შენახულა, მეორე მოტეხილა. ამ მეორე ქვის მარჯვნივ არის ქვა ჯვრების გამოსახულებით, მის ძირს ზედ მიდებით ოღნავ მარჯვნივ სამხრეთით არის ქვა 5 სტრიქონიანი სომხური წარწერით. ქვედა სარკმელი ყოფილა, ახლა ამოშენებულია. სარკმლის გასწვრივ ძირს გარდიგარდმო დადებული საფლავის ქვაა კაცის თავის გამოსახულებით ჩაღრმავებული. ამ ქვის მარჯვნივ, პატარა მანძილზე, ზევით ნაწილობრივ მოჩანს ქვა-ჯვრის(?) გამოსახულებით და სამხრეთით ერთი სტრიქონით წარწერა, ამავე კედელზე სამხრეთისაკენ მაღლა უდევს ქვა 5-სტრიქონიანი სომხური წარწერით; მის ძირს სამხრეთ კედელთან სხვა წარწერიანი ქვაა, დაფარული კირით, მოჩანს მარტო ერთი სტრიქონი.

გუმბათის გარდა, რომელიც ახლა სულ გადაკეთებულია, ძველ ეკლესიას სარკმლები ჰქონია აღმოსავლეთით 1, სამხრეთით 1, ჩრდილოეთით 1, აღმოსავლეთის სარკმელი ახლა აშენებულია. ძველი ეკლესიის სამხრეთით მოჩანს ძველი საძირკველი, ეკლესიის სამხრეთის კარიბჭე. სამრეკლოს იატაკად დაფენილი მაღალი საფლავის ქვაა წარწერით. ასეთივე ქვები მოწყობილია ამავე მხარეს საძირკველთან ერთ პირად. წარწერებიდან ზოგი დაზიანებულია“[3, 166-167].

აქვე აქვს მას მოტანილი 54 საფლავის ქვების ქართულენოვანი წარწერები და იმ სიძველეთა სია (ვერცხლის ბარძიმი, ხატები, სასანთლე, საცეცხლური, ვერცხლის ჯვარი და სხვ.), რომლებზეც ქართული წარწერებია [3, 177-178].

როგორც ჩანს, ეკლესიის რესტავრაცია-გადაკეთება უკვე სომხურ ტიპიკონზე გადასული ქართველი კათოლიკეების მიერ მოგვიანებით, XIX საუკუნის II ნახევრიდან დაიწყო. საინტერესო ის არის, რომ ეკლესიის კედლების აღდგენაში ძირითადად ქართულ წარწერიანი საფლავის ქვებია გამოყენებული (ჩვენ ასეთი 20-ზე მეტი ქვა დავაფიქსირეთ).

მართალია, 1767 წელს ახალციხიდან რომში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში აღნიშნულია, რომ წმ. ჯვრის ეკლესიაში კათოლიკე მღვდელი ატარებდა წირვა-ლოცვას, მაგრამ არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ კაპუცინების მოსვლამდე (1733 წელი) ყოვლად წმიდის კათოლიკური ეკლესია მუსლიმანებმა გადაწვეს და მის აღდგენას მრევლის დაკარგვის შიშით აქ სხვა მოღვაწე პადრეებმა შეუშალეს ხელი [6, 416-417], რის გამოც კაპუცინებმა დროებით ბინა მართლმადიდებლებისაგან დაცლილ წმ. ჯვრის ეკლესიაში დაიდეს. ამ პერიოდიდან ჩნდება ეკლესიის ეზოში სომხურ ტიპიკონზე მდ-



გარი ქართველ კათოლიკეთა ქართულწარწერიანი საფლაგები.

მოტანილი მასალები იმაზე მეტყველებს, რომ ჯვართამაღლების ეკლესია როგორც მართლმადიდებლური სალოცავი აგებული უნდა ყოფილიყო, თუ უფრო ადრე არა, შუა საუკუნეებში მაინც ფეოდალური გვარის შალიკაშვილების მიერ.

წმ. ჯვრის ეკლესია XIX საუკუნის I ნახევარში კათოლიკური რომ არ ყოფილა, ეს ნათლად ჩანს მისიონერების წერილებიდანაც. 1815 წელს უფროსი პატრი ფილიპე რომში გაგზავნილ წერილში აღნიშნავს: „ახალციხეში გვაქვს ერთი პატარა მონასტერი, რომელიც ევროპის წესისამებრ მოწყობილია. აქაური მისიონისათვის ძალიან საჭიროა, რადგან პატრები უწინარეს თბილისში მოსვლისა, აქ დგებიან. გვაქვს ევროთვე პატარა ეკლესია ყოვლად წმიდა მარიამისა“ [3, 503]. იგივე პატრი 1830 წელს გაგზავნილ წერილში კვლავ აფიქსირებს: „ახალციხეში გვაქვს ერთი პატარა ღვთისმშობლის ეკლესია. ეხლა კი ეს ეკლესია მეტად დაზიანებული, ერთ გვერდზე ჩამონგრეული და გაშიშვლებულია“ [3, 516]. ამ წერილებიდან ნათლად ჩანს, რომ იმ პერიოდისათვის პატრებს მხოლოდ ერთი ე. წ. პატრების ეკლესია ჰქონიათ.

ბ. არველაძის შენიშვნით „ახალციხის წმ. ჯვრის ეკლესია სავარდოსა და იოანე ნათლისმცემლის ეკლესიებთან ერთად თავიდანვე იყო ქართული, მაგრამ მოგვიანებით, როცა მართლმადიდებლებმა კლება იწყეს და კათოლიკეები მომრავლდნენ, ეს ეკლესიებიც ქართველებმა თავიანთ თანამემამულე ქართველ კათოლიკეებს დაუთმეს“ [2, 173]. ამ ტაძრის ქტიტორების შესახებ ცნობა არ არის შემონახული, მაგრამ იგი ეკუთვნის ქართული არქიტექტურის კლასიკური პერიოდის ძეგლთა რიცხვს (X-XIII სს.). ახალციხის წმ. ჯვრის ტაძარი არაერთხელ იქნა იავარყოფილი მტრისაგან. მაგრამ მრევლი არასდროს მოჰკლებია, რადგან სწრაფადვე აღადგენდნენ ხოლმე [2, 173]. „მისი განახლება მომხდარა 1660 წელს; განსაკუთრებულათ 1750 წელს. ამ ეკლესიის მრევლმა რიგიანი ვეღარა მოისაზრა და ძველის აღებულს ეკლესიას ძველადვე მიმატებული მშენიერი ჩუქურთმიანი ქვებით აღშენებული ეკლესია დააქციეს და მის მაგიერ უბრალო სადა რბილი ქვის ეკლესია აღაგეს, საკურთხეველი და ამის ძველი გუმბათი კი ძველის ეკლესიის არის, რაც მცირედ გადააკეთეს“, — აღნიშნავდა ზ. ჭიჭინაძე [18, 16].

სომხურმა ეკლესიამ თავისი მზაკვრული ქმედებით იმდენი მოახერხა, რომ XIX საუკუნის II ნახევრიდან მეფის რუსეთმა ევროპიდან საქართველოში კათოლიკე მისიონერების შემოსვლა აკრძალა და აქ მაცხოვრებელ ყველა კათოლიკეს წირვა-ლოცვა სომხურ რიტზე დაუწესა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო არა ანტიკათოლიკური, არამედ ანტიქართული — ერის სულიერი გახლეჩვის მზაკვრული გეგმა. ამან სომეხ მღვდელმსახურებს საშუალება მისცა, ფართოდ გაეშალათ თავიანთი შოვინისტური საქმიანობა. კათოლიკობის ნიღაბს ამოფარებული სომეხი სასულიერო პი-

რები, ამ სარწმუნოების გამოყენებით, ქართველ კათოლიკეებში მშობლიური ენის, ეროვნული თვითმყოფადობის, ეროვნული თვითშეგნების საბოლოოდ ჩაკვლასა და ძირძველი ქართული ეკლესია-მონასტრების მიტაცება-დაპატრონებას ცდილობდნენ [2, 240-241].

წმ. ჯვრის ეკლესია სომხურ ტიპიკონზე ნაკურთხი ქართველი კათოლიკე მღვდლის პავლე შაჰყულიანის (ჭილიმუზაშვილის) ძალისხმევით XIX საუკუნის II ნახევრიდან სომხურ ტიპიკონზე მდგარ ქართველ კათოლიკეთა ხელში გადავიდა და მათ წირვა-ლოცვა უკვე სომხური ტიპიკონით უტარდებოდათ. იმ ფაქტს, რომ ტაძრის მრევლი ამ პერიოდშიც ქართულენოვანი ანუ ქართული იყო, ადასტურებს 1881 წელს მიშენებული სამრეკლოს ზემოთ მოტანილი წარწერა. ეს ეკლესია, რომ კათოლიკე სომხების ან მონოფიზიტი სომხების კუთვნილება ყოფილიყო, მაშინ სამრეკლოს ამშენებლის ვინაობა და მისი აშენების თარიღი არა ქართულ, არამედ სომხურ ენაზე იქნებოდა გაკეთებული.

წმ. ჯვრის ეკლესია და მის გარშემო არსებული სასაფლაო თავისი ქართული ეპიტაფიებით, როგორც კულტურის ძეგლი, ავად თუ კარგად მეტნაკლებად დაცული იყო საბჭოთა პერიოდშიც კი (შემოვლებული დობე, შედგენილი პასპორტი). XXI საუკუნის დასაწყისში ვატიკანიდან შემოგზავნილმა პადრე-ემისრებმა არა ყოფილი „პადრეებისა“ და „ფრანგების“ კათოლიკური ეკლესიების, არამედ ადრე აშენებული მართლმადიდებლური წმ. ჯვრის ეკლესიის მიპატრონება სცადეს და კიდევ მიაღწიეს მიზანს, რა მაქინაცებით, ჩვენთვის უცნობია. მათ 2011 წლის გაზაფხულზე დაიწყეს აღნიშნული ეკლესიის გადაკეთებ-გედმოკეთება. მის გარშემო არსებული სასაფლაო, როგორც ისტორიული ძეგლი, მთლიანად გაანადგურეს (ზოგს მიწა გადააყარეს, ზოგი სად წაიღეს ღმერთმა უწყის, ზოგი „შემოემტვრათ“ და ა. შ.) და მასზე სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა დაიწყეს.

საინტერესოა, ეს ემისრები თუ მართლა ქრისტიანები არიან და ქრისტიანული მრწამსით მოქმედებენ, მაშინ რატომ გაანადგურეს სამსაუკუნოვანი ქართულწარწერიანი საფლავის ქვები, რომელთა ისტორიული ღირებულება კომუნისტებმაც კი აღიარეს და ხელი არ ახლეს. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რა მიზანი ამოდრავებთ მათ? ზემოთ მოტანილი მასალებიდან გამომდინარე, ამ საუკუნის დასაწყისში შემოსულ პადრეებს არა ჯვართამაღლების ეკლესიის, არამედ პატრებისა და ფრანგების ეკლესიებად წოდებულ წმ. მარიაძისა და იოანე ნათლისმცემლის კათოლიკური სალოცავების აღდგენა-განახლებაზე უნდა ეზრუნათ. მაგრამ მათ ეს შეგნებულად არ გააკეთეს, რადგან ეს ეკლესიები გვიან XVIII საუკუნეშია აგებული, ჯვართამაღლებისა კი XII-XIV საუკუნეებში, ამიტომ მას საქართველოში კათოლიკობის „დაძველების“ მიზნით მიეპატრონენ.

რაც შეეხება პატრების ეკლესიას, იგი მეტად დაზიანებული, მაგრამ მაინც არსებობდა XX საუკუნის 80-იან წლებამდე. გ. ბოჭორიძის აღ-

წერით: „ქართული კათოლიკური სავარდოს ეკლესია (მას პატრებიანთ ეკლესიასაც უწოდებენ) ერთნავიანი მცირე ზომის შენობაა 6,5 X 5 მ., რომელიც განახლებულ-გადაკეთებულია. მას დასავლეთით ნახევარი შენობა აქვს მიშენებული, რომელსაც სამხრეთ კედელში დატანებული აქვს შესანიშნავი ჩუქურთმიანი ქვები სამი ცალი და მეოთხე ჯვარი სომხური წარწერით, ბოლოზე დაზიანებულია, უკანასკნელი გვერდზე დაწვენით არის დადებული კედელში... ამავ ეკლესიას აქვს დატანებული მრავალი საფლავის ქვა. მთელი ეკლესიის ახლის და ძველის ზომაა 17 X 5 მ. ჩრდილოეთით ერთი ოთახის მაგვარი აქვს მიდგმული განახლებისას. ეკლესიას ჰხურავს თუნუქი. კარი აქვს დასავლეთით, სარკმლები სამხრეთით, ძველს ერთი, ახალს 3, დასავლეთით 1, ჩრდილოეთით კარი მაღლითა 1 (სარკმელი არ აქვს) და აღმოსავლეთით სარკმელი ერთი. ძველ ეკლესიას აქვს კარნიშები, ახალს არა“ [3, 182]. მას აქვე აქვს დაფიქსირებული ეკლესიის გარშემო არსებული სასაფლაოც, რომლის ქართულწარწერიანი საფლავის ქვები (14 ცალი) ეკლესიის კედლების განახლებისას გამოუყენებიათ (კედლებში ჩაუტანებიათ).

ამ ძველის შესახებ საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოს სამმართველოს მიერ 1980 წელს შედგენილ პასპორტში ვკითხულობთ: „ქართული კათოლიკური ეკლესია ნანგრევების სახითაა შემორჩენილი (ძირითადად გადარჩენილია აღმოსავლეთის ნაწილი, ჩრდილოეთისა და სამხრეთ კედლის ნაწილის ფრაგმენტები).

ძველი წაგრძელებული სწორკუთხედის გეგმის, აღმოსავლეთით კოლოფა აბსიდით დაბოლოებული ერთნავიანი ნაგებობა იყო. საკურთხევლის განათება ხდებოდა შეისრული სარკმლით, რომლიდანაც სამხრეთით, კედელში მოთავსებულია პატარა სწორკუთხა ნიში. დარბაზის შიგნით მიწის დონე საკმაოდაა ამაღლებული ჩაყრილი ქვებით. ეკლესია აუცილებლად ყორექვით.

ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით, რამდენიმე მეტრის დაშორებით აღმართულია სამსართულიანი სამრეკლო. სამრეკლოს პირველი სართული წარმოადგენს ქვიშაქვით ნაგებ კუბის ფორმის კვარცხლბეკს, რომელსაც ზედა ნაწილში ოთხივე მხრივ შემოყოლილი აქვს რთული ფორმის ლავგარდანი. სამრეკლოს მეორე სართული დაბჯენილია კვადრატულ, ხოლო მესამე მრგვალ სვეტებზე. მესამე სართული ჩარდახულადაა გადახურული ლორფინებით. სახურავის ცენტრში დადგმულია რკინის ჯვარი“. აქვე მითითებულია: „მ. ბროსე „პადრების ეკლესიის“ მშენებლობის დაწყების თარიღად 1356 წელს მიიჩნევს. მისივე ცნობით ეს ეკლესია აღუდგენიათ 1442 წელს“. მ. თამარაშვილის მონაცემებით კი, აღნიშნული ეკლესია ახალციხეში კაპუცინების მოსვლის დროს (1733 წელი) აუშენებიათ 1734-1740 წლებში [6; 438].

ქართველ კათოლიკეთა მეორე – იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, ანუ „ქვემო საყდარი“, აგებულია შუა საუკუნეებში. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ივ. გვარამაძე მღვდელმსახურებას ამ ეკლესიაში ეწეოდა სიცოცხლის ბოლომდე. გარდაცვალების შემდეგ იგი ამავე ეკლესიის ეზოში დაკრძალეს. XX საუკუნის 40-იან წლებში ეს სალოცავი დაანგრიეს (მისი კედლების დამუშავებული ქვები რაბათში გამჟავალი რკინიგზის ხიდის მშენებლობაზე გამოიყენეს), მის გარშემო არსებული სასაფლაო მოშალეს, გააუქმეს, ხოლო ი. გვარამაძეს ნეშტი წმ. ჯვრის ეკლესიის ეზოში გადაასვენეს.


დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ, მართალია, სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობის სალოცავების არსებობა საქართველოში ფაქტია, მაგრამ საკითხავია, სამართლებრივად რამდენად კანონიერი იყო მათი აშენება თავის დროზე. 1801 წლამდე, საქართველოს სამეფოს გაუქმებამდე, ქართველი მეფის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უნებართვოდ, რაიმე საკულტო ნაგებობის აშენება არ შეიძლებოდა, მით უმეტეს – სომხური მონოფიზიტური ეკლესიისა, რომელიც ჯერ კიდევ VII საუკუნიდან დაპირისპირებული იყო ქართულ დიოფიზიტობასთან. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ: „თუ არ არის ქართველი მეფის ან კათოლიკოს-პატრიარქის ბრძანება, სიგელი ან წერილობითი ნებართვა ამა თუ იმ სომხური (და არა მართო სომხური – თ. ი.) ეკლესიის აშენების შესახებ, მაშინ 1801 წლამდე არსებული ყველა სომხური ეკლესია საქართველოში უკანონოა, კანონის დარღვევით არის აშენებული. ეს ერთი, მეორე – ქართველი მეფის ბრძანების ან პატრიარქის ნების გარეშე მტრისაგან გავერანებული რომელიმე ქართული ეკლესიის თუნდაც ნანგრევის გადაკეთება-გადმოკეთება, მასზე დაშენება, მიშენება და სომხურ ეკლესიად ქცევა ასევე არასამართლიანი აქტია და მიიჩნევა ნაძალადევ ქმედებად, მიტაცებად. ამიტომ საქართველოს საპატრიარქო უფლებამოსილია ამგვარი „სომხური“ ეკლესიები შეხედულებისამებრ განკარგოს, აღადგინოს მასზე თავისი კანონიერი უფლება“ [1; 43].

მიუხედავად ამისა, დღეს დამოუკიდებელ საქართველოში ჩვენი უნიათობითა თუ ზემდგომი გარკვეული ორგანოების შეგნებული და მიზანმიმართული წაყრუებით უცხო ტომელთა მიერ ქართული ისტორიული ძეგლების მითვისება-მიტაცება, დანგრევა-გადაკეთება ჯერჯერობით წარმატებით ხორციელდება.

## ლიტერატურა

1. ბ. არველაძე, ეტიუდები ქართულ-სომხური ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 2008.
2. ბ. არველაძე, როცა უღაო სადაო ზდება, თბ., 2006.
3. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1972.
4. გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა მესხეთ-ჯავახეთში, თბ., 1992.
5. გაზ. „მოგზაური“, №2, 1901.
6. გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, მარტი, 2011.
7. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902.
8. მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესიის ისტორია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995.
9. ა. თოთაძე, სომეხი ვაი-მეცნიერების ანტიქართული ისტერია, თბილისი, 2005.
10. თ. იველაშვილი, სოფელ ივლიტის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, თბილისი, 2005.
11. თ. იველაშვილი, ბ. არველაძე, მარდის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია, თბილისი, 2009.
12. თ. იველაშვილი, 1979 წლის სამცხე-ჯავახეთში მივლინების მასალები.
13. თ. იველაშვილი, 1993 წლის სამცხე-ჯავახეთში მივლინების მასალები.
14. თ. იველაშვილი, კათოლიკობა საქართველოში, თბილისი, 2009.
15. შ. ლომსაძე, მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1972.
16. სომხეთი — მტერი თუ მოყვარე, თბილისი, 2006.
17. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ერთტომეული, თბილისი, 1986.
18. ზ. ჭიჭინაძე, კათოლიკეთა ეკლესიები საქართველოში, თბილისი, 1902.





თეიმურაზ ლლონტი

## ქართული სუფრისა და ღვინის ფენოზენი

ქართული სუფრა საუკუნეთა სიღრმეებიდან მომდინარე ტრადიციაა. იგი ჯერ კიდევ მაშინ უნდა ჩასახულიყო, როცა ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა მკვიდრად ბინადარი ცხოვრება დაიწყეს და მათი ყოფითი არსებობის ძირითადი მამოძრავებელი და განმავითარებელი, ცხოვრების წესის თანდათანობით ჩამოყალიბებული მიწათმოქმედება და მესაქონლეობა გახდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული სუფრის ტრადიცია უწყვეტი ციკლია. ეს ტრადიცია მუდამ ცოცხლობდა და გადაეცემოდა თაობიდან თაობას ზეპირი ცოდნით, ისევე, როგორც ხალხური პოეზია, გალობა, სიმღერა, ცეკვა. ეს უნიკალური სფეროები უშუალოდ იყო დაკავშირებული სუფრის საწესჩეულებო რიტუალების ჩამოყალიბებასთან. ზეპირ გადმოცემებში ცოცხლად ინახებოდა ყოველივე, რაც კი ქართულ სუფრასთან იყო დაკავშირებული. ხოლო წერილობითი წყაროები სუფრის, ტრაპეზის, ღვინის სმის რიტუალის შესახებ ქრისტიანობის შემოსვლისა და დამკვიდრების შემდეგ გვხვდება, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ სუფრის რიტუალის ტრადიციას მხოლოდ ამ პერიოდიდან ეყრება საფუძველი. წარმართული პერიოდის არქეოლოგიური მასალები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის იმის თაობაზე, არსებობდა თუ არა იმ დროისათვის ღვინის სმის, მისი ყოფითი მოხმარების გარკვეული წესები, რაც შეიძლება ყოფითი სარიტუალო კულტურის არსებობაზეც მიგვანიშნებდეს. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევრის ერთი მთლიანი ფურცლისაგან დამზადებული ოქროს საღვინე თასი, რომელსაც ძველი აღმოსავლეთის ტორეტიკულ ძეგლებს შორის ბადალი არ მოეპოვება.<sup>1</sup>

ასევე საინტერესოა ერთი მთლიანი ფურცლისაგან დამზადებული ვერცხლის სასმისი, რომელიც ორი ჭედური ფრიზისაგან შედგება. ზედა ფრიზზე გამოსახულია 23 ნიღბიანი და მელიისკუდიანი მამაკაცი, რომელთაც ხელში პირფართო და ტანში გამოყვანილი სასმისები უჭირავთ, და სავარძელში მჯდომი ღვთაებისაკენ მიემართებიან. ღვთაებასაც ხელში სასმისი უჭირავს.<sup>2</sup>

<sup>1</sup> Б. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Т.1, Тбилиси, 1941. с. 86-94.

<sup>2</sup> Б. Куфтин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии. Сообщения АН Грузии, т. XIV в, Тбилиси, 1944. с. 322.

მცხეთის მახლობლად, სამთავროში აღმოჩენილ ბრინჯაოს სარტყელზე (ძვ.წ. IX-VIII სს.) ცხოველთა და ადამიანთა შორის ორი მხიარული მოქიფიფა გამოსახული (მცხეთელი მოქიფიფები), რომლებიც სასმისებს უჭახუნებენ ერთმანეთს.

ლიახვის ხეობაში, ჯავის რაიონის სოფელ თრიასთან აღმოჩენილ ბრინჯაოს სარტყელზე გამოსახულია ქალღეთებათა ნადიმი და ღვინის სმის სცენა (ძვ.წ. VIII-VII სს.).<sup>3</sup>

საინტერესოა მეღაანში აღმოჩენილი ბრინჯაოს მამაკაცის ითიფალური გამოსახულება, რომელსაც მარჯვენა ხელში ღვინის სასმისი უჭირავს. მხარიღღოვ მახვილის ჩამოსაკიდებელი სარტყელი აქვს. მახვილი მას ალბათ მარცხენა ხელში ეჭირა (ძვ.წ. IX-VII სს.).<sup>4</sup>

ზემოაღნიშნული არქეოლოგიური მონაპოვრები მეტყველებს ღვინის სმის რიტუალის არსებობაზე, რაც თანამეინახეთა ურთიერთიმარტებისა და ურთიერთღლოცვის მომენტსაც აუცილებლად გულისხმობს.

ე.წ. შულავერის კულტურის არქეოლოგიურმა გათხრებმა დააღასტურეს, რომ ძვ.წ. VI ათასწლეულიდან სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ, სამხრეთ საქართველოში არსებობდა მკვიღრად ბინადარი მოსახლეობა, რომელიც ეწეოღა მრავალღარგოვან მეურნეობას, მათ შორის მევენახეობას, და ქმნიღა ღვინოს, როგორც შიღამეურნეობრივ პროღუქტს (აღმოჩენიღია კულტურული ვახის წიპწები, თიხის საღვინე ჭურჭელი, ხორბლის, ქერის და სხვა მარცვლეულ კულტურათა სახეობები, ყვეღა შინაური ცხოველის ნაშთი, სამიწათმოქმეღო იარაღები, წითელი ღვინის დანალექი თიხის ჭურჭლეზე). თიხისაგან გამოქერწიღი „ღეღა-ღეთების“ მცირე ზომის ქანღაკებები მკვიღრად ბინადარი ხალხის რელიგიურ ცნობიერებაზე მიგვანიშნებს.<sup>5</sup>

გაღაუჭარბებლად შეიღლება ითქვას, რომ ვახის მომშენებელსა და მომვლელს, პურის მომყვანსა და ღვინის დამყენებელ ადამიანს პურ-ღვინის მოხმარების, ანუ პურ-ღვინობის სარიტუღლო წესიც უნღა პქონოღა. ასევე უნღა არსებუღიყო გარკვეული რელიგიური რიტუღლი „ღეღა-ღეთებისაღმი“ აღვლენიღი სამაღლობელით. მისაღღვენელ, შესაწირ პროღუქტებაღ კი პური და ღვინო იქნებოღა გამოყენებუღი.

ძნელია იმის თქმა, თუ როღის ჩამოყალიბღა ამგვარი რიტუღლების აღსრულებიხისა სმიერად (წამღერებით) აღმოთქმა „ღეღა-ღეთებისაღმი“ აღვლენიღი სამაღლობლისა, მაგრამ თამამად შეიღლება ვთქვათ, რომ გაღობა უნღა ყოფიღიყო უწინარესი და უძველესი ფორმა საზოგადოღ დმერთისაღმი აღვლენიღი სამაღლობელისა და იგი ადამიანთა ჯგუფის

<sup>3</sup>М. Хидашели, Антропоморфные ожества раннеземледельческих племен южного Кавказа. Кавказско ближневосточный сборник, VII, Тбилиси, 1984, с. 139-145.

<sup>4</sup>ღ. ჭიღაშვიღი, მეღვინეობა მეორე ათასწლეულის ბოღოსა და პირველის დასაწყისში // „ვენახი, ღვინო და ქართველები“, თბიღისი, 2004. გვ. 78.

<sup>5</sup>თ. კიღურაძე, კულტურული მევენახეობისა და მეღვინეობის აკვანი // ჟურნალი „ვაზი და ღვინო“, #1-2, 2000, გვ. 27.

მიერ სრულდებოდა. რაც შეეხება მღერას, სიმღერას, ის გალობისაგან უნდა წარმოშობილიყო.

რამდენადაც მიწათმოქმედი ადამიანი „დედა-ღვთაების“ კულტთან უშუალოდ აკავშირებდა ღვინოს, როგორც შესაწირ, ძღვნად მისართმევ პროდუქტს, ამდენად მას ვაზის კულტურისა და ღვინისადმი მოკრძალებული დამოკიდებულებაც უნდა გასჩენოდა. პური და ღვინო იმთავითვე უნდა ჰქონოდა შეცნობილი ღმრთისაგან ბოძებულ დიდ სიკეთებად — „ჭამადად სიცოცხლისა“ და „სასუმელად სიცოცხლისა“.

ღვინო ადამიანთა გუნება-განწყობის ამაღლებას უწყობდა ხელს და ერთად ყოფნისა და თავის შექცევის სურვილს აძლიერებდა. ამაღლებული განწყობა ლექსისა და გალობა-სიმღერის წარმოთქმის, მოჭარბებული ენერჯია კი მოძრაობის, ანუ ცეკვა-თამაშის სურვილს ბადებდა. თანდათანობით ყალიბდებოდა ჩვევა და შემდგომ გარკვეული წესი პურობისა და საფუძველი ეყრებოდა ტრადიციული რიტუალის ჩამოყალიბებას.

ა. ლეკიაშვილის აზრით, „ხალხს ღვინო წმინდა სასმელად წარმოედგინა, ამოტომაც იყო ჩართული სარწმუნოებრივ წესებში ღვინით ხელის განბანვა და ღვინის მოსხურება. საგულისხმოა, რომ ცხოვრების ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას: შვილის დაბადებას, ქორწილსა თუ დასაფლავებას, სხვადასხვა დღეობა-დღესასწაულს აუცილებლად ღვინის სმა აგვირგვინებდა.“

ღვინო — წმინდა სასმელი — სხვადასხვა წმინდანისა და ღვთაების სოფლისა თუ საგვარეულო, სათემო თუ სახეუო მფარველი „პატრონების“ შესაწირა იყო. შესაწირავ ღვინოს — ზედაშეს საგანგებო ქვევრებში ინახავდნენ<sup>6</sup>.

მაღალი დონე ქართული სარიტუალო ყოფითი კულტურისა, რომელიც ათასწლეულთა განმავლობაში ვითარდებოდა და ყალიბდებოდა, გვაფიქრებინებს, რომ იგი უნდა ჩასახულიყო სწორედ ნეოლით-ენეოლითის ხანებში სამხრეთ კავკასიაში განსახლებული ქართველური მოდემის ტომებში. მიწათმოქმედება და განსაკუთრებით მვენახეობა-მელვინეობა უნდა ყოფილიყო ის ბაზისი, რომელზეც აღმოცენდა შემდგომში ზედნაშენი — უძველესი ქართული ცივილიზაცია. ამ პროცესში განმსახვრელი როლი ითამაშა ვაზის კულტურამ.

\*\*\*

რელიგიური და ყოფითი სარიტუალო წეს-ჩვეულებების წარმოქმნა-ჩამოყალიბებისა და განვითარების საფუძველზე ათასწლეულთა განმავლობაში ჩამოყალიბდა მათი აღსრულების ის უნიკალური ფორმა, რომელსაც ქართული სუფრა ჰქვია, კერძოდ, მისი სახეები, როგორიცაა ყოველდღიური, საქორწინო, რელიგიური და კალენდარული დღეობების, თაღზი, ანუ სამგლოვიარო სუფრები. ეს სახეები პირობითად შეიძლება ლხინისა და ჭირის სუფრად დავაჯგუფოთ. ჭირი და ლხინი ხომ კაცთა

<sup>6</sup> ა. ლეკიაშვილი, „შენ ხარ ვენახი“, 1972. გვ. 117.

ცხოვრების მუდმივად ურთიერთმონაცვალე მოვლენებია, რომელთა აღნიშვნაც სუფრის გარეშე არ ხდება. წესი და თადარიგი ჭირისა და ღვინის სუფრებისა მკაცრად რეგლამენტირებული და დახვეწილია და თანამეინახეთა სულიერ-ზნეობრივი განწყობის ადეკვატურად გამომხატველი.

ყოველდღიური სუფრის ერთ-ერთი და მეტად მნიშვნელოვანი გამოხატულებაა ოჯახური ტრაპეზი, რომელიც თავისი შინაარსითა და ფორმით განსხვავებული მოვლენაა. ოჯახური ტრაპეზი, ანუ ოჯახის წევრთა შეკრება საუზმისას, სადილისას, სამხრისა თუ ვახშმისას შეიძლება ქართული სუფრის ერთგვარ ინტიმურ და ღრმად შინაარსიან სახესხვაობად მივიჩნიოთ. ოჯახური ტრაპეზის თანამონაწილენი ოჯახის წევრები არიან, აქ უმთავრესი მომენტი ოჯახური ინტიმია.

ოჯახური ტრაპეზი უახლოეს, სისხლით ნათესავთა ერთად ყოფნის სასიხარულო განცდაა, ღმრთისაგან ბოძებული სასმელისა და საზრდელის, ანუ პურ-ღვინის მიღების სიხარულია. ამდენად, ოჯახური ტრაპეზი ერთგვარად გარკვეული საიდუმლოების მომცველი ფენომენია. ეს განცდა შინაგანი სულიერი სიმშვიდითა და თითქოსდა გაუცნობიერებელი და გამოუთქმელი ერთად ყოფნის სიხარულით გვირგვინდება.

ქართველი კაცი ტრანსფორმირების გასაოცარი უნარით გამოირჩევა. იგი დღევანდელი გლობალიზაციის ნიშნით აღბეჭდილი, ცვალებადი და ხშირად არაპროგნოზირებადი გარემოს პირობებშიც კი ცდილობს შეინარჩუნოს ოჯახური ტრადიციები, კერძოდ, ოჯახური ტრაპეზის უძველესი ტრადიცია, თუმცა ამის აღსრულებას ყოველთვის როდი ახერხებს. ოჯახში, სადაც ურთიერთობა სიმშვიდის, სიყვარულის, უფროს-უმცროსობის, თავდაჭერილობისა და სიამატკბილობის პრინციპზეა დაფუძნებული, ერთად ტრაპეზობის სურვილი შინაგან მოთხოვნილებად არის ქცეული და ძალდაუტანებლად იბადება.

მავანი და მავანი იკითხავს: როგორღა მოვახერხოთ ერთობლივი ტრაპეზი, როცა ოჯახის წევრები თითქმის მთელი დღით არიან გასულნი სამუშაოდ? სამწუხაროდ, ეს რეალობაა და ამას ვერსად გავექცევით, მაგრამ, როცა კი ოჯახის წევრებს ამის საშუალება მიეცემათ, სასურველია, ადასრულონ ოჯახური ტრაპეზი. სხვაგვარად, სუფრის ერთობლივი ტრაპეზის იგნორირება უარყოფით გავლენას უპირატესად მოზარდ თაობაზე ახდენს. იკარგება ღვთიურ სიკეთეთა ერთობლივად მიღების განცდა, ტრაპეზთან ქცევის ეტიკეტის შეცნობისა და გააზრების საშუალება, რაც ხელს უწყობს მოზარდ თაობაში (და არა მარტო მასში) განკერძოებულობის უტაქტო და უეტიკეტო ჩვევების ჩამოყალიბებას. ისეც ხდება, რომ ოჯახის წევრები იკრიბებიან სატრაპეზოდ და დაწყებისთანავე ირთვება ტელევიზორი, მიუხედავად იმისა, რა შინაარსის მასალა გადმოიცემა ცისფერ ეკრანზე. მეტრაპეზენი მისჩერებიან ეკრანს და ერთმანეთს ვეღარ ამჩნევენ, ლუკმას ლუკმაზე ანგარიშმიუცემლად აყოლებენ და ვეღარც კი

გრძობენ ღვინისაგან ბოძებული საზრდელისა და სასმელის გემოს. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ტრაპეზს ერთმანეთისაგან გაუცხოებული ადამიანები შემოსხდომიან.

მეტად საინტერესოა ერთ-ერთი ამერიკელის მონათხრობი ამერიკული ოჯახის წევრთა მიერ ტრაპეზის ერთობლივად ჩატარების შესახებ. თბილისში, ერთ-ერთ ქართულ ოჯახში სტუმრობისას მან ასე გამოხატა თავისი შთაბეჭდილებები: ჩვენ, ამერიკელებს არა გვაქვს ასეთი ბედნიერების განცდის საშუალება, რასაც განიცდით თქვენ, ქართველები. თქვენ ერთად მღერით, იგონებთ წინაპრებს, ადღევრძელებთ მშობლებს, დედამამიშვილებს, მეგობრებს, ჩვენ კი ამის საშუალება არა გვაქვს დროის უქონლობის გამო, არა გვაქვს ამგვარი ტრადიცია, ჩვენ ისე ვართ დატვირთულნი, რომ ოჯახის წევრები მხოლოდ დღის ბოლოს ტრაპეზის გარშემო ვხვდებით ერთმანეთს და ვსაუბრობთ; შემდეგ კი, ჩვენ-ჩვენს ოთახებში მიგეშურებით და იქ ვიკეტებით, რათა ტელევიზორით ახალი ამბები მოვისმინოთ.

მართალია, საქმიანობის დაძაბული რეჟიმი განსაზღვრავს ამერიკელის ყოველდღიური ცხოვრების სტილს, მაგრამ ტრაპეზის ერთობლივად გაწევის სურვილი ამერიკელთათვისაც სანუკვარი პროცესი ყოფილა.

\* \* \*

თაღხი, ანუ ჭირის სუფრა გარეგნული ფორმით სადა, მკაცრი, ერთგვარად შეკუმშული და მოთოკილია, შინაგანი არსით კი მეტად დაყურსული, ემოციურ-ფსიქოლოგიური ტონალობით გაჟღენთილი, დამაფიქრველი, ღრმად მიძვალა ცნობიერების სიღრმეებისაკენ. თაღხი სუფრა მადლია ამქვეყნიური ცხოვრებიდან წასული კაცისადმი გაცემული, ღვინით დამბალი პური კი — მისი სულისა და ხორცის გარდასული ერთიანობის გასიმბოლოებული შეგრძნება.

ბუნებრივია, თაღხი სუფრა ითხოვს სადღევრძელოთა შემჭიდროებულ რიგს, ლაკონურობასა და სიბრძნეს, რაც, როგორც თამადის, ისე სუფრის თითოეული წევრისაგან ემოციურ-ფსიქოლოგიურსა და ზნეობრივ მოწესრიგებულობას მოითხოვს. უნდა აღინიშნოს, რომ თაღხი სუფრის რიტუალი საქართველოს სხვადასხვა მხარეში მცირეოდენი სახესხვაობით სრულდებოდა. მხედველობაში გვაქვს განსხვავებანი როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთ, ისე მთისა და ბარის რეგიონებში. იგულისხმება სუფრაზე მისართმევი კერძები და შესანდობარისა და სადღევრძელოს წარმოთქმის თადარიგი.

თ. ივლაშვილის მიხედვით შვიდი, იშვიათად, ცხრა შესანდობარი და სადღევრძელო ისმებოდა ჭირის სუფრაზე. ასევე შეზღუდული იყო წრე იმ ადამიანებისა, ვინც ჭირის სუფრაზე იკრიბებოდა, ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, ახლო ნათესაობა, ოჯახურ წრესთან დაახლოებული ადამიანები.<sup>7</sup>

დავიწყებას მიეცა თაღხი სუფრის ერთი უმნიშვნელოვანესი ჩვეულება.

<sup>7</sup>თ. ივლაშვილი, „ქართული სუფრის ეტიკეტი“, თბ., 1995. გვ. 45.



თინა იველაშვილის განმარტებით, გარდაცვლილი ადამიანის შესანდობრად წარმოთქმული სიტყვის შემდეგ სასმისის დაცლა ტრადიციულად დაუშვებელი იყო. საფლავზე გასული მამაკაცები შესანდობარის თქმისას სასმისიდან ღვინოს ოდნავ მოსვამდნენ, დანარჩენს კი საფლავზე დააქცევდნენ. დღეს გაკვირვებას იწვევს ამგვარი ქმედება. ზოგიერთს მიცვალებულის პატივისცემა ისა ჰგონია, თუ შესანდობარს ბოლომდე გამოცლის. სამწუხაროდ, გაცნობიერება არ ხდება იმ მნიშვნელოვანი გარემოებისა, რომ სასმისში მოთავსებული ღვინო მიცვალებულის წილია, ჩვენ მხოლოდ მცირედი უნდა მოვსვათ და ამით მიცვალებულის ხსოვნისადმი ჩვენი თანაზიარობა გამოეხატოს.

შესანდობარის წარმოთქმისას იგონებენ მიცვალებულის ცხოვრების გზას, მის ღვაწლსა და დამსახურებას ოჯახისა თუ ერის წინაშე და შესთხოვენ უფალს, რათა შეუნდოს ამქვეყნიური ცოდვები და ნათელში ამყოფოს მისი სული.

ჩვენს თანამედროვეთ იმის გაცნობიერებაც უჭირთ, როგორ შეიძლება შეიდ (ან ცხრა) შესანდობარსა და სადღეგრძელოში სათქმელის სრულად ჩატევა. ჩვენი აზრით, ეს იმიტომ ხდება, რომ ჭირის სუფრამ დაკარგა თავისი შინაარსობრივ-გარეგნული ფორმა და უფრო თავშესაქცევ წვეულებად გადაიქცა, სადაც ჯერჯერობით არ მღერიან და არ ცეკვავენ. მაგრამ განა არ გვინახავს დღეს ისეთი ე.წ. ლხინის სუფრები, სადაც არც მღერიან და არც უკრავენ და სადაც უსაგნო ჭამა-სმია გაჩაღებული მხოლოდ? ჭირის სუფრები სწორედ ამგვარ სუფრებს უფრო ემსგავსება.

სადღეგრძელოების რაოდენობაზე მოგახსენებთ. თალხი სუფრა გარდაცვლილის შესანდობარით იწყებოდა (რომლის წარმოთქმამდე პურის გატეხა წესად არ იყო მიღებული). შემდეგ ისმებოდა გარდაცვლილის ოჯახის წევრების სადღეგრძელო. მესამე სადღეგრძელოში ოჯახს ლოცავდნენ, უსურვებდნენ გამრავლებას, ბარაქასა და კეთილდღეობას. შემდეგ კი წარმოთქვამდნენ ახლად გარდაცვლილთა შესანდობარს. შემდეგი სადღეგრძელო მშვიდობისა იყო. მომდევნო სადღეგრძელოთი კი მიცვალებულის ნათესავებსა და მეზობლებს დალოცავდნენ. ბოლოს ადღეგრძელებდნენ მათ, ვინც გააპატიონა მიცვალებული და გაუჭრა საფლავი. იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვლილი ხანდაზმული იყო, სუფრის წინამძღოლს შეეძლო კიდევ ორი სადღეგრძელო შეესვა, მხოლოდ ეს სადღეგრძელოებიც აუცილებლად გარდაცვლილთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

რამდენიმე სიტყვით გვსურს, შევჩერდეთ თალხ სუფრაზე წარმოთქმულ შესანდობართა და სადღეგრძელოთა რაოდენობაზე. ასე გასინჯეთ, დღეს თალხ სუფრაზე სადღეგრძელოთა და შესანდობართა რაოდენობა ცხრამეტ-ოცს აღწევს, ზოგჯერ აჭარბებს კიდევ. რაც ეწინააღმდეგება თალხი სუფრის შინაარსსა და მიზანდასახულობას. დაჩქარებული რიგი თამადის მიერ წარმოთქმული სიტყვებისა არღვევს თალხი სუფრის სიმშვიდეს,

უფრო მეტიც: აწუხებს თანამესუფრეთ და ღვინის მათ ყურადღებას. ყოველივე ამას მოჰყვება ის, რომ სუფრა თანდათანობით იწყებს დაცარიელებას, მაშინ როცა თამადა ჯერ შუა გზაზეა. აღარ არსებობს კონტაქტი თამადასა და თანამესუფრეთა შორის. ყველა განკერძოებით საუბრობს. ამგვარი მდგომარეობა ყოველად შეუწყნარებელია, ეს ხომ მიცვალებულისა და ჭირისუფლების მიმართ უპატივცემულობის გამოხატვაა.

უკანასკნელ ხანს არაერთგზის მოგვისმენია და წაგვიკითხავს ერთი მეტად შეუსაბამო და ალოგიკური რამ: გარდაცვლილი ადამიანის მოსახსენიებელ სიტყვას „სადღერძელოს“ უწოდებენ. ერთგვარად ჩრდილში ექცევა აზრობრივად მეტად დატვირთული სიტყვა — „შესანდობარი“. როგორ შეიძლება გარდაცვლილ ადამიანს სადღერძელო ვუთხრათ, დღერძელობა ვუსურვოთ. შესანდობარი უფლის წინაშე სათხოვარია, რათა მან მიცვალებულს შეუნდოს ამქვეყნიური ცოდვები და ნათელში ამყოფოს მისი სული. ამდენად, ამ ორი ნატიფი ტერმინის ერთმანეთში აღრევა მიზანშეუწონელია.

\*\*\*

ქართველებმა ვიცით ხოლმე თქმა: ქართული სუფრა აკადემიააო. რა მოიაზრება ამ ლაკონურსა და ბრძნულ გამოთქმაში? რატომ უწოდეს ქართულ სუფრას აკადემია? ქართული სუფრა, ღვინისა იქნება თუ ჭირისა, ოთხ ძირითად პროცესს მოიცავს, ესენია: სუფრის სამზადისი და გაწყობა, სუფრის დასაწყისი, შუა სუფრა და სუფრის დასასრული. თითოეული მათგანის აღსრულება გამოცდილებას, პასუხისმგებლობას, სულიერი და ფიზიკური ძალების მობილიზებას, დახვეწილ გემოვნებასა და ცოდნას მოითხოვს. სადღესასწაულო სუფრის, ნადიმის მნიშვნელოვან, საწყის ეტაპს წარმოადგენდა ნადიმის სამზადისი. მას უაღრესად მოწესრიგებული ორგანიზაციული თადარიგანობა ახასიათებდა. დიდი ნადიმის გაწყობაში ოჯახს ნათესავ-ახლობლები და მეზობლები ეხმარებოდნენ, როგორც მატერიალურად, ისე ფიზიკურად. ასე, მაგალითად, თემში დამკვიდრებული წესისამებრ, მეზობლები შეეწოდნენ მოზეიმე ოჯახს ღვინით, ხორცეულითა და სხვადასხვა სანოვაგით, მონაწილეობდნენ სამზადისში, ამდენად ერთი ოჯახის ზეიმი თემის ზეიმადა იქცეოდა.

ნადიმის მშვენება იყო სუფრული სიმღერები, რომლებსაც ყოველი სადღერძელოს შემდეგ ასრულებდნენ. თითოეული სიმღერა მხოლოდ ერთხელ იმღერებოდა და თავის შინაარსითა და ინტონაციით თითოეულ სადღერძელოს ეთანაწყობოდა. ასე, მაგალითად, გურიაში პირველ სადღერძელოს, მშვიდობის სადღერძელოს, სიმღერა „ჩვენ მშვიდობა“ მოჰყვებოდა.

მეტად საინტერესო მასალებს გვაცნობს თ. იველაშვილი სამცხე-ჯავახეთში არსებული ტრადიციის შესახებ. სუფრულებში ერთმანეთისაგან გამოიყოფოდა „სუფრის გახსნის“, „ღვინში შესვლის“, „სუფრის დახურვის“ ანუ „შემოძახილის“ სიმღერები, რომლებიც ერთმანეთისაგან გა-

ნირჩეოდნენ ტექსტების შინაარსისა და შესრულების დროის მიხედვით: „სუფრის გახსნის“ სიმღერები რელიგიურ-ისტორიული შინაარსისა იყო, „ლხინში შესვლისა“ — საგმირო-საყოფაცხოვრებო შინაარსისა, სუფრის დახურვისა კი — შემოძახილის სიმღერები.<sup>8</sup>

მასპინძელი მუდამ ცდილობდა, სტუმრისათვის შესაფერისი და სათნო ძღვენი მიერთმია. ამისათვის ის არაფერს იმუშრებდა, არც ფიზიკურად და არც მატერიალურად, ოღონდ კი სტუმრისათვის ესიამოვნებინა და სტუმრობის ჟამი დაემახსოვრებინა. ეს მასპინძელს ოჯახის ღირსების საქმედ მიაჩნდა.

ერთობ საპასუხისმგებლო რიტუალია სუფრის გაწყობა, რომლის ღირსეულად აღსრულებას სათანადო ცოდნა-გამოცდილება, გემოვნება და ესთეტიკური საზრისის დონე სჭირდება.

ქართველი კაცი დასაბამიდან ზრუნავდა ყოფითი ცხოვრების გარეგნული ფორმის დახვეწისა და სრულყოფისათვის, მისი ეს თვისება ქართული სუფრის კულტურის შექმნაშიც კარგად გამოძღვანდა. ქართველმა დიდი გემოვნებით შემზადებული კერძების გარეგნული იერიც თავისებურად დახვეწა და ღვინოც შესაფერისი შეურჩია. სუფრაზე კერძების მიწოდება-საც ჰქონდა და აქვს თავისი პეწი და მომხიბლველობა.

ორიოდე სიტყვით არ შეიძლება, არ შეეჩერდეთ ადამიანთა ისეთ საპასუხისმგებლო და საპატიო ფუნქციაზე, რომელსაც სუფრის მომსახურენი, ანუ მოტრიალენი ჰქვია. მოტრიალეთაგან აღსანიშნავია სუფრაზე კერძების შემომტანი ადამიანები, უპირატესად ქალები, და მამაკაცები — ე. წ. „მერიქიფენი“, რომელთა მოვალეობაა სუფრაზე ღვინის შემოტანა.

მოტრიალეთა საქმე მეტად საპასუხისმგებლოა, მოწესრიგებულობას, ტაქტს, კერძების სუფრაზე განაწილების ცოდნას, თავდაჭერილობასა და ყურადღებას მოითხოვს. საინტერესოა სიტყვა „მერიქიფე“-ს განმარტება: „სუფრაზე ღვინის მიმწოდებელი, დამსხმელი, მწღე“.<sup>9</sup>

ჩვენი აზრით, სიტყვა „მერიქიფე“ წარმოშობილი უნდა იყოს მოტრიალე მამაკაცის უმთავრესი ფუნქცია-მოვალეობიდან, მას არა აქვს უფლება სუფრის გასრულებამდე ღვინის დაღვევისა, მისი ქეიფის ჟამი მხოლოდ შემდეგ, კერძოდ, სუფრის გასრულების შემდეგ დგება.

ქართული სუფრისა და სადღეგრძელოს შესახებ მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი.<sup>10</sup>

ჟან შარდენის აღწერით, საქორწინო ნადიმზე დამსწრე უცხოელი სტუმრები აღფრთოვანებულები იყვნენ ქართული სუფრით: „კერძები საოცარი წესრიგითა და უხმაუროდ შემოჰქონდათ. ყველა უხმოდ ასრულებდა თავის საქმეს. ერთ მაგიდაზე მსხდომი სამი ევროპელი უფრო მეტს ხმაუ-  
<sup>8</sup>თინა იველაშვილი, ქართული ტრადიციული საქორწინო სუფრა და თანამედროვეობა, თბილისი, 1991.

<sup>9</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1990.

<sup>10</sup> ჟან შარდენი, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), 1975.

რობდა, ვიდრე ამ ნადიმზე მყოფი ას ორმოცდაათი კაცი. ამ საუცხოო წესრიგის შემდეგ, ყურადღებას ყველაზე მეტად ჭურჭლეულობის სიმრავლე იქცევდა“. აქ იყო დაახლოებით ასოცი ფიალა, თასი, ხელადა და ყანწი, სამოცი სურა, თორმეტი აზარფეშა, თითქმის ყველა აზარფეშა ვერცხლისა იყო. სურები ან სადა ოქროსი იყო ან მომინანქრებული ოქროსი. თასები და ხელადები ზოგი ოქროთი იყო დაფერილი, ზოგიც კიდევ ოქროთივე მოხატული. ზოგს ძვირფასი ქვები და ვერცხლის მოჭედილობა ამშვენებდა. ყანწებიც ძვირფასი თასების მსგავსად იყო მოზარნიშებული.

„სტუმარი ღვთისააო“, – ასე მიაჩნდა ქართველ კაცს და მას ღვთისაგან მოვლენილ მოყვასად აღიქვამდა. ამიტომაც ცდილობდა, ყოველივე საუკეთესო მიეძღვნა მისთვის — დაეო ტაბლა კეთილი, მიერთმია საუკეთესო ღვინო და ყოველივე, რაც კი ებადა; მოელხინა იგი, ეძღერა, გაეხალისებინა, სიყვარულითა და ოპტიმიზმით აღევსო, ედღეძელებინა მისთვის სამშობლო, ოჯახი, სამოყვრო და სანათესაო, სამეზობლო და სამეგობრო, მოეგონებინა წინაპრები, ამ ცხოვრებიდან წასული ადამიანები, დაელოცა ოჯახი, თანამეცხედრე, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილისშვილები და თავადაც გაეზარა სტუმრობის მაღლით.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ღვინო ქართული სუფრის უმნიშვნელოვანესი და უმთავრესი ელემენტია. განსაკუთრებით უნდა შეეჩერდეთ კახურ ღვინოზე, რომელიც მართლაცაა მშვენება ქართული სუფრისა და თვალისჩინა ქართული მეღვინეობისა. კახური ღვინო დიდად მოსწონდათ ყველგან და ყოველ დროში. ამ ღვინოს უზვად გამოიყენებდა ირანის შაჰის კარი, დიდი რაოდენობით გაჰქონდათ კახური ღვინო რუსეთის იმპერიაში.

რაოდენ უზვადაც არ უნდა ყოფილიყო გაწყობილი ქართული სუფრა, თუკი ღვინო შედარებით მდარე ან უვარგისი იყო, ქართველი კაცი ასეთ სუფრაზე ვერ ილხენდა. ქართველი კაცი ყოველთვის მომთხოვნი იყო ღვინის ხარისხისადმი, ამიტომაც ცდილობდა, სასტუმრო ღვინო ყოველთვის გამორჩეული დაეყენებინა. ეს მას პიროვნული და ოჯახური ღირსების საქმედ მიაჩნდა.

საოცარი თვისება ახასიათებს ქართულ, კერძოდ კი, კახურ თეთრ მშრალ ღვინოს. ამ ღვინით ადამიანი კარგად ილხენს, ხარობს, ლალობს, სხვასაც ალხენს და ამზიარულებს, სიმღერასა და ცეკვა-თამაშში კარგად სვამს და კარგად ინელებს. აი, როგორ შეაფასა კახური ღვინო ალექსანდრე დიუმამ (მამამ) 1859 წელს თბილისში ჟურნალ „ცისკრის“ რადაქციაში გამართული პურობიდან მიღებული შთაბეჭდილების შემდეგ: „ღმერთმა ...ქართველ მსმელებს კახური ღვინო მისცა, ესე იგი ის საუცხოო ღვინო, რომელიც არ ათრობს, ანუ უფრო სწორად, თავში არ უვარდება მსმელს“.<sup>11</sup> იმასაც აღვნიშნავთ, რომ ალექსანდრე დიუმას ნადიმზე უზვად შეუსვამს

<sup>11</sup>ალ. დიუმა, „კავკასია“, „მერანი“, თბილისი, 1970. გვ. 342.

კახური ღვინო.

მაინც საიდან მოდის ეს ანდამატი კახური ღვინისა? ქართულ ღვინოს ყოველთვის ჭაჭაზე აყენებდნენ. კახური ღვინო კი გამორჩეულია იმით, რომ ის დუღდება და ვარგდება სრულ ჭაჭაზე გაზაფხულამდე, ამდენად, იღებს ყოველივე საუკეთესოს ყურძნის მტკვნისაგან და გამოირჩევა მაღალი ბიოენერგეტიკული, დიეტური და სამკურნალო თვისებებით. როცა ღვინის მოხმარების ესთეტიკურ მხარეზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება, არ გავიხსენოთ ტრადიციული ქართული სასმისები. ქართველი კაცი დღენი-დაღ ეძიებდა ნატიფსა და დახვეწილ ფორმებს საღვინე ჭურჭლისას. ამით იგი დიდ ყურადღებას აქცევდა ღვინის მოხმარების გარეგნულ მხარესაც. რაც უთუოდ სილამაზესა და მომხიბლველობას ანიჭებდა სუფრას. სამწუხაროა, რომ დღესდღეობით ბევრი ქართული ტრადიციული სასმისი მხოლოდ სამუხეუძო ექსპონატად ქცეულა და ქართულ სუფრაზე მათთვის ადგილი ვეღარ მოგვინახავს. ესენია თიხის, რქის, ხის, სპილენძის, ვერცხლისა და ოქროს საწდე სასმისები: ჭინჭილა, თასი, ფიალა, კათხა, კოჩხო, ფეშხუმი, სირჩა, ჩხუტი, სარიოში, ჩარქა, ტარკოში, მოწამე, კულა, მოღკოში, ხიწილი, ყარყარა, ხაკანა, მარანი და სხვ.

ნაირფერი და დახვეწილი სხვადასხვა ფორმის ჭურჭელი თანამეინახეთა თვალს ხიბლავდა და მათში ესთეტიკურ შეგრძნებებს აღძრავდა. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ნატიფი გემოვნებით ნაკეთები სასმისი და მასში მოთავსებული კამკამა ღვინო ფორმისა და შინაარსის ერთგვარი ჰარმონიული შერწყმა იყო.

საქვეყნოდაა აღიარებული ქართული ტრადიციული სუფრის დაუწერელი წესები და კანონები. ღვინის სმისა და მოლხენის, უფროს-უმცროსობისა თუ მაგიდის წვერთა, თანამეინახეთა თანასწორუფლებიანობის დახვეწილი ნიუანსები, ამ უნიკალური მოვლენის გვირგვინი კი სუფრის წინამძღვარი — თამადა გახლავთ. სიტყვა „თამადა“ არ გვხვდება არც სულხან-საბას (XVII-XVIII სს), არც ნიკო ჩუბინაშვილის (XIX საუკუნის 30-იანი წლები) ლექსიკონში. ეს სიტყვა არა აქვს მოხსენიებული დავით ჩუბინაშვილს არცერთ „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“ (1846, 1886 და 1901 წწ.). ამდენად, გასაკებია, რომ „თამადობა“ არ არის აღნიშნული ვლადიმერ დალის „ცოცხალი ველიკორუსული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (1882 წ.).

პირველად სიტყვა „თამადობა“ გვხვდება დავით ჩუბინაშვილის მიერ სანკტ-პეტერბურგში 1887 წელს გამოცემულ „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ამ პერიოდისათვის სიტყვა „თამადა“ არ იყო დამკვიდრებული რუსულ სალიტერატურო ენაში.

„რუსული ენის განმარტებით ლექსიკონში“ სიტყვა თამადა პირველად განმარტეს ბ. ვოლინმა და დ. უშაკოვმა 1940 წელს (ის აღნიშნულია როგორც ქართული ენიდან რუსულ ენაში შესული სიტყვა). ამავე დროს უნდა



აღვნიშნოთ, რომ არაბულ, თურქულსა და სპარსულ ენებში სიტყვა „თამადა“ არ ჩანს.

დავით ჩუბინაშვილი „თამადობას“ განმარტავს, როგორც „თუმაჯობას“, „თუმაჩიანობას“, უფროსობას, ან თავობას, მაგალითად, ღვინის სმამში. ჩვენ არ შეეჩერდებით იმაზე, თუ რა გზით შეიძლება „თუმაჯობა“ „თამადობად“ ქცეულიყო, მაგრამ ხაზს გაეუსვამთ ერთ უდავო ფაქტს: „თამადობა“ ქართულ სამყაროში დაბადებული სიტყვაა და იგი უთარგმნელად არის შესული ჩვენი მეზობელი ხალხების ენებში.

იოსებ კვიციანის ცნობით, სვანეთში მოწინავე მთიბავს „თამათას“ უწოდებდნენ.<sup>12</sup> ნ. ბრეგაძის მონაცემებით რაჭა-ლეჩხუმში მოწინავე, საუკეთესო მემინდვრე მუშას დღის ბოლოს, ვახშამზე, სუფრის წინამძღოლობა და საკლავის თავი ეკუთვნოდა.<sup>13</sup> ცნობილია აგრეთვე ის, რომ რაჭაში პირველ მომკვლს თაბაგარად იხსენიებდნენ. როგორც ვხედავთ, საუკეთესო მუშას ზოგ კუთხეში თაბაგარი, ზოგ კუთხეში კი „თამათა“ ერქვა.

ზემოთ მოტანილი მეტად საინტერესო მონაცემების შემდეგ ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს სიტყვა „თამადის“ ინტერპრეტაციის ეს შესაძლო ვარიანტი. ამ სამი სიტყვის — „თამადის“, „თამათასა“ და „თაბაგარის“ ურთიერთმსგავსი ფუნქციური დატვირთვა, შინაარსობრივი გააზრება დიდი ალბათობით მიგვანიშნებს იმაზე, რომ სიტყვა „თამადა“ „თამათას“ და „თაბაგარის“ იდენტური სიტყვა უნდა იყოს. მეტად საინტერესოა ჩვენს დღევანდელიობაში შემორჩენილი ჩვეულება თამადისათვის შემწვარი გოჭის თავის მირთმევისა, მსგავსად რაჭული ჩვეულებისა.

ყოველივე ზემოთქმული კიდევ ერთხელ გვიძლიერებს იმ აზრს, რომ სიტყვა „თამადა“ ქართულ წიაღშია წარმოშობილი.

\* \* \*

რა სადღეგრძელოები ისმებოდა ტრადიციულად ქართულ სუფრაზე და როგორია დღევანდელი ქართული სუფრის თადარიგი? აკაკი წერეთელი გვიდასტურებს, რომ ქართველ მეფეებს ჰქონდათ ჩვეულება, მშვიდობიანობის ჟამს საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებთან ერთად დიდი ლხინი გადაეხადათ, სადაც ქართველები „ილხენდნენ და გაჰკიოდნენ ერთხმად მრავალჟამიერსა“.<sup>14</sup> პოეტი ასევე გვიდასტურებს იმას, თუ რაოდენ ზნეობრივ-ეთიკური იყო ქართველთა ლხინი: ქართველებმა „მთვრალობა და სადღეგრძელო სათითოო არ იცოდნენ, ჩვენი ლხინი რომ ენახათ, სირცხვილითაც დაიწოდნენ“.

რატომ უნდა დამწვარიყვნენ სირცხვილისაგან ჩვენი წინაპრები „სათითოო სადღეგრძელოს“ მოსმენისას? თავმდაბლური ბუნება ქართველი

<sup>12</sup> გულნარა სტურუა, „ჩვენი სუფრა ქართული“, თბილისი, 2006.

<sup>13</sup> ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 1969.

<sup>14</sup> აკ. წერეთელი, „თორნიკე ერისთავი“.

კაცისა არ მოიაზრებდა ღვაწლისა და დამსახურების განდიდებასა და გაფიქტიშებას. კეთილი და საქვეყნო, საერო საქმენი თავმოდრეკილობითა და სიმდაბლით სრულდებოდა. ამდენად, წარსულში მიუღებელი უნდა ყოფილიყო სუფრასთან ერთმანეთის ქება-დიდება, „თუცა მათში მეტი იყო, საქები და სასახელო“.

როგორც უკვე აღვნიშნავდით, პიროვნული სადღეგრძელოები არ იყო ქართული ისტორიული ტრადიცია. პიროვნული სადღეგრძელოების სუფრაზე წარმოთქმის წესი შედარებით გვიან იღებს სათავეს და საბჭოურ ეპოქაში მკვიდრდება, სუფრის ტრადიციული წესით წარმართვის იგნორირების ფონზე. იყო დრო, როცა ყოველივე ეროვნული, ტრადიციული გამოვლინება სამარცხვინოდ და ჩამორჩენილობად ითვლებოდა.

სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოს ის ფაქტი, რომ ე.წ. „ფუნდამენტური სადღეგრძელოები“, რომლებიც უცვლელად იყო შენარჩუნებული საუკუნეთა მანძილზე, დღესაც შენარჩუნებულია, ესაა ხერხემალი ქართული სუფრისა. ესენია: უფლის სადიდებელი, მშვიდობის, ნეფე-პატარძლის, კათალიკოს-პატრიარქის და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ხელისუფლების (მაგალითად, გურიაში), ადრე კი „მეფე-დედოფლის“ სადღეგრძელო ისმედობა, სამშობლოს, სამშობლოსათვის თავდადებული გმირების, წინაპრების, მეგობრობის, დედამამიშვილების, სიყვარულის, მომავალი თაობის (შვილები, შვილიშვილები, შვილიშვილისშვილები), სანათესაო-სამოყვროსი, რიტუალის მიხეზისა (ქორწინება, დღეობა, ძეობა, რელიგიური დღესასწაული და სხვ.), სუფრის გასრულების წინ ტრადიციულად ისმებოდა და ისმება თამადის სადღეგრძელო, ხოლო სუფრა გასრულდება ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის სადიდებელი სადღეგრძელოთი.

მეტად საინტერესოა გრიგოლ ორბელიანის პოემა „სადღეგრძელო“-ში<sup>15</sup> აღწერილი სადღეგრძელოები, რომლებიც უნდა მივიჩნიოთ იმ სადღეგრძელოთა ნაწილად, რომლებსაც წარმოთქვამდნენ ჩვენი წინაპრები ტრადიციულად. ეს სადღეგრძელოებია: დაღუპული მეომრების, წინაპრების, ხელმწიფის (წარსულში — ქართველ მეფე-დედოფალთა), მამულის, მეგობრობის, სიყვარულისა და მომავალი გამარჯვებისა, — სულ შვიდი სადღეგრძელო. მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს პოემის დასაწყისში მოტანილი სიტყვები: „მძნო, მორიგის საესე ფიალით, ჩვენცა მოუხსნდეთ ცეცხლსა ანთებულს...“ ეს ხომ ნიშნავს იმას, რომ ლხინისას მორიგი ფიალის წინ სხვა სადღეგრძელოებიც წარმოუთქვამთ მეომრებს? არ უნდა დაგვაიწყიდეს, რომ გრიგოლ ორბელიანის მიერ აღწერილი ლხინი მეომართა ლხინია. საქორწინო ლხინს ალბათ ცოტა სხვა ჟღერადობით წარმართავდა პოეტი, აქ წარმოთქმული სადღეგრძელოები ქორწინების, ძეობის, სხვა სარიტუალო სუფრებზეც წარმოითქმებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ზემოაღნიშნულ სადღეგრძელოებს კონკრეტული სუფრის შინაარსის და მიხ-

<sup>15</sup> გრ. ორბელიანი, „სადღეგრძელო, ანუ ომის შემდგომ ღამე ლხინი ერეგნის სიახლოვეს“.

ანდასახულობის შესაფერისი სადღეგრძელოები დაემატებოდა, მაგალითად, ნეფე-დელოფლის, ძეობის, რელიგიური თუ საერო დღესასწაულების მიძღვნილი სადღეგრძელოები, სანათესაო-სამოყვრო-სამეზობლოს სადღეგრძელოები.

ქართული ტრადიციული სუფრის მიმდინარეობა, „ნადიმსა შინა წინამძღვრის“, ანუ თამადის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოების თაღარიგი, აზრითა და გამონატვის ფორმით საღმრთო ლიტურგიის უმთავრესი ასპექტებიდან საზრდოობს და ფორმირდება.

შევვებით რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს საღმრთო ლიტურგიიდან. საღმრთო ლიტურგია ღმრთის სადიდებელი ლოცვებით იწყება, ქართულ სუფრაზეც ხომ პირველი სადღეგრძელო უფლის სადიდებელია. ამ სადღეგრძელოს სუფრაზე მშვიდობის სადღეგრძელო მოჰყვება. გაეხსენოთ კვერექსები — მოკლე ლოცვათა წყება, რომელსაც წირვისას დიაკონი წარმოთქვამს. დიდი და მცირე კვერექსები იწოდება „მშვიდობიან“ კვერექსებად, რადგან თითოეული მათგანი იწყება მოწოდებით: „მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ“. მნიშვნელოვანი მომენტია წირვისას მიცვალებულთა მოხსენიება და ლოცვა მათი სულების ცოდვათა მიტევებისა და ნათელში მყოფობისათვის. გარდაცვლილ ახლობელ ადამიანთა მოგონება ხომ ქართული სუფრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. საღმრთო ლიტურგიისას ასევე მოიხსენებიან და დაილოცებიან ცოცხლები, მრევლის წევრები და მათი ახლობლები, კათალიკოს-პატრიარქი, მიტროპოლიტი, მთავარეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი, ყოველნი სამღვდელონი. ასევე ისმის ქართულ სუფრაზე სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის, დიდი მეუფის ილია II, პატიოსან მღვდელთა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სადღეგრძელო.

„ვიყვარებოდეთ ურთიერთარს, რათა ერთობით აღვიარებდეთ მამასა და ძესა და წმინდასა სულსა, ერთარსებასა და განუყოფელსა“, — ისმის საკურთხევილიდან წმინდა მოწოდება. ქართულ სუფრაზე ხომ დღესაც ისმება სიყვარულის სადღეგრძელო, რაც უძველესი ტრადიციია. გაეხსენოთ გრიგოლ ორბელიანის პოემა „სადღეგრძელოში“ წარმოთქმული სიყვარულის სადღეგრძელო! სიყვარული ხომ თავად ღმერთია და სწორედ ამ ღვთიური სიყვარულით არის გაჟღენთილი თითოეული სადღეგრძელო და, საერთოდ, თავად სუფრა.

კახელი კაცი იტყვის: „მოდი, პური გაუტეხოთო“, რაც ნადიმს, „პურ-ღვინობას“, სერობას, ლხინის ტრაპეზს ნიშნავს. პურის გატეხვის წეს-ჩვეულება ღრმად ქრისტიანული მოვლენაა: „მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი თქვენთვის და მრავალთათვის განტეხილი მისატყვებელად ცოდვათა“, და შემდეგ: „სუთ ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი თქვენთვის და მრავალთათვის დათხეული მისატყვებელად ცოდვათა“, ეუ-

ბნება მაცხოვარი მოციქულებს და ამით სათავეს უდებს ექვართისტიული საიდუმლოს აღსრულებას: ქრისტეს ხორცად და სისხლად გარდაქმნილი პური და ღვინო კაცთათვის სულისა და ხორცის საკურნებლად იქცევა. პურის გატეხვის წესი უფლისადმი თავანისცემისა და სიყვარულის ნიშნად უნდა მივიჩნიოთ. როცა ქართველი კაცი პურის გატეხვით იწყებს ტრაპეზს, ეს იმას მოასწავებს, რომ სუფრა მისთვის წმინდა და ამაღლებული რიტუალია.

ქართველი კაცისათვის სადღერძელო იმ ამაღლებული, წმიდა და წრფელი დამოკიდებულების გამომხატველი იყო მის მიმართ, ვისაც ადღერძელებდნენ ღვინით — ღვთიური სითხით — ღვთიური მადლის მისაღებად. ამის დასტურია ერთ გურულ ხალხურ სიმღერაში გამოთქმული განწყობა: „ჩხავრის ღვინით გადღერძელებ, მადლი შეგეწევა“ („ჩემო ნათლიდედა“).

რა მადლი უნდა იგულისხმებოდეს გურული სიმღერის სიტყვებში? თუ მთლიანობაში გავიაზრებთ სიმღერის ზემოაღნიშნულ სიტყვებს, შევამჩნევთ რამდენიმე საინტერესო ასპექტს, კერძოდ, სტუმარი ნათლიდედას სთხოვს ჩხავერის, როგორც საუკეთესო გურული ვაზის ჯიშის ღვინოს, რომლითაც დალოცავს ნათლიდედას და რომელსაც დღერძელობასთან ერთად მადლიც მიეცემა. რადგან ღვინო ღვთიური სითხეა, იგი ღვთიური მადლითაა აღბეჭდილი, და სწორედ ეს ღვთიური მადლი მიეცემა ნათლიდედას ნათლიის დალოცვითა და დღერძელობით, სადღერძელო ხომ იგივე დალოცვაა.

ქართული სუფრა რომ ქრისტიანული დვრიტითაა ნაქარგი, ამაზე კარგად მეტყველებს უნიკალური წესი: სუფრის დაწყება ღვთის სადიდებელი სიტყვებით და დამთავრება ღვთისმშობლისადმი აღვლენილი ლოცვით. ეს წესი მთელს მევენახეობა-მეღვინეობის მიმდევარ ქრისტიან ერთაგან მხოლოდ ქართველთა შორისაა გავრცელებული.

ქართული სუფრის კიდევ ერთ საინტერესო ნიუანსს უნდა გავუსვათ ხაზი. ცნობილია, რომ ქართველი სადღერძელოს ფეხზე ადგომით სვამს, ამასთანავე, ტრადიციულად ფეხზე დგება ის, ვისაც ადღერძელებენ. ზომ არ მოგვაგონებს ეს მოვლენა მართლმადიდებლურ წესს მლოცველთა ფეხზე დგომისა?

ქართველის კიდევ ერთი ჩვეულების შესახებ: ქართველი კაცი ღვინოს არასოდეს არ შესვამს სადღერძელოს წარმოთქმის, ანუ დალოცვის გარეშე.

სუფრობა, ნადიმი, ღვინი ქართველთათვის მნიშვნელოვანი ყოფით-ზნეობრივი რიტუალი იყო როგორც წარმართულ, ისე ქრისტიანულ ეპოქებში. არა ერთი ლიტურატურული წყაროს მოშველიება შეიძლება იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ იღვინდნენ და ნადიმობდნენ ქართველები ძველად.

#### „ქართლის ცხოვრება“ (ტ. IV):

„ტაბლასა ზედა სჭამდიან და ნადიმობდნენ ... სმიდიან ღვინოსა ...“ (გვ. 24);

„ღვინთა ღვინობა და ჭირთა ჭირობა ...“ (იქვე);

„ნადიმობდნენ მეფეთა თანა და ურთიერთანა....“ (იქვე);

„უძეტესი დიდი იყო დღესასწაული არმაზისა და შემდგომად თავგანისცემისა ჰყვიან ნადიმნი და განცხრომანი დიდითა ჭამითა და ღვინის სმითა.....“ (იქვე);

### **XI-XII საუკუნეების მიჯნა — „ამირან დარუჯანიანი“:**

„...გარდახდა პურობა.....დედოფალმა მოახსენა: თქვენ ყრმანი ხართ და ღმერთმა ათას წელ ცოცხლენ მეფობა თქვენი...“ (გვ. 88);

„... პური ვჭამეთ და ღვინო ვსვით, მერმე აავსო ჭიქა ერთმან, ზე ადგა და ეგრე თქვა: აღიდენ ღმერთმან სეფედავლე იგი დარისპანისძე....“ (გვ. 105);

„.... და ღვინოს სმიდეს მრავალგან და ყველანი სეფედავლეს მზესა ფიცვედეს და ლოცვიდეს...“ (გვ. 105);

„კვლა აასვო ჭიქა და მე მომცა და ეგრე მითხრა: „დალოცე შენცა სეფედავლე დარისპანისძე და მაშინ შესვიო ....“ (გვ. 206).

### **XII საუკუნე — „ვეფხისტყაოსანი“:**

„შეიქმნა სმა და პურობა, მსგავსი მათისა ძალისა, სხვა გახარება ასეთი არს უნახავი თვალისა, ჯამი და ჭიქა-ყველაი, ფეროზისა და ლალისა, არვისი ბრძანა მეფემან, არცა გაშვება მთვრალისა? (476);

„კვლაცა დაჯდა მხიარული, მოიმატა სმა და მღერა, კვლა გაგრძელდა ნადიმობა ბარბითი და ჩანგთა ჟურა“ (482);

„სმა, პურობა, გახარება ქმნეს, ჯალაბი გაადიდეს, ვითარცა ქორწილობა ხამს, ეგეთსა გარდინდიდეს“;

დედოფალი ტარიელისა და ნესტან-დარუჯანის ქორწილზე ასე მიმართავს მექორწილეთ: „ულოცეთა დღეგრძელობა, ესე ღმერთსა შევედრენით“.

\* \* \*

მანც რა მომაჯადოებელი ძალაა ისეთ რიტუალში, რომელსაც ქართული ლხინი ჰქვია? რა არის ქართული ლხინი ტრადიციული გაგებით? უპირველესად, ამაღლებული კატეგორიის უბრწყინვალესი ნიმუში, ამქვეყნიერი ცხოვრების სილამაზის ჭეშმარიტი გამოვლინება უფაქიზესი ჰარმონითა და ექსპრესიით, დინამიურობითა და აღმაფრენით. ცხოვრებისეული სიბრძნითა და სიდინჯით; იმაედროულად, ზღვარდაუდებელი, უსამანო და უჯვებრო პოეტური სულის აღტაცება, სულიერისა და ხორციელის განსპეტაკებული მთლიანობა; უდიდესი ზეციური და მიწიერი სიყვარულისადმი ზიარება; პურისა და ღვინის, როგორც ღმრთისაგან ბოძებული უდიდესი სიკეთის განცდა-გაცნობიერება.

ქართული ლხინი თავისი არსით მაღალზნეობრივი, ფსიქოლოგიური მუხტის მატარებელია, ამავე დროს იგი წარმოადგენს ფიზიკურად და სულიერად ჯანმრთელი ადამიანების თავყრილობას, სადაც თანამეინახენი თავად არიან ლხინის — ამ დიდი სანახაობის, დიდი თავყრილობის



შექმენელი და აქტიური მონაწილენი.

ის, რომ ლხინი, პურობა, ნადიმის რიტუალი ქართველი კაცის ცნობიერი სამყაროს განუყოფელი და განმაპირობებელი რამ იყო დღენიადაც, ამას ცხადად გვიდასტურებს შოთა რუსთაველი ტარიელის სიტყვებით: „შვეიდი, შვექმნი ნადიმი ნიადაგ ლხინსა ჩვეულმან“. ნადიმის შექმნა მოიაზრებს ყოველივეს, რაც კი ნადიმს ქმნის და აყალიბებს, როგორც მრავალსპექტიან შემოქმედებით პროცესს. სტრიქონის პირველი ნაწილი სწორედ მისი შემოქმედებითი ბუნების გამომხატველია. მას ძალუძს შექმნას ნადიმი. თავად შოთა რუსთაველი ხომ „ქმნას“ განიხილავს როგორც შემოქმედებით პროცესს: „რომელმან შექმნა სამყარო“. ამდენად, ნადიმის შექმნაც შემოქმედებითი ქმნადობის შედეგია. სტრიქონის მეორე ნაწილი კი: „ნიადაგ ლხინსა ჩვეულმან“ პირდაპირ მიგვანიშნებს იმას, რომ დღიდან გაჩენისა ქართველი კაცისათვის ლხინი, გახარება მისი ხასიათის განუყოფელი და თანამდევი თვისება იყო.

სულხან-საბა ორბელიანი განგვიმარტავს: „ლხინი — სიხარულით გახარება“. რა სიხარულზეა მინიშნება? რა სიხარულით ვხარობთ ჩვენ ლხინის თანაზიარნი? რას ნიშნავს თავად „სიხარულით გახარება“? ლოგიკური დასკვნით, ლხინი არის იმგვარი თავშეყრა ადამიანებისა, რომლებიც ესწრაფვიან ურთიერთთან შეხვედრას, რაც ანიჭებს მათ სიხარულს, სიხარულს კვლავ ერთმანეთის ხილვისა, მოფერებისა, მოსიყვარულებისა, ყოველდღიური ცხოვრებისეული ჭირ-ბოროტის დროებით დავიწყებისა, ურთიერთის გამხნეებისა, დღეგრძელობა-დალოცვისა.<sup>16</sup>

„ღვინო ახარებს გულსა კაცისასა, საცხებელითა მხიარულ-ყოფად პირი და პური გულსა კაცისასა განამტკიცებს“ (ფს. 103,15).

ამდენად, ღვინო ადამიანთა გუნება-განწყობის ამაღლებას უწყობს ხელს და ერთად ყოფნისა და თავის შექცევის სურვილს უძლიერებს, ამაღლებული განწყობა ლექსისა და სიმღერის წარმოთქმის, მოჭარბებული ენერგია კი მოძრაობის, ანუ ცეკვა-თამაშის სურვილს ბადებს, თანდათანობით ყალიბდება ჩვევა და შემდეგ გარკვეული წესი პურობისა და საფუძველი ეყრება ტრადიციული რიტუალის ჩამოყალიბებას.

აი, როგორ გვიხასიათებს იაკობ მანსვეტაშვილი ქართველი გლეხკაცის ლხინს ილიაობის დღესასწაულზე საგურამომი:<sup>17</sup> „აგერ ცოტა მოშორებით გუგუნებს მძლავრი, ღონიერი, შეწყობილი სიმღერა გლეხებისა. ამათაც კარგად გადაუკრავთ, ყანწები თუმცა არა აქვთ, მაგრამ ჯამებს კი მადიანად აცარიალებენ. მიყვარს ამათი შვება-ლხენა. პატარაობითგანვე ვარ ამას შეჩვეული, სოფელში ბევრჯერ ვყოფილვარ ამის მნახველი. გლეხი თუ ლხინობს, ლხინობს სრულის გულითა და სულითა, თუ მხიარულობს — მთელი მისი არსება ხარობს, თუ თამაშობს, მღერის, ჰგრძნობ,

<sup>16</sup> სულხან-საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა“.

<sup>17</sup> ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, 2006.

რომ ყველა ძარღვი, ყველა ასო სხეულისა უძღერის, უთამაშებს. ამ დროს ის ყველაფერს ივიწყებს, მხოლოდ თავის გრძნობას ემორჩილება, სხვა ფიქრს თავიდან იცილებს, ღვინოსაც ადვილად იტანს. იქნება ეს ჯანის სიღონეს, სიმრთელეს უნდა მიეწეროს? შესაძლებელია, მაგრამ ისიც კი უნდა ითქვას, რომ გლეხს ღვინოში, ქეიფში მოძრაობა უყვარს: მღერის, თამაშობს, ცანგალას ჩამოუვლის, ფერხულს გააბამს, ჭიდაობას გაჰმართავს, და ამასობაში ყველას ადვილად იტანს, საჭმელსაც კარგად ირგებს და სასმელსაც“.

ქართული ხასიათის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებების — სილადის ჩამოყალიბებაში ხომ არ უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ვაზის კულტურას და მასთან უშუალოდ დაკავშირებულ ქართული ღვინის ფენომენს? გულღიაობა და სიხარული ღვინოსთან, სუფრის რიტუალთან დაკავშირებული და მათგან უშუალოდ მომდინარე ზნეობრივ-ესთეტიკური მახასიათებელი თვისებებია. არის თუ არა ლალი ადამიანი, რომელსაც შეუძლია გაიხაროს ღვინისგან მიღებული სიხარულით?

ქართულ ყოფით სამყაროში ღვინი ჩამოყალიბდა, როგორც სულიერ-ზნეობრივი ამაღლების, მოყვასისადმი სიყვარულის, ერთიანობისაკენ სწრაფვის გამოხატულება. ვფიქრობთ, რომ ქართველი კაცის სტუმართმოყვრული ბუნების, მისი ხასიათის ჩამოყალიბებაში ვაზისა და ღვინის კულტურას განმსაზღვრელი როლი ენიჭება.

აი, როგორ გვიხასიათებს წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) ვენახის მნიშვნელობას ქართველი მიწათმოქმედის ყოფა-ცხოვრებისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში: „ვენახი ხომ ერთის დღისა და წლის საქმე არ არის, იგია ნაყოფი დიდის ხნის ჯაფისა და შრომისა, იგია თავნი, ნელნელა მოგროვილი მამა-პაპის ოფლის ღვრისა და თითქმის უტყვი ისტორიაა მთელის ოჯახის ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებისა და ნაშრომ-ნაღვაწისა. აქაური გლეხკაცი შეჰხარის ვენახს ჯერ როგორც თავისთავად ძვირად ღირებულს ქონებას და მერე როგორც მამა-პაპის ნაშრომ-ნაღვაწის სახსოვარს და ნაშთსა. ეს ქონებრივი და ზნეობრივი ღირსება ვენახისა, ერთად შეერთებული, უეჭველია კარგად უნდა ზემოქმედებდეს აქაურ გლეხკაცობის აკარგიანობაზე, მისის ზორცისა და სულის მოძრაობაზე“.<sup>18</sup>

თამამად შეიძლება აღვნიშნოთ, რომ არ გვეულება სხვა უფრო ლაკონიურად, ღრმაზროვნად და ყოვლისმომცველად დახასიათებული სახის-მეტყველება ქართველი მევენახე მიწათმოქმედისა. მაინც როგორია მევენახეობა-მეღვინეობის ზეგავლენა „აქაური გლეხკაცობის აკარგიანობაზე, მისის სულის და ზორცის მოძრაობაზე?“ რა ნიშნით ხასიათდება ქართველი მევენახე-გლეხკაცის „სულისა და ზორცის“ მოძრაობა?

„სულისა და ზორცის მოძრაობის“ უპირველესი ცნობიერი და გამომხატველი ნიშანი არის სტუმართმოყვრული ბუნება ქართველი კაცისა.

<sup>18</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VI, 1956. გვ. 203.

სტუმართმოყვარეობის ადათი ხომ არსობრივად „პურ-ღვინის“, ტრაპეზის გარშემო გვირგვინდება, ტრაპეზი კი წარმოადგენს ღმრთისაგან ბოძებულ მადლის განაწილებას სტუმართა მიმართ და ამ რიტუალით მიღებული ამაღლებული განწყობილების შექმნას, რაც თვით ამ მადლის გამცემს უმრავლებს ღვთიურ მადლს. ვენახი, ღვინო, პური და სტუმარიც ხომ ღმრთისაგან მოვლენილი სიკეთენი და დიდი მადლია. ტრადიციულ ქართულ სუფრას თანდათან შემოეძარცვა ბრწყინვალე შესამოსელი და ერთგვარად გახუნდა, მაგრამ დღეს ქართული სუფრა თანდათანობით აღიდგენს ჩვეულ ქრისტიანულ იერსახეს — შინაარსობრივადაც და ფორმითაც.

ქართველი კაცისათვის ბედელში პური და ქვევრში ღვინო ძირითადი სარჩო-საბადებელი იყო, რაც მისი ღირსებისა და კაცურ-კაცობის ნიშანიც იყო:

„არც არავის ყმა ვყოფილვარ,  
არც არავინ ყმად მყოლია,  
ძველი პური, ძველი ღვინო  
წლით-წლობამდე გამყოლია“.

კარგად გვიხსნის პურ-ღვინიანი კაცის ხასიათს ერთი ხალხური ლექსიც:

„წუწკ კაცზე პურ-ღვინიანი  
ასი გაფრენით მეტია“.

ამ ხალხურ ლექსში ორი მთავარი ასპექტი მოიაზრება: 1. ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ წუწკ ადამიანს არ ახასიათებს ის თვისებები, რაც ნიშნეულია პურ-ღვინიანი ადამიანისათვის — სტუმართმოყვარეობა, ხელგაშლილობა, გულგაშლილობა, მოყვასის სიყვარული, სილაღე, ღვთიურ მადლთან ზიარება. 2. პურ-ღვინიანი კაცი „ასი გაფრენით“ მეტი ყოფილა წუწკ კაცთან შედარებით. „ასი გაფრენით მეტობაში“ ღრმა სიმბოლური მინიშნება უნდა მოიაზრებოდეს: ამგვარი ხატოვანი გამოთქმა მიგვანიშნებს „პურ-ღვინიანი“ კაცის ამაღლებულობაზე, რომელიც ზეცისაკენ, ანუ უფლისკენ მიმსწრაფია. სიტყვა „ასი“ მთქმელს შეუდარებელი უპირატესობის გამოსახატავად აქვს გამოყენებული. ეჭვგარეშეა, რომ „პურ-ღვინიანი“ კაცის ცნება ქრისტიანული ცნობიერების ერთი ნათელი გამოანახივია. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქართულ ყოფით სამყაროში შემორჩენილი საახალწლო დალოცვა: „თქვენი კოდები ყოფილა სავსე წმინდა ფქვილითა, თქვენი ქვევრები ყოფილა სავსე წითელი ღვინითა“.

„პურ-ღვინიანობა“ ადამიანის ფსიქოლოგიური პორტრეტის ერთგვარად განმსაზღვრელი ფენომენი გახლავთ. რას გულისხმობენ, როცა ადამიანზე იტყვიან: „პურ-ღვინიანი“ კაციაო! — იმას, რომ ეს კაცი პურისმჭამელი, ანუ ბევრის მჭამელი და ბევრის მსმელი იყო? — არამც და არამც! — მაშ, რა არის არსებითი ტერმინში „პურ-ღვინიანი“?

„პურ-ღვინო“ ნიშნავს: 1. საჭმელ-სასმელს; 2. ჭირისა და ლხინის სუფრას, პურობას; 3. პურსა და ღვინოს — უზენაესის მიერ ადამიანისადმი

ნაბობებ უმთავრეს საკვებ პროდუქტებს, „ჭამადს სიცოცხლისა“ და „სა-სუმელს სიცოცხლისა“.

როგორია „პურ-ღვინიანი“ ადამიანი? — 1. პურ-ღვინის (პურის ჭამის, ქეიფის) დამფასებელი, მესტუმრე ხალისიანი და მომღვინე; სტუმართ-მოყვარე, ხელგამოღილი და გულგამოღილი ადამიანი. 2. ღვთიური მადლით ცხებული, ღვინის მადლთან ნაზიარები, ზნესრული, სულით მადალი.

როგორც ვხედავთ, „პურ-ღვინო“ ქართულ ყოფიერებასა და ცნობიერე-ბაში ღრმად დამკვიდრებული ტერმინია. მაშ, რატომ ვამბობთ დღეს „პურ-მარილს“ ნაცვლად „პურ-ღვინისა“? როგორც ჩანს, ეს ტერმინი ქართულ სინამდვილეში რუსული სამყაროდან შემოვიდა, რადგან „პურ-მარილი“ პირდაპირი თარგმანია რუსული „Хлеб-соль“-ისა.

წმიდა მამათა განმარტებით, „მარილს“ წმიდა სახარებაში ღრმა სიმ-ბოლური მნიშვნელობა აქვს და უწინარესად გამოძახატველია სულიწმი-დის მადლისა, რომელიც სულთმოფენობის ჟამს გარდამოვიდა წმინდა მოციქულებზე და, ამდენად, ქრისტეს ეკლესია დაფუძნდა. სულთმოფენო-ბამდე იესუ ქრისტე მოციქულებს ეუბნება: „თქვენ ხართ მარილი ქუეყ-ანისაჲ, უკეთუ მარილი იგი განქარდეს, რაფთა-მე დაიმარილოს? არღარა შემძლებელ არნ მერმე, არამედ განგდებად გარე და დათრგუნვად კაცთა მიერ“ (მთ. 5, 13). — უფალს „მარილის“ კონკრეტული მნიშვნელობა აქვს მხედველობაში: იგი მოციქულებს, და უკვე შემდგომ — მღვდელმსახურთ, იმ უზენაეს საეკლესიო მსახურებაზე მიანიშნებს, რომლის მეოხებითაც მრევლი ღვთის სიტყვას ეზიარება, რწმენაში ძლიერდება და ისევე გადაურ-ჩება გახრწნას, წარწყმედას, ვითარცა კეთილად შემარილებული ხორცი.

როგორც ჩანს, პურობის სახელდების რუსულენოვანი (ძველსლავური) „Хлеб-соль“, ანუ „პურ-მარილი“ ორ ქრისტიანულ საეკლესიო-სადღვთის-მეტყველო ხატ-სიმბოლოზე შეჩერდა: „პურზე“, რომელიც ჯვარცმული ქრისტეს ხორცის სიმბოლოა, და „მარილზე“, რომლითაც ეკლესიის მსახურთა ღვთივმონიჭებული მისია გამოიხატება. ასე რომ, რუსული „პურ-მარილი“, მთლიანობაში, ეკლესიის, ანუ ქრისტეს სხეულის შინა-არსის შემცველი სახელია.

პურობის ქართულ ტრადიციულ სახელს — „პურ-ღვინო“ ასევე საგან-გებო საღმრთისმეტყველო დატვირთვა აქვს და გამოძახატველია ქრისტეს ხორცისა და სისხლისა, ანუ ეკლესიის შვიდ საიდუმლოთაგან უმნიშვნე-ლოვანესისა — ზიარების წმიდა საიდუმლოსი. თავად უფალი ბრძანებს: „რომელი ჭამდეს ჳორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა,.. იგი ჩემ თანა დადგრომილ არს... აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოდ“ (ინ. 6; 54, 56). ასე რომ, ქრისტიანი ქართველის ცნობიერებაში სახელი „პურ-ღვინო“ უშუალოდ უკავშირდება ქრისტესმიერი ცხოვნების საიდუმლოს — იმ ჭეშ-მარიტ გზას, რომელსაც საუკუნო სიცოცხლისაკენ მივყავართ.

ექვთიმე თაყაიშვილისეული მოგონება ერთხელ კიდევ გვიდასტურებს,

რომ „პურ-ღვინო“ (და არა „პურ-მარილი“) ქართულ სამყაროში წარმოშობილი ტერმინია. „გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ყოფილი კავშირგაბმულობის სამინისტროს შენობაში (რუსთაველის პროსპექტზე, თ.ღ.) მოთავსებული იყო ე.წ. სასტუმრო — „მუხრანსკის“ ნომრები. ის სასტუმრო ლამაზი იყო, მისი ქვედა სართული ეკავა მაშინ ცნობილ რესტორან — „პურ-ღვინო“-ს, რომელიც ლიხაურელ სანდრო თოიძეს ეკუთვნოდა, იქ უმთავრესად ინტელიგენტები დადიოდნენ, ორ კაცზე მხოლოდ ერთი კვარტი ღვინის მოთხოვნა იყო მიღებული და საქმიანი საუბარი. ვიგინდარა აქ ვერ მოვიდოდა“.

ექვთიმე თაყაიშვილის მოგონება მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. უპირველეს ყოვლისა, რესტორანში ამგვარი ტრადიციის არსებობა მიგვანიშნებს იმჟამინდელი საზოგადოების დახვეწილ ყოფით კულტურაზე, შეგვახსენებს, რომ სუფრა მხოლოდ საქეიფო და თავშესაქცევი საშუალება არ იყო, არამედ განმარტოებული საუბრის საშუალებაც და ადგილიც. აქ ყურადღებას იქცევს ღვინის ნორმირებული მოხმარების წესი. კვარტიანი ბოთლი დაახლოებით 1,200 ლიტრი მოცულობისა იყო და ჰქონდა, დღევანდელი ტერმინი რომ ვიხმაროთ, ძალიან ლამაზი ღვინი. მეტად ნიშნულია ის, რომ ამ რესტორანში ძირითადად ინტელიგენტები დადიოდნენ, ვიგინდარა ვერ გაბედავდა იქ შესვლას. ამასთანავე, მრავლისმეტყველია ის გარემოება, რომ ამგვარი შინაარსისა და დანიშნულების რესტორანს „პურ-ღვინო“ ერქვა, ყოველივე ეს მეტყველებს ტერმინ — „პურ-ღვინის“ ტრადიციულ-სიმბოლურ შინაარსზე, საზოგადოებრივი თავშეყრის ამგვარი ადგილის არსებობა კი იმჟამინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების დახვეწილი ეტიკეტის არსებობას ადასტურებს.

\*\*\*

ქართული სუფრა, სალხინო თუ თალხი, ქართველობასთან ერთად ყოველთვის იარსებებს, რამეთუ ვაზი და ღვინო ჩვენი ყოფიერებისა და ცნობიერების უშრეტი წყაროა. მართალია, დროისა და გარემომცველი სამყაროს ცვალებადობა მეტ-ნაკლებად ახდენს ზეგავლენას ტრადიციულ წეს-ჩვეულებებზე, კერძოდ, ტრადიციული ქართული სუფრის რიტუალზეც, მაგრამ ვერასოდეს მოიშლება ისეთი არსებითი ნიშან-თვისებები, როგორცაა სტუმრობის სიხარული, ერთად მიღება პურ-ღვინის მადლისა; რა მოშლის ქორწილს, ძეობას, დღესასწაულებს — რელიგიურსა თუ საეროს, ადამიანთა თანამდევნი ყოველთვის იქნება ასევე თალხი სუფრა. ასე არის და ასე იქნება, მაგრამ ჩვენ ყოველთვის უნდა გვაფიქრებდეს ის, თუ რამდენად ვინარჩუნებთ ტრადიციულ წეს-ჩვეულებებს სუფრის გაწყობისა და გაძღოლისა, სტუმრის მიღებისა და გასტუმრებისა, ამგვარი დაფიქრების საფუძველი ნამდვილად გვაქვს დღევანდელ ქართველებს.

ასე განსაჯეთ, საოჯახო-სარიტუალო დღესასწაულების აღნიშვნამ



დაქირავებულ დარბაზებში გადაინაცვლა, ეს ეხება როგორც საღვინო, ისე თაღ სუფრებს. შვილიშვილების და შვილების (მოზარდი თაობის) დაბადების დღეებსაც დაქირავებულ გასართობ ცენტრებში მართავენ. რას მოასწავებს ქართველთა ამგვარი ქმედება, როცა სტუმრებს (ნათესავებს, მოყვრებს, მეგობრებს) საკუთარი სახლისა თუ ბინის კარს ვუკეტაეთ და სადღაც უცხო კედლებში ვეპატიჟებით? ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ამგვარ შემთხვევებში გაფერმკრთალებულია სტუმრის მიღების, სტუმრად მისვლის სიხარული. რითი ვასიამოვნებთ ამ შემთხვევაში მოწვეულ სტუმრებს, შეკვეთილი, გამაყრუებელი სიმღერებით, ტაშფანდურით, თუ გვერდით მაგიდასთან შეკრებილი უცხო ხალხის ჟივილ-ხივილითა და ყაყანით? ზღება ისე, რომ ჩვენ ჩვენთვის საპატიო და საყვარელ ადამიანებს მართოდენ საჭმელად და ღვინის დასალევად ვიწვევთ. ამგვარ გარემოში რა ესტეტიკური სიამოვნების მიღებაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, როცა ჩვენი სტუმრები ვერც მღერიან და ვერც გვერდით მჯომს ვერ აკებინებენ ვერაფერს გაუთავებელი კაკაფონიისა და გნიასის გამო. თუკი ტრადიციულ ქართულ სუფრაზე სტუმარი თავად აქტიური მონაწილეა პურობისა — სადღევრძელოს წარმოთქვამს და მას უსმენენ, მღერის, ცეკვავს და გულთანად მოიღვინებს, თანამედროვე სუფრაზე იგი პასიურია, უფუნქციოა, დათრგუნულია და არ ძალუძს ხშიერად გამოხატოს თავისი პოტენციური შესაძლებლობა მჭევრმეტყველებისა, ენაფრთიანობისა, სიმღერა-ცეკვისა თუ იუმორისა.

უკანასკნელ ათწლეულებში წარმოშობილი ტენდენცია ქართული სუფრის ე.წ. „ავტონომიზაციისა“ უკვე წესად ჩამოყალიბდა. მრავალრიცხოვანი სტუმარი ნაწილდება 8-12 კაცთან მაგიდებზე. ამ გზით ყალიბდება „ავტონომიური მაგიდები“. ამასთანავე, მაგიდების შეერთება ერთიან მაგიდად (სურვილის შემთხვევაში) კატეგორიულად იკრძალება. მიმტანთა განმარტებით, ეს უფროსობის განკარგულებით სრულდება.

მეტად დამაფიქრებელია ის, რომ ამ ბოლო ათეულ წლებში თითქმის წაიშალა ზღვარი საღვინო და თაღ სუფრებს შორის. თაღი სუფრა შინაარსით უნდა ასახავდეს იმ განწყობას, რა განწყობაც ამ რიტუალის მონაწილეთა შორის სუფევს (ან უნდა სუფევდეს). ესაა გულისტკივილი და სინანული ამ ცხოვრებიდან უკანასკნელ გზაზე გაცილებული ადამიანის გამო. ადამიანები მოსული არიან იმისათვის, რომ პურ-ღვინით შესანდობარი უთხრან მიცვალებულს, გაიხსენონ მისი ცხოვრების გზა, მისი დამსახურებები, მწუხარებები, მწუხარებები, მიცვალებულს დაულოცონ დანატოვრები. ეს არის არსი თაღი სუფრისა, ანუ ქელებისა.

თაღი სუფრა შესაფერისად მკაცრად რეგლამენტირებული კერძებით უნდა გაიწყოს. რა ზღება დღეს? თაღი სუფრა ისეთი კერძებით არის გაწყობილი, რაც უფრო მეტად საღვინო სუფრას დაამშვენებდა. მიუხედავად იმისა, რომ სუფრა საათსა ან საათნახევარში სანახევროდ ცარი-

ელდება, იგი რამდენიმე საათს მაინც გრძელდება. იწყებენ ანექლოტების, სასაცილო ამბების მოყოლას, იცინიან, ხმაურობენ, რაც არა მარტოდენ იქ მყოფი ჭირისუფლების უპატივცემულობას, არამედ გარდაცვლილი ადამიანის სულის შეწუხებასაც ნიშნავს.

ავიღოთ ღზინის სუფრები — ქორწილი, ძეობა, დღეობა, დღესასწაული. რამდენი სუფრა გინახავთ ისეთი, სადაც ცეკვა-თამაში და სიმღერა არა ყოფილა, ან თუ ყოფილა, ჩვენი ტრადიციული ყოფისათვის უცხო და უჩვეულო. ამგვარი სუფრები ერთგვარად მონოტონური, უშინაარსო და დამღლელია, მით უფრო, თუკი თანამეინახენი შეკვეთილი მუსიკით ირთობენ თავს. როგორ შეიძლება რაფინირებული და ულამაზესი ქართული ცეკვების პატრონი უმარტივეს და ჩვენთვის უჩვეულო მიზერა-მოხვრის ცეკვებს ცეკვავდეს; ანდა რაღა ფასი აქვს იმ ქეთსა და მოლხენას, როცა ერთ „მრავალჟამიერს“ მაინც ვერ შემოსძახებ და ორ-სამკაციანი დამკვრელების დაფა-ზურნით ყურებგამოჭედილი ადგები სუფრიდან. კარგად არის ნათქვამი ერთ მშვენიერ ქართულ სიმღერაში: „პურსა ჭამენ და ღვინოს სმენ, სიმღერას არ იტყვიანო, არ ვიცი ვისა ჰგლოვობენ, არ ვიცი, არ იციანო“. დიახ, ძვირფასო მკითხველო, ქართულ სიმღერას გადაეჩვია და ქართულად მღერა არ ძალუძს ქართველთა ერთ ნაწილს — უცხოური მუსიკის (ხშირად მდაბალი ხარისხის) ჰანგებს ყურმიჩვეულ ქართველებს. საბედნიეროდ, ყოველთვის ასე როდი ხდება, თუმცა ერთი შემთხვევაც რომ იყოს, ისიც უარსაყოფი და გამოსასწორებელია. ქართველთა თაობები ოჯახებში მღეროდნენ, ოჯახებში სწავლობდნენ ხალხურ სიმღერებს, რომლებიც მაღალ სულიერ და ზნეობრივ საწყისებს უღვივებდნენ და უძლიერებდნენ ახალგაზრდებს.

არაერთი უცხოელის სიტყვების ციტირება შეიძლება ქართული სტუმართმოყვარეობის, ქართული ღვინისა და ქართული სუფრის ღირსებების დასადასტურებლად. აი, როგორ გამოხატა თავისი შთაბეჭდილება საფრანგეთის „პერნო-რიკარის“ ჯგუფის მეღვინეობის საერთაშორისო განყოფილების დირექტორმა რობინ დეიმ მე-20 საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში: „საქართველოში ღვინის დამზადების და სტუმარ-მასპინძლობის კულტურა საუცხოოა. ქართველი ხალხი აჩვენებს მაღალ ეთიკურ სტანდარტებს, რაც დაფუძნებულია ძლიერი ქრისტიანული ოჯახის გავლენაზე“.<sup>19</sup>

აი, კიდევ ერთი ბურჯთაგანი ქართული ყოფა-ცხოვრებისა, რაც სათანადოდ შენიშნა და დააფასა უაღრესი ობიექტურობით დამნახველმა და შემფასებელმა უცხოელმა — ქართული ოჯახი!


ქართული ოჯახი განსაკუთრებული, ღრმად გამოსაკვლევი და განსახილველი ფენომენია! შეუძლებელია მისი განხილვა ზოგადად, ზედაპირულად, მაგრამ ვინაიდან ჩვენ ქართულ სუფრას შევქებთ, შეუძლებელია

<sup>19</sup> „ჟურნალი „ვანი და ღვინო“, #1-2, 1996.

არ ვახსენოთ ქართული ოჯახი, რომელიც წარმოადგენს ქვაკუთხედს ქართველი ერის, საქართველოს არსებობისა. რა კარგად შეუმჩნევია ბატონ რობინ დეის — ქართველი ხალხის მაღალი ეთიკური სტანდარტები დაფუძნებულია ძლიერი ქრისტიანული ოჯახის გავლენაზეო. მართლაც — და, ჭეშმარიტებაა! ძლიერი ქართული ქრისტიანული ოჯახი არის სათავე სულიერ-ზნეობრივი სიწმინდისა, სიყვარულისა, კეთილშობილებისა, მამულიშვილობისა, ცოდნისა, დარბაისლობისა, პატიოსნებისა, ყოველივე სიკეთისა!

ნურასოდეს დავიწყებთ, რომ საქართველოს, ქართველი ერის დღეგრძელობა დამყარებულია ძლიერი, ქართულად მოსაუბრე, მრავალხმაზე მომღერალი, ქართული საქმის მკეთებელი ოჯახების სიმრავლეზე. დაე, ქართული სუფრა აწ და მარადის ყოფილიყოს ქართული ოჯახების მაღალზნეობრივი კულტურის სახე, კეთილდღეობისა და ურღვევობის ზეიმი!





ანზორ თოთაძე

## ღეგობრაფიული ვითარება და მრის სულიერი ცხოვრება წერილი მეორე

დიდი ფრანგი მწერალი ვიქტორ ჰიუგო ამბობს: „ხალხის სიდიადე სულაც არ იზომება მისი რაოდენობით“. მართლაც, არიან მცირერიცხოვანი ერები, რომლებმაც კაცობრიობის განვითარების ისტორიაში, გაცილებით მეტი წვლილი შეიტანეს, ვიდრე მათზე ბევრად მრავალრიცხოვანმა ერებმა. ქართველი ხალხი ოდითგანვე ზრუნავდა ზნეობრივი და მორალური პრინციპების დამკვიდრებისათვის, განათლებული ახალგაზრდობის აღზრდისათვის, ეროვნული გრძნობის ამაღლებისათვის. ძველი ქართველი მწერლები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ადამიანის ზნეობრივად აღზრდას, რადგან მათ შესანიშნავად იცოდნენ, რომ „ზნეობრივი ცხოვრება უმაღლეს ბედნიერებას წარმოადგენდა“<sup>1</sup> არა მარტო პიროვნების, არამედ ქვეყნისთვისაც.

ქართლის კათოლიკოსი სამოელი, რომელიც მოღვაწეობდა 780-790-იან წლებში, იოვანე საბანისძეს უგზავნის წერილს, სადაც უკვეთავს და სთხოვს მას, აღწეროს ქრისტიანობისათვის წამებული არაბი ჰაბოს ცხოვრება. იოვანემ დაუღება შესანიშნავად შეასრულა და ნაწარმოებში იმდროინდელი ქართველი მკითხველის ყურადღება აბოს წამების მნიშვნელობაზე გაამახვილა — „უცხო უცხოთა სჯულითა მოვიდა და ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა შეემეცნა“.

იმ დროს ქართლი არაბების უღელქვეშ გმინავდა და ქართველები გადაგვარების გზაზე იდგნენ. იოვანემ განგამის ზარი შემოკრა და ხმა-მაღლა განაცხადა: „აღვერიენით ერსა უცხოსა... სარწმუნოებისა ჩუენისა მაგინებელსა...“ და ამით იგი ქართველობას შერყეული რჯულისა და, შესაბამისად, შერყეული ეროვნული ცნობიერების განმტკიცებისა და ამაღლებისაკენ მოუწოდებდა: თუკი მაჰმადიანმა აბომ, რომელსაც ქართველებთან სარწმუნოებრივი და ეროვნული არაფერი აკავშირებდა, თავიცი კი გაწირა ქრისტიანული სარწმუნოებისათვის, მით უმეტეს ქართველი ვალდებული იყო, დაეცვა თავისი სარწმუნოება და ეროვნება.

<sup>1</sup> Кампанелла, Город солнца, М., 1954, с. 144.

ეროვნული გადაგვარების ამ უძნელეს პერიოდში ქართლში, როგორც აღვნიშნეთ, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ხელაღწეონ სარწმუნოებრივ-ეროვნული გრძობის შერყევის დიდ საშიშროებას და მას სამართლიანად დაუბრისპირეს „ძალად სიტყვისაჲ“. ქართლის კათოლიკოსი სამოელი სწორად აფასებს აბოს მარტვილობის დაწერის მნიშვნელობას მომავალი თაობებისათვისაც: მნებაჲს დაიწეროსო აბოს წამება და იგი დაიდვას „ეკლესიასა შინა მოსახსენებლად ყოველთა, ვინ იყვნენ შემდგომად ჩვენსა“. ავტორი კი მიმართავს მაშინდელ მკითხველს, გულისყურით წაიკითხონ მისი ნაწარმოები: „საცნობელნი ეგე ყურნი გულისა და გონებისა თქვენისანი განჰპარტენით სმენად და მასჰინძელ ექმნენით სიტყვათა ამათ ჩემთა“. დიახ, იოვანე საბანისძე თხოვნით მიმართავს თავის თანამედროვე ქართველ მკითხველს (მისი შემოქმედების მასპინძელს), რათა მისი სიტყვა ყველამ მოისმინოს და „არა ცუდად დაშვრეს“.

ძველი ქართველი მოღვაწეები ასეთი ნაწარმოებების შექმნას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სულიერი ცხოვრების სრულყოფისა და განვითარებისათვის.

ნათქვამის დასამოწმებლად მაგალითების მოყვანა ჩვენი ჰაგიოგრაფიული და საერო მწერლობიდან მრავლად შეიძლება. ნაცნობი თუ უცნობი ავტორები ქმნიდნენ მოწამეთა ცხოვრების ამსახველ სრულყოფილ სურათებს, სადაც მათი ცხოვრების თუ ცალკეული დეტალების გადმოცემა ერთიანი ეროვნული ორგანიზმის დაცვასა და სრულყოფას, ქართველებისათვის დამახასიათებელი ცნობიერების გამყარებასა და ამ ცნობიერების მოშლის მსურველთა წინააღმდეგ თავდადებულ ბრძოლას ემსახურებოდა.

ქართული სულიერების დაცვის პრობლემა მარტო ქართული მწერლობისათვის როდი იყო დამახასიათებელი. ქართველი ერის კულტურულ მემკვიდრეობაში ქართული ხელოვნების ძეგლებსაც დიდი ადგილი უკავია. ამ ძეგლებში ქართული სულისკვეთება, ქართული სულიერი სამყაროა გაცხადებული, მათში ნათლად ჩანს ქართული ხელოვნების დამოუკიდებელი სახე. მტერი ამ კულტურულ მემკვიდრეობასაც ანადგურებდა, ცდილობდა მის შერყევასა და საბოლოო მიზნის მიღწევას — ქართველთა სულიერ გადაგვარებას. მაგრამ ქართველი კაცი ქვეყნისთვის უმძიმეს პერიოდებშიც სულით დაცემის გზაზე არასოდეს დამდგარა — იგი შრომობდა, ალაღგენდა დანგრეულს, ქმნიდა ახალს, რადგან ეროვნული საქმის კეთება მისი შინაგანი მოთხოვნილება იყო; და იგი ამისათვის არავითარ დიდებასა და სახელს არ ეძებდა. ამიტომაც, რომ სხვადასხვა ეპოქის ხუროთმოძღვრების, მხატვრობისა და ოქრომჭედლობის შესანიშნავ ძეგლებზე ავტორის სახელი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში გვხვდება. ეს, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ძველ ქართველ ოსტატებს არ ესმოდათ თავიანთი შრომის საზოგადოებრივი მნიშვნელობა, ან არ ჰქონდათ შეგნებული, რომ ისინი უდიდეს განძს — ეპოქალურ ძეგლებს



ქმნიდნენ. მათ ზედმიწევნით კარგად იცოდნენ, თუ რა შემოქმედებითი ძალის პატრონები იყვნენ, მაგრამ უპირველესად ის იცოდნენ, რომ „მშრომელი წარვალს და ნაშრომი ჰგეის“. მთავარი მათთვის მაინც ერთ ძველ ქართულ ხელნაწერზე გაცხადებული მრწამსი იყო: „მშრომელთა ხელი მიწდების და ნაშრომი განძად დაშობის“. ასე ესმოდათ მათ ქვეყნის სიყვარული და სამსახური. შუა საუკუნეებში, მოსახლეობის პერმანენტული შემცირების პირობებში, საქართველო სულიერ განადგურებას და, მაშასადამე, ქართველი ხალხიც გაქრობას სწორად ამ შეგნების გამო გადაურჩა.

თუ ისევ ქართულ მწერლობას დაუბრუნდებით, საერო მწერლობაშიც პრიორიტეტულ ხაზად სულიერების დაცვა რჩება. ყველა ქართული წერილობითი წყარო, როგორც საისტორიო, ისე მხატვრული მწერლობისა, სართოდ სულიერების და კერძოდ, ეროვნული სულიერების ამადლების საგნადაა გადაქცეული. მტერს ყურადღების მიღმა არ რჩებოდა ქართველი ხალხის გათათრების ყოველი ცდა, რათა ქართველებს დაენახათ მოსალოდნელი დიდი საფრთხე და სათანადო ღონისძიებებიც დაესახათ ამ გამანადგურებელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

XVII ს-ში ირანის შაჰის ხელთდასხმით ჯერ ქართლის (1633-58), ხოლო შემდეგ ქართლ-კახეთის (1648-56) მეფე ხდება გამაჰმადიანებული როსტომი. მიუხედავად იმისა, რომ იგი ეწეოდა მშენებლობას, ზრუნავდა ქალაქებისა და ვაჭრობის განვითარებაზე და ამ მხრივ მთელი რიგი რეფორმებიც გაატარა, ქართველი მემკვიდრე — ბერი ეგნატაშვილი როსტომს ვერ პატიობს მაღალ ფეოდალურ არისტოკრატიაში მაჰმადიანობისა და ყიზილბაშური წეს-ჩვეულებების გავრცელებისადმი ხელშეწყობას, რაც საბოლოოდ მთელი მოსახლეობის გათათრებასაც გულისხმობდა. ქართველი მემკვიდრე ალნიშნავს: „მას ჟამსა იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება და ყოველივე შეიყუარეს ანგარება და სიმდიდრის-მოყუარება, ჯამაგირი და სოფლის მიცემა ყაენისაგან, და განმრავლდა ტანთცმა ყიზილბაშურად... მიიქცნენ სრულიად წესსა ზედა ყიზილბაშისასა, და განმრავლდა სახლსა შინა მისსა სიძვა და არა-წმინდება, ცოდვა იგი სოლომ-გომორული და მეძაობა და დედათა თანა აღრევა... (მათ) რომელნიცა იყვნენ ქართველნი, მოყუარენი წესისა მათისა, მეძაენი და ბილწების მოქმედნი, დიდად პატივსცემდა მეფე როსტომ და ჰკითხევდა და უსმენდა მათსა, და, რომელნიცა იყვნენ სიმართლის-მოქმედნი და წრფელნი გულითა და ცოდვის მორიდალნი, მათ არას პატივსცემდა და ცუდს კაცს ეძახდენ და შეუძლებელსა... ამასა ჟამსა შინა არა იყო ზრუნვა სულიერ ერისკაცთა შორის, არამედ იყვნენ ფუფუნეულ და ხორცთ-მოყუარე... უმღერდენ ურთიერთას სიძვა-მრუშებასა და მეძაობასა... არღარა ეძიებდენ სულიერსა საქმესა, არამედ ხორცთათვის ზრუნვიდენ ყოველნივე“<sup>2</sup>.

საკმაოდ დიდი დრო, თითქმის ოთხი საუკუნე გავიდა ამ ამბიდან, მა-

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 424-425.

გრამ, სამწუხაროდ, ამჟამად სულიერი ცხოვრების სფეროში გაცილებით უარესი მდგომარეობაა, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

დემოკრატიულ მოვლენებსა და პროცესებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ერის სულიერი ცხოვრება. სადაც სულიერი ცხოვრება კნინდება, იქ აუცილებლად იწყება ოჯახის ინსტიტუტის კრიზისი, შობადობის შემცირება, უაღრესად ფერხდება ბავშვის აღზრდა ეროვნული სულისკვეთებით. თუ ეს პროცესი გრძელდება, და ჩვენთან საუბედუროდ ასეც ხდება, ის „ზნეობრივი ამბოხიც“ თანდათანობით წყნარდება, რომელიც თან მოჰქონდა მამხილებელ სინდისს. ერთმა ჩვენმა ბედოვლათმა თანამემამულემ ისიც კი განაცხადა, რომ ყველაფერი შეიძლება გაიყიდოს სინდისის გარდა, მაგრამ, სამწუხაროდ, სინდისიც ორ შაურად იყიდება მისი და მის თანამეინახეთა თამალობით.

ეროვნული სიმდიდრის განიავებამ, ყვითელმა პრესამ და საშინელმა, უაღრესად დაბალი ხარისხის სატელევიზიო გადაცემებმა, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გატარებულმა ანტიეროვნულმა რეფორმებმა და, რაც მთავარია, ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების განვითარების უგულვებელყოფამ, რასაც თან მოჰყვა მოსახლეობის მასობრივი გადატაცება, პასუხისმგებლობისა და მოვალეობების გარეშე თავისუფალი, დამოუკიდებელი ცხოვრების აღვირახსნილმა აგიტაციამ, სინდისი ყუაზე დაიყვანა. მოხდა ისე, როგორც ეს რუსი მწერლის ნ. შჩედრინის ერთ-ერთ ზღაპარშია აღნიშნული: „დაიკარგა სინდისი... ვერავინ მიძხვდარიყო, რომ უეცრად რაღაც დააკლდათ და რომ ცხოვრების საერთო ორკესტრში რომელიღაც საკრავი ჩაჩუმდა. უფრო გაადვილდა ადამიანის მოძრაობა; უფრო მარჯვე გახდა მოყვასისათვის სარმის გამოღება, უფრო მოხერხებული პირმოთნეობა, ქვემძრომობა, მოტყუება, ენატანიობა და ცილისწამება. ყოველი სნეულება, თითქოს, ანაზღვეულად გაუქარვდათ; ადამიანები კი არ მიდიოდნენ, არამედ მიჰქროდნენ; არც არაფერი აწუხებდათ და არც არაფერი აფიქრებდათ; აწმყოც და მომავალიც — ყველაფერი, ასე ეგონათ, თავისთავად უვარდებოდათ ხელში — ბედნიერებს, რომელთაც ვერ შეამჩნიეს სინდისის დაკარგვა“.<sup>3</sup>

სინდისის დაკარგვამ კი სამართალი დაჩაგრა, თანაც ისე ძლიერად, რომ დღე და ღამე ველარ გაგვირჩევია. ფულმა დაიწყო სამართლის ჭრა, ძალამ, — მისი გამრუდება. კანონი ჩექმებით გადათელეს. როგორც ქართული სიბრძნე გვეუბნება: ძალა მოვიდა და სამართალი ბანში ავიდა. ამ მდგომარეობას მიესადაგება შჩედრინის კიდევ ერთი ზღაპარი: იყო ერთ სახელმწიფოში პროკურორი, რომელსაც ორი თვალი ჰქონდა: ერთი — მძინარი და მეორე — მღვიძარი. მძინარე თვალი სრულად ვერას ხედავდა, ხოლო მღვიძარი თვალთ ხედავდა ფუჭ, უმნიშვნელო რამეს. ამ სახელმწიფოში, როდესაც ასეთი ბავშვი დაიბადებოდა, მაშინვე მოსახლეობის

<sup>3</sup> ნ. შჩედრინი (გ. ე. სალტიკოვი), ზღაპრები, თბ., 1950, გვ. 10.

სიაში ჩაწერდნენ: ამა და ამ მოსახლეს ეყოლა ბიჭუნა, სახელად პროკურორი. ბიჭუნა მიაღწევდა თუ არა სრულწლოვანებას, ასე ვთქვათ, მიწას ჯერ კიდევ არ იყო აცილებული, მაშინვე მოახსენებდნენ: მობრძანდითო, და პროკურორად ნიშნავდნენ, თან პირდებოდნენ — მალე სენატორადაც აგირჩევთო. და ეს ახალგაზრდა კაციც, უფროსებისთვის რომ ეამებინა, მღვიძარი თვალით ვერაფერს ამჩნევდა, სამაგიეროდ მასზე ასაკით უფროს და მართლის მთქმელ ადამიანებს არიგებდა.

ამ მხრივ საინტერესო პარალელის გავლება შეიძლება XI ს-ის ცნობილი ქრისტიანი მოღვაწის გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრების“ ერთ ფაქტთან, რომელიც მისმა მოწაფემ გიორგი მცირემ აღწერა: გიორგი მთაწმინდელმა დიდი ცრემლითა და განცდით, შიშითა და მოწიწებით მიიღო მღვდლობის ხარისხი, მაშინ როდესაც ასაკით ახალგაზრდები მღვდლად გახდომას ისე ესწრაფიან, თითქოს უბრალო საქმე იყოს, და სანამ წვერი ამოუვიდოდეთ, მოხუცებულთა მოძღვრობას კისრულობენო — „პირველ წუერთა გამოსვლისა მოხუცებულთა უმოძღურიან“. ამ მხრივ ფრიალ საყურადღებოა ქართულ აპოფთეგმურ ლიტერატურაში დაცული ერთი ფრიად ბრძნული გამონაქთვაში „სარგებლად სულისა“: „ვაი, შენდა ქვეყანაო, რომლისა მეფე შენი ჭაბუკ არს“. ესეც ქართველი კაცის გენიის ნაყოფია: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნელლად“. უსამართლობის ქმნა კი ანგრევს ქვეყანას ეკონომიკურად, სულიერად, ზნეობრივად. ეს მით უფრო საშიშია ახლა, როდესაც მაღალ ემელონებში მთლიანად მოღუნებულია ეროვნული სიმდიდრის დაცვის გრძნობა და არც უცხო ქვეყნები იშურებენ ძალას და ენერგიას ჩვენი ეროვნული სიმდიდრისა და სულიერი ოკუპაციისათვის.

ჩვენი დღევანდელი ყოფისა და უძიმესი სიტუაციის დასახასიათებლად აკაკი წერეთლის ნათქვამსაც მოვიყვანო: „პლუტუცები და ტუტუცები იძენენ, მდიდრდებიან და არიან განცხრომაში: მათი მრავალეტაჟიანი სახლები ასე ეუბნებიან გამვლელ-გამომვლელებს: ვერა გეხედავთ, როგორ აგვამალლა ამან-და-ამანო? და მერე როდის და რა გვართო? მაშინ, როდესაც არც-რა სამკვიდრო ჰქონიათ, არც-რა ვაჭრობით შეუძენიათ, არც ლატარიაში მოუგიათ! მხოლოდ ჯამაგირზედ ჰყოფილან. ორასი თუძანი აუღიათ წელიწადში, ათასი უხარჯავთ და ათიათასობით მაინც კიდევ დარჩენიათო! აი ჭკუა, სწავლა და ნიჭიო? — „მართალია, მართალია!“ ბღავის საზოგადოება და „სალამი პლუტუცებს, პატივისცემა ტუტუცებს!“

ალბათ, მკითხველი ადვილად დაინახავს მსგავსებას დღევანდელ ყოფისა და საუკუნის წინათ არსებულ ვითარებას შორის. რა შეიცვალა? იმის დასტურად, არაფერი რომ არ შეცვლილა, კიდევ ერთი ამონაწერი გვინდა მივაწოდოთ მკითხველს აკაკი წერეთლის პუბლიკაციიდან:

„— ეს ახალგაზრდა ვაჟები ვინ არიან, სამპირად რომ მიდიან სადღაც?

— ჩვენი ქართველები არიან, უცხო ქვეყნებიდან დაბრუნებულები.

- რა მოხელობაში არიან?
- ბიჯით გზებსა ზომავენ!..
- რათ უნდათ, რომ გამოზომონ და შეიტყონ რიცხვი?
- კუჭის მოსარჩენათ: რამდენი უქმი ლუკმა გადაუყლაპავსო, იმდენი ათი ბიჯი უნდა გადადგან, რომ არ დასნეულდნენ.
- მაშ, როგორც ჩანს, დაჯდომას ვეღარ ეღირსებიან“.<sup>4</sup>

ზემოთაც აღვნიშნე და ახლა ისევ გავიმეორებ, რომ ასეთი ახალგაზრდები გვარიგებენ ჭკუას, თანაც კატეგორიული ტონით. რაც ამ ხელისუფლებისა და ქვეყნის ტრაგედიაა. იმის მაგივრად, რომ წარსულ გამოცდილებასა და, წინაპრების ცოდნას დაეყრდნონ და განავითარონ, ჯიუტად ნერგავენ აზრს იმის შესახებ, რომ ყველაფერი იწყება მათგან. არადა, რა კარგად აქვს ნათქვამი დავით გურამიშვილს: „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს, საცნობლად თავისადაო: ვინ არის, სიღამ მოსულა, სად არის, წაუ სადაო?“<sup>5</sup> მაგრამ ამასაც ვინღა დაეძებს — უფროსი თაობა საერთოდ უგულვებელყოფილია, ბედის ანაბარაა მიტოვებული. უკანმოუხედავად წარსული წარსულს ჩააბარეს. დაივიწყეს დიდი ილიას ნათქვამი, რომ შვილმა უნდა იცოდეს, სად გაჩერდა მამა, რათა იქიდან გააგრძელოს თავისი საქმიანობა. ცდილობენ, დაივიწყებას მისცენ ილიას სიბრძნე. წარსული მკვიდრი საძიარკველია აწმყოში, როგორც აწმყო — მომავლისა. უგულვებელყოფენ იმ ჭეშმარიტებას, რომ წარსულის შეგნების გარეშე, მომავალი არ არსებობს.

დასაქმებული და უსამართლოდ აღზევებული ახალგაზრდა თაობა ყოველმხრივ ცდილობს ნივთიერ და სულიერ საზრდოს მთლიანად მოკლებული უფროსი თაობა დაამანტაჟოს, ამყოფოს იონა ვაკელის პიესის „აპრაკუნე ჭიმჭიმელის“ ერთ-ერთი პერსონაჟის მდგომარეობაში: „როდესაც პატარა ვიყავი დიდების მეშინოდა, ახლა კი პატარების მეშინიაო“. აღარავის უნდა მისი ცოდნა და გამოცდილება, უაზროდ იფლანგება ეროვნული ენერჯია. თითქმის მილიონი პენსიონერი უფუნქციოდაა დარჩენილი. თუ ადრე უფროსი თაობა მატერიალურად შვილებს ეხმარებოდა ოჯახის მოწყობაში, ბავშვების აღზრდაში, ახლა ამ სიამოვნებას მთლიანად მოკლებულია, იმაზე ფიქრში აღამ-ათენებს, თუ რით, როგორ გაიტანოს ზვალინდელი დღე. თავის რჩენა კი ყოველდღიურად ძვირდება. მაგრამ უფრო დიდი უბედურება ის არის, რომ ხმამაღლა ამის თქმისაც ეშინია. ამაზრუნვია იმის ყურება ტელევიზორში, თუ როგორ ურიგებენ მინისტრები და სხვა თანამდებობის პირები მათ კუთვნილ ვაუჩერებს სილატაკში ჩაგარდნილ ოჯახებს, ხოლო წინასწარ შერჩეული ოჯახის წევრები დაზეპირებული სიტყვებით როგორ უხდიან მაღლობას მათ „ამშენებლებს“.

მწარე სიძარბოე ის არის, რომ უფროსი თაობა მოსაშორებელ ტვირ-

<sup>4</sup> ა. წერეთელი, თხზ., ტ. 12, გვ. 11.  
<sup>5</sup> დ. გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1955, გვ. 29.

თად მიაჩნიათ; მალე დატოვებს ცხოვრების ასპარეზს და სანაცვლოდ წამოვა სრულიად ახალი თაობა, ისეთი, როგორსაც ზრდიან, როგორიც აწყოთ — დაცლილი ეროვნული გრძნობისაგან, ადვილად სამართავი, შეზღუდული განათლებით, პურიტ, სექსითა და პირველყოფილი ადამიანების როკვით კმაყოფილი. მოკლედ, უნდათ, აღზარდონ თავიანთ თარგზე გამოჭრილი ახალი ქართველი. ამასთან დაკავშირებით ღირს გაეიხსენოთ ბატონ ოთარ მელვინეთუხუცესის მახვილსიტყვაობა. ბატონი ოთარისათვის უთქვამთ: მთავრობის ამ ახალბედა წევრებს ახალი ქართველის აღზრდა, ჩვენი გადაკეთება უნდათო. ბატონ ოთარს მიუგია: რა გეჭირს მაგ ხელახლა გასაკეთებლების გადასაკეთებელიო.

ამ გამანადგურებელ სენს დღეს გარკვეული ჯგუფები ხელოვნურად ავრცელებენ ყველა ქვეყანაში, რათა დაბეჩაფებული და უვიცი თაობა მორჩილებაში ჰყავდეთ, თავის ჭკუაზე მართონ, რათა გზა გადაუღობონ პროგრესულ აზრებს და არ შეწუხდნენ „ზეპურნი დედანი“. გემოვნება იმდენად დამდაბლდა, რომ ნაცვლად ხელოვნების მართლაც მაღალმხატვრული ქმნილებებით ტკობისა, ცრემლად იღვრებიან მათი საყვარელი მომღერლების მოსმენისას, ათასობით დოლარად ყიდულობენ მათ ნახმარ ტრუსებს, იმ სახლის აგურებს, რომლებშიც მათი კერპები ცხოვრობდნენ. ისინი დროგამოშვებით ხელისუფლების საწინააღმდეგო აქციებშიც იღებენ მონაწილეობას, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ძირითადად გართობის მიზნით: შიშველ-ტიტვლები დარბიან ქუჩებში, უაზროდ ყვირიან და ამას უწოდებენ დემოკრატიულ და თავისუფალ საზოგადოებას.

ახლა ისიც უნდა ვთქვათ, რომ არავინ არის წინააღმდეგი დიდი სახლების შენებისა და სიმდიდრის დაგროვებისა, მაგრამ მთავარია ვიმოქმედოთ ისე, როგორც ეს ანდერძად დიდმა ქართველმა მოაზროვნემ ვაჟა ფშაველამ დაგვიტოვა: „თითქმის დღეს ყველა შეგნებული ქართველი ამას იძახის: უნდა გაემდიდრდეთ, უნდა სიმდიდრე შევიძინოთ, უამისოდ ფონს ვერ გაუალოთ, ხსნა არ არის! ეს ნამდვილია, მოსაწონი, მაგრამ არ იქნება თუ არ ვსთქვი: ვეცადნეთ ფულის შეძენას მხოლოდ ისე კი, რომ ჩვენი ეროვნული იდეალი არ წავწყმიდოთ, სახსარი, ანუ საშუალება მიზნად არ გავიხადოთ და ის აზრი, რომელიც ჩვენმა ერმა უნდა განახორციელოს, მისი წადილი „ჩოთქე“ არ ჩამოვარჩოთ“.<sup>6</sup> შთამომავლობას კი რა მოგვევიდა: ხელში ეროვნული დროშა გვიჭირავს, გერბიც ეროვნული გვაქვს, მართლმადიდებლობის დასამტკიცებლად ყელზე ჯვარიც ჩამოვიკიდეთ, ილია ჭავჭავაძისა და სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა სურათები კაბინეტებში ჩამოვიკიდეთ, მაგრამ ცხადად იგრძნობა, რომ ეს ბევრმა ყასიდად გააკეთა, „ჩვენს მამულიშვილებს კუჭზე ზევით ვერ აუწევიათ“, „სადილობამდე ერთს გაიძახიან და ნასადილვეს კიდევ მეორეს“, „საკუთარი, საპირადო ხაზი და ლარი გაჰყავთ ცხოვრებაში და საქმის მაგიერ ენას ატრიალებენ“

<sup>6</sup> ვაჟა ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად. თბ., გვ.425.



(აკაკი წერეთელი). უამრავი ეროვნული პრობლემა დაგვიგროვდა, მაგრამ პასუხის გამცემი, ვისაც ეს უშუალოდ ევალება, არავინაა. შელამაზებით და ტყუილებით კი იცოცხლე: ღაზათიანად გვებერავენ და გვაბრუებენ, „სირცხვილს კი კუჭით ინელებენ“, რაც უკვე სხვა საქმეა.

ყოველივე ეს უადრესად ამძიმებს ქვეყნის დემოგრაფიულ სურათს, რადგან უფროსი თაობისათვის, ქვეყნის მოსახლეობის მეოთხედი ნაწილისათვის, მორალურმა სიკვდილმა წინ უსწრო ფიზიკურ სიკვდილს. უფროსი თაობა მეტად მტკივნეულად განიცდის იმას, რომ არ მისცეს საშუალება მთლიანად დაეხარჯა თავისი შესაძლებლობები ქვეყნისა და ოჯახის სასარგებლოდ — შუა გზაზე გააჩერეს. ვერ გამოვიყენეთ ასეულ ათასობით ადამიანის ნიჭი, უნარი, შუახანს მიღწეულთა და ხანშიშესულთა გამოცდილება, სიღინჯე, მოკლედ, ის, რასაც ჩვენი წინაპრები „კეთილსა მოხუცებულებასა გონებისასა“ უწოდებდნენ. ძველი ბერძენი მოაზროვნის პითაგორას ასაკობრივი კლასიფიკაციის მიხედვით, 60 წლის ასაკში დგება ადამიანის ძალებისა და შესაძლებლობების აყვავების ხანა. მაგრამ ვინ დააცალა ჩვენს ქვეყანაში ამ ასაკში ადამიანებს აყვავების ხანის ნაყოფი ეხილათ? ძველი რომაელი მოაზროვნე და ორატორი ციცერონიც აღნიშნავდა, რომ მაღალ ასაკში იწყება ნაყოფის შეგროვების ხანა.<sup>7</sup> ცხოვრება ისე წარიმართა, რომ თითქმის მთელ მოსახლეობას, და განსაკუთრებით უფროს თაობას, არსებობისათვის უხდება ბრძოლა, მოკლებულია მთავარს — სულიერ ცხოვრებას — მას ამისათვის აღარ სცალია, არც საშუალება აქვს და წინასწარ განზრახულად ხელსაც უშლიან. მაგრამ რას იზამ, პოლიკარპე კაკაბაძისა არ იყოს, ზოგის ტანი იზრდება და ზოგის კიდევ ჭკუა.

ახლა ისიც უნდა ითქვას, რომ დემოგრაფია არ გულისხმობს მართოდენ მოსახლეობის გამრავლებას. არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორია ქვეყანაში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა, განათლების დონე, ცხოვრების პირობები, როგორ პირობებში უხდება ცხოვრება უფროს თაობას და განსაკუთრებით ხანდაზმულებს. ჩვენმა საზოგადოებამ ცხოვრების მინიმალური პირობები ჯერ კიდევ ვერ შეუქმნა უფროს თაობას, რომელიც ცოტათი მაინც იქნებოდა მიახლოებული კომუნისტების მიერ შექმნილ პირობებთან.

შეიძლება ძველებულად ძალი და ღონე არ მოსდგამდეს, მაგრამ ადამიანს ცხოვრების მიწურულსაც არ ტოვებს ოჯახისა და, რაც მთავარია, სამშობლოს სიყვარულის დიდი გრძნობა. თუცა არც ამას გვპატიობენ, უდიდესი მონდომებით გვინგრევენ ამ სიყვარულს. ქვეყანაში ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომ ყოველი ოჯახის ხვალისდელი დღის ბედი უცნობია. ამას მწვავედ განიცდის ნაომარი და ნაამაგარი თაობა, რომელიც უმოწყალოდ სცემეს თავისი უფლებების დაცვისათვის გამართულ აქციებზე დაღუპულთა ხსოვნის მემორიალთან. მეორე მსოფლიო ომის ცოცხლად შემორ-

<sup>7</sup> Марк Туллий Цицерон, О старости... М., 1999, с. 49.

ჩენილ მეომრებს ეუბნებიან, რომ მათ მიერ გადახდილი ომი სამამულო არ ყოფილა. მართალია, 65 წელი ზეიმობდით ომის დამთავრებას 9 მაისს, მაგრამ ეს თარიღი 8 მაისს უნდა აღნიშნოთ, როგორც ამას დასავლეთის ქვეყნებში აღნიშნავენო. უფრო დიდი ცინიზმი წარმოუდგენელია. უხეში, ტლანქი, უგრძობი ძალა ცდილობს გადაშალოს ქართველთა ცხოვრება და თავზე დაგვანგრიოს ყოველივე ის, რაც ჩვენს ცხოვრებას ალაამაზებს და განსაკუთრებულს ხდის. მაგრამ ავიწყდება სიტლანქის მთესველს, რომ სამართლიანობის ღმრთებრივი კანონის შესაბამისად, სულ მალე, მარად-ისობისათვის უმნიშვნელო დროში, იმავე სიტლანქეს მოიმკის, შეეჯახება და დაიმსხვრევა.

მიმდინარეობს მასობრივი შეტევა ქართულ ეროვნულ ფასეულობებზე, ოჯახზე, სინდისსა და ზნეობაზე. ჩვენი ისტორიის არც ერთ მონაკვეთში არ ვმდგარვართ ეროვნული გადაგვარების ისეთ საშიშ ზღვარზე, როგორზეც ახლა ვიმყოფებით. დღევანდელი ჩვენი ყოფა უფრო როსტომ მეფის პერიოდს ჰგავს, — მაშინაც ასე იყო: არც ჩვენიანი გვზოგავდა და არც უცხო. თუმცა იმ დროს გაცილებით ძნელი იყო ადგილის დედის სიყვარულის გრძნობის ჩაკვლა, ახლა კი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ყველა ოჯახში შეაღწიეს ადამიანის გადაგვარების, ზნეობრივი დაკნინების, ცხოველური ინსტიქტების დანერგვისათვის სპეციალურად შედგენილი პროგრამებით. რომელი ერთი დავასახელოთ. ახლახან, 2012 წლის 23 მარტს მეორე არხმა უჩვენა გადაცემა, რომელშიც ეკლესიის მსახურნიც მონაწილეობდნენ. ისინი შეშფოთებულები იყვნენ ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი უზნეო გადაცემების გამო. მათ უჩვენეს ადრე გადაღებული ფირი, რომელიც ეხებოდა ვინმე ირაკლი დეისაძის, ნორმიდან ამკარად გადახვეული ახალგაზრდის, წიგნის „საიდუმლო სირობის“ პრეზენტაციას, რომელიც შედგა ილიას უნივერსიტეტში, უშუალოდ მისი რექტორის გიგი თევზაძის ხელშეწყობითა და დაინტერესებით. ავტორი, რომელსაც თურმე არაერთხელ უფიქრია მშობლების ჩაძაღვლებაზე, დიდი მონდობით აღწერს დედისადმი ქვენა გრძნობებს. ასეთ ადგილებს კითხულობდა იგი პრეზენტაციაზე და სწორედ ეს მიიჩნიეს რექტორმაც და იქ დამსწრე ახალგაზრდებმაც წიგნის მთავარ ღირსებად. მთელი უბედურება ის არის, რომ წიგნის პრეზენტაცია გაიმართა ილიას უნივერსიტეტში, რომელმაც ძირითადად ქვეყანას პედაგოგები უნდა აღუზარდოს. ასეთი რამ რომ უცხოეთში მომხდარიყო, რექტორს ერთი წუთითაც არ გააჩერებდნენ თავის ადგილზე და როდესაც განათლების მინისტრი შაშკინი ამას არ აკეთებს, ისიც უნდა მოიხსნას დაკავებული თანამდებობიდან. მათ არ უნდა ეპატიოთ ჩვენი სამშობლოს ღირსების ხელყოფა. მაგრამ, ვაი, რომ ასეთია სახელმწიფო პოლიტიკაც.

წიგნის პრეზენტაცია დასრულდა კონცერტით, სადაც ერთ-ერთმა უნიჭო ახალგაზრდა მომღერალმა და სიმღერის ტექსტის ავტორმაც არგაგო-

ნილი სიტყვებით მოიხსენიეს ყველა ქართველისათვის სალოცავი ცხრა ძმა ხერხეულიძის დედა — მის სიმღერას ასეთი ტექსტი „ამშვენებდა“: „ცხრა ძმას დედა ჰყავდა პუტანკა, ცხრაჯერ დააორსულეს“ და ა. შ., თითქოსდა არ კმაროდა თბილისის მშვენების, „ქართველის დედის“ ქანდაკებაზე ახლანდელი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის და მაშინდელი თბილისის მერის ჭიბაბრაშვილის ბოღმით ნათქვამი ბინძური სიტყვები. მთავრობის მიერ მაშინდელმა შეგნებულად წაყრუებამ დღეს ეს შედეგი გამოიღო.

არაერთხელ დაწერილა პრესაში ილიას უნივერსიტეტის რექტორის გიგი თევზაძის მუდმივად არაქართული საქმეების კეთების შესახებ. უშუალოდ მან, თავისუფლების ინსტიტუტთან შეხმატკბილებულმა, დაანგრია ეროვნული ინსტიტუტები, ბოლო მოუღო ბევრ ჩვენს სამეცნიერო დაწესებულებას, რომელთა აღდგენას ათეული წლები დასჭირდება. კერძოდ, ჩვენმა საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ქვეყანაში უძიმესი დემოგრაფიული ვითარებაა. და იმის მაგივრად, რომ ხელი შეეწყო მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში არსებული დემოგრაფიული ინსტიტუტის გაძლიერებისათვის, ინსტიტუტი ფაქტობრივად გააუქმა. იგი, ასე ვთქვათ, შეეკრა დემოგრაფიის ინსტიტუტის შედარებით ახალგაზრდა თანამშრომლებს გ. წულაძესა და სხვებს და დემოგრაფიის ინსტიტუტში საკონკურსო კომისიის წევრებად დაამტკიცეს იმხანად გ. თევზაძის თანამშრომლები გ. ნოდია და ლ. თარხნიშვილი, რომლებსაც დემოგრაფიის ინჩი-ბინჩი არ გაეგებათ. ამით მან მოახერხა დემოგრაფიის დარგში მომუშავე თითქმის ყველა პროფესორის ინსტიტუტიდან გაშვება და ინსტიტუტის საკუთარი კადრებით დაკომპლექტება. იმჟამად აღნიშნული ინსტიტუტში ვმუშაობდი განყოფილების გამგის თანამდებობაზე, მაგრამ ხელახლა ამ თანამდებობის დაკავებაზე უარი მეთქვა და კომისიამ განყოფილების გამგედ დანიშნა დემოგრაფიის მეცნიერებაში სრულიად უცნობი ვინმე ნ. მალღაფერიძე, ვითომდა კლასიკური (?) დემოგრაფიის განვითარების მიზნით, მე კი შემომთავაზეს მეცნიერი თანამშრომლის ადგილის დაკავება, მაგრამ კატეგორიულად დავტოვე საკონკურსო კომისია 37-იანი წლების პოლიტკომისრების მსგავსი კომისიის წევრების გ. ნოდია და ლ. თარხნიშვილის გამო. ცოტა ხანში ასეთი დამსახურებისათვის გ. ნოდია დანიშნა განათლების მინისტრად, ხოლო ლ. თარხნიშვილი — საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ. თუ მკითხველი კადნიერებაში არ ჩამომართმევს, ინსტიტუტიდან წამოსვლის შემდეგ გამოვაქვეყნე რამდენიმე წიგნი, მათ შორის, ნიუ-იორკში (თანავტორობით) და რამდენიმე ნაშრომი უცხოეთის ქვეყნებში.

რუსეთ-საქართველოს 2008 წელს აგვისტოს ომის შემდეგ სასწრაფოდ მოვაშხადე ინგლისურ ენაზე ნაშრომი: „ოსები საქართველოში: მითი და რეალობა“, რომელიც ქართულ და რუსულ ენებზე ახალი გამოცემული მქონდა. ამ ომთან დაკავშირებით მაშინ საქართველოში სხვადასხვა ქვეყნის

უმაღლესი რანგის პირები ჩამოდიოდნენ, იმართებოდა კონფერენციები და მეტად მნიშვნელოვანი იყო, სცოდნოდათ წიგნში განხილული საკითხები: კონფლიქტის ანატომია; ოსების ჩამოსახლება საქართველოში; ცხინვალის ძირძველი მოსახლეობა; როდიდან იხმარება ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“; მართლა შეუერთდა თუ არა „სამხრეთ ოსეთი“ რუსეთს 1774 წელს; გაყალბებული ისტორია; ცალმხრივად დანახული მოვლენები და „დაჩაგრული“ ოსები. აღნიშნული წიგნი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენაზე გამოვეცი მცირე ტირაჟით; ამიტომ ომის დამთავრებიდან დაახლოებით ორ კვირაში პრეზიდენტს მისი ადმინისტრაციის მეშვეობით გაუუზზაუნე წიგნის რამდენიმე ეგზემპლარი და მიემართე წერილობით — თუ საჭიროდ მიიჩნევდნენ, გამოეცათ წიგნის დამატებითი ტირაჟი სტუმრებისათვის საჩუქრად. შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ რამდენი წიგნი გამოვა, იმის შესახებ პრეზიდენტს მოახსენონ, მაგრამ წიგნის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვფიქრობ, მას უნდა სცოდნოდა ამ წიგნის არსებობა, მით უმეტეს, აღნიშნულ პრობლემაზე და ისიც სამ ენაზე მონოგრაფია არ გამოცემულა. ამ დროს მოსკოვში უკვე ოსების მიერ ათეულობით წიგნი იყო გამოცემული, რომლებშიც ქართველებსა და ოსებს შორის არსებული პრობლემები მთლიანად ცალმხრივად, დამახინჯებულად იყო დანახული და გაანალიზებული. ამ წიგნების პრეზენტაციას მოსკოვში ხშირად ახდენდნენ და რუსეთის ტელევიზიის არხებიც გადასცემდნენ.

როდესაც პასუხმა დაიგვიანა (იმ პერიოდში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წიგნების დროზე გამოშვებას — დამატებითი ტირაჟი შეიძლება ერთ დღეშიც დაბეჭდილიყო), პრეზიდენტის ადმინისტრაციას რამდენჯერმე მიემართე, მაგრამ საქმის წარმოების სამსახურის უფროსი მ. კვანტრიშვილი გეპასუხობდა, წერილი განხილვის პროცესშიაო. როდესაც განხილვის პროცესს არ დაადგა საშველი და ქალბატონ მარიკას კიდევ ერთხელ შევახსენე წიგნის მნიშვნელობის შესახებ, მან პირობა მომცა, რომ სამოთხ დღეში პასუხს მივიღებდი. პასუხი, მართლაც, ოთხ დღეში მივიღე, ოღონდ განათლების სამინისტროდან. მაშინ განათლების მინისტრი იყო გია ნოდია, რომელმაც ჩემი კანდიდატურა თავის დროზე „დაბრაკა“ დემოგრაფიის ინსტიტუტში განყოფილების გამგის თანამდებობაზე. იმ პერიოდში გ. ნოდია მივლინებით იმყოფებოდა საზღვარგარეთ, ამიტომ პასუხს ხელს აწერდა მისი პირველი მოადგილე, მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ალექსი ჩიკვაიძე.

პასუხი შემდეგი შინაარსისა იყო: „ბატონო ანზორ, უპირველეს ყოვლისა, მინდა დაგიდასტუროთ ჩემი ღრმა პატივისცემა და გულითადი მადლობა მოგახსენოთ გაწეული შრომისათვის. ვფიქრობთ, რომ თქვენს მიერ გაწეული სამსახური ძალზედ მნიშვნელოვანია საქართველოს უახლესი ისტორიისათვის, და, მართლაც, რომ დიდი მნიშვნელობის მატარებელია ჩვენი ქვეყნისათვის. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს განათლები-

სა და მეცნიერების სამინისტრო არ ეწევა საგამომცემლო საქმიანობას. რეკომენდაციისათვის ჩვენ შეგვიძლია გირჩიოთ სპონსორის მოძიება კერძო სექტორში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სამწუხაროდ, მოკლებულია თქვენთვის დახმარების გაწევის შესაძლებლობას. ვითვალისწინებთ რა წიგნის მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნისათვის, კვლავ გიდასტურებთ ჩემს ღრმა პატივისცემას და გისურვებთ წარმატებას თქვენს პირად საქმიანობაში“.

უპირველეს ყოვლისა, ჩემთვის გაუგებარია რატომ მპასუხობს განათლების სამინისტრო და არა პრეზიდენტის ადმინისტრაცია. ამასთან, ამ შემთხვევაშიც შორს ვდგავარ იმ აზრისაგან, რომ ჩემი ნაშრომი ძალზედ მნიშვნელოვანია საქართველოს უახლესი ისტორიისათვის, მაგრამ თუ განათლების სამინისტროს ეს ასე მიაჩნია და თანაც ჩემი ნაშრომი „დიდი მნიშვნელობის მატარებელია ჩვენი ქვეყნისათვის“, დიდი სირცხვილია პრეზიდენტის ადმინისტრაციამ და განათლების სამინისტრომ 400, მაქსიმუმ 500 ლარი ვერ გამოიხაროს, მართლაც, ეროვნული საქმისათვის.

სანამ ჩვენს გაძვალტყაყებულ ქვეყანაში თითქმის ყოველდღე ეწეობა უფასო, მაგრამ გრანდიოზული კონცერტები, რისთვისაც ათეული მილიონობით ლარი იხარჯება წელიწადში, სანამ დღე არ გაივლის ისე, რომ ტელევიზიით მძიმედ დააუადებელი ბავშვისათვის დახმარება არ ითხოვონ, მაშინ როდესაც ერთი კონცერტის დადგმის ხარჯები მთლიანად მოხსნის პრობლემას წლის მანძილზე, მანამდე ერის სულიერ კრიზისს არაფერი ეშველება.

ჩვენ ინფორმაციული ომი წავაგეთ აფხაზეთთან და ოსებთან. თუ ბოლო პერიოდს არ მივიღებთ მხედველობაში, არსებული პრობლემის მონოგრაფიულად შესწავლაც კი ვერ შევძელით, მაშინ როდესაც აფხაზი და ოსი დილექტანტი მეცნიერები დიდი ხანია სქელტანიან წიგნებს ბეჭდავენ, სადაც წინასწარგანზრახულად საქართველოს ისტორიის დამახინჯების არნახული ფაქტები და ქართული კულტურული მემკვიდრეობის მითვისების ცდები უხვად გვხვდება. ამ მხრივ სამაგალითოა ახლახან აფხაზების მიერ ნალჩიკში ორ სქელტანიან ტომად შესანიშნავად გამოცემული წიგნი „აფხაზეთი“. მიუხედავად ამისა, უამრავ დამახინჯებულ ფაქტთან ერთად, წიგნში გაიპარა მე-20 საუკუნის დასაწყისში ა. დიაჩკოვ-ტარასოვის შემდეგი მოსაზრება: „აფხაზები ყოველთვის როდი ბინადრობდნენ იქ, სადაც ამჟამად ცხოვრობენ. ისინი მოვიდნენ ჩრდილოეთიდან და შეავიწროვეს ქართველი ტომი“.

საკუთარ ხალხს, მის კულტურას, სულიერებას, ქართულ ეროვნულ ღირსებას, როგორც მტერს, ისე ებრძვის სამთავრობო ტელევიზიის არხები, განსაკუთრებით კი — „რუსთავი-2“. ამ ტელევიზიების თანამშრომლები, რომლებიც, ეჭვი არ არის, ნაციონალური მოძრაობის თავკაცებიდან იღებენ ღირექტივებს, თვითონაც უკან არაფერზე იხევენ და „საქართველოს



ფუჭნი ძენი“ კუდის ქიცინს არ იშლიან თავიანთი პატრონების წინაშე. ნაციონალურმა მოძრაობამ, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ხელისუფლებაში მოვიდოდა, მთავარ დასაყრდენ ძალად „რუსთავი-2“ აირჩია. პრეზიდენტმა ჯერ კიდევ იუსტიციის მინისტრად ყოფნის პერიოდში სამინისტროში მოაწყო გამოფენა სახელწოდებით: „ჩვენი მეგობრები გვსტუმრობენ“, სადაც „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტებთან ერთად გადაღებული სურათებით მოფენილი იყო სამინისტროს შენობის კორიდორი. ამჯერად მარჩიელობას ნუ დავიწყებთ, თუ რა ძალებმა ჩაახუტეს ერთმანეთს ნაციონალები და „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტები. ფაქტია: „რუსთავი-2“-ის არხმა ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ითამაშა ნაციონალების მოსვლაში, შემდეგში — გაყალბებული არჩევნების მიჩქმალვაში, უკანონობის დაკანონებაში, მოკლედ, თვალეზში ნაცრის შეყრაში. მას საჭირო მომენტში მხარდაჭერა არც დასავლეთის მხრიდან დაკლებია. უზნეობის ზეიმმა „რუსთავი-2“-ის არხზე აპოგეას მაშინ მიაღწია, როდესაც მან უკვე აშკარად დაიწყო ბრძოლა ეროვნული ფასეულობების წინააღმდეგ, აშკარად დაიწყო ქართული ტრადიციების, კულტურის, ადათების დაცინვა, ქალიშვილობის ინსტიტუტის შეურაცხყოფა. ეკრანი გაივსო მეტად საეჭვო ყოფა-ქცევის გოგობიჭვებით, რომლებმაც თავზე წამოიცივეს საქართველოს ზნეობა. ამიტომ არც არაფერია გასაკვირი იმაში, რომ დღეს მისი ეკრანი განუწყვეტლივ ეთმობა ჰომოსექსუალებს, პედერასტებს, ლესბოსელებსა და პროსტიტუტებს; ამასთან, არენა ეთმობა მხოლოდ და მხოლოდ შერეულ ქორწინებებს, მაგალითად, ქართველი გოგონების დაქორწინებას ზანგებთან, ჩინელებთან, ამერიკელებთან და „იფიცებენ“, რომ შეიძლება ქართველი ქალი ქართველ მამაკაცზეც დაქორწინდეს და შეიძლება ამ თემასაც მიეძღვნას სპეციალური გადაცემა.

რა თქმა უნდა, სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ქორწინება სრულიად დასაშვებია და ამის გამო ტრაგედია არ უნდა შევქმნათ, მაგრამ არც ამ მოვლენის ტელევიზიით გაუთავებლად ჩვენება და ხოტბის შესხმა არ არის მიზანშეწონილი. ეს მით უფრო დასაფიქრებელია, რომ შარშან ქვეყანაში 1347 ქართველი ქალი გათხოვდა უცხოელზე. თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ უცხოეთში სამუშაოდ წასული ქართველი ქალებიც ქორწინდებიან უცხო ეროვნების მამაკაცებზე, ანუ როგორც ახლა უწოდებენ, უცხოელ მოქალაქეებზე, მაშინ გასულ წელს დაქორწინებული ქართველი ქალების თითქმის 10 პროცენტი სხვა ეროვნების მამაკაცზე დაქორწინდა. ასეთ შემთხვევაში გამოიკვეთება მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც აუცილებლად მხედველობაშია მისადები, კერძოდ, ეროვნული კულტურის სპეციფიკურობა, სხვადასხვა მშობლიური ენა, სხვადასხვა ცხოვრების წესი. ბოლოს და ბოლოს ადამიანები აღზრდილნი არიან სხვადასხვა ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში, მათ აქვთ სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობა, სხვადასხვა ნათესაური ურთიერთობები, ეროვნული ლიტერა-

ტურა, ტრადიცია, ქცევები, ადათები, სიმღერები, ცეკვები და იკვებებიან სხვადასხვა კერძებით. ეს განსხვავებები ერთად ცხოვრების პირობებში სხვადასხვა ზომით აუცილებლად იჩენს თავს და ზოგჯერ საკმაოდ მძიმედაც.


მაგალითად, თუ ქართველი ქალი ისეთ ქვეყანაში გათხოვდა, სადაც ჩვეულებრივი მოვლენაა ქორწინება ბიძაშვილებსა და მამიდაშვილ-ბიძამ-ვილებს შორის, ფსიქოლოგიურად მას ამის გადატანა ძალიან გაუჭირდება. ენობრივი ბარიერიც არანაკლებ როლს ასრულებს მეუღლეთა შორის ურთიერთობაში, საერთო ინტერესების პოვნაში. ერთხელ ტელევიზიით აჩვენეს ქართველი ქალისა და ზანგი მამაკაცის ოჯახი. ქმარი დამტერეული ქართულით ძლივს ახერხებდა მეუღლესთან საუბარს. ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ როგორი აზრი აქვთ მათ შეუღლებაზე მშობლებს, ქალმა უპასუხა: მამამ მითხრა, ძალიან შორს გათხოვდი და როგორღა გნახავ ხოლმეო. აქამდისაც დავეციოთ. ინტერესს მოკლებული არ არის ლიტვაში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევისას ეროვნებათშორის ქორწინებაზე დამოკიდებულების შესახებ ანკეტის კითხვაზე გაცემული პასუხი: „შერეული ქორწინება არ არის სასურველი. ისინი საფრთხეს უქმნიან მცირე ერების არსებობას. მისი მეშვეობით დიდი ერები ახდენენ მცირე ერების ასიმილაციას. ისინი იწვევენ ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებებისა და მთელი ერის გაქრობას“.


სახელმწიფო ჯიბის ტელევიზიებს, როგორც მათ ხალხი უწოდებს, შეჯიბრი აქვთ გამართული, თუ პირველად რომელი უჩვენებს ტრანსექსუალ კესარიას თუ ჰეტეროსექსუალ საბას, რომელმაც სიამაყით განაცხადა: შემოქმედი ადამიანი ვარ, თბილისში ცნობილი გეი და ეს არასოდეს დამიძალიაო. ვაჟა-ფშაველას თქმით: „თავისუფლება ამას არ გეიქადაგებს, რომ ყოველი ჩვენი სურვილი, გრძნობა, ყოველი ჩვენი ვნება დაეიკმაყოფილოთ წინდაუხედავად“. ტელევიზიის წყალობით, სიმარტივე იჭერს ცხოვრების სცენას. მასობრივად მიმდინარეობს ფუნდამენტურ ფასეულობათა გაუფასურება. ქართულმა კულტურამ, მეცნიერებამ, ლიტერატურამ, ხელოვნებამ კომუნისტების ბატონობის დასაწყისიდანვე კი განვითარების ძალიან მაღალ საფეხურს მიაღწია, ახლა კი ხდება ყოველივე ამის მიზანმიმართული ნგრევა, დაცემა, დაკნინება, აბუჩად აგდება. ნაციონალებს არ უნდათ მოაზროვნე ქართველი, იმიტომ, რომ, მათი აზრით, ყველაფერი კარგი, ყველაფერი პროგრესული იწყება მათგან; რომ საქართველოში და, კერძოდ, თბილისში ასეთ გრანდიოზულ მშენებლობებს არასოდეს ჰქონია ადგილი, რომ საქართველოს ისტორია და აღმშენებლობა იწყება 2003 წლიდან, მათი ხელისუფლებაში მოსვლის დროიდან. ავიწყდებათ, რომ თბილისის მოსახლეობა შუა საუკუნეებში ძალიან მცირე იყო და 1803 წელსაც კი მისი მოსახლეობა 15 ათასსაც ვერ აღწევდა. სწორედ ამ პერიოდში აშენებული, თუნდაც მარტო ამჟამინდელი ახალგაზრდობის სასახლე და პირველი საჯარო სკოლა გადაფარავდა ახლანდელ მშენებლობებს.

პრეზიდენტის თქმით, მას უყვარს დაღვლარჭნილი შენობები და კიდევაც შენდება ასეთი შენობები, მაგრამ იმას კი აღარ უწევს ანგარიშს, ქართველ ხალხს მოსწონს თუ არა ასეთი დაღვლარჭნილი ნაგებობები.

ვაჟა-ფშაველამ, ამ ჩვენმა გენიოსმა, შესანიშნავად თქვა: „პრეზიდენტობა საქვეყნო საქმეა და საქვეყნო საქმის მმართველად ვინა გინდა არ გამოდგება. იმას ქვეყანა სთხოვს თანხას გონებრივს და ზნეობრივს; თუ ერთი ამათგანი აკლია, მაშინ უნდა თავისთვის იჯდეს საკუთარს კერაზე და არ ეჩხირებოდეს საქვეყნო საქმეში“. თუ ვინ უნდა იჯდეს „საკუთარს კერაზე“, ქართველს ამის დაკონკრეტება ნამდვილად არ სჭირდება.

დღევანდელი უმძიმესი დემოგრაფიული და სულიერი კრიზისიდან გამოსავალი ხელისუფლების სათავეში ბიძინა ივანიშვილის მოსვლაა, რომელიც თხემით ტერფამდე ქართველია და თავის სამშობლოსა და ხალხს ზრუნვას არ აკლებს. მას სრული უფლება აქვს გაიმეოროს ნაპოლეონის შესახებ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათქვამი სიტყვები: „ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი“. თუ ქართველმა ხალხმა ამ იმედს ხელი არ შეუწყო და მის გვერდით არ დადგა, მაშინ ქართველთა ცხოვრების წიგნიც შეიძლება სამუდამოდ დაიხუროს და ქართველის სისხლით მორწყულ მიწაზე სხვა რელიგიური აღმსარებლობის, სხვა კულტურის, სხვა ეროვნული ცნობიერებისა და ცხოვრების წესის მატარებელმა ხალხმა დაიღოს სამუდამო ბინა.





გულზაბათ რცხილაძე

## რელიგიური წარმოდგენების გავლენა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაზე

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ რელიგიური თვალსაზრისით ამერიკის შეერთებული შტატები თავისი დაარსებიდან და კიდევ უფრო ადრეული, კოლონიური პერიოდიდან მოყოლებული, სექტების ქვეყანაა. თუმცა წინამდებარე წერილში, რომელიც 2008 წელს ჩემ მიერ ქართულ ენაზე გამოცემული კრებულის („ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის საფუძვლები ამერიკელი და ევროპელი ავტორების მიხედვით - დასკვნები საქართველოსთვის“, თბილისი, გამომცემლობა „წიგნის სახელოსნო“) გადამუშავებულ მცირე ნაწილს წარმოადგენს, სიღრმისეულად არ იქნება განხილული ამერიკის მოსახლეობის რელიგიური თავისებურებები, არამედ ამ რელიგიური მიმდინარეობებისა და აშშ-ის საგარეო პოლიტიკას შორის არსებული ურთიერთკავშირის ზოგიერთი ასპექტი იქნება წარმოდგენილი. ამერიკელთა რელიგიური წარმოდგენების ირიბი, ხშირად კი პირდაპირი გავლენა მათი სახელმწიფოს პოლიტიკაზე ძალიან დიდია, იმისდა მიუხედავად, რომ აშშ-ის კონსტიტუციით რელიგია და პოლიტიკა ერთმანეთისგან გამიჯნულია.

წინადადება — „ჩვენ ქრისტიანი ვართ“ — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთაგან საჯაროდ უკანასკნელად ჰარი ტრუმენმა წარმოთქვა 1947 წელს.<sup>1</sup> ამის შემდგომ პერიოდში აშშ მოსახლეობაში არაქრისტიანთა წილი საკმაოდ გაიზარდა და სახელმწიფოს მეთაურს მსგავსი ფრაზების გამეორება აღარ შეეფერებოდა. პატრიკ ჯ. ბიუკენანი — პრეზიდენტების ნიქსონისა და რეიგანის მრჩეველი, რუსუბლიკური პარტიის ერთ-ერთი საპრეზიდენტო კანდიდატი 1992-სა და 1996 წლებში — თავის წიგნში „დასავლეთის სიკვდილი“<sup>2</sup> ვერცლად საუბრობს ამერიკის დექრისტიანიზაციაზე. მას მოჰყავს სხვადასხვა ფაქტი: სასამართლოებმა 1948 წლიდან აკრძალეს სკოლებში რელიგიის ნებაყოფლობითი შესწავლა, 1963 წელს ანტიკონსტიტუციურად გამოცხადდა ბიბლიის დამატებითი

<sup>1</sup>Эдуард Лозанский, Этнос и лоббизм в США. О перспективах российского лобби в Америке, Москва, 2004, стр.39.

<sup>2</sup>Patrick J. Buchanan, The Death of the West, რუსული თარგმანი და გამოცემა 2004 წლისა.

გაკვეთილები და სხვ., ხოლო როდესაც 1992 წელს მისისიპის შტატის გუბერნატორმა კირკ ფორდაისმა განაცხადა, რომ „ამერიკა ქრისტიანული ქვეყანაა“, მას მაშინვე მიაკერეს შოენისტის იარლიყი, ვინაიდან გუბერნატორს „პოლიტიკური კორექტულობის“ თვალსაზრისით უნდა ეთქვა — „ამერიკა იუდეურ-ქრისტიანული ქვეყანაა“, — აღნიშნავს ბიუკენანი.

თუმცა ამისდა მიუხედავად, ამერიკის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი რელიგიურია (ძირითადად პროტესტანტიზმის სხვადასხვა ფორმის მიმდევარი) და რელიგიური ელემენტები აშშ-ის მრავალი პრეზიდენტის, მათ შორის ბოლოდროინდელების (რეიგანი, ჯ.ბუში უმცროსი) რიტორიკაშიც უხვად გვხვდება. დღემდე წარმოუდგენელია, რომ აშშ-ის რომელიმე პრეზიდენტმა განაცხადოს, რომ იგი ათეისტია. მორალის თვალსაზრისით, ეს ეხება თვით ისეთ არაკონსერვატულ პრეზიდენტებსაც, როგორებიც არიან ბილ კლინტონი და ბარაკ ობამა — „გეი“-ს ქორწინებებისა და სექსუალური უმცირესობების ერთგვარი „მფარველები“. მით უფრო რელიგიური რიტორიკით ხასიათდება ობამას დღევანდელი კონკურენტი რესპუბლიკური პარტიის რიგებიდან, ე. წ. მორმონთა ძლიერი სექტის წევრი მიტ რომნი. ათეიზმი და აგნოსტიციზმი, განსხვავებით ევროპისაგან, შეერთებულ შტატებში მანცდამანც მოდური არ არის. მეტიც, ადგილი აქვს ათეისტების დისკრიმინაციასაც-კი. ასე მაგალითად, ამერიკის 7 შტატში ათეისტებს აკრძალული აქვთ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა. ამ ნორმას ტეხასის, არკანზასის, მერილენდის, ტენესის, მისისიპის, ჩრდილო და სამხრეთ კაროლინის კონსტიტუციები ითვალისწინებენ ფედერალური კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ, სადაც ნათქვამია (მუხლი 6), რომ დაუშვებელია ადამიანის მიერ თანამდებობის დაკავება დაკავშირებულ იქნას მის რელიგიურ აღმსარებლობასთან (ზემოთ დასახელებული შტატები ფედერალური კონსტიტუციის ამ მუხლს გვერდს უკლიან იმ არგუმენტით, რომ მასში საუბარია რელიგიურ რწმენაზე ანუ სხვადასხვა კონფესიის დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე და არაფერია ნათქვამი ღვთის არსებობის საკითხისადმი ადამიანის დამოკიდებულებაზე, ანუ არადისკრიმინაციის ეს ნორმა არ ვრცელდება ათეისტებზე). ასევე საინტერესოა, რომ აშშ-ის რამდენიმე შტატში მოქმედებს არქაული კანონი, რომლის ძალითაც ჰომოსექსუალური კავშირი დანაშაულად ითვლება არა მხოლოდ საზოგადო ადგილებში, არამედ თვით პრივატულ სივრცეშიც-კი, მაგალითად, სასტუმროს ნომერში.

ასეთი კონსერვატული ფასეულობები აშშ-ის დიდ ნაწილში (განსაკუთრებით ეს ეხება აშშ-ის ე. წ. „ბიბლიურ სარტყელს“ — the Bible Belt — სამხრეთულ პროტესტანტულ შტატებს) დღემდე ბატონობს და მას ანგარიშს უწევენ უმაღლესი რანგის პოლიტიკოსები, თუმცა საქართველოში მივიჩნევთ, რომ აშშ-ის საელჩო სექსუალური უმცირესობების ვითომდა უფლებების დამცველად, სინამდვილეში — აკვიატებული იდეების გამ-



ტარებლად და სპონსორად გვევლინება. საინტერესო ფაქტს ჰქონდა ადგილი ლატვიის დედაქალაქ რიგაში, სულ ახლახანს, მაისის თვეში, როდესაც ე. წ. „გეი-აღლუმს“ მიესალმა აშშ-ის ორი ელჩი (საკუთრივე ლატვიაში აშშ ელჩი და ესტონეთიდან რიგაში სპეციალურად ჩამოსული აშშ ელჩი) და სახელმწიფო მდივნის მოადგილე თომას მელია. ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკა მთლიანად არ ექვემდებარება რელიგიურ წარმოდგენებს ან კიდევ იმას, რომ გარყვნილებამდე დასული თავისუფლების მხარდაჭერა ამერიკული სახელმწიფოს „საექსპორტო პროდუქტია, სპეციალურად უცხოეთისთვის გამიზნული — არადასავლური ცივილიზაციების ქვეყნებში შორს მიმავალი პოლიტიკური გეგმების განსახორციელებლად.

სამაგიეროდ, ამერიკული პროტესტანტიზმის (რომელსაც მთლიანობაში ვერ გავაიგივებთ ქრისტიანობის ცნებასთან, იმდენად შორს არის წასული ამერიკული ე. წ. „ევანგელიზმი“ ქრისტიანობის მთავარი მრწამსისგან. ამის შესახებ საუბარი ნაწილობრივ ქვემოთაც იქნება) გავლენა აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე სექტების მხარდაჭერაში აშკარად გამოიხატება (ესეც „რელიგიური თავისუფლებების“ იდეალით შენიღბულია). ალბათ, საქართველოს ლამის ყველა მოქალაქე შეხვედრია ქუჩაში ანდა თავად მასთან მისულან სახლში ე. წ. „იეჰოვას მოწმეების“ სექტის წარმომადგენლები, ბროშურებით და სააგიტაციო მასალებით ხელში; ასევე ალბათ ბევრს გაუგია „საინტოლოგთა სექტის“ არსებობის და მასთან დაკავშირებული სკანდალების შესახებ (თუნდაც იმიტომ, რომ სექტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მსოფლიოში პოპულარული ამერიკელი მსახიობი ტომ კრუზია). ამ და სხვა მარგინალ სექტებს ერთი შეხედვით აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე დიდი გავლენა არ აქვთ, თუმცა სექტების მოღვაწეობა საზღვარგარეთ საკმაოდ ხშირად სარგებლობს ვაშინგტონის მხარდაჭერით. იეჰოველების „ჩაგვრასთან“ დაკავშირებით აშშ პოლიტიკოსებმა არაერთხელ პროტესტით მიმართეს საქართველოს ხელისუფლებას, ბოლოს კი „ჩაგვრელნი“ ბასილ მკალავიშვილი გისოსებს მიღმა აღმოჩნდა.

აშშ-ის ყოფილი ელჩი რიჩარდ მაილსი საქართველოში მუშაობის დასრულების წინ, 2005 წლის ზაფხულში, ყვარულში დაესწრო ბაპტისტური ეკლესიის გახსნას.<sup>3</sup> ბაპტისტური მიმდინარეობა აშშ-ში უკვე ბევრად დიდი მნიშვნელობისაა, ვიდრე ჩვენ მიერ უკვე ჩამოთვლილი ან სხვა სექტები: ზემოთ ნახსენებ „ევანგელისტურ“ \* ტრადიციაზე დაფუძნებული ბაპტიზმის მიმდევართა შორის არის აშშ-ის რამდენიმე, მსოფლიოში კარგად ცნობილი პრეზიდენტი — აბრაამ ლინკოლნი, ჰარი ტრუმენი, ჯიმი კარტერი და

<sup>3</sup> საქართველოში არსებული რელიგიურ-კონფესიური ვითარების და პოლიტიკასთან ურთიერთდამოკიდებულების შესახებ იხ. გულბათ რცხილაძე: *Religion and Conflict Potential in Georgia, in: Central asia and the Caucasus, Lulea 2005 (1/33)*, როგორც ინგლისურ, ისე რუსულ ენაზე.

\* ინგ. evangelical — ევანგელისტი, евангелист (რედ.).

ბილ კლინტონი. ჯორჯ ბუში-უმცროსიც, რომელიც, მისივე მოგონებების მიხედვით, ცნობილმა ბაპტისტმა მოქადაგებ ბილი გრემმა (Billy Graham) მოაქცია რწმენაზე, ქადაგებით გამოსულა ბაპტისტთა მრევლის შეკრებებზე (მაგალითად, 1999 წელს; თუმცა თავად ბუში, თავისი მეუღლის მსგავსად, ე.წ. მეთოდისტური ეკლესიის წევრია, მოძღვარი გრემი ბაპტისტია, მაგრამ თავს ზეკონფესიურად მოიაზრებს, ამიტომ მისი მიზანი არ ყოფილა ბუშის მოქცევა ბაპტიზმის ფარგლებში). ბაპტისტების პროცენტული წილი აშშ-ის მოსახლეობას შორის შესამჩნევად მაღალია აღმოსავლეთ, სამხრეთ და ცენტრალურ შტატებში. შესაბამისად, ფუნდამენტალისტური „ევანგელიზმიდან“ აღმოცენებული ბაპტიზმი ძალზე სერიოზული ძალაა ამერიკაში პოლიტიკური თვალსაზრისითაც. სერიოზული გავლენით სარგებლობენ მორმონებიც (რომელთა მრწამსი და ცხოვრების წესი კიდევ უფრო დამორებულია ორთოდოქსული ქრისტიანობისაგან, ვიდრე ბაპტიზმი).

ჩემ მიერ უკვე დასახელებულ წიგნში, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის საფუძვლების შესახებ, რომელიც 2008 წელს გამოიცა, წარმოდგენილია ამის დამადასტურებელი ერთი მაგალითი, რომელიც საქართველოს უკავშირდება, კერძოდ, აშშ-ის მაშინ უკვე ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის წერილს (1998 წლის 28 ოქტომბრით დათარიღებული) საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის ე. შვეარდნაძისადმი, რომელშიც იგი რეკომენდაციას უწევდა თავის მეგობრებს, მორმონების სექტის წარმომადგენელ ვინმე იორგენსენებს, მხარდაჭერა აღმოაჩინოდათ საქართველოში თავიანთი საქმიანი და რელიგიური მოღვაწეობის გასაშლელად.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამერიკული სექტები, განსაკუთრებით მორმონები და ბაპტისტები, ფინანსურად ძალზე ძლიერნი არიან. „სამი საუნჯის“ მკითხველს წაკითხული თუ არა, გაგონილი მაინც ექნება მე-20 საუკუნის პირველი მეოთხედის შესანიშნავი ნაშრომი „პროტესტანტური ეთიკისა და კაპიტალისტური სულისკვეთების“ თაობაზე, მაქს ვებერის ავტორობით,<sup>4</sup> სადაც საფუძვლიანადაა გაანალიზებული პროტესტანტული კონფესიებისა და საფინანსო-ეკონომიკური წინსვლის ურთიერთკავშირი.

როგორც ზემოთ წარმოდგენილი რამდენიმე ფაქტითაც ჩანს, ამერიკული რელიგიური მიმდინარეობები და სექტები საქართველოში კარგა ხანია, რაც დაინტერესდნენ. მათ ზურგს უმაგრებს დიდძალი ფინანსები (მაგალითად, მორმონთა ხელშია სასტუმროთა „მერიოტის“ ქსელი) და ასევე აშშ-ის სახელმწიფო მხარდაჭერა. თუმცა, როდესაც აშშ საგარეო პოლიტიკაზე რელიგიური წარმოდგენების გავლენას ვეხებით, პირველ ყოვლისა, ეს გავლენა გამოიხატება ისევ და ისევ ამერიკელების მხრიდან ისრაელის მიმართ დამოკიდებულებით. აშშ-ის აგრესიული დამოკიდებულება რიგი სახელმწიფოების, პირველ ყოვლისა, ირანის ისლამური რესპუბლიკის მიმართ, სწორედ ისრაელის ამ უპირობო და თითქმის მონური მხარდაჭერით არის

<sup>4</sup>Max Weber: Die protestantische Ethik und der Geist des Kapitalismus.

განპირობებული და არა საკუთრივ ამერიკული ინტერესების ობიექტური გააზრებით. ეს აუცილებლად გასათვალისწინებელი მომენტია, რომელიც დიდ ჩაღრმავებას არ საჭიროებს და თავად ამერიკული პროტესტანტიზმის დოგმებიდან ჩანს, ქვემოთ კი ვნახავთ, რომ აღნიშნული დოგმების მიმდევართ დიდი გავლენა აქვთ ამერიკელ პოლიტიკოსებზე.

პროტესტანტებს, განსაკუთრებით კი, ამერიკელ პროტესტანტებს შორის, ბოლო ასწლეულის მანძილზე ფართო გავრცელება ჰპოვა ჩვენ მიერ უკვე ნახსენებმა ე.წ. ევანგელისტურმა ანუ „სახარების მქადაგებელთა“ მიმდინარეობამ. აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში ამ მრწამსის წარმომადგენლების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია საერთაშორისო სიონიზმისათვის ყოველმხრივი მხარდაჭერის აღმოჩენა. ამიტომ ევანგელისტურ მოძრაობას ხანდახან „სიონისტურ ქრისტიანობასაც“ ეძახიან (უფრო მაკმადაინები). გასაკვირი არ არის, რომ პროისრაელური ლობი ამერიკაში ყოველნაირად ხელს უწყობს საზოგადოებაში ამგვარი წარმოდგენების გამყარებას. ე.ლოზანსკის რომ დავესესხოთ: „აღბათ ნებისმიერი, მათ შორის, ეთნიკური ლობის ყველაზე მნიშვნელოვანი მოკავშირე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებია. ამ თვალსაზრისითაც ისრაელის ლობი მაქსიმალური ეფექტით მოქმედებს, მასობრივ ცნობიერებაში ამკვიდრებს რა ისრაელის, როგორც ქრისტიანული დასავლეთის ერთგვარი ფორპოსტის ხატს, რომელიც გზას უღობავს ისლამური აღმოსავლეთის ექსპანსიას“.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ერთად მასობრივი გართობის საშუალებებიც, მაგალითისთვის, ჰოლივუდი, არ უნდა დავივიწყოთ. სიონისტური მოტივები საკმაოდ ღრმად არის გამჯდარი ამერიკული ფილმის ინდუსტრიაში. გავიხსენოთ ფანტასტიკური ჟანრის ფილმი „მატრიცა“, რომელიც მაყურებელს გადარჩენის ოაზისად წარმოუდგენს მიწისქვეშა ქალაქ სიონს. ეს ქალაქი წარმოადგენს სოლომონის ტაძრის სიმბოლოს, რომლის ნანგრევებიც, სიონისტთა მიხედვით, აღ-აქსას მეჩეთის ქვეშაა მოქცეული, ქალაქი იერუსალიმში. ამ სიმბოლურ ტაძარში ფილმის ავტორებმა ძველი იუდაიზმის სხვა სიმბოლოებიც გააცოცხლეს, მათ შორის, სინედრიონის საბჭო. ფილმში მსოფლიოს მომავალი დამოკიდებულია ებრაელი მესიის მოსვლაზე, მაგრამ მესია წარმოდგენილია არა როგორც ღმერთი (ქრისტიანობა) ან ღვთის მოციქული (შიიტური ისლამი), არამედ როგორც კომპიუტერის სპეციალისტი... მსგავსი მაგალითების პოვნა ჰოლივუდის ფილმებში, როდესაც „სამყაროს ხსნა“ ამერიკელს ან ამერიკელ ებრაელს აქვს აღებული ტვირთად, კიდევ მრავლად შეიძლება. შემთხვევითი არ არის, რომ მსგავსი ფილმები „გაპიარებულია“ და უხვად ჯილდოვდებიან „ოსკარებით“, სამაგიეროდ, მელ გიბსონის ფილმის — „ქრისტეს ვნებანი“ — მსგავს ფილმებს სიონისტური ლობის მეცადინეობის შედეგად დიდი წინააღმდეგობები და დაუსაბუთებელი ბრალდებები („ანტისემიტური“ და მისთ. შეფასებები) ხვდებათ ხოლმე. ისევე როგორც,

მირშიემერ-უოლტის გახმაურებულ წიგნს<sup>5</sup> შეხვდა, რომელშიც ავტორებმა, საუნივერსიტეტო პროფესორებმა, დოკუმენტურად და მიუკერძოებლად აღწერეს ისრაელური ლობის ძლიერება შეერთებულ შტატებში; ამის გამო ერთ-ერთმა ავტორმა პროფესორობა დაკარგა და ბევრად უკეთესი ბედი არც მეორეს ხვდა წილად.

მაგრამ სიონიზმისა და ისრაელის უპირობო მხარდაჭერა ევანგელისტების მხრიდან, უპირველეს ყოვლისა, მაინც განპირობებულია არა იმდენად ისრაელის ლობის მოღვაწეობით, რამდენადაც მათივე საკუთარი სარწმუნოებრივი წარმოდგენებით, სადაც ძირითადი ადგილი აპოკალიფსისს, ანუ სამყაროს დასასრულს უკავია.<sup>6</sup> ევანგელისტებს სწამთ, რომ სამყაროს დასასრული მალე დადგება. მათი ზოგიერთი ლიდერი კონკრეტულ თარიღებსაც ასახელებდა. მაგალითად, პეტ რობერტსონი (Pat Robertson) იესო ქრისტეს დაბრუნებას 2007 წლისათვის ვარაუდობდა. თითქოს არაფერი, ასეთი „ექსტრაგანტური“ პიროვნება ამერიკაში ბევრია, მაგრამ პეტ რობერტსონი ცნობილი სატელევიზიო მქადაგებელი, რელიგიურ წრეებში გავლენიანი მოღვაწე და თან მრავალი წლის მანძილზე პრეზიდენტ (2000-2008) ჯორჯ ბუშის მეგობარია. პოლიტიკაზე საუბრები მათ ბუშის პრეზიდენტობის დროსაც ჰქონიათ... ეს სწორედ ის რობერტსონია, რომელმაც 2005 წლის აგვისტოში ტელევიზიით გამოსვლისას ენესუელის პრეზიდენტის ჰუგო ჩავესის მოკვლა მოითხოვა ამერიკული სპეცსამსახურების მიერ: „ჩვენ შეგვიძლია, იგი გამოვითხოვოთ, და მე მგონია, რომ დადგა ის დრო, როდესაც ჩვენ ეს საშუალება უნდა გამოვიყენოთ. მართალია, ამ სკანდალურ განცხადებას შეერთებული შტატების მმართველ წრეებში ფართო დადებითი რეზონანსი არ მოჰყოლია (ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც) და რობერტსონმაც მოგვიანებით მოიბოდიშა, „ფრუსტრირებული“ ვიყავი და ეს იმიტომ ვთქვიო, მაგრამ აღნიშნული მაგალითი აჩვენებს, თუ რაოდენ მიდრეკილები არიან ევანგელისტები ექსტრემიზმისადმი.

2001 წლის სექტემბრის ტერაქტები ამ რელიგიურ ექსტრემისტებს აპოკალიფსის მოახლოების ნიშნად მიაჩნიათ. მათი აზრით, პროტესტანტებმა მსოფლიოს მასშტაბით გარკვეული ქმედებები უნდა განახორციელონ, რათა მეორედ მოსვლის წინაპირობები შეიქმნას. ისინი თავიანთ რელიგიურ მოვალეობად მიიჩნევენ, დააჩქარონ მოვლენები, რომლებსაც

<sup>5</sup> John Mearsheimer/Stephen Walt: *The Israel Lobby and U.S. Foreign Policy*, New York, 2007.

<sup>6</sup> აქ და ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაციები და ანალიზი ეფუძნება გერმანიის ტელევიზიის პირველი არხის - ARD/Das Erste - მიერ 2006 წელს მომზადებულ რეპორტაჟს („Die Road Map führt nach Armageddon“, აქვე აღნიშნავ საინტერესო ფაქტს: დღესდღეობით ინტერნეტიდან წაშლილია გერმანიის ტელევიზიის ამ გადაცემის ჩანაწერი), ასევე გერმანელი ავტორის პეტერ ბიურგერის 2006 წელსვე გამოქვეყნებულ ნაშრომს, დამოუკიდებელ ინტერნეტ-გამოცემაში (Peter Bürger: „Armageddon und der apokalyptische Holocaust“, in: *Telepolis*, 12.08.2006, Link: <http://www.heise.de/tp/r4/artikel/23/23322/1.html>).

შეუძლიათ, ხელი შეუწყონ მაცხოვრის დაბრუნებას. ევანგელისტების აზრით, მსოფლიო ებრაელობამ უნდა განაგრძოს ებრაული სახელმწიფო პალესტინაში, გაანადგუროს ალ-აქსას მეჩეთი იერუსალიმში და გუბბათ-ოლ-სახრის მეჩეთი ბეთ ულ მუკადასში, და ამ მუსლიმანური სიწმინდეების ადგილზე ააგოს დიდი ტაძარი. მათ ასევე სწამთ, რომ იმ დღეს, როდესაც ებრაელები გაანადგურებენ ორ მუსლიმანურ სალოცავს, დაიწყება გრანდიოზული არმაგედონის ბრძოლა. ამ ბრძოლის დროს, მაშინ, როდესაც გამარჯვების სასწორი იესოს მოწინააღმდეგეების მხარეს დაიწყებს გადახრას, იესო დაბრუნდება და სხვა აღმდგარ ქრისტიანებთან ერთად დაამყარებს თავის ხელისუფლებას მსოფლიოში, ცენტრით ბეთ ულ მუკადასში.

ისრაელის უპირობო პოლიტიკური მხარდაჭერის ფესვგამდგარი იდეა ევანგელისტებს შორის უშუალოდ ეფუძნება მათი მხრიდან ბიბლიის, კერძოდ, ახალი აღთქმის „აპოკალიფსის“ წიგნის პრიმიტიულ და დამახინჯებულ ინტერპრეტაციას. „რაც ისრაელის და მისი მეზობლების თავს ზდება ამჟამად, ბიბლიაშია ნაწინასწარმეტყველები“, — ეს სიტყვები 2006 წლის ისრაელ-ლიბანის ომის დროს განაცხადა ე.წ. მეთოდისტური ეკლესიის (რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, თავს მიაკუთვნებს ჯორჯ უოლკერ ბუში) პასტორმა ქალმა მარგარეტ სტრატონმა (Margaret Stratton) გერმანელი ტელეჟურნალისტების წინაშე. სტრატონის ტეხასელი მრევლისათვის, ისევე როგორც მილიონობით ამერიკელისათვის, უკანასკნელი ბრძოლა, უკვე კარგა ხანია, რაც დაიწყო. ამერიკელთა დაახლოებით 1/4, ერთ-ერთი კვლევითი ცენტრის (Pew Research Center) შეფასებით, ევანგელისტებია, რომლებიც ბიბლიის სიტყვა-სიტყვით ინტერპრეტირებას ახდენენ და სწამთ, რომ საბოლოო ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის ისრაელში გაიმართება. უკვე ისრაელის სახელმწიფოს დაარსების ფაქტით, 1948 წელს ევანგელისტების უმეტესობისათვის დაიწყო ბიბლიური წინასწარმეტყველების აღსრულება, რომლის ბოლოც ყველა არაქრისტიანის სიკვდილი და განადგურება, ამავე დროს, იესოს იერუსალიმში დაბრუნება და ათასწლოვანი მშვიდობის დამკვიდრებაა. ისრაელის ჯარების შესვლა სამხრეთ ლიბანში 2006 წელს, ჰისბოლას რაკეტების ჩამოგდება ჩრდილოეთ ისრაელში — ყოველივე ეს მათთვის სანუკვარი დასასრულის დასაწყისს წარმოადგენს.

მაგრამ სანამ ეს დღე არ დამდგარა, ევანგელისტებს ისრაელის სახელმწიფო დღეს არსებულ საზღვრებში სჭირდებათ — ისრაელი, როგორც აპოკალიფსური ბრძოლის ასპარეზი. ეს მოსაზრება შეიცავს იერუსალიმის, როგორც ისრაელის მარადიული და განუყოფელი დედაქალაქის დოგმას. „ისრაელი არის ერთადერთი ერი, რომელიც ღვთისგანაა შექმნილი“, — ამბობს პასტორი ჯონ ჰეჯი (John Hagee), შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანი ევანგელისტი, ტეხასის ქალაქ სან-ან-



ტონიოს კორნერსტოუნის ეკლესიის (Cornerstone Church) ხელმძღვანელი, რომელიც 18 ათას წევრს ითვლის. ევანგელისტი პასტორების წიგნები ამერიკაში, როგორც წესი, დიდი პოპულარობით სარგებლობენ და ბესტ-სელერთა რიცხვში ხვდებიან. ამ კატეგორიას განეკუთვნება ჰეიჯის წიგნიც „Jerusalem Countdown“, სადაც ავტორის მიერ დახატულია სამყაროს აღსასრულის მისეული სცენარი: რუსეთი და მუსლიმური ქვეყნები ერთობლივად შეუტევენ ისრაელს; სხვადასხვა ჩახლართული სიტუაციებისა და ომების შემდეგ, რომელთა ფარგლებში, სხვათა შორის, ევროკავშირი გამოყვანილია, როგორც ამერიკელთა და ბრიტანელთა ჯარების წინააღმდეგ მებრძოლი ანტიქრისტე, იესო ბრუნდება დედამიწაზე და თავის მუდმივ სამეფოს აფუძნებს იერუსალიმში. ცნობილი ეკონომისტი და თეოლოგი, პროფესორი ფრანც ჰინკელამერტი (Franz J. Hinkelammert) მსგავსი ევანგელისტი ავანტიურისტების იდეებთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 1989 წელს წერდა:

„რაც უფრო ცუდად არის საქმე, მით უკეთესია — ეს არის ფუნდამენტური აპოკალიფსური აზროვნება. ჩვენს დღევანდელ მსოფლიოში ფუნდამენტალიზმი აზროვნების უმნიშვნელოვანესი ფორმაა, რომელსაც განადგურების ფაქტიდან დადებითი აზრის გამოტანა შეუძლია. რაც უფრო ცუდადაა საქმე, მით უკეთესია, რადგან ყოველი კატასტროფა წარმოადგენს მომასწავებელ ნიშანს ქრისტეს დაბრუნებისა. ამიტომ ფუნდამენტალიზმი იმავედროულად არის ერთადერთი, ბევრი ადამიანის მამოძრავებელი იდეოლოგია, რომელიც ატომურ ომში პოზიტიურ აზრს ხედავს. ატომური არმაგედონი მის მიერ აღიქმება, მომავლის თვალსაზრისით, იმედის ნიშნად. მაშინ, როცა ყველაფერი განადგურდება, ყველაფერი კარგად იქნება. „ქრისტიანთა აპოკალიფსური ექსტრემისტების არასერიოზულად აღქმა 1979 წელს დაფუძნებული Moral Majority-ის წარმატებების შემდეგ, რომელიც ფუნდამენტალისტური წრეების რუპორის როლს ასრულებს, არ შეიძლება. მისი ისტორიული წინასწარმეტყველება გულისხმობს „ღვთის სამეფოსათვის უკანასკნელ ბრძოლას“ და ამიტომ ავტომატურად საჭიროებს მსოფლიო შეთქმულების არსებობას ხან კომუნისტების, ხან მშვიდობის აქტივისტების, ხან „პერვერსულების“ (განსაკუთრებით ჰომოსექსუალების), ხან ლიბერალი ქრისტიანების, ხან კათოლიკეების, ხან გაეროს, ხან ევროპის და, პირველ ყოვლისა, ხანაც ისლამის მხრიდან“.

როგორც ჟურნალი „შპიგელ“ („Der Spiegel“, 8/2003, შ.98) იუწყება, ფუნდამენტალისტი ევანგელისტებისთვის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ანტიქრისტეს ქმედებების პრიორიტეტული ადგილია, „რადგან ახალი აღთქმის გამოცხადების წიგნში (17,12) წერია, რომ დედამიწის ხელმწიფენი „თავიანთ ძალაუფლებას და ხელისუფლებას მხეცს გადასცემენ“. პაპი, რომელიც ომის მოწინააღმდეგეა, ითვლება „ბაბილონის მეძავად“, რადგან გამოცხადების მიხედვით (17,9) მეძავის ტახტი „შვიდ მთაზე“

დგას; ხოლო რომი სწორედ შვიდ ბორცვზე მდებარეობს. ის, რომ ევროკავშირი თავის არსებობას რომის ხელშეკრულებებს უმაღლის, მთელს ევროპას აქცევს სატანის იარაღად.

ამ, ცოტა არ იყოს, ავადმყოფური იდეების მქონე ევანგელისტი „მხსნელებისათვის“ სამყაროს დასასრულისაკენ მიმავალ გზაზე სტრატეგიის ნაწილია შეუზღუდავი კაპიტალიზმი, მილიტარიზმი (როგორც უკვე აღინიშნა, ატომური იარაღის გამოყენების ჩათვლით) და ამერიკული ბატონობა ანუ სუპერნაციონალიზმი. გლობალური დიალოგი კულტურათა შორის, სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენელთა შეხვედრები, მით უმეტეს, ეკუმენიზმი, ეკლესიათა საბჭო, ასევე საერთაშორისო სამართალზე დაფუძნებული მსოფლიო წესრიგი ევანგელისტთა თვალში სატანის იარაღებია. ფუნდამენტალისტ ევანგელისტთა მიერ ქრისტიანობის, ბიბლიის სულისკვეთების, მისი სოციალური ეთოსის განგებ დამახინჯება აშკარაა (მათ არგუმენტებში ეპიზოდურად ჭეშმარიტების მარცვლის შესაძლო არსებობის მიუხედავად). მათ „ხელშნ ბიბლია გადაქცეულია „მოვინიშმის, შეიარაღებისა და ომის აღჭურვილობის საწყობად, — როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს რელიგიის მკვლევარი მაინრად შერერ-ედმუნდსი (Meinrad Scherer-Edmunds). ძნელია, არ დავეთანხმეთ ამ ფორმულირებას, როდესაც ევანგელისტი სატელევიზიო მქადაგებლები, როგორც, მაგალითად, ჯეიმს რობისონი (James Robison) პირდაპირ ამბობენ, რომ ქრისტეს დაბრუნებამდე მშვიდობის შესახებ სწავლების გავრცელება არასწორი და ადამიანების შეცდომაში შეყვანა იქნებოდა. ევანგელისტები მოელიან ქრისტეს, როგორც მშვიდობისმყოფელს, კერძოდ, მშვიდობისმყოფელს ახლო აღმოსავლეთში (ძველი აღთქმის, კერძოდ, დანიელის წიგნის 9,27 მუხლის ინტერპრეტირებით).

ევანგელისტი ფსევდოქრისტიანები არც საკუთრივ მაცხოვრის პიროვნული არსის დამახინჯებას ერიდებიან: „ის კაცი (ანუ იესო - გ.რ.), რომელიც დედამიწაზე ცხოვრობდა, დაკუნთული კაცი იყო. [...] ქრისტე იყო მანო!“ — ეს სიტყვები აშშ-ში ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავლენიან მოქადაგეს, პრეზიდენტ რონალდ რეიგანის მეგობარს და ჯორჯ „დაბლი“ ბუშის მხარდამჭერს, ჯერი ფალუელს (Jerry Falwell) ეკუთვნის (ფალუელი თავის დროზე ღიად უჭერდა მხარს აპარტიდის რეჟიმს სამხრეთ აფრიკაში; მას ანტიქრისტე ხან ებრაელად ეჩვენებოდა, ხან გამოთქვამდა აზრს, რომ „ღმერთსა და მოსეს შორის კავშირის“ გამო ებრაელები გარდაცვალების შემდეგ ავტომატურად ხვდებიან სამოთხეშიო. ფალუელი გარდაიცვალა 2007 წელს). ზოგიერთი სხვა მისიონერი იესოს მიაწერს „კაპიტალისტობას“.

შემაჯამებელ პასუხს კითხვაზე, თუ რატომ უჭერენ ევანგელისტი ქრისტიანები მხარს ისრაელს, პასუხს სცემს ევანგელისტი პასტორი ფრიც მეი (Fritz May) თავის ვებ-გვერდზე. მხარდაჭერის ძირითადი მიზე-

ზები და არგუმენტებია:

„— ისრაელი, იორდანეს დასავლეთი სანაპიროს (სამარია და იუდეა) ჩათვლით, ღვთის სამყაროსეული და ხსნის ისტორიის არენა იყო და იქნება;

— იესო ქრისტე მისდამი, როგორც მესისადმი ცოცხალი რწმენით სავსე ერთიან ისრაელში დაბრუნდება (რომ. 11,25-26 და ა.შ.);

— ისრაელს დიდი მომავალი აქვს: იესო ქრისტეს მესიანურ ზესახელმწიფოში მან სულიერი და სასულიერო ლიდერობა უნდა იტვირთოს (ზაქ. 8,20-23; ეს. 2,2-3 და ა.შ.);

— ჩვენ მხარს ვუჭერთ სიონიზმს (=ებრაელების დაბრუნება ისრაელში და იქ ებრაული სახელმწიფოს აშენება), რადგან ეს ღვთის ნებაა (ეზეკ. 11,17 და სხვ.). ამიტომ ჩვენ გამოვდივართ ისრაელის არსებობის სასარგებლოდ, ბიბლიაში აღთქმული საზღვრების ფარგლებში;

— მთელი იერუსალიმი ისრაელის მუდმივ დედაქალაქად უნდა დარჩეს და აღარასოდეს უნდა იქნას გაყოფილი, რადგან ფსალმუნში (XVIII, 121) ნათქვამია: დადგრომილ იყვნეს ფერხნი ჩუენნი ეზოთა შენთა, იერუსალემ. იერუსალემი შენებულ არს ვითარცა ქალაქი, რომლისა საყოფელნი მისნი მის თანა“.

ასეთი ტიპის ქრისტიანების წარმოდგენებში ისლამი საპირისპირო ანუ სატანურ როლს ასრულებს, რომელთანაც ბრძოლის წარმოება ყველა საშუალებით უნდა მოხდეს. ამის ერთგვარ გამოძახილად შეიძლება მივიჩნიოთ ხშირი ინციდენტები, როდესაც აშშ-ის საოკუპაციო ძალები ავღანეთში თუ ერაყში შეურაცხყოფენ ყურანს, მუსლიმანების ადათ-წესებს და ასე შემდეგ.

ყველაფერთან ერთად საინტერესოა, რომ მიუხედავად ასეთი პროისრაელური პოზიციისა, ევანგელისტებისათვის ებრაელობას, ებრაელ ხალხს და ებრაულ სარწმუნოებას არანაირი თავისთავადი მნიშვნელობა არ გააჩნიათ. ისრაელის სახელმწიფოს „გაძლიერება“ მათთვის მხოლოდ აპოკალიფსური „განრიგის“ აღსასრულებლად არის მნიშვნელოვანი. სამყაროს დასასრულს, მათი წარმოდგენით, მხოლოდ ის ებრაელები გადარჩებიან, რომლებიც იესო ქრისტეს აღიარებენ და სხვებსაც მოაქცევენ. ევანგელისტებს დაახლოებითი ციფრებიც აქვთ „დაანგარიშებულნი“ იმ ებრაელებისა, რომლებიც, მათი აზრით, გადარჩებიან. ამ „რჩეულთა“ რიცხვი 144 ათასს შეადგენს, დანარჩენი ებრაელობა მუდმივი წყევლისათვის არის განწირული. ევანგელისტური „თავისუფლების სახლი — ბიბლიის ინსტიტუტის“ დირექტორი უილმინგტონი (H.L. Willmington) ბიბლიის საფუძველზე (!) „ანგარიშობს“, რომ „ღვთაებრივი გადარჩენის გეგმის“ მიხედვით, სამყაროს დასასრულის პირობებში ებრაელთა 2/3, დაახლოებით 16 მილიონი ებრაელი, დაიღუპება.

რასაკვირველია, ამგვარ „დაანგარიშებებს“ და ებრაელთა განსჯა-განკითხვას ქრისტიანობასთან საერთო არაფერი აქვს (ამ ჭეშმარიტებას

ნებისმიერი წიგნიერი მართლმადიდებელი სასულიერო პირი დაადასტურებს), ამიტომ საეკლესიო გასაგებია, რომ ზოგიერთი ავტორი ევანგელისტურ მრწამსში ჩაპროგრამებულ ლატენტურ ანტისემიტისმზე მიუთითებს. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში კიდევ უფრო აშკარაა, რომ ევანგელისტები „ღვთისგან რჩეული ერის“ მდგომარეობას ამერიკელი ერისთვის იჩემებენ. ასე მაგალითად, სხვას თუ არავის, თვით პრეზიდენტ რეიგანსა და ფალუელს მიაჩნდათ: „არც ერთი სხვა ერი მთელს დედამიწაზე არ ყოფილა ყოვლისშემძლე ღვთისგან ისე დალოცვილი, როგორც შეერთებული შტატების ხალხი“.

მკითხველი შეიძლება მაინც დაეჭვდეს, რომ ესოდენ უცნაური აზრები და ადამიანები „ისეთ“ ქვეყანაში, როგორც ამერიკაა, რაიმე სერიოზულ როლს ასრულებენ. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ტელემქადაგებლებს, რომლებიც თავისდათავად პოლიტიკურად აქტიურნი არიან და პოლიტიკურ განცხადებებს (მათ შორის, საგარეო პოლიტიკაზე) ხშირად აკეთებენ, მრავალი მიმდევარი ჰყავთ (რასაც მათი გადაცემების უამრავი ტელემყურებელი და მათი წიგნების ასევე უამრავი მკითხველიც მოწმობს).<sup>7</sup> ისიც აღინიშნა, რომ ბევრი ასეთი ევანგელისტი მქადაგებელი, ქვეყნის ამა თუ იმ პრეზიდენტთან დაახლოებული პირია. თვით ეს პრეზიდენტებიც ევანგელისტთა ეკლესიების წევრთა შორის ირიცხებიან. თუმცა ევანგელისტების გავლენის ილუსტრირება უფრო ვრცელად შეიძლება. მაგალითად, ზემოთ უკვე ნახსენები ჯონ ჰეიჯი, რომლის წიგნი აშშ-ში 600.000 ცალის ოდენობით გაიყიდა, ცდილობს, რაც შეიძლება მეტი თავისი მკითხველი ჩააბას ლობისტური ორგანიზაციის Christians United for Israel-ის („გაერთიანებული ქრისტიანები ისრაელისთვის“) მუშაობაში. ევანგელისტი ქრისტიანები პოლიტიკურად სულ უფრო აქტიურნი ხდებიან. 2006 წლის ივლისში, ისრაელ-ლიბანის კონფლიქტამდე ცოტა ხნით ადრე, პირველად

<sup>7</sup> ტელემქადაგებლებს ამერიკულ პუბლიკაზე ლამის მონუსხველი გავლენა აქვთ მაშინაც კი, როდესაც საქმე ფულის მოხვეჭას ეხება. მაგალითი: ერთ-ერთი ასეთი მქადაგებელი ჯიმი სუვეგარტი (Jimmy Swaggart) 1988 წელს მეძაგებთან ურთიერთობაში იქნა მხილებული და ამიტომ მან მქადაგებლის ლიცენზია დაკარგა. თუმცა სუვეგარტმა 30 მილიონი ტელემყურებლის წინაშე ცრემლების ფრქვევით და აკანკალებული ნიკაპით განაცხადა: „მე ვცოდე... მე ფარულად შევცოდე და გთხოვთ პატივას!“ ცოტა ხნის შემდეგ, იმავე ქადაგებაში სუვეგარტი განაცხადობს: „თქვენ იცნობთ ინტელექტუალებს? მითხარით, ბატონო ინტელექტუალი, იცით თქვენ, რატომ არის რძე თუთრი და ბალახი მწვანე?... ყველაფერი, რაც მე ვიცი, არის ის, რომ მე მაიმუნისგან არ ვარ წარმოშობილი... ყველაფერი, რაც თქვენ უნდა იცოდეთ, ბიბლიაშია დაწერილი! და ცოდვა! ექვსი ათასი წლის წინათ ადამმა და ევამ სცოდეს. სატანა ჩვენ ყველას გვიტყვის, მე ვხედავ ბოროტებას! მაგრამ იესოს ძვირფასი სისხლი ჩვენს ცოდვებს ჩამოგვბანს, ეს წითელი და ძვირფასი მდინარე! ამ საღამოს ჩვენ თქვენი შემოწირულობები გვჭირდება! წამოდგეს ყველა ის, ვისაც 500 დოლარის მოცემა შეუძლია! 100 დოლარი! 50 დოლარი!...“ ტელემქადაგებლების ინსტიტუტი ამერიკაში ფულის მოხვეჭის ეფექტური საშუალებაა, მართო ერთ გადაცემაში მილიონების „გაკეთება“ შეიძლება. იხ.: [http://neueakropolis.de/index.php?option=com\\_content&task=view&id=397&Itemid=118](http://neueakropolis.de/index.php?option=com_content&task=view&id=397&Itemid=118).


შეიკრიბა ევანგელისტთა 3.500 დელეგატი სხვადასხვა შტატიდან ამერიკის დედაქალაქ ვაშინგტონში. ჰეიჯიმ, რომელიც ამტკიცებს, რომ 40 მილიონი ამერიკელის სახელით ლაპარაკობს, ამ შეკრებაზე განაცხადა: „ჩვენ გვსურს დაეწმუნდეთ, რომ კონგრესი არც ერთ ცენტს არ გამოჰყოფს ისრაელის მტრების სასარგებლოდ. ჰეიჯის „გაერთიანებული ქრისტიანებზე“ მხარდამჭერებს პოლიტიკური ისტებლიშმენტის წრებიდან, პირველ ყოვლისა, რესპუბლიკურ პარტიაში პოულობენ. მათ ბანკეტზე საპატიო სტუმრად 1995–2007 წლების პერიოდის სენატში რესპუბლიკელთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი, ამჟამინდელ რესპუბლიკელთა საპრეზიდენტო „პრაიმერზებში“ მიტ რომნის მთავარი კონკურენტი რიკ სანტორუმი (Rick Santorum) დაესწრო. ევანგელისტების ხმების მოსაპოვებლად კენ მილმენი (Ken Mehlman), რესპუბლიკელების პარტიული ყრილობის ხელმძღვანელი კი შემდეგი სიტყვებით იბრძოდა: „სულ ერთია, ქრისტიანი ხარ, იუდეველი თუ მუსლიმი, ამერიკელი ხარ, იაპონელი თუ ინდოელი; - ვისაც თავისუფლება უყვარს, იგი დღეს ისრაელელია!“

უკვე 2004 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო (კონგრესი) არჩევნების დროს ევანგელისტმა ამომრჩეველებმა ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს: არჩევნების პარალელურად 11 ფედერალურ შტატში რეფერენდუმი ტარდებოდა ჰომოსექსუალთა ქორწინების საკითხთან დაკავშირებით, რამაც განსაკუთრებით ბევრი აღშფოთებული ევანგელისტის მობილიზება და საარჩევნო ურნებთან მიყვანა (სადაც შემდეგ ხმას რესპუბლიკელ კანდიდატებს აძლევდნენ) განაპირობა. ევანგელისტების როგორც საარჩევნო ხმების, ისე შემოწირულობების მნიშვნელობაც მატულობს, რადგან ისინი შემოწირულობების გაკეთების მაღალ მზადყოფნას ამჟღავნებენ. იმავე 2004 წელს მხოლოდ ერთმა ებრაულ-პროტესტანტულმა ლობისტურმა ჯგუფმა – „ქრისტიანთა და ებრაელთა საერთაშორისო თანამეგობრობამ“ (International Fellowship of Christians and Jews), მისივე პრეზიდენტის იეხიელ ეკსტეინის (Yechezkel Eckstein) შეფასებით, ევანგელისტი ქრისტიანებისაგან დაახლოებით 20 მილიონი აშშ დოლარი შემოწირულობები მიიღო. ამგვარი ებრაულ-ევანგელისტური ალიანსი ერთი შეხედვით უცნაურიც ჩანს, იმის გათვალისწინებით, რაც უკვე აღვნიშნეთ – ევანგელისტური მრწამსის მიხედვით, არმაგედონის დროს ებრაელებმა ქრისტიანობა უნდა მიიღონ, რათა გადარჩნენ. ბევრი ამერიკელი ებრაელისათვის ამგვარი თეოლოგია გაუგებარი და მიუღებელია. ასევე, როგორც ცნობილია, უბრალო ამერიკელი ებრაელების უმეტესობა, როგორც წესი, დემოკრატებს აძლევს ხოლმე ხმას არჩევნებზე და არა რესპუბლიკელებს, განსხვავებით ევანგელისტებისაგან. სამაგიეროდ, მათი ინტერესები სავსებით ემთხვევა ისრაელის მხარდაჭერის საკითხში.



მთლიანობაში აშშ-ის მოსახლეობის და პოლიტიკური ელიტის დიდი და გავლენიანი ნაწილის მეცადინეობით, აშშ-ის საგარეო პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ისრაელის უპირობო მხარდაჭერით, „თავისუფლების“ ნიღბით საზღვარგარეთ ჩამოყალიბებული საკუთარი სექტების, აგრეთვე, რე-ლიგიისგან ფრიად დაშორებული გარყვნილებების წახალისებით. ისრაელის უპირობო მხარდაჭერა დესტაბილიზაციას იწვევს საქართველოს მეზობელ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. ამ თვალსაზრისით, საქართველოსთვის განსაკუთრებით საშიშია ირანთან დაკავშირებული სცენარების ნეგატიური განვითარება. ასევე არანაკლებ საშიშია საკუთრივ საქართველოს შიგნით დასავლური სექტების გაძლიერება და სხვადასხვა არატრადიციული იდეური თუ სექსუალური მიმდინარეობების ლეგალიზაცია და მორალური გამართლება.





თეიმურაზ ფანჯიკიძე

### სართ კი თქვენ ქართველები?

(„იეჰოვას მოწმეების“ ღენომინაციის წევრებთან შეხვედრაზე წარმოთქმული სიტყვა)

*მათი რიცხვი საკმაოდ გაიზარდა, მათ ხშირად შეხვედებით არა მარტო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, არამედ საქართველოს ყველა კუთხეშიც. ისინი დაუზარლად დადიან კარდაკარ და თავგამოდებით უმტკიცებენ ადამიანებს, რომ ყველა აქამდე არსებული რელიგია არასწორი და ცრუა, და, რომ თავი უნდა დაანებონ ყველაფერს და მხოლოდ მათ მიერ ნაპოვნი ჭეშმარიტების გზით იარონ, რათა დაიმკვიდრონ „ღვთის სასუფეველი“. ამ ხალხს „იეჰოვას მოწმეები“ ჰქვია...*

ძმებო და დებო! ალბათ ასე უნდა მოგმართოთ, რადგან ასე მიმართავენ ერთმანეთს პირველი ქრისტიანები, ასე ეძახით თქვენ ერთმანეთს და თავს ქრისტიანებს უწოდებთ. გარდა ამისა, მიუხედავად ჩვენი განსხვავებული შეხედულებებისა და აღმსარებლობისა, მეც და თქვენც ქართველები ვართ, შესაბამისად, ერთი სამშობლო, ერთი საზრუნავი გვაქვს და, წესით, სიხარულიცა და წუხილიც საერთო უნდა გაგვანდეს...

მადლობელი ვარ, რომ მომიწვიეთ თქვენს სამლოცველოში, ჩემთვის როგორც ფილოსოფოსისა და რელიგიათმცოდნისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთარი თვალით ვიხილო და სათანადოდ აღვიქვა ის, რასაც თეორიულად კარგად ვიცნობ, ან სხვაგან მინახავს, თქვენთან კი პირველად მოვედი. ჩემთვის მეტად საინტერესოა, გავეცნო თქვენს წარმოდგენებს,

შეხედულებებს, სარწმუნოებრივ სულისკვეთებას, ერთგულებას ღვთის სიტყვისადმი და „იეჰოვას“ ეროვნულ გრძნობებსაც დაუკვირდე. აკი ვთქვი, ჩვენ ერთი სამშობლო, შესაბამისად, ერთი საერთო ინტერესი და მამოძრავებელი ძალა უნდა გვაერთიანებდეს...

ჩემთვის ეს არ არის პირველი შეხვედრა „იეჰოვას მოწმეებთან“. თქვენს თანამოაზრეებს – სულიერ ძმებსა და დებს ხშირად შეეხვედრივარ სხვადასხვა ქვეყანასა თუ ქალაქში, დავსწრებივარ მათ შეკრებებს, ლოცვებს, დღესასწაულებს, ბიბლიურ კითხვებს, რომლებშიც დაწვრილებით განიხილებოდა „სადმართო წერილის“ ცალკეული დოგმები, დებულებები და გამონათქვამები. აქაც, საქართველოში, ქუჩებსა თუ სხვა ღია ადგილებში არაერთხელ შევსწრებივარ თქვენს არნახულ აქტივობასაც.

ისიც უნდა ვთქვა, რომ საკმარისად ვიცნობ „იეჰოვურ“ ლიტერატურას. ოჯახში, ჩემს პირად ბიბლიოთეკაში ბიბლიის სხვა ტექსტებთან ერთად ინახება „სადმართო წერილის“ ის გამოცემები (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე), რითაც თქვენ სარგებლობთ ღვთისმსახურებისას. სისტემატურად ვეცნობი (ამას ჩემი პროფესია მავალეებს) თქვენ მიერ გამოცემულ ლიტერატურას: წიგნებს, ჟურნალებს, ტრაქტატებს, ბუკლეტებს თუ საგაზეთო სტატიებს. მათგან განსაკუთრებით მინდა გამოვყო ორი ჟურნალი: „სადარაჯო კოში“ და „გამოფხიზლდით“, რომლებიც მსოფლიოს მრავალ ენაზე (194), მათ შორის ქართულ ენაზეც გამოდის და აქტიურად მიეწოდება მკითხველს. მათში მარტივად და მისაწვდომად არის გადმოცემული სამყაროს „იეჰოვური“ ხედვა, ყოველივე ის, რაც ასახავს თქვენს ბიბლიურ ინტერპრეტაციებს, შეხედულებებს და რწმენას.

ცხადია, არც ეს დღევანდელი გამოსვლა არის პირველი ჩემს, როგორც რელიგიათმცოდნის პრაქტიკაში, რადგან საკუთარი შეხედულებები, წარმოდგენები თუ უშუალო შთაბეჭდილებები „იეჰოვას მოწმეების“ მოძღვრებასა თუ პრაქტიკაზე, არაერთხელ მაქვს დაფიქსირებული ბევრ საგაზეთო, საჟურნალო სტატიაში, ზეპირ გამოსვლაში, სადაც ყოველთვის ვცდილობდი, შედარებითი რელიგიათმცოდნეობის პოზიციიდან ობიექტურად განმეხილა ბიბლიის თქვენეული ხედვა და მისგან მომდინარე რელიგიური პრაქტიკა. ამ ნაწერებიდან განსაკუთრებით მინდა გამოვყო ჩემი ვრცელი წიგნი „რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე“, რომელიც ჯერ კიდევ 2003 წელს გამოვიდა. მასში დაწვრილებით ვსაუბრობ „იეჰოვას მოწმეების“ დენომინაციის რუსულსა და ამერიკულ ფრთებზე. მათ დამაარსებლებზე: ნ. ს. ილინსა და ჩ. რასელზე, ამ დენომინაციის ჩასახვისა და განვითარების ისტორიაზე, საქართველოში შემოსვლაზე, მის მიზნებზე, პოზიციებსა თუ შემდგომი გავრცელების პერსპექტივებზე.

ჩვენ, რელიგიათმცოდნეებსა თუ სხვადასხვა კონფესიათა თეოლოგებს „იეჰოველები“ ხშირად გვედავებიან, რომ არასწორად გვესმის და უსამართლოდ ვაკრიტიკებთ „იეჰოვურ“ მოძღვრებას, მათ ბიბლიურ ინტერ-

პრეტაცებს. მე კარგად მესმის ამ რწმენის მიმდევართა სურვილი, რომ მათ მოძღვრებაზე ადამიანებმა არ იმსჯელონ კრიტიკოსთა ცალმხრივი შეხედულებებით, არამედ იხელმძღვანელონ და დაეყრდნონ მხოლოდ პირველად წყაროებს, უპირველეს ყოვლისა კი, „საღმრთო წერილს“. ამიტომ, თქვენთან საუბრისას, შევეცდები ობიექტურად ჩამოვყალიბო, თუ როგორ გავიგე, როგორ მესმის ის ძირითადი პრინციპები თუ დებულებები, რასაც ეყრდნობა „იეჰოვური“ რწმენა. თუ რაიმე სწორად (თქვენეული გაგებით) არ იქნება გადმოცემული, აქვე შეგიძლიათ პრეტენზია გამოთქვათ...

ჩემს საუბარს „საღმრთო წერილით“ დავიწყებ, რომელიც „იეჰოვური“ გაგებით, ერთადერთია, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ჭეშმარიტ რწმენას. ამის დასადასტურებლად მოგვყვით ციტატა პავლეს მეორე ეპისტოლეიდან ტიმოთეს მიმართ: „ძთელი წერილი ღვთისუფლიერია და სარგო-სასწავლებლად, სამხილებლად, გამოსასწორებლად და სიძარითლის შესაგონებლად“ (2 ტიმ. 3:16). სხვა ყველაფერი, რაც ესოდენ ღირებული და ფასეულია სხვა უმრავლესი ქრისტიანული მიმართულებებისათვის, მათ შორის „საღმრთო გადმოცემა“, ეკლესიის მამათა თუ სხვა ღვთისმეტყველების გვიანდელი შეხედულებები, მათი ბიბლიური ინტერპრეტაციები საერთოდ უარყოფილია, უპირატესობა ეძლევა მხოლოდ ჩ. რასელის ბიბლიურ ინტერპრეტაციებს.

იმათ, ვისაც კი ოდნავ შეხება მაინც ჰქონია „იეჰოვას მოწმეებთან“, დამეთანხმება, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ თქვენ ღვთის სახელის – იეჰოვას ხსენებას, რის აუცილებლობასაც ფსალმუნიდან მოტანილი ფრაგმენტებით ცდილობთ: „...შენი სახელია უფალი“ („იეჰოველები“ წერენ „იეჰოვას“, – თ. ფ.).

თქვენზე ინტერპრეტაციით, უფლის სახელის ხსენებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თვით იესო ქრისტე და თავის მიმდევრებს ასწავლიდა წარმოეთქვათ ღვთის სადიდებელი ღოცვა: „მამაო ჩვენი, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იესო სახელი შენი“ (მთ. 6:9); ან, როგორც ეს იოანეს სახარებაშია ნათქვამი: „გამოუცხადე შენი სახელი ადამიანებს, რომლებიც მომეცა ქვეყნისაგან, შენი იყვნენ და მე მომეცი და დაიცვეს შენი სიტყვა“ (ინ. 17:6).

რაც შეეხება „იეჰოვას“ სახელის მხოლოდ უფლის სახელით ხსენებას (რადგან სხვა უფალი არ არსებობს), თქვენ ასე განმარტავთ: „იუდაიზმის მიმდევრებმა ქრისტიანობაში შეწყვიტეს ღვთის სახელის ნებისმიერი ფორმით ხსენება, რადგანაც ღმერთი ერთადერთია და არ არსებობს სხვა ღმერთი, რომლისგანაც ის უნდა განვასხვავოთ. ღვთის სახელის გამოყენება სრულიად მიუღებელია ქრისტიანული ეკლესიის საყოველთაო მრწამსითაც“. ამიტომ, ღვთის სახელი ჩაანაცვლეს ტიტულით „უფალი“. ახლანაჲ კი, ვატიკანის საეკლესიო კრებამ ეპისკოპოსებისათვის ახალი ღირეჰტივა გამოსცა: „ტეტრაგრამატონით წარმოდგენილი ღვთის სახელი YHWH — იეჰოვას მოწმეების აზრით, ქართულ ენაზე ღვთის სახელი წარმოითქმება,

როგორც „იეჰოვა“ — არც უნდა გამოიყენონ და არც უნდა წარმოთქვან თავიანისმცემლობის დროს“...<sup>1</sup>

აღნიშნულია ისიც, რომ „უებსტერის“ ახალი საერთაშორისო ლექსიკონის მესამე გამოცემაში „იეჰოვა“ ღმერთზე ნათქვამია, რომ ის არის „უზენაესი ღვთაება და ერთადერთი ღმერთი, რომელსაც „იეჰოვას მოწმეები“ სცემენ თავიანის“.

ამასთან, ყველასათვის ცნობილია ისიც, რომ „იეჰოველთა“ მოძღვრება კატეგორიულად ილაშქრებს სამების დოგმატის წინააღმდეგ. მათი თქმით, ეს დოგმატი ბევრჯერ იყო ადამიანთა დაბნეულობის და გაუგებრობის მიზეზი, რომ სინამდვილეში დამოკიდებულება ღმერთსა და იესო ქრისტეს შორის, არ უნდა გავიგოთ, როგორც ურთიერთობა ორი თანაბარი ძალის სუბიექტს შორის, არამედ როგორც დამოკიდებულება მამასა და შვილს შორის. იესო ქრისტეს, ძეს ღვთისას, მართალია, უდიდესი მისია დაეკისრა ამქვეყნად — შეერიგებინა ცოდვილი კაცობრიობა ღმერთთან, რაც მან ბრწყინვალედ შეასრულა კიდევ, მაგრამ თვით იგი ღმერთი არ ყოფილა.

რაც შეეხება „სულიწმიდას“, იგი „იეჰოვური“ გაგებით, მხოლოდ ძალაა, რომლის მეშვეობითაც „იეჰოვა“ (აღონაი) მოქმედებს.

ამ მოსაზრებების საწინააღმდეგო არგუმენტად, ღვთისმეტყველები მათეს სახარებიდან მაცხოვრის სიტყვებს იმორჩილებენ, რომლითაც მან თავის მოწაფეებს მიმართა: „მამ წადით, დაიმოწაფეთ ყველა ხალხი და ნათელი ეცით მათ მამის და ძის და სული წმიდის სახელით“ (მთ. 28:19). თავის მხრივ „იეჰოველები“ პასუხობენ, რომ ამ ციტატაში არაფერია ნათქვამი მათ ერთობასა და მთლიანობაზე. შესაბამისად, ბიბლია სულაც არ ადასტურებს სამების ერთობას.

გარდა ამისა, იმის დასამტკიცებლად, რომ მამა ღმერთი უფრო მაღლა დგას იესო ქრისტეზე და, შესაბამისად, ეს უკანასკნელი ღმერთი არ არის, მოგაქვთ ორი ადგილი „ახალი აღთქმიდან“: „ესეც მინდა გაუწყოთ, რომ ყოველი კაცის თავი ქრისტეა. ქალის თავი — კაცი, ხოლო ქრისტეს თავი — ღმერთი“ (I კორ. 11:3). ამასვე მიუთითებსო მოციქული პავლეს სიტყვები კოლასელებისადმი გაგზავნილ ეპისტოლეში (კოლ. 1:15, 16) და ფრაგმენტი იოანეს სახარებიდან, სადაც ნათქვამია: „საუკუნო სიცოცხლე კი ის არის, რომ გიცნობდნენ შენ, ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთს და იმას, ვინც შენ მოაუღინე — იესო ქრისტეს“ (ინ. 17:3).

ერთი სიტყვით, „იეჰოველთა“ მიხედვით, იესო ქრისტე ღვთის შვილია, რომელსაც უდიდესი მისია დაევალა ამქვეყნად — ეხსნა ადამიანები პირველქმნილი ცოდვისაგან, შეერიგებინა ისინი განრისხებულ ღმერთთან. მაგრამ მასთან ერთად, სამწუხაროდ, ქვეყნად არსებობს ბოროტებაც, რომელიც წინ ეღობება და ხელს უშლის ამ პროცესს. „იეჰოველთა“

<sup>1</sup>ბიბლიის გადამწაფებული სტანდარტული თარგმანის წინასიტყვაობა, რომელიც „ამერიკაში ქრისტეს ეკლესიების ეროვნული საბჭოს“ ნებართვით გამოიცა.



გაგებით, ქვეყნიერება მთლიანად ბოროტებაშია ჩაფლული, რასაც ეშმაკი (სატანა) განაპირობებს. სწორედ ის არის მსოფლიოს ფაქტიური მმართველი და მთავარი მაცდუნებელიც. ამის დასადასტურებლად „იეჰოველები“ მიუთითებენ ორ ადგილზე „ახალი აღთქმიდან“ (ინ. 5:19; და გამც. 12:9).

მათი მტკიცებით, ის, ვინც გახდა სატანა, თავდაპირველად ღმერთის მიერ შექმნილი ანგელოზი იყო, მას შემურდა ღმერთის მდგომარეობა, გადაუხვია უფლის გზას და საკამათო გახდა ღმერთის კანონიერი მმართველობა. იმ მიზნით, რომ მოეტყუებინა პირველი ქალი, თავის იარაღად გველი გამოიყენა და ამგვარად აიძულა ადამი და ევა, იმის ნაცლად, რომ ღვთის ნება შეესრულებინათ, ეშმაკის განკარგულებას დამორჩილებოდნენ. სატანის განზრახვით მასვე უნდა დამორჩილებოდნენ პირველი ადამიანების ჯერ არდაბადებული შთამომავლებიც. ეშმაკს (სატანას) სხვაგვარად წუთისოფლის ღმერთსაც უწოდებენ; ახალი აღთქმის „იეჰოვურ“ თარგმანში მოციქულ პავლეს მეორე ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ 4:4, იგი ნახსენებია, როგორც „ამქვეყნიერების ღმერთი“. ცხადია, სატანა არ არის ქვეყნიერების ერთადერთი მმართველი. მას თავისი თანამზრახველებიც ჰყავს. ესენია დემონები, რომლებიც წინათ ანგელოზები იყვნენ. სატანამ შეძლო მათი გადაბირება და მათ ერთობლივად გაილაშქრეს ღმერთის წინააღმდეგ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სამყაროში ერთმანეთს უპირისპირდება და ებრძვის ორი ძალა: სიკეთე და ბოროტება. მათ შორის აუცილებლად მოხდება დიდი და გადამწყვეტი ბრძოლა, რომელსაც **არმაგედონი** ერქმევა, რომლის დროსაც ერთმანეთს საბოლოოდ დაუპირისპირდებიან ღმერთი „იეჰოვა“ და სატანა. „იეჰოველები“ ამ დღეს, იერემიას წიგნზე დაყრდნობით, ღვთის დიდ დღეს უწოდებენ (იერ. 25:32, 33).

რაც შეეხება ახალ აღთქმას, „იეჰოველთა“ მტკიცებით, აქაც ამკარადაა საუბარი ბოროტებისაგან თავის დაცვის აუცილებლობაზე. კერძოდ, პავლე მოციქულის მიერ ეფესელთა მიმართ გაგზავნილ ეპისტოლეში წერია: „შეიმოსეთ ღვთის სრული საჭურველი, რათა შეგეძლოთ წინ აღუდგეთ ეშმაკის ხრიკებს, რადგანაც სისხლისა და ხორცის წინააღმდეგ კი არ ვიბრძვით, არამედ მთავრობათა და ხელმწიფეებათა. ამ ბნელი საწუთროს მპყრობელთა და ცისქვეშეთის უკეთურ სულთა წინააღმდეგ“ (ეფეს. 6:11-12).

„იეჰოველები“ ასე მსჯელობენ: მართალია ბევრი დასცინის იმ იდეას, რომ ბოროტი სულები მართავენ ქვეყნიერებას, მაგრამ ეს გასაკვირი სულაც არ არისო, ზოგჯერ ხომ თვით სატანაც სინათლის ანგელოზის სახეს იღებსო (2 კორ. 11:12) და ამიტომ მრავალს აბრძალებსო... სატანა, აგრძელებენ „იეჰოველები“, არა მარტო ადამიანებს აცდუნებს, არამედ მან სცადა თვით იესო ქრისტეს ცდუნებაც, თუმცა წარუმატებლად, იესომ მას მკაცრად უპასუხა: „განუდ, სატანაუ“... „იეჰოველთა“ თქმით, ღმერთმა სატანას გამოუყო დრო, რათა მას ეცადა თავისი პრეტენზიის დაკმაყოფილებას (რომ იგი შეძლებდა ადამისა და ევას ჯერ არდაბადებული შთამომავლების

უფლისაგან ჩამოშორებას), მაგრამ ეს ვერ მოახერხა („იეჰოველები“ ამის დასადასტურებლად მიუთითებენ იობის წიგნზე, სადაც მართლმორწმუნე იობი, მიუხედავად უსასტიკესი გამოცდისა და ცდუნებისა, არ აჰყვამა ეშმაკის ზრახვებს და ღვთის ერთგული დარჩა), (იობ. 1:6-12; 21:10).

„იეჰოველთა“ გაგებით, არმაგედონი არ არის შემთხვევითი მოვლენა, რომლის დროსაც განურჩევლად ყველა განადგურდება. მის დროს მხოლოდ ბოროტი ადამიანები მოისპობიან. როგორც ფსალმუნებშია ნათქვამი: „მაღლე აღარ იქნება ბოროტი: დააკვირდები მის ადგილს და აღარ იქნება იგი“ (36:10). არმაგედონის შემდეგ კი — „მართლები დაიმკვიდრებენ დედამიწას და მარადიულად იცხოვრებენ მასზე უკუნისამდე“ (ფს. 36:29). არმაგედონის დროს ბევრი დაიღუპება, მაგრამ მილიონობით ადამიანი გადარჩება. სწორედ ამ დროიდან დაიწყება მშვიდობიანი პერიოდი დედამიწაზე (გამც. 21:3.4). რაც შეეხება დროს, თუ როდის და როგორ მოხდება კონკრეტულად ეს ამბავი, ან რა იქნება ნიშანი ქრისტეს მოსვლისა, „იეჰოველები“ მიუთითებენ მათეს სახარებაზე, სადაც ნათქვამია: „... მრავალნი მოვლენ ჩემი სახელით და იტყვიან: მე ვარ ქრისტეო და მრავალს აცდუნებენ. გაიგებთ აგრეთვე ომებსა და ომების ამბებს. თქვენ იცით, ნუ შეძრწუნდებით, ვინაიდან ყოველი ეს უნდა მოხდეს, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის დასასრული. რადგან აღდგება ხალხი ხალხის წინააღმდეგ, სამეფო სამეფოს წინააღმდეგ: და იქნება შიმშილობა და ჭამიანობა და მიწისძვრანი აქა-იქ. ხოლო ყოველივე ეს საღმობათა დასაბამია. მაშინ მიგცემენ სატანჯველად და მოგაკლავენ თქვენ; და მოგიძულებთ ყველა ხალხი ჩემი სახელის გამო. მრავალი შეცდება მაშინ, გასცემენ და შეიძულებენ ერთურთს. მრავალი ცრუწინასწარმეტყველი აღდგება და აცდუნებს მრავალს. და ურჯულოების მოძრაულების გამო მრავალში განელდება სიყვარული. ხოლო ვინც ბოლომდე დაითმენს, იგი ცხონდება“ (მთ. 24:5-13).

ამასვე იმეორებს ლუკას სახარებაც: „... როდესაც იესოს ფარისევლებმა ჰკითხეს, როდის მოვა ღმერთის სასუფეველიო, მიუგო და უთხრა მათ: ღმერთის სასუფეველი არ მოვა სააშკარაოდ: ვერ იტყვიან: აგერ აქ არის, ან კიდევ აგერ, იქო; ვინაიდან, აჰა, ღმერთის სასუფეველი თვითონ თქვენშია“ (ლუკ. 17:20.21). ან კიდევ: „... იქნება ნიშნები მზეზე, მთვარესა და ვარსკვლავეთში: ხოლო მიწაზე — ზღვის ღრიალით და ტალღების ზათქით შეძრწუნებული ხალხების ურვა. შიშით გახევდებიან კაცნი, სამყაროს თავზე მოწვევნილი უბედურების მოლოდინში, ვინაიდან შეიძვრიან ციური ძალნი. მაშინ იხილავენ ძეს კაცისას, ღრუბლით მომაველს დიადი ძალითა და დიდებით. ხოლო როცა დაიწყება ყოველივე ამის ახდენა, აღიმართეთ და მაღლა ასწიეთ თავი, ვინაიდან ახლოვდება თქვენი გამოსხნა... როცა იხილავთ, რომ ყოველივე ეს ხდება, იცოდეთ, რომ ახლოა ღმერთის სასუფეველი... ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არ გადავა ეს მოდგმა\*, ვიდრე

\* იეჰოველების ბიბლიაში მოდგმის ნაცვლად წერია თაობა.

ყოველივე ეს არ აღსრულდება“ (ლუკ. 21:25-32).

ამას კიდევ უფრო აზუსტებს მოციქული პავლე თავის მეორე ეპისტოლეში ტიმოთესადმი: „ეს კი იცოდე, რომ უკანასკნელ დღეებში მოიწევა საზარელი ჟამი. რადგანაც კაცნი იქნებიან თვითმოყვარენი, ვერცხლის მოყვარენი, ქედმაღალნი, ამპარტავანი, მემობელნი, მშობლების ურჩნი, უმადურნი, უღირსნი, კაცთმოძულენი, გულდრძონი, მახეზღარნი, აღვირახსნილი, გულმხეცნი, სიკეთის მოძულენი, გამცემნი, თავხედნი, მზავობარნი, უფრო განცხრომის მოყვარენი, ვიდრე ღმრთისა. მოჩვენებითად ღვთისმსახურნი, სინამდვილეში კი ძალის უარმყოფელნი; ამნაირთაგან შორს დაიჭირე თავი. სწორედ ისინი არიან, ზაკვით რომ იპარებიან სახლებში და ატყვევებენ სხვადასხვა ვნებით შეპყრობილ ქალებს; ერთთავად რომ სწავლობენ, მაგრამ ვერასგზით ვერ აღწევენ ჭეშმარიტების შემეცნებას“ (II ტიმ. 3:1-7).

ერთი სიტყვით, აქ კონკრეტულ თარიღზე სრულიადაც არ არის საუბარი. მიუხედავად ამისა, თქვენს თანამოაზრეებს არაერთხელ დაუსახელებიათ ასეთი თარიღები. ამ თარიღებით კი წინასწარმეტყველება არ ახდენილა.

თუ დღევანდელ დღეზე ვილაპარაკებთ, „იეჰოველთა“ მტკიცებით, რაც ახლა ხდება, ძალიან ჰგავს ბიბლიაში აღწერილ არმაგედონის წინა პერიოდს. შესაბამისად, ეს წინასწარმეტყველება მალე უნდა შესრულდესო. მათი აზრით, ეს დასტურდებაო ჩვენს დროში „იეჰოვას მოწმეთა“ საქმიანობით, რადგან მათი თქმით, მათეს სახარებაში (24:14) ამ სასიხარულო ცნობას (ღვთის) სამეფოს შესახებ იქადაგებენ, მთელ მსოფლიოში ყველა ხალხებისათვის დასამოწმებლად და მაშინ მოვა აღსასრული (მთ. 24:14).

„იეჰოვური“ ლიტერატურის მტკიცებით, ეს დრო ძალიან ახლოა, რადგან დღეს 235-ზე მეტ ქვეყანაში მათი მომხრეები 500-ზე მეტ ენაზე ქადაგებენ ღვთის სამეფოს შესახებ სასიხარულო ცნობას. ერთი სიტყვით, „იეჰოველთა“ მტკიცებით: „ყოვლისშემძლე ღვთის დიდი დღე მალე დადგება და იყავით მათ შორის, ვისაც იეჰოვა დაიცავს, ესენი კი „იეჰოვას მოწმეები“ არიან.

რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვა ადამიანის პრობლემის „იეჰოვური“ ხედვაზეც. როგორც თქვენი აღმსარებლობის წიგნებიდან და ბროშურებიდან ვიგებთ, ქვეყნიერებაზე ჩვენი არსებობა მიწიერი ცხოვრებით არ ამოიწურება. თქვენ, ისევე როგორც მრავალ ქრისტიანს, გწამთ, რომ ღმერთმა ღვადმიწაზე გამოგზავნა იესო ქრისტე, რათა დაეღვარა საკუთარი სისხლი, როგორც გამოსასყიდი, რომლითაც ადამიანები უნდა გამართლებულიყვნენ და მიეღოთ მარადიული სიცოცხლე. ამის დასადასტურებლად იშველიებთ ფრაგმენტს პავლე მოციქულის ეპისტოლედან რომაელებისადმი, სადაც ნათქვამია: „ახლა... მისი სისხლით გაემართლდით“ (რომ. 5:9). იგივე აზრი მეორდება მათეს სახარებაშიც (20:28).

„იეჰოვას მოწმეებს“ აქვთ მომავალი სიცოცხლის იმედი, რომელიც

დაფუძნებულია მკვდრით აღდგომის რწმენაზე ღვთის სამეფოს მმართველობის დროს. ცხადია, ვიცი თქვენეული ის რწმენა, რომ პიროვნება სიკვდილის დროს წყვეტს არსებობას, ამის დასადასტურებლად მოგაქვთ ციტატები ფსალმუნიდან: „იმ დღეს გაქრება მისი ფიქრები“ (ფს. 145-3.4), წინასწარმეტყველ ეზეკიელიდან (18:4), ეკლესიასტეს წიგნიდან (9:5) და ამთავრებთ იოანეს სახარებით, სადაც ნათქვამია, რომ ღმერთი გაიხსენებს მათ აღდგომის დროს (ინ. 5:28,29).

მაგრამ „იეჰოვას მოწმეები“ დარწმუნებული არიან, რომ როგორც ნოე და მისი ოჯახი გადაურჩა წარღვენას, ასევე დღეს მცხოვრებთაგან ბევრი გადარჩება და იმის შემდეგ, რაც ღმერთის სამეფო გაანადგურებს ყველა დღევანდელ მთავრობას, ისინი ბედნიერად და მარადიულად იცხოვრებენ გასუფთავებულ დედამიწაზე (მთ. 24:36. 39; 2 პეტ. 3:5-7, 13). მაგრამ ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ ვასრულებთ იეჰოვას მოთხოვნებს. ბიბლია ამბობს „ქვეყნიერება გადადის, ღმერთის ნების აღმსრულებელი კი რჩება უკუნისამდე“ (I ინ. 2:17; 36:11; გამც. 7:9; 13-15; 21:1-5).

„იეჰოველთა“ მოძღვრებაში, ისევე როგორც ტრადიციულ ღვთისმეტყველებაში, დიდი ადგილი უკავია სწავლებას ღვთის სასუფეველის შესახებ, როგორც „იეჰოვური“ ლიტერატურიდან ვგებულობთ: „იეჰოვას მოწმეებს სწამთ, რომ ამ სამეფოში იგულისხმება რეალური მთავრობა, რომელიც ციდან იმეფებს დედამიწაზე და რომლის უხილავი მეფე არის იესო ქრისტე. „უფლობა იყო მის ბეჭებზე, — ამბობს ბიბლია, — ხელმწიფის განსაღიდებლად და უბოლოო მშვიდობისათვის“ (ეს. 9:5.6).<sup>21</sup>

ამასთან, თქვენ ამტკიცებთ, რომ ღვთის სამეფოში მხოლოდ იესო ქრისტე არ იქნება, არამედ მასთან ერთად ცაში იქნება მრავალი თანამმართველი. ამის დასადასტურებლად იმოწმებთ პავლეს მეორე ეპისტოლეს ტიმოთესადმი, სადაც წერია: „თუ მოვითმენთ, მასთან ერთად ვიმეფებთ კიდეც“ (2 ტიმ. 2:12). გარდა ამისა, მოგყავთ ყველასათვის ცნობილი ადგილი ბიბლიიდან: „და ვიხილე: აჰა, კრავი იდგა სიონის მთაზე და მასთან ას ორმოცდაოთხი ათასი, რომლებსაც ჰქონდათ შუბლზე მისი სახელი და სახელი მისი მამისა“ (გამც. 14:1).

შემდეგ, ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორ და რით დაიმსახურებს მათ ეს ჯილდო. მიუთითებთ, რომ უპირველეს ყოვლისა იმით, რომ მათ არ წაუბილწათ თავი ქალებთან, უბიწოები არიან: „ესენი მიჰყვებიან კრავს, სადაც არ უნდა წავიდეს. ესენი არიან კაცთა შორის გამოსყიდულნი, როგორც პირველნაყოფი ღვთისა და კრავისათვის. მათი ბაგენი არ იცნობენ სიცრუეს, რადგანაც უბიწონი არიან“ (გამც. 14:1.5). მაგრამ ყველაფერი ამით როდი მთავრდება, ისევე როგორც ნებისმიერ მთავრობას, ასევე იეჰოვასაც ჰყავს თავისი ქვეშევრდომები. აქედან გამომდინარე, „იეჰოვას მოწმეებს“ სწამთ, რომ ამ ზეციური მმართველობის გარდა მარადიული

<sup>21</sup> რა სწამთ იეჰოვას მოწმეებს? ტრაქტატი, 1993 წ. გვ. 3.

სიცოცხლე მიენიჭება სხვა მილიარდობით ადამიანსაც. საბოლოოდ კი, დედამიწა გადაიქცევა მშვენიერ სამოთხედ, აივსება ღმერთის სამეფოს ღირსეული ქვეშევრდომებით და ყველა დაემორჩილება ქრისტესა და მის თანამმართველთა მეფობას.

ამიტომ, „იეჰოვას“ რწმენით, დედამიწა არასოდეს განადგურდება და შესრულდება ბიბლიის დანაპირები: „მართალნი დაიმკვიდრებენ ქვეყანას და იარსებებენ მასზე უკუნისამდე“ (ფს. 36:29, 109:5).

ღვთის სამეფოს მოსვლა, „იეჰოვას“ თქმით, მოითხოვს ღმერთის უშუალო ჩარევას დედამიწის საქმეებში. როგორც ეს წინასწარმეტყველ დანიელის წიგნშია ნათქვამი: „ზეციური ღმერთი დაამყარებს სამეფოს, რომელიც უკუნისამდე არ დაიქცევა და მისი ხელმწიფება... შემუსრავს და დააქცევს ყველა სამეფოს, თავად კი უკუნისამდე იღვება“ (დან. 2:44).

ყველასათვის ცნობილი და საკმაოდ გახმაურებულია თქვენი მოძღვრების დამოკიდებულება სისხლის მიმართ, კერძოდ, უარის თქმა მის გადასხმაზე (როგორც მთლიანად სისხლის, ისე მისი ძირითადი კომპონენტების: წითელი უჯრედების, პლანმის, თეთრი უჯრედების და თრომბოციტების). ამ ფაქტს „იეჰოველები“ შემდეგ განმარტებენ უკეთებენ: ვინაიდან სიცოცხლე ღვთის მიერ ნაბოძარია, ამიტომ, ადამიანებმა უნდა იცხოვრონ ღვთის მიერ ნაკარნახევი წესებით, რომლებიც საღმრთო წერილშია გადმოცემული (2 ტიმ. 3:16, 17; გამც. 4:11). ეს წიგნი კი გვეუბნება, რომ მართალია ღმერთმა უფლება მისცა ადამიანებს ცხოველთა ჭამისა (დაბ. 9:4), მაგრამ აუკრძალა მათი სისხლის ანუ მათი სულის ჭამა. სხვაგვარად, სიცოცხლე, ცოცხალი ადამიანის სისხლი იგივე სიცოცხლეა. ამასთან მოშველიებულია ციტატები ლევიანების (3:17; 17:10, 11, 14) და მეორე რჯულის (12:16, 23) წიგნებიდან. იგივე აზრი მეორდება ახალ აღთქმაშიც, როგორც განმარტავენ: „ეს აკრძალვა ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით კი არ მისცა ღმერთმა მათ, არამედ სისხლის სიწმინდის გამო“ (საქმ. 15:19, 20, 29).

„იეჰოველები“ ასევე ბიბლიაზე დაყრდნობით ფიქრობენ, რომ სიწმინდე უკავშირდება იესო ქრისტეს მიერ დაღვრილ სისხლს, რომელიც ადამიანურ სიცოცხლეს წარმოადგენდა და კაცობრიობის სასარგებლოდ იქნა გაღებული, რომ სწორედ ეს არის ქრისტიანული იმედის საძირკველი. მისი წყალობით შეიძლება ცოდვების მიტევება და მარადიული ცხოვრების იმედი<sup>31</sup> (ეფეს. 1:7). ხოლო „იეჰოვას მოწმეები“ ასრულებენ ბიბლიურ მითითებას და მოითხოვენ უბრალო მკურნალობას, სხვა სისხლის შემცველი პრეპარატებით (საქმ. 15:29).

ზოგის თქმით, ღვთის მიერ სისხლის ჭამის აკრძალვა მხოლოდ სისხლის ჭამას ეხება, მაგრამ თვით სიტყვა „მოერიდეთ“ პირდაპირ აჩვენებს,

<sup>31</sup> სისხლი, რატომ არის ასე ძვირფასი. ჟურნალი „გამოიღვიძეთ“, 2008, აგვისტოს ნომერი, გვ. 10-12.



რომ ეს ასე არ არის. მათ ასეთი მაგალითიც მოაქვთ, თუ ექიმი გვეუბნება, რომ მოვერიდოთ ალკოჰოლს, ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მისი მიღება ვენიდან არის შესაძლებელი.<sup>4</sup>

რაც შეეხება ჩვენს ამქვეყნიურ ცხოვრებას აქ, იელოველთა მტკიცებით, პირველ რიგში უნდა გვიყვარდეს ღმერთი იეჰოვა გულითა, სულითა, გონებითა და ძალითა ჩვენითა და მოყვასი ჩვენი, ვითარცა თავი ჩვენი. არ არსებობს ჩვენს შორის ეროვნების, რასის ან სოციალური მდგომარეობის გარჩევა (მრკ. 12:30, 31).

თქვენ ყოველთვის ხაზს უსვამთ, რომ არ ერევით, გვერდს უვლით პოლიტიკურ საქმიანობას. ეს დამოკიდებულება მქლავნდება ყველა ერში მყოფ ქრისტიან ძმებს შორის (იშველიებთ ამონარიდებს იოანეს სახარებაიდან 13:35 და იოანეს პირველი ეპისტოლეიდან 3:10-12) და შესაბამისად, იცავთ ნეიტრალურ პოზიციას და არ ერევით ერების პოლიტიკურ საქმეებში, ცდილობთ დაემსგავსოთ იესოს ადრინდელ მოწაფეებს, რომელთა შესახებაც მან თქვა: „ისინი არაამქვეყნიურნი არიან, როგორც მე ვარ არა-ამქვეყნიური“ (ინ. 17:11). ხაზს უსვამთ ღღეს გაგრცელებული ისეთი ამორალური საქმეებისაგან თავის არიდებას, როგორიცაა: სიცრუე, ქურდობა, მრუშობა, სიძვა, ჰომოსექსუალიზმი, სისხლის ბოროტად გამოყენება, კერპთაყვანისმცემლობა და სხვ. (მიუთითებთ I კორ. 6:9-11; ეფეს. 5:3-5; საქმ. 15:28, 29).

და კიდევ ერთ თქვენს თავისებურებას მინდა გავუსვა ხაზი – ესაა თქვენი კარდაკარ სიარული, რათა ადამიანებს შეატყობინოთ იმ ერთადერთი ნაპოვნი გზის შესახებ, რომელმაც ისინი ღვთის სასუფეველში უნდა მიიყვანოს. ეს იმ დროს ხდება, როდესაც ვვანგელისტები, ადვენტისტები და სხვა დენომინაციების წარმომადგენლები კარდაკარ არ დადიან.

თავის ერთ-ერთ წიგნში მკვლევარმა ჯონათან ტურლიმ საინტერესო ფაქტი აღნიშნა: „იეჰოვას მოწმეების“ ხსენებაზე ხალხს მაშინვე თვალწინ წარმოუდგება მქადაგებელი, რომელიც არახელსაყრელ პირობებშიც კი ქადაგებს კარდაკარ. მისი თქმით: „იეჰოვას მოწმეები“ კარდაკარ უბრალოდ იმიტომ კი არ დადიან, რომ ხალხი თავიან რწმენაზე მოაქციონ, არამედ იმიტომ, რომ ეს მათი რწმენის არსია“.<sup>5</sup>

\* \* \*

თითქმის ყველაფერი, რაც ძირითადად მიმაჩნდა „იეჰოვურ მოძღვრებაში“, ვთქვი. თუმცა, შეიძლება, ამ მხრივ კიდევ ღიდხანს შეიძლება გამეგრძელებინა საუბარი და სხვა ნიუანსებსაც შევხებოდი, რაც განასხვავებს „იეჰოველთა“ მოძღვრებას ტრადიციული ორთოდოქსული ღვთისმეტყველებისაგან, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ამ ერთი საუბრისათვის ესეც

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> Cato Supreme Court Review. 2001, 2002.

საკმარისია. ახლა, ისღა დამრჩენია, ვთქვა, თუ რამდენად ობიექტურად და მისაღებად ვთვლი ამ პრინციპებს ორთოდოქსულ ქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან, დოგმატებთან და რელიგიურ პრაქტიკასთან მიმართებაში. რამდენად შეესატყვისება ბიბლიის ეს ახალი, „იეპოვური“ ინტერპრეტაცია ტრადიციულ ღვთისმეტყველებას, „საღმრთო წერილის“, ეკლესიის მამების ან უფრო გვიანდელი ღვთისმეტყველების ნააზრევს.

ალბათ, დამეთანხმებით, რომ ყოველივე ის, რასაც აქ შევეხე, ორთოდოქსულ ქრისტიანულ მოძღვრებაში სრულიად სხვაგვარად არის გაგებული და ახსნილი, დასაბუთებული და ინტერპრეტირებული.

ამ განსხვავებულ მომენტებზე და განსხვავებულ ხედვაზე, ყოველ მის ნიუანსზე რომ ვისაუბრო, ალბათ ძალიან შორს წავალ, რისთვისაც არანაირი დრო არ გვეყოფა და დღეს ეს სულაც არ არის ჩვენი შეხვედრის ძირითადი მიზანი. წინასწარ მხოლოდ ერთ რამეს ვიტყვი, ყოველივე ის, რაც „იეპოვურ“ სიახლედ ცხადდება, ბევრ ადამიანში დიდ დაეჭვებას და მრავალ კითხვას აჩენს. უმრავლესობისათვის კი ეს სიახლენი ძირშივე მცდარი და მიუღებელია. აქ არ მინდა ყურადღება გავამახვილო ბიბლიის განსხვავებულ თარგმანზე, არასწორად გაგებულ და ახსნილ ცალკეულ დებულებებზე. ეს, ალბათ, სხვა, ცალკე შეხვედრის დროს შეიძლება გახდეს დავისა და განხილვის საგანი.

გარდა ამისა, მე მაინც ვფიქრობ, რომ ღვთისმეტყველურ საკითხებზე თვითონ ღვთისმეტყველებმა უნდა იკამათონ. მათ უნდა გააკრიტიკონ მათთვის მიუღებელი რელიგიური დებულებები და დაასაბუთონ საკუთარი მოსაზრებების ჭეშმარიტება. რასაკვირველია, მეც შემეძლო ამ საკითხებთან დაკავშირებით ჩემი საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა, ავტორიტეტული წყაროების დასახელება, განსაკუთრებით ისეთ უმნიშვნელოვანეს დოგმატზე, რასაც სამება ჰქვია. მაგრამ ამჯერად ამისგან თავს შევიკავებ.

დღევანდელ შეხვედრაზე მე სხვა კუთხით მინდა წავიდე და სხვა მიმართულებით გაგახედოთ. პირველ რიგში თქვენს ეროვნულ კუთვნილებას, ქართველობას შევეხო. სხვაგვარად რომ ვთქვა, დავსვა კითხვა — თუ რამდენად უწყობს ან უშლის ხელს „იეპოვური“ მოძღვრება ჩვენს ეროვნულ იდენტობას, ჩვენი ეროვნული მეობის შენარჩუნებას და განვითარებას. ჩვენთვის, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩაგარდნილი ხალხისათვის, ეს პრობლემა ძალზე მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

არ დავმალავ, საკითხი ძალზე მწვავედ და რადიკალურად დგას — რამდენად ხართ თქვენ ქართველები? ეს მძიმე შეკითხვა იმიტომ გაჩნდა, რომ თქვენმა მოძღვრებამ ფაქტობრივად ხაზი გადაუსვა ყველაფერ იმას, რაც აქამდე შეუქმნია ქართულ ცნობიერებას, ეროვნულ კულტურას, რომელიც ძირითადად ქრისტიანული შინაარსისაა და რომელსაც უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია არა მხოლოდ ჩვენს ყოფაში, ტრადიციებში, წეს-ჩვეულებებსა თუ ცხოვრების წესში, არამედ ზოგადად მთელს საკაცობრიო კულტურაში.

გულახდილად გეტყვი, რომ ისეთი რწმენა, რომელიც მაიძულებს უარი ვთქვა ჩემს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფასეულობებზე, ჩვენს ისტორიულ წარსულზე – ჩვენს ჯვარსა და სიონზე, სამთავისზე და ბაგრა-ტზე, გელათსა და მოწამეთაზე, ალავერდსა და გრემზე, ატენსა და ნიკორ-წმინდაზე, ჩვენს მეტეხსა და სამებაზე, დიდებულ საგალობლებზე, უბრწყინვალეს ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაზე, უმდიდრეს ტრადიციებზე, წეს-ჩვეულებებზე, მთლიანად იმ სულიერ კულტურაზე, რამაც შექმნა და ჩამოაყალიბა ქართველი კაცის ისტორიული ტიპი, ქართველთა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ცხოვრების წესზე, ჩემთვის პირადად, როგორც ერთი ქართველისათვის, მიუღებელია.

ასეთი ტიპის რელიგიურ მოძღვრებას, წესით, ჩვენთან ფეხი ვერ უნდა მოკეიდებინა, მაგრამ მისი გაგრძელების მიზეზთა ძებნასა და ანალიზს ახლა არ შეეუდგები; ვიტყვი მხოლოდ მთავარს, რომ: თუ ასე გაგრძელდა, ჩვენი ეროვნული მეობისა და იდენტობის შენარჩუნება ძალზე გაგვიჭირდება. სრულიად შესაძლებელია, რომ ჩვენ გლობალიზაციის მძიმე და მრუმე ტალღებმა მთლიანად წაგვლეკოს.

ამიტომ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ თითქმის ოცი საუკუნეა ქრისტიანები, მართლმადიდებლები ვართ. გვახსოვდეს, რომ ჩვენთან ქრისტიანობა ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში იქადაგეს ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა, რომ უფრო გვიან, მეოთხე საუკუნეში მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს ქადაგების შედეგად საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად იქცა.

ცხადია, ისიც კარგად ვიცით, რომ ქრისტიანობა ქართველთა წიაღში არ წარმოშობილა, ის სხვაგან გაჩნდა და ჩვენთან შემდეგ შემოვიდა, მაგრამ, იმ ისტორიის მიხედვით, რაც მან განვლო საქართველოში, იგი ყოველთვის ეროვნულ რელიგიად აღიქმებოდა. სწორედ მისი დროშით ვცხოვრობდით და ვიბრძოდით, მისი რწმენით შევინარჩუნეთ ის, რასაც ქართველობა ჰქვია. ისტორიამ იცის მრავალი, ჩვენზე მრავალრიცხოვანი და უფრო დიდ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი, ქვეყნები, რომლებიც აღიგაგნენ მიწის პირისაგან, და თუ ჩვენ დღესაც ვარსებობთ და ვაგრძელებთ ბრძოლას, ამაში დიდი დამსახურება სწორედ ჩვენს ქრისტიანობას, ჩვენს მართლმადიდებლურ რწმენას მიუძღვის, რომელიც ყოველთვის მოგვიწოდებდა, არ მიგველო სხვათა რწმენა, არ „გავთათრებულებით“ და შეგვენარჩუნებინა ჩვენი რელიგია და ქართველობა.

კარგად ამბობს ამის შესახებ ჩვენი ერთ-ერთი გამორჩეული კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია), რომ: „... საუკეთესო მატარებელი და დამცავი ეროვნული იდეალებისა არის ეროვნული ეკლესია ...ხალხი მჭიდროდ უკავშირებს ერთმანეთს ეკლესიას და სამშობლოს, ვინაიდან ის მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში იცავდა თავის სამშობლოს, მაგრამ ქრისტეს ჯვარსაც ხელიდან არ უშვებდა. ის სისხლს ღვრიდა სარ-

წმუნობის, სამშობლოს დაცვისათვის, მაგრამ სარწმუნოების დაცვაში ხელადა უსათუოდ მამულის დაცვასაც. ეს მას შესისხლხორცებია, გახდომია ჭეშმარიტებად და აუცილებელ მოთხოვნილებად. ახლაც ამნაირია ხალხის ფსიქოლოგია და როგორ გინდათ ამოგლიჯოთ ეს ხალხის გულიდან. მრავალი საუკუნის განმავლობაში ამ მისი (ცხოვრების) ღრმად ჩაერილ საძირკველზე, მას აუშენებია მკვიდრი შენობა თავისი ეროვნული ცხოვრებისა და შექმნების და როგორ გნებავთ ახლა ეს საძირკველი გამოუვცვალოთ ამ დიად შენობას და ჩაუყაროთ ახალი ამავე სიღრმეში? მოსახერხებელია განა ამნაირი ცდა, საძირკველის გამოცვლა არ შეარყევს თვის შენობას? თუ ეს მოსახერხებელია და სამომაროც არ არის, მაშინ გკითხავთ, ამ ახალ საძირკველს გამაგრებისათვის რამდენი საუკუნის განუწყვეტელი მედგარი შრომის განმეორებაა საჭირო ხალხისათვის? ვისთვის ან რისთვის არის ეს საჭირო, სასურველი? ასე იტყვიან ისინი, ვინც ხალხს ართმევენ სარწმუნოებას, ეროვნულ შენობას უნდათ გამოაცალონ ბურჯი, რომელზეც ის აშენებულია....

ვემსახუროთ თავისუფალ ეროვნულ ეკლესიას და ის მოგვცემს ძალას, შევანახვიოთ ჩვენს ხალხს ეროვნული სახე და თავისუფლება. ეროვნული ეკლესიის თავისუფლება გულისხმობს ეროვნულ თავისუფლებასაც“.

ეს სიტყვები ამბროსი ხელაიამ, რომელიც მოგვიწოდებდა შემოკრებილიყავით ეროვნული ეკლესიის გარშემო, წარმოთქვა სულ სხვა დროსა და სხვა ვითარებაში, როცა ტრადიციულ, ეროვნულ ეკლესიას ბოლშევიკური საფრთხე დაემუქრა, მაგრამ იგივე კითხვები და წუხილი ჩნდება „იეჰოვას მოწმეების“ და სხვა მისი მსგავსი რელიგიური დენომინაციების მიმართ, რომლებიც ცდილობენ დაუპირისპირდნენ მართლმადიდებლობას, საუკუნეთა მანძილზე ნაფერებსა და ნაზარდს, ეროვნულ რანგში აყვანილ სარწმუნოებას, მის საფუძველზე აღმოცენებულ ცხოვრების წესსა და მის მაგივრად დანერგონ სულ სხვაგან, სხვა საფუძველზე და ნიადაგზე გვიან აღმოცენებული რელიგია, რომელსაც არანაირი კავშირი არა აქვს ქართველთა ცხოვრებასთან, მის მიზნებსა და ამოცანებთან, ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებთან, ცხოვრების წესთან.

ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ერთი ამბავი, რომელიც ათიოდე წლის წინ მოხდა. რაჭაში, კურორტ უწერაში არსებული სანატორიუმი ზაფხულში იქირავა ამერიკული წარმოშობის ერთ-ერთმა დენომინაციამ. მისი წევრები ძირითადად ქართველები იყვნენ, მაგრამ, როდესაც მათი რიტუალები სრულდებოდა რაღაც განსხვავებული, ჩვენთვის უჩვეულო მუსიკალური გაფორმებით, იფიქრებდით, რომ სადღაც შორს, სულ სხვა ქვეყანაში მოხვდით. იმ ზაფხულს თითქოს შეცბუნებული იდგა სანატორიუმის ტერიტორიაზე არსებული XII საუკუნის მართლმადიდებლური ტაძარი და 800-წლოვანი უზარმაზარი ცაცხვის ხეები. არ დაგიმალავთ, რაღაც უცნაური გრძნობა დამეუფლა, თითქოს ვიდაცამ რაღაც ძალიან

ძვირფასი, ახლობელი და შშობლიური წამართვა. ეს გრძნობა მას შემდეგაც ვერაფრით ვერ დავივიწყე.

ჩემო ძვირფასო დებო და ძმებო! ჩვენ პატარა ერი ვართ. გულშემატკივარი ნაკლებად გვყავს, შეიძლება ვთქვათ, რომ ობლები ვართ. ამიტომ, მეტი გონიერება და სიფრთხილე გვმართებს. როგორც ზემოთ ვთქვი, ისტორიულმა ქართველებმა მრავალი ხალხი დაღუპა და გადააგვარა. ჩვენ, ღვთის მადლით, გადავრჩით, მაგრამ განსაცდელი და გაქრობის საფრთხე მართო წარსულში როდი იყო. ცხოვრება მეტად მძიმეა, ადამიანთა მოდგმის ისტორია მოულოდნელობითაა სავსე. ეს საფრთხე გლობალიზაციის ასეთი სწრაფი გავრცელების პირობებში უფრო საშიში გახდა. გარდა ამისა, ძალიან ცუდ გარემოში გვიწევს ცხოვრება. ჩვენი მეზობლები ჩასაფრებულნი არიან, ხარბად უცქერიან ჩვენს ტერიტორიებს, რომლის 20 პროცენტიც, იმედი ვიქონიოთ, რომ დროებით, მაგრამ დაკარგული გვაქვს. ასეთ პირობებში ეროვნული ინტერესების დაცვაზე რელიგიური მოტივით უარის თქმა, რასაც „ეპოვას მოწმეები“ აკეთებენ, დამღუპველია.

მართალი გითხრათ, არ ვიცი – რამდენად საჭიროებთ ან რამდენად მიიღებთ ჩემს რჩევას, მაგრამ მაინც გეტყვი, ალბათ, აჯობებდა თუ უფრო მეტს იფიქრებდით თქვენს ეროვნულ წარმომავლობაზე – ქართველობაზე, იმ ტრადიციებსა და ფასეულობებზე, რაც ქართველ ხალხს საუკუნეთა მანძილზე შეუქმნია, რათა ასე ხელაღებით არ უარგეყოთ ჩვენი ეროვნული ენერჯით და სისხლით შექმნილი კულტურული მემკვიდრეობა.

ის, რომ თქვენ განსხვავებულ, გაუცხოებულ ქართველებად იქცით, უკვე ფაქტია; თუმცა ისიც საკითხავია: ხართ კი საერთოდ ქართველები? თქვენ უკვე სხვანაირად გლოვობთ და დღესასწაულობთ, სხვანაირი ცხოვრების წესი გაქვთ და სხვა ფასეულობებს აყენებთ წინ. ჩვენ ახლა იმის ფუფუნების საშუალება ნამდვილად არა გვაქვს, რომ ისედაც დასუსტებული საქართველო კიდევ უფრო დაუაქუცმაცოთ, სხვადასხვაგვარად მოაზროვნე ჯგუფებად დაეყოთ, რომელთაც მიზნებიც განსხვავებული ექნებათ.

ხომ ხედავთ, ჩვენს ირგვლივ მყოფნი ყველაფერს გვედავებიან – მამულს, სახლებს, ცას და მიწას, ჩვენ წილ შხესა და მთვარეს. ხომ გვახსოვს, მრავალზე მრავალი საუკუნე იბრძოდა ებრაელი ხალხი იმისათვის, რომ თავისი მრავალი საუკუნის წინ დაკარგული ქვეყანა აღედგინა, თავისი მუდმივი სახლი ჰქონოდა და დიდი მცდელობით აღადგინა კიდევ. ჩვენ სამშობლო გვაქვს და ასე უდიერად რატომ ვექცევით, რატომ არ ვუფრთხილდებით მას. ერთხელ უკვე ვწერდი ამის შესახებ, რომ არაუარს არ არის უსამშობლო ადამიანზე საცოდავი. რატომ ჩავდივართ ამ საქმეს?


თქვენ რიცხვი საკმაოდ გაიზარდა, თქვენს თანამორწმუნებს სადღა არ შევხვედრივარ, საქართველოს თვით ყველაზე შორეულ რაიონებსა თუ სოფლებშიც კი. თქვენს გარდა, ასე კარდაკარ არცერთი რელიგიური დენომინაცია თუ ჯგუფი არ დადის. რასაკვირველია, გაოცებას იწვევს თქვე-



ნი ორგანიზებულობა და მონდომება, რომლითაც „იეპოველთა“ რიგების გაზრდის ამოცანას ასრულებთ. მაგრამ, ალბათ, აჯობებდა ეს თქვენი მონდომება სხვა საქმეში, სამშობლოსთვის ერთგულებაში გამოგეხატათ. უფრო მეტად გყვარებოდით საქართველო და გეფიქრათ მის მომავალსა და კეთილდღეობაზე, ნაკლები გეფიქრათ არმაგედონზე, რომელსაც აგერ უკვე მერამდენედ წინასწარმეტყველებთ და იგი არა და არ დგება.

ალბათ, უნდა დავაფასოთ ჩვენი სულიერი და ეროვნული ფასეულობები, შევიკრათ ერთ მუჭად, რათა გადავრჩეთ, გლობალიზაციის მძიმე და მრუშე ტალღებს გავუძლოთ, გადავარჩინოთ და შევინარჩუნოთ ეროვნული სახე და ჩვენი მეტად საინტერესო, თვითმყოფადი და საუკუნეების მანძილზე რუდუნებით შექმნილი კულტურა.





თეიმურ მირინანაშვილი

## **მორალური შეფასება დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციებისა**

ივანე ჯავახიშვილი „ქართული სამართლის ისტორიაში“ წერს, საქართველოში ჯალათის პროფესია არ არსებობდა, ანუ ისტორიულად ჩვენში არ ყოფილან ადამიანები, ვისაც ხელობად ექნებოდათ სიკვდილისჯილთა მოკვდინება. გასაოცარი ფაქტია! და ეს ფაქტი, ივანეს აზრით, იმით აიხსნება, რომ ჩვენს სახელმწიფოში სასიკვდილო განაჩენი უაღრესი იშვიათობა იყო. ივანე ჯავახიშვილი სიკვდილით დასჯის მეთოდებსაც განიხილავს და წერს, რომ საქართველოში გავრცელებული იყო მხოლოდ ჩამოხრჩობა და თავის მოკვება, ანუ მოკვდინების ყველაზე მსუბუქი და ჰუმანური წესები: სიკვდილის წინ კაცის წამება, რაოდენ საშინელი დანაშაულიც არ უნდა ჰქონოდა მას ჩადენილი, ჩვენში არ ყოფილა მიღებული.

დასავლეთის ქვეყნებში დღეს ურყევად დამკვიდრებულია აზრი, რომ ამა თუ იმ ხელისუფლების, ხალხის ჰუმანურობის და ცივილიზებულობის ერთი უმთავრესი საზომი არის ის, თუ რაოდენ ხშირად ან იშვიათად გამოაქვთ იმ ქვეყანაში სასიკვდილო განაჩენი და რამდენად უმოწყალო თუ ლმობიერი წესით ადასრულებენ მას. სიკვდილით დასჯის იშვიათობა მიანიშნებს არა მხოლოდ ხელისუფალთა ჰუმანურობაზე, არამედ მოქალაქეთა, მათი უდიდესი უმრავლესობის ადამიანურ ღირსებებზეც; თუ ქვეყანაში ისტორიულად ნაკლები იყო სიკვდილით დასჯის შემთხვევები, ეს უტყუარი საბუთია იმისა, რომ ამ ქვეყანაში ნაკლებად არსებობდა დანაშაული, პირველ ყოვლისა, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი. ხოლო დანაშაულის იშვიათობა დასტურია ეკონომიკური კეთილდღეობის, სხვადასხვა საზოგადოებრივ ფენათა ურთიერთგამტანობის, შემწყნარებლობის და ცალკეულ ადამიანთაგან ერთმანეთისადმი ადამიანურად მოპყრობისა.

დასავლეთის ქვეყნებში ის აზრიც სრულიად უეჭველად არის დამკვიდრებული, რომ ჰუმანურობის ყველაზე მაღალ დონეს მიაღწია მათმა ცივილიზაციამ — დასავლურმა ცივილიზაციამ და რომ ეს მტკიცდება არა მხოლოდ თანამედროვე ვითარებით, არამედ ისტორიულადაც. დასავლეთ

ევროპელები და ჩრდილოამერიკელები, რასაკვირველია, ვერ უარყოფენ, რომ მათ წარსულში უამრავი ჯოჯოხეთური ფაქტია, მაგრამ ისინი ამგვარად მსჯელობენ: ყველაფერი შედარებითია, აღმოსავლეთთან შედარებით დასავლეთი შემწყნარებლობის, სიკეთის, სიქველის, საერთოდ, ადამიანურობის ყოველგვარი გამოვლინების ეტალონად უნდა მიიჩნეს.

საკითხავია, სად გადის საზღვარი დასავლეთსა და აღმოსავლეთ შორის? რომელი ტერიტორიები უნდა მიეკუთვნოს ერთს და რომელი მეორეს? ეს სამყაროები ხომ არავის არასოდეს გაუმიჯნავს სადემარკაციო ზოლით. ამ საკითხზე მხოლოდ ჩვენ, ევროპის აღმოსავლეთი ნაწილის მკვიდრნი ვმსჯელობთ და ვპაექრობთ. დასავლელთათვის ყველაფერი ნათელია, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილია: აღმოსავლეთი არის ევროპის ის ქვეყნები, სადაც მართლმადიდებელი ერები ცხოვრობენ, ხოლო დასავლეთი — ქვეყნები დასახლებული კათოლიკეებითა და პროტესტანტებით.

ვერავინ ვერაფრით შეძლებს, ეჭვი შეატანინოს დასავლელებს ორი სამყაროს ამგვარად გამიჯვნის საფუძვლიანობაში, ისევე როგორც ვერავინ აფიქრებინებს, წუთითაც კი ვერ დაამეგობინებს მათ აზრს იმის თაობაზე, რომ აღმოსავლეთი ადამიანურ ღირებულებათა მიღწეული დონით შეიძლება თუნდაც შეედაროს დასავლეთს. მაგრამ თუ ეს ასეა, ხოლო ჰუმანურობის ერთ-ერთი უმთავრესი საზომი არის სიკვდილით დასჯის სიხშირე — სიიშვიათე და მისი აღსრულების ღმობიერება-უღმობლობა, რით უნდა აიხსნას, რომ ევროპის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვართან მდებარე საქართველოში სიკვდილით ძალიან იშვიათად სჯიდნენ და თუ მაინც სჯიდნენ — ძალიან ღმობიერი წესით, დასავლეთ ევროპაში კი დღეს მიახლოებითაც ვერ ანგარიშობენ, რამდენი მილიონი ადამიანი (თანაც უფრო მეტად, ქალები და არაიშვიათად ბავშვები, მათ შორის ორი-სამი წლისანიც) გაჟლიტა ინკვიზიციის სასამართლომ ან „კაროლინამ“ და მისმა მსგავსმა სხვა კანონთა წიგნებმა? ხოლო სიკვდილის წინ ადამიანის წამებაში, ალბათ არც ერთი სხვა ცივილიზაციის წარმომადგენლებს არ გამოუვლენიათ კათოლიკეთა და პროტესტანტთა დარი გამოძვინებლობა, ფანტაზია და, თუ გნებავთ, მოთმინების უნარიც; ადვილი საქმეა — მრავალი საათის, დღის, ზოგჯერ კი კვირების მანძილზე ელოდე, როდის ამოხდის სულს სიკვდილმისჯილს სასტიკი, მაგრამ ნელი წამება?!

პასუხი ამ კითხვებზე, ერთი შეხედვით, ადვილი მისაკვლევია. საქართველო არის ძალიან პატარა ქვეყანა, ქართველების ხვედრითი ოდენობა მართლმადიდებლობის მაღიარებელთა შორის 1,5 პროცენტსაც კი არ შეადგენს. ამიტომ მართლმადიდებლური სამყაროს მახასიათებელ თვისებებზე დაფიქრებულ დასავლელ ადამიანს, საქართველო შეიძლება, უბრალოდ, გამორჩეს მხედველობიდან, ან არ მიიღოს მხედველობაში მოსახლეობის რიცხობრივი უმნიშვნელობის გამო. მით უმეტეს, რომ მთელს მსოფლიოში მცხოვრებ მართლმადიდებელთაგან ორმოცდაათი პროცენტი

რუსია. რუსეთს კი — პირდაპირ უნდა ითქვას — ყველაზე სახელგატეხილი ისტორია აქვს საქრისტიანო სამყაროში. თითქმის არავინ (მათ შორის არც თავად რუსთა უმრავლესობა) არ დაუობს, რომ ქრისტიანულ სახელმწიფოთაგან არც ერთს არ ჰქონია ისეთი ბნელი და ობსკურანტული წარსული, როგორც რუსეთს.

ვიმეორებ, ეს აზრი თითქმის საყოველთაოდ მიღებული და აღიარებულია. ალბათ, არც ამის მტკიცება იქნება გადაჭარბებული: ასეთი აზრი მართლმადიდებელ რუსთა ისტორიაზე ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი საქრისტიანო სამყაროს და არა მხოლოდ მას — არასაქრისტიანოსაც. მოდადაც კია ქცეული მსჯელობა ძველი (და არცთუ მაინცდამაინც ძველი) რუსული სინამდვილის, ყოფის შავბნელ და ველურ ხასიათზე. რადღირს თუნდაც ივანე მრისხანე! ყველა ღროის ქრისტიან ხელმწიფეთაგან ყველაზე სისხლისმსმელ სადისტად შერაცხული. ისტორიკოსებს გამოთვლილი აქვთ, რომ მისი ორმოცწლიანი მეფობის ყოველ წელიწადს იგი საშუალოდ ას კაცს აგზავნიდა ემაფოტზე. ივანე მრისხანის „იმიჯი“, ისევე, როგორც საზოგადოდ რუსეთის ისტორიისა, შეუვალი და ურყევა: მის დარი ჯალათი თუ საერთოდ ისტორიას არა, საქრისტიანოს ისტორიას თურმე ნამდვილად არ ახსოვს!

მაგრამ საქმე ის არის, რომ ივანე მრისხანის ეპოქაში ცხოვრობდა იმპერატორი კარლოს V, რომელმაც გერმანიაში ასოცი ათასი ადამიანი დასაჯა სიკვდილით, თავის უმცროს თანამედროვეზე — რუსეთის მეფეზე ოცდაათჯერ მეტი! კარლოს მეხუთემ დაახლოებით ოცდაათი წელი იმეფა. მაშასადამე, წელიწადში თითქმის ოთხი ათას კაცს გზავნიდა ემაფოტზე, ანუ ყოველწლიურად იმდენს, რამდენიც მთელი თავისი ტახტზე ჯდომის მანძილზე გაგზავნა ივანე მრისხანემ. მაგრამ კარლოს მეხუთეს რატომდაც არ აქვს ივანე მრისხანისებურ საშინელი სახელი. ისტორიკოსთა წრის გარეთ იგი თითქმის მივიწყებულია. რიგით ადამიანთაგან დღეს იშვიათს თუ სმენია რაიმე მის შესახებ. მისგან განსხვავებით, ინგლისის მეფე ჰენრი მერვე, ივანე მრისხანის კიდევ ერთი ასაკით უფროსი თანამედროვე, დღემდე ინარჩუნებს „პოპულარობას“. მასზე ბევრს წერენ, იღებენ მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებს. მაგრამ არც მას დაუმკვიდრდა, ივანე მრისხანის მსგავსად, ჯალათისა და სადისტის სახელი, თუმცა მანაც რუს კოლეგებზე ბევრჯერ მეტ ადამიანს მოუსწრაფა სიცოცხლე — დაახლოებით 70 ათასს. ჰენრი მერვის უმცროსმა ასულმა და მემკვიდრემ, ელისაბედ პირველმა 20 ათასამდე ადამიანი დაასჯევინა სიკვდილით. იგი პროგრესულ მეფედ შევიდა ისტორიაში. ელისაბედ პირველის რეპრესიები დღემდე მართლდება მის წინაშე მდგომი დიადი სახელმწიფოებრივი ამოცანებით.

ელისაბედის დამ, ჰენრი მერვის უფროსმა ასულმა, მარიამ პირველმა თავისი ძალიან ხანმოკლე მეფობის ხანს მოასწრო სიკვდილით დაესაჯა ივანე მრისხანეზე გაცილებით მეტი ადამიანი. მაგრამ მარიამ პირველი

(ისევე როგორც მისი მეტსახელი — „სისხლიანი“) დღეს მივიწყებულია. პირველი ადგილი მსოფლიოს ყველაზე სისხლიანი ჯალათების არასაკაპტო კვარცხლბეკზე იფანე მრისხანეს რჩება.

კარლოს V სიცოცხლის მიწურულს გადადგა, უარყო ტახტი და ბერად აღიკვეცა, მაგრამ დარჩა მის მიერ შექმნილი წიგნი „კაროლინა“ — კანონთა კრებული, რომელსაც მომავალი ორნახევარი საუკუნის განმავლობაში, XIII ს-ის მიწურულამდე ეყრდნობოდა კათოლიკური და პროტესტანტული სისხლის სამართალი და რომელიც პრაქტიკულად ყველა დანაშაულისთვის ერთადერთ სასჯელს ითვალისწინებდა — სიკვდილს მხეცური წამებით. XVII საუკუნეში ერთმა გერმანელმა მოსამართლემ, გვარად ფონ კარპცოვმა, „კაროლინის“ საფუძველზე, ოცი ათასი სასიკვდილო განაჩენი გამოიტანა. ყოველდღე რომ თითო ადამიანისთვის მიესაჯა სიკვდილი ფონ კარპცოვს უქმეებზე დაუსვენებლად, ორმოცდათვრამეტი წელიწადი დასჭირდებოდა ამდენი ხალხის ეშაფოტზე ასაყვანად.

...ვასული საუკუნის ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში, როცა ყველა დასავლურისადმი კერპთაყვანისმცემლური ქედისმორეკით დააუდგა, საქართველო და არა მხოლოდ საქართველო, მთელი საბჭოთა კავშირიც, სოციალისტური ევროპაც, როცა ყველას, ან თითქმის ყველას გვწამდა, რომ დასავლეთში არ არსებობს არაფერი არაიდეალური და აწმყოთიც, წარსულითაც ის სამყაროს მიბაძვისა და შთაგონების ერთადერთი წყაროა, ამ სტრიქონების ავტორს რამდენიმე კითხვა აეკვიატა: რით აიხსნება ის პარადოქსი, რომ იფანე მრისხანეს აქვს ყველაზე სისხლიანი მეფის სახელი, თუცა დასავლელმა მეფეებმა — ზემოხსენებულებმაც და მრავალმა სხვამაც — შეუდარებლად მეტი სისხლი დაღვარეს? ან ის პარადოქსი რით უნდა აიხსნას, რომ ადამიანის წამების „ხელოვნება“ კათოლიკეებმა და პროტესტანტებმა „სრულყოფილების“ უმაღლეს საფეხურებამდე აიყვანეს, ბრალი კი ამაშიც უფრო მართლმადიდებელ ხელისუფლებს ედებათ, რომლებიც მხოლოდ უნიჭო და უფანტაზიო ეპიგონ-პლაგიატორები იყვნენ თავიანთი დასავლელი კოლეგების, აგრეთვე, ინკვიზიციის მესვეურებისა?

XX საუკუნის ოთხმოციანი წლების მიწურულს ისტორიული ნაშრომების, სახელმძღვანელოების და ენციკლოპედიების გაცნობამ კიდევ ერთი პარადოქსული კანონზომიერება დამანახა. ბოლო დროს ენციკლოპედიაში არაფერია ნათქვამი კარლოს მეხუთის, ჰენრი მერვის და მრავალი სხვა მათნაირი კათოლიკე თუ პროტესტანტი მეფის მიერ დაღვრილ სისხლზე. ხოლო ისტორიული გამოკვლევები და სახელმძღვანელოები მკითხველს უხსნიან, რომ სისხლისღვრა, რასაკვირველია, ცუდია, მაგრამ დასავლელი მეფეები იბრძოდნენ სეპარატიზმის, სახელმწიფო გადატრიალებებისა და დესტაბილიზაციის წინააღმდეგ. ბრძოლას კი, სამწუხაროდ, ახლავს სისხლისღვრა... ვეცნობოდი ამ მასალას და მებადებოდა კითხვა: ნუთუ მართლმადიდებელ ხელისუფალთა წინაშე არასდროს მდ-



გარა ამგვარი პრობლემები? ნუთუ ისინი მხოლოდ და მხოლოდ გერიტები-  
ვით უწყინარ და უმანკო ხალხს სჯიდნენ?

ეს კითხვაც მეზადებოდა: რატომ გაქრა ბოლო ათწლეულებში გამოცე-  
მული ენციკლოპედიებიდან ბენედიქტ ფონ კარპცოვის ხსენება? თითქოს  
არასდროს ეარსებოს მას აქვეყნად და არც, ალბათ, ყველა დროის სამარ-  
თალწარმოების რეკორდი დაემყარებინოს ოცი ათასი სასიკვდილო განაჩე-  
ნის გამოტანით.

დიდხანს ვერ მივაკვლიე ამ პარადოქსების მიზეზს. ამიტომ უბრალო  
გაუგებრობის შედეგად ჩავთვალე. მხოლოდ წლების შემდეგ მივხვდი, რომ  
„პარადოქსს“ დიდი პოლიტიკა სდებია სარჩულად, პროპაგანდის საათი-  
ვით აწყობილი და ძალიან შორსგამიზნული მექანიზმისგან ყოფილა წარ-  
მოშობილი.

თვით ამ პოლიტიკურ სარჩულზე და პროპაგანდის მექანიზმზე დაფიქრე-  
ბამ კი გამაცემინა პასუხი იმ კითხვაზე, რომელსაც ოთხმოციანი წლების  
მიწურულიდან ყველაზე ხშირად ვუსვამთ ჩვენს თავს ქართველები: რამ  
დაგვატეხა თავს ეროვნული ტრაგედია? მკითხველს, შეიძლება ხელოვნუ-  
რად და ნაძალადევად მოეჩვენოს ბოლო წლების ქართული უბედურების  
დაკავშირება მართლმადიდებლურ და კათოლიკურ-პროტესტანტულ სა-  
მყაროში ისტორიულად დამკვიდრებული სიკვდილით დასჯის წესებთან.  
მით უმეტეს, ამ წესებზე დაკვირვების მეშვეობით, ჩვენი ერის წინაშე მდ-  
გომ ყველაზე მთავარ, ყველაზე მტკივნეულ კითხვაზე პასუხის მიღება,  
იქნებ, სრულიად დაუჯერებელი და ფანტასტიკურიც კი ჩანდეს. მაგრამ  
ვთხოვ მკითხველს, ნუ დაივიწყებს ჩემ მიერ უკვე მოთხრობილ ისტორი-  
ულ ფაქტებს, დააკვირდეს იმ ისტორიულ ფაქტებსაც, რომელთაც ქვემოთ  
მოვიტან...

ივანე მრისხანის ძის, თევდორეს სიკვდილის შემდეგ რუსეთის ტახტზე  
ავიდა ბორის გოდუნოვი, რომლის მეფედ კურთხევისას მოხდა განსაცვი-  
ფრებელი ფაქტი, უნიკალური ევროპის მთელი მანამდელი ისტორიისთვის.  
ბორის გოდუნოვმა დაიფიცა, რომ თავისი ხელმწიფობის პირველი ხუთი  
წლის განმავლობაში სიკვდილით არ დასჯიდა არავის, თვით ყველაზე  
სამინელ დანაშაულთა ჩამდენ ბოროტმოქმედებსაც კი! ანუ თანამედროვე  
ტერმინოლოგიას თუ ვიზმართ, მეფე ბორისმა სიკვდილის დასჯაზე ხუთ-  
წლიანი მორატორიუმი გამოაცხადა! ეს იყო 1598 წელს!

ევროპაში ამ დროს „კაროლინაზე“ დამყარებული სადისტური სისხ-  
ლის სამართალი მძვინვარებდა, გერმანიაში სწორედ ამ დროს დაიბადა  
იურისპრუდენციის მომავალი პროფესორი და შეთავსებით პრაქტიკოსი  
მოსამართლე ბენედიქტ ფონ კარპცოვი. თვით „კაროლინის“ გავრცელების  
არეალი კი უკვე შორს გასცდა გერმანიის საზღვრებს და დასავლეთ ევრო-  
პის თითქმის ყველა სახელმწიფოს კანონმდებლობას დაედო საფუძვლად.  
ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „კაროლინა“ მხოლოდ სისხლის სამარ-

თლის კოდექსი იყო. მის პარალელურად მოქმედებდა წმიდა ინკვიზიციის სასამართლო. და ისიც ასეულობით ათას რელიგიურ „დამნაშავეს“ წვაავდა კოცონზე. თუ ქალის თვალების ფერი, ყურების ან ნაკეთების ფორმა მის ეშმაკისეულ ბუნებას „ამხილებდა“, განაჩენი მზად იყო. სატანა თავის მოციქულებად რატომღაც პირველ რიგში ქალებს ირჩევდა. კოცონზე დამწვართა ოთხმოც პროცენტს ისინი შეადგენდნენ. თუმცა არც ნებისმიერი მამაკაცი იყო დაზღვეული, თუკი ინკვიზიცია სატანას შეიცნობდა მათს გარეგნობაში, ან თუ მის სახლში აღმოჩნდებოდა შავი მამალი ან თეთრი კატა, ანდა თუ მის სხვენში დამურები დაიბუდებდნენ...

აი, ასეთ დროს გამოაცხადა ბორის გოდუნოვმა ხუთწლიანი მორატორიუმი სიკვდილით დასჯაზე. და აღასრულა კიდეც! მაგრამ თუ ერთი მართლმადიდებელი მეფის, ივანე მეოთხის მრისხანება, მისი სისხლიანი რეპრესიები დღეს იცის ყველამ, ისტორიაში სრულიად გაუნათლებელმაც კი, მეორე მართლმადიდებელი მეფის, ბორისის მორატორიუმის შესახებ ბევრ განათლებულ ისტორიკოსსაც კი არაფერი სმენია.

აქვე ჩნდება მეორე და არანაკლებ უცნაური პარადოქსი. მეფეთაგან ძალიან ბევრია შესული ისტორიაში მეტსახელით. თუნდაც იგივე მეფე ივანე IV, რომელიც არასოდეს მოიხსენიება გარეშე მეტსახელისა „მრისხანე“. სამაგიეროდ, სრულებით მივიწყებულია, რა შეარქვა ხალხმა სხვა მართლმადიდებელ მეფეს ალექსის, რომელიც სამი ათწლეულის მანძილზე მართავდა რუსეთს მეჩვიდმეტე საუკუნეში. მას ეძახდნენ «Тишеиший»-ს, ანუ „უწყნარეს“, ღმობიერი და შემწყნარებელი ხასიათის გამო. მართალია, არაერთ ისტორიკოსს უცდია, დაემტკიცებინა, ალექსი ამართლებდაო რუსულ ანდაზას, რომ წყნარ გუბეში ეშმაკები ბუდობენ, მაგრამ ამ მეფის განსაკუთრებული სისასტიკის ფაქტები ვერავის მოაქვს.

ალექსის ძე, პეტრე პირველი, საყოველთაოდ აღიარებულია რუსეთის ყველაზე დაიდ მეფედ. ბუნებით იგი ივანე მრისხანეს უფრო ჰგავდა, ვიდრე უწყნარეს ალექსის. უეჭვოდ დადასტურებულია, რომ მან თვით ივანე მრისხანეზე მეტ ადამიანს მოუსწრაფა სიცოცხლე, მაგრამ პეტრეს „მიღწევები“ ამ საქმეში ვერც კი შეედრებოდა ევროპელი მეფეებისას.

პეტრეს ასულმა, იმპერატრიცა ელისაბედმა, საერთოდ, ევროპის ისტორიაში უპრეცედენტო რამ მოიმოქმედა: სამუდამოდ აკრძალა სიკვდილით დასჯა! და ეს იმ დროს, 1753 წელს, როცა ევროპელებს იდეის, თეორიის დონეზეც კი არ მიეღწიათ დამნაშავეთა არამოკვდინების მოთხოვნისათვის.

პოპულარული ისტორიოგრაფია, პუბლიცისტიკა, მთელი თანამედროვე საინფორმაციო საზოგადოებრიობა არც ამ ფაქტს ახმოვანებს. ეს ფაქტიც მიყრუებული და ანალეზში ჩარჩენილია.

შეიძლება, გვითხრან, რომ ელისაბედის გარდაცვალების შემდეგ სიკვდილით დასჯა განაზღვდა. მაგრამ განა უადრესად მნიშვნელოვანი არ არის თვით ფაქტი, სასამართლოსგან კაცის მოკვდინების აღმკვეთი

პირველი განკარგულების გამოცემისა, ევროპის ისტორიაში? იმავე XVIII საუკუნის სამოციან წლებში რუსეთის კიდევ ერთმა იმპერატორიცამ, ეკატერინე მეორემ დაადასტურა თავისი ერთგულება ელისაბედის კანონისადმი და ხელახლა აღკვეთა სიკვდილით დასჯა. მართალია, ეკატერინემ მალე თავადვე დაარღვია მის მიერვე ნაბრძანები, დაახოცინა ემელიან პუგაჩოვი და მისი რამდენიმე უახლოესი თანამზრახველი, მაგრამ ფაქტია, XVIII საუკუნის რუსეთში სიკვდილით დასჯა, როგორც კანონის ზომა, ათასჯერ ნაკლებად გამოიყენებოდა, ვიდრე იმავე დროის ევროპაში.

მკითხველთა შორის უთუოდ გამოჩნდებიან ისეთები, ვინც შემახსენებს, რომ ელისაბედი არ იყო პირველი ქრისტიანი მეფე, ვინც ადამიანის მოკვდინება აკრძალა. თამარ მეფის საქართველოშიც ზომ არავის სჯიდნენ სიკვდილით. ეს მაგალითიც ადასტურებს, რაოდენ მცდარია დღეს მოარული, თითქმის უალტერნატივოდ გაბატონებული შეხედულება, თითქოს ევროპელ (ანუ კათოლიკე და პროტესტანტ) მეფეთა მმართველობა უფრო ჰუმანური და შემწყნარებლური იყო, ვიდრე მართლმადიდებელი მეფეებისა.

ევროპელთაგან პირველი, ვინც სიკვდილით დასჯის კანონგარეშე გამოცხადება მოითხოვა, იყო ჩეზარე ბეკარია, რომელმაც 1766 წელს გამოაქვეყნა წიგნი ამის თაობაზე, ანუ მაშინ გამოაქვეყნა, როცა სამართლმადიდებლო სამყაროში უკვე იყო მაგალითები სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმის დაწესებისა, მისი აკრძალვებისა, ხოლო რუსეთში XVIII საუკუნის დამდეგიდან მრავალ მოაზროვნეს ჰქონდა გამოთქმული აზრი, რომ ადამიანის მკვლელობას არავითარი სასამართლო განაჩენი არ ამართლებს.

ბეკარიას ევროპაში მიმდევრები გამოუჩნდნენ. თუმცა აუცილებლად აღსანიშნავია, რომ არც ერთ მათგანს, თვით ბეკარიას ჩათვლით, სიკვდილით დასჯის მთლად აღკვეთა არ მოუთხოვია. იბრძოდნენ მხოლოდ ამ პრაქტიკის შესაზღუდად. თუ როგორი იყო ეს პრაქტიკა, ჩანს თუნდაც ერთი ისტორიული ფაქტიდან, რომლის შესახებაც წერდა ვოლტერი, თავისი დროის ყველაზე დიდი ინტელექტუალური ავტორიტეტი ევროპაში. ვოლტერი გამოეხმაურა თვრამეტი წლის მოახლე გოგონასთვის სიკვდილის მისჯას იმის გამო, რომ მან თვრამეტი ცალი ხელსახოცი მოპარა თავის ქალბატონს. ვოლტერი წერდა, სასამართლოზე დადგინდა, რომ ქალბატონი თვეების მანძილზე ხელფასს არ უხდიდა გოგონას და საჭმელსაც უმაღავდა. მოახლემ ხელსახოცები იმისთვის მოიპარა და გაყიდა, რომ შიშმილით არ მომკვდარიყო. არც ამ უსამართლო განაჩენის გახმაურებამ, არც ვოლტერის უზარმაზარმა გავლენამ არ უშველა საბრალო გოგონას. იგი ჩამოახრჩვეს.

ასეთი იყო შუა საუკუნეების ევროპა. თითქმის ყოველგვარი დანაშაულისთვის არსებობდა ერთადერთი სასჯელი — სიკვდილი! გინდ სამშობ-

ლოსთვის გელალატა დ გინდ ქათამი მოგეპარა, გინდ კაცი მოგეკლა და გინდ ქალი გაგეუპატიურებინა...

ყველაფრისთვის — სიკდილი!

გაილია მეთვრამეტე ასწლეული და მასთან ერთად შუა საუკუნეებიც. ახალ დროში შეაბიჯეს ევროპამაც და რუსეთმაც (საქართველოიანად). მეცხრამეტე საუკუნეში კიდევ უფრო თვალნათლივ გამოიკვეთა მართლმადიდებლური და კათოლიკურ-პროტესტანტული სამყაროების აბსოლუტურად განსხვავებული დამოკიდებულება უმთავრესისადმი — ადამიანის სიცოცხლისადმი.

ვიცი, ბევრს დაუჯერებლად მოეჩვენება ეს, მაგრამ ფაქტი ფაქტია და მას ვერსად წაუხვალ: მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე რუსეთის იმპერიაში სიკვდილით დაისაჯა სულ ასამდე ადამიანი, ანუ პროცენტულად თითო წელიწადზე დაახლოებით თითო სიკვდილით დასჯა მოდიოდა. ევროპაში მართო პარიზის კომუნის დამხობის შემდეგ სიკვდილით დასაჯეს ათასობით კაცი, ქალი, ბავშვი. საფრანგეთში კანონმდებლობით 1848 წლის რევოლუციის შემდეგ პოლიტიკური დანაშაულისთვის სიკვდილით დასჯა გაუქმებული იყო. მიუხედავად ამისა, 1871 წელს კომუნაზე გამარჯვების შემდეგ სასამართლოებს გამოჰქონდათ სასიკვდილო განაჩენები. ბევრს, საერთოდ, გაუსამართლებლად ზოცავდნენ.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი მეოთხედის განმავლობაში რუსეთის მეფე იყო ალექსანდრე I. მის დროს სიკვდილით დასაჯეს 24 კაცი, მათგან დიდი უმრავლესობა — ნაპოლეონთან ომის პერიოდში. ისტორიულ წიგნებში წერია, რომ პარიზელი კომუნარების მიმართ გამოჩენილი სისასტიკე აიხსნება იმ რთული ვითარებით, რაც საფრანგეთის მიერ 1870 წელს პრუსიასთან ომმა და შემდეგ კომუნის შექმნამ გამოიწვია. მაგრამ განა 1812-1814 წლების რუსეთ-საფრანგეთის ომმა ნაკლები სირთულე შეუქმნა მართლმადიდებლურ სახელმწიფოს?!

1825 წელს, როცა ალექსანდრე I გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა მისი ძმა ნიკოლოზ I, ჩახშობილ იქნა დეკაბრისტების შეთქმულება. სასამართლომ 36 დეკაბრისტს სიკვდილი მიუსაჯა. მათგან ჩამოაზრჩეს მხოლოდ ხუთი. დანარჩენები შეიწყალა იმ მეფემ, რომლის დამხობასაც დეკაბრისტები აპირებდნენ. ნიკოლოზ პირველმა ოცდაათ წელზე მეტ ხანს იმეფა და 40 ადამიანი დასაჯა სიკვდილით. მისი შვილის და შვილიშვილის, ალექსანდრე მეორისა და ალექსანდრე მესამის მეფობის ჟამს, ანუ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულამდე, მოკვდინებულ იქნა კიდევ 40 ადამიანი. მათ შორის, ორივე მეფეზე მრავალი თავდასხმის მონაწილეები და ალექსანდრე მეორის მკვლელები.

ინგლისის პარლამენტში კი მეცხრამეტე საუკუნის ათიანი წლების მანძილზე ათ წელს მიმდინარეობდა პაექრობა „კაროლინაზე“ დამყარებული სისხლის სამართლის კოდექსის შესაცვლელად. მაგრამ პარლამენტმა

ძალაში დატოვა კანონი, რომელიც სიკვდილს ითვალისწინებდა ორასი კატეგორიის დანაშაულისთვის, ანუ პრაქტიკულად ყველა დანაშაულისთვის! სხვათა შორის, საზრჩობელაზე კიდებდნენ ქურდებს, რომელნიც ერთ შილინგზე მეტს მოიპარავდნენ. პარლამენტი ათ წელს დაობდა, მინიმალური თანხის ერთი შილინგიდან ხუთ შილინგამდე გაზრდის თაობაზე. ამ შემთხვევაში ოთხი შილინგის მომპარავი სიკვდილით აღარ დაისჯებოდა. მაგრამ პარლამენტმა არ შეცვალა კანონი. ამასთან, სიკვდილით ისჯებოდნენ ქურდების თანამზრახველებიც. იგულისხმება ის ადამიანები, ვინც იცოდა ქურდის განზრახვა, ან ქურდობის შემდეგ გაიგო და არ დააბეზლა.

ასეთი იყო მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე დღეს ლამის იდეალურად გამოცხადებული ინგლისის იურისპრუდენცია. ის მხოლოდ სამოციანი წლებიდან შეარბილეს რამდენადმე.

1828 წელს ესპანეთში, სევილიაში, დაწვეს 26 წლის ქალი იმისთვის, რომ იგი თურმე ალქაჯი, კუდიანი იყო და ღამ-ღამობით ცოცხზე გადამჯდარი დაფრინავდა ცაში. სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ ეს იყო უკანასკნელი აუტორიტეტი. ამით დასრულდა კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიების რეასწლიანი ტერორი დასავლეთ ევროპაში. რეასწლიანი!!! დღეს არავინ უწყის, რამდენი მილიონი ადამიანი (ძირითადად ქალები) გამოასალმეს სიცოცხლეს ენით აუწერელი წამებით იმ რეასის წლის მანძილზე. დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ არც ერთ სხვა სარწმუნოებას, არცერთ სხვა ცივილიზაციას არასოდეს, არსად დაუტეხია ხალხისთვის მსგავსი, თუნდაც ოდნავ მიმსგავსებული ჯოჯოხეთი.

მართლმადიდებლური სარწმუნოებისთვის ამგვარი რამ საერთოდ უცხოა. მართლმადიდებლური „ველური“ აღმოსავლეთი არ სცნობდა აუტორიტეტს.

პირველი ევროპული სახელმწიფო, რომელმაც მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს გააუქმა სიკვდილით დასჯა, იყო ტოსკანა, ცეროდენა სამთავრო. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან კიდევ რამდენიმე პატარა ევროპულმა ქვეყანამ უარჰყო ადამიანის მოკვდინების კანონი. თუმცა ყველაზე დიდი და მთავარი ევროპული ქვეყნების — ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ესპანეთის — სასამართლოები განაგრძობდნენ ადამიანთა სისხლის მდინარეების ღვრას.

XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დამდეგს ყველაზე დიდმა ევროპელმა ფილოსოფოსებმა, იმანუელ კანტმა და გეორგ ჰეგელმა ბევრი დაწერეს სამართლის თემაზე. ისინი მოითხოვდნენ, რომ სიკვდილი სასჯელის არსებითად ერთადერთი ზომა აღარ ყოფილიყო. მაგრამ ამ ზომის საერთოდ გაუქმება არასოდეს მოუთხოვიათ. პირიქით, ევროპული ფილოსოფიის ორივე მწვერვალი არსებითად ტალიონისეული სამართლის ჩარჩოებში დარჩნენ — კბილი კბილის წილ, თვალი თვალის წილ, სისხლი



სისხლის წილ... მართლმადიდებლური რუსეთის „ბნელეთში“ კი კანტისა და ჰეგელის ეპოქამდე ბევრად ადრე დაიბადა სიკვდილით დასჯისადმი პროტესტი. რუსეთში თითქმის ყველა მოაზრონვე პეტრე პირველის ეპოქის შემდეგ ემობდა ადამიანის მოკვდინებას. აღწევდნენ კიდეც მიზანს. სიკვდილი, როგორც სასჯელის ზომა რუსეთში სულ უფრო იშვიათდებოდა.

ევროპაში კი მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს წარმოიშვა იურისპრუდენციის ეგრეთ წოდებული ანთროპოლოგიური სკოლა, რომლის მამამთავარი ჩეზარე ლომბროზო დღემდე ძალიან პოპულარულია. მისი წიგნები დიდი ტირაჟებით იბეჭდებოდა. ანთროპოლოგისტები თვლიდნენ და თვლიან (ისინი დღესაც არიან დასავლეთში), რომ დამნაშავე იბადება დამნაშავედ, ამიტომ მისი გამოსწორება შეუძლებელია. თურმე დამნაშავედ გაჩენილის შეცნობაც კი შეიძლება მისი თავის ქალის ფორმით და სახის ნაკეთებით. აქედან — დასკვნა: თუ საზოგადოებრიობას სურს კრიმინალური ვითარების ნორმალურ ფარგლებში დატოვება, საჭიროა, რაც შეიძლება მეტი დამნაშავეს ფიზიკურად მოსპობა.

მართლმადიდებლურ სამყაროში არასოდეს არავითარი მსგავსი თეორია არ შექმნილა. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი დღესაც პრაქტიკულად გაბატონებულია ასეთი აზრი: მანიაკ მკვლელთა (ან, როგორც თვითონ ამერიკელები უწოდებენ, სერიულ მკვლელთა) კატასტროფულად დიდი რიცხვი ამ ქვეყანაში იმით აიხსნება, რომ ღმერთი აჩენს ამგვარ ადამიანებს. მაგრამ რატომ მაინცდამაინც ამერიკაში აჩენს ღმერთი მანიაკების ოთხმოც პროცენტს? ამ კითხვაზე პასუხს ამერიკელები არც კი ეძიებენ.

დასავლური კანონმდებლობა ისტორიულად პრაქტიკულად არ ცნობდა ისეთ რამეს, როგორიცაა შეწყალება. „ბნელ“ რუსეთში კი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე სიკვდილიმისჯილთა ოთხმოცი პროცენტი შეიწყალეს. თანაც ძალიან ხშირად სასიკვდილო განაჩენს ცვლიდნენ საოცრად მსუბუქი სასჯელით. აქ არ შეიძლება, არ გაგვახსენდეს გენიალური მწერლის, ფ. დოსტოევსკის ბედი, რომელსაც პეტრაშევსკის ჯგუფის წევრობისთვის, სხვა პეტრაშევსკებთან ერთად, სიკვდილი ჰქონდა მისჯილი. ნიკოლოზ პირველმა ყველა შეიწყალა, თუმცა პეტრაშევსკელები სწორედ ამ მეფის დამხობას გეგმავენ. დოსტოევსკის მხოლოდ ოთხი წლის პატიმრობა მიუსაჯეს...

ჩვენი ისტორიაც გავიხსენოთ. საქართველოში 1832 წლის შეთქმულების გახსნის შემდეგ, რამდენიმე შეთქმულს (მათ შორის ალექსანდრე ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანს, სოლომონ დოდაშვილს) სიკვდილი მიესაჯა. მაგრამ იმავე ნიკოლოზ პირველმა ყველა შეიწყალა და რუსეთის სხვადასხვა ქალაქში გადაასახლა. არც ერთ შეთქმულს გადასახლებაში ხუთ წელზე მეტი არ დაუყვია. განთავისუფლების შემდეგ კი არცერთისთვის აღარ გაუხსენებიათ ძველი „ცოდვა“. შემდგომში ზოგიერთმა შესანიშ-

ნავი კარიერა გაიკეთა. გრიგოლ ორბელიანი ინფანტერიის გენერალი და ოქროს ხმლის კავალერი გახდა. ფაქტია, რომ, რუსული სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით, ქართველი შეთქმულების ჩანაფიქრი საშინელ დანაშაულს შეიცავდა. ჩვენს თავადებს განზრახული ჰქონდათ დიდ პურმარილზე დაეპატიჟათ მეფის ნაცვალი და მისი უახლოესი გარემოცვა, აგრეთვე, საქართველოში მყოფი რუსული ჯარის მეთაურები და ყველა მათგანი დაეხრცათ. შემდეგ უნდა გაენადგურებინათ უმეთაუროდ დარჩენილი ჯარი, გადაეკეტათ დარიალი, საქართველოს სამხედრო გზა და აღედგინათ ქვეყნის დამოუკიდებლობა.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: მეცხრამეტე საუკუნეში სიკვდილით არ დასჯილა არც ერთი ქართველი!

\*\*\*

ჩვენ განვიხილეთ კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიების მიერ ჩადენილი, ჯერ არნახული და არგაგონილი, საოცარი მასშტაბების მქონე, მაგრამ მხოლოდ ერთი დანაშაული — სიკვდილით დასჯა. თუ გავიხსენებთ ამ ეკლესიებისა და მათი გაგლენით ჩამოყალიბებული კულტურების სხვა ბოროტქმედებებსაც, ცხადი გახდება, რომ არცერთ რელიგიას, არცერთ ცივილიზაციას მსგავსი ავკაცობა არ ჩაუდენია.

ცხადია, ეს განცხადება შეიძლება ბევრს ეხამუშოს, მაგრამ ფაქტია, რომ მრავალი ადამიანი მთელს მსოფლიოში, უპირველეს ყოვლისა კი, პოსტსაბჭოთა სფეროში, ჯერ კიდევ ვერ გათავისუფლდა ყოველივე დასავლურის, განსაკუთრებით, ვითომდა მათი ცივილიზაციისათვის იმანენტურად დამახასიათებელი ლბერალური „ღირებულებების“ განდიდებისაკენ მიმართული, დასავლეთის პოლიტექნოლოგიების მიერ აგორებული პიარკომპანიის ზეგავლენისაგან. პიარის აგორება დასავლეთის პოლიტექნოლოგებს ეხერხებათ; საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბოროტმზრახველები საკმაოდ კარგი ორატორები არიან.

დასასრულს, ჩვენ უბრალოდ ჩამოვთვლით დასავლეთის ისტორიის საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს. ყველა მეტ-ნაკლებად განათლებული ადამიანისათვის ეს ფაქტები ცნობილია, მაგრამ რატომღაც დავიწყებას მიეცა. როგორც ჩანს, პიარს ძალა შესწევს, არა მარტო თავს მოახვიოს ადამიანს წარმოუდგენელი, არგაგონილი სიცრუე, არამედ დაავიწყოს ჭეშმარიტება.

შეგახსენებთ, დღეს მოზეიმე სიცრუის მიერ გაფერმკთალეულ, მნიშვნელობადაკარგულ წარსულის საზოგადოდ ცნობილ მოვლენებს:

კათოლიციზმის გარდა, არცერთ რელიგიას არასდროს უწარმოებია ჯვაროსნული ომები. ამ ომებში პროტესტანტებს მონაწილეობა არ მიუღიათ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პროტესტანტული რელიგია ჯერ კიდევ არ არსებობდა. კათოლიკეებმა დამოუკიდებლადაც მოახერხეს მილიონობით „ურწმუნოთა“, ძირითადად, ქალებისა და ბავშვების განადგურება;

არასდროს არცერთ რელიგიას „კუდიანებზე არ უნადირია“. დასავლეთში ეს კომმარი რვა საუკუნე გაგრძელდა. XVI საუკუნეში წარმოშობილი პროტესტანტიზმი კი კათოლიციზმს ულმობლობაში არაფრით ჩამორჩებოდა;

არასდროს არცერთ ცივილიზაციას მთელი კონტინენტის გენოციდი არ მოუწევია, როგორც ეს კათოლიკეებმა და პროტესტანტებმა გააკეთეს და ამერიკის კონტინენტის ორივე მატერიკის აბორიგენი მოსახლეობის 95% ამოწვევით;

„კათოლიკეებისა და პროტესტანტებისათვის დასაბამიდანვე დამახასიათებელი ლიბერალიზმის“ კიდევ ერთი გამოვლინება, — მონობის აღდგენა XVI საუკუნეში. და ეს მაშინ, როცა მთელ მსოფლიოს დავიწყებული ჰქონდა მონათმფლობელობა;

არასდროს არცერთ რელიგიას არ უწარმოებია ისეთი მასშტაბური და ტოტალური რელიგიური ომები, როგორც ეს დასავლეთში ხდებოდა. თუ საქმე „ურწმუნოთა“ ძარცვასა და განადგურებას ეხებოდა, კათოლიკეები და პროტესტანტები ყოველთვის ახერხებდნენ გაერთიანებასა და თანამშრომლობას, ნაძარცვის გაყოფისას კი ერთიანობა უმალ ირღვეოდა. ქვეყნის შიგნით გავლენის მოპოვების მიზნით, ორივე კონფესია ისეთი სისატიკითა და დაუნდობლობით უსწორდებოდა ერთმანეთს, როგორც არაქრისტიანებს;

დასავლეთში ჩვეულებრივი მოვლენა იყო რელიგიური და საერო ხელისუფალთა დაუფარავი, აშკარა კავშირი ყველაზე ამაზრზენ ბანდიტებთან. მაგალითები მრავლადაა. ერთით დაკმაყოფილდეთ: ინგლისის დედოფალმა ელისაბედ I-მა რაინდის წოდება მიანიჭა მეკობრე ფრენსის ბლეიკს, რომელსაც საკმაოდ დიდი თანხები შეჰქონდა ხაზინაში. ფულის წარმომავლობა კი, არავის არც აინტერესებდა და არც აწუხებდა!

ფაშისმის წარმოშობისთანავე, კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიები მის სამსახურში ჩადგნენ. პაპმა პიუს XI-მ ბენიტო მუსოლინის „ღვთაებრივი მმართველი“ უწოდა. ვატიკანი ფრანცისკო ფრანკოსაც გააფთრებით იცავდა ესპანეთში. დასავლეთის ორივე ქრისტიანული ეკლესიის უმაღლესი ხელმძღვანელობის სიყვარული გერმანელი ფაშისტებისა და მათი წინამძღოლის ადოლფ ჰიტლერისადმი მრავალტომიანი რომანის თემაა. მათი ურთიერთკავშირი და სიყვარული იმდენად ორგანული იყო, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს, რომის პაპმა არ დაგმო ფაშისტების მიერ, სხვათა ჭკუის სასწავლებლად, თავისუფლებისათვის მებრძოლი ათასობით იტალიელის მკვლელობა.

გავიმეორებ, კათოლიკურ-პროტესტანტული ცივილიზაციის ზემოაღნიშნული და სხვა მსგავსი ბოროტქმედებები საზოგადოდაა ცნობილი, მათ შორის, რაღა თქმა უნდა, დასავლეთის ლიბერალური დემოკრატიის აპოლოგეტებისათვისაც. თუმცა მათ სულაც არ უშლის ხელს, განადი-

ღონ და გააიდგალონ ყოველივე ევროპული და ამერიკული: კათოლიკური და პროტესტანტული კონფესიები, ისევე როგორც კათოლიკურ-პროტესტანტული ცივილიზაცია, საუკეთესოა ყველა არსებულს შორის! უფრო მეტიც, ყველა შესაძლოს შორის! დასავლეთის ტრუბადურებს ვერ გადაარწმუნებ. მიუხედავად ფართოდ გაპიარებული პოლიტკორექტურობისა, ისინი ხმამაღლა აცხადებენ, რომ ყველა სხვა რელიგია, კონფესია, ცივილიზაცია ჩამორჩენილი, არასრულყოფილი და მანკიერია.

პროდასავლური პიარის ჯოჯოხეთური ზეწოლის პირობებში ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ ვატიკანის ამჟამინდელმა მეთაურმა, პაპმა ბენედიქტე XVI-მ მუჰამედს ანტიქრისტე უწოდა და განაცხადა, რომ ისლამს არაფერი შეუქმნია, ღვთის გმობის გარდა. — ასეთი განცხადებების შემდეგაც კი მუსულმან სასულიერო პირებს მცირედი შეურაცხყოფაც არ მიუყენებიათ ქრისტიანული რელიგიისათვის, ხოლო იესო ქრისტეს ისევე უდიდეს წინასწარმეტყველად თვლიან.

იმავე ბენედიქტე XVI-მ კათოლიციზმი ერთადერთ ქრისტიანულ კონფესიად გამოაცხადა. ამ განცხადებას რუსული მართლმადიდებელი ეკლესია გამოეხმაურა. მის ზედმიწევნით გაწონასწორებულ, კორექტულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ პონტიფიკოსის მოსაზრებაში ახალი არაფერია, გარდა მოსაზრების გულწრფელობისა. მართლაც, ვატიკანი თავის თავს ყოველთვის ღვთის ერთადერთ ტაძრად თვლიდა, მაგრამ უწინ საჯაროდ არასდროს გაუჟღერებია ეს მოსაზრება. თუმცა მისი პოლიტიკა ყოველთვის მიმართული იყო სხვა ქრისტიანული კონფესიების, უპირველეს ყოვლისა, მართლმადიდებლობის წინააღმდეგ. გავიხსენოთ თუნდაც კონსტანტინეპოლის დაცემის ისტორია – აღმოსავლეთის ქრისტიანობის ციტადელი შესაძლებელია არ დაცემულიყო, რომს პირობა რომ შეესრულებია და დახმარებოდა ბიზანტიას, მაგრამ რომმა პირობა არ შეასრულა, მოიტყუა.

კათოლიკები და პროტესტანტები საკუთარ სიწმინდეებსაც არ ინდობდნენ. მეორე მსოფლიო ომის დროს, ამერიკელებისა და ინგლისელების ავიაციამ მიწასთან გაასწორა VI საუკუნის შესანიშნავი ტაძარი – მონტეკასინო (იტალია), სადაც იმ დროისთვის არცერთი გერმანელი სამხედრო პირი არ იმყოფებოდა (აღსანიშნავია, რომ ფაშისტებმაც კი დაინდგეს ეს უძველესი ტაძარი). კათოლიციზმისა და პროტესტანტიზმის ბევრი საკულტო ძეგლი (დრეზდენში, ჰამბურგში, კიოლნში და ა.შ.), განადგურებულ იქნა ამერიკული და ინგლისური საჰაერო შეიარაღებული ძალების მიერ, სამხედრო თვალსაზრისით, უაზრო, თავისი არსით კი, საღისტური დაბომბვების დროს!

შემდეგი პარადოქსული ფაქტიც გავიხსენოთ: მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკებითა და პროტესტანტებით დასახლებული ტერიტორიები ზომიერ და ცივ კლიმატურ ზონებს განეკუთვნება, ყველა ეპოქაში მძიმე ინ-

ფექციური დაავადებების კერა სწორედ აქ ჩნდებოდა და პანდემიის სახით ვრცელდებოდა. მაშინ, როცა თბილ სარტყლებში განლაგებულ მართლმადიდებლურ, ასევე მუსულმანურ ქვეყნებსაც მსგავსი პანდემიები, რომლებსაც მოსახლეობის მესამედი ეწირებოდა, არ ახსოვთ.

ეს პარადოქსი არ არის. კათოლიკე და პროტესტანტი მოსახლეობის დაბალი ფენები წარმოუდგენელ ანტისანიტარულ პირობებში ცხოვრობდნენ – საოცარ სიღარიბესა და სიბინძურეში. არსად, არცერთ ქვეყანაში უბრალო ადამიანი ისეთ მძიმე ექსპლუატაციას არ განიცდიდა, როგორც დასავლეთში.

ასე რომ, დასავლეთის „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ ერთნაირად (ან თითქმის ერთნაირად) ჩაგრაუდნენ და ტანჯავდნენ საკუთარი და სხვა ქვეყნების მოსახლეობას. რაც შეეხება პიარ-განქიქებას, ეს იარაღი მხოლოდ უცხოებისადრძია მიმართული. **დასავლეთი საკუთარი წარსულის შელამაზებით თავს აღარ იწუხებს, ახლა უკვე მის იდეალიზებას ახდენს.** მის მიერ კონტროლირებადი მულტი-მედია ყველა შესაძლო საშუალებით საზოგადოდ ამკვიდრებს მოსაზრებას, რომ მხოლოდ დასავლეთში ცხოვრობენ ჭეშმარიტი მორწმუნეები, ჭეშმარიტად ეკლესიური ადამიანები. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, აქ მხოლოდ ფანატიკოსი-ფუნდამენტალისტები, ერეტიკოსები ან უბრალოდ ურწმუნონი ცხოვრობენ (ყოველივე ამის შემდეგ რატომღა უნდა გაგვიკვირდეს ამჟამინდელი პაპის მხრიდან ათეისტების მისამართით შეურაცხმყოფელი გამოთქმები?). ეს თვისება მხოლოდ დასავლეთის პროპაგანდისტების არის დამახასიათებელი. მხოლოდ დასავლეთში ხატავენ და აქვეყნებენ სხვა რელიგიების წინასწარმეტყველებსა და წმინდანებზე კარიკატურებს. მხოლოდ დასავლეთში ანიჭებენ უმაღლეს სახელმწიფოებრივ ჯილდოებს სხვა რჯულის წარმომადგენლებს, რომლებმაც საკუთარი რელიგიის წმიდა ტექსტები შეურაცხვეს და შებილწეს (გავისხენოთ თუნდაც მხოლოდ სილმან რუდშის ისტორია).

სამაგიეროდ, საკმარისია რომელიმე სხვა აღმსარებლობის წარმომადგენელმა გაიხსენოს და ხმამაღლა გააჟღეროს, რომ სწორედ დასავლეთის კონფესიებში, სრულიად აშკარად, ყოველგვარი შეფარვის გარეშე, არსებობდა რელიგიური მექრთამეობა — სიმონია, ინვესტიტურე, ინდულგენციები... რომ პრაქტიკულად მთელი ისტორიის მანძილზე, მხოლოდ დასავლეთის კონფესიის უმაღლეს იერარქთა შორის გვხვდებოდნენ გარყვნილები, მძარცველები, მკვლელები... რომ მხოლოდ დასავლეთში ნიშნავენ თავიანთი ეკლესიების იერარქებად აშკარა პედერასტებსა და პედოფილებს, მაშინვე ისმის ცილისწამება და მუქარა.

თურმე ნუ იტყვი, ყოველივე ამის გახსენება ბღალავს დასავლეთის მოსახლეობის ღირსებას, ჩრდილს აყენებს მათი ცივილიზაციის ყბადაღებულ ღირებულებებს. ფართოდ გაპიარებული მოსაზრების თანახმად, არავის აქვს უფლება ეჭვი შეიტანოს დასავლეთში მცხოვრები ადამიანების ჭეშ-



მარიტ მორწმუნეობასა და ღვთისმოსაობაში, საეკლესიო ცხოვრების სრულყოფილების და საერთოდ მათი ცხოვრების იდეალურ წესში — ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, კულტურული და ა.შ. თვალსაზრისით.

რა თქმა უნდა, დასავლეთის სინამდვილისათვის დამახასიათებელი ყველა სიმახინჯე და საშინელება დასავლეთში მცხოვრები ადამიანების შინაგანი თვისებებით არ არის განპირობებული. დასავლური ყაიდის ქრისტიანობა თავიდანვე ჩამოყალიბდა როგორც ტოტალიტარული რელიგია. კათოლიციზმის წარმოშობის შემდეგ, დასავლეთ-ევროპულ ქრისტიანობაში არსებული ტოტალიტარიზმი კიდევ უფრო გაძლიერდა. ვატიკანის იერარქია ავტორიტარული რეჟიმების და სპეცსამსახურების სტრუქტურული ვერტიკალის იდენტურია.

მართლმადიდებლობას ეროვნებათაშორისი ცენტრალიზებული ადმინისტრაცია არ გააჩნია. მართლმადიდებლობა ნაციონალური ეკლესიების სუვერენიტეტს, ავტოკეფალიას აღიარებს. უნდა აღინიშნოს, რომ არცერთ მოქმედ მონოთეისტურ რელიგიას მმართველობის ტოტალიტარული სტრუქტურა არ აქვს. სწორედ ამიტომ არ ახსოვს ისტორიას, მათი მხრიდან, კათოლიციზმის მსგავსი დანაშაულებრივი ქმედებები.


რაც შეეხება პროტესტანტიზმს: თავის დროზე ეს კონფესია ჩამოყალიბდა ვატიკანის დიქტატის წინააღმდეგ მიმართული სახალხო პროტესტის საფუძველზე, ამჟამად კი ცდილობენ ვატიკანის წიაღში მის დაბრუნებას. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც დაპირისპირებულები ერთიანდებიან. პროტესტანტიზმის მამებმა, უწყვედნენ რა პროპაგანდას თავიანთი კონფესიის უაღრესად ლიბერალურ ხასიათს, სინამდვილეში ჩამოაყალიბეს კათოლიციზმის მსგავსი ტოტალიტარული და დანაშაულებრივი მიმართულება. „კუდიანებიც“ არანაკლები დაუწვიათ, სხვა რწმენის ადამიანებიც არანაკლებ ეზიზღებათ, ვიდრე კათოლიკებს. მათი ღვთისმოსაობა კი მოჩვენებითი და გარეგნულია. ალბათ, მთელმა კაცობრიობამ იცის, თუ რა იმალება ამერიკული ღირებულებების მიღმა. ამერიკის შეერთებულ შტატებში (ქვეყანაში, სადაც მილიონზე მეტი პროტესტანტული ეკლესიაა) შექმნილი ფილმები, დაწერილი სიმღერები, ზოგადად მასობრივი კულტურა, დასცინის და მასხრად იგდებს ბიბლიურ ათ მცნებას მთლიანად, ქადაგებს სახარებისეული ზნეობის საწინააღმდეგო ღირებულებებს, ანტისახარებას. წმიდა წიგნების თანახმად, ფარისევლად მიჩნეულია ადამიანი, რომელიც რწმენას ნიღბად ატარებს. ის კი, ვინც ანტისახარებას ქადაგებს და ნამდვილად სწამს ამის, ბევრად უარესია...

კულტურა, ამ ცნების ნამდვილი მნიშვნელობით, დასავლეთში პრაქტიკულად უკვე განადგურებულია. ხელოვნების არცერთ სფეროში აღარ იქმნება შედევრები, ჭეშმარიტად მხატვრული ღირებულების ნაწარმოებები. „უმაღლესი დემოკრატიული ფასეულობების“ იარლიყით კაცობრიობას სიმახინჯეების აპოლოგიას სთავაზობენ. ამასთან ერთად, საუკუნეების

მანძილზე დამკვიდრებული ძრწოლის პანორამა, გასული საუკუნის შუა პერიოდიდან, ზღვარგადასული გარყვნილებითაა „გამდიდრებული“.

მთავარი ის არის, რომ მთელი სამყარო, ყველა ერი ვალდებულია გაიზიაროს და მიიღოს ეს „ფასეულებები“. წინააღმდეგ შემთხვევაში, პასუხს აგებს დასავლური „დემოკრატიის“ ადეპტების წინაშე. დასავლეთი ხომ შეუბღალავი დემოკრატიის უშრეტი წყარო და ერთადერთი ჭეშმარიტი ნიმუშია. ეს ფაქტია! ყველამ უნდა გაითვალისწინოს და დაეთანხმოს მას! არავის აქვს შეპასუხების უფლება! ისევე, როგორც არავის აქვს უფლება, არ დაეთანხმოს დასავლეთის მიერ მეოცე საუკუნის მოღვაწეებისა და მოვლენების შეფასებას! მაგრამ ჩვენ გაგბედეთ და შევეპასუხეთ. შევუპირისპირეთ რა ერთმანეთს ისტორიული ფაქტები და დასავლური დემოკრატიის ადეპტებისეული შეფასებანი.





ბრანი ძაჰთარნი

## გმუს მარციუს კორიოლანუსი

ანტიკური ტრადიციით, ძვ. წ. 510 თუ 507 წელს რომში სამეფო ხელისუფლება დაემხო და რესპუბლიკური წყობილება დამყარდა. მმართველობის ახალმა სისტემამ მაგისტრატების თანმიმდევრული მონაცვლეობა და ასარჩევ პირთა ასაკი და წოდებრივი კუთვნილება განსაზღვრა.

რომის თავისუფალი მოსახლეობა ორ ფენად იყოფოდა: პატრიციებად და პლებებად. ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების წარმმართველები პატრიციები იყვნენ. მათი უპირატესობის დამადასტურებელი იყო სახელწოდება პატრიციუსის წარმომავლობა (pater, მამა). რესპუბლიკის პირველ საუკუნეებში რომაელ ხალხში (populus Romanus) მხოლოდ პატრიციები იგულისხმებოდნენ.

პლებეები დაბალი კატეგორიის სტატუსით სარგებლობდნენ და რესპუბლიკური კანონმდებლობით არცერთი თანამდებობის დაკავება არ შეეძლოთ. უფლებო პლებებს ქონებრივი ცენზის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ გზა ეხსნებოდათ სამხედრო სამსახურში ჩასართავად და რომაული არმიის ძირითად ბირთვსაც ისინი შეადგენდნენ.

რომის რესპუბლიკის ისტორია პატრიციებისა და პლებების დაპირისპირებით დაიწყო. პატრიციების ამოცანას შეადგენდა პრივილეგიების შენარჩუნება, პლებებისა კი — უფლებების გაფართოება. ბერძნულ-რომაულ მწერლობაში მათი ბრძოლების საკმაოდ ვრცელი ეპიზოდებია აღწერილი.<sup>1</sup> ხაზგასმულია, რომ პლებეებში პოპულარული იყო პროტესტის პასიური ფორმა — **სეცესიო** (განდგომა, გამოყოფა, განხეთქილება). პლებეები სეცესიოს გზას ადგებოდნენ კრიტიკულ მომენტში, რომ იძულებული გაეხადათ პატრიციები, დათმობაზე წასულიყვნენ.

რესპუბლიკის ადრეულ ხანაში დასახელებულია რამდენიმე სეცესიო, რომელთაგან თავისი მნიშვნელობით გამოირჩევა ძვ. წ. 494 წელს მომხდარი ამბები. გადმოცემის თანახმად, ექვებთან და ვოლსკებთან ომის დროს, უფლებობით გაღიზიანებულმა პლებებმა უარი განაცხადეს სამშობლოს დაცვაზე, დატოვეს რომი, კარვები საღვთო მთაზე გაშალეს და ახალი ქა-

<sup>1</sup> Plut. Coriol. 5-6. I. Liv. II, 30-32.

ლაქის დაარსებას შეუდგნენ. თავიანთი გადაწყვეტილების გასამართლებლად ისინი აცხადებდნენ: „ჩვენ უკვე დიდი ხანია მდიდრებმა ქალაქიდან გამოგვაძევეს. იტალია ყველგან მოგვცემს ჰაერს, წყალსა და სამარეს. სანამ რომში ვცხოვრობდით, განა იგი სხვა რამეს გვაძლევდა? არაფერს — გარდა იმისა, რომ ნება გვქონდა, მდიდრებისათვის გვეომა და ჭრილობებისაგან დაეზოცილიყავით“.<sup>2</sup> პლებეები კარგად გრძობდნენ თავიანთ ძალას, გრძობდნენ იმასაც, რომ პატრიციები მათ გარეშე განწირულნი იყვნენ. ამიტომ კატეგორიული ტონით ამბობდნენ უარს რომში დაბრუნებაზე.

დამსახურებულ სენატორთა დელეგაცია რამდენჯერმე გაწბილებული დაბრუნდა. ხანგრძლივი დავა მენენიუს აგრიპას გამჭრიახობის წყალობით დასრულდა. დახელოვნებულმა ორატორმა პლებეები დაარწმუნა, რომ სამშობლოს ინტერესები სადავო საკითხების უემოციო განსჯას მოითხოვდა. იგი აშკარა დემაგოგიაზე გადავიდა და აზვირთებული განდგომილები, პოპულარული არაკის ზუსტი მოხმობით, რეალობას დაუბრუნა. მენენიუსმა პლებეები სიტყვების თამაშით განაიარაღა. მან მიმართა მსმენელებს: ადამიანის სხეულის ნაწილებმა უკმაყოფილება გამოთქმევს იმის გამო, რომ ემსახურებოდნენ კუჭის მოთხოვნებს. მათი აზრით, კუჭი არის პარაზიტი, არაფერს აკეთებს და ტკებთა იმით, რასაც თავდაუზოგავი შრომით აწვდიან. გადაწყვიტეს მისი დასჯა. შეთანხმდნენ, რომ უარს იტყოდნენ თავიანთი ფუნქციების შესრულებაზე და კუჭს დაიმორჩილებდნენ. შეუდგნენ განზრახვის შესრულებას. ყველა ორგანომ შეწყვიტა მოქმედება. დაიწყო სხეულის დაუძლურება და ჩამოხმობა. როცა ადამიანი სიკვდილის პირას მივიდა, მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, რომ კუჭი უდანაშაულო იყო. დაუბრუნდნენ ადრინდელ საქმიანობას და სხეულიც გადარჩა.<sup>3</sup> მენენიუს აგრიპას სიტყვებით, სახელმწიფო, ადამიანის სხეულის მსგავსად, წარმოადგენს ერთ მთლიან ორგანიზმს და მისი წევრებიც ვალდებული არიან განსაზღვრული და აუცილებელი მოვალეობანი შეასრულონ.<sup>4</sup>

მენენიუს აგრიპამ პლებეები რომში დააბრუნა. პატრიციები სერიოზულ დათმობაზე წავიდნენ. დათანხმდნენ, რომ შექმნილიყო პლებეების უფლებათა დამცველის, სახალხო ტრიბუნის მაგისტრატურა.

სახალხო ტრიბუნებს ირჩევდნენ პლებეების წრიდან. თავდაპირველად იყო ორი ტრიბუნი, დროთა განმავლობაში მათი რაოდენობა ათამდე გაიზარდა. ტრიბუნის მოვალეობას შეადგენდა პლებეების ინტერესების დაცვა. იგი აღჭურვილი იყო ფართო უფლებამოსილებით, სარგებლობდა

## 2 Plut. Coriol. 6.

3 Plut. Coriol. 6. Liv. II, 32, 5. პლუტარქესა და ტიტუს ლივიუსის გარდა ანალოგიური შინაარსის არაკი ფართოდ იყო გავრცელებული ძველ სამყაროში. იხ. ქსენოფონტი, მოგონებები სოკრატეზე, II, 3, 18-19. ციცერონი, De offic. III, 21. პავლე, პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, 12, 12-27.

4 მენენიუს აგრიპას დემაგოგიური სიტყვის შესახებ ვრცლად იხ. მ. ალექსიშვილი, აი, რას ამბობს ისტორია, თბ., 1953, გვ. 316-319.

ვეტოს უფლებით სენატისა და კონსულების ნებისმიერ დადგენილებაზე, თუ ჩათვლიდა, რომ მათი მოქმედება მიმართული იყო პლებების წინააღმდეგ. სახალხო ტრიბუნს განსაზღვრული ჰქონდა მკაცრი რეგლამენტი, მისი იურისდიქცია ვრცელდებოდა მხოლოდ რომზე, ქალაქის გარეთ მას უფლებები ეკვეცებოდა. ტრიბუნის სახლის კარები დღითა და ღამით ღია უნდა ყოფილიყო, რომ უსამართლობით შევიწროებულ პლებების ნებისმიერ დროს შესძლებოდა მისი ნახვა.<sup>5</sup>

სახალხო ტრიბუნის მაგისტრატურის დაწესებას პატრიციების გარკვეული ნაწილი მტრულად შეხვდა. განსაკუთრებული შეურიგებლობით გამოირჩეოდა გნეუს მარციუს კორიოლანუსი.<sup>6</sup>

ძვ. წ. V საუკუნის დასაწყისში რომში განვითარებული მოვლენები ლეგენდარული გადმოცემებისაგან თავისუფალი არ არის, მაგრამ იმის რეალობის აღიარებას, რომ ანალებში ასახულია პატრიციებისა და პლებების ბრძოლის მნიშვნელოვანი პერიოდი და რომის სამფლობელოთა გაფართოების პირველი ნაბიჯები, ვერ გავექცევით.

საინტერესოა, რომ რომაული დაპყრობების ისტორია კორიოლანუსის მოღვაწეობით იწყება.

გნეუს მარციუსს ღიებდა მოუტანა ვოლსკების ქალაქ კორიოლის<sup>7</sup> აღება, რაზეც მეტყველებს კოგნომენი (მეტსახელი) კორიოლანუსი. გნეუს მარციუს კორიოლანუსი იყო არისტოკრატიული გვარის წარმომადგენელი და შეუპოვრად იცავდა პატრიციების უპირატესობის იდეას. იგი დანაშაუ-<sup>5</sup>სახალხო ტრიბუნის მაგისტრატურის დაწესებით დაიწყო პლებების აღმასვლის პერიოდი. დროთა განმავლობაში გაუქმდა მთელი რიგი შეზღუდვები და პლებებმა ყველა თანამდებობის (პრეტორის, კონსულის, ცენტორის, დიქტატორის და სხვ.) დაკავების უფლება მოიპოვეს.

პატრიციებისა და პლებების წოდებრივი დაპირისპირება დასრულდა ძვ. წ. 287 წელს. პლებური წარმომავლობის დიქტატორის კვინტუს ჰორტენზიუსის ინიციატივით მიიღეს კანონი, რომლის ძალითაც პლების გადაწვევტილებანი, ტრიბების მიხედვით, უთანაბრდებოდა ცენტურიატული კომიციის (სახალხო კრების) დადგენილებებს. შეზღუდვათა გაუქმების შემდეგ წარმოიშვა გაბატონებული ფენა პატრიციებისა და მდიდარი პლებების შემადგენლობით, რომელიც ატარებდა ნობილიტეტის სახელწოდებას (*nobilis, nobilitas*, გვაროვანი, სახელოვანი).

სახალხო ტრიბუნები თვალსაჩინო გავლენას ახდენდნენ რომის რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. რომის ისტორიაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს ძვ. წ. II საუკუნის 30-იანი წლების სახალხო ტრიბუნებმა — ტიბერტიუს და გაიუს გრაკუსებმა, რომელთა რეფორმისტული მოღვაწეობა ახალი ეპოქის (სამოქალაქო ომის) დასაწყისად არის მიჩნეული.

<sup>6</sup>ანტიკური ავტორები კორიოლანუსის საკუთარ სახელს განსხვავებულად გავწვიან. ლივიუსთან და ფლორუსთან არის გნეუსი. პლუტარქე და აპიანე უწოდებენ გაიუსს, ვეტროპიუსი — კვინტუსს. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია გნეუსი. შექსპირის ტრაგედიაში მთავარ გმირს ჰქვია გაიუსი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დრამატურგი იყენებდა პლუტარქეს „პარალელურ ბიოგრაფიებს“.

<sup>7</sup>რომაელებმა კორიოლი ძვ. წ. 493 წელს აიღეს. იგი რომიდან 30 კმ დაშორებით მდებარეობდა. პლინიუს უფროსის დროს (ახ. წ. I საუკუნეში) კორიოლი, როგორც ქალაქი, აღარ არსებობდა, ნანგრევებად იყო ქცეული. Plin. NH III, 69.



ლად მიიჩნევდა პლებეების უფლებების გაფართოებას და კატეგორიულად მოითხოვდა სახალხო ტრიბუნის თანამდებობის გაუქმებას. ანტიკური ავტორები პირდაპირ მიუთითებენ, რომ კორიოლანუსი ცდილობდა ბრძოლის ველზე მოპოვებული სახელის გამოყენებას პოლიტიკურ ასპარეზზე.<sup>8</sup>

დაძაბულ მდგომარეობას დაემატა ეკონომიკური პრობლემაც. რომში შემოიტანეს ხორბალი. დარიბი მოსახლეობა მოელოდა, რომ ხორბალი იაფად გაიყიდებოდა. მოთხოვნას წინ აღუდგა გენუს მარციუსი. მისი აზრით, დადგა ხელსაყრელი მომენტი პლებეების აღრინდელ უფლებებში დასაბრუნებლად. მან მოუწოდა სენატს, არ დაეთმო და შეღავათები არ დაეშვა. იმ სენატორებს კი, რომლებიც ხალხის გულის მოგების მიზნით პურის იაფად გაყიდვას უჭერდნენ მხარს, მოღალატეებს უწოდებდა. კორიოლანუსის წინადადებით, თუ პლებეებს იაფი პური სურდათ, მაშინ უარი უნდა ეთქვათ მოპოვებულ უფლებებზე, რითაც აღდგებოდა პატრიციების შელახული ავტორიტეტი.<sup>9</sup> კორიოლანუსის გაზვიადებულ ამბიციებს რომაული კანონმდებლობით განმტკიცებული დემკორატიული გარემო უნდობლად ეკიდებოდა, პატრიციების დიდი ნაწილიც არ უჭერდა მხარს.

კორიოლანუსი არა მარტო პლებეებს, არამედ რომის სენატსაც დაუპირისპირდა. მდგომარეობა გაამწვავა კონსულის არჩევნებში მონაწილეობის სურვილმა. სამშობლოს წინაშე დამსახურების წყალობით, გამარჯვებაში დარწმუნებულმა, თამამად წამოაყენა თავისი კანდიდატურა. მოვლენები კორიოლანუსის გემის საწინააღმდეგოდ წარიმართა, ხალხმა ხმა არ მისცა. არჩევნებში დამარცხება პლუტარქეს კანონზომიერად მიანჩნია, რადგან მარციუსი „უპირატესად ეყრდნობოდა თავისი სულის მგზნებარე და პატივმოყვარულ ხასიათს, როგორც სიდიადისა და კეთილშობილების გამოხატულებას, მაგრამ შეგონებისა და აღზრდის მეშვეობით არ ჰქონდა შეძენილი მტკიცე სიდინჯე და ღმობიერება, რაც სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის სრულყოფისათვის უთუოდ საჭიროა. არც ის უწყობდა, რომ ვინც ხელს ჰკიდებს საზოგადოებრივ საქმეს და ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისაკენ მიისწრაფვის, მან განსაკუთრებით უნდა აარიდოს თავი თვითკმაყოფილებას... მეტისმეტად ჯიუტი და პირდაპირი მარციუსი ყველაფერში გამარჯვების მოპოვების სურვილს მამაცობის საქმედ თვლიდა და ვერ ხვდებოდა, რომ ასეთი მისწრაფება უძლურებისა და უნებისყოფობის შედეგია, რასაც ავი სიმსივნის მსგავსად ტანჯული და აფორიაქებული სულისკვეთება წარმოქმნის“.<sup>10</sup> პლუტარქეს თანახმად, კორიოლანუსი სახელმწიფო მოღვაწისათვის აუცილებელი თვისებებიდან არცერთს არ ფლობდა. იგი დაუფარავად გამოთქვამდა თავის აზრს და არ ითვალისწინებდა იმ ძალას, რომელსაც უპირისპირდებოდა. კრიტიკულ

<sup>8</sup> Liv. II, 32, Plut. Coriol, 17.

<sup>9</sup> Liv. II, 32, Plut. Coriol, 17.

<sup>10</sup> Plut. Coriol, 15.

სიტუაციაში ოდნავადაც არ შეურბილებია მკაცრი ტონი არა მარტო პლებების, არამედ სენატორების მიმართაც. დიპლომატიური წინდახედულობის გარეშე იბრძოდა დასახული მიზნის მისაღწევად.

სახალხო ტრიბუნებმა თავიანთი უფლებამოსილება პირველად კორიოლანუსის წინააღმდეგ გამოიყენეს. მათ მოითხოვეს, სადავო საკითხები სასამართლოს განეხილა და რა გადაწყვეტილებასაც მსაჯულები მიიღებდნენ, გამოეცხადებინათ საბოლოო ვერდიქტად. ბრალდების უსაფუძვლობაში დარწმუნებული კორიოლანუსი უყოყმანოდ დათანხმდა ტრიბუნებს, რომ საქმე სასამართლოს განეხილა. პროცესზე სახალხო დამცველებმა სრული თავისუფლება იგრძნეს და უამრავი ბრალდების წამოყენებით შეძლეს გნეუს მარციუსის გამტყუნება. მდგომარეობა განსაკუთრებით იმან გაართულა, რომ საქმის გარჩევაში ძირითადად ღარიბები მონაწილეობდნენ. სასამართლომ კორიოლანუსს სამუდამო გაძევება გადაუწყვიტა. პლუტარქე წერს, სასამართლოს შემდეგ „ხალხი ისე დაიშალა, თითქოს დიდი ომი მოეგოს, ხოლო სენატი მწუხარებამ და სასოწარკვეთამ მოიცვა, რადგან ხალხს ასეთი თავხედობის ჩადენის უფლება მისცა“.<sup>11</sup>

რესპუბლიკის ისტორიაში დემოკრატიამ პირველად გამოავლინა თავისი ნება და აქტიურ პოლიტიკას ჩამოაშორა არასასურველი პიროვნება. პლებების რიცხობრივი უპირატესობა თვისებრივ სიმძლევს მიუახლოვდა და ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბდა.

დემოკრატიის პირველი გაელვება რომს მომაკვდინებელ მახვილად შემოუბრუნდა. სამშობლოდან მოკვეთილი კორიოლანუსი, სამშობლოს დაუძინებელ მტრად გადაიქცა. გაბოროტებულმა დატოვა რომი, მისი გონება მხოლოდ შშობლიური ქალაქის უმადურ მცხოვრებთა დასჯაზე ფიქრობდა. მიზნის მისაღწევად მან არჩევანი შეაჩერა რომაელების მოსისხლე მტრებზე ვოლსკებზე, რომელთა მიწა-წყლის აოხრებამაც მარციუსს დიდი სახელი მოუტანა. შურისძიებით ანთებული გადავიდა ვოლსკების ტერიტორიაზე, ფარულად შევიდა ქალაქ ატრიუმში, წარუდგა ყველაზე სახელოვან ვოლსკს — ტულუს ამფიდიუსს და განუცხადა: ჩემი მსგავსი მტერი ვოლსკებს არ ჰყოლიათ. ამჯერად სამშობლოდან გამოძევებული მოვედი შენთან, რომ შენი და ვოლსკების დახმარებით სამაგიერო გადაუფხადო რომაელებს. „ჩემი უიღბლობა ვოლსკთა საერთო ბედნიერებას მოიტანს, ვინაიდან უკეთ ვიბრძოლებ თქვენთვის, ვიდრე თქვენს წინააღმდეგ ვიბრძოდი, იმდენად, რამდენადაც იმათთან შედარებით, რომელთაც მოწინააღმდეგის შესახებ ცნობები არ გააჩნიათ, უკეთესად ქვეყიან ომს ისინი, რომელთაც მტრის ავან-ჩავანი კარგად უწყვიან, მაგრამ თუ შენ უარი თქვი რომაელებთან ომზე, მეც აღარ მსურს სიცოცხლე და შენც რაღას გარგია, დაზოგო შენი ძველი მტერი და მეტოქე — სრულიად უსარგებლო და უხეირო“.<sup>12</sup> ტულუს ამფიდიუსი სიხარულით შეხვდა კორიოლანუსს

<sup>11</sup> Plut. Coriol. 20.

<sup>12</sup> Plut. Coriol. 23.

და დააიძვლა: „ვოლსკები მეტი სიკეთით გადაგიხდიან სამაგიეროს“.<sup>13</sup>

კავშირი მაშინვე გაფორმდა. ვოლსკებმა კორიოლანუსი ტულუს ამფიდიუსთან ერთად წინამძღოლად აირჩიეს. მათ კორიოლანუსის რჩევით, დაარღვიეს რომთან საზავო ხელშეკრულება და ომი გამოუცხადეს. საომარი მოქმედება კორიოლანუსის გეგმით წარიმართა. ვოლსკები შეიჭრნენ რომის სამფლობელოებში და დაიწყეს რბევა. პატრიციების სახელის გატეხის მიზნით, აჩანაგებდნენ პლებების საკუთრებას, ხოლო პატრიციებისას ხელუხლებლად ტოვებდნენ. პირველმა ნაბიჯმა შესანიშნავი როლი შეასრულა. გამოიკვეთა განხეთქილება პატრიციებსა და პლებებს შორის. გამარჯვებაში დარწმუნებულმა კორიოლანუსმა ვოლსკების ლაშქარი რომის მიმართულებით დაძრა, ელვისებური დარტყმით აიღო ლათინური ქალაქები და რომიდან ორმოცი სტადიონის დაშორებით დაბანაკდა.

რომში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა, ქალაქი გარშემორტყმული იყო შურისმაძიებლებით, რომლებსაც სათავეში ედგა გნეუს მარციუს კორიოლანუსი.

სენატმა გამოსავალი მოლაპარაკებას მიანდო. პლუტარქე წერს, წარუზავნილ ელჩობაში ძირითადად „მარციუსის მახლობლები იყვნენ და იმედოვნებდნენ, რომ მაინც ნათესავი და შინაური კაცისაგან დიდ კეთილგანწყობას იგრძნობდნენ, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ მოხდა. ისინი მტრის ბანაკზე გატარებით მიიყვანეს მარციუსთან, რომელიც ამაყად და მოუღრეკელი ზვიადობით იჯდა ვოლსკთა შორის უპირველესი კაცებით გარშემორტყმული“.<sup>14</sup> კორიოლანუსმა, როგორც ვოლსკების მთავარსარდალმა, მოითხოვა, რომაელებს დაებრუნებინათ მიტაცებული ქალაქები, აგრეთვე ვოლსკებისათვის მიენიჭებინათ ლათინების თანაბარი უფლებები. ელჩებს მოფიქრებისათვის მისცა ოცდაათი დღე, ბანაკი აშალა და რომის სამფლობელოები დატოვა.

გავიდა ოცდაათი დღე. კორიოლანუსმა საომარი მოქმედებები განაახლა. „რომაელებმა ისევ მიუგზავნეს ელჩები თხოვნით, დაეცხრო რისხვა, გაეყვანა ვოლსკები მათი მიწა-წყლიდან და მერმე გაეკეთებინა და ებრძანებინა ის, რაც მისი ფიქრით, ორივე ხალხისათვის უმჯობესი იქნებოდა... მარციუსმა ელჩებს უპასუხა: ვითარცა ვოლსკების სარდალი ვერაფერს გეტყვით, ხოლო როგორც ჯერ კიდევ რომაელი მოქალაქე გირჩევთ და მოგიწოდებთ, გონივრული გულისხმიერებით მოეკიდოთ სამართლიანად წაყენებულ პირობებს და სამი დღის შემდეგ მოხვიდეთ ჩემთან დათქმულ პირობათა მიღების გადაწყვეტილებით. თუ სხვა აზრზე დადგებით და კვლავ მოხვალთ ჩემთან ბანაკში ცარიელი სიტყვებით, იცოდეთ, თქვენს უშიშროებას მე უკვე ვეღარ უზრუნველვყოფ“.<sup>15</sup>

<sup>13</sup> Plut. Coriol, 23.

<sup>14</sup> Plut. Coriol, 30.

<sup>15</sup> Plut. Coriol, 32.

რომის ელჩები ხელმოცარული დაბრუნდნენ. ქალაქში არნახულმა უიმედობამ დაისადგურა. სენატი გრძნობდა კატასტროფის მოახლოებას. რომაელთა შორის ყველაზე სახელოვანი სარდალი მოემართებოდა თანამოძმეთა დასასჯელად. მისი მრისხანება უახლოესმა ადამიანებმაც ვერ ჩააცხრეს. ქალაქი უიმედო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ დროს მოხდა რომის ისტორიის უიშვიათესი მოვლენა: სამშობლოს ხსნის მანტია მოისხეს წარჩინებული გვარის რომაელმა ქალებმა.<sup>16</sup> ორიგინალური იდეის ავტორად ანტიკური ავტორები ასახელებენ პირველი კონსულის, პუბლიუს ვალერიუს პოპლიკოლას დას — ვალერიას. მან შეკრიბა ქალები და დაარწმუნა ისინი, რომ გადარჩენის ერთადერთ იმედს წარმოადგენდა კორიოლანუსის დედა. ვალერიას წინადადებას წარჩინებული გვარის მანდილოსნები ერთსულოვნად შეუერთდნენ. ქალთა ჯგუფი ქწვია კორიოლანუსის დამწუხრებულ ოჯახს. ვალერიამ შთამბეჭდავი სიტყვით მიმართა მტრად ქცეული რომაელის დედასა და ცოლს: „ვოლუმნიავ და ჩემო ვერგილიავ<sup>17</sup>, ჩვენ ქალები მოვედით თქვენთან, ქალებთან, არა სენატის გადაწყვეტილებით და ხელისუფალთა ბრძანებით, არამედ, ეტყობა ღმერთმა შეისმინა ჩვენი ვედრება და შეგვაგონა, თქვენ მოგმართოთ და გთხოვოთ ხსნა ჩვენთვისაც და სხვა მოქალაქეებისთვისაც და გვინდა, დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი ხსნით თქვენ იმაზე მეტი საჩინო სახელით შეიმოსებით, როგორც მოიხვეჭეს საბინელმა ქალებმა, რომლებმაც ერთმანეთთან მებრძოლი თავიანთი მამები და ქმრები მშვიდობისა და მეგობრობის დასამყარებლად შეარიგეს. წამოგვეყვით მარციუსთან, შეუერთდით ჩვენს ვედრებას და იყავით ჭეშმარიტი და სამართლიანი მოწმენი სამშობლოსათვის! მიუხედავად იმისა, რომ იგი უბედურებას უბედურებაზე განიცდის“.<sup>18</sup>

კორიოლანუსის დედა თითქოს ელოდა გამოწვევას. მისი პასუხი კიდევ უფრო ამძაფრებს ვალერიას სიტყვების შინაარსს. მის სიტყვებში კარგად ჩანს დიდი პასუხისმგებლობა და მოვალეობის გრძნობა სამშობლოს წინაშე. „მანდილოსნებო, ყველას თანაბრად საზიანო უბედურება დაგვიდგა, მაგრამ ჩვენ, მე და ვერგილიას, პირადი უბედურებაც გვჭირს: სახელი და სიქველე მარციუსისა ჩვენთვის დაკარგულია, ხოლო თვითონ მას, როგორც უხედავთ, მტრის იარაღში ჩამჯდარს, ეს იარაღი საფრთხისაგან კი არ იცავს, არამედ უთვალთვალებს. ყველაზე დიდი ტანჯვა ჩვენთვის მაინც ისაა, რომ დაუძღვრებულ სამშობლოს ჩვენი იმედილა დაშთენია! მე არ ვიცი, შეიწყნარებს თუ არა იგი ჩვენს თხოვნას ახლა, როცა ხელი აუღია სამშობლოზე, რომელსაც თავის დროზე დედასა და ცოლ-შვილზე მეტ პატივს სცემდა. მიუხედავად ამისა, აჰა, გამოგვიყენეთ, მოგვკიდეთ ხელი და

<sup>16</sup> Liv. II, 40, Plut. Coriol. 33.

<sup>17</sup> ტიტუს ლივიუსთან კორიოლანუსის დედის სახელია ვეტურია, მეუღლესი ვოლუმნია. პლუტარქესთან დედას ჰქვია ვოლუმნია, მეუღლეს ვერგილია. ლიტერატურაში უპირატესობას ანიჭებენ პლუტარქესთან დაფიქსირებულ სახელებს.

<sup>18</sup> Plut. Coriol. 33.

წავგიყვანეთ მასთან. სხვას თუ ვერაფერს ვიქმთ, ის მაინც ძალგვიძის, სამ-  
შობლოსათვის უკანასკნელი სუნთქვა ამოვუშვათ“.<sup>19</sup>

ვოლუნშიას გულწრფელობაში ეჭვი არაგის შეპარვია. ქალთა კრებული  
მაშინვე გაემართა ვოლსკების ბანაკისაკენ. ტიტუს ლივიუსის გადმოცე-  
მით, ვოლსკებმა მაშინვე შენიშნეს მავედრებელი ქალები და კორიოლანუსს  
მოახსენეს. ამ ამბავს იგი გულგრილად შეხვდა, მაგრამ როცა გაიგო, რომ  
მტირალ ქალთა შორის იმყოფებოდნენ მისი დედა და მეუღლე, გიჟივით  
წამოვარდა და გაიქცა მათთან შესახვედრად. აქ მოხდა საოცრება. დედამ  
შვილს მიახლოების უფლება არ მისცა, მან ვედრება რისხვით შეცვალა  
და ამყად უთხრა: „ვიდრე მივიღებდე შენს კოცნას, გამაგებინე, მტერთან  
მოვედი თუ შვილთან, ტყვე ვარ შენს ბანაკში თუ დედა. ჩემმა ხანგრძლივ-  
მა სიცოცხლემ იქამდე მიმიყვანა, რომ გხედავდე ჯერ გაძევებულს, შემდეგ  
მტერს. შენ გაბედე აგეოხრებინა ის მიწა, რომელმაც მოგცა სიცოცხლე.  
ნუთუ შენში, თუმცა წადი განრისხებული და დაბრუნდი მუქარით, არ ჩაცხრა  
მრისხანება, როცა ფეხი შემოდგი მის საზღვრებში. და შენ გაბედე აგეოხრე-  
ბინა ის მიწა, რომელმაც მოგცა სიცოცხლე და გამოგკვება. დაინახე რომი  
და არ გაიფიქრე: „ამ კედლებს იქით არის ჩემი სახლი და პენატები, ჩემი  
დედა, ცოლი და შვილები“. მაშასადამე, რომ არ მეშობე, ახლა მტერი არ  
იდგებოდა რომთან... თავისუფალი მოგკედებოდი თავისუფალ მამულში.  
მე ყველაფერი გამოგცადე, შენთვის არ იქნება უფრო დიდი სირცხვილი,  
ჩემთვის უფრო დიდი უბედურება. და ამ უბედურების ატანა დიდხანს არ  
შემიძლია. დაფიქრდი იმათზე, რომელთა წინააღმდეგაც მიდიხარ, რა ელო-  
დებათ — ნაადრევი სიკვდილი თუ ხანგრძლივი მონობა“.<sup>20</sup>

დედა-შვილის შეხვედრის სცენა პლუტარქესაც ვერცლად აქვს აღ-  
წერილი. „შვილო ჩემო, რომც არაფერი ვთქვათ, ჩვენი შესამოსელითა და  
საბრალო შესახედობითაც მიხვდები, რა შევიწროებულ ვითარებაში ჩაგ-  
ვაყენა შენმა განდგომამ. აბა, შენ თვითონ განსაჯე ახლა, ვართ თუ არა  
აქ მოსულ, აი, ამ ქალებში ჩვენ ყველაზე მეტად უბედურნი, რომელთაც  
მსახვრალმა ბედმა ყველაზე საამო სანახაობა ყველაზე სამიშად გადაგვიქ-  
ცია: გვაყურებინებს, ვით მოუქცევია მშობლიური ქალაქი ალყაში მის  
კედლებთან ჩამჯდარ ჩემს შვილს. შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს  
ვთხოვოთ ღმერთებს სამშობლოს გამარჯვებაც და შენი ხსნაც, რამეთუ  
ყველა წყველა-კრულვა, რაც შეიძლება მტერმა გვისურვოს, ჩვენთვის  
ლოცვა-ვედრების საგანია“.<sup>21</sup> დედა თანდათან მკაცრი ხდება, „იცოდე და  
მზად იყავ იმისათვის, რომ შენ სამშობლოს წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბ-  
მას შეძლებ მხოლოდ და მხოლოდ მშობელი დედის გვამზე გადაბიჯებით!  
ღმერთმა ნუ მომასწროს ის დღე, თანამოქალაქეები ტრიუმფს იხდიდნენ

<sup>19</sup> Plut. Coriol, 33.

<sup>20</sup> Liv. II, 40.

<sup>21</sup> Plut. Coriol, 33.



ჩემს შვილზე გამარჯვების გამო, ანდა პირიქით, ჩემი შვილი ზეიმობდეს სამშობლოს დამარცხებას! მე რომ შენ გთხოვო, გადაარჩინო სამშობლო და შემუსრო ვოლსკები, მეტისმეტად ძნელი, თითქმის გადაუწყვეტელი ამოცანა დაგიდგებოდა, შვილო: ბოროტი საქმეა თანამოქალაქეთა განადგურებაც და იმათი ღალატიც, ვინც ნდობა გამოგიცხადეს. ახლა მხოლოდ იმას ვითხოვ, რომ ავიცილოთ ეს ბოროტება, რაც ორივე ხალხს ერთნაირად მოუტანს ხსნას და უფრო მეტად საპატიო იქნება ვოლსკებისათვის. ისინი სახელს მოიხვეჭენ იმით, რომ გამარჯვებულებმა ყველაზე დიდი სიკეთე — მშვიდობა და მეგობრობა მიანიჭეს დაძლეულთ და არანაკლებ — საკუთარ თავსაც. და თუ ეს ასრულდა, უმთავრესი მიზეზი ამ სიკეთისა იქნები შენ, მაგრამ თუ ეს ასე არ მოხდება, ორივე ხალხისათვის შენ აღმოჩნდები დამნაშავე. ომის შედეგი გაურკვეველია, მაგრამ ეს კი სრულიად ცხადია: თუ გაიმარჯვებ, სამშობლოსთვის მუდამ ბოროტ სულად დარჩები, თუ დამარცხდი, შენზე იტყვიან: თავისი რისხვის წყალობით გახდა მიზეზი კეთილისმყოფელთა და მეგობართა უდიდესი უბედურებისაო“.<sup>22</sup>

კორიოლანუსი დედის მონოლოგს უსიტყვოდ უსმენდა. ვოლუმნიას არგუმენტებმა მას ხმის ამოღების უნარი წაართვა. აშკარა იყო დედის უპირატესობა. ამიტომ, რასაც ფიქრობდა, ბოლომდე თქვა და გამარჯვებულის პოზიციიდან მიმართა: „რატომ ხმას არ იღებ, შვილო? როგორ ფიქრობ, რა უფრო უკეთესია: ყველაფერი საკუთარ რისხვასა და გულში ჩაბუღებულ ბოროტ წყენას დაუმორჩილო, თუ ხალისით დაუთმო საკუთარ დედას, რომელიც ესოდენ დიდი საქმის აღსრულებას გემუდარება?... არავის ასე არ ეგების მაღლიერების ბეჯითად დაცვა, როგორც შენ, უმაღურობის წინააღმდეგ ასე მკაცრად მებრძოლს! მამულს შენ უკვე გადაუხადე წყენის სამაგიერო, მაგრამ დედისათვის მაღლობის გადასახდელად ჯერჯერობით არაფერი გაგიკეთებია. ამიტომ ყველაზე წმინდა და ღირსეული საქმე იქნებოდა, ყოველგვარი იძულების გარეშე, შეგესრულებინა ჩემი თხოვნა, ესოდენ კეთილშობილი და სამართლიანი. თუ ვერ გაჯერებ, რატომ არ უნდა მიემართო ჩემს უკანასკნელ იმედს!“ ამ სიტყვებზე ვოლუმნია შვილს ფეხებში ჩაუვარდა... ეს რა მიქენი დედაჩემო! — შესძახა მარციუსმა, მერმე ფეხზე წამოაყენა და მისი მარჯვენა ხელი მკერდზე მიიხუტა: „შენ გაიმარჯვე, დედაჩემო... მე უკან ვიხვე, მხოლოდ შენგან დამარცხებული“.<sup>23</sup>

კორიოლანუსმა მეორე დღით ვოლსკების ბანაკი აშალა და რომის მისადგომებს გაეცალა. მარციუსს ვოლსკებმა ღალატი არ აპატიეს, გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს.

ბრძოლის ველზე დაუმარცხებელი კორიოლანუსი, დაამარცხა საკუთარმა დედამ. შვილმა ვერ გადალახა ვოლუმნიას მიერ აღმართული კედელი. „შენ წახვალ რომზე მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც გადაივლი

<sup>22</sup> Plut. Coriol, 34.

<sup>23</sup> Plut. Coriol, 36.


ჩემს გვამზე“. ამ სიტყვებმა დააგღებინა მახვილი კორიოლანუსს. მან ადამიანურ ვნებებზე ამაღლებულ შეგონებას ვერაფერი დაუპირისპირა და მის ნებას დაჰყვა. ღირსეულმა დედამ მიზანს მიაღწია, ოღონდ მიზანს შეეწირა შვილი. შეწირული მსხვერპლი დედისათვის ტრაგედიის შემსუბუქება იყო. ვოლუმნიას აზრით, მოღალატის მძიმე ტვირთის ტარებას, სიკვდილი სჯობდა, მას უდიდეს სასჯელად მიაჩნდა შერცხვენილი და ღირსებააყრილი შვილის სიცოცხლე. დედამ დაძლია მშობლიური გრძნობა და ამაღლდა იმათ დონეზე, რომლებიც ქმნიდნენ რომაულ დიდებას.

კორიოლანუსი დედის განაჩენს დაემორჩილა და დამარცხება აღიარა: „შენ გაიმარჯვე, დედაჩემო... მე უკან ვიხევე, მხოლოდ შენგან დამარცხებულნი“. ვოლუმნიამ შვილს გონება გაუნათა, მაგრამ მოღალატის სახელი ვერ ააცილა. ბერძნულ-რომაულმა მწერლობამ მას მოღალატის მარადიული დაღი დაასვა. უკიდურესად უარყოფითად ახასიათებდა კორიოლანუსს ციცერონი, ხოლო პლუტარქემ „პარალელურ ბიოგრაფიებში“ კორიოლანუსის პარალელი ელადის წარსულიდან, ალკიბიადესთან გაავლო.

სამეცნიერო ლიტერატურაში, ლეგენდარული ამბების სიჭარბის გამო, მიახლოებით განსაზღვრავენ კორიოლანუსის მოღვაწეობის ისტორიულ ჩარჩოებს. ქალაქ კორიოლის აღება, ტრადიციის გათვალისწინებით, ძვ. წ. 493 წელს უნდა მომხდარიყო. პლებებთან დაპირისპირებისა და კორიოლანუსის რომიდან განდევნის თარიღად ძვ. წ. 491 წელს ვარაუდობენ. ვოლსკების ლაშქარს იგი მეთაურობდა ძვ. წ. 489-488 წლებში. კორიოლანუსის ცხოვრების სხვა ეპიზოდებით კლიო არ დაინტერესებულა.

გნეუს მარციოს კორიოლანუსს საკუთარმა დედამაც კი არ აპატია გამრუდებულ გზაზე დგომა და ასწავლა, როგორ უნდა მოქცეულიყო. ვოლუმნია ანტიკურმა მწერლობამ დიდების შარავანდელით შეამკო. იმავე ტრადიციამ ტრაგიკული გმირის სახელი მოღალატის სინონიმად დაუტოვა საუკუნეებს.

P.S. კორიოლანუსების სიმცირეს საქართველო არასდროს განიცდიდა. განსაკუთრებული სიმრავლე იგრძნობა დღეს. ქართველო დედებო, ვიდრე გვიან არ არის, გამოიჩინეთ კეთილგონიერება და თქვენი ნაშვილები გამოსტაცეთ ისტორიის მკაცრ სამსჯავროს. გვახსოვდეს თეოდორ მოძუენის სიტყვები: „ისტორიას არ უყვარს კორიოლანუსები“.



ბრიგოლ რუხაძე

## წმიდა მამსიმი აღმსარებლის „ცხოვრების“ ქართული კიმენური რედაქცია

ეკლესია ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს, წმიდა წერილსა და წმიდა გარდამოცემასთან ერთად, ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ერთი მხრივ, ქრისტიანთათვის წმინდანების მოხსენიება არა მხოლოდ სასურველი საქმე, არამედ მოვალეობაც არის: „თანამდებ არს ყოველი კაცი ქებითა და გალობითა და პატივითა აღსრულებად საცსენებელსა მათსა“; ხოლო მეორე მხრივ, ღმრთისა და მოყვასის მიმართ გამოვლენილი მათი სათნოების მაგალითები განამტკიცებენ მსმენელს საღმრთო მცნებათა ერთგულებით: „მსმენელთა მოქალაქობისა მათისათა ბაძვად მათსა მის სათნოებისა აღვადგინებთ, ამისთვის კეთილ არს და სამართალ მოქალაქობისა და მოღუაწებისა წმიდათა მამათა და მოწამეთა აღწერად და მათი ქებითა და გალობითა შესხმაჲ“. მაგრამ გარდა ამ საზოგადო დანიშნულებისა, ზოგიერთ ცხოვრება-მარტვილობას გამოარჩევს ქრისტიანულ სწავლებათა გადმოცემის ფორმა და შინაარსი, როცა ასკეტური, ეთიკური ან თეოლოგიური საკითხები შედარებით ვრცლად და თანაც წინა პლანზეა წარმოდგენილი. ერთ-ერთი ასეთი, საღმრთისმეტყველო განსაზღვრებებით მდიდარი, თხზულებაა, ჩვენ მიერ განსახილველად შერჩეული „ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ აღმსარებელისა მართლისა სარწმუნოებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა მამსიმესი“, აღწერილი თევდოსი ხუცესის მიერ მალევე VI მსოფლიო კრების (კონსტანტინეპოლი, 680 წ.) ჩატარების შემდეგ და თარგმნილი წმ. ექვთიმე მთაწმიდელის მიერ არა უგვიანეს 1005 წლისა.<sup>1</sup>

აღნიშნული „ცხოვრების“ კრიტიკულად დადგენილი ქართული ტექსტი (ქარაგმების გაუხსნელად), თავისებური „კიმენური“ რედაქცია, 1918 წელს გამოაქვეყნა პროფ. კ. კეკელიძემ,<sup>2</sup> რომელიც, მიუხედავად ქართული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების განმეორებით ბეჭდვის არსებული ტრადიციისა, დღემდე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად რჩება. ერთი ძირითადი მიზეზი ჩვენი თემის არჩევისა, სწორედ ამ ვრცელი რედაქციისკენ მკითხველის ყურადღების მიქცევის სურვილი იყო.<sup>3</sup>

როგორც ვთქვით, წმ. მაქსიმეს „ცხოვრების“ ეს რედაქცია განსაკუთრებით საღმრთისმეტყველო სწავლებათა ვრცელი და ღრმა პასაჟებით გამოირჩევა, მაგრამ მათთან ერთად ზოგიერთ ისეთ საკითხსაც მიმოვიხილავთ, რომლებიც, ჩვენი დაკვირვებით, მეტ ანალიზსა და გამოძიებას საჭიროებენ. მანამდე კი, ისტორიულ გარემოსთან დასაახლოვებლად, წარმოვადგინოთ იმ ისტორიულ პირთა და გეოგრაფიულ სახელთა სია, რომელნიც თხზულებაში არიან მოხსენიებულნი:

**იოჟანე და ანა** — დიდებულნი და ღმრთისმოყვარენი მშობელნი წმ. მაქსიმე აღმსარებელისანი (თ. 2).

**ჰერაკლე კეისარი** — მაქსიმეს დროს ბიზანტიაში მეფობდა „ჰერაკლე, რომელმან იგი სპარსეთი დაიპყრა და ზუასრო მეფეს სპარსეთისად მოკლა და ზაქარია პატრიაქი იერუსალმისად ტყუეობისაგან გამოიყვანა და ძელი პატიოსნისა ჯუარისად, რომელი იგი იერუსალმით სპარსეთს ზუასროს წარეყვანა, კულად მადლითა ქრისტეცხითა მოიყვანა და საუნჯე დიდძალი სამეუფოსა პალატსა დაუსუენა“ (თ. 3).

**სებეროს და დიოსკორე** — მონოფიზიტი მწვალებლები, „რომელნი იგი უვარ ჰყოფდეს ორთა ბუნებათა ქრისტეცხსა — ღმრთეებისა და კაცებისასა, და ერთსა შერეულსა ბუნებასა ქადაგებდეს და განკაცებასა უფლისასა უცნებით ქმნულად ჰკმობდეს“ (თ. 4).

**ქალკიდონი** — აქ მარკიანე მეფის დროს გაიმართა IV მსოფლიო კრება 630 მამათა, „რომელთაც შეაჩუენენეს და განკუეთენეს ბოროტნი იგი მწვალებელნი — დიოსკორე ალექსანდრიელი და ეპტუქიოს მამასახლისი და სებეროს ანტიოქიელი და პეტროს აპამიელი და სხვანი იგი მიმდგომნი მათნი, იაკობ ვინმე და ტიმოთე, რომელსა ეწოდებოდა ძელი“. კრების სარწმუნოებრივი განჩინებით, ქრისტე არის „სრული ღმერთი და სრული კაცი, უვნებელი ღმრთეებითა, რომელმან ცხოვრებისათჳს ჩუენისა ივნო ბუნებითა მით კაცობრივითა, რამეთუ ერთი გუამი იყო ორითა ბუნებითა“ (თ. 4).

**ისტენიანე იმპერატორი** — მის დროს კონსტანტინეპოლში გაიმართა V მსოფლიო კრება 164 წმიდათა მამათა, „რომელთა დაამტკიცეს ყოველივე პირველთა მათ ოთხთა კრებათაგან დაწესებული, და სებეროს შეაჩუენეს და ოროგინე და მსგავსნი მისნი, და მართალი სარწმუნოებაჲ კმამადლად ქადაგეს“ (თ. 4).

**სერგიოს** — მაქსიმეს დროს პატრიარქი, ანუ მაშინდელი მთავარეპისკოპოსი, კონსტანტინეპოლისა, ნათესავით ასური, მშობელთაგან იაკობიტთა შობილი; მონოთელიტი (თ. 6).

**კუროზ** — მთავარეპისკოპოსი ალექსანდრიისა; მონოთელიტი (თ. 6).

**იოჟანე** — პაპი რომისა; მართლმადიდებელი (თ. 6).

**სოფრონ** — პატრიარქი იერუსალიმისა; მართლმადიდებელი (თ. 6).

**პიროს** — პატრიარქი კონსტანტინეპოლისა, სერგის შემდეგ დაიპყრა საყდარი; ესეც მონოთელიტი (თ. 7).

**კონსტანტინე** — ძე ჰერაკლესი, რომელიც გამეფების შემდეგ პიროს პატრიარქმა მარტინა სეფექალის თანაშეწევნით მოწამლა და მოკლა (თ. 7).

**პაულე** — პიროსის მომდევნო პატრიარქი; ესეც მონოთელიტი (თ. 7).

**ხრესოპოლი** — მონასტერი, სადაც მაქსიმე მოღვაწეობდა (თ. 8).

**თველორე** — იოვანეს შემდგომი პაპი რომისა; მართლმადიდებელი. მან „შეკრიბა ყოველი სავსებად ეკლესიისაჲ, და შევიდა სამარხოსა პეტრესსა თავისა მის მოციქულთაჲსა და მოითხოვა წმიდაჲ ბარძიმი და დააწო კალამი ცხოველს-ყოველსა მას სისხლსა თვისთა ჴელითა, და დაწერა განკუთვნიად პიროსისი და ყოველთა თანაზიართა მისთაჲ“ (თ. 11).

**მარტინე** — წმიდა პაპი, საყდარზე ავიდა თველორეს შემდეგ (თ. 11). მან მაქსიმეს შთაგონებით 150 ეპისკოპოსთა კრება მოიწვია რომში, რომელზეც „შეაჩუენნეს სერგიოს და პიროს და კუროზ და პაულე მწვალებელნი და მათი იგი წვალებად, და ორი ბუნებაჲ ქრისტესის და ორი ნებაჲ და ორი საქმეჲ კმაჲდლად ქადაგეს“ (თ. 12).

**კოსტა** — მეფე ბიზანტიისა, ძე კოსტანტინესი და დისწული ჰერაკლესის, რომელმაც წმიდა მარტინე და ნეტარი მაქსიმე რომიდან კოსტანტინეპოლში დასასჯელად ჩამოიყვანა და შემდეგ ორივე გადაასახლა (თ. 13).

**თველოსი** — ეპისკოპოსი კესარია-ბითვინიისა, რომელიც მეფის დაავლებით მაქსიმესთან მოსარიგებელ მოლაპარაკებას აწარმოებდა, მაგრამ უშედეგოდ (თ. 21).

**მონასტერი წმ. არსენისა** — მდებარეობს ციხე ჰიმარის მახლობლად, სადაც დაჰმარხეს წმიდა გვამი მაქსიმე აღმსარებელისა (თ. 31), რომელიც 90 წლისა აღესრულა (თ. 19).

**აგათონი** — ნეტარი პაპი რომისა; საყდარზე ავიდა წმ. მარტინეს შემდეგ. მან ჩაატარა კრება 124 ეპისკოპოსთა, რომელზეც „წვალებად იგი ერთისა ნებისა მეტყუელთაჲ შეაჩუენნეს, და ორნი ნებანი და ორნი საქმენი ქრისტესნი და ორნი ბუნებანი ქადაგნეს და დაამტკიცეს“ (თ. 32).

**კოსტანტინე** — ძე კოსტასი; თავის ორ ძმასთან ერთად მეფობდა. მან „გულისკმა ყო ცთომილებად იგი მამისა თვისისაჲ და წვალებად“ და კონსტანტინეპოლში მოიწვია VI მსოფლიო კრება 168 წმიდათა მამათა: „და ქადაგეს უფალი იესუ ქრისტეს მკვსნელი და მაცხოვარი ჩუენი ორითა ბუნებითა და ორითა ნებითა და ორითა საქმითა — ღმრთეებისა და კაცებისაჲთა, არა განყოფილებითა პირთა და გუამთაჲთა, არამედ ორთა ბუნებათა სრულებითა, რამეთუ არცა ერთი ბუნებათა მისთაგანი იყო თვნიერ ნებისა და საქმისა, რამეთუ რომელნი უარ ჰყოფენ ორთა ნებათა და საქმეთა, იგინი ბუნებათაცა უარ ჰყოფენ და თვითებათა მათთა“ (თ. 33).

ამ ჩამონათვალში ბიზანტიის იმპერატორებისა და მეფექალაქის მღვდელთმთავრების აღმსარებლობას თუ მივაქცევთ ყურადღებას, ერთი თვალის გადავლებითაც კარგად ჩანს, რომ წმ. მაქსიმეს გარემოცვა, მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში, მონოთელიტური იყო. გამონაკლისია



მხოლოდ ჰერაკლე კეისარი, რომელთანაც წმიდა მაქსიმეს ურთიერთობა, ჩვენი აზრით, გაურკვეველი ჩანს.

### ჰერაკლე მეფე და მაქსიმე აღმსარებელი

„ესმოდა მეფესა ყოველთაგან ღირსისა მის მაქსიმეს სიბრძნე და მეცნიერებად და ფრიადი ღმრთის-მოყუარებად, მოუწოდა თუსა... და მისცა მას პატივი, სამეუფოთა მწიგნობართა მთავრობად“ (თ. 3). — საკმარისი ცნობაა იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორი ნდობა ჰქონდა მეფეს მაქსიმეს მიმართ, რომელსაც ასეთი წარჩინებული პატივი მიანიჭა. მიუხედავად ამისა, „ცხოვრებაში“ (არა მარტო ჩვენს რელაქციაში) არაფერია ნათქვამი ღირსი მაქსიმეს პოზიციის შესახებ, როცა ჰერაკლე მეფე მისთვის უცნობ საღმრთისმეტყველო საკითხზე პასუხს ყველა ცნობილი ადგილობრივი ეკლესიის მეთაურისგან ითხოვდა.

მოვლენები ასე ვითარდებოდა. იაკობიტთა მთავარეპისკოპოსის, უკეთური ათანასეს შეკითხვაზე — «ნებისათვის და საქმისა, ვითარ იტყვ, ორი ჯერ-არს თქუმად ქრისტეცხთვს ანუ ერთი?» — პასუხის მისაღებად ჰერაკლე კეისარი ჯერ სერგიოს კონსტანტინეპოლელს დაეკითხა, შემდეგ კეროზ ალექსანდრიელს და ბოლოს რომის პაპს, იოჰანესაც მისწერა წერილი. სერგიოსისა და კეროზის აზრით, «ერთი ნებად და ერთი საქმე ჯერ-არს თქუმად ქრისტეცხთვს» (თ. 6.), ხოლო პაპი იოჰანეს მიხედვით, აღვიარებთ «ორსა ნებასა და ორსა საქმესა, რამეთუ არა არს ბუნებად უნებელი და უსაქმოი». ამ საკითხის თაობაზე სოფრონ იერუსალიმელმა კრება მოიწვია, «შეაჩუენნა მეტყუელნი ერთისა ნებისანი» და კრების გადაწყვეტილება ჰერაკლე მეფეს ეპისტოლეით შეატყობინა.

„ესმა რად ესე ყოველი მეფესა, შეწუნნა და ვერ გულისცმა ჰყოფდა, თუ რომელთა სიტყუად დაამტკიცოს“. ასეთი ორჭოფობის დროს, განა შესაძლებელია, რომ ქრისტიანი მეფე მისი მწიგნობართმთავრის აზრით არ დაინტერესებულყო, სანამ მცდარ გადაწყვეტილებას მიიღებდა? — სამწუხაროდ, პასუხს ჩვენ ვერსად ვპოულობთ, ხოლო მეფე „ჰკონებდა, თუ კეთილსა რასმე იქმს. დაწერა ბრძანებად, რადთა არცა ერთსა ნებასა და საქმესა იტყოდიან, არცა ორსა“ (თ. 6). ამ ბრძანებას, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში „ეკთუხისის“ („საწამებელის“) სახელით მოიხსენიებენ, ორი უარყოფითი მხარე ჰქონდა: ა) სარწმუნოებრივი, რადგან იგი არ აღიარებდა არცერთ კონფესიურ განსაზღვრებას, ანუ ის არც მართლმადიდებლური (დიოთელიტური) იყო და არც მონოთელიტური; ბ) პოლიტიკური, რადგან გადაუჭრელი საღმრთისმეტყველო საკითხის კონსერვაცია, ანუ თავისუფალი განსჯის აკრძალვა დოგმატურ თემაზე დავის დროს, მის გაქრობას არ იწვევს და, ადრე თუ გვიან, იგი ეკლესიას ახალ და უფრო მწვავე პრობლემად უბრუნდება.

## სარწმუნოება და აღსარება

მეფის ეკთხისში ქრისტიანისთვის პრინციპულად მიუღებელი ის იყო, რომ ბრძანება დადუმებას მოითხოვდა და არა სარწმუნოების აღსარებას. ანალოგიური მოთხოვნა კოსტა მეფისგან წარგზავნილმა ტროილე პატრიკ-მაც წაუყენა ღირს მაქსიმეს: „გულსა შინა შენსა გაქუნდინ ვითარცა გნებავს, არავინ გაყენებს. წმიდამან მაქსიმე თქუა: უფალმან და მაცხოვარმან ჩვენმან არა ვერე ბრძანა, რადთა გულსა შინა ოდენ გაქუნდეს სარწმუნოებად, არამედ ესრეთ იტყვს: „რომელმან არა აღმდაროს მე წინაშე კაცთა, არცა მე აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათადას“ (მთ. 10,33), და წმიდად მოციქული იტყვს: „გულსა გრწამსცა სიმართლედ, და პირითა აღიარებდი საცხორებელად“ (რომ. 10,10), „რამეთუ აღ-თუ-იარო პირითა შენითა უფალი იესუ და გრწმენეს გულითა შენითა, ვითარმედ ღმერთმან აღადგინა იგი მკუდრეთით, სცხონდე“ (რომ. 10,9). აწ უკუე ვინაითგან თავადი უფალი ჩუენი იესუ ქრისტეს და ყოველნი წინაწარმეტყველნი და მოციქულნი ესრეთ იტყვან, რადთა სიტყვით და გონებით და კმითა მადლითა აღვიარებდეთ საიდუმლოსა მას მართლმადიდებლობისასა, დიდსა მას და დიდებულსა და ყოვლისა სოფლისა განმაცხოველებელსა, არა ჯერ-არს ყოვლადვე დადუმებად ქადაგებისად მის, რამეთუ არა წარწყმდეს ცხოვრებად მათი, რომელნი დუმდენ“ (თ. 23).

ბოლო დროს ჩვენს სამწყსოშიც გახშირდა გამონათქვამი, რომელიც სწორედ აღმსარებლობის ერთგულების განელებასა და მის შესახებ დადუმებას უნდა მოასწავებდეს: ისეთი ჟამი დადგა, კაცმა მარტო საკუთარი თავის გადარჩენაზე უნდა იფიქროსო. ჩვენი აზრით, იგი განსაკუთრებით მიუღებელია მორალური თვალსაზრისით, რადგან ის არა მარტო პიროვნების ეგოიზმზე, არამედ საზოგადოებრივი პრობლემებისადმი ინდიფერენტობაზეც მეტყველებს. თუ კაცს გული არ შესტკივა მოყვასის, ეკლესიისა და სამშობლოს განსაცდელზე, ანუ თუ მის სიყვარულს განცდის ობიექტი არა აქვს და ყველაფერზე დუმს, მაშინ იგი უბრალოდ მას აღარ ჰქონია და უსიყვარულოდ რომელ ქრისტიანობაზე შეიძლება საუბარი?

ქრისტიანული სიყვარულით აღსავსე გულმა ათქმევინა ნიკოლოზ ბარათაშვილს: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისათვის არა იზრუნოს“. ქრისტიანი მოვალეა, არა მხოლოდ შინაგანად ატარებდეს მზეს სიმართლისა, არამედ გარეგანადაც ასხივებდეს მის ნათელს და შეეძლოს ბრძოლა იმ უსამართლობისა და ბოროტების წინააღმდეგ, რომელთა დამკვიდრებას დღეს ცოდვის დაკანონებითა და ტრადიციების აღმოფხვრით ცდილობენ. მაგალითად, პარადი რომ სახეიმო დათვლიერებას ნიშნავს და მას ერები იმიტომ ატარებენ, რომ ესა თუ ის ღირსშესანიშნავი და ისტორიული მოვლენა იდღესასწაულონ, ყველასთვის ნათელია, მაგრამ დღევანდელ საქართველოში არსე-

ბული ძალები, სხვა მრავალ უბედურებასთან ერთად, დაჟინებით ცდილობენ სოლომური აღლუმის გამართვას, რომლითაც უნდათ დაგვიმტკიცონ, რომ ჩვენ ზნეობრივი და კულტურული ერის სახე დაგვარგეთ და მხოლოდ პირუტყვიანი ყოფა შეგვეფერება. თუმცა მათ ავიწყდებათ, რომ ჩვენს მრავალმხრივ რეფორმირებულ ერში, რომელიც უკვე ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას, მაინც ცოცხლობს დიდი რუსთველი: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი!“ ამ მხრივ სერბ ხალხზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მან 2011 წელს გამოცდა გმირულად ჩააბარა, როცა სოლომური აღლუმის შეიარაღებულ აღეპტა წინაშე ქელი არ მოიდრიკა.\*

### ეკლესია და სახელმწიფო

ეკლესია, დღემდე მეორედ მოსვლისა, ნებისმიერი სახელმწიფო წყობილების პირობებში იარსებებს. ამიტომ ქრისტიანს მოეთხოვება ცოდნა იმისა, თუ რომელი სამოქალაქო კანონის მორჩილება შეიძლება და რომლისა — არა, რათა როგორც უფლის, ისე სინდისის წინაშე პირნათელი იყოს. წმ. მაქსიმე ტროილე პატრიკს ეუბნება: „აჰა ესერა ვიტყვ წინაშე ღმრთისა და წმიდათა ანგელოზთა, უკუეთუ ბრძანება იგი მეფისა და სული-სა ჩემისა საუნებელი არა იყოს, არამედ საქმეთაგან იყოს საწუთროსა ამას თანა განქარვებადთა, აღვასრულო ბრძანება იგი მისისა“ (თ. 23). ხოლო სულის საუნებელი, უდავოდ, მხოლოდ იმ საქმეში მონაწილეობა შეიძლება იყოს, რომელიც ღმრთის მცნებათა საწინააღმდეგოა; მცნებებში კი როგორც სარწმუნოებრივი, ისე ზნეობრივი შინაარსი იგულისხმება, რადგან ისინი ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ.

ზემოთ განხილული საკითხიდან გამომდინარე, შეიძლება დაიბადოს კითხვა: განა ადამიანისთვის სულის საუნებელი შეიძლება იყოს საქმე, რომელშიც თვითონ არ მონაწილეობს? — ზოგადად, რა თქმა უნდა, არა, მაგრამ თუ თვით ეს საქმე არა პიროვნული, არამედ საზოგადოებრივია და ამდენად მასში არმონაწილეობა გულგრილობას ნიშნავს თანამოქალაქეთა ღირსებისა და ეროვნული ტრადიციების შეურაცხველობისადმი, მაშინ ამ მდგომარეობიდან უვნებელი როგორ გამოვა? — ეს იგივე დადუმებული აღმსარებლობაა, რადგან საქვეყნო საქმიდან განდგომა ბრძოლის ველიდან გაპარვას ნიშნავს და მას ერთადერთი შესაფერი სახელი — ღალატი — ჰქვია.

საქართველო სამასი არაგველის ქვეყანაა და გამოცდილებით ვიცით, რომ არსთა გამრიგე გამარჯვებულ ბრძოლებს კი არა, თავდადებულ გმირებს ითვლის და უკანასკნელ სამსჯავროზე გვირგვინებს არა საკუ-

\* მიუხედავად მასშტაბური სხვაობისა, იგივე შეიძლება ითქვას თბილისში, ამა წლის მაისში სინდისდამწვართა მიერ გამართულ სარეპეტიციო მინიპარადთან დაკავშირებითაც, როცა ქართველებმა შეძლეს წინ აღდგომოდნენ ამ უმსჯავრობას.

თარი სიცოცხლის შენარჩუნებისთვის, არამედ მისი გაწირვისთვის განაშნადებს. სხვათა შორის, მშვენება ეროვნული სულისა, ლადო ასათიანი, წარმოშობით წმ. მაქსიმე აღმსარებლის ექსორიობის სანახებიდან რომ იყო და არც თუ ისე შორს იდგა მისგან ტანჯული ხორციითა და სულის სილამაზით, ასე გამოხატავს რწმენას სამშობლოს სამსახურისადმი: „რა ქართველი ხარ და რა ვაუკაცი, თუ მამულს თავი არ ანაცვალე“.

მოკლედ რომ ვთქვათ, საკუთარი ქვეყნის დაცვა და კანონმორჩილება ქრისტიანის მოვალეობაა, მაგრამ მას არა მარტო სულის სავენებელ ბრძანებათა მიმართ დაუმორჩილებლობა, არამედ მათგან სხვა თანამემამულეთა დასაცავად ბრძოლაც მართებს.

### წინასწარცნობა და განჩინება

ახლა კი ბრძოლის ველიდან ღმრთისმეტყველებაში გადავინაცვლოთ და გავარკვიოთ, თუ როგორ განასხვავებს წმ. მაქსიმე აღმსარებელი ღმრთის წინასწარცნობასა და წინასწარგანგებას ერთმანეთისაგან. ვფიქრობთ უძობლესი იქნება, თვედღოსი კესარია-ბითვინიელისა და ღირსი მაქსიმეს კითხვა-მივებიდან (თ. 21), რომელშიც ზემოხსენებული საკითხი არის განხილული, ჯერ თეზისები ამოწეროთ, რათა საბოლოო განსაზღვრების მიღება გაგვიადვილდეს.

— „ვითარცა იგი მეცნიერებად მისი წინაღწარ არს, ვგრეთვე განჩინებად დასაბამითგან არს“. — ე. ი. როგორც ღმერთმა ყველაფრის შესახებ ყოველივე წინასწარ იცის, ასევე მისმიერი განჩინებაც (განსაზღვრება, გადაწყვეტილება) პირველითგან, იმავეითვე არსებობს.

— „წინაღწარცნობად კელმწიფებასა შინა ჩუენსა მყოფთა საქმეთა და სიტყუათა და გულის-ზრახვათა არს, ხოლო განჩინებად მოწვეწად-თათუჲს ჩუენ ზედა ჩუენდა უნებელად ითქუმის“. — ე. ი. ღმერთი წინასწარმცნობია იმ გაგებით, რომ მან ჩვენი ნებიდან გამომდინარე საქმეები, სიტყვები და აზრები წინასწარ იცის, ხოლო განჩინება ეწოდება ყოველივე იმას, რაც ჩვენ მომავალში უნდა შეგვემთხვეს და იგი ჩვენს ნებაზე არ არის დამოკიდებული.

— თვედღოსი ეპისკოპოსის შეკითხვაზე: „რომელნი საქმენი არიან ჩუენსა კელმწიფებასა და რომელნი არიან ჩუენდა უნებელად, და ვითარ რომელნიმე წინაღწარმცნობელობასა ღმრთისასა მიაჩემენ და რომელნიმე წინაღწარგანგებასა?“ წმიდა მაქსიმემ უპასუხა: „კელმწიფებასა შინა ჩუენსა არიან ყოველნივე, რომელნიცა ნებითა ჩუენითა იქმნებიან, გინა თუ კეთილნი საქმენი გინა თუ ბოროტნი, ხოლო უნებელად ჩუენდა არიან ყოველნი მოწვეწადნი ჩუენ ზედა ჭირნი და განსაცდელნი, ანუ მათნი წინააღმდეგომნი, რამეთუ არცა სნებად ჩუენსა კელმწიფებასა არს, არცა სიმრთელჲ, დადაცათუ მიზეზნი სნებისა და სიმრთელისანი მრავალთ-გზის

ჩუენგან იქმნებიან; უწესობა და უკრძალველობა ჭამადთა მიზეზი არს სენთა, და კრძალვით და წესიერად ჳუმევა მობატყუებელ არს სიმრთელისა; არამედ მოწვენანი იგი სენთანი გარეშე ნებისა ჩუენისა არიან და სიმრთელე არავე ჩუენსა კელმწიფებასა არს, და სხუანიცა სოფლისა საქმენი, სიმდიდრჳ ანუ სიგლახაკჳ, დიდება ანუ შეურაცხება და სხვანი მსგავსნი ამათნი. ზოლო ვითარცა იგი ვთქუ, ვითარმედ სიმრთელჳ და სნეულებად არა ჩუენსა ნებასა და კელმწიფებასა ზედა არს, გარნა მიზეზნი მათნი ჩუენ ზედა არიან, ეგრეთვე სახედ არს სულიერიცა, რამეთუ სასუფეველისა ცათადას მიზეზი არს დამარხვად მცნებათა ქრისტესთა და ჳოჯოხეთისა მობატყუებელ არს გარდასლვად მცნებათა მისთა“.

აქედან გამოდინარე, ყოველი საქმე — კეთილი თუ ბოროტი, „რომელნიცა ნებითა ჩუენითა იქმნებიან“, ისევე წინასწარ იცის ღმერთმა, როგორც ჩვენი ქმედებით ანუ მიზეზით გამოწვეული შედეგები — სნება თუ სიმრთელე, სიმდიდრე თუ სიგლახაკე, მაგრამ ჩვენს ნებაზე დამოკიდებული საქმენი მხოლოდ ღმრთის წინასწარცნობას მიეწერებიან, ზოლო არა ჩვენი ნებით, არამედ ჩვენი მიზეზით განპირობებული საქმენი ღმრთის განჩინებით ანუ წინასწარგანგებით იქმნებიან. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ წინასწარი განგება ღმრთის მიერ ადამიანისთვის წინასწარგანსაზღვრულ ხედრს არ ნიშნავს, პირიქით, ეს არის ადამიანის თავისუფალი ქმედების კანონზომიერი შედეგი, რომელიც უზენაესი სამართლიანობით არის დაცული და დაშვებული.

რაც შეეხება, ღმრთის მიერ დაშვებული განსაცდელის მნიშვნელობას, მიუხედავად იმისა, რომ „მრავალსაზე არს უკუე და მრავალგუარი მოწვენად განსაცდელისა“, წმიდა მაქსიმე ასე განმარტავს: „გამოსაცდელად მოსლვად ჳირთა და ურვათა წმიდათა არს და მართალთა, რადთა გამოჩნდეს განსაცდელთა მიერ კეთილი და ახოვანი გონება მათი სოფელსა შინა და ცნან კაცთა დაფარული იგი სათნოება მათი; ...ეგრეთვე ყოველთა წმიდათა, რომელნიცა ჳირნი შემთხუნეს ამას საწუთროსა, ამით ესევეითარითა განგებულებითა შემთხუნეს, რადთა ჳირითა მით და უძლურებითა კორცთადა დათრგუნონ ამპარტავანი იგი და განდგომილი ვეშაპი, რომელ არს ეშაპი. ესე უკუე სახჳ, ვითარცა ვთქუ, წმიდათა არს, ზოლო ცოდვილთა და ბრალეულთა კაცთა ზედა მოვლენ განსაცდელნი ოდესმე შესანდობელად ცოდვათა, უკუეთუ მადლობით შეიწყნარონ და ოდესმე დამაყენებელად ცოდვათა; და კუალად განწირულთა ზედა და წინააღმდეგომთა ღმრთისათა მოიწვეიან განსაცდელნი, რადთა იხილონ სხუათა და განეკრძალნენ“.

მაშასადამე, განგებით მოწვეულ განსაცდელთა ხუთ მიზეზს ასახელებს წმიდა მაქსიმე აღმსარებელი: წმიდათა გამოჩენისათვის, ეშაპათა დათრგუნვისათვის, ცოდვათა შენდობისათვის, ცოდვათა დაყენებისათვის, ცოდვილთა სასჯელისათვის და მათთა მხილველთა განკრძალვისათვის.



## საღმრთისმეტყველო განსაზღვრებანი

თხზულებაში ჩართული საღმრთისმეტყველო ტექსტები იმდენად მნიშვნელოვანია, ახლო მომავალში რომ არ ველოდეთ მის ახალ გამოცემას, აქვე სრულად წარმოვადგენდით. ჯერჯერობით კი მხოლოდ ცნობებით შემოვიფარგლოთ. წმ. მაქსიმეს „ცხოვრებიდან“ ერთ-ერთი სწავლება, რომელიც, ფაქტობრივად, ვრცელ მრწამსს წარმოადგენს (თ. 26), მ. საბინინმა „საქართველოს სამოთხეში“ (1882 წ.) შეიტანა სათაურით „ჭეშმარიტი აღსარება მართლისა სარწმუნოებისა თქმული ღირსისა მამისა ჩუენისა მაქსიმე აღმსარებელისა“, და იქვე სამართლიანად მიუთითა: „რომელსა ზედა სრულიად თანახმა არს საქართველოს ეკლესია აქამომდე“. აღსარების პირველი ნაწილი, რომელიც უშუალოდ წმ. მაქსიმეს ეკუთვნის, ეს არის, დაახლოებით 50 სტრიქონში ჩატეული ლაკონიურად და სისტემური სახით გადმოცემული, ძირითადი სარწმუნოებრივი სწავლებანი, რომელიც, როგორც ხატი აღმსარებლობისა, ნებისმიერი სასულიერო სასწავლებლის აუდიტორიას დაამშვენებდა.

მართალია, მიქაელ საბინინმა მთელი ეს „ჭეშმარიტი აღსარება“ ღირსი მაქსიმეს სახელს მიაწერა, მაგრამ, ვფიქრობთ, პრინციპულად არავითარი შეცდომა არ დაუშვია, რადგან აღსარების მეორე შემადგენელი ნაწილი, თუმცა ჩვენ მიერ განხილულ „ცხოვრებაში“, საიდანაც ის არის აღებული, ისეა წარმოდგენილი როგორც VI მსოფლიო კრების დადგენილება (თ. 34), მთლიანად ღირსი მაქსიმეს ღმრთისმეტყველებათაზე არის აგებული, განსაკუთრებით კი სწავლება დიოთელიტობაზე, რომლის სისტემატიზატორი, უდავოდ, წმ. მაქსიმე აღმსარებელი იყო. თხზულების მიხედვით, VI კრების ძეგლისწერაში სხვა წმიდა მამები — ათანასე დიდი, გრიგოლ ღმრთისმეტყველი, ლეონ ღმერთშემოსილი და კურილე ალექსანდრიელი — არიან დასახელებულნი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მაქსიმე აღმსარებლის როლი ახლადწარმოქმნილი ქრისტოლოგიური კამათის გადაწყვეტის საქმეში IV-V სს-ის მამებზე ნაკლებმნიშვნელოვანი იყო; თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საფუძველს წმ. მაქსიმეს საღმრთისმეტყველო განსაზღვრებებისთვის სწორედ მათი სწავლანი ქმნიდნენ.

ამასთანავე, ჩვენი წყაროს მოწმობით, წმ. მაქსიმეს საეკლესიო მოსახსენებელი დღეები (ამაზე ცალკე ქვემოთ ვისაუბრებთ) VI კრებამ დაადგინა და „წმიდა მარტინე პრომისა პაპა და წმიდა მაქსიმე აღმსარებელი ვმამალად აღიდნეს, და საცსენებელად საუკუნოდ ნეტარება და ქება მათი განაწესეს“ (თ. 33). მართალია, ამ ცნობას ბერძნული ტექსტი VI მსოფლიო კრების ოქმებისა არ იძლევა, მასში მაქსიმეზე საერთოდ არაფერი არ არის ნათქვამი, მაგრამ ამის გამო რომ ქართული ცნობების უარყოფა არ შეიძლება, ჩვენ სრულიად ვეთანხმებით პროფ. კ. კეკელიძის საფუძვლიან ვარაუდს: „საქმე ისაა, რომ ძნელი და წარმოუდგენელიც კი

არის დაშვება იმისა, რომ VI მსოფლიო კრებამ, რომელიც სპეციალურად იქნა მოწვეული იმ ერესზე სამსჯელოდ, რომელთანაც ბრძოლაში თავისი მრავალტანჯული სიცოცხლე მაქსიმემ მოწამეობრივად ადასრულა, სრულიად უგულისხმიეროდ აუარა გვერდი მის სახელს, რომელიც ასე მჭიდროდ იყო დაკავშირებული მონოთეოლოგობასთან და რომელიც განსჯილი და დაგმობილი იქნა მისი ლიტერატურულ-აღმსარებლობითი მოღვაწეობის წყალობით. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ვივარაუდოთ არსებობა VI მსოფლიო კრების აქტების ისეთი ნუსხისა, რომელიც შეიცავდა ზემომოყვანილ ცნობებს მაქსიმეს შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენამდე ვერ შემოინახა. დაუშვავთ, ასეთი ნუსხა კრების აქტებისა არასდროს არსებობდა და ეს ცნობები მაქსიმეს „ცხოვრებაში“ ექვთიმეს მეშვეობით მოხვდა; მაშინ ჩვენ უნდა ვაღიაროთ არსებობა სხვა წერილობითი წყაროებისა, რადგან ექვთიმეს მის მიერ ნათარგმნ თხზულებებში ჰაერიდან მოტანილი («от ветра главы своея») არავითარი დამატება არ შეჰქონდა“.<sup>4</sup>

### მოსახსენებელი ღირსისა მაქსიმესი

თვედოსი ხუცესი „ცხოვრებაში“ გარკვევით აღნიშნავს: „აღესრულა, ვითარცა ვთქუ, ღმერთ-შემოსილი მამად ჩუენი და აღმსარებელი ქრისტესი მაქსიმე თთუესა აგვისტოსა ცამეტსა. ხოლო აღესრულების საკსენებელი მისი მას დღესაცა, და კუალად აღესრულების თთუესა იანვარსა ოც და ერთსა, ოდეს იგი ტანჯეს და დაჰკუეუეს წმიდა იგი ენად და კელი მისი, რამეთუ ესრეთ განაწესეს წმიდათა მამათა მეექუსისა მის კრებისათა“ (თ. 31).

მიუხედავად იმისა, 13/26 აგვისტოს ღირსი მამის მოხსენიება, ამ ერთ-ერთი უძველესი წყაროს მიხედვით, ეჭვს არ იწვევს, ბერძნულ სვინაქსარებში ამ დღეს დადებულია არა ჩვეულებრივი ხსენება, არამედ ღირსი მაქსიმე აღმსარებლის ნაწილთა აღმოყვანება, ან გადასვენება კონსტანტინეპოლში, ხოლო მოსახსენებლის თარიღი აღსასრულის წელს, 662-ს მიუთითებს. ეს შეცდომა ბოლო დრომდე ჩვენს საეკლესიო კალენდარშიც იყო გაპარული, როგორც ჩანს, ელადის ან რუსეთის ეკლესიათა მოსახსენებლების გაგლეწით; ფაქტი კი ისაა, რომ წმ. მაქსიმეს წმიდა ნაწილთა გადასვენება კონსტანტინეპოლში არასდროს მომხდარა და თვით ბერძნულ წყაროებშიც, გარდა მარტოოდენ ფაქტის აღნიშვნისა, არავითარი ისტორიული საბუთი ნაწილთა აღმოყვანების თაობაზე არ არსებობს.<sup>5</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ ელადისგან განსხვავებით, მაგალითად, კონსტანტინეპოლისა და ალექსანდრიის ბერძნული ეკლესიების თანამედროვე კალენდრებში 13/26 აგვისტოს არა ნაწილთა აღმოყვანება, არამედ ღირსი მაქსიმე აღმსარებლის მხოლოდ სახელი, ანუ აღსრულების დღე არის მოხსენიებული.

ჩვენ მიერ განხილული თხზულების გაცნობის შემდეგ მკითხველი თვით მიხვდება, თუ რამდენ საკითხზე შეიძლება კიდევ ყურადღების გამახვილება, მაგრამ, ჩვენი აზრით, მხოლოდ ძირითადი საკითხები გამოვყავით და მათ კომენტირებას შევეცადეთ.

დაბოლოს, ნარკვევს „ცხოვრების“ დასასრულს აღვლენილი შესანიშნავი ლოცვის სიტყვებით დავასრულებთ: „მ ბრძენთა-მთავარო და სრულო ფილოსოფოსთა შორის, სამკაულო მონაზონთაო, დიდებულო მაქსიმე... მოვედ ჩუენდა სავსე მადლითა სულიერითა, გუასწავე ვითარ ჯერ-არს ქებაჲ და შესხმაჲ შენი, მოჰფინე ჩუენ ზედა მადლი შენი, და მეოხებითა შენითა წარგჰქედუ გზასა ცხოვრებისასა, ღირს გუყვენ სწავლათა და მოძღურებათა შენთა აღსრულებად, რამეთუ დაღაცათუ წარხუედ ამიერ სოფლით, არამედ ცხოველ ხარ წინაშე ღმრთისა, რომლისათჳსცა იღუაწე“. ამინ.

### შენიშვნები:

<sup>1</sup>კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VII, თბ., 1961. გვ. 16,20.


<sup>2</sup>Monumenta hagiographica Georgica, Keimena, I, გვ. 60-103, თბ., 1918. — მანვე ეს ვრცელი რედაქცია არასრულად თარგმნა რუსულად და გამოაქვეყნა უფრო ადრე, ვიდრე ქართული: К. Кекелидзе, Сведения грузинских источников о Максиме Исповеднике / Труды Киевской Д. Академии, Сентябрь-ноябрь, 1912. — შემდგომ «Сведения» შეტანილ იქნა ზემოთ მითითებული ეტიუდების VII ტომში.

ასევე კ. კეკელიძემ გამოაქვეყნა წმ. მაქსიმე აღმსარებლის „ცხოვრების“ მეტაფრასული, მაგრამ მოცულობით კიმენურზე უფრო მცირე, რედაქცია (ეტიუდები, III, თბ., 1955), რომლის ავტორია იოანე ქსიფილინოსი (XI ს.), ხოლო გადმოთარგმნილია ქართულად XII ს-ში.

<sup>3</sup>ცნობისთვის აღვნიშნავთ, რომ საპატრიარქოს გამომცემლობას ეს კიმენური რედაქცია დასაბეჭდად უკვე გამართული აქვს და მისი შეტანა „საქართველოს სამოთხის“ ახალ შევსებულ კრებულში არის გათვალისწინებული.

<sup>4</sup>დასხ. ეტიუდები, VII, 1961. გვ. 34. აგრეთვე იხ.: А. Бриллиантов, О месте кончины и погребения св. Максима Исповедника, СПб., 2006. გვ. 293.

<sup>5</sup>იქვე, გვ. 33.



ბორის ღარჩია

## იოვანე საბანის ძის ერთი მხატვრული სურათის საფუძველი

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ და საგანგებო მსჯელობა იყო გამართული V საუკუნის ჩინებული ქართველი მწერლის, **იოვანე საბანის ძის**, ბრწყინვალე ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „*მარტყოობა წმიდისა ჰაბოი ტფილელისა*“ დახატული ერთი უჩვეულო მხატვრული სურათის შესახებ. როცა ამირასთან დასასჯელად მიჰყავთ ჰაბო, გზაში ის, როგორც გარეშე თანმხლები პირი, ისე ხედავდა თავის გარდაცვლილ, მკვდარ სხეულს: „*გამოიყვანეს იგი ევრსთვე ბორკილითა ფერკთა და კელთაითა; და მიჰყვანდა იგი შორის ქალაქსა, და რომელნი ჰხედვიდეს მას ქრისტიანენი და მეცნიერნი მისნი, ცრემლოოდეს მისთვის, ზოლო წმიდა მან ჰაბო პრქუა მათ: «ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ გიხაროდენ, რამეთუ მე უფლისა ჩემისა მივალ; ლოცვით წარმეზაუნეთ და მშკლობამან უფლისამან დაგიცვენინ თქუნს.»*», ზოლო იგი მივიდოდა, ვითარცა ვინ მოგზაური ექმნის მეუდარსა, ევრე ჰხედვიდა თვსსა მას გუამსა. და სულითა თვსითა მოგზაურ ქმნული თვთ იტყოდა ფსალმუნსა...“<sup>1</sup>.

**რუგან ბარამიძე** მასში ხედავს არა რაიმე განსაკუთრებულ, არამედ ჩვეულებრივ მხატვრულ სურათს, სადაც გმირის სულიერი სიძლიერე ჩანს: „*აბო თითქოს ამაღლდა ამქვეყნიურ ინტერესებზე, სიკვდილიც არად მიაჩნია*“<sup>2</sup>.

სხვა თვალთი განიხილავს მას **გრიგერ ფარულავა** და, როგორც იშვიათი შინაარსის მაღალმხატვრულ ქმნილებას, დიდ შეფასებას აძლევს. „*ჩვენს წინაშეა დახვეწილი პოეტური სახე სასიკვდილო ემაფოტზე მიძვალე კაცის სულის მოძრაობისა. ანტიკური გმირივით ამაყი და თავაწეული მიაბიჯებს აბო სიკვდილის გზაზე, ანუგეშებს კიდევაც მისთვის ცრემლის მღვრელთ. მაგრამ მოწამის სულში მთელი არსების შემძვრელი ზმანება დაბორთალობს: იგი ისე მიდიოდა, როგორც ვინმე მიაცილებს სამგლოვიარო პროცესიას, ასევე «ჰხედვიდა თვსსა მას გუამსა»*». და ასე საკუთარი გვა-

<sup>1</sup>ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 69-70.

<sup>2</sup>ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 50.

მის სულიერ თანამგზავრად «ქმნული თვით იტყოდა ფსალმუნსა». ეს არის პოეტური ნათელმხილველობის იშვიათი ნიმუში არა მხოლოდ ქართული მწერლობის მასშტაბით<sup>3</sup>.

**აკაკი გაწერელიამ** აღტაცება გამოთქვა გ. ფარულავას ამ მიგნებისა და შეფასების გამო: „ახალგაზრდა მკვლევარის ეს მიგნება მთელ გამოკვლევად ღირს. ჩვენ არ ვიცით არც ერთი (ვიმეორებთ, — არც ერთი!) პასაჟი თვით სტერნთან, თომას მანთან ან ჯოისთან, რომელიც მოტანილი ეპიზოდის მსგავსი ფსიქოლოგიური სიღრმით გადმოსცემდეს პერსონაჟის ცნობიერების ირრაციონალურ ვითარებას. ეს მხატვრული აბსტრაქციის უკიდურესი ზღვარია, ესთეტიკურად გამაოგნებელი“<sup>4</sup>.

გ. ფარულავა და ა. გაწერელია საგანგებოდ სვამენ საკითხს, თუ რამ განაპირობა აღნიშნული სურათის შექმნა და ორივე მას ავტორის წმინდა წარმოსახვით, ფანტაზიით შექმნილად მიიჩნევს. ბატონი გრიფერი იმ ქვეთავს, სადაც ამ საკითხს განიხილავს, ისევე ასათაურებს, როგორც პირველად „მაცნეში“ დაბეჭდა: „მხატვრული ფანტაზია და შინაგანი ხილვა“. გამოკვლევის ტექსტში ფართოდ მსჯელობს და თავის შეხედულებას ასე აყალიბებს: „ის, რაც არ არის (ფაქტობრივად, ემპირიულად შეუძლებელია კაცი საკუთარ ცხედარს მიაცილებდეს), არსებობს (ვითარცა ადამიანის ღრმა სულიერი სინამდვილე), — გვიმტკიცებს იოანე სპინაშვილი ძე, ისევე, როგორც ყველა ნამდვილი ხელოვანი. ფაქტობრივი სინამდვილე აქ «ვადატრიალებულია» პერსონაჟის წარმოსახვაში. მაგრამ ემპირიული სინამდვილის სწორედ ეს უცნაური სურათი ანათებს და საცნაურს ხდის თვალშეუდგამ სიღრმეს ადამიანის სულის სინამდვილისა. ხელოვნების უმაღლესი ამოცანაც სხვა არაფერია. გარემომცველ სინამდვილეს იგი ადამიანის თვალებით უცქერის და ბუნების თვალწარმტაც სურათშიც ჩვენს საოცარ სულზე გვესაუბრება“<sup>5</sup>.

ავტორი აქ გარკვევით და გამოკვეთილად არ გვეუბნება, აღწერილ სურათს აქვს თუ არა სინამდვილესთან რაიმე შეხება. მაგრამ, მას რომ ოდენ ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნევს, აშკარად ჩანს მის მიერ დამოწმებული ლიტერატურიდანაც. მკვლევარი განაგრძობს: „ქრისტოფერ კოლუელი ამბობს: «არავის ძალუძს შეხედოს თავის თავს უშუალოდ, მაგრამ ხელოვნება გადააქცევს სამყაროს სარკედ, რომელშიც ჩვენ ვიჭერთ წარმავალ შთაბეჭდილებებს ჩვენსავე შესახებ. მათში ჩვენ ვხედავთ ჩვენს თავს არა ისეთებად, როგორიც ვართ სინამდვილეში, არამედ როგორც შეგვიძლია ვიყოთ, შევიცვლებით რა საზოგადოების ზეგავლენით. ხელოვნება მოგვითხრობს იმის შესახებ, რაზეც არ ძალუძს მოგვითხროს მეცნიერებამ, რომლის წინაშე უძღურია რელიგია». ანიჭებს რა გარემომცველ სინამდვილეს ადა-

<sup>3</sup>მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში, თბ., 1982, გვ. 133.

<sup>4</sup>ნარკვევები, პორტრეტები, ლექსმცოდნეობა, თბ., 1988, გვ. 390.

<sup>5</sup>დას. მხატვრული სახის..., გვ. 134.



მიანის გულიდან მომდინარე ემოციურ ხმიანობას, ხელოვნება გადააქცევს «მთელს ჩვენს სინამდვილეს, თვით სიკვდილსაც, უფრო საინტერესოდ, ვინაიდან იგი უფრო მართალი ხდება»<sup>6</sup>.

გ. ფარულაფა თავის სათქმელს, რომ საძიებელ სურათს რაიმე კავშირი არა აქვს სინამდვილესთან და იგი თავიდან ბოლომდე მხოლოდ მწერლის გამონაგონია, უფრო ნათლად მომდევნო სტრიქონებში გამოხატავს: „ჰაგიოგრაფის ადამიანური სინამდვილის ისეთ სფეროში შეეყვართ, რომელიც, მართლაც, მიუწვდომელია შექცენების სხვა დარგებისათვის. მწერალი ადამიანის შინაგან სამყაროზე, გრძნობებზე, ემოციებზე მოგვეითხრობს, ხოლო თხრობა იმავე სამყაროს, გრძნობებისა და ემოციების ენაზე მიმდინარეობს. იოანე საბანისძე სინამდვილეს შესაძლებლისა და შეუძლებლის, ერთუღლისა და ზოგადის, უსახოსა და მშენიერის მთლიანობაში აღიქვამს. ეს კი განმსაზღვრელია ხელოვანის მსოფლალქმაში, მაგრამ არა ისტორიკოსისა“<sup>7</sup>.

ავტორი ამ მაგალითს ჰაგიოგრაფიაზე აზოგადებს და ასკვნის: „ხელოვანის მსოფლალქმა წარმმართველია ქართულ ჰაგიოგრაფიაში. იგი ჩვენ უხვად წარმოგვიდგენს პერსონაჟის ქცევის ან სულიერი მდგომარეობის ისეთ მომენტებს, რომელთა წყაროდ, მწერლის წარმოსახვის გარდა, ვერაფერს მივიჩნევთ“<sup>8</sup>.

როგორც ვნახეთ, აკაკი გაწერელია ეთანხმება მკვლევარის ამ მოსახრებას. მასაც აღწერილი სურათი „პერსონაჟის ცნობიერების ირრაციონალურ ვითარებად“ ესახება. თვით თავის ამ გამოხმაურებას ასე ასათაურებს: „ბრწყინვალე პროზაიკოსის თვისება ირრაციონალურის დაჭერაა“. მსგავს მაგალითად ის ასახელებს ლევ ტოლსტოის „ანა კარენინაში“ მონათხრობს: „როცა ანა ღამით ლოვინში მწოლი თავისსავე ბრწყინვალე თვლებს შესცქერის“<sup>9</sup>.

ბატონი აკაკი ამ მონათხრობს უფრო ფართოდ ეხება საგანგებო ნარკვევში „ტოლსტოის მხატვრული მეთოდის შესავალი“, რომელიც ზემორე დამოწმებულ წიგნშია გადმობეჭდილი<sup>10</sup>. ავტორს რუსულადვე მოჰყავს „ანა კარენინას“ ეს ადგილი, იმოწმებს მის შესახებ ა. ჩეხოვისა და ი. ბუნინის საუბარს და ხაზგასმულად, დაყოფით წერს: „ტრაგიკულად ბედნიერად თავისსავე შეფაქლულ სახეს შესცქერის სიბნელეში! შეუძლებელია, ასეთი რამ მომხდარიყო, მაგრამ შეუძლებელია ასეთი რამ არ მომხდარიყო. ტოლსტოის წვრილმანების სპექტრს ანტიინომიური შინაარსი აქვს და მისი ლოგიკური შემოწმება შეუძლებელია, მიღება ან უარყოფა. დიად ხელოვნებას დაუჯერებელი აჰყავს ხელშეუვალი მხატვრული აბსოლუტის რანგში. ამ მხრივ ტოლსტოი უფრო უდიდესი პოეტი, ვიდრე

<sup>6</sup> იქვე, გვ. 134.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 134.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 134.

<sup>9</sup> დასხ., ნარკვევები..., გვ. 390.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 84-97.

ბელეტრისტი“<sup>11</sup>.

გრივერ ფარულავას წიგნს ჰაგიოგრაფიის ჟანრულ თავისებურებათა თვალსაზრისით გამოეხმაურნენ **თეიმურაზ დოიაშვილი** და **ლევან ბრეგაძე** ერთობლივი წერილით „ჰაგიოგრაფიის პოეზია და პროზა“<sup>12</sup>. მათაც აინტერესებთ, რა დამოკიდებულება აქვს, საზოგადოდ, ჰაგიოგრაფიას სინამდვილის, სახელდობრ, ისტორიისადმი და არ იზიარებენ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა ზოგიერთი ადგილის მისეულ შეფასებას. მაგალითად, შეხედულებას, რომ „მწერალი სცილდება შექმნილი მდგომარეობის სავნობრივ სიმართლეს და ფანტაზიას მიმართავს, როცა ამბობს: «გარე შეადგეს კარები იგი მათი, ვითარცა თოვლი...». წმინდა წარმოსახვის ნაყოფია ასეთი ხატიც: «სიმრავლეს ტყორცებულთა მათ ისართა შეიპყრობდა ჰაერსა მზისასა...»“<sup>13</sup>.

თ. დოიაშვილი და ლ. ბრეგაძე შენიშნავენ: „ვეფხრობთ, ამ შემთხვევაში ემპირიული სინამდვილის ნორმებისა და საზღვრების დარღვევას და «სავნობრივ სიმართლესთან დაცილებახე» ლაპარაკი გამართლებული არაა“.

ეს ავტორებიც იმოწმებენ იოვანე საბანის ძის ჩვენთვის საინტერესო სურათს, მაგრამ სინამდვილისადმი მის დამოკიდებულებაზე არაფერს ამბობენ.

საკუთარი თავისა და, განსაკუთრებით გვამის, დანახვის რეალობა და წარმომავლობა იმთავითვე მაწუხებდა, რაც გ. ფარულავას აღნიშნული თვალსაზრისი და ა. გაწერელისა გამოხმაურება გამოქვეყნდა. „აბოს წამებასა“ და „ანა კარენინაში“ უცნაურის დანახვა, მეტადრე რაიმის სინამდვილეს მოკლებულად, მხოლოდ და მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფად მიჩნევა გადამეტებულად მესახებოდა.

როგორც ვთქვით, ბატონი აკაკი იმოწმებს დ. ტოლსტოის ტექსტის დედანს. აი ისიც: „— Поздно, поздно, уж поздно, \_ прошептала она с улылкой. Она долго лежала неподвижно с открытыми глазами, блеск которых, ей казалось, она сама в темноте видела“.

მე არ მესმის, რაა უჩვეულო და უცნაური იმაში, რომ ქალს, რომელსაც სარკეში ათასჯერ დაუნახავს თავისი სახე და თვალები, სიბნელეში, თუნდაც სინათლეში, თვალწინ დასდგომოდა იგივე სურათი უსარკოდ. ავტორი იმასაც პირდაპირ გვეუბნება, რომ მან თავისი თვალები თითქოს დაინახა, ეგონა დაინახა, წარმოუდგა, მოეჩვენა. ბატონმა აკაკიმ თავის თარგმანში გამოტოვა დედნისეულ სიტყვები — „ей казалось“.

დაახლოებით იგივე უნდა ვთქვა იოვანე საბანისძეზეც.

ბავშვობაში პაპანაქებისას მთელი დღე წყალში, მდინარე სუფსაში, გავატარე, გავცოდნი და მაღალი სიცხე მომცა. ბებიჩემმა, ვიდრე დედაჩემი სამუშაოდან დაბრუნდებოდა, დამაწვინა და კეჭერა მხლის ფოთლებით შუბლი და გულმკერდი შემისხვია. ბევრჯერ მინახავს ამ ფოთლებით თავ-

<sup>11</sup> იქვე, გვ. 92.

<sup>12</sup> გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 14 თებერვალი, 1986, გვ. 12-13.

<sup>13</sup> დასხ. მხატვრული სახის..., გვ. 132.

შეხვეული შინაურები და მეზობლები, მე კი პირველად მაშინ ვიგეგე და სხვა დროსაც გამოვცადე მისი სამკურნალო ძალა.

გავიდა ხანი. ამ ათი-თორმეტი წლის წინათ, როცა უკვე არც ბებია და არც დედაჩემი ცოცხალი აღარ იყვნენ, მაგრად გავცოვდი, ნაღვლის ბუშტიც გამიღიზიანდა და მაღალი სიცხით გავითანგე. ისეთი შეგრძნება მქონდა, ვითომცდა ზევით და ზევით უსიამოვნოდ მიფარფარებდი. ალბათ, ძილ-ღვიძილში ვიყავი, ვიცი აუღ ვარ, ჩემს ოთახსა და საწოლში ვწევარ და გარედან ვხედავ, ზვეიდან დავწყურებ მთელ ჩემს სხეულს, არ ვიცი ვინ, ბებია თუ დედაჩემი, კეჟერათი თავს მიხვევენ და საბნის ქვეშ გულმკერდს მიფარავენ. ზვეიდანვე ვხედავდი საბნიდან გამოყოფილ ჩემს ფეხებსაც და ვფიქრობდი თუ ველოდი, ამ ფოთლებს ფეხებზეც შემომახვევენ-მეთქი.

მეორე: ტელევიზორში მომისმენია, კლინიკური სიკვდილის აღწერისას რამდენს მოუყოლია, რომ თვითონვე გვერდზე მყოფნი თუ ზვეიდან დამყურენი როგორ ხედავდნენ თავიანთ სხეულს დაშორებით მდებარესა თუ მყოფს. და ამას რელიგიურ ნიადაგზე ხსნიდნენ: სული ყურება თუ გაეყარა სხეულსო.

განა არ შეიძლება, რომ იოვანე საბანის ძეს მსგავსი ამბები, თუ თავად არ განეცადა, სხვებისგან მოესმინა და თხზულებაში გამოეყენებინა?!

**ივანე ამირხანაშვილმა** ყურადღება მიაქცია, რომ იოვანე საბანის ძის მსგავს სურათს გვიხატავს მე-20 საუკუნის ინგლისურენოვანი მწერალი **რეი დუგლას ბრედბერი**. მის მოთხრობაში „*კალეიდოსკოპი*“ აღწერილია ფანტასტიკური ამბავი: კოსმოსში რაკეტა აფეთქდა და „კოსმონავტები სივრცეში გაცვივდნენ“. „ყოველ მათგანს ჰერმეტულად დახშული კოსმოსური სკაფანდრი ეცვა და გაფითრებულ სახეებს მინის ნიღბები უფარავდათ“. ერთ-ერთ პერსონაჟზე ნათქვამია: „*ის თითქოს განუღვა საკუთარ სხეულს და გვერდიდან შეწყურებდა, როგორ მიქროდა იგი უკიდვანო სივრცეში. შეწყურებდა, როგორც უცხო საგანს, როგორც ზამთრის პირველ ფიფქს დიდი ხნის წინათ*“<sup>14</sup>.

ბატონი ივანე ისე, რომ არ ასახელებს გ. ფარულავას, ა. გაწერელიასა და დოიაშვილ-ბრეგაძის მოსაზრებებს, დამოუკიდებლევ ცდილობს ახსნას, რას უნდა გამოეწვია ეს მსგავსება (ეტყობა, ქართველ მკვლევართა მასალები მას გამორჩა). „*ერთი შეხედვით, მართლაც საკვირველი მსგავსებაა, — წერს იგი, — სად ფანტასტიკის ჟანრი და სად აგიოგრაფია, მაგრამ მხატვრული აზროვნების ზოგად სპეციფიკას თუ გავითვალისწინებთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს არის არა უბრალოდ დამთხვევა, არამედ თანხვედრა, წარმოსახვის იდენტური სტრუქტურის შეხვედრა. ჩვენ წინაშეა აღქმის არქეტიპული ანალოგიები, რომელიც ადასტურებს, რომ ლიტერატურაში მოვლენათა აღქმის მექანიზმი მუდმივია. იცვლება მხოლოდ გამოხატვის ფორმა, თუმცა ზოგჯერ არქეტიპი თავს იჩენს გადმოცემის*

<sup>14</sup> რეი ბრედბერი, 451, ფარენჰაიტი, მარსის ქრონიკა, მოთხრობები, თბ., „მერანი“, 1973, გვ. 420.

ფორმაშიც, რის შედეგადაც ვლელობთ ასეთ მსგავსებას.

მხატვრული ტალანტი სამყაროს აღქმის ასოციაციურ სისტემას გულისხმობს და სრულიად ადვილი შესაძლებელია, რომ ინტუიციის, ფანტაზიისა და გონების ურთიერთქმედება მსგავს ფორმებს ბადებდეს სხვადასხვა ეპოქის მწერლობაში.

ავიოგრაფოსს ჟანრის კანონი არ ავლებს მხატვრული გამონაგონის შექმნას, მაგრამ იგივე კანონი არ უკრძალავს ისეთი გამონაგონით ოპერირებას, რომელიც რეალობას უკეთესად წარმოაჩენს.

რაც რეი ბრედბერის ვეალება, ის ეკრძალება იოანე საბანისძეს, მაგრამ სადაც, წარმოსახვისა და ქვეცნობიერის გადაკვეთაზე, ისინი ზვეებიან ერთმანეთს და ჩნდება ფიგურა, რომელიც საერთოა ორივე ავტორისათვის, ოღონდ ფორმალურ დონეზე, შინაარსობრივი თვალსაზრისით კი, რა თქმა უნდა, სხვაობაა, — იოანე საბანისძე იდეოლოგიურ შინაარსს დებს ამ ფიგურაში, რეი ბრედბერი კი — მხატვრულს.

რა მიზეზიც უნდა დაუსახო, იდეოლოგიური თუ მხატვრული, მწერალი მაინც მწერლად რჩება, თავისდაუნებურად ერთვება შემოქმედებით პროცესში, რადგან მასზე მოქმედებს ქმნალობის ძალა, რომელიც სიტყვის შინაგანი არსიდან მომდინარეობს<sup>15</sup>.

აქ ზოგი რამ ბუნდოვნად არის გამოთქმული. მაგალითად: „იდეოლოგიური შინაარსი“ და „მხატვრული“ შინაარსი არა მგონია, სადმე ერთმანეთს უპირისპირდებოდეს. სხვა მხრივ, აქაც იგივე უნდა გავიმეორო, რაც გ. ფარულავასა და ა. გაწერელიას შეფასებებზე ვთქვი. რა თქმა უნდა, სამივე თხზულებაში, როგორც ეს ავტორები ამბობენ, მსგავსი სურათები მხატვრული აზროვნების ზოგადი წესითაა შექმნილი, მაგრამ, რაც ამჯერად გვინტერესებს, ლიტერატურული გამონაგონი განყენებული, ოდენ ფანტაზია არ არის. იგი რეალობის, მატერიალური, ნივთიერი თუ არა, რადაც კონკრეტული ან აბსტრაქტული სახით ცალკე არსებულის, წარმოსახულის გამომხატველია. უპირველესად ამით ემთხვევა, ემსგავსება ეს სურათები ერთმანეთს.

აქ ძალაუნებურად გვაგონდება ლათინური ბრძნული გამოთქვაში: *No-პილ ესტ ინტელლექტუ, ქუოდ ნონ ფუიტ ინ სენსუ* — „არაფერია გონებაში ისეთი, რაც გრძნობაში არ იყო“<sup>16</sup>.

ბოლოს ერთი საკითხი. ცნობილია, რომ რელიგიები, მათ შორის ქრისტიანული, სულსა და ხორცს ერთმანეთს იმდენად უპირისპირებს, რომ, ხორცის დათრგუნვას მოითხოვს.

სახარებაში ვკითხულობთ: „ნუ გეშინი მათგან, რომელთა მოსწყვლენ კორცნი თქუენნი, ხოლო სულსა ვერ კელ-წიფების მოკლავდ...“ (მთ. 10,28).

<sup>15</sup> ჟურ. „სჯანი“, 2011, # 12, გვ. 9.

<sup>16</sup> ლათინური ხატოვანი სიტყვა-თქმანი ქართული შესატყვისებით, შეადგინა აკაკი ურუშაძემ, თბ., 1987, გვ. 84.

„ხოლო გეტყვ თქუენ, მეგობართა ჩემთა: ნუ გემინინ მათგან, რომელთა მოსწყვდნენ ჳორცნი და ამისა შემდგომად ვერარაჲ აქუს უმეტეს, რად გიყონ თქუენ“ (ლუკ. 12, 4).

„სული არს განმაცხოველებელ, ხოლო ჳორცნი არად სარგებელ არიან“ (ინ. 6, 63).

პატერიკის ექვთიმე ათონელისეულ თარგმანში მოწოდება მტკიცე და ნათელია: „მოიძულე ყოველივე ამის სოფლისა და განსუენებაჲ ჳორცთაჲ!“<sup>17</sup>, „მოიძულეთ სოფელი და ყოველი, რად არს მას შინა; მოიძულეთ ყოველი განსუენებაჲ ჳორციელი და განემორენით ცხოვრებისგან მისგან ჳორციელისა.... იმშეით, ძმანო, და იწყურეთ, შიშუელ იყვენით, იღუძებდით, იგლოვდით და ტიროდეთ..., რადთა აცხოვნეთ სულნი თქუენნი“<sup>18</sup>. ამიტომ მორწმუნე ქრისტიანისთვის სიკვდილი ძნელი არ არის, პირიქით, სულის საცხოვნებელი, სანეტარო და სასურველია.

„ჰაბო თბილელის წამებაშიაჲ“ სიკვდილი მხოლოდ ხორცისგან გასვლაა. საპრობილეში მყოფი ჰაბოს თვალწინ უდგას იესუ ქრისტეს მდინარე იორდანეში განბანვა და ნათლისღება: „და თქუა ნეტარმან მან: *«დიდ არს ჩემდა დღე ესე, რამეთუ ვხედავ ორკერძოვე ძლეუასა უფლისა ჩემისა იესუ ქრისტესსა, რამეთუ დღესასწაულსა ამას შთავდა მდინარესა მას იორდანისასა განშიშულებული ნათლის-ღებად და სიღრმესა მას შინა წყალთასა დამალულსა მის ვეშაპისა თავები ძალითა ღმრთეებისა შემუსრა. ჯერ არს ჩემდაცა დღესა ამას, რადთა განვიძარცო შიში ჳორცთა ამათ ჩემთაჲ, რომელნი სამოსელნი არიან სულისა ჩემისა და შთავედე, ვითარცა სიღრმესა ზღვსასა»*“ (გვ. 68).


წინ ჰაბო გამოკვეთილად ამბობს, რომ რწმენისათვის თავშეწირვა, სიკვდილი სულისთვის სამუდამო ნეტარებაში გადასვლაა. საპრობილეში მყოფი ჰაბო თავის გულშემატკივრებს ასე ამხნეებს: „*ხვალე განსლვად არს ჩემი ჳორცთაგან და მისლვად უფლისა ჩემისა და ღმრთისა იესუ ქრისტეს თანა*“ (გვ. 67).

„ჰაბო თბილელის წამებაში“ სხვა მინიშნება არ არსებობს, მაგრამ, ზემორე აღნიშნული რწმენიდან გამომდინარე, პირადად ასე შესახება: იოვანე საბანის ძე დასასჯელად მიმავალ ჰაბოს თავის გვამს გარედან იმიტომ დაანახვეებს, რომ ამით გვეუბნება: რადგან იგი თავისი გვამისაგან განცალკევებით არის, ამიტომ აღარ ენაღვლება თავის სხეულს, გვამს, ლეშს მტარვალი რას უხამს. დაახლოებით ეს იგივეა, რაც **ამბროსი ხელაიამ** ჯალათებს უთხრა: ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის და ჩემი ლეში თქვენთვის მომირთმევიანო.

<sup>17</sup> შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მანანა დვალმა, თბ., 1966, გვ. 6.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 22.





ჰოთა მათითაჰვილი

## ქართული ბერმონაზვნობა VI–VIII საუკუნეებში: სირიელი მამები

VI საუკუნიდან ქართული ბერმონაზვნობის ისტორიაში სრულიად ახალი ეტაპი იწყება. ქართული ბერმონაზვნობის განვითარების მეორე ეტაპად ჩვენ VI-VIII საუკუნეებს მივიჩნევთ (შესაბამისად პირველი ეპოქა IV-V საუკუნეებს მოიცავს. ამ ეპოქაზე წინა სტატიაში გვქონდა საუბარი). რა თვისებრივი სიახლე მოიტანა VI საუკუნემ ქართულ ასკეტურ მოძრაობაში? ალბათ, აქ პასუხი ერთმნიშვნელოვანია: სირიელი მამების საქართველოში შემოსვლა, მათი მოღვაწეობის შედეგად ქართული ბერმონაზვნური კერების დაარსება და მტკიცედ ორგანიზებული სამონასტრო ცხოვრების ფართოდ გავრცელება საქართველოში. ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა კი კვლავ ისეთ საინტერესო და ქართველოლოგიაში აქტუალურ თემას უკავშირდება, როგორიცაა საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის მრავალხრივი ურთიერთობა. ამ პერიოდში ქრისტიანულმა ახლო აღმოსავლეთმა საქართველოზე გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა და ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ასურელი მამების მიერ დაარსებულმა ლავრებმა (განდევითა საერთო საცხოვრისებმა) საქართველოში სირიული ბერმონაზვნობის ტრადიცია დაამკვიდრეს. ქართული სამყაროს კავშირი კი სირიულ ქრისტიანულ სამყაროსთან, როგორც ცნობილია, სათავეს უკვე IV საუკუნიდანვე იღებს.

ჩვენი შეხედულებით VI-VIII საუკუნეებში ქართული ბერმონაზვნობა აღმოსავლური სამონასტრო ტრადიციების მძლავრი გავლენის ქვეშ ვითარდება. VIII საუკუნის 80-იანი წლებიდან კი, არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ ტაო-კლარჯეთის უძველესი ქართული (და არა სომეხი ქალკედონელებით დასახლებული) მიწების სამონასტრო კოლონიზაციით ქართული ბერმონაზვნობის ისტორიაში დიდი ცვლილებები და სრულიად ახალი ეტაპი იწყება. ქართველები უძველესი არაბერძნული აღმოსავლური საეკლესიო სამყაროდან ბიზანტიური წესის აღმოსავლური საეკლესიო სამყაროსაკენ იბრუნებენ პირს (გაეიხსენოთ, რომ ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფო

ბიზანტიის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა). ტაო-კლარჯეთის ქართულ მონასტრებში ქართული კულტურა და ერთიანი ქართული ეროვნული ცნობიერება განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდიდა, რამაც შექმნა კიდევაც საფუძველი საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისთვის.

ჩვენ ამ სტატიაში, რასაკვირველია, მთლიანად VI-VIII საუკუნეებზე ვერ ვისაუბრებთ, დაეჯერდებით მხოლოდ ასურელი მამების მოღვაწეობის მიმოხილვას. აღნიშნულ საკითხზე საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არსებობს და მეცნიერთა შორის ხშირადაა აზრთა სხვადასხვაობა. მათი „ცხოვრებანი“ რამდენიმე რედაქციითაა მოღწეული. აბიბოს ნეკრესელის წამება აღწერა არსენ საფარულმა, იგივე არსენი დიდმა, ქართლის კათალიკოსმა. არსენი II, ასევე ქართლის კათალიკოსმა, წმ. იოანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების, ასევე ცალკე წმ. შიოს და მისი მოწაფის ევაგრეს ღვაწლი აღწერა. შემდეგ დაიწყეს ამ თხზულებათა გადამეტაფრასება. გვიანდელი სვინაქსარული ვარიანტითაა შემონახული ისე წილკნელის, ანტონ მარტყოფელისა და იოსებ ალავერდელის „ცხოვრებანი“. ასურელ მამათა შესახებ ცნობები შემოგვინახეს „ქართლის მოქცევამ“ და ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ გაგრძელებამ<sup>1</sup>. სირიელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები გამოსცა ს. კაკაბაძემ<sup>2</sup>. უძველესი ქართული საისტორიო ტრადიციით ასურელი მამების რიცხვი ცამეტი იყო (იოანე ზედაზნელი, შიო მღვიმელი, დავით გარეჯელი, ანტონ მარტყოფელი, აბიბოს ნეკრესელი, ისე წილკნელი, მიქაელ ულუმბოელი, სტეფანე ხირსელი, თათე სტეფანწმინდელი, ზენონ იყალთოელი, ისიდორე სამთაენელი, პიროს ბრეთელი, ელია დიაკონი). სირიელი ბერები იოანე ზედაზნელის მოთავეობით ჩამოვიდნენ საქართველოში, რადგანაც იოანე თავიდანვე „ელტვოდა... კაცთა მიერსა დიდებასა, რომელი ფრიად მავნებელ ექმნების მრავალთა და შეაცთუნებს მათ გზისაგან საღმრთოსა და მთხრებლად წარწყმედისა და შთაიყვანებს, ვითარ იგი ძუელ ოდესმე ზუავითა იგი და ამპარტავანი, სულით მოქადული და დადგმასა საყდართასა ღრუბელთა ზედა, ამპარტავანებისა ძლით, ბნელთა შინა უღრმესთა ჯოჯოხეთისათა შთაგრდომილ იქმნა, ამას ბოროტსა ვნებასა ვითარცა მაკუდინებელსა რასამე მგესლსა განმხდელი განიოტებდა და აღმხუმელი ფრთეთა სულიერთა წარივლტვოდა უდაბნოდ განსუენებისად, რომელთა თანა მოწაფეთა მისთა, რათა მხოლოდ სულთათვის მოცალე ქმნულსა შემოკრებად აქუნდეს გონებად წურთად და ქმნად მათდა, რომელნი ადასუბუქებენ სულსა ხორცთა თანა ვნებათაგან“<sup>3</sup>. რადგანაც წმ. იოანე ამქვეყნიურ ამოებასა და ყურადღებას ელტვოდა, მან უცხო მხარეში წასვლა გადაწყვიტა, რის შესახებაც

<sup>1</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1955, გვ. 7-68.

<sup>2</sup> ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები, გამოსცა ს. კაკაბაძემ, საისტორიო კრებული, I წიგნის დამატება. ტფ., 1928. გვ. 1-18.

<sup>3</sup> საქართველოს სამოთხე, გამოცემული გობრონ ჰავლეს ძე საბინინის მიერ, პეტერბურდი, 1882, გვ. 196

თავის მოწაფეებს აუწყა. მოწაფეებმაც თავიანთ მოძღვართან ერთად წასვლა გადაწყვიტეს<sup>4</sup>.

ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე XIX საუკუნეში ჩნდება დაინტერესება ასურელი მამების მოღვაწეობით, თუმცა აღნიშნული საკითხისათვის სპეციალური მონოგრაფია ან რაიმე საგანგებო გამოკვლევა არავის მიუძღვნია. XIX საუკუნეში ჩვენთვის საინტერესო თემა მხოლოდ ქართული კულტურისა და ზოგადად საქართველოს პოლიტიკური თუ საეკლესიო ისტორიის კონტექსტში აინტერესებდათ. XIX საუკუნემდე სირიელი მამების საკითხს შეეხო ვახუშტი ბატონიშვილი. მისი თქმით, მეფე ფარსმან V-ის შემდეგ „მეფედ დაჯდა ძმისწული მისი ფარსმან მეფისა ფარსმანვე სახელით; არამედ იყო ფრიად მორწმუნე და ჰმატა ეკლესიათა; დროსა ამისსა მოკვდა კათალიკოზი ჩიგირმან და დასვა საბა. ამიერიდან არღარა მოიყვანდიან საბერძნეთიდან კათალიკოზსა, არამედ დასხმიდიან წარჩინებულ დიდებულთა. კუალად მოკვდა კათალიკოზი საბა; ამანვე დასვა ევლალიოს. ამისვე-ზე მოვიდნენ ათცამეტნი მამანი შუა-მდინარიდამ. მიეგება ევლალიოს კათალიკოზი და მოიკითხა ასურულითა ენითა; ხოლო მათ „ქართულ პასუხ-უგეს, რამეთუ უცნობელ იყვნენ ორნივე ენათა ურთიერთთა“<sup>5</sup>. შემდეგ ვახუშტი ჩამოთვლის ასურელ მამათა სახელებს და აღნიშნავს, რომ ისინი იყვნენ „განმანათლებელნი და აღმშენებელნი ეკლესია-მონასტერთანი ქართლისათანი“. ვახუშტი ასურელ მამათა საქართველოში ჩამოსვლის თარიღს ფარსმან მეექვსის მეფობაში ათავსებს (542-557 წწ.). ცხადია, საქართველოს ისტორიაში ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას გვერდს ვერ აუვლიდა ქართული საეკლესიო ისტორიის კვლევის პიონერი პლ. იოსელიანიც.

პლ. იოსელიანი ვახუშტის დაყრდნობით ამბობს, რომ ფარსმანის მეფობისას ქართლში ცამეტი სირიელი მამა ჩამოვიდა. ისტორიკოსი ხაზს უსვამს იმ სასწაულს, რომელიც მეფის, კათალიკოსის, მორწმუნე ერისა და ასურელი მამების შეხვედრისას მოხდა (ასურელ მამათა მიერ მდინარის მშრალი ფეხებით გადმოლახვა და მათი ქართულ ენაზე ამეტყველება). მკვლევარი წყაროებზე დაყრდნობით ჩამოთვლის მათ სახელებს, მოღვაწეობის ხასიათს და მათ მიერ დაარსებულ მონასტრებზე, მათ მნიშვნელობაზე საუბრობს<sup>6</sup>.

აღნიშნულ საკითხს თავის ნაშრომში შეეხო ა. მურავიოვიც. რუსი მოგზაური ასევე წყაროებზე დაყრდნობით აღწერდა სირიელ მამათა ცხოვრებას და ხაზს უსვამდა მათი მოღვაწეობის უდიდეს მნიშვნელობას საქართველოსთვის.<sup>7</sup> მ. ბროსე თვლიდა, რომ სირიელი მამები საქართველოში თავად

<sup>4</sup> იქვე, გვ. 197-198.

<sup>5</sup> ვ. ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია, ტფ. 1885, გვ. 104

<sup>6</sup> П. Иоселиани, Краткая история Грузинской церкви, СПб, 1843. Ст. 41-49.

<sup>7</sup> А. Муравьев, Грузия и Армения, I, СПб, 1848, Ст. 235-254.

მეფე ფარსმანმა „დაიბარა“, თუმცა რა წყაროს ეყრდნობოდა ამ შემთხვევაში მკვლევარი, უცნობია<sup>8</sup>. მ. ბროსეც სხვა რაიმე განსაკუთრებულ სიახლეს არ გეთავაზობს და აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას მთლიანად წყაროებს ეყრდნობა (რაც, ჩვენი აზრით, უფრო სწორია, ვიდრე საკუთარი ფანტაზიით „კორექტირებული“ წყაროები). დ. ფურცელაძე (მკვლევარი, რომელმაც პირველმა მოგვცა საქართველოს ეკლესიის ისტორიის პერიოდიზაცია) თვლიდა, რომ ასურელი მამები საქართველოში განდევნილი ცხოვრების ფუძემდებლები იყვნენ. მისი აზრით, მათ მეუღლებობის სამი სახე დანერგეს ჩვენს ქვეყანაში: დაყუდებულობა (რომლის წარმომადგენლადაც დ. ფურცელაძე წმ. შიო მღვიმელს თვლიდა), მესვეტეობა (რომლის ფუძემდებლადაც მკვლევარს წმ. ანტონ მარტყოფელი მიაჩნდა) და თანაცხოვრება (რომლის დამაარსებელიც, მისი აზრით, წმ. დავით გარეჯელი იყო)<sup>9</sup>.

მ. ჯანაშვილი თავის გამოკვლევაში აღნიშნავს ფარსმან მეხუთისა და ფარსმან მეექვსის მეფობაში მომხდარ მოვლენებს და მათ შორის განსაკუთრებულად ცამეტი სირიელი მამის მოსვლას. ისტორიკოსი მიუთითებს იმ მოსაზრების შესახებ, რომლის მიხედვითაც ასურელი მოღვაწენი საქართველოში V საუკუნეში იყვნენ მოსულნი, თუმცა არ ეთანხმება ამ აზრს და თვლის, რომ „ჩვენი წყაროების მოწმობით... ვახტანგის დროს შემოსულნი მამანი სულ სხვა პირნი ყოფილან და არა ზემორე ხსენებულნი“<sup>10</sup>. მ. ჯანაშვილის თქმით: „ამ მოღვაწეთა წყალობით და სხვა ქართველ მწყემსთა და მეფეთა მეცადინეობით, საქართველოში ვერ მოიდგეს ფეხი ვერც შერყეულმა მოგვობამ და ვერც სხვა მწვალებლობამ, რომელიც ივერიის გარემო მდებარე ქვეყნებში წარმატებით ვრცელდებოდა და მკვიდრდებოდა, როგორც მაგალითად სომხეთში, ალბანეთში და სხვაგან“<sup>11</sup>. მ. კელენჯერიძის აზრით, „საქართველოში მონასტრების გაშენება დაიწყო მას შემდეგ, რაც აქ მოვიდნენ სირიიდან სასულიერო პირები, რიცხვით ცამეტი, წოდებულნი სირიელ მამებად, და შეუდგნენ სხვადასხვა ადგილზე საბერო მოღვაწეობას... დაწყებული ამ დროიდან საქართველოს სხვადასხვა მხარეში არსდებოდენ მონასტერები, რომლებსაც ქართველებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ“<sup>12</sup>.

კ. კეკელიძის თვალსაზრისით, სირიელ მამათა ცხოვრებათა ტექსტებმა ძლიერი რედაქტირება განიცადეს, ამიტომ მათში ბევრი რამე დაკარგული ან გადაკეთებულია. მისი შეხედულებით მათი რიცხვი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ცამეტი. ისინი იყვნენ ანტიქალკედონიტი მონოფიზიტები და ბიზანტიის ხელისუფლების მიერ დაწყებულ მონოფიზიტთა დევნას გამო-

<sup>8</sup> მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, 1895.

<sup>9</sup> Д Пурцеладзе, Кавказь, N 49, 1862, ст . 538.

<sup>10</sup> მ. ჯანაშვილი, საქართველოს საეკლესიო ისტორია, ტფ, 1886, გვ. 43, შენიშვნა N 1.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 49.

<sup>12</sup> მ. კელენჯერიძე, საქართველოს საკათოლიკო ეკლესიის მოკლე ისტორია, ქუთაისი, 1918, გვ. 65-66.

ექცნენ ქართლში<sup>13</sup>.

ივ. ჯავახიშვილი კი თვლიდა, რომ ბერები დიოფიზიტები იყვნენ. ასურელ მამებზე გამოთქმული შეხედულებებისა და მათი ცხოვრების ამსახველი ტექსტების მიმოხილვის შემდეგ დიდი მეცნიერი ასკვნიდა, რომ „წმინდა სამონაზრო მოღვაწეობის გარდა, ასურელი მამების ცხოვრებათა გადამკეთებლებსაც შერჩენილი აქვთ ცნობა, რომ ისინი საქართველოში მოსული იყვნენ საქადაგებლად, ქვეყნის განსამტკიცებლად „სარწმუნოებითა მართლითა“ და „წმიდისა სამებისასა“, ე. ი. მართლმადიდებლობის გასაძლიერებლად“<sup>14</sup>. სირიელი მამების საკითხი XIX—XX საუკუნეებში ასევე ეჭვბონდნენ შ. გულისაშვილი, ნ. მაჭარაშვილი, ა. ქუთათელაძე, დ. ჩუბინაშვილი, დ. ბაქრაძე, ა. ხახანაშვილი, მ. ცაგარელი, ილ. ფერაძე, მ. თამარაშვილი, ნ. პოკროვსკი, დ. ჯანაშვილი, გ. გამრეკელი, ი. გოგებაშვილი, თ. ჟორდანიას, ვ. ბოლოტოვი, მ. თამარაშვილი, გრ. ფერაძე, მ. თარხნიშვილი, შ. ნუცუბიძე, ბ. ლომინაძე, ზ. ალექსიძე, ვ. გოილაძე, დ. მერკვილაძე.

ასურელი მამების ქართლში ჩამოსვლის თარიღთან დაკავშირებით ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. მკვლევართა ნაწილი მათი ქართლში ჩამოსვლის თარიღს VI საუკუნის II ნახევარში ათავსებს, ზოგი ამავსე საუკუნის პირველ ნახევარში, ხოლო ნაწილი მეცნიერებისა თვლიდა, რომ სირიელი მამები საქართველოში სულაც V საუკუნეში იყვნენ ჩამოსულნი, თუმცა ეს უკანასკნელი მოსაზრება ყველაზე ნაკლებად დამაჯერებელია. როგორც აღვნიშნეთ, ვახუშტი ბატონიშვილს მიაჩნდა, რომ სახელგანთქმული მოღვაწენი საქართველოში ფარსმანის მეფობისას იყვნენ ჩამოსულნი და შესაბამისად მათი ჩამოსვლის თარიღს 542-557 წლებს შორის ათავსებდა. მ. ბროსეს აზრით, ისინი საქართველოში 553 წელს ჩამოსულან. VI საუკუნის 50-იან წლებში ათავსებდა ამ თარიღს მ. საბინინიცი. 551-557 წლებს შორის ჩამოსულებად მიიჩნევს მათ თ. ჟორდანიას, მსგავსადვე ფიქრობდა საქართველოს მომავალი კათალიკოს-პატრიარქი კ. საძაგლიშვილი. მ. თამარაშვილი მათი ჩამოსვლის თარიღს 555-565 წლებს შორის ვარაუდობდა.

პლ. იოსელიანს მათი ჩამოსვლის დრო საქართველოში მეჭუთე საუკუნეში გადაჰქონდა (445წ). V საუკუნის მეორე ნახევარში მოსულებად თვლიდა ბერებს გრ. ფერაძე. ვ. ბოლოტოვიმ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რაიმე ერთი ზუსტად განსაზღვრული შეხედულების ჩამოყალიბება ვერ მოახერხა (აღბათ იმიტომ, რომ ქართული წყაროების მიმართ გადაჭარბებულ უნდობლობას იჩენდა). კ. კეკელიძე თავისი წინასწარ შემუშავებული შეხედულების (ჩვენი აზრით, სწორედ ეს იყო წყაროსადმი მიდგომის მისეული მეთოდოლოგიის სიმცდარის საფუძველი, რის გამოც

<sup>13</sup> კ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მამათა ქართლში შემოსვლის შესახებ (კულტურულ-ისტორიული პრობლემა), თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, VI, 1926, გვ. 105-106.

<sup>14</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, თბ. 1979, გვ. 411.



დიდმა მეცნიერმა სრულიად არასწორი დასკვნები გააკეთა, რაც შემდგომში კვლევებმაც დაადასტურა) დასამტკიცებლად აცხადებდა, რომ სირიელი მამები სამ ჯგუფად მოვიდნენ საქართველოში და ამ ჯგუფების მოსვლას სპეციალურად ახლო აღმოსავლეთში ბიზანტიის მიერ გაჩაღებულ მონოფიზიტთა დევნებს ამთხვევდა.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, დავით გარეჯელი V საუკუნის ბოლოს ან VI საუკუნის დასაწყისში ჩანს ჩამოსული, იოანე ზედაზნელი მოწაფეებიტურთ — VI საუკუნის შუა ხანებისათვის, ხოლო აბიბოს ნეკრესელი — VI საუკუნის დამლევს<sup>15</sup>. ლ. მენაბდე ეთანხმებოდა კ. კეკელიძეს ასურელ მოღვაწეთა მონოფიზიტობის საკითხში და თვლიდა, რომ ისინი საქართველოში 540-542 წლებში იყვნენ მოსულები (თუმცა ლ. მენაბდის შეხედულებით სირიელი მამები საქართველოში სამ ჯგუფად არ უნდა მოსულიყვნენ). მ. თარხნიშვილი ძირითადად ეთანხმება ივ. ჯავახიშვილს და თვლის, რომ სირიელი მოღვაწენი საქართველოში VI საუკუნის შუა ხანებისათვის უნდა მოსულიყვნენ. შ. ნუცუბიძე საქართველოში მათ მოსვლას პლატონის აკადემიის დახურვას უკავშირებს (529 წ). ვ. გოილაძე ფიქრობს, რომ მოღვაწენი საქართველოში VI საუკუნის 20-იანი წლების ბოლოსათვის უნდა მოსულიყვნენ, ხოლო მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის შეხედულებით მათი მოსვლის თარიღი VI საუკუნის 40-იანი წლებია.

ეს განსხვავებული შეხედულებები ჩვენთვის საინტერესო საკითხზე დ. მერკვილაძეს მიმოხილული აქვს თავის ნაშრომში სირიელი მამების შესახებ. იგი სირიელ მამათა ქართლში მოსვლის თარიღის დასადგენად რამდენიმე მეტ-ნაკლებად სარწმუნო ორიენტირს იღებს: ფარსმანის მეფობა და ვვლალეს კათალიკოსობა ქართლში, ბიზანტიაში იუსტინიანეს მეფობა, ევლალეს შემდეგ მაკარის კათალიკოსობა, წმ. სვიმეონ მესვეტის (უმცროსის) მოხსენიება სირიელ მამათა თანამედროვედ, ელიას (ილიას) პატრიარქობა იერუსალიმში (რასაც სერიოზული არეუ-დარევა შეაქვს ჩვენთვის საინტერესო საკითხის გადაწყვეტაში, თუმცა ირკვევა, რომ მისი მოხსენიება შეცდომის ბრალი უნდა იყოს), წმ. ანტონის ქართლში გამომგზავრება ედესის ალყის ჟამს, ქართლში სპარსთა მარზპანის მმართველობა, წმ. აბიბოს ნეკრესელის წინასწარმეტყველება ქართლში ბერძენთა შემოსვლასა და მათ მიერ სპარსელთა განდევნასთან დაკავშირებით, ბიზანტიელების ომი ტასკუნებთან და წმ. იოანეს შემოსვლა ქართლში ქართლის მოქცევიდან მეორასე წელს<sup>16</sup>. დ. მერკვილაძის აზრით, ქართლში მეფობა 523 წელს არ გაუქმებულა. პროკოფი კესარიელის თხრობას გურგენის აჯანყებისა და სპარსელთა მიერ მის განდევნასთან დაკავშირებით მკვლევარი დას. ქართლში მომხდარ მოვლენას უკავშირებს. ისტორიკოსის აზრით, ქართლში

<sup>15</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი... გვ. 409-410.

<sup>16</sup> დ. მერკვილაძე, ასურელი მამები — VI საუკუნის სირიელი მოღვაწენი საქართველოში, I, 2006, გვ. 57-58.

სპარსელთა ბატონობის გაუქმება 540 წელს ბიზანტიასა და სპარსეთს შორის განახლებული ომის წინა ხანებში უნდა მომხდარიყო<sup>17</sup>. რადგანაც წმ. ანტონის ცხოვრების ავტორი წმინდანის ქართლში შემობრძანებას ედესის აღებას უკავშირებს, მკვლევარიც ანტონ მარტყოფელის ქართლში შემოსვლას ედესის ალყის თარიღით განსაზღვრავს.

„რადგანაც წმ. ანტონი უშუალოდ ამ საბრძოლო მოქმედებების შემდეგ მოემართება ქართლისაკენ, ეს ბრძოლები კი 544 წელს მიმდინარეობდა, ხოლო ამ დროისათვის იოანე და მისი მოწაფეები უკვე გამომგზავრებული არიან ანტიოქიიდან, მათი ეს გამომგზავრება 544 წლამდეა საგულისხმებელი. თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქართლში 541 წ. სამეფო ხელისუფლება აღარ არსებობს, რომლის გაუქმება, როგორც აღვნიშნეთ, სპარსეთ-ბიზანტიას შორის 540 წ. განახლებული ომის დასაწყისისათვის ან უშუალოდ ომის წინ უნდა მომხდარიყო, მამების ქართლში მოსვლა 541 წლამდე, ან უფრო ზუსტად, სპარსეთ-ბიზანტიის ომის დაწყებამდეც (540 წ.) კია სავარაუდებელი.“<sup>18</sup> მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ასურელი მამების მიერ წმ. სვიმეონ მესვეტისგან კურთხევის აღებაზე და ფიქრობს, რომ მათ სახელგანთქმული ასკეტიისგან კურთხევა არა წმ. სვიმეონის საკვირველ მთაზე ყოფნის პერიოდში, არამედ მანამდე უნდა აეღოთ. ამიტომ ისტორიკოსი ასურელ მამათა ქართლში მოსვლას 528-540 წლებით განსაზღვრავს (რადგან წმ. სვიმეონი საკვირველ მთაზე 540 წლის ბოლოს ან 541 წლის დასაწყისში ავიდა, ხოლო ბერად 528 წელს აღიკვეცა). მისი აზრით, სირიელმა მამებმა მოღვაწისაგან კურთხევა წმ. სვიმეონის დიაკვნად ხელთდასხმის შემდეგ აიღეს (ანუ 532 წლის შემდეგ). „აქვე უნდა გავითვალისწინოთ, უცხო ქვეყანაში გასამგზავრებლად მომზადებას და თვით მგზავრობასაც ასეთ მანძილზე გარკვეული დრო რომ ესაჭიროებოდა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, მიუღ ამ გრძელ გზას ბერები ფეხით (თანაც „უხამლონი“) რომ გადიან. მაშასადამე, ნაკლებ სავარაუდებელია, ასურელ მამებს ქართლში 533 წლამდე რომ მოეღწიათ“<sup>19</sup>. რამდენადაც, მკვლევრის აზრით, ფარსმანს, ქართლის მეფეს, VI საუკუნის ოცდაათიანი წლების ბოლოსთვის უნდა ემეფა, ამდენად ასურელი მამების ქართლში შემოსვლის თარიღს 533-537 წლებში მოაქცევს, შემდგომ კი, შიომღვიმის არქიმანდრიტის დოსითეოსის საბუთზე დაყრდნობით, ასურელ მამათა ქართლში შემოსვლის თარიღს 535 წლით განსაზღვრავს<sup>20</sup>.

ჩვენ მკვლევარის ეს საინტერესო დასკვნები საკამათოდ გვეჩვენება და ვთვლით, რომ ასურელ მამათა ქართლში მოსვლა უფრო 543 წელსაა სავარაუდებელი. ერთ-ერთ ძირითად არგუმენტად დ. მერკვილაძე 540 წელს ქართლში მეფობის გაუქმებას მიიჩნევს (ასევე წმ. სვიმეონ მესვეტის საკ-

<sup>17</sup> იქვე, გვ. 60-62.

<sup>18</sup> იქვე.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 67-70.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 71-73.

ვირველ მთაზე არყოფნას ასურელ მამათა მასთან მისვლის მომენტში, რაც თავად წმინდა სვიმეონის „ცხოვრების“ ტექსტის მიხედვით საკამათოა), რაც ასევე საეჭვოა. მკვლევარი გ. შარაშიძე თვლის, რომ ქართლში მეფობა არა VI საუკუნის პირველ ნახევარში, არამედ 570 წელს გაუქმდა. მისი შეხედულებით, სპარსეთმა ქართლის დამოუკიდებლობა ძლიერ შეზღუდა, თუმცა ადგილობრივი მმართველობის აპარატი არ გაუქმებია, რადგან ბიზანტიელი ისტორიკოსები ქართლის მეფეებს 523 წლის შემდეგაც იხსენიებენ (თუმცა გ. შარაშიძეს, ჩვენი შეხედულებით, მცდარი დასკვნა გამოაქვს ასურელი მამების ქართლში შემოსვლის თარიღთან დაკავშირებით, რადგანაც ფარსმან მეექვსის მეფობას 556 ან 559 წლის შემდეგ ვარაუდობს). „შესაბამისად, ქართველებს თვითონ ჰქონდათ შესაძლებლობა, მიეჩნიათ საკუთარი მმართველი სუვერენად და არა სპარსეთის ვასალად. ამგვარ სურათს ჯუანშერის ცნობებიც ადასტურებს: ფარსმანმა (541-556) წერილობით აღუთქვა სპარსთა მეფეს მორჩილება და მსახურება; და კმაყოფილმა სპარსთა მეფემ დატოვა საქართველო. ეს მაგალითი ყველაზე უკეთ გვიჩვენებს, თუ რას მოითხოვდა სპარსეთი: იბერიელთა მეფეს არ უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი სახელმწიფო“<sup>21</sup>. შესაბამისად, 540 წელს ქართლში მეფობის გაუქმება, ჩვენი ვარაუდით, დამაჯერებლობას კარგავს. ჩვენი აზრით, ვახუშტისეული ქრონოლოგია სწორია, როდესაც ის ასურელ მამათა ქართლში შემობრძანებას მეფე ფარსმან მეექვსის მეფობაში, ე.ი. 542-557 წლებში ათავსებს. თუკი ამას ედვისი ალყის თარიღს დაუკავშირებთ, იოანე ზედაზნელი მოწაფეებითურთ საქართველოში 543 წელს უნდა შემოსულიყო, ხოლო ანტონ მარტყოფელი — 545 წელს.

XX საუკუნემდე არც ერთ ისტორიკოსს ეჭვქვეშ არ დაუყენებია ასურელ მამათა ქალკედონური მრწამსი. კ. კეკელიძემ 1926 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელიც ასურელ მამებს ეძღვნებოდა, საქართველოში შემოსული სირიელი მოღვაწენი მონოფიზიტებად გამოაცხადა. როგორც აღვნიშნეთ, კ. კეკელიძემ საქართველოში მათი ჩამოსვლა VI საუკუნეში სირიაში მონოფიზიტთა წინააღმდეგ აგორებულ სასტიკ რეპრესიებს დაუკავშირა. „ჩვენ გვგონია, რომ ეგრედწოდებულნი „ათცამეტნი ასურელი მამები“, — წერდა მკვლევარი, — იყვნენ მონოფიზიტები, რომელნიც გამოქცევიან მონოფიზიტთა დევნულობას სირიაში და ჩვენში მოსულან... შემდეგში, როდესაც ჩვენში დიოფიზიტობას გაუძარჯვინია საბოლოოდ, ამ მამების მოღვაწეობისათვის დიოფიზიტური ელფერი მიუციათ, წმიდათა რიცხვში მოუქცევიათ ისინი და დღესასწაულებიც კი დაუწესებიათ მათი სახელობისა“<sup>22</sup>. ამავე აზრს იმეორებდა ლ. მენაბდე, მხოლოდ

<sup>21</sup> გ. შარაშიძე, შესავალი ქართული ფეოდალიზმის კვლევაში (გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“), მოღერწულობის ისტორია და თეორია, 2, თბ. 2011, გვ. 123-126.

<sup>22</sup> კ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში შემოსვლის შესახებ, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, VI, 1926, გვ. 96.

ზოგიერთ საკითხში არ ეთანხმებოდა დიდ მეცნიერს<sup>23</sup>. დღესდღეისობით კ. კეკელიძის შეხედულება სირიელ მამათა მონოფიზიტობის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში უარყოფილია. მათი დიოფიზიტობის სასარგებლოდ მრავალი არგუმენტი არსებობს. ქართული წყაროები მათ „ჯვულის განმწმენდლებად“ სახავს. გარდა ამისა, VII საუკუნის დასაწყისისათვის ქართლში იმდენად მომძლავრებული ყოფილა დიოფიზიტობა, რომ ამას სომხურ ეკლესიასთან განხეთქილება მოჰყვა. სირიელ მამათა მოღვაწეობის მასშტაბებისა და გავლენის გათვალისწინებით მათი მონოფიზიტობის შემთხვევაში ქართლში გადამწყვეტი უპირატესობა სწორედ მონოფიზიტობას უნდა მოეპოვებინა. ისტორიული სინამდვილე კი სხვაგვარია: ქართლში საბოლოოდ განმტკიცდა დიოფიზიტური მრწამსი<sup>24</sup>. კ. კეკელიძის შეხედულებათა კრიტიკა მოგვცა ივ. ჯავახიშვილმა<sup>25</sup>

ქართულ ისტორიოგრაფიაში სირიელ მამებთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა სახელგანთქმულ მოღვაწეთა სადაურობა. წყაროებიდან ვგებულობთ, რომ შუა საუკუნეების ქართველებისთვის მათი სადაურობა საეჭვო და საკამათო არ იყო. ქართლში შემოსული მამები სირიელები, სემიტური ქრისტიანული სამყაროს შვილები იყვნენ. სწორედ ამიტომ დაარქვეს ძველმა ქართველებმა მათ „ასურელი მამები“. მათი ქართული წარმომავლობა ქართველ მემკვიდრეებს არავითარ შემთხვევაში არ გამორჩებოდათ, რადგანაც ქართული წყაროები ძალიან ხშირად (თითქმის ყოველთვის) და ძალიან ზუსტად გადმოგვცემენ ცნობებს ამა თუ იმ მოღვაწის სადაურობის შესახებ, მით უმეტეს არ გამორჩებოდათ ასეთი მასშტაბის ასკეტების, ქართული ბერმონაზვნობისა და კულტურის კერების დამაარსებელთა ქართველობა, მაგრამ ქართული წყაროები მუდმივად ხაზს უსვამენ მათ ეთნიკურ კუთვნილებას სემიტური, სირიული სამყაროსადმი და ჩვენ არავითარი უფლება არ გვაქვს, ეჭვი შევიტანოთ ამ ცნობათა სიზუსტეში.

თუმცა XIX საუკუნეში ძველი ქართული ნარატიული წყაროების ცნობები გადაიხზრეს და ასურელი მოღვაწენი კაპადოკიელ ქართველებად გამოაცხადეს. რადგანაც კაპადოკია, მკვლევართა აზრით, უძველესი დროიდან ქართველური მოდგმის ხალხებით იყო დასახლებული (საერთოდ მეცნიერული კვლევა-ძიებით ირკვევა, რომ ქართველური მოდგმის ხალხები — მუშქები, თუბალები, კარდუხები — მთელი ახლო აღმოსავლეთის მასშტაბით იყვნენ განსახლებული და დიდი წვლილიც შეჰქონდათ უძველესი თუ ანტიკური ახლო აღმოსავლეთის კულტურასა და ისტორიაში), შესაბამისად ასურელი მამების სირიელებად ჩათვლა შეცდომად მიიჩნის.

პირველად დ. ჩუბინაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომლის მიხედვით-

<sup>23</sup> დ. მერკვილაძე, ასურელი მამები... გვ. 155-170.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, თბ. 1979, გვ. 410-415.

აც სირიელი მამები სინამდვილეში არა სირიელები, არამედ კაპადოკიელი ქართველები იყვნენ. ეს აზრი სწრაფადვე გავრცელდა XIX საუკუნის ისტორიოგრაფიასა და პუბლიცისტიკაში. ამ შეხედულებას იმეორებდნენ მ. ჯანაშვილი, კ. ცინცაძე, კ. საძაგლიშვილი, ალ. ჭყონია, ი. გოგებაშვილი და ა. შ. ქართველ მონოფიზიტებად თვლიდა ასურელ მამებს კ. კეკელიძე, ხოლო ს. კაკაბაძე ზოგიერთი მათგანის ქართველობას ვარაუდობდა<sup>26</sup>.

საინტერესო და მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიუძღვნა ამ საკითხს ვ. გოილაძემ. ავტორი ვრცლად მიმოიხილავს ქართველთა კავშირს ახლო აღმოსავლეთთან, განსაკუთრებით კი შუა მდინარეთთან. მკვლევარი ხაზს უსვამს ძველ აღმოსავლეთში ქართველთა ვრცელ განსახლებას. ვ. გოილაძე ყურადღებას აქცევს ჯუანშერის ძალიან საინტერესო ცნობას, რომლის მიხედვითაც შუამდინარეთის ნახევარი (ჯუანშერის მიხედვით, ე. წ. ჯიზარეთი) ქართველთა კუთვნილება იყო. „ცნობას, ჩემი ვარაუდით, უძველესი დროიდან მომავალი და V საუკუნეში ჯუანშერის თანადროულ ქართლში ჯერ კიდევ არსებული, ის საისტორიო ტრადიცია ედებოდა საფუძვლად, რომელიც ჩრდ. შუამდინარეთსა და მის მიმდებარე რაიონებში ქართველთა და მათი მონათესავე ტომების განსახლების ფაქტს ემყარებოდა“<sup>27</sup>. მკვლევარი ვრცელ მსჯელობას უძღვნის უძველესი ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიაზე ქართველთა ფართოდ განსახლების შესაძლებლობას და სპეციალური ლიტერატურისა და სხვადასხვა წყაროს მონაცემთა საფუძველზე, ჩვენი აზრით, სრულიად დამაჯერებლად გვიჩვენებს ქართველურ ხალხთა დიდ როლსა და ადგილს ძველი აღმოსავლეთის კულტურასა და ისტორიაში. „ქართულ სამყაროს ჩრდ. შუამდინარეთთან, მის დიდ სავაჭრო და კულტურულ ცენტრებთან, ძველთაგანვე, არა მარტო მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული კავშირები ჰქონდა (ვიდრე ზღვისპირა სირიასთან), არამედ ჩრდ. შუამდინარეთი თავისი ხურიტულ-არამეული და ქართველური მოსახლეობით ის უძველესი კულტურული ქვეყანა იყო, სადაც საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციები განაგრძობდა არსებობას. ამ ტრადიციებზე თავის მხრივ დიდი იყო ელინისტური გავლენა. სირიული განათლების მნიშვნელოვანი ცენტრები სწორედ შუამდინარეთში მდებარებდნენ. ერთ-ერთი ასეთი იყო პატარა ელინისტური სამთავროს ოსროენას დედაქალაქი ედესა. ედესაში იყო ჩრდ. შუამდინარეთში ცნობილი უმაღლესი სკოლა-აკადემია (მასში ცოდნას ეუფლებოდნენ, როგორც სასულიერო, ისე საერო დისციპლინებში). ედესის აკადემიას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ სირიელთათვის. ედესაში სასწავლებლად ჩადიოდნენ მეზობელი ქვეყნებიდანაც“<sup>28</sup>.

ავტორი თვლის, რომ ასურელი მამები, რომლებიც შეგნებით ქა-

<sup>26</sup> დ. მერკვილაძე, ასურელი მამები... გვ. 170-180.

<sup>27</sup> ვ. გოილაძე, ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო, თბ. 2002, გვ. 27.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 144.



რთველები იყვნენ, სწორედ ედესიდან უნდა წამოსულიყვნენ საქართველოში, რასაც ჩვენ ვერაფრით ვერ დავეთანხმებით. აქ საქმე ისევ წყაროს არასწორ ინტერპრეტაციასთან გვაქვს. ასურულ მამათა ცხოვრების ამსახველ არც ერთ თხზულებაში, ასევე არც სხვა რომელიმე ქართულ შუასაუკუნეობრივ ნარატიულ თუ ეპიგრაფიკულ წყაროებში, სირიელი მამების ქართულ წარმომავლობაზე (ან მათ მონოფიზიტობაზე, თუმცა ვ. გოილადე მათ დიოფიზიტებად თვლის) ოდნავი მინიშნებაც კი არ არის, მაგრამ მკვლევრები, ხშირად არ გააჩნიათ რა რაიმე ხელმოსაჭიდი ცნობა, საკუთარ ინტერპრეტაციას მიმართავენ და წყაროებს თავიანთი შეხედულების დასამტკიცებლად თავისებურად, უაღრესად სუბიექტურად განმარტავენ. შესაბამისად, უნდა დავასკვნათ, რომ ქართლში მოსული ასურელი მამები სირიელი დიოფიზიტი მოღვაწეები იყვნენ.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ სირიელ მამათა მოღვაწეობის ხასიათი. ისინი ქართულ ეკლესიას მძიმე ჟამს მოველინენ, როდესაც ქართლში სპარსეთის გავლენით მომძლავრებული იყო მონოფიზიტობა და ცეცხლთაყვანისმცემლობა. სირიელმა მამებმა თავიანთი ასკეტიზმითა და მოშურნეობით მთელი ქვეყანა „განაკვირვეს“ და უამრავ ადამიანს გაუწოდეს დახმარების ხელი სასწაულთქმედებებითა და სულიერი და ხორციელი კურნების ნიჭით. ასურულ მამათა ცხოვრებიდან ჩვენ ვხედავთ ასკეტიზმის იდეალს, სახეს ასკეტიზსა, რომელმაც დაძლია საკუთარი ნაკლულლოვანება, გადალახა დაცემული ბუნების საზღვრები და უკვე მიწაზე, ამ სამყაროშივე დაიწყო ცათა სასუფეველში ცხოვრება. სწორედ ქრისტიანული პატრისტიკიდან გამომდინარე უნდა გავიგოთ და ავხსნათ ასურელი მამების ცხოვრებათა რეალები და არა სხვადასხვა ფილოსოფიურ მიმდინარეობათა გავლენითა თუ შუასაუკუნეების ლიტერატურაში დამკვიდრებული „შაბლონებით“.

წმინდანი უნივერსალური ხასიათისაა, მას დაძლეული აქვს ცოდვილი ბუნება, ქრისტესთან ცოცხალი ურთიერთობით და საკუთარი სულიერი გამოცდილებით იცის მრავალი საიდუმლო და სწვდება საღვთისმეტყველო სიღრმეებს, თუნდაც ინტელექტუალურად სრულიად უწიგნური იყოს. ღმერთისა და ასკეტის ურთიერთობას შესანიშნავად ასახავს დიდი წმინდანის, სვიმეონ ღვთისმეტყველის სიტყვები, რომლითაც იგი ღმერთს მიმართავს: „გმაღლობ, უფალო, რომ გამიხსენე სოფელში მე, რომელიც ამქვეყნად ვარსებობდი და შენზე არაფერი ვუწყოდი, თავად გამომარჩიე, გამრიყე ამა სოფლიდან და შენი დიდების პირისპირ დამაყენე. ამიერიდან უკუნისამდე ჩემთან ჰგე, უფალო, რათა განუწყვეტლოვ გჭვრეტდე, მკვდარი ცოცხალი ვიყო და უბადრუკი – უმდიდრესი“.<sup>29</sup>

წმ. გრიგოლ პალამას თქმით, „ღმერთშემოსილნი მამანი ჩვენნი მოძღვრებას მაღალს სახარების წყალობისა და მაღლის შესახებ მოხუცის ყუ-

<sup>29</sup> წმინდა მამათა საღვთისმეტყველო შრომების თარგმანები, წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი, ლოცვა ყოვლადწმინდა სამებისადმი, თარგმანი მაია ინდუაშვილისა, თბ. 2004, გვ. 20.

რსა და გონებასაც უფარდებენ და დაწვრილებით განმარტავენ თავიანთი პირით, ისე რომ ჩვენთვის არა-სრულქმნილთათვის, შესაფარდებლადაც იღვწიან. ვითარცა მეძუძურნი დედანი სიყვარულით უწვრილებენ შვილთა შედარებით მაგარ ჭამადს, რათა დაღეჭონ და კეთილად შეიერგონ. დიად, ხორციელ დედათა პირში სოვლდება და რბილდება ჭამადი შვილთა, ასევე ღმერთშემოსილ მამათა გულში საფიქრალი სარგო საზრდელად ექმნებათ მსმენელთა და სარწმუნოებით მინდობილთა სულებს<sup>30</sup>.

ვნებათა და ცოდვათაგან განწმენდილმა ადამიანებმა უშუალოდ ღმერთისაგან, სულიწმიდისაგან უწყიან საღვთო სწავლება მთელი სიზუსტითა და ჭეშმარიტებით. ვფიქრობთ, სწორედ ამ გაგებით, უპირველეს ყოვლისა, პატრისტიკული სულისკვეთებიდან და მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, უნდა მიუდგეთ ძველ ქართულ ლიტერატურას და არა ჩვენეული ინტერპრეტაციითა და ფანტაზიით, როდესაც წყაროებში იმას ვეძებთ, რაც არ არის და რისი დანახვაც ჩვენ გვინდა (ამგვარი მეთოდოლოგიის სიმცდარე ბევრ არასწორ დასკვნას განაპირობებს, ამგვარი მეთოდის საფუძველი წყაროსადმი გადაჭარბებული უნდობლობაა).

ასე რომ, ვერაფრით დავეთანხმებით რ. სირაძეს, როდესაც პატივცემული მკვლევარი ასურელ მამებთან კავშირში აცხადებს, რომ „განდგეილობა მხოლოდ „სოფლის მღურვად” ვერ ჩაითვლება. მისი მიზანი შეიძლება იყოს თავის თავთან ყოფნა, შემოქმედებითი მარტოობა, როცა ექვთიმე ათონელი ტოვებს ივირონის მონასტრის წინამძღვრობას, რათა მთლიანად მიეცეს მწიგნობრობას, ესაა უკვე ბერის ახალი განდგომა. მარტოობისკენ სწრაფვა ხშირად ამაღლებისკენ სწრაფვაა, მარტოსულობის განცდაც ხშირად ამაღლებული სულის წუხილია“<sup>31</sup>. — არავითარი „ბერის ახალი განდგომა“ ასკეტიზმის ისტორიაში ცნობილი არ არის. ასკეტიზმისათვის არსებითად უცხოა განმარტოებისაკენ ეს რომანტიკული და „ამაღლებული“ სწრაფვა, რომელიც შემდგომდროინდელი ევროპული რომანტიზმისთვისაა დამახასიათებელი (მარტოსულობა, დარდი ამქვეყნიურ ამაოებაზე, ძველი ღროების მონატრება და ა. შ.). ქრისტიანი ასკეტი არაა დეპრესიითა და ამქვეყნიური ამაოებით გატანჯული ადამიანი, რომელსაც სულები და ფანტასტიკური არსებები ელანდება. ქრისტიანი ასკეტი ყოველგვარი რომანტიკული ამაღლებულობისაგან და მეოცნებეობისგან შორსაა. ის საკუთარ თავში ებრძვის და სძლევს ბოროტებას. ის არ ებრძვის სხეულს, არამედ გარდაქმნის მას და იმ მდგომარეობაში აბრუნებს, როგორადაც თავდაპირველად ღმერთმა შექმნა. ასკეტი არა სამყაროზე გაბოროტებული და ემოციებისაგან დაცლილი ადამიანი, არამედ ჯანსაღი გრძნობებითა და ღვთის მადლით სავსე პიროვნებაა, რომელიც სულიერად

<sup>30</sup> გრიგოლ პალამასი, 34-ე ჰომილია, ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათია (XIII ს. - XV ს. ნახევარი), IV, თბ. 1996, გვ. 62.

<sup>31</sup> რ. სირაძე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, I, თბ. 1992, გვ. 34.

და ზორციელად კურნავს ადამიანებს და ეხმარება მათ, მიაღწიონ მთავარ მიზანს – განღმრთობას.

ასევე სრულიად მიუღებელი და გაუგებარია შ. ნუცუბიძის მსჯელობანი ზოგიერთი ასურელი მამის ამა თუ იმ ფილოსოფიურ მიმდინარეობისადმი მიკუთვნებასთან დაკავშირებით. შ. ნუცუბიძის თანახმად, ასურელი მამები საქართველოში 529 წელს ბიზანტიის ხელისუფლების მიერ პლატონის აკადემიის დახურვის შემდეგ ჩამოვიდნენ. მკვლევარის თანახმად „არსებული ძეგლების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში დაბრუნების შემდეგ „სირიელი მამები“, ყოველ შემთხვევაში ზოგიერთი მათგანი, ფილოსოფიურ მუშაობას მაინც განაგრძობდა“<sup>32</sup>. შ. ნუცუბიძის დასკვნით, ასურელ მამათაგან აბიბოს ნეკრესელი არისტოტელესეული ფიზიკალური მატერიალიზმისაკენ იხრებოდა, ხოლო დავით გარეჯელი — პლატონური იდეალიზმისაკენ<sup>33</sup>. ძალიან დიდი სურვილი და მონდომებაა საჭირო, რათა აბიბოს ნეკრესელის სიტყვებში არისტოტელეს მატერიალიზმის ნიშნები ამოვიკითხოთ, ხოლო დავით გარეჯელის მოღვაწეობაში — პლატონური იდეალიზმი.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ აგიოგრაფიის შესწავლას თავისი განსაკუთრებული სპეციფიკა აქვს. ვფიქრობთ, აგიოგრაფიული თხზულების განხილვისას ძირითადად პატრისტიკის მსოფლმხედველობრივი სამყაროთი უნდა ვიხელმძღვანელოთ, ასევე გავითვალისწინოთ ამ ჟანრის თხზულების კომპოზიციის აგების თავისებურებანი და ის პრინციპები, რითაც შუა საუკუნეებში ხელმძღვანელობდნენ ავტორები თხზულების წერისას<sup>34</sup>.

ქრისტიანი ასკეტი ჰარმონიულ დამოკიდებულებაშია მთელ გარემომცველ სამყაროსთან. რატომღაც რელიგიისა და ბუნების ურთიერთმიმართებაზე საუბრისას უფრო ხშირად ბუდიზმზე მახვილდება ყურადღება, სადაც ყოველი ცოცხალი არსების მოკვლა ცოდვად ითვლება, მაგრამ ცოცხალი არსებების, საერთოდ ბუნების დაზიანება ცოდვაა ქრისტიანობაშიც. ჩვენ ურიცხვი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია პატერიკებიდან, რომ ქრისტიანი ასკეტის უაღრესად ფაქიზი დამოკიდებულება ვაჩვენოთ გარემომცველი სამყაროსა და ყოველი ცოცხალი არსებისადმი. „სხვადასხვა გარემოში მოხვედრილი წმინდა მამებისათვის უცხოა გამომრჩენი თვალით მხერა ბუნების წიაღისათვის, იმ წიაღისათვის, რომელმაც მიიღო ისინი და უზრუნველყო თავშესაფრითა და საზრდოთი... ასურელ მამებს მუდამ თან ახლავთ მათი საერთო მახასიათებელი — გულწრფელი სიყვარული ყოველგვარი ცოცხალი არსების მიმართ“<sup>35</sup>.

ძალიან მნიშვნელოვანია ასურელ მამათა სახელებთან დაკავშირებუ-

<sup>32</sup> შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, თბ. 1956, გვ. 264.

<sup>33</sup> იქვე, 265-279.

<sup>34</sup> ზ. ალექსიძე, ქართული წყაროების შესწავლის მეთოდური საკითხები: აგიოგრაფია, თბ. 1985, გვ. 9-13.


<sup>35</sup> დ. მერკვილაძე, ასურელი მამები და მეუღაბნეობა, თბ. 2005, გვ. 44.

ლი სიწმინდეები საქართველოში. აღსანიშნავია იოანე ზედაზნელის მიერ ზედაზნის მთაზე სასწაულებრივად აღმოცენებული წყარო; ასევე სასწაულებრივად აღმოცენებული წყარო გარეჯის უდაბნოში წმ. დავით გარეჯელის მიერ და ასევე მის სახელთან დაკავშირებული „მაღლის ქვა“; წმ. იოსებ ალავერდელის ჯვარი, გოლგოთის ჯვრის ხისაგან გაკეთებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, რომელიც ანტონ მარტყოფელმა ედესიდან ჩამოასვენა საქართველოში. ხატი თემურ-ლენგის შემოსევებისას ეპისკოპოსმა გიორგი მარტყოფელმა გადამალა, თუმცა ისე დაიღუპა, რომ ხატის ადგილსამყოფელის გამხელა ვეღარ მოასწრო და ეს ხატი დღემდე დაკარგულად ითვლება. წმ. სტეფანე ხირსელს მისსავე დაარსებულ მონასტერში წმ. სტეფანე პირველმოწამის ნეკი მიუტანია. თავისთავად სიწმინდეს წარმოადგენს თითოეული ასურელი მამის საფლავი<sup>36</sup>.

სირიიდან საქართველოში შემოსულმა მამებმა უდიდესი როლი ითამაშეს საქართველოს ეკლესიის, ქართული კულტურის და ზოგადად საქართველოს ისტორიაში. მათ განვითარების თვისებრივად ახალ საფეხურზე აიყვანეს ქართული ბერმონაზვნობა და შექმნეს ქართული ასკეტური მოძრაობისა და კულტურის მრავალსაუკუნოვანი მძლავრი კერები.



<sup>36</sup> ე. ბუბულაშვილი, ასურელი მამების სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები საქართველოში, ასურელი მამები აღმოსავლურ და დასავლურ საეკლესიო ტრადიციებში, 2009, თბ. გვ. 258-271.



ნუგზარ ძნელაძე

### ღვინით ნათქვამი სიმაართლე

- ტაქსი!
- რესტორან „აფხაზეთთან“. იცით, ალბათ.
- კი, როგორ არა. აქაური ვარ, ოცი წელია მძღოლად ვმუშაობ. „მე თბილისის ყველა ქუჩა ვიცი...“ მაგ რესტორანს არ გადააყოლეს ბორია წიფურია?
- ხო, ყველაფერი გცოდნიათ.
- ე, ძმაო, ქვეყნის ამბავი კი ბევრი ვიცი, მაგრამ, აი, წუხელ რომ ტელევიზორში გათიშული პრეზიდენტი ვნახე, რა გველის, აღარ ვიცი.
- ეგ გასაკებია, მაგრამ ამდენი ხატი რომ გამოგიკრიათ მანქანაში, მათი მნიშვნელობა თუ იცით?
- რავი, აბა, არ შეიძლება?
- ზომიერება ყველაფერში საჭიროა. კაბინა ხომ სამლოცველო კუთხე არ არის; ყველა ხატს შესაფერისი პატივისცემა ეკუთვნის, აქ კი შეზღუდული სივრცეა. თქვენ, ალბათ, ყოველდღე ყველა მათგანის სახელსაც ვერ მოიხსენიებთ. მაგალითად, ეს წმინდანია?
- მამა გაბრიელი? ცოლმა და სიდედრმა მაგის საფლაუიდან ზეთი სპეციალურად ჩამომატანინეს, კურნავსო.
- მცხეთაში რომ ჩახვედით მაგ ზეთის შესაძენად, სვეტიცხოველი, ჯვარი ან თვით სამთავრო თუ მოილოცეთ? საერთოდ, ტაძარში თუ შეხვედით?
- ...
- საქმე ისაა, რომ ბერი გაბრიელ ურგებაძე ერთი ხარისხჩამორთმეული, სუსტი ნებისყოფის კაცი იყო, თქვენ კი მისი სურათი წმიდა ნინოსთან ერთად გაქვთ გამოფენილი. დაფიქრებულხართ ამაზე?
- ვახ, რა ჩქარა მოვედით. საინტერესო რამეებს კი მეუბნებოდით.
- კარგად იყავით, გმადლობთ.

\* \* \*

ფარსმან ამირანაშვილის დაბადების დღეზე შეკრებილი საზოგადოება ფოიეში დამხვდა. კარის შეღებისთანავე ნაცნობთა და მოკეთეთა სახეებს



შეგველე თვალი და ყველა სათითაოდ მოვიკითხე.

სიცილ-კისკისი ყოველი მხრიდან ისმოდა, ჩანდა, უკვე მხიარულ ამბებს იხსენებდნენ და განწყობილებაც საქეიფო ჰქონდათ. მალე დარბაზის კარები გააღეს და სუფრასთან მიგვიპატივეს.

— ჩემო მერაბ, ძმურად, თამალობა შენ უნდა იკისრო, უკეთესად სუფრას ვერაფერს გაუძღვება, — ფარსმანი დარწმუნებული იყო, რომ ეს საკითხი მოგვარებული ჰქონდა, მაგრამ ჩემი გული გათამამების საშუალებას არ მაძლევდა და არჩევანი ისევ მის ძეზე, ვლადიმერზე შევაჩერეთ.

— ბატონო მერაბ, თამალობა თქვენ უფრო შეგეფერებათ, ძალიან გთხოვთ. ნუ დალევთ, მარტო სადღეგრძელოები გვითხარით, ჩვენთვის ესეც საკმარისი იქნება, — ახლა ვლადიმერმა სცადა დაყოლიება, მაგრამ, როცა აუხსენი, ქართულ სუფრაზე თამადამ ღვინო უნდა დალიოს-მეთქი, წინააღმდეგობა აღარ გაუწევია.

— ნათესაებო და მეგობრებო, ყველას მაღლობა მინდა გადაგიხადოთ მამაჩემის დაფასებისათვის. მოგეხსენებათ, მას იშვიათად უწევს საქართველოში ჩამოსვლა და, მით უმეტეს, ასეთი ახლობელი ადამიანების წრეში ყოფნა. ვატყობ, განსაკუთრებით ახარებს დაბადების 51-ე წლისთავის აღნიშვნა; ნება მიბოძეთ, მეც ასეთივე შემართებით შეუვლგე სუფრის წინამძღვრობას და კიდევ ერთხელ მოგილოცოთ ადღგომის ბრწყინვალე დღესასწაული: ქრისტე აღდგა!

— ჭეშმარიტად! — ერთხმად დაუდასტურეს თანამეინახეებმა და პირველი სასმისით უფლისაგან მშვიდობა და წყალობა გამოითხოვეს. მეორე სადღეგრძელო კათოლიკოს-პატრიარქისა შეისვა, მესამე — საქართველოსი, მეოთხე — იუბილარისა და ასე თანდათან გაჩაღდა ღვინო. მხიარულებას ისიც ხელს უწყობდა, რომ რესტორნის კიდევ ორ სუფრასთან ასევე დაბადების დღეს აღნიშნავდნენ.

— გვიყვარს ქართველებს ქეიფი. კარგია, გადაჭარბება რომ არ ვიცოდეთო, — აზრი გამიზიარა სუფრასთან ჩემმა მეზობელმა დაჩიმ, ფარსმანის სიძემ, და თითქოს თავისივე სიტყვის გასამართლებლად მორიგი ჭიქაც ბოლომდე დაცალა.

— ისე, ჩემო დაჩი, რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, ამ ღვინოს უკან ჩვენი ქვეყნის მრავალი სატკივარი არ იმალებოდეს, მაგრამ ქართველ კაცს მოლხენით დარდის გაქარწყლება რომ არ შეეძლოს, ალბათ, გული გაუსკდება.

— გეთანხმებით, ბატონო მერაბ, ღვინოა ჩვენთვის სიხარულისა და ხალისის მომნიჭებელი. იგი ჩვენგან მეტ პატივისცემასა და გაფრთხილებას იმსახურებს.

— აა, ვინ იმსახურებს პატივისცემას? — თავზე წამოგვადგა ფარსმანი, გადაგვხვია, გადაგვკოცნა და სიყვარულის ცრემლები კისერზე შეგვამშრალა. დაახლოებით ისე, ახალრქებამოწვერილი ბოჩოლა ფურს რომ

კისერს აუხოკს და ისიც მორჩილად თავს ჩახრის, ნაშიერზე ზრუნვის ნიშნად. არ გამკვირვებია მისი გულის აჩუყება. განსაკუთრებით სამშობლოს მოწყვეტილი ქართველები იტანჯებიან ახლობლებთან განშორებით, რასაც, ერთი სიტყვით, ნოსტალგია ჰქვია. — პატივისცემას იმსახურებთ თქვენ ყველა, ასე რომ გამახარეთ. სხვათა შორის, ნათლი, შენ რომ მთხოვე, დიდი მარხვის ბოლო კვირა დაეიცავი და ამითაც კმაყოფილი ვარ. ხოლო ამ სამაჯურს რომ ხედავ, მამა გაბრიელის სახელზეა გაკეთებული, დღეს ქალებმა წამიყვანეს მცხეთაში და იქ შევიძინე.

ფარსმანს სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ სტუმრების ერთი ნაწილი აიშალა და მასპინძლებს გამოემშვიდობა; ზოგმა სუფრის წინაშე ბოდიში მოიხადა, რომ ნაადრევად უწევდა წასვლა. გაცილების შემდეგ ოფიციალურად სუფრა განახლეს და მაგიდის ერთი მხარე გააწყვეს, რათა დარჩენილ სტუმრებს მეტი სიახლოვისა და ურთიერთობის საშუალება მისცემოდათ.

— რას გეუბნებოდა, მერაბ, შენი ნათლული მამა გაბრიელზე? დღეს ვიყავით მის საფლავეზე, — ფარსმანის მეუღლე თებრონე ჩემს საპირისპიროდ მიუჯდა მაგიდას და ისე, რომ ცნობისმოყვარეობის დამალვა არც უცდია, პირდაპირ შეკითხვით მომმართა. ეტყობოდა, რაღაც ეჭვები აწუხებდა, თორემ ბუნებით მშვიდი თებრონე კაცების საუბრისადმი ინტერესს ასე ხარბად არ გამოხატავდა.

— სიურპრიზი მოგიმზადებიათ იუბილარისთვის. მეგზურობა ვინ გაგიწიათ? — ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ორ ათეულ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მოსკოვში მცხოვრებ ოჯახს, რომელიც ორ-სამ წელიწადში ერთხელ, ისიც ერთი კვირით, ძლივს თუ ახერხებს საქართველოში ჩამოსვლას, ბერი გაბრიელის საფლავის „მოლოცვის“ სურვილი რუსეთიდან არ ჩამოჰყვებოდა.

— ჩემმა რძალმა ჟოზემ გვირჩია. თანაც, ვლადის ძალიან სწამს მამა გაბრიელის. ერთხელ, ბავშვი ავად რომ ჰყავდა, მამა გაბრიელი სახლში გამოცხადებია და ბავშვიც მალე გამოჯანმრთელებულა, — სულმოუთქმელად მიპასუხა თებრომ.

— ჩემო თებრო, შენ თვითონ გჯერა ამ ყველაფრისა, რაც გაბრიელის სასწაულებთან არის დაკავშირებული?

— მერაბ, შენ ხომ იცი, მთელ ჩვენს ოჯახს შენი როგორ სჯერა. ამიტომ მინდა შენგან მოვისმინო, თორემ, რასაც ვლადი მიყვება, არც იმაში მეპარება ეჭვი.

— დღეს ბევრს ლაპარაკობენ გამოცხადებებზე, სასწაულებსა და წინასწარმეტყველებებზე. ყველაფერი ეს სინამდვილედ რომ მივიჩნიოთ, მაშინ სარწმუნოებრივ სწავლებასზე უარი უნდა ვთქვათ და ვაღიაროთ მხოლოდ ის რელიგიურ-ფანტასტიკური მოთხრობები, რომელსაც ასე ძალუძად გვახვევენ თავს. არა მგონია, ჩვენ აქ საფუძვლიანი საუბარი შევძლოთ, მაგრამ ერთი რამ აუცილებლად გასათვალისწინებელია: ნებისმიერი რე-

ლიგიური საკითხი საღმრთისმეტყველო სწავლებათა საფუძველზე უნდა შეფასდეს. ნებისმერი მოვლენა, რომელიც არ იცავს მართლმადიდებლური მოძღვრების სიწმინდეს, არ შეიძლება აღქმულ იქნეს ჭეშმარიტებად, თუნდაც მას სახელად გამოცხადება ერქვას.

— თქვენ ამას მამა გაბრიელის მისამართით ამბობთ? — საუბარში ჩაერთო ფარსმანის ბიცოლა მინადორა, რომელიც, როგორც შევამჩნიე, თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღებით გვისმენდა. — როგორ გეკადრებათ, თუ არაფერი იცით მამა გაბრიელის შესახებ, მაშინ არც უნდა ილაპარაკოთ!

— რას ამბობ, გოგო, — გამომექომაგა თებრონე, — მერაბი ჩვენი დიდი ხნის ნათესავი და მეგობარია. განა არ გსმენია მის საეკლესიო განათლებასა და გამოცემულ წიგნებზე?

— მერე რა, რა შუაშია განათლება, მამა გაბრიელი ჩემთვის წმინდანია; რა, ტყუილია მისი სასწაულები? ან ვლადი ტყუის თუ?

ქალბატონ მინადორას მოულოდნელმა აღშფოთებამ მიმახვედრა, რომ არც მთლად უბრალო გარემოებასთან გვექონდა საქმე. ამასთან, ჩვენმა საუბარმა კიდევ რამდენიმე კაცი ისე დააინტერესა, რომ ზურგს უკან უხმოდ გვისმენდნენ. ესტრადის აპარატურა უკვე გამორთული იყო და ნათქვამის მოსმენაც თავისუფლად შეიძლებოდა.

— მედიცინაში არის ასეთი ცნება — სუგესტია, რაც გულისხმობს პაციენტზე ზემოქმედებას შთაგონების საშუალებით. მაგალითად, ადამიანს ტკივილი შეიძლება მოეხსნას უბრალო ჩხვლეტით, თუ იგი დარწმუნდა, რომ მას ნემსით გამაყუჩებელ წამალს უკეთებენ. ასევე ჩვენს შემთხვევაშიც. ადამიანები წინასწარი შთაგონებით ითვისებენ გაბრიელზე კულტივირებულ ცრუ შეხედულებებს; ეს კი ხელის შემწყობი ფაქტორია იმ ცრუ წარმოსახვებისა, რომელთაც ეს ადამიანები გამოცხადებებს არქმევენ. ამით მე სულაც არ შეურაცხვეოფ მათ და არც ეჭვი შემაქვს მათ გულწრფელობაში, მაგრამ ისინი ვერ გამართლდებიან იმ ნაივური არგუმენტით, რომ ჭეშმარიტებას მხოლოდ მათი გამოცხადებები განსაზღვრავენ.

— ჩემო ნათლი, რა სჯობია შენთან საუბარს, მაგრამ უკვე პირველი საათია და ეს მოსამსახურეებიც ცოდეები არიან. ამიტომ, ყველას გთხოვთ, ერთად წავიდეთ ჩემს ბიძაშვილთან, მამა შოთასთან, და თუ ასე გაინტერესებთ, საუბარი იქ გაავარძელოთ. მან იცის, ხვალ რომ მივემგზავრებით და უკვე დიდი ხანია, ათი საათის შემდეგ, გველოდება. მოსარიდებელი არაფერია, იმავე ჩემს ძმასთან მივდივართ, — თხოვნით მოგვემართა უკვე 52-ში გადამდგარმა იუბილარმა და, წინააღმდეგობას რომ ვერავისგან შეხვდა, სტუმრების მანქანებში გადანაწილებას შეუდგა; ბავშვების გარდა, სუფრას თორმეტი კაცი შემოვრჩენოდით.

\* \* \*

არ ვიცი, იცოდა თუ არა მამა შოთამ, ამდენი კაცი ასე გვიან რომ მივადგებოდით, მაგრამ მთელი ოჯახი ისე მომზადებული და გულლიად

შეგვეება, თითქოს არა ღამის, არამედ დღის ორი საათი ყოფილიყო და სტუმრებიც გერმანული წესით, დათქმულ დროს ვყოფილიყავით მისულნი.

თბილი მოკითხვის შემდეგ, მამა შოთამ სუფრასთან მიგვიპატიჟა და ღვინითაც დაგვლოცა, მისი და ფარსმანის ყრმობა მოკლედ გაიხსენა, წარსულსა და აწმყოს შორის მორალურ განსხვავებაზეც ორი სიტყვა თქვა და, როცა ჩვენგან რესტორანში წამოჭრილ საკითხზე ჩვენი კამათის შესახებ შეიტყო, ნახევრად ხუმრობით გვკითხა: რაიმე კონსენსუსს მიაღწიეთ?

— მამა შოთა, შეიძლება ითქვას, რომ ასე ერთსულოვნად შენთან წამოსვლის მიზეზი ის არის, რომ ყველას უნდა მოძღვრის კომპეტენტური აზრის მოსმენა მამა გაბრიელზე. ჩვენ საუბარი, მართალია, რესტორნიდან გამოსვლისას შევწყვიტეთ, მაგრამ ფაქტია, რომ მამა გაბრიელზე მერაბი უარყოფითი აზრისაა. ჩემი მხრივ კი გულწრფელად ვიტყვი: როცა მაგ გაბრიელის ჩაწერილი ქადაგება მოვისმინე, ჩემთვის ვიფიქრე, ნეტავ რას „ბლატაობს“ ეს მღვდელი-მეთქი. რა თქმა უნდა, მე საეკლესიო საკითხებში ვერ ვერკვევი, მაგრამ ქადაგების მისმა ტონმა, რაც ვთქვი, ის მაფიქრებინა. რაც შეეხება მის საფლავზე ჩემს ჩასვლას, ეს განაპირობა ოჯახის წევრების მონათხრობმა და იმ ეჭვმა, რომ მე მასზე შესაძლოა სწორი წარმოდგენა არ მქონდა შექმნილი. ახლა კი, მერაბის მსჯელობის მოსმენის შემდეგ, ჩემი აზრი მისკენ იხრება, თუმცა ამის ახსნას ვერ შევძლებ.

მამა შოთამ ფარსმანის შემდეგ ყველას მოუსმინა, ვისაც კი თავისი აზრის გამოთქმის სურვილი ჰქონდა, და ბოლოს თქვა: რასაკვირველია, ჩემთვის ეს პრობლემა უცხო არ არის. მასზე განსხვავებული შეხედულებები სასულიერო პირთა შორისაც არსებობს, მაგრამ მე გაგიზიარებთ იმ მოსაზრებებს, რომლებიც ბერი გაბრიელის შესახებ წლების განმავლობაში ჩამომიყალიბდა.

1. დღევანდელ საქართველოში თავისი ერისა და ეკლესიის უფრო დიდი მსახური, ვიდრე კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორეა, მე არ მეგულება; ხოლო ბერი გაბრიელი ხშირად ხმამაღლა განიკითხავდა მას. სხვათა მონაყოლზე რომ არაფერი ვთქვათ, ეს კარგად ჩანს მიტროპოლიტ ზოსიმეს (შიოშვილი) გამოცემული „მოგონებებიდან“. დაკვირვებული ადამიანი შეამჩნევდა, რომ მის უწმიდესობას არცერთ ქადაგებაში, თვით სამთავროშიც კი, ყოფილი არქიმანდრიტი გაბრიელი არასდროს უხსენებია. ეს არ არის უმნიშვნელო ფაქტი, ამაში პატრიარქის პოზიცია ჩანს.

2. ხშირად გაბრიელ ბერს სალოსს, ანუ ქრისტესთვის სულელს უწოდებენ. ეს ნიშნავს, რომ მოღვაწის შინაგანი ცხოვრება განსაკუთრებული ასკეტიზმით უნდა ხასიათდებოდეს, მაგრამ ახლაც არიან ცოცხალი ადამიანები, რომელთაც მართლაც ნასვამი, და არა მოჩვენებით მთვრალი, ბერი არაერთხელ უნახავთ. იგი ასევე ხშირად იყო თბილისის სასულიერო სასწავლებლის სატრაპეხოს დაუპატიჟებელი სტუმარი. ბერი უარით გასტუმრების შემთხვევაში აყალმაყალსაც ხშირად ტყბდა. დარწმუნებული

იყო, რომ ღვინოს უმაღლავდნენ.

3. ჩემი აზრით, შემთხვევითი არ არის, რომ მის სახელს ხელოვნურად განადიდებენ: მის პორტრეტებს ხატის ელფერს სძენენ; მის სურათებს სხვადასხვა გამონათქვამით ამკობენ (მაგ.: „ღმერთი სიყვარული არს“) და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიან, თითქოს ავტორი ამ სიტყვებისა ბერი გაბრიელი იყოს; ზოგიერთი სასულიერო პირის მხარდაჭერით, ტაძრებშიც კი ორგანიზებულად ავრცელებენ როგორც მის სურათებს, ისე მასზე გამოცემულ ჭრელ ლიტერატურას; მავანნი ავრცელებენ „სენსაციურ“ ამბავს, რომ ბერი გაბრიელის გამოუქვეყნებელ ჩანაწერებში დაცულია გამოცხადებანი, რომელიც საჭირო დროს დაიბეჭდება. მე ვიზიარებ სხვათა მიერ გამოთქმულ ვარაუდს, რომ უსწავლელი ბერის რაღაც გამოგონილ ჩანაწერებზე გავრცელებული ჭორი, შესაძლებელია, წინასწარ მოფიქრებული მავნე გეგმის ნაწილი იყოს; ვინაიდან, რომელ „წინასწარმეტყველებას“ რისთვის გამოიყენებენ, ჩვენთვის უცნობია.

4. ალბათ, შენიშნული გექნებათ, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის შესასვლელის ერთ-ერთ თაღზე ბერის გაბრიელის რამხელა სურათია გამოკიდული. იგი ამავე დროს საფარველის ფუნქციასაც ასრულებს იქვე დაბანაკებული ერთი ჯგუფისთვის, რომელიც საკუთარი ინიციატივით მუზეუმიდან ანჩისხატის გადატანას ითხოვს. ერთი წუთით დაუფიქრდეთ: სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც მისთვის არასასურველი თავშეყრისას თავის მოქალაქეებს განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდება, როგორღა უშვებს ასეთი მუდმივმოქმედი ბანაკის არსებობას, თანაც ასეთ მნიშვნელოვან ადგილას, თუ მთელი ეს პროცესი თვით მისივე ინსპირირებული არ არის? ამასთანავე, თვალში საცემია შეუსაბამო პროპორციები: გაბრიელის სურათი მსხვილი პლანითა და ზომით მნიშვნელოვნად აღემატება იქ გამოფენილ ყველა, მათ შორის მაცხოვრის ანჩის ხატსაც, რომელსაც თითქოს, მიზანსცენიდან გამომდინარე, სხვა დეკორაცია არ უნდა ფარავდეს. ფაქტობრივად, უცხოელ ტურისტს ხელოვნების მუზეუმთან პირველი კითხვა თეთრწვერა მოხუცის მიმართ უჩნდება, რომელმაც იგი ქართული ხელოვნების სამყაროში უნდა შეიყვანოს. სხვა საქმეა, რას პასუხობს გიდი ხელოვნების ამ „ღირსშესანიშნაობაზე“ და უხერხულ კითხვას როგორ აღწევს თავს.

5. დაბოლოს, მე სრულიად ვეთანხმები მერაბს საკითხის სარწმუნოებრივ შეფასებაში. ეს მართლაც ძირითადი საკითხია. შეიძლებოდა, რომ საუბარი მართლ ამ თემის გაშლით წარგვემართა და სხვა საბუთები არც მოგვეჩმო, მაგრამ ამისთვის საზოგადოება მზად არ არის, იგი სარწმუნოებრივი საკითხების მეცნიერულ შესწავლაზე არ ზრუნავს და ხელშესახები, ნივთიერი მტკიცებულების გარეშე სიმართლის არსს ვერ არკვევს.

— მაშაო, ე. ი. თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ მამა გაბრიელი მართლმადიდებელი არ იყო? — დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, ეს ფიზიკურად შეუძლებელია.



მას თუ არა, მაგრამ ნამდვილად ვიგრძენი, მინაღორა ნესვაძეს თავსაფრის ქვეშ თმები სიშმაგისაგან როგორ აებურძგლა. რომ არა მამა შოთას მშვიდი და ტაქტიანი მსჯელობა, შესაძლოა დაპირისპირებას ისტერიკა გამოეწვია და მერე მტყუან-მართალს მართლაც ვერავინ გაარჩევდა.

— ქალბატონო მინაღორა, ზოგადად ჩვენ ყველანი მართლმადიდებლები ვართ, მაგრამ თითოეულ ჩვენგანს სარწმუნოებრივ საკითხთა ცოდნაზე შესაბამისი პასუხისმგებლობა გვეკისრება. ის, რაც თქვენთვის უბრალოდ არცოდნად შეიძლება ჩაითვალოს, ჩემთვის, როგორც მღვდლისთვის, შესაძლოა მიუტყვებელი ცოდვა აღმოჩნდეს. ასევეა ბერი გაბრიელის შემთხვევაშიც. იმ სიწმინდესა და ღვაწლს, რომელსაც მის პიროვნებას მიაწერენ, უცილობელი საღმრთისმეტყველო განათლება უნდა შეესაბამებოდეს, რადგან წმინდა ადამიანი ღმერთმემოსილია და მისი გონებაც მაღლით არის განათლებული.

მოგეხსენებათ, პატრიოტული მოტივითაც კი, ვინმეს გაკერპება დაუშვებელია, მაგრამ შეიძლება ეპატიოს ვინმე გაუნათლებელსა და უსწავლელს, მაგრამ ღმრთისმსახურის ზვიადისტობა სრულიად ანომალიური მოვლენაა. გაბრიელ ბერი კი ცნობილი ზვიადისტი იყო. თუ ვინმეს ზ. გამსახურდიას ეროვნული ღვაწლი ხიბლავს, ეს არ ნიშნავს, რომ აღმსარებლობის გაუთვალისწინებლად მისი კანონიზაცია მოითხოვოს. ყოფილ პრეზიდენტზე არაერთხელ ითქვა და დაიწერა, რომ იგი ანთროპოსოფიის, ანუ შტაინერიზმის მიმდევარი იყო. თუ არა ფანატიკური დამოკიდებულება კერპადქცეული ბელადის მიმართ, სხვა რა უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ ამ კერპთაყვანისმცემლებს სიპართლის გამოკვლევისა და გამომზეურების ნაცვლად მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებთ, სხვებიც დაარწმუნონ, თითქოს გამსახურდიამ თავისი ანტიქრისტიანული სწავლებანი მოინანია.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბერი გაბრიელის კულტის პროპაგანდისტები მისი სახელით ზვიადიზმს ავრცელებენ და საფრთხეს უქმნიან საქართველოს ეკლესიის მთლიანობას. შეგახსენებთ, რომ იერარქთაგან მისი უწმიდესობა ერთადერთია, ვისაც შესწევს ძალა წინ აღუდგეს ცრუ მოშურნეებს, ამიტომ, გთხოვთ, ვადღერძელოთ კათალიკოსი და ვუსურვოთ, რომ ღმერთმა მიანიჭოს მას ხანგრძლივი სიცოცხლე და დიდი წყალობა.

— ამინ, ამინ! — წყნარად გაისმა ქანდაკებადქცეულ მსმენელთა შორის და როცა დავრწმუნდი, რომ მამა შოთასთან კამათის გაგრძელების სურვილი არაუვის ჰქონდა, უცებ დამეუფლა ნეტარების იმგვარი განცდა, რომელიც კაცს, ალბათ, მხოლოდ სიპართლის გამარჯვებამ შეიძლება მოჰკვაროს.

— თქვენც ყველანი ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ. ღმერთი არს ჩვენს შორის. — არს და იყოს.

— ქრისტე აღდგა! — ჭეშმარიტად!

## ჩვენი ავტორები

**ბიორები ბიძინას კმ გოგოლაშვილი**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ენათმეცნიერი; ავტორია მონოგრაფიებისა: ქართული ზმნის უღვლილების სისტემა (1988), ქართული სალიტერატურო ენა (ისტორია და თანამედროვეობა), (2009), ბედი ქართული ენისა ათასწლეულთა მიჯნასთან (2009), ქართული ზმნა (2010), იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი და ცხოვრების გზა (2011) და სხვ.; 300-ზე მეტი სამეცნიერო და კრიტიკულ-პუბლიცისტური ნაშრომისა.

**ლემან აკაკის კმ ბებურიშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის სპეციალობის I კურსის მაგისტრანტი; ძირითადი სამეცნიერო-კრიტიკული პუბლიკაციები: „კოლაელ ყრმათა მარტვილობა“ (2009), „ქრისტიანობა და პატრიოტიზმი“ (2010), „განდევლის“ საღვთისმეტყველო ანალიზისათვის“ (2011), ნ. ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირას“ (2011) და სხვ.

**გვანცა ვახტანგის ასული კოკლატაძე**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბიზანტინისტი; ავტორია მონოგრაფიებისა: ლიტერატურისმცოდნეობა არისტოტელეს მოძღვრებაში (1986), ქრისტიანული ეკლესიის ისტორია (მეოთხე გამოცემა, 2010), ცხოვრება და მოქალაქეობა წმ. ილია მართლისა (2006) და სხვ.; მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა; ძვ. ბერძნულიდან თარგმნილი აქვს სამი ბიბლიური წიგნი და რამდენიმე პატრისტიკული თხზულება.

**მამუკა ამთაწილის კმ ცუხიშვილი**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ფსიქოლოგი; ავტორია მონოგრაფიებისა: დღევანდელი და ქართული ფოლკლორი (2005), ქალის სახე ქართულ ფოლკლორში (2006), ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს საგანძური (2006), ლეო კვაჭაძე — ქართული ენის ამაგდარი (2008), ჩემი პატრიარქი (2009) და სხვ.; მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

**ბონდო ვალერიანის კმ არაშვილი**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, არმენოლოგი; ავტორია მონოგრაფიებისა: „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში? (1996), ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე; ქართული ეკლესიის მისაკუთრება სომეხი მეცნიერების მიერ გრძელდება (2001); როცა უდავო სადავო ხდება (2007); ქვანი კვლავ დაღაღებენ (2005) და სხვ.; სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილებისა.

## თინა ვლადიმერის ასული ივალაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1979-2006 წლებში მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მეცნიერთანამშრომლად, 1992 წლიდან დღემდე ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტში მუშაობს. 2000 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. გამოქვეყნებული აქვს 12 მონოგრაფია და 100-ზე მეტი სამეცნიერო სტატია ქართულ, რუსულ, ინგლისურ და თურქულ ენებზე. მისი კვლევის სფეროა: ეთნო-სოციალური და ეთნო-რელიგიური საკითხები.

## თეიმურაზ ამბროსის ძე ლლონტი

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, ჟურნალ „ვაზი და ღვინო“-ს მთავარი რედაქტორი. ავტორია 100-მდე სამეცნიერო ნაშრომისა მეღვინეობის დარგში, მრავალი პუბლიცისტური წერილისა ტრადიციული მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის საკითხებზე. ავტორია მონოგრაფიებისა: „ქართველი მეღვინეები“ (1972), (გ. ბერიძე); „ყურძნის პროდუქტთა ქრომატოგრაფიული ანალიზი“ (1976); „ილია ჭავჭავაძე და სოფლის მეურნეობა“ (1988); „ქართველები, ვაზი და პურ-ღვინო“ (2000) და სხვ.

## ანზორ ბაბრატის ძე თოთაძე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დემოგრაფი; ავტორია მონოგრაფიებისა: საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე (1999), საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა (2009), კავკასიის მოსახლეობა (თანავტ. პროფ. ვაჟა ლორთქიფანიძე, ინგლისურ ენაზე, ნიუ-იორკი, 2009); მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

## ბულბაათ ვიქტორის ძე რცხილაძე

პოლიტოლოგი და გერმანიისტი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი. ჯერ სტაჟორად (1995 წლიდან), შემდგომ – საერთაშორისო საკითხების რეფერენტად მუშაობდა ქვეყნის პრეზიდენტის აპარატში, აგრეთვე, ახორციელებდა პრეზიდენტის თარჯიმნის ფუნქციებს (2003 წლამდე). კონსულტაციებს უწევდა გერმანულ კვლევით ცენტრებს კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ ტენდენციებთან დაკავშირებით. 2009 წელს დააარსა ანალიტიკური ცენტრი „ვერაზიის ინსტიტუტი“. არის ავტორი მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური სტატიისა რუსულ-ქართული ურთიერთობების, პოლიტიკისა და რელიგიის ურთიერთდამოკიდებულების, საერთაშორისო პოლიტიკის თემებზე. გამოსცა 2 მონოგრაფია.

## თეიმურაზ ივანეს ძე ფანჯიკიძე

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რელიგიათმცოდნე;

ავტორია მონოგრაფიებისა: ბიბლია გუშინ, დღეს... (1982), რელიგიურ რწმენათა კვალდაკვალ (1986), მუჰამედი, ისლამი, ვაჰაბიზმი და საქართველოს პრობლემები (1999), რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე (2003), ბაჰაი — ახალი მსოფლიო რელიგია? (2010) და სხვ.; მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

### **თეოლოგია ანდრიას კე მირიანაშვილი**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, 1978 წლიდან მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. 1992-2003 წლებში იყო საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი. არის 500-ზე მეტი საერთაშორისო-გაზეთო პუბლიკაციისა და 10-ზე მეტი წიგნის ავტორი.

### **ბრანი ვედიანას კე ქავთარია**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; ავტორია მონოგრაფიებისა: ძმები გრაკაძეები (1990), ჰანიბალი (1979), სამყაროს შვიდი საოცრება (1996), ფარნავაზი (1999), აზონი (2000), ქუჯი (2000), ძველი საბერძნეთი (2005), სერტორიუსი (2003); მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

### **ბრიგოლ ნიკოლოზის კე რუხაკაძე**

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პატროლოგი; ავტორია მონოგრაფიებისა: ღმრთის შეუქმნელ და შექმნილ ხატთა გაგებისათვის (2000), მსოფლიო საეკლესიო კრებები/დოგმატური ღმრთისმეტყველება (მესამე გამოცემა, 2008), საღმრთისმეტყველო ლექსიკონი-ცნობარი (2010) და სხვ.; სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილებისა.

### **ბორის შაქროს კე დარჩია**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. 1960-2007 წლებში მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. გამოცემული აქვს რვა წიგნი: 1. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციები გაგრძელებების მიხედვით (1975); იაკობ შემოქმედელი (2009); ბაგრატ ბატონიშვილი (მწერლის თხზულებითურთ) (2011) და სხვ.

### **შოთა თეოლოგიის კე მათითაშვილი**

ისტორიის მეცნიერებათა ბაკალავრი, საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმის თანამშრომელი. გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები: ბრძოლა პაპობასა და იმპერიას შორის და თანამედროვე ევროპის ფორმირება (2009); ქართული ეკლესია IV საუკუნესა და V საუკუნის I ნახევარში და სპარსეთის პოლიტიკა ამიერკავკასიის ქრისტიანული ქვეყნების მიმართ (2011); ბართლომეს ღამე (2011).

Научно-общественный журнал  
«САМИ САУНДЖЕ» (Три святыни) №2, 2012  
(на грузинском языке)

РЕЗЮМЕ

ГИОРГИ ГОГОЛАШВИЛИ  
**ЗАСЛУГИ И ЖИЗНЬ ЯКОБА ГОГЕБАШВИЛИ**

Работа состоит из двух частей. Представленная здесь первая часть повествует о вкладе великого грузинского деятеля XIX века Якоба Гогешашвили. Автор пытается показать, что Я. Гогешашвили принадлежит величайшая заслуга в деле пробуждения и возрождения грузинского национального духа в XIX веке, создания и упрочения грузинской национальной школьной системы.

ЛЕВАН БЕБУРИШВИЛИ  
**НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ ПЕДАГОГИЧЕСКОГО  
УЧЕНИЯ ЯКОБА ГОГЕБАШВИЛИ**

Интеллектуальное наследие основателя грузинской научной педагогики Якоба Гогешашвили постоянно было объектом изучения поколений грузинских ученых. Сегодня современная грузинская образовательная система основывается на поверхностной экспериментальной педагогической идеологии, цель которой вырастить оторванную от национальных корней, ориентированную только на биологические интересы молодежь.

Особенно ценны взгляды Я. Гогешашвили на место и роль религии в процессе воспитания и о категорической неприемлемости параллельного изучения двух языков с первого же класса. Педагогическое учение Якоба Гогешашвили обличает и выявляет вред современной образовательной системы.

ГВАНЦА КОПЛАТАДЗЕ  
**ИНОГДА ЛУЧШЕ СКАЗАТЬ ПРЯМО**

Статья касается реформы, проведенной в Грузии несколько лет назад в системе образования. По мнению автора, реформа была перенята у западных стран без всякого анализа, прямо и, кроме того, без учета собственных традиций и опыта. Результат оценивается на примере одно-



го конкретного учебника и делается заключение: основательные знания, которые давала дореформенная школа, заменены внешне углубленными, но в действительности поверхностными, информационными знаниями.

МАМУКА ЦУХИШВИЛИ  
ДАВИДГАРЕДЖИ

В статье выясняется принадлежности Давидгареджи как единой составной части истории Грузии и как монастырского комплекса, имеющего величайшее духовное, церковное, государственное и общественное назначение. На основании научных трудов, связанных с этой темой, в отличие от представителей современного правительства, делается заключение, что весь монастырский комплекс Давидгареджи со дня основания (VI в.) всегда принадлежал и принадлежит Грузии как с религиозно-исторической, так и территориальной точки зрения.

БОНДО АРВЕЛАДЗЕ  
«СЕВЕРНЫЕ ВРАТА АРМЕНИИ – ДЖАВАХК, ЛОРИ»

В статье рассматривается изданный в 2010 году в Ереване сборник «Северные врата Армении – Джавахк, Лори», в котором, по известному «болезненным историзмом» армянских лжеученных, исконные грузинские территории – Лорэ-Ташири, Самцхэ-Джавахети, Гугарки-Гогаренэ (Квемо Каргли) – объявлены исторической собственностью Армении. Исторические вопросы, тенденциозно представленные или вообще сфальсифицированные в армянском сборнике, не выдерживают никакой критики.

ТИНА ИВЕЛАШВИЛИ  
МОЛЧАНИЕ НЕ ВСЕГДА ЗОЛОТО

Сегодня в независимой Грузии при сознательной поддержке определенных органов власти и целенаправленном замалчивании пока ещё успешно осуществляются присвоение-похищение и разрушение-переделка чужеземцами грузинских исторических памятников: в частности, в статье рассматривается история трех православных храмов Ахалцихэ, которые сегодня пытаются присвоить армянские григорианцы и католики.

ТЕЙМУРАЗ ГЛОНТИ

**ФЕНОМЕН ГРУЗИНСКОГО ЗАСТОЛЬЯ**

Грузинское застолье – традиция, идущая из глубины веков. Неписанные правила грузинского застолья передавались из поколения в поколение устно как живой пример, как непрерывный цикл.

Как религиозная, так и бытовая ритуальная культура в виде традиционного грузинского застолья берет начало в эпохе неолита-энеолита. Ритуальная культура грузинского застолья многообразна: это ежедневное, свадебное, календарное, религиозно-праздничное и траурное застолье.

Огромную роль в развитии традиций грузинского застолья сыграло христианское мировоззрение.

В работе рассмотрены правила подготовки и проведения грузинского застолья, обсуждаются роль и обязанности тамады в процессе его проведения. В статье приведены традиционные грузинские тосты, которые произносили и произносят во время застолья, показывается сходство и близость процесса ритуального застолья с процессом проведения божественной литургии, подчеркивается сходство форм и последовательности произносимых тостов.

В работе показано значение символического осмысления роли виноградной лозы в формировании ритуальной культуры грузинского застолья. Также рассмотрены основные характерные черты грузинского застолья как многогранного и разносторонне возвышенного ритуала, что непосредственно взаимосвязано с народной музыкой, танцами, поэзией, красноречием и проявлением метафорическо-художественного мышления.

АНЗОР ТОТАДЗЕ

**ДЕМОГРАФИЧЕСКАЯ ОБСТАНОВКА  
И ДУХОВНАЯ ЖИЗНЬ НАРОДА**

Величие народа не определяется его численностью; главное, какой вклад он вносит в сокровищницу мировой культуры, чем он обогащает общечеловеческое наследие. Грузинский народ на протяжении своего существования создал неповторимую, самобытную национальную культуру и внес свой вклад, свой почерк в развитие человеческой цивилизации.

В работе рассматриваются современная демографическая обстановка в Грузии и вопросы духовной жизни народа. На рубеже 20-21-го веков грузинский народ оказался перед опасностью физического вырождения. В стране резко сократилась рождаемость, возросла смертность, увели-

чивается число однодетных семей, население стареет демографически. Этот процесс особенно проявился в последние годы. Достаточно сказать, что в Грузии в течение 10 лет, в 1980-1989 годах, родились 455 тысяч девочек, а в последнее десятилетие, в 2000-2009 годах, – 236 тысяч.

Демографическое положение в стране ещё более ухудшает то обстоятельство, что в жизненный уклад грузин вторглись совершенно чуждые порочные тенденции. Внешние и определенные внутренние силы целенаправленно популяризируют, особенно посредством телевидения, насилие, убийства, развратные и нетрадиционные сексуальные отношения; соответственно, насмеваются над традициями, человеческими чувствами, грузинским духовным наследием, пытаются насадить среди молодежи секс и еду как основной смысл жизни. Древнегреческий философ Демокрит называл секс временным дурманом, а теперь хотят, чтобы все были одурманены и не только временно.

В работе освещаются вопросы невиданного сокращения числа очагов образования и культуры, тиражей книг, журналов и газет. Например, в Грузии в 1989 году было 4300 массовых библиотек, в 2007 году же – 672. В 1988-2005 годах тираж книг и брошюр сократился с 23,5 миллионов до 0,3 миллиона, ежегодный тираж журналов и других периодических изданий – с 30,5 миллиона до 1,3 миллиона экземпляров, годовой тираж газет – с 790 миллионов до 17,9 миллиона и т.д.

В работе подчеркивается необходимость решения проблемы и указывается, что самое главное – срочно следует разработать программу демографического развития Грузии, которая станет составной частью программы социального развития страны.

ГУЛБААТ РЦХИЛАДЗЕ  
**ВЛИЯНИЕ РЕЛИГИОЗНЫХ ПРЕДСТАВЛЕНИЙ  
НА ВНЕШНЮЮ ПОЛИТИКУ США**

Статья представляет переработанный отрывок из сборника автора «Основы внешней политики Соединенных Штатов Америки согласно американским и европейским авторам – выводы для Грузии», изданного в 2008 году в Тбилиси. Используя обширную литературу, автор представляет подробную картину религиозных особенностей американского общества, а также подчеркивает влияние этих воззрений на внешнеполитический курс американского государства. Особое внимание обращается на т.н. евангелистов, которые оказывали большое влияние на пре-

зидента Рейгана и последующие республиканские администрации. Безоговорочная поддержка Америкой Израиля при любых обстоятельствах и её агрессивное отношение к Исламской Республике Иран во многом обуславливаются именно этими религиозными воззрениями, наряду с израильским лобби в США.

В целом достаточно консервативное и религиозно настроенное американское общество не влияет на внешнюю политику США (не считая израильского вопроса), направленную на поддержку гомосексуализма и других антирелигиозных явлений (к примеру, поддержка высокопоставленными лицами США т.н. гей-парадов в Тбилиси и Риге в мае нынешнего года). Делается вывод, что американская политика, направленная на безоговорочную поддержку Израиля, дестабилизирует ближневосточный регион, что опасно для Грузии, особенно в контексте иранской проблемы. Не менее опасна для Грузии политика США, направленная на поддержку указанных выше явлений.

#### ТЕЙМУРАЗ ПАНДЖИКИДZE РАЗВЕ ВЫ ГРУЗИНЫ?

Публикация представляет речь, которая была произнесена в 2011 году на встрече членов деноминации «Свидетелей Иеговы». Она касается взаимоотношений вероисповедания и национальности в религиозном пространстве Грузии, выяснения того, насколько способствует или препятствует возникшее на чуждой почве то или иное религиозное течение (в данном случае «Свидетели Иеговы») национальной идентичности.

#### ТЕМУР МИРИАНАШВИЛИ МОРАЛЬНАЯ ОЦЕНКА ЗАПАДНЫХ И ВОСТОЧНЫХ ЦИВИЛИЗАЦИЙ

В статье отрицается господствующий взгляд на то, что западная (католическо-протестантская) цивилизация, в отличие от восточной (православной) цивилизации, испокон веков характеризовалась имманентным гуманизмом. Исходя из исторических фактов, этот взгляд насаждается совершенно безосновательно путем западной пропаганды и пиара. Например, для доказательства западного гуманизма приводят тот факт, что

по сравнению с Западом на Востоке гораздо больше случаев смертной казни, но это не соответствует действительности.

Автор на фактах доказывает, что правда здесь повернута на 180 градусов. В православном мире требующие отмены смертной казни теории, мораторий на смертную казнь и пресекающий её закон появились гораздо раньше.

Автор касается и других антигуманных преступлений и доказывает, что в католическо-протестантской цивилизации выявлено больше жестокости, чем в других.

### ГРАНИ КАВТАРИЯ ГНЕЙ МАРЦИЙ КОРИОЛАН

В деятельности Гнея Марция Кориолана четко видны первые шаги на пути завоевания Римом Италии. Большое внимание уделяется изображающим противостояние плебеев и патрициев эпизодам, за которым последовало расширение прав свободных римских граждан (плебеев), особенно подчеркивается патриотический дух римлян (особенно матери Кориолана Волумнии). Она предпочла пожертвовать сыном ради спасения Рима.

### ГРИГОЛ РУХАДЗЕ ГРУЗИНСКАЯ КИМЕНИЧЕСКАЯ РЕДАКЦИЯ «ЖИТИЯ» СВЯТОГО МАКСИМА ИСПОВЕДНИКА

В статье рассматривается сочинение Св. Максима Исповедника «Житие», которое написано на греческом Феодосием Хуцеси спустя короткое время после VI Всемирного собора (680 г.) и переведено на грузинский Св. Эквтимэ Мтацминдели (Атонели) не позднее 1005 года.

В 1918 году проф. К. Кекелидзе опубликовал критически установленный текст указанного «Жития», который до сегодняшнего дня остается библиографической редкостью.

В статье выделены подзаголовки: Царь Геракл и Максим Исповедник, Вера и исповедь, Церковь и государство, Предопределение Господа и провидение и Богословские термины, которыми особенно богата эта кименическая редакция «Жития» Св. Максима Исповедника.



БОРИС ДАРЧИЯ

**ОСНОВА ОДНОЙ ХУДОЖЕСТВЕННОЙ  
КАРТИНЫ ИОАННА САБАНИСДЗЕ**

В работе рассматривается нарисованная в «Мученичестве Або» Иоанном Сабанисдзе одна необычная художественная картина. Когда Або ведут к эмиру, чтобы наказать, в пути перед ним, как и перед посторонним сопровождающим лицом возникает видение собственного усопшего, мертвого тела. По заключению исследователей, в основе этой созданной воображением картины лежит реальность.

ШОТА МАТИТАШВИЛИ

**ГРУЗИНСКОЕ МОНАШЕСТВО В VI-VIII ВЕКАХ  
СИРИЙСКИЕ ОТЦЫ**

С VI века в истории грузинского монашества начинается совершенно новый этап. По мнению автора, VI-VIII века характеризуются широким распространением монастырской традиции и последующим её развитием. В 40-ые годы VI века в Грузию приходят сирийские монахи, которые основывают здесь мощные монастырские центры. С самого же начала эти монастырские центры стали важнейшими очагами грузинского аскетического движения и грузинской культуры. Благодаря ассирийским отцам грузинская монастырская жизнь приобрела строго организованный вид и распространилась почти во всех уголках тогдашнего Картлийского царства. Деятельность ассирийских отцов в Грузии ещё одна заслуживающая внимание страница из истории грузино-сирийских церковных отношений. Неизмерима заслуга этих прославленных монахов перед Грузией и Грузинской церковью.

## SUMMARY

GIORGI GOGOLASHVILI

**THE LIFE AND WORK OF IACOB GOGEBASHVILI**

The work consists of two parts. The first part, which is presented here, tells us about the greatest Georgian public figure of 19th century, Jacob Gogebashvili's work and accomplishment. The author demonstrates that Gogebashvili has performed outstanding services by awakening and reviving the national spirit, by creating and developing Georgian literary language and by establishing the Georgian public school system in 19th century Georgia.

LEVAN BEBURISHVILI

**A FEW ASPECTS OF IACOB GOGEBASHVILI'S  
PEDAGOGICAL DOCTRINE**

The intellectual legacy of Iacob Gogebashvili, the founder of Georgian scientific pedagogy, has always been the focus of study of the generations of Georgian scientists. Nowadays, the modern Georgian educational system is based on superficial and experimental pedagogical ideology. It results in creating a generation torn away from national beliefs and oriented only on biological interests.

Iacob Gogebashvili's views on the role and place of the church in education are particularly noteworthy. His position on inadmissibility of teaching two languages simultaneously during the first year of school is also tremendously significant. Iacob Gogebashvili's pedagogical doctrine exposes the faults of the current education system.

GVANTSA KOPLATADZE

**SOMETIMES IT IS BETTER NOT TO BEAT AROUND THE BUSH**

The article deals with the reforms carried out in the education system in Georgia a few years ago.

In the author's opinion, the reform was adopted from western countries without any analysis, and without taking into account own tradition and experience.

The result is based on the example of one particular textbook, and the fol-

lowing conclusion is drawn: Thorough knowledge available before the reform, has been replaced by seemingly in-depth knowledge; however, in reality, the reform has created a superficial, shallow knowledge.

MAMUKA TSUKHISHVILI

**DAVIT GAREJI**

The article discusses the issue of rightful ownership of Davit Gareji. The monastery has been an integral part of the Georgian history. It has been the greatest spiritual and ecclesiastical, state and social monastery complex. Based on the research works related to this topic, the author draws a conclusion contradicting the opinions of some modern government representatives. From the day of its establishment in the 6th century, Davit Gareji monastery has always been a part of Georgia's religion, history and territory.

BONDO ARVELADZE

**“NORTHERN GATE OF ARMENIA - JAVAKH, LORI”**

The article talks about a collection of works published in 2010 in Yerevan - “Northern Gate of Armenia - Javakh, Lori”. In it, according to “painful historicism” of unworthy Armenian scientists, ancient Georgian territories like Lore-Tashiri, Samtskhe-Javakheti, Gugarki/Gogarene (Kvemo Kartli) are declared as Armenia's historical property. Historical issues based on biased or even falsified facts in this Armenian collection of works, do not hold water.

TINA IVELASHVILI

**SILENCE IS NOT ALWAYS GOLDEN**

Today, in independent Georgia, an effective appropriation and seizure, modification and destruction of Georgian historical monuments is taking place by foreigners. This is happening with the conscious avoidance and support of certain Government bodies. Specifically, the article presents the history of three orthodox Akhaltsikhe cathedrals which are being appropriated by Armenian Gregorians and Catholics.

TEIMURAZ GLONTI

**PHENOMENON OF GEORGIAN TABLE AND FEAST**

The Georgian table is a tradition stemming from the depth of the centuries. Unwritten rules of the Georgian table were verbally passed down from

generation to generation as a live example, as a continuous cycle. Religious, as well as everyday life's ritual culture of the traditional Georgian table takes its origin in Neolithic-Eneolithic era. The culture is diverse and manifold. It is linked to the everyday life, wedding and funeral ceremonies, calendar and religious name-days.

The Christian world view has had an enormous influence on the formation and development of the Georgian table's ritual culture. The rules for preparation and carrying out of the Georgian table, as well as the role and responsibilities of the Tamada (table-master) are discussed in the present work. The author also describes traditional toasts, which were, and still are pronounced at the Georgian table. Particular attention is paid to the closeness and similarity between the Divine Liturgy procedure and Georgian table's ritual process, especially emphasizing the content, form and order of the proposed toasts.

The importance of symbolic reflection of the role of vine and wine in the formation of Georgian table's ritual culture is also demonstrated in this work. Finally, the author presents principal characteristics of the Georgian table as a diverse and versatile sublime ritual, which are closely interconnected with folk music, poetry, dance, eloquence and metaphoric-artistic thinking.

#### ANZOR TOTADZE

##### **DEMOGRAPHIC SITUATION AND NATION'S SPIRITUAL LIFE**

Nation's greatness is not defined by its size but by the contribution it has made to the world's culture and the enrichment of humanity. Throughout its existence, Georgia has maintained a unique, distinctive national culture thus making its noticeable contribution to the development of civilization of humanity. The article discusses the current demographic situation in Georgia and the nation's spiritual life. By the end of the 20th and 21st centuries, Georgian nation found itself on the brink of extinction. The birth rate significantly decreased and the death rate increased in the country. The number of single child families increased and the population aged demographically. The problem has been particularly pronounced in the recent years. Between 1980s and 1989s, 455,000 girls were born in Georgia, but during the last decade, in 2000-2009, only 236,000 girls were born. The country's demographic situation is also burdened by the fact that Georgians' way of life has been invaded by foreign violent tendencies. External and certain domestic forces, especially through television are deliberately promoting violence, murder, unbridled and unabashed sex. Consequently, they are laughing at traditions, the Georgian spiritual heritage, human feelings. The youth is led to believe that their main concern should be sex and food. The Old Greek philosopher Democritus re-

ferred to sex as temporary stun. Nowadays, they want everybody to be in constant stupor. The article talks about an unprecedented reduction in educational and cultural places, circulation of books, journals and newspapers. For example in 1989, there were 4300 public libraries, but in 2007, there were only 672. In 1888-2004, the circulation of books and brochures decreased from 23, 5 million to 0.3 million. The yearly circulation of journals and other periodicals decreased from 30, 5 million to 1, 1 million. The yearly circulation of newspapers has decreased from 790 million to 17, 9 million, etc.

GULBAAT RTSKHILADZE  
**THE INFLUENCE OF RELIGIOUS VIEWS ON U.S.  
FOREIGN POLICY**

This article is a revised excerpt from a collection of works by Gulbaat Rtskhiladze, published in 2008 in Tbilisi: “Principles of the United States Foreign Policy According to the American and European Authors and their Implications for Georgia.”

Upon reviewing a vast array of literature, the author provides a detailed picture of the American society’s religious views and their influence on US foreign policy. He draws special attention to the so-called evangelicals who influenced President Reagan and the subsequent republican administrations. Unconditional support of Israel by America, as well as its aggressive attitude towards the Islamic Republic of Iran, can be attributed largely to these religious beliefs and the works of the Israeli lobby in the United States.

Unfortunately, unlike the Israeli issue, the rather conservative and religious American public fails to influence United States foreign policy supporting homosexuality and other antireligious phenomena. (For example high-ranking US officials’ support of so-called gay-parades in Tbilisi and Riga, in May of this year.) Overall, the author concludes that the American policy of unconditional support of Israel is destabilizing the Middle East region. This is unsafe for Georgia, especially in conjunction with the Iranian problem. Furthermore, the support of the United States of the above-mentioned antireligious phenomena in Georgia carries out equal kind of threat.

TEIMURAZ PANJIKIDZE  
**DO YOU CONSIDER YOURSELVES GEORGIANS?**

The publication is a speech made in 2011 during the meeting with Jehova’s Witnesses. It refers to the interrelation of religious and national issues in Georgia’s religious sphere. It argues whether the religious denominations



stemmed on foreign lands benefit or obstruct the national identity (in this case Jehova’s Witnesses).

TEIMURAZ MIRIANASHVILI  
**MORAL ASSESSMENT OF WESTERN  
AND EASTERN CIVILIZATIONS**

The article rejects the prevailing view that from ancient times the Western civilization (Catholic and Protestant) always stood out by immanent humanism in contrast to the Eastern (Orthodox) civilization. Based on historical sources, this viewpoint is totally unfounded. It is implemented through western propaganda and public relations. For example, the West claims fewer death penalty cases than those of the East. This does not correspond the truth at all.

The author argues based on facts that the truth is reversed by 180 degrees. The death penalty abolition theories, moratorium and the law suppressing it appeared in the Orthodox world much earlier. The author discusses other inhumane crimes and argues that the Catholic-Protestant civilization shows evidence of morecruelty compared to others.

GRANI KAVTARIA  
**GNAEUS MARCIUS CORIOLANUS**

In the life and activities of Gnaeus Marcius Coriolanus one can clearly see the first steps of Roman conquest of Italy. The author pays considerable attention to episodes illustrating the Conflict of the Patrician and Plebeian Orders, which resulted in enhanced rights for the free citizens (Plebeians). The article also highlights Roman women’s patriotic spirit (specifically Coriolanus’s mother’s Volumnia). She sacrificed her son for Rome’s victory.

GRIGOL RUKHADZE  
**GEORGIAN EDITION OF ST. MAXIMUS  
THE CONFESSOR’S “LIFE”**

The article discusses St. Maximus the Confessor’s “Life” written by Tevdosi the Priest (Tevdosi Khutsesi) in Greek, shortly after the 6th World Meeting held in 680 BC. It was translated to Georgian by St. Ekvtime Mtatsmindeli (Atoneli) no later than 1005.

In 1918 professor K. Kekelidze published the critically acclaimed text of the “Life” which still remains a bibliographical rarity.

The article focuses on the following subchapters: king Hercules and Maximus the Confessor, Faith and Confession, Church and State, Predestination and Judgment of God. Theological definitions are particularly abundant in this edition of St. Maximus the Confessor's "Life".

BORIS DARCHIA

### **SOURCE OF ONE PAINTING BY IOVANE SABANISDZE**

This work reviews an unusual painting by IovaneSabanisdze - «In Martyrdom of Abo». When Abo is led to the Emir for punishment, in front of him he sees a vision of his own deceased, dead body as if he is just an accompanying outsider. Researchers conclude that the painting, created with such an imagination, seems to be based on reality.

SHOTA MATITASHVILI

### **GEORGIAN MONASTICISM IN 6TH-8TH CENTURIES: SYRIAN FATHERS**

From the 6th century, a brand new era starts in the history of Georgian monasticism. This new era encompasses 6th-8th centuries and is characterized by a wide spread of monastic tradition and development. In the 40s of the 6th century, Syrian monks arrived in Georgia. They established strong monastic centers. These centers immediately became the most pivotal points of Georgian ascetic movement and Georgian culture. Georgian monastic life took a strictly organized form thanks to the achievements of Assyrian fathers and spread to almost all corners of the kingdom of Georgia of that time. The work of Assyrian fathers is another crucial page in the history of Georgian and Syrian Church history. The contribution of these famous monks is invaluable for Georgia and the Georgian Church.

სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი  
„სამი საუნჯე“ №2, 2012

გამომცემელი შპს „სამი საუნჯე“  
სამტრედია, დავით აღმაშენებლის ქ. № 409.

ელ. ფოსტა: samisaunje@sinergia.ge  
ტელ.: 298-26-34, 599-19-68-23



Научно-общественный журнал  
«САМИ САУНДЖЕ» (Три святыни) №2, 2012  
(на грузинском языке)



Scientific and social journal  
“SAMI SAUNJE” (Three treasures) №2, 2012  
( in georgian)



პატეცემულო მკითხველებო,  
გთხოვთ გაითვალისწინოთ,  
ყოველი გამოწერილი ნომერი ჟურნალის  
თანადგომასა და სამი საუნჯის დაცვას ნიშნავს.

ჟურნალზე ხელმოსაწერად დაუკავშირდით  
გამავრცელებელ სააგენტოებს —  
თბილისში: სს „მაცნე“, საირმის ქ., კორ. №4,  
214-74-22; შპს „ელვა.ჯი“, 238-26-73(74);  
ხოლო რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და  
რაიონების ფილიალებს — ვებ-გვერდის  
[www.sinergia.ge](http://www.sinergia.ge) საშუალებით.

საცალო ფასი 7 ლ.

ხელმოწერის ფასი 5 ლ.



ISSN 2233-338X

[www.sinergia.ge](http://www.sinergia.ge); [samisaunje@sinergia.ge](mailto:samisaunje@sinergia.ge)